

114
1939



მნათობი

10-11

თბილისი
1939

მნათობი



სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოფილთვიური სალიტერატურო,
სასკოლო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ქურონალი

წელიწადი მეთექვსმეტი

10-11

19

ოქტომბერი-ნოემბერი
ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

39

109841

3550

საქართველოს
საკლავინოს
მეცნიერებათა
აქადემიის
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
თფილისი, შაჩაბლის 13,
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

ქანტორა:
თფილისი, კამოს ქ. № 40
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მზ. რედაქტორი — ალიო მავაშვილი

პ/მზ. მდივანი — კონ. ლორთქიფანიძე

გადაეცა წარმოებას 3/XII — 39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
28/1 — 40 წ. მთავლიტის რწმუნებული № 1507. შეკვეთა № 2797.
ტირაჟი 5000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორესის ქ. № 5.

ოქტომბრის რევოლუციის 22 წლისთავი

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 22 წლისთავს ძღვევამოსილი საბჭოთა ხალხი ზედება ახალი ძლიერი პოლიტიკურ-საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, სოციალიზმის ახალი გამარჯვებებით.

დიდი ოქტომბრის ოცდამეორე წელი იყო სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი ზრდის, სოციალისტური კულტურის შეუჩერებელი აყვავების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი წინსვლის, მშრომელთა პოლიტიკური და მორალური ერთიანობის, ხალხთა სტალინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების წელი.

ეს იყო წელი ახალი განმაცვიფრებელი გმირული საქმეებისა, რომლებითაც სოციალისტური ქვეყნის მატთანე გაამდიდრეს ჩვენი სამშობლოს მოწინავე შეილებმა.

განვლილი წელი აღინიშნა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი მოვლენებით.

1938 წლის 14 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის 21 წლისთავის დღესასწაულის რამდენიმე დღის შემდეგ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო და გამოაქვეყნა დადგენილება „პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოშვებასთან დაკავშირებით“. ამ დადგენილებაში, ისევე, როგორც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოაქვეყნებაში, მილიონობით დარაზმა მშრომელი მასები, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყველა ფენები მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმა დამოუკიდებელი შესწავლისათვის, ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. პარტიის ისტორიის მოკლე კურსის და ამ დადგენილების გამოაქვეყნების პირველ დღეებშივე ჩვენ მოწმენი გავხდით იმისა, თუ რა რიგ გაიზარდა მილიონების მისწრაფება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებელი შეცნობისათვის, თუ რა წარმატებით გაჩაღდა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების დამოუკიდებელი მუშაობათვის თავზე, თავის თეორეტული დონის ასამაღლებლად, თუ რა არნახული გაქანება მიეცა ბეჭდვითს პროპაგანდას და სალექციო მუშაობას, თუ რა რიგ ამაღლდა საწარეო მუშაობის ხარისხი.

ველაზე დად ისტორიულ მოვლენას განვლილი წლის განმავლობაში წარმოადგენდა საკ. კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-18 ყრილობა. ყრილობამ შეაჯამა მეორე ხუთწლიედის უდიდესი შედეგები, სოციალიზმის მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი და დასახა, თავისი ისტორიული მნიშვნელობის მიხედვით, უდიდესი ამოცანა — უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების და სოციალიზმიდან კომუნისმზე თანდათანობით გადასვლის ამოცანა. ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა სახალხო მეურნეობის

განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა — მესამე სტალინური ხუთწლიანი გრანდიოზული პროგრამა.

წარმოუდგენელი ძვრები განიცადა საბჭოების ქვეყანამ ^{ქვეყნის} ^{ქვეყნის} ^{ქვეყნის} რევოლუციური ბრძოლებისა და შემოქმედებითი აღმშენებლობითი მუშაობის შედეგად. წარმატებულ ამაღლებებელ სიმაღლიად ამტკველდნენ ციფრები და ფაქტები საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობაზე ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის მიერ გაკეთებულ მოხსენებებში. ეს ფაქტები მტკველდნენ იმაზე, თუ რა რიგ გარდაიქმნა საბჭოთა კავშირი ორი სტალინური ხუთწლიანი განმავლობაში. პარტიის მე-18 ყრილობაზე დიდმა ბელადმა, დაახასიათა რა საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა, აღნიშნა: „ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დარგში ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად საანგარიშო პერიოდში მიჩნეულ უნდა იქნას ექსპლუატატორული კლასების ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის დარაზმვა ერთსაერთო შრომის ფრონტად, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრული დემოკრატიზაცია, ახალი კონსტიტუციის შექმნა... ყოველივე ამის შედეგად ჩვენ გვაქვს საშინაო მდგომარეობის სრული სიმყარე და ქვეყანაში ხელისუფლების ისეთი სიმტკიცე, როგორც მსოფლიოში ყოველ მთავრობას შეუძლებოდა“.

მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებათა შედეგად, იმ უამარჯვებათა შედეგად, რომელნიც მოაბეებულ იქნენ ორი სტალინური ხუთწლიანი შესრულების საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ძირითადში კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი, საბჭოთა კავშირი შევიდა განვითარების ახალ სტადიაში — უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათან გადასვლის სტადიაში. საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის მიერ დამტკიცებული მესამე ხუთწლიანი გეგმა, ამხანაგ მოლოტოვის სიტყვით რომ ვსთქვათ, იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი ამ გრანდიოზული ამოცანის — სრულ კომუნიზმზე გადასვლის ამოცანის გადაწყვეტის საქმეში. საბჭოების ქვეყანა დაეწია და მან, წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის ზრდის ტემპების მიხედვით, უკვე გაუსწრო მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამასთან პარტიის მე-18 ყრილობამ ამოცანად დასაზა საბჭოთა კავშირი უახლოეს ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ეკონომურადაც დაეწიოს და გაუსწროს ევროპის მოწინავე ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს. მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულება იქნება უდიდესი ნაბიჯის გადადგმა ამ ამოცანის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

განვლილი წელი აღინიშნა კიდევ ერთი უაღრესად საგულისხმო ფაქტით, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო წყობის შემდგომი აღმავლობისა და აყვავებისათვის, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის დამთავრებიდან ორი თვის შემდეგ შეიკრიბა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმი. პლენუმმა განიხილა და მოიწონა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა პროექტები

„განიავებისაგან კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატყეის ღონისძიებათა შესახებ“ და „მოსავლის აღებისათვის მზადებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“. ორივე ეს დადგენილებანი გამოხატავს რა პარტიისა და მთავრობის სტალინურ მზრუნველობას ჩვენს კოლმეურნეობებისადმი, ხელს უწყობს კოლმეურნეობების შემდგომ განმტკიცება-განვითარებას, საკოლმეურნეო გლეხობისა და მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ზრდას, მათი მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. პირველმა გადაწყვეტილებამ უკვე მოგვცა უდიდესი ნაყოფი — ძალზე შემცირდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტები, საზღვარი დაედვა ცრუ კოლმეურნეების და საკოლმეურნეო წარმოების დეზორგანიზატორების მოქმედებას, მეტი ხალისი და მხნეობა მიეცათ მილიონ და მილიონ პატიოსან კოლმეურნეებს, რომლებმაც საგრძნობლად გაადიდეს შრომის ნაყოფიერება. ასეთივე წარმატებით, ბოლშევიკური განუხრელობით და ეფექტიურობით გატარდა მეორე დადგენილებაც.

1939 წლის 1 აგვისტოს საყოველთაო საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ეს გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 15 ათასზე მეტი კოლმეურნეობა, 11 ათასი საკოლმეურნეო ფერმა, 268 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, 795 საბჭოთა მეურნეობა, სასოფლო მეურნეობის 160 ათასამდე მოწინავე წარჩინებული ადამიანი, უკვე გადაიქცა საკოლმეურნეო წყობის გამარჯვებათა სწორუპოვარ დემონსტრაციად. ამ გამოფენის უდიდესი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი, როგორც ამხანაგმა მოლოტოვმა აღნიშნა, არა მარტო აჯამებს ჩვენი სხვადასხვა მეურნეობის ბრწყინვალე გამარჯვებებს, არამედ მოუწოდებს კიდევ მილიონ და მილიონ მშრომელებს სოციალიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ. ათეული ათასი ექსპონენტები და გამოფენის დასათვალიერებლად მისული კოლმეურნეები უკვე გამოდიან გამოფენაზე ნაჩვენებ მოწინავე მოცდილების მგზნებარე ავტატორებად, კოლმეურნეობების შემდგომი აყვავებისათვის მებრძოლებად, მომავალი წლის გამოფენაზე გასაგზავნ ექსპონენტთა გამრავლებისათვის მებრძოლებად.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა წარმოადგენენ უძლიერეს სტიმულს იმ ბრძოლისას, რომელსაც კოლმეურნე გლეხობა აწარმოებს საკოლმეურნეო წყობის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

მიმდინარე წლის აგვისტოს დამლევს შესდგა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მეოთხე რიგგარეშე სესია. ამ სესიამ მიიღო ისტორიული მნიშვნელობის ორი კანონი. პირველი კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ უფრო აძლიერებს ჩვენს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვითს უნარიანობას, ხოლო მეორე კანონს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ახალ საფეხურზე აყავს ჩვენი სოფლის მეურნეობა, ჰქმნის მისი შემდგომი აღმავლობის უდიდეს შესაძლებლობას. სსრ კავშირის მეოთხე რიგგარეშე სესიამ რატიფიკაცია უყო გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას თავდაუსხმელობის შესახებ.

განვიღო წელს უფრო მეტად განმტკიცდა და გაძლიერდა საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, უდიდესად გაიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო წონა.

საქ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობაზე ხალხთა ბელადმა დიდმა სტალინმა გენიალური სისადავით, სიმკვეთრით და სიღრმით დაახასიათა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა და ჩამოაყალიბა პარტიის ამოცანები საგარეო პოლიტიკის სფეროში. ბელადმა პარტიას ამოცანად დაუსახა:

„1. მომავალშიც გაატაროს მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი კავშირის განმტკიცების პოლიტიკა;

2. დაიცვას სიფრთხილე და საშუალება არ მისცეს ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა;

3. ყოველნაირად განამტკიცოს ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო წითელი ფლოტის საბრძოლო ძლიერება;

4. განამტკიცოს მეგობრობის საერთაშორისო კავშირი ყველა ქვეყნის მშრომელებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხალხთა შორის მშვიდობიანობით და მეგობრობით“¹⁾.

მშვიდობიანობის ბრძნულმა სტალინურმა პოლიტიკამ, რომლის ფორმულაც ამხანაგმა სტალინმა მოგვცა მე-18 ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში, უფრო განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, მოუპოვა ჩვენს ქვეყანას მრავალი თანამგზავნი და მეგობარი მსოფლიოს მშრომელ მასებში.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი, როგორც ამხანაგმა მოლოტოვმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შეოთხე რიგგარეშე სესიაზე განაცხადა, არა მარტო გვაშორებს გერმანიასთან ომის საფრთხეს, არამედ ამცირებს საომარ შეტაკებათა ასპარეზს ევროპაში და ამრიგად ემსახურება საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს. „მან (აქტმა) უნდა უზრუნველყოს ჩვენთვის ძალების ზრდის ახალი შესაძლებლობანი, ჩვენი პოზიციების განმტკიცება, საერთაშორისო განვითარებაზე საბჭოთა კავშირის გავლენის შემდგომი ზრდა“²⁾.

სსრ კავშირის მეოთხე რიგგარეშე სესიის შემდეგ დატრიალებულმა ამბებმა სავსებით დაადასტურეს ამხანაგ მოლოტოვის სიტყვების სისწორე. გერმანია-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებამ, ამის შემდეგ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ მეგობრობის შესახებ, აგრეთვე ბალტიის სახელმწიფოებთან დადებულმა ხელშეკრულებებმა უფრო განამტკიცეს საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარიანობა, იხსნეს აღმოსავლეთ ევროპის ხალხები ევროპულ ომში ჩაბმისაგან, რასაც ასე გულმოდგინედ ცდილობდნენ ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები.

¹⁾ სტალინი: „საინგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკავშირო საქ. კ. პ. (ბ) ც კ-ის მუშაობის შესახებ“ (სახელგამი, პოლიტლიტერატურის სექტორის გამოცემა, 1939 წ., გვ. 20).

²⁾ „კომუნისტი“ 1939 წ. 2 სექტემბრის № 201, მოლოტოვის სიტყვა.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მეხუთე რიგგარეშე სესიოზე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა მოლოტოვმა, დაახასიათა რა ამ ორი თვის მანძილზე ჩვენს ქვეყნის საგარეო ვითარებაში მომხდარი ცვლილებანი, სთქვა: „ჩვენი სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულად გატარების მეოხებით ჩვენ შევძელით მნიშვნელოვნად გავვეძლიერებინა ჩვენი პოზიციები და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო წონა“¹⁾.

მშვიდობიანობის სტალინურ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ხალხის ინტერესების შესაბამისად ატარებს, ერთსულოვნად მხარს უჭერს მთელი საბჭოთა ხალხი. ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მეხუთე რიგგარეშე სესიამ, მოისმინა რა ამხანაგ მოლოტოვის მოხსენება, უდიდესი ერთსულოვნობით და აღფრთოვანებით მოიწონა ჩვენი მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

განვილიო წელი დაუვიწყარი დარჩება ჩვენი სამშობლოს ხალხებისათვის იმიტომაც, რომ ამ წელს სოციალიზმის ქვეყანას შემოუერთდნენ დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია. ჩვენი საბელოვანი წითელი არმიის მიერ პოლონელი პანების უღლისაგან განთავისუფლებულმა ჩვენმა ძმებმა — დასავლეთ უკრაინელებმა და დასავლეთ ბელორუსებმა დიდი ოქტომბრის 22 წლისთავზე განიცადეს პირველი უსაზღვრო სიხარული: თავისი ხანგრძლივი არსებობის განშავლობაში მათ პირველად ხედათ წილად აერჩიათ თავიანთი სახალხო კრებები, პირველად მიეცათ მათ საშუალება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები, სახალხო კრების დეპუტატები. არჩევნებმა ცხადჰყვეს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა ერთსულოვნება, მათი დარაზმულობა იმ პროგრამისა და ამოცანების გარშემო, რომლებიც დასახული ჰქონდა არჩევნებს. აირჩიეს რა ხალხის კანდიდატები, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა მასებმა ხმა მისცეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას თავიანთ მიწაწყალზე, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ამ მხარეების შესვლას, მემამულეთა მიწების კონფისკაციას და მშრომელი გლეხობისათვის ამ მიწების გადაცემას, დიდ საწარმოებისა და ბანკების ნაციონალიზაციას.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხების ერთსულოვნების დემონსტრაცია კვლავ ასეთივე ძალით განმეორდა ამ კუთხეების სახალხო კრებების სხდომებზე, რომლებზედაც ერთხმად მიღებულ იქნა დეკლარაციები დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ და აგრეთვე დეკლარაციები დასავლეთ უკრაინის უსსრ-ის შემადგენლობაში, ხოლო დასავლეთ ბელორუსიის ბსსრ-ის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

ამრიგად, გაფართოვდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრები, ვამრავლდა საბჭოთა მოქალაქეების და საბჭოთა პარტიოტების რიცხვი. სოციალიზმის ქვეყანა შეიქნა უფრო ძლიერი და მტკიცე. ახალი ცხოვრების კარი გაიღო დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთათვის იმ

¹⁾ „კომუნისტ“, 1939 წ., № 252.

ძმური დახმარების შედეგად, რომელიც მათ აღმოუჩინეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა, იმ მამაცობისა და გმირობის შედეგად, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა სასიქადულო წითელმა არმიამ თეთრ პოლონელების წინააღმდეგ პარტილაში. სოციალიზმის ქვეყანას კვლავ მიეცა საფუძველი იამაყოს დაეფუძნებოდა. რი წითელი არმიით, რომელმაც შემოსა ახალი დიდებით ლენინ-სტალინის პარტიის დროშა და რომელმაც კვლავ ისახელა თავი გმირული ბრძოლით ჩაგრული ერების განთავისუფლებისათვის.

სალ კლდესავით სდგას ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო იმ საყოველთაო ქარიშხალში, რომელმაც მოიცვა მთელი კაპიტალისტური მსოფლიო. ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტებმა დაანთეს ახალი იმპერიალისტური ომის ხანძარი. მაგრამ საბჭოთა მთავრობა სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის გატარებით უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოსათვის მშვიდობიანობასა და უშიშროებას. ჩვენი სამშობლოს საზღვრები მტკიცედ არის დაცული. საბჭოთა ხალხი ერთი წუთითაც არ იფიწყებს კაპიტალისტური გარემოცვის არსებობას, ძირფესვიანად ანადგურებს ქვეყნის შინაური მტრის ნაშთებს და გარეშე მტრების ყოველგვარ მუხანათობას. ამავე დროს იგი თავგამოდებით იბრძვის ახალ გამარჯვებათა მოპოებისათვის მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში.

სრულის სიმშვიდით და მტკიცე იმედით შეპყრუებს საბჭოთა ხალხი თავის მომავალს. ეს მომავალი, მშვენიერი და გაცისკროვნებული, ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანას, სოციალიზმის მშენებელ ხალხებს. ამის თავდები და საწინდარია ის, რომ ჩვენ სამშობლოს წინამძღოლობს და მეთაურობს ლენინ-სტალინის დიადი პარტია, რომ საბჭოთა ხალხების შთამკონებელი და ორგანიზატორი კომუნისმისათვის ბრძოლაში არის დიდი სტალინი.



ალექსანდრე მუთათელი

მეხვედრა

ექიმი მიხას ბროვკოვიჩი ბობრუსკიდან ჰომელში გადაიყვანეს. ოცდარვა წლის იქნებოდა იგი, მაგრამ უკვე ცნობილი დოსტაქრის სახელი მოეხვეჭა.

დილით ადრე ადგა ბრგე და მწითური ვაეკაცი. პიყამო მოისხა და აივანზე გავიდა. ამწვანებულ ბაღებსა და გოლიათ ნეკერჩხლებში ჩაფლულ ქალაქს გაჰხედა. ჰომელი უძველესი ციხე-ქალაქია, მოხსენებული წელთაღმრიცხველის მიერ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში „ჰომი“-სა და „ჰომე“-ს სახელწოდებით. იგი მდინარე სოჟის მალაღსა და მწვანე ნაპირზეა გაშენებული. სოჭზე გემთა მიმოსვლა სწარმოებს. გრად პასკევიჩის სასახლე და ბალი ქალაქის სამკაულს შეადგენს. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქალაქი სწრაფად იზრდებოდა. ჰომელი სამზრეთ-ბელორუსიის ყველაზე დიდი და ლამაზი ქალაქია.

„როგორ შევეთვისები ამ ქალაქს და როგორ მიმიღებს იგი“, — ფიქრობდა ექიმი მიხას ბროვკოვიჩი.

ალიონის სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. მაღალი და განიერი მკერდი საბერველივით აეზიდა. ადრე ამდგართ და ქუჩაზე მიმავალთ აკვირდებოდა, ეხლახან გაღებულ მაღაზიებში რომ შედიოდნენ, ავტობუსში სხდებოდნენ და სამუშაოზე მიიჩქაროდნენ. ყველას თავისი საქმე აჩქარებდა. ექიმსაც კლინიკა მოაგონდა. ოთახში შევიდა, გაივარჯიშა და მერე პირის დასაბანად გაეშურა, მაგრამ ამ დროს მისი ბინის კარებზე გრიალით მოავდო შოფერმა მანქანა.

ცოტა ხნის შემდეგ კაკუნი შემოესმა. ექიმმა კარები გააღო და ოთახში ქერა ვაეკაცი შევარდა მაზარითა და ნაცრისფერი კეპით. იგი აჩქარებული ლაპარაკობდა:

- თქვენ ექიმი ბროვკოვიჩი ბრძანდებით?
- დიახ, — უპასუხა ბროვკოვიჩმა და მარჯვენა თვალის ქუთუთოზე მოლურჯო ზორკმეტი შეამჩნია, თითქო ჩიტს ნისკარტით დაუეკორტნიაო.
- მე მინის ქარხნის პარტკომის მდივანი ვარ. გთხოვთ ეხლავე წამოხვიდეთ ქარხანაში.
- რა ამბავია?
- უბედური შემთხვევა: სამანქანო-საბაზანო საამქროს ბაქანიდან მუშა გადმოვარდა
- მერე რა დაუშავდა?
- მგონი თირკმელა ჩაუწყდა საცოდავს, ქარხნის საავადმყოფოში მოვითავსეთ.
- ტერაპევტმა გასინჯა?



— დიას. თქვენთან გამომგზავნა.

— კეთილი. ეხლავე პირს დაივბან...

— მალე მოემზადეთ, გეთაყვა. მანამდე მე ინჟინერს გავუცხადებო. სწრაფად შეტრიალდა პარტკომის მდივანი ანატოლი არხიპენკო. მერე სართულის კიბე ჩაირბინა. გრძელი მაზარის კალთები ლაჯებში ეტანებოდა. გრივალის შეიჭრა ექიმის ბინაში და ისევ გავარდა ახვანი ვაკეკაცი.

მინის ქარხანა-გიგანტი სოფელ კასტიუკოვოშია აგებული, ჰომელიდან 12 კილომეტრის მანძილზე. პარტკომის მდივანი ქარხნის მანქანით ჩავიდა ქალაქში. სანამ ექიმი პირს დაიბანდა, ჩაიცვამდა და ჩემოდანში ხელ-საწყოს ჩაალაგებდა, არხიპენკოს თავისი საქმე მოეგვარებინა, ინჟინერი მოეძებნა და კვლავ ქორივით დაეცა დოსტაქარს თავზე.

— აბა, გავსწიოთ!

მანქანაში ჩასხდნენ. არხიპენკო შოფერის გვერდით დაჯდა. დოსტაქარს გვერდით კი — ჩია ტანის ინჟინერი ბენედიკტე ჰამერი, ფერმკრთალი კაცი იყო ჰამერი. რეზინის მოსასხამი ეცვა და წვივზე ჰამაშები ჰქონდა.

— აბა! — შესძახა არხიპენკომ და შოფერმა „გაზი“ მიუშვა.

გაიარეს საბჭოთა ქუჩა-პროსპექტი, ქალაქის ბაღი, საავადმყოფო, საპატრიმრო და მერე გარეუბანი. მანქანა რკინიგზის ხიდის ქვეშ გასრიალდა. არხიპენკო მოტრიალდა და ექიმს შეეკითხა:

— თქვენ ეხლაზან ჩამოხვედით, არა, ჰომელში?

— ხუთ აგვისტოს ჩამოვედი. ათი დღეა.

— როგორ მოგეწონათ ჩენი ქალაქი?

— ჰომელში მე წინადაც ვყოფილვარ. დიდად გავზრდილა და გამოცდილია. იქ სადაც წინად მხოლოდ ქოხმახები და უვარგისი სახლები იყო, ეხლა ჩინებული სახლები, დაწესებულებები და ზოგან საკავშირო მნიშვნელობის ქარხნები აღმართულან.

არხიპენკომ ღიმილით მიუგო:

— ჩენი ქარხანაც საკავშირო მნიშვნელობისაა.

— მე ქარხანა „ჰომსელაშში“ დავითვალისწინებ ვუშინწინ. საოცარია: ძველი კადრების ნაცვლად, ყველგან ჩვიდმეტი, თვრამეტი წლის კაბუტები მუშაობენ. აი, ჩენი შოფერის ტოლები.

თითქო ექიმის სიტყვებმა წააქეზაო კაბუტე შოფერი: მან საოცარი სიჩქარით მიუშვა მანქანა.

— საცოდავი ჩენი მუშა: ისიც ძალზე ახალგაზრდაა, პაცანი. ნეტავი გადარჩებოდეს! — ნატრობდა არხიპენკო.

დოსტაქარმა დაწვრილებით გამოჰკითხა ზოგი რამ დაშავებული მუშის შესახებ არხიპენკოს, მაგრამ საუბარი სჭირდა, ვინაიდან შოფერი დიდ სისწრაფეს ანეითარებდა — თითქმის 90 კილომეტრს საათში. ქარი მძლავრად სცემდა მოსაუბრეთ სახეში. ქულებს ხელით იმაგრებდნენ თავზე. ეს კიდეც ცოტაა: ბელორუსიის გულდრონირებულ და კლინიკურით პარკეტავით მოკირწყლულ გზატკეცილზე უფრო მეტის სისწრაფითაც მიჰყავთ მანქანა.

— ძალიან ჩქარა მიგყავს მანქანა, — შენიშნა ინჟინერმა ტყავის ქურთუკში გამოწყობილ შოფერს. შოფერმა დამცინავი ღიმილით შემოჰხედა:

— უნდა ვიჩქაროთ, — უპასუხა ჭაბუკმა. ქუდზე გაკრული წითელი ვარსკვლავისა და მოციხფრო თვალების კრთომა ერთმანეთს ეჯიბრებოდა. ჩანდა: 90 კილომეტრს კი არა, სულ გააფრენდა მანქანას, ოღონდაც მალე ემგეგნათ როგორმე დაშავებულ ამხანაგისთვის. შოფერმა სოფელ კასტიუკოვსკურაშაგ-დო მანქანა და ბული დააყენა. ბაღებსა და ეზოებიდან ტიტლიკანა ბავშვები გამოსცივიდნენ და კიყინით გააცილეს ქარივით გაფრენილი მანქანა.

მარჯვნივ აბოლებული საცვამურები აღიმართნენ. ქიმიურ ნივთიერებათა სუნი ეცა დოსტაქარს მიხას ბროვეკოვიჩს: სოდის, სულფატის, ნაშწვი ნახშირისა. თითქო მზრჩოლავი ვაზით მოწამლულ ბრძოლის უბანს უახლოვდებო. უსიამოვნო სუნი მატულობდა. მალე უზარმაზარი ქარხნის შენობაც გამოჩნდა.

მარჯვნივ მუშების საცხოვრებელი კოხტა სახლებია. მთისა და ქარხნის შუა დიდი ბაღი გაუშენებიათ. სოფელი კასტიუკოვოვ ეხლა ინდუსტრიალური ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებს. კასტიუკოვოს ქობნახების გვერდით ძველი და ახალი ბელორუსიის შორის არსებული სხვაობა მეტისმეტად ხელსახებია და თვალსაჩინო. ქარხანაში შესავალ ქიშკრის თავზე მოთქრული ასოებით სწერია: „სტალინის სახელობის მინის მექანიზებული ქარხანა“

იქვე, ორსართულიან სახლში შეიყენა დოსტაქარი არხიპენკომ. ამოდ ჰღელავდა იგი და ქარხნის ექიმი: ვაი თუ თირკმელა ჩაუწყდა მუშასო. დოსტაქარმა დაშავებული ვასინჯა და განაცხადა:

— თქო აქვს ნაღობი. ჩემის აზრით, ოპერაცია არ დასჭირდება.

დაშავებულის მოვლის შემდეგ ქარხნის დირექტორმა, ექიმმა და არხიპენკომ სასადილოში მიიპატიეს დოსტაქარი. კლინიკაში წასვლამდე ჯერ კიდევ ორი საათი რჩებოდა მიხას ბროვეკოვიჩს.

ბაღზე უნდა გაეარათ. ბაღის შუაგულში აუზია შადრევნით და იქვე ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ქანდაკება. სკამებზე ქარხნის მუშები იხსდნენ. აგვისტოს 15 იყო. უკვე ცივი ქარი უბერავდა. ტყვიისფერსა და დაგლეჯილ ღრუბლებიდან ხანგამოშვებით გამოანათებდა საშემოდგომო, ძალაგამოლეული მზე და ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი მუშები თვალებს ნაბეადნენ.

დოსტაქარი სკამზე დაჯდა, მასაითი ტანმორჩილ და ბრგე ვაეკაცის გვერდით. პარტკომის მდივანი არხიპენკო მიესალმა და დოსტაქარს გააცნო ჭაბუკი შოფერის მამა, სტეფანე დუდარი. დოსტაქარმა მუშას ნატყვიარი შეამჩნია შუბლზე. ქრილობა სამოქალაქო ომში მიელო დუდარს. აუზთან მისი უმცროსი შვილი — ხუთი წლის გოგონა თამაშობდა. სამოქალაქო ომის შემდეგ სტეფანე დუდარი კონსტანტინოვიჩის მინის ქარხანაში მუშაობდა. არხიპენკო უამბობდა დოსტაქარს: 1934 წელს გადმოიყვანეს კონსტანტინოვიჩიდან აქ დუდარიო. აქებდა მას, როგორც საუკეთესო ბრიგადირს და სამანქანო-სააბაზანო საამქროს მეტად გამოცდილ ოსტატს. დუდარს ოთხი შვილი ჰყავს: უფროსი პეტრუს შოფერია. ქალს საშუალო დაუმთავრებია და ეხლა უმაღლესში სწავლობს. ყმაწვილი პირველ კლასშია. უმცროსი კი, აი, აქ, აუზთან თამაშობს, ტოლებში.

პარტკომის მდივნისა და დოსტაქარის გარშემო მუშები შეგროვდნენ. დაშავებული ამხანაგის შესახებ ეკითხებოდნენ დოსტაქარს და რომ ვაიგეს, არაფერი უშავსო, გაეხარდათ. სტეფანე დუდარმა კეპი მოიხადა, მანქანას შეჩვეული, დაკოტრებული ხელი გადაისვა ქერა თმაზე. დოსტაქარი უცქეროდა მას, ირგვლივ თავშეყრილ მუშებს, იმათ მომღიმარ სახეებს, ოდნავ მოქუთუღლ თვა-

ლებს და მათი თვალები ეცნაურებოდა: ასე ილიმება მშობლიური ილირის თვალები, რომლებიც მსოფლიო ომამდე და ომის ქარიშხალშიც სკვერულდნენ მშრომელთათვის სწორ გზას, ამ საამურ ცხოვრებას.

პარტკომის მდივანი სათითაოდ იცნობდა მინის ქარხნის მუშებს, ყველას წარსულში გაკვირებით, ჭიდილით სავსე ცხოვრება გაუვლია. ენლა კი იმ კობტად ნაგებ სახლებში ცხოვრობენ, მოცლილობის დროს ამ ბაღში ისვენებენ სუფთად გამოწყობილნი.

შორიდან ქარხნის გავარვარებული ლუმელების გუგუნე და მანქანების დგანდვარი მოისმოდა.

აუზთან მოთამაშე ბავშვებს შავგვრემანი ქალი მიუახლოვდა. ხელი ჩასქიდა ყმაწვილს. მერე შერყარდა. დოსტაქარს დააქქერდა: ეს ვინ საუბრობს ჩვენი ქარხნის მუშებთანო, — გაიფიქრა.

— ანა აფანასიეენა! — დაუძახა არხიბენკომ და დოსტაქარს გააცნო: — იცნობდეთ: ანა აფანასიეენა ლევოჩინა, ჩვენი ქარხნის დამკვერელი, დაწინაურებული მუშა-ქალია.

დოსტაქარმა საკავშირო ცაკის წევრობის ნიშანი შეამჩნია მკერდზე სანდომიანი სახის მქონე ქალს. ლევოჩინას ბავშვს თითი ჩაეყო ხახაში და ასე მისჩერებოდა დოსტაქარს. დოსტაქარმა ხელი მოუცაცუნა ლოყაზე.

— ესენი თქვენისთანა ნასწაველი უნდა გამოვზარდოთ, — უთხრა გულუმბრყვილოდ ანამ დოსტაქარს და მოაგონდა თავისი უბადროუკი ბავშვობა.

— ანა აფანასიეენა გაზიფიკატორია, — დაიწყო პარტკომის მდივანმა არხიბენკომ. — ერთ დღეს ქარხნის გაზეთის რედაქციაში შეიარა. გაზეთის რედაქტორმა უთხრა: „წადი, დაწვეი და მოისვენე. მოსკოვში მოგიწევს, ალბათ, წასვლაო“. ლევოჩინას გაუკვირდა: „მოსკოვში რა მინდაო“. „ასე მოეკარი ყურიო“, — უბასუხა თურმე რედაქტორმა. ლევოჩინა პარტკომში შემოვიარდა. მე ვუთხარი: მოემზადე, დღეს ორ საათზე მოსკოვს მიდიხარ, დელეგატად ხარ არჩეული საბჭოთა საკავშირო მეშვიდე ყრილობაზე-მეთქი. ასე არ იყო, ამხანაგო ლევოჩინა?

— სწორედ ასე იყო, — გაიცინა ქალმა და მღელვარების გამო სახეზე ოდნავ წამოწითლდა. — და რა მოულოდნელად და უცბად დამატყდა ყოველივე ეს თავზე, — დაიწყო მან. — მოსკოვში წასვლამდე ერთი საათი-ღა მრჩებოდა. სიხარულის გამო ვეღარაფერი ვერ მოვისაქმე. საჩქაროდ ჩაეყარე ჩემოდანში ტანსაცმელი. შვილები დაგეოცნე და მეზობელს ჩაებაარე. ჰომელისაკენ მიმავალ ავტობუსში შევეკარდი. მეორე დღეს მოსკოვში კალინინმა გახსნა ყრილობა. სულგანაბული ვუსმენდი საბჭოთა კავშირის „სტარშინას“. ეს რა ბედი მეწვია: საქვეყნო საქმეების განხილვაში ჩამაბეს-მეთქი, ვფიქრობდი. პრეზიდენტი აირჩიეს და როდესაც მაგიდასთან ჩვენი ქვეყნის მესვეურნი — მოლოტოვი, ვოროშილოვი, კავანოვიჩი და თვითონ ამხანაგი სტალინი დავიანხეთ, ფეხზე წამოვიტყრით, ტაშით და ვაშას ძახილით შევეგებეთ ხალხთა დიდ ბელადს. მე პირისპირ ვიხილე სტალინი. გული საბუდედან ამოვარდნას ლამობდა: ჩვენი მამა, მასწავლებელი და იმედი სულ ახლოს იდგა და მშობლიური ღიმილით გვიცქეროდა დელეგატებს...

ლევოჩინა დიდხანს უყვებოდა მერე ყოველივე ამას კასტიუკოვს მინის ქარხნის მუშებს, უყვებოდა ამ დიდ აღტაცებას და სიხარულს... მუშები გარს

ეხვიენენ, ჰკოცნიდნენ და ულოცავდნენ ამხანაგს ასეთ დაწინაურებამ. ლევოჩინა წერა-კითხვის თითქმის უცოდინარი იყო მაშინ, როდესაც მოსკოვს გაემგზავრა ყრილობაზე.

ქარხანაში

— ცაკის წევრობის მიღების წინ ანკეტა უნდა შემეგვეს... — ხანწიქსა ლევოჩინამ, ტურზე იკბინა და გულდაწყვეტით განაგრძო: — ანკეტა ერთ ამხანაგს შევავსებინე. მაშინვე გადავწყვიტე: შვილები მაინც ყოფილიყვენენ ნასწავლი. — მერე ლევოჩინამ გაიღიმა და განაცხადა: — ჩამოვედი თუ არა მოსკოვიდან, შვილებთან ხელშეკრულება დავდევი: მე — ქარხანაში უკეთეს მუშაობაზე, შვილებმა — სკოლაში უკეთეს სწავლაზე, ფრიადონსობაზე...



ქარხნის დირექტორმა, ექიმმა, პარტკომის მდივანმა და მუშებმა დოსტაქარი ავტომობილამდე მიაცილეს. სტეფანე დუდარმა რაღაც დააბარა ჰომელში პეტრუსს.

— ჰომელიდან კასტიუკოვომდე თორმეტი კილომეტრი შვიდ წუთში გაიარა შენმა ვაეკაცმა, — უთხრა სტეფანეს არხიპენკომ.

— გიეი! — შესძახა ლევოჩინამ ღმილით შოფერს.

— მალე წითელ არმიის გაიწვევენ და იქ შეაჩვენენ წესიერებას, — ჩილაბარაკა მამამ.

— ხან ჩქარაა საჭირო სიარული, მამილო, ხანაც ნელა, როგორც საჭიროება მოითხოვს, — გაიქნია თმადაკვარკნილი, უდარდელი თავი ვაეკაცმა.

— ჯერ უაფარიოდ დადიხარ, არაყსაც არა სვამ... ფრთხილად, ბიჭო! — გააფრთხილა ლევოჩინამ.



დოსტაქარი შოფერის გვერდით იჯდა და ჰომელში ბრუნდებოდა. ეხლა წესიერად მიჰყავდა შოფერს მანქანა. დოსტაქარს ლევოჩინა მოაგონდა, მისი ენტუზიაზმით საესე სანდომიანი სახე.

— ლევოჩინა ყველას უყვარს: დიდსა და პატარასაც, — დაიწყო დუდარმა, — იგი მშობელ დედასავით ზრუნავს ყველა ჩვენთავანზე. იცის ჩვენი აუკარგი. დიდ პატივს სცემენ მას ჩვენი ქარხნის მუშები. მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ერთითად გაიზარდა. სამავალითო გახდა, როგორც ქარხანაში მუშაობით, ისე თავისი ბავშვების აღზრდითაც, რომლებიც აღარ იქნებიან ამიერიდან მამასავით უცოდინარნი, ბნელნი, როგორც თვით ლევოჩინა იტყვის ხოლმე გულისტყენით.

დოსტაქარმა ერთი შეხედა ჯერ უწვერულ ქაბუკის სახეს. გაუცვირდა მისი ასეთი დინჯი საუბარი. როდესაც ჰომელიდან მოდიოდნენ, ცეტი, თავქარიანი ქაბუკის შთაბეჭდილება დასტოვა შოფერმა დოსტაქარზე. ეხლა კი ავისა და კარგის მცოდნე, ხანშიშესული კაცივით ესაუბრებოდა დოსტაქარს.

რკინიგზის ხიდის მახლობლად მანქანა იდგა და შოფერი ამაოდ ცდილობდა მისი ძრავის ამუშავებას. შოფერმა ხელი ასწია და დახმარება სთხოვა პეტრუს დუდარს. დუდარმა მანქანა დააყენა და შეეკითხა:

— რა მოგივიდა?

— რა ვიცი, ერთი საათი ჩავკირკიტებ ამ ვერანას და ვერაფერი გამივიდა. მგზავრებმა უსიამოვნოდ და დაცინვით გადახედეს ბეზუნსსა და ჩემში გაზუნზლულ ახმახსა და ტლუ შოფერს.

— შენი შოფრობა ზარალია! — ჩუმაღ ჩაილაპარაკა ერთმა.

— ფინაჩია! — დაუდასტურა მეორემ.

— აბა, მომეცალე — დაუძახა დუდარმა აყლაყუდა შოფერს და მისი მანქანის ძრავს ფრთები აპხადა, თვითველი ნაწილი გაუსინჯა. ციბრუტივით დატრიალდა მანქანის გარშემო და ორ წუთში ძრავი გაცოცხლებული სულდგმულივით აცახცახდა.

შოფერმა გაკვირვებით შეხედა დუდარს, ხელი ჩაიქნია და მიამძახა:

— ჭინკა ხარ, ჭინკა!

— ეგ ვერ შეამჩნიე, ქკურს კოლოფო! — უპასუხა დუდარმა, ძრავთან მიიყვანა და ზედ ცხვირი დაადებინა.

ეტყობოდა, ხუთი თითივით იცოდა შინაგანი წვის მანქანის აღნაგობა, ზემიწევინით იცოდა მისი დაშლა და აწყობა.

დუდარი საჭეს მიუჯდა და პომელისაკენ მიუშვა თავისი მანქანა.

დოსტაქარმა სწავლის გაგრძელება ურჩია ჭაბუკს.

— შოფრობის კურსები დამთავრებული მაქვს, ეხლა სამხედრო სკოლაში შევდივარ, მინდა ტანკისტი გავხდე.

— აბა, შენ იცი, კარგი ტანკისტი უნდა გამოხვიდე.

— დედას ვუტირებ პოლონელ პანებს!

— იქნებ მალე დადგეს სანატრელი დღე და ხელიდან გამოეტაკოთ ვერაგებს ჩვენი ბელორუსელი მამები და დედები, ძმები და დები, უნდა გათავდეს მშობლიური ჩვენი ხალხის წამება.

— ოხ, ერთი მაგ დღეს კი მოვესწრებოდე! — ამოიოხრა ჭაბუკმა.

— შენ ჩემთან შედარებით ბავშვი ხარ, როგორ თუ ვერ მოესწრები?! მოესწრები, პეტრუს, დარდი ნუ გაქვს! — უპასუხა დოსტაქარმა და ეხლა თითონ დადარდიანდა რატომღაც. მაგრა მოკლემა ბავშვს, ხელემა პალტოს ჯიბეში ჩაიწყო, მკლავზე კუნთი დაეხიდა. მერე კეპი ჩამოიფხატა მწითურ სახეზე. თვალზე ცალი წარბი აუთამაშდა.

რა იცოდა მაშინ ჭაბუკმა შოფერმა პეტრუს დუდარმა, თუ რა ცეცხლი გაჩაღდა დასავლეთ ბელორუსიის მოგონებისას დოსტაქარის მიხას ბროცკოვიჩის გულში. არ იცოდა, რა მოაგონდა დოსტაქარს.

• •

და აი, დადგა სანატრელი წუთი: წითელი არმიის ნაწილებმა ბრძანება მიიღეს გადაეღახათ პოლონეთის საზღვარი, რათა გამოეხსნათ პანების ხელიდან მომძე ბელორუსეები და უკრაინელები.

წითელარმიელებმა სროლა აუტეხეს პოლონელ მესაზღვრეებს როდოშკოვიჩთან, ზასლავლთან, სერეინსკის უბანში. ანტანტის მიერ სახელდახელოდ შეხანზლულ პოლონეთის სახელმწიფოს ღერბით მოხატული მოსაზღვრე სვეტი ძაჩინად ამოსთხარეს.

პოლონური სოფლის ეკლესიის სამრეკლოზე ტყვიამფრქვევი დაჭიქანდა. მაგრამ უმაღლვე გაუჩინარდნენ ჩვენი მესაზღვრენი და ენლა აფორაფერი აღარ სჩანდა მდინარის პირად, მინდორ-ველზე და მით უფრო ტყეფ-დაჭიქნულ ფერდობებზე.

ხოლო ტყეში უჭუმრად და უჩინრად მოქმედებდნენ ადამიანები.

იწვა კაცი, ფოთლისფერი მოსასხამის კაპიშონით თავდაბურული. აღარც მისი სამხედრო ტანსაცმელის ნიშნები სჩანდა და აღარც წითელვარსკვლავიანი ქული. თავი ბუჩქებში ვაეყო მხედარს. თვალზე დურბინი მოემარჯვებინა და ასე მისჩერებოდა პოლონურ ეკლესიის სამრეკლოს და ვუმბათს, რომელზედაც მოოქრული ასობით ეწერა:

„CHWALCIE PANA WSZYSTKIE NARODV“ *)

„მე შენ ვიტირებ დედას, პოლონელო პანო!“ გაიფიქრა მხედარმა.

იგრილა ზარბაზანმა. ერთი, ორი... და ეკლესიის სამრეკლო, საიდანაც პოლონელები ტყვიამფრქვევს ისროდნენ, ჩამოინგრა.

ტყე აიგრუნა და ქექა-ქუხილით დაიძრა თითქო.

ტყეში გაყვანილ, ბალახით დაფარულ და მანამდე უკაცურ გზატკეცილზე პირველად გამოჩნდნენ ტანკები და პოლონური ჯარით გამაგრებულ სოფლისაკენ გრიალით გაეშურნენ. მზეზე ბრწყინავდა გაკრიალეული საბჭოთა ჯაე-შნოსანი.

შესწყდა, ზარბაზნების გრიალის შემდეგ, სოლა სოფლიდან. მტერი უკუ-იქცა და ტანკები სოფელში შევიდნენ. მას ქვეითი ჯარი მიჰყვა.

სოფელი ზეიმითა და ვაშას ძახილით ეგებება საბჭოთა ქვეყნის ჯარს. შენობებზე წითელი დროშები აფრიალდნენ.

მოედანზე და ქუჩებზე თავისთავად ეწყობა მიტინგი. ხალხი ზეიმობს საყვარელ სამშობლოსთან შეერთებას. ჩია ტანის მოხუცი გლეხი თავგამოდებით ლაპარაკობს. მას ლარიბულად აცვია. აღზნებული უყვება იგი წითელ არმიულეებს დასავლეთ ბელორუსიის გლეხთა გაჭირვებას და პანებისაგან მიყენებულ ტანჯვა-ვაებას. ისინი არყის ზის ქერქისაგან შეგერილი ქალამნებით, წელში მოხრილნი და მოკუშულნი მამა-პაპათა უფარვის სახნისებით სჩიქნიდნენ პანების მიწას, მაშინ, როდესაც საბჭოთა ბელორუსიის მოსაზღვრე სოფლებიდან ტრაქტორების, კომბაინების გუგუნნი და გლეხების სიმღერა მოესმოდათ, და როგორ შეჰნატროდნენ საბჭოთა ბედნიერ ხალხს!

უყვებიან ამას და კიდევ ბევრ სხვა რამეზე შესტივიან ბელორუსი გლეხები წითელარმიელებს.



ამ რაიონიდან წითელი არმიის ნაწილებმა უკვე გადევნეს პოლონელი პანები და ოფიცრები. მოსახლეობას აღარ ესმოდა ზარბაზნების გრიალი და აღარ ეშინოდა მრისხანე თვითმფრინავებისა.

უკვე კვირაზე მეტია, რაც გლეხობა ჩვეულებრივ თავის სამუშაოს შეუდგა ისევ.

*) „აქებდეთ უფალსა ყოველნი ერნი“.

დღეს სოფელში სანიტარული რაზმი შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ აფროსი ექიმი სოფლის საავადმყოფოდან გამოვიდა. ქუჩაში გავიდა და ნელი ნაბიჯით გაეშურა მოედნისაკენ.

პატარა მოედანზე, ლუქნის წინ ბელორუსი გლეხები საუბრობდნენ. ექიმი შორიხლოს შეჩერდა. ხალხმა შენიშნა წითელი არმიის მეთაური, რომელიც გულმოდგინედ ათვალთვლებდა ქუჩაში გარაზმულ, მახლობელ ქოხებს. გლეხებმა საუბარი შესწყვიტეს, დააკვირდნენ და მოწიწებით მიესალმნენ. ყველაზე თამამი, მოხუცი გლეხი მიუახლოვდა. აცრემლებული, მარლი თვალი შეანათა მეთაურს და მორიდებით მიესალმა. მეთაურმა უპასუხა. დაღუფლ მოხუცს დააკვირდა: მოხუცს შეძველებული ქალამნები ეცვა. თვალი მოარიდა მეთაურს, დაირცხვინა, მხრები აიწურა და კახასავით ახორგლილ მხრებზე ჩამოკონკილი პიჯაკი ჩამოეკიდა. მერე ფეხები დააბაკუნა, ჩაახველა, და შეჰპიდა:

— სოფელს ათვალთვრებთ?

— ჰო, — გაუღიმა მეთაურმა.

მოხუცს სხვა გლეხებიც მიჰყვნენ. მეთაურის ხალათის საყელოზე დაკერებული ნიშნებს და ქუდზე მიკრულ წითელ ვარსკვლავს აცქვრდებოდნენ. მეთაური მოხუც გლეხს შეეკითხა:

— რა გვარი ხარ შენ, მოხუცო?

— დამანოვიჩი, — კატის კნავილით გააბა ბებერმა.

— სერგეი დამანოვიჩი შენა ხარ?

— დიახ.

გლეხები გაოცდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

— ის ჭობი შენია?

— ჩემი ვახლავს. თქვენ საიდან იცით, რომ ჩემია? — წამოიძახა ბებერმა გაკვირვებით.

— ვიცი, — ჩაილაპარაკა მეთაურმა და ისევ შეეკითხა: — შენი შეილი სერგუნი რას აკეთებს?

— სერგუნი ათი წელი იქნება, შეილო, რაც ეანდარმებმა წაიყვანეს. იქნებ რამე იცით მის შესახებ? — სახე დაელმიჭა მოხუცს და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიხოცა.

— ის კონცბანაკში იქნება, ალბათ: ბერეზა-კარტუხკაში. დღე-ღღეზე ელოდე — დააიმედა მეთაურმა და ისევ გაჰხედა სოფელს.

ქალიდან მოდენილი საქონელის ბლავილი ვაისმა. საღამო იყო და შარვალ-დაკარწახებული ბავშვები ნახირს მოერეკებოდნენ.

— მითხარი, მოხუცო, ის სახლი იოანესია?

— იოანესი ვახლავს.

გაკვირვებული გლეხები ისევ სმენად იქცნენ. უკანა რიგებში მყოფთ კისრები დაუგრძელდათ.

— ნეტავ, როგორ არის იოანე? ძალიან დაბერდებოდა.

— იოანე დიდხანია გარდაიცვალა, შეილო.

მეთაური განგებ შეეკითხა მოხუცს. კარგად იცოდა, რომ იოანე გარდაცვლილი იყო. ისევ გაჰხედა ისლით დახურულ, სახურავ-მოღრეცილ ქოხს, რომელსაც ფერდებ-ჩაფარდნილმა ძროხამ უღონოდ მიაბლავლა. ქოხიდან დედაბერი გამოეგება და ძროხას ჭიშკარი გაუღო. მოედანზე თავშეყრილი ხალხი დაი-

ნახა და ეზოდან ქუჩაში გამოვიდა, მაგრამ ხალხში ჩამდგარ არმიელს თვალი რომ შეასწრო, შეჩერდა. კახის კალთას დასწვდა და ხელები შეახოცა, მკერთა მეთაური, ბრვე და მაგარი ვაკეცი, ვულისძგერა აუვარდა, მგვრემ ვუ ლაქმნი და ისეც დინჯად დაიწყო:

— როგორი ჯანდაგი ძროხა ჰყოლია იმ დედაკაცს. ქობიცი რომ გვერდზე მოჰქცევი ამ საცოდეს! ეხ, ძმებო, არაფერი არ შეცვლილა თქვენს სოფელში ამ ოცი წლის განმავლობაში. შეცვლილა კი არა, უფრო უკუღმა წასულა ცხოვრება.

მეთაური მოხუც დედაკაცისაკენ გაეშურა. დედაბერმა თავშალი გაისწორა და მისკენ მიმავალ არმიელს დააკვირდა. მის ჯანით სახსე მწითურ სახეს, სამხედრო ნიშნებს დააქკერდა. თვლები მოიფშენიჭა. გაუგებარი რაღაც წაილულულა აღელვებულმა და ჩირივით სახედაშკენარმა.

— როგორ დაბერებულხარ, დედა! — აღმოხდა მეთაურს.

მოედანზე თავმოყრილმა გლეხებმა დაინახეს, როგორ შეტოკდა მოხუცი ქალი, როგორ გამოეყო იგი ხალხს, ჯერ უკან დაიხია, დაფეთებული თვალები მიანათა მეთაურს, თითქო შეშინდაო, მერე ერთი შეჰკვილა — „მიხასო“, მივარდა მოეხვია და განიერ მკერდზე მაგრა მიეკრა. მხედარმა თავშალ-გადაეარდნილ ქალარაზე აეკოცა.

თოთხმეტი წლისა იყო მიხასი, როდესაც წითელ არმიას გაჰყვა 1920 წელს საბჭოთა ბელორუსიისაკენ. თითქმის ოცი წელია, რაც არაფერი არ იცოდა შეილის შესახებ გაჭირებულმა მოხუცმა ქალმა. და აი, საბჭოთა ქვეყანაში წასული, წინად უსახლკარო და ობოლი ბიჭი დგას დედის წინაშე და იგი ეხლა სამხედრო ექიმი, ცნობილი დოსტაქარი.

აი, რისთვის მოიწყინა მიხასმა, როდესაც ამ ხუთი წლის წინად მინის ქარხნიდან ჰომელში მიჰყავდა იგი ჭაბუკ შოფერს პეტრუს დუდარს.



წითელი არმია წინ მიიწევდა გროდნოსაკენ — დამარცხებული პოლონეთისა ჯარის უკანასკნელ თავშესაფარისაკენ.

ზარბაზნების გრიალი ახლოვდებოდა.

ტყავის ქარხნის მუშები ანდრეი ზოზულია და შურა აზარიჩი გარეუბნიდან ქალაქისაკენ გაეშურნენ ახალი ამბის ვასაგებად.

სალამო იყო. რესტორანის წინ პოლონელი ჯარისკაცები ტრიალებდნენ. მათ ორი ჯარისკაცი გამოეყო. ერთს ხელი ჰქონდა შეხვეული, მეორეს თავისკანტური სჭირდა და სახეზე კუნთები უძივძივებდნენ.

ორივენი თივიდაფენილ ფურგონზე ავიდნენ და ქალაქიდან გასულ ათასეულს დაედევნენ.

ფრონტიდან გამოქცეული ჯარი გროდნოს მიაწყდა. ჯარში რღვევა დაიწყო. გარნიზონის ზოგიერთი ნაწილი თვითნებურად სტოვებდა ქალაქს.

დაღამდა. ანდრეი და შურა ქალაქის შუაგულს მიუახლოვდნენ. შესანგრენი ქუჩას სთბრიდნენ და ორმოებს წყლით ავსებდნენ. ეკლესიის გალავანში ოფიცრები ფუსფუსებდნენ. ხალხი მალლა იცქირებოდა. სამრეკლოს თაღებიდან გამოშვერილი ტყვიამფრქვევები მოსჩანდნენ.

15844

3350



— ქალაქში აპირებენ ბრძოლას ეს ოხრები! — წასიურულად ანდრეიმ შურას.

— გაიარეთ! — დაუყვირა მათ ოფიცერმა.

სანაპირო ქუჩაზე რომ გავიდნენ და გარეუბანს მიუახლოვდნენ, ანდრეის და შურას ცხენოსანი ჯარისკაცები შემოეყარნენ. საბუთები გაუსინჯეს და კვლავ გაუმორეს:

— გაიარეთ!

ნემანის პირას, ბორანთან, სადაც უამრავი ნავი იყო თავმოყრილი, ნაცნობი მუშა კუზმა ზატავეიჩი დაინახეს — მალალი, წოწოლიყა კაცი. აგზნება ემჩნეოდა.

— აქ რას აკეთებ? — შეეკითხა ანდრეი.

— სათევზაოდ მივდივარ. აი, აგერ ჩემი ნავი.

— ახლა რა დროს თევზაობაა, ჭაობის ყანჩავი? ფრთხილად: კიბორჩხალი ევლში არ გავეჩხიროს! — დასცინა შურა აზარიჩმა.

— ყოჩალი ყანჩა ღლავსაც დაიჭერს ნემანში, თუ-კი თვალი უჭრის და ნისკარტს დროზე მოიხმარს.

— ჭარაგმებს თავი გაანებე! — შესძახა ანდრეი ზოზულიამ.

კუზმამ მოუჭრა:

— თავი გამანებეთ, ამხანაგებო, ხელს ნუ მიშლით: საგუშაგოზე ვლგევარ!

— რაო?

— მალე საპაერო განგაში დაიწყება.

— შერე რა?

— ჩაქრება თუ არა სინათლე, აი, იმ ნავით უნდა გავსწიო ქალაქს გარედ, ამხანაგის ბინაზე.

— ქალაქს გარედ რა ვინდა?

— თქვენ, პართლა, როგორ ყანჩებსავით ავიღერიათ თავები და არხეინად დაღიხართ! ნუ თუ არაფერი არ გავიგიათ?

— რა ამბავია?

— რა და ნემანის ვალმა, ტყის პირას საბჭოთა ჯარისკაცები უნახავთ მეთევზეებს.

— რა ადგილას? — შეეკითხა სმენად-ჭკეული ანდრეი.

— ძველი ბორნის მახლობლად, კლიონკასთან.

— ჩვენს უბანში შემოსულან და ისაა! — აღტაცებით დაიძახა შურა აზარიჩმა. მოაჯირს მიაწეა და ნისლში ვახვეულ ნემანს გადახედა. მკლავებზე შემოჭერილ ტყავის ჭურთღის სახელოებში დიდრონი კუნთები აებორცვა, თითქო მდინარეში ნავი შეაცურა და ნიჩბებს აწეებარ. კუზმა ზატავეიჩმა მიმოიხედა და ამხანაგებს ჩემად უთხრა:

— შაშხანები უნდა გადავზიდოთ ამაღამ ჩვენს უბანში.

აზარიჩმა სასას მიკრული ენა მოჰკლიჯა, თოფის სროლის მსგავსი ხმა გამოსცა და კუზმას უთხრა:

— ისეთ ადგილას შაქვს შენახული გაწმენდილი და ზეთით გაბოხილი შაშხანა, რომ ეშმაკიც ვერ მიაგნებს.

— რაღას უტყობთ, შეიარაღდით! უნდა დავებმართო გროდნოს აღებაში.

ამ დროს საყვირის შემაზრზენი ხმა გაისმა და სანაპირო ქუჩაზე ანთებულ-ლი, უკანასკნელი სინათლე ჩაქრა. კუზმა ხატაევიჩმა კიბე ჩაირზინა, წაეწა ზახ-ტა და გაუჩინარდა.

ნემანზე და მის ნაპირას ისეთი ნისლი იდგა, რომ კაცი თვალდაბრუნების ვერ მიიტანდა.

მუშებმა უკან მოიხედეს. ქალაქი გროდნო, რომლის ქუჩებზე ესოდენი ფუსფუსი და ომისათვის მზადების ციებ-ციხელება იდგა, ახლა აღარ სჩანდა. საპაერო თავდასმის მოლოდინში ყოველივე წყვედიად მოეცვა.

— ამოდ ცდილობენ უჯარო გენერლები და ოფიცრები გროდნოს დაც-ვას. რა დაუდგება წითელ ჯარს! ვითავედა ჩვენი ხალხის ტანჯვა-წამება... აწ ველარავინ გავეთიშავს საბჭოთა ქვეყანას, ტკბილ სამშობლოს, ბელორუ-სიას, — უთხრა შურკას და აღტაცებული ანდრეი გადაეხვია.



ანდრეი და შურა ძლივს იკვლევდნენ გზას ნისლიან ღამეში. ტყავის ქა-რხნის შორიახლოს უჩუმრად შეაღეს პატარა ეზოს ჭიშკარი. აივანზე რომ ავი-დნენ, ქალის ხმა შემოესმათ:

— რომელი ხარ მანდ?

— ლიდა, არ გძინავს?

— რას დაბორიალობ ამ ღამეში?

— ალბათ, საქიროებისათვის, — უპასუხა ანდრეიმ და მზუჯტაეი ღამით ძლივს განათებულ პატარა ქოხში შევიდა. ფანჯრების დარაბები მოხურული იყო.

— შურკა! — შესძახა ქალმა.

— იყურე! — მიუგო შურამ ამხანაგის ცოლს. მხარზე ვეება თათი დაადო. თითი ტუჩთან მიიტანა და მძინარ ბავშვებისაკენ გაახედვინა: ბღარტები არ გააღვიძო.

მერე მაგიდას მიუჯდა. ტყავის ქურთუკის ჯიბიდან პატარა ბოთლი არაყი ამოიღო და ქალს ჭიქები სთხოვა. ანდრეიმ პიყაკი გაიხადა, საწოლზე დაავლო და ისიც მაგიდას მიუჯდა.

ახალგაზრდა, ტანადი ქალი გულხელდაკრედილი მიეყრდნო კედელს. წარ-ბები შეჰყარა, თმა-დაკვარკნილი თავი გაიქნია და ასე დააცქერდა ქმრის გაუ-ძარსავ სახეს:

— არ გეყო, რაც ჩასცეცხლე?! რა დროს ლოთობაა?

— ერთი ბოთლი ლუდის დაღვევაც კი ვერ მოვასწარი, ქალაქში საქმეზე ვიყავით, — დამნაშავე ბავშვებით დაიწყო თავის მართლება შავგვრემანმა და ჯმუხმა ვაეკაცმა.

— ნუ ცხარობ, დედილო, მთვრალეები არა ვართ. ჭიქები მოიტა და ახალ ამბებს გეტყვით, — გაუტტა შურა. ირიბი თვალეები მიანათა. კეპი კეფაზე მოეგდო. ტყავის ქურთუკი მხარზე მოესხა და საკინძმეხსნილ ხალათიდან შეზ-ღიურსავით მოხატული, განიერი მკერდი უჩანდა. ქალი რისხავდა „მოყიადე“ ქაბუკს. გულში კი ამბობდა: ნეტავი გარმონი თან ჰქონდეს, რა საამოდ დაამ-ღერებდა ეს ჩვენი უბნის გოგოების დამღონებელიო:

«Дайте в руки мне гармонию,
Золотые планки»...



მაგრამ უმაღლესე მოაგონდა, რომ ეხლა გარმონისა და სიმღერის მიერ მომხდარი ცხოველი და აცტერა, გაიღიმა და დაცინვით უთხრა:

— Эх, ты, бродяга!

მერე შეტრიალდა. დანჯღრეულ განჯინისაკენ წავიდა. მაჯისსიმსხო ქერა ნაწინავეები, წელამდე სწვდებოდა. შურამ თვალი გააყოლა და მიიძახა:

— ავი ჭალი ხარ, ლიდა, ავი...

ანდრეი ბავშვური ღიმილით ისმენდა ცოლისა და შურის პაექრობას.

შურა ანდრეიზე ათი წლით უმცროსი იქნებოდა.

— პური და საქმელი რომ გამოაყოლე ჭიჭებს, — შეეხვეწა ცოლს ანდრეი.

— არა, შენმა მზემ, შურკამ რომ ნემანში დაქერილი ღლავი მიძღვნა, იმას მოგართმევ. ეხ, ქარიყლაპია, მეთევზეებო! — ისევ დასცინა ლიდას და ჭიჭები, პური და ძეხვი გამოუტანა.

შურამ ჭიჭა ასწია:

— გაუმარჯოს დასავლეთ ბელორუსიის ხალხის თავისუფლებას! გაუმარჯოს წითელ არმიას! დამაცა, ლიდა, ერთი ეს ომი გათავდეს, ჩვენები შემოვიდნენ ქალაქში და მერე ჩემს ბადესაც გაემართავ, ნემანზე წავალ და ნახე, როგორი ღლავები მოგიტანო. აი ამოტოლები.

ლიდას გაიცინა. მისმა კბილებმა რიჟრავით გაიღვეს. სახეც თეთრი ჰქონდა ლიდას და სიცილის დროს მსუქანი ლოყები ეკუჭებოდა ბავშვსავით, მაგრამ ერთბაშად შესწყვიტა სიცილი. ამით რაღაც იცინაო — გაიფიქრა. მაგიდას დაეყრდნო. ქმარს ცისფერი თვალები შეანათა და ჰკითხა:

— რა ამბავი გაიგეთ ქალაქში?

— იცო, ხატავეიჩმა რა გვითხრა?

— რაო?

— რაო და ნემანის გაღმა, ტყის პირად საბუთოა რაზეები გამოჩენილანო.

— რა ადგილას?

— ძველი ბორნის მახლობლად, კლიონკასთანო.

ჭალი სიხარულისაგან აცახცახდა:

— დაიცათ, იქნებ მართლა ნემანზე აპირებენ გადმოსვლას!

— ჩვენი თვალთ ვნახეთ, ქუჩებს რომ სთხრიდნენ. ორმოვებს წყლით ავსებდნენ.

— ვითომ რათაო?

— ტანკებს გზას უღობავენ. სამრეკლოებზე ტყვიამფრქვევები აიტანეს, — უყვებოდა ანდრეი ცოლს.

— ხალხო, — ალტაცებით დაიძახა ლიდას, — ნუთუ ბედნიერება ასე მოახლოვდა?!

ანდრეიმ ჩურჩულით უთხრა:

— სტალინს უთქვამს: ცოდვია ბედის ანაბარა მიტოვებული ჩვენი ხალხიო. უნდა მეშველნი გაუგზავნოთ ჩვენს ძმებს — უკრაინელებს და ბელორუსებსო.

— რასაც იტყვის, შეასრულებს კიდევ! — ჩაერია ლიდა.

— ავი უნახავთ კიდევ მოწინავე რაზეები, — დაუდასტურა აზარიჩმა.

სიღმე ჩამოვარდა. ლიდა გასწორდა. მისი ცისფერი თვალები სადღაც შორს იცქირებოდნენ, თითქო ამოდენა მანძილიდან მისტერულად შევალის ნუგეშისმცემელ სახეს.

ოთახში ველარ დადგნენ. ეზოში გავიდნენ, ნემანს გაჰხედეს, მაგრამ მდინარე ისევ ნისლსა და წყვილიაღში იყო გახვეული. სდუმდა ღამეში ჩაფუთვნილი ქალაქი გროდნო და მუშებით დასახლებული ეს გარეუბანიც.

ზის ქალი ნემანის მაღალ ნაპირზე, აქედან უბრალო თვალითაც შესამჩნევია გროდნოს გარეუბანი, შორეული ეკლესიების სამრეკლოები, გუმბათები, პოლონელი პანების სასახლეთა კოშკები და უზარმაზარი ხეების კენწეროები.

ზის ქალი მდინარის მაღალ ნაპირზე, ტყესა და ბუჩქებში შემალული. ქალი მღორე ნემანს, მის ნაპირებს, ბელორუსიის ველებს და ტყეს გასცქერის. მღორებლული და ცივი საღამოა. შზიან დილით საჩინო და მძაფრად მოხაზული პეიზაჟები ეხლა ბურუსს მოუტავს. ქალი თვალმოუშორებლად გასცქერის მდინარის იქითა ნაპირს. ტყვიისფერი ნემანი ტბასავით ტორტმანობს. ცაცხვებს ყვითელი ფოთოლი სცივია. ფოთლები ნელა შიაქეთ დამუნჯებულ ნემანის ტალღებს. ძნელად თუ შეატყობს კაცი მათ მოძრაობას. შორიდან მდინარეზე მიმავალი გემის საყვირი მოისმის.

აღისფერი მოსდებია ღრუბლებგადაყრილ დასავლეთს, თითქო ხანძარიყო. ქალს აგონდება გუშინწინ ნახული: ოფიცრების მიერ დახვრეტილი მუშები. მწიფე ქერისფერი ნაწნავები უმწეოდ ჩამოსცივდა თავჩაკიდულსა და დაღონებულს. დამარცხებული, გამზეცებული პანები, ოფიცრები და ეანდარმები უკრაინულ და ბელორუსულ მოსახლეობაზე იყრიდნენ ეხლა ჯაერს: აპატიმრებდნენ, ხვრეტდნენ და თვალებს სთხრიდნენ.

დასავლეთიდან ყორნების გუნდი გამოემართა და გროდნოს თავზე იწყობრილი. მერე ჩხავილით დაეშვნენ ცაცხვების კენწეროებზე.

და ასე ყოველდღე: მიიწურება თუ არა დასავლეთით აღმოდებული მზე, ეს დაწყველილები ათასობით წამოვლენ გროდნოსაკენ, პანების სასახლეებს, ბალებს, ეკლესიების სამრეკლოებსა და გუმბათებს ეტანებიან, თავს დაპყრანტალებენ და გულშემზარავად მოჰყვებიან ჩხავილს, თითქო პანების სასახლეებს, ქალაქის სამრეკლოებს დასტორიან და ამოოდ იძახიანო:

„CHWALCIE PANA WSZYSTKIE NARODY“ *

ცაცხვებისა და ნეკერჩხლების კენწეროებზე სხედან ღრეობიდან მოსულნი და ვაზუნზლულ ნისკარტს ახოცავენ ფოთლებ-დამზრალ ტოტებს. არავინ აფრთხობს და ჩხავიან გროდნოს თავზე, თითქო ქალაქს უბედურება უნდა დაატყდესო, თითქო არ კმაროდა პოლონელი პანების მიერ დაღვრილი ამდენი სისხლი, შიმშილი და ვაჭირვება.

ასე ფიქრობდა ქალი, და მოულოდნელმა ხმამ თითქო დაუდასტურა:

— ისევ პანების ღმერთს გვავედრებენ ეგ შვეეთის მოციქულები.

ქალი შეერთა. შეუშინველად მოსულს შეხედა.

*) „აქედით უფალსა ყოველნი ერნი“.

ჩამავალი მზის სხივებით შეიღება ნემანის იქითა სანაპირო. ქალმა წყალ-
გაღმა უცხო ჯარისკაცები შეამჩნია.

— შეხედე, ანდრეი, ნამდვილად ისინი არიან.

— აბა, სად?

— ტყეში შევიდნენ. მაზარები აცვიათ. თავზე ჩაფხუტები ჰხურავთ.
გროდნოს უთვალთვალებენ.

ლიდა წამოდგა. ხანგრძლივ მიაჩერდა ანდრეის:

— ამაღამ. უთუოდ ამაღამ.

ქალმა წყალ-
გაღმა წყალ-
გაღმა წყალ-
გაღმა წყალ-

დღეს თავისი თვალით ნახა შურა აზარიჩმა, როგორ შეიტანეს ოფიცრებმა
სახლში ტყვიამურქვევი.

ღამით ქალაქიდან ცხენოსანი ჯარი და არტილერია გავიდა. დილაშდღე
ისმოდა ქუჩებზე ბორბლების გრიალი. დილაშდღე მუშაობდა აგრეთვე ცოლ-
ქმარი ამ ნისლიან ღამეს მდინარე ნემანზე.

ქალაქის სანაპიროდან ახსნილი ნაგები ერთმანეთს გადააბეს და ტყავის
ქარხანასთან შეაგროვეს.

— დაიღალე? — შეეკითხა ანდრეი.

— რა დროს დაღლაა?

— მაშ წავიდეთ.

ნელა დაიძრა ორი ნავი. შუა მდინარეს რომ მიადწიეს, ანდრეიმ ისევ ჩუ-
მად ჰკითხა:

— ხომ არ გეშინია?

— შიში რას მიქვია! შენს თავს მიჰხედე: ნიჩბებს ნუ აწვალებ. ჩუმად.
საით მიდიხარ? მე გამომყე, — დაბალი ხმით გადმოსძახა ლიდამ.

ძლივს ისმოდა წყვილიადით მოცულ, პირთამდე სავსე მდინარეზე მათი
საუბარი და ნიჩბების ტლაშუნა.

სდუმდა წყვილიადით მოცული არეშარე.

ვაეკაცის დაძაბული თვალი ვერაფერს ვეღარ ხედავდა, მაგრამ მის წინ
მიმავალ ქალს შეუცდომლად მიჰყავდა ნავი ნაცნობსა და მშობლიურ ნემანზე.

ანდრეიმ ნავი ნაპირზე გაათრია. წელამდე წყალში ჩამდგარი ლიდა ნაპი-
რისკენ ეზიდებოდა ლაქაშებში, შლამსა და სილამში ჩაფლულსა და გაჩრილ
ნავს. რბილ ჰყანტობში მისდიოდა ფეხები და იძირებოდა. ანდრეი მიეშველა.
როცა ნაგები ნაპირზე დასტოვეს და ტყისაკენ გაეშურნენ, უცნობი პირები
წაადგნენ თავს და ჯიბის ფარნები მიანათეს:

— ხელები ზევით! — შესძახეს მათ. ქალმა და კაცმა ხელები ასწიეს.

— თქვენები ვართ.

— ვინ ჩვენები? გაჩხრიკეთ!

ორმა ჯარისკაცმა ანდრეის და ლიდას ჩხრეკა დაუწყეს.

შემდეგ ისინი ტყეში შეიყვანეს.

— ვინა ხართ? რისთვის მოსულხართ ამ შუალამეს? — შეეკითხა მათ ქა-
ბუკი მეთაური და წითელ ვარსკვლავიანი ქუდი შუბლზე აიწია.

— თქვენები ვართ, ძმებო, მუშები, — დაიწყო კაცმა.

ქალმა არ აცალა:

— ნავები მოვაცურეთ თქვენთვის.

ახლა კაცმა წაართვა სიტყვა:

— ქალაქის ქუჩები აყრილია და ორმოები წყლით სავსეა. რომელი ქუჩებით უნდა შეხვიდეთ ქალაქში. სამრეკლოებზე, სარდაფებსა და სახლებში ოფიცრები არიან ჩასაფრებული ტყვიამფრქვევებითა და ხელყუმბარებით...

მერე ისევ ქალმა დაიწყო:

— ნემანზე გადასვლა თუ დაგჭირდეთ, იცოდეთ: აქვე, ახლოს, ტყავის ქარხანასთან ნავებია თავმოყრილი.

მლელვარების გამო, მეტის თქმა ველარ შესძლო. ისევ მიმშტერა მოლიმარი თვალი მეთაურს და აღტაცებით შესძახა:

— დიდი ხანია ველოდი თქვენს ნახვას, ძმებო...

მივარდა, მკლავები ვაგეცივით შემოაქვლი მეთაურს, მკერდზე მიიკრა და ჩაპკოცა.

— დიდი მადლობა, ამხანაგებო. კიდე შეეხვედებით, ალბათ... — ღიმილ-მოფენილი სახით უთხრა მეთაურმა, ჩანთიდან ამხანაგ სტალინის სურათი ამოიღო და ქალს გაუწოდა. — მანამდე კი, ეს გჭონდეთ სახსოვრად.

ლიდამ სურათი ჩამოართვა. დააცქერდა:

— ამხანაგი სტალინი! — ნეტარებით წამოიძახა და უბეში ჩაიღო.

არყის ხეებში უზანგების ელარუნე გაისმა. მხედრებს სადავეებით ეკრიათ შეკაშული ცხენები.



ისევ წევს მეთაური ნემანის პირას, ტყესა და ბუჩქებში გაუჩინარებული, ფოთლისფერი მოსასხამის კაბიშონით თავდაბურული: აღარც მისი სამხედრო ტანსაცმლის ნიშნები სჩანს და აღარც ვარსკვლავიანი ჩაფხუტი. თავი ბუჩქში გაუყვია და დურბინით იცქირება. მაგრამ არაფერი არა სჩანს ამ ალიონზე: რძისფერ ბურუსში გახვეულა მდინარე ნემანი და ქალაქი გროდნოც.

ნემანზე, ნემანის იქით გაშლილ ველებზეც ისეთი ბურუსი დგას, თითქო ბალტიის ზღვიდან წამოსულ ნისლში გახვეულა სამუდამოდ ხმელეთიო.

მაგრამ მზე თანდათან არღვევს ნისლს.

და როცა ნემანის შეტბორებული ზედაპირი და თვალუწვდენი ტყეები სიბნელიდან ამოკურდნენ, ქალაქისაკენ გრაალით დაიძრნენ ტანკები.

ფერდობი რომ აივაკეს, დიდის სისწრაფით წავიდნენ, მალე მიადწიეს კიდეც ქალაქის გარეუბანს და ფოლადის სალტესავით გარს შემოერტყნენ.

ქალაქი სდუმს, თითქო გაღვიძებას არ აპირებსო.

ტანკები გარეუბნიდან გროდნოს შუაგულისკენ მიიწევენ, ნემანზე ხილს უახლოვდებიან, მაგრამ დაუზვერავად გადასვლა მაინც ვერ გაუბედნიათ ტანკისტებს. ხილს ყურში ჩერდებიან, ხიდი თავისუფალია და არავითარი დაბრკოლება არ ელობება მანქანებს. ტანკისტებმა უნდა გამოარკვიონ: შეიძლება თუ არა ხიდზე შექანაზებული ნაწილების გატარება. ცარიელ ხიდს, თუჯის ვეება თაღებსა და ბურჯებს გასცქერიან ჯავშნოსნების საჭერტიდან. სწუხან

და ცახცახებენ უზარმაზარი კოშკებით და ზარბაზნებით დახუნძოლებული ჯაგ-
წონსენბი.

უცბად, მახლობელ ალაყაფიდან თორმეტობად წლის ბეტრ ჯამოფრდა მი-
მოიხედა, ცარიელი ქუჩა გადასჭრა და ტანკთან მიიღობინა. ხელში პატარა,
წითელი დროშა ეჭირა.

ტანკისტმა საჭერეტი გაალო და შეხედა.

ბიჭმა ქუდი მოიხადა და გაზეპირებული ვაკვეთილივით ტანკისტს სხაპა-
სხუბით მიაყარა ბელორუსულ ენაზე:

— ამხანაგებო, ხიდზე არ გახვიდეთ: ხიდი დანადმულია, გუშინღამ
ჩააწყეს ნალმები...

ტანკისტის მოღუშულ სახეს ღიმილმა გადაჰკრა.

ალაყაფიდან ბიჭს შალში გახვეულმა დედაკაცმა დაუძახა:

— დაბრუნდი! უკან მოდი, მალე!

დედა თუ იყო.

ტანკისტმა აღერსიანად შეხედა დაგლეჯილ პიეკაში გამოწყობილ, ჭო-
ფლიან ბიჭს, მის ანთებულ და დიდრონ თვალებს, უნდოდა რაღაც ეთქვა,
მაგრამ მახლობელი სახლის ფანჯრებიდან ოფიცრებმა სროლა ასტეხეს. ყმაწ-
ვილმა კეპი თავზე დაიხურა და ქურციკივით გაჰკურცხლა ალაყაფის კარები-
საკენ, სადაც მისი ტოლები შეჭურებულიყვნენ.

ტანკისტმა თვალი მიატანა ბიჭის მოკლე შარვალს, გამხდარსა და მალალ
კანკებს.

ტყვიები გახელბული კრაზანებივით ეხეთქებოდნენ ტანკს. ზუსტად ის-
როდნენ დაწყველილები. ტყვიას ტყვიაში სვამდნენ და ტანკისტს საჭერეტის
ფარის დახურვა რომ არ მოესწრო, უთუოდ თავს გაუზბერეტდნენ.

ტანკები საბრძოლველად გაიშალნენ.

პირველი ტანკი მაშინვე გაეშურა დაზვერვის შედეგის მოსახსენებლად.
მაგრამ მახლობელ მოსახვევშივე წყლით სავსე ორმოებს წააწყდა. ტანკისტმა
გეზი შესცვალა და ეხლა მეორე ქუჩით სცადა ქალაქიდან გასვლა. მეორე
ტანკს ფანჯრიდან ხელყუმბარები დააყარეს. ერთი ყუმბარა ცხვირწინ დაეარდა.
მუხლუხა ჯაჭვის ბორბალი გაჰგლიჯა და მანქანა ადგილიდან ველარ დაიძრა.
მემიზნემ შენიშნა, თუ საიდან გამოისროლეს უკანასკნელი ყუმბარა, საომარი
კოშკი შეატრიალა და ზარბაზანი პირდაპირ სარდაფის ფანჯარას დაუმიზნა.
მეორე გასროლამ სრულიად ჩაანგრია ჩასაფრებულთა ბუდე.

შესანგრეთა ოკუელის მეთაურს, უმცროს ლეიტენანტს ხარიტონოვს ნალ-
მებისაგან ხიდის გაწმენდა დაევალა.

ტყე მდინარე ნემანამდე ეშვება. მდინარემდე შეუღმწნველად შეიძლება
მისვლა, მაგრამ ტყიდან ხილამდე კარგა დიდი მანძილი დაბალი ჯაგით არის
დაფენილი.

მოღრუბლული დღე იყო. ცივი ქარი უბერავდა. მაზარაში გახვეულმა
ხარიტონოვმა მუცელზე ხოხვით გაიარა ჯაგით დაფენილი სანაპირო და მშვი-
დობით მიადწია ხიდის ყურს.

ხიდის იქით ქალაქი იწყება: პატარა სახლები და ჭობნახები. ის უნდა ჩასულიყო ხარიტონოვი ხიდის ქვეშ და გაეწმინდა იგი ნაღმებისაგან, რომ მდინარის იქით, მახლობელ სახლებში ჩასაფრებულ ყარაულებს არ დაეწინაბათ, თორემ სროლას აუტეხდნენ.

ხარიტონოვი მოაჯირს შეახტა და მერე თუჯის ხარაჩოებით ბურჯის ფილაქანზე ჩაცოცდა. ხიდს ქვემოდან მოექცა და რკინის ღერძზე დაჯდა. ხიდს გახედა. ხიდის ამ ყურში ნაღმები არსად არა სჩანდა. წინ რკინის სვეტები და გარდიგარდმო გაშვებული ღერძები იხურებოდნენ, კიბორჩხალივით დაკვარჩხულნი და დაგრებილნი.

ძნელი იყო მათი ვადალაზვა.

მეთაური მიდიოდა ხან ხელებით და ხანაც ფეხებით, თავდაყირა დაკიდებული. ხიდის ნახევარი რომ გაიარა, ორძელიც ვათავდა. ვადაბტომა მოუხერხებელი იყო. მეთაური ღერძს ხელებით დაეკიდა, გაქანდა, რკინას ფეხი მოსდო, მაგრამ ჩექმა დაუცურდა და მთელის ძალით უკანვე გამოქანდა.

ხელები დაეძალა.

ძალღონე მოიკრიბა. ისევ გაქანდა. შორს ვაისროლა ტანი და რკინის ღერძს მეორედ მოსდო ფეხები, მაგრამ ჩექმის ქუსლი ისევ დაუცურდა და ისევ უკან გამოქანდა მეთაური. ამდენხანს დაკიდებული ტანის სიძიმე ველარ ზიდეს ხელებმა. დაკუთხული და წახნაგოვანი რკინის ძელი ხორცში იჭრებოდა.

მეთაურს ძალა ელეოდა. ცალი ხელი დაუსხლტა და კინაღამ მდინარეში არ ჩავარდა. შეშინდა. დაბრუებულ ხელებზე დაიხედა. სიცივისგან ვალურჯებული და მოკრუნჩხული თითების ფრჩხილებიდან სისხლს გამოეყოფა.

უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა მეთაურმა, წინშვერი გააკეთა და ფეხის წვერები ხელებთან მიიტანა, მერე ფეხები ხელებს შორის ვაატარა, ღერძს უკანიდან შემოავლო და მოღუნული მუხლებით ზედ ჩამოეკიდა.

მაშინვე შაშხანამ დაიქექა. მდინარის იქით პატარა სახლში ჩასაფრებულმა პოლონელმა ყარაულმა ხიდქვეშ მეთაური შეამჩნია. ხარიტონოვი არ დაიბნა. თუჯის ღერძზე დაჯდა. მაზარა გაიძრო. დაახვია, დაგრაგნა და, როცა შაშხანა მეორედ ვაეარდა, მდინარისაკენ ვადაუძახა. დაგორვლებული და მაგრა შეკრული მაზარა მდინარის ზედაპირზე შიძიმედ დაეცა, ჩქარა წაიღეს იგი ტალღებმა. წყლით ვაელენთეს, დაითრის და უფსკრულისკენ ჩააყურყუმალეს.

პოლონელმა ყარაულმა იფიქრა: ხიდქვეშ ვასული კაცი მოვკალიო და სროლა შესწყვიტა.

ხარიტონოვმა ისარგებლა ყარაულის შეცდომით, ოფლი მოიწმინდა, ცოტა შეისვენა და ისევ წინ ვასწია. მალე მიღწია კიდევ ხიდის ყურს, ნაღმებისაგან ვასწმინდა იგი და უკან ვამობრუნდა. ჯაგები ისევ მუცელზე ზოხვით ვაიარა და ტყეში შევიდა.

მალე ხიდზე ჯაგწმოსნები ვაიარაზმნენ და ქალაქში შევიდნენ, მაგრამ მახლობელ სახლებში ჩასაფრებულმა ოფიცრებმა სროლა აუტეხეს.



ქალაქის მისასვლელებზე საიერიშოდ ვამზადებულ წითელ ჯარს ტყვიამფრქვევებისა და ხელყუმბარების გრიალი შემოესმა, და იგი დაიძრა.

ქალაქიდან მოშორებით, ტყავის ქარხნის მახლობლად, ახეული ნემანზე გადადიოდა.

ჯარისკაცებმა ფერდობი ჩაირბინეს და ნაპირზე მომდგომი ქრეს-ხდნენ. ლიდა ერთ დიდ ნაეში მოთავსებულიყო და ნიჩბებს სინჯავდა. ჯარისკაცმა უთხრა:

— მოიტა ნიჩაბი, ეგ ქალის საქმე არ არის!

— მერე რა, ქალი რომ ვარ? არ იფიქრო, ნაოსნობაში მჯობობ! მე ამ მდინარეზე დავიბადე. თვალდახუჭული გავსკურავ.

— გამოართვით ნიჩბები! — უბრძანა ჯარისკაცებს მეთაურმა.

— ამხანაგო მეთაურო, თქვენ ამ მდინარის არა იცით—რა. ნავს ფონში შეიყვანთ, მარჩხს წააწყდებით ან აი, იმ ლაქაშებში გაეჩხირებით, — ჯიბრზე დადგა ლიდა და ჭორფლიან ჯარისკაცს ნიჩბები გამოსტაცა.

— დასხედით! — დაიძახა მან. — ხელად ვაგიყვანთ.

მეტი ჯანი არ იყო. ნიჩბები დაუთმეს.

ანდრეიც ნაეზე მუშაობდა.

დაბამულ ქურთუქში და ლაზლის თავშალში შეფუთენილი ქალი ქმარს და ჯარისკაცებს სჯობნიდა ნიჩბის მოსმაში. გულს უამებდა მეომრებს შეძახილით:

— ეი, შენ, მაგრა დადექ, ძამიკო! როგორ მთვრალივით ბარბაცებ?! დაჯექ! — მერე: — ეხ-მა! — დაიძახებდა, იცინოდა, მიჯრით მიწყობილ კბილებს აჩენდა, აქაფებულ ტალღაზე უთეთრესს. ღონიერად აწევებოდა ნიჩბებს და ისარივით მიაქანებდა დატვირთულ ნავს.

— კარგი მენავე ყოფილხარ, დობილო!

— რა ღონიერი ქალია, შეხედე! — იძახდნენ წითელარმიელები და ყველა ღიმილით შესცქეროდა ახალგაზრდა ქალს, მის საამოსა და თეთრ სახეს, ლაქლაქა ლოყებს, ცისფერ თვალებს, რომლებზედაც თავშალიდან ჩამოშლილი, მწიფე ქერისფერი თმა დასცვივნიოდა.

ლიდამ უკვე სამიგზობა გააკეთა და ოცდაცხრამეტი მეომარი გადაიყვანა. ებლა მეოთხედ მიჰყავდა ნაეი. ჯარისკაცებით და მუშებით საცხე ნემანის მაღალი ნაპირი ახლოვდებოდა. ქალმა ფართო მდინარის ნახევარი გადასცურა თითქმის.

ანდრეი წამოეწია. ქალმა მოჰხედა და შესძახა:

— ვერ მოგართვი, ვერ გამასწრებ!

— მიდი, მოუსევი, მოვიდა! — აქეზებდნენ ქალს ჯარისკაცები.

— ეგ ქარხანაშიც ვერა მჯობნის. დამაცა! — დაიძახა ქალმა და საჩქაროდ გაიძრო ქურთუქი. თავშალიც მოიხადა. ჯარისკაცებს მიუვდო. მერე მძაფრად მოუსვა ნიჩბები და ქმარს ხელად გაუსწრო.

— გავასწრო, გაჯობა! — ახლა ანდრეის აქეზებდნენ ჯარისკაცები.

ჭორფლიანმა ჯარისკაცმა გასძახა:

«Андрей, Андрей, Андреечка,

Приди ко мне в неделечку...».

ლიდას სიცილი წასკდა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — გაისმა ნაპირიდან.

ლიდას სახეზე ალი წაეკიდა. მაჯის სიმსხო ნაწინაეები მკერდზე დაუტყვიდა. მოღერილი ყელი შევნოდა. მოაგონდა ქალიშვილობა, ნემანზე ნავეთ/სეირნობა გოგობიჭებთან. შურკა აზარიჩის ზარნიშოანი გარმონი... ტინტერე... თვალები ნეტარებით განაბა.

და მოულოდნელად წელში გაიზნიქა, თითქო ჭვალმა გაჰკრაო. უმწეოდ შეხედა ჯარისკაცებს. მერე ისევ მოუსვა ნიჩბებს, მაგრამ წინგადახრილი ქალი ველარ გაიშართა და ნიჩბები ხელიდან გაუვარდა.

შეკრთნენ ჯარისკაცები. დადუმდნენ წამიერად. ერთმანეთს გაკვირვებით მიაშტერდნენ და მერე სწრაფად სტაცეს ქალს ხელი.

ნაპირიდან ყვირილი შემოესმათ:

— არ გაუშვა, არ გაუშვა!

შორს, გაქცეულ ოფიცერს თვალი შეასწრო ანდრეიმ და ტანთ გააფრკოლა. ოფიცერს შაშხანა ეკავა. მან აღშართი აირბინა. მაღალ ლობეს შეახტა. უკვე გადაალაჯა ცალი ფეხი, მაგრამ ამ დროს დაიქექა შაშხანამ. ეს შურკა აზარიჩი იყო. ოფიცერი შესდგა. უკანვე გადასლია ტანის სიმძიმემ. დაქანდა. თავდაყირა გადმოვარდა ლობიდან და შაშხანა ზიშტით მიწაში ჩაერქო.

წითელარმიელები გაიშალნენ. მოხერხებული ადგილები შეარჩიეს. შურკა აზარიჩი მათ გვერდით იწვა და ქალაქიდან მოსულ ოფიცრებს გამწარებით ესროდა...

ლიდა მეომრებმა ნაპირზე გადაიტანეს. ფრთხილად დაასვენეს მიწაზე სულთმობრძავი. სიკვდილის წინ ლიდამ ჯარისკაცებს უთხრა:

— მინდოდა, ძმებო, ჩემი თვალით მენახა ბედნიერი ხალხი... დასცხეთ პანებს!... გადაეცით ამხანაგ სტალინს, რომ მე ბედნიერი გვედები...

გაფითრებულმა და კრიქაშეკრულმა ქმარმა დაიჩოქა და ჯერ კიდევ თბილ შუბლზე აკოცა ცოლს. ხანგრძლივ დააშტერდა მის უკვე დამშვიდებულ სახეს. ცრემლით შეუსველდა ქუთუთო. მერე ერთბაშად წამოიჭრა. მრისხანედ გახზედა ქალაქს, თითქო იქ ჩასაფრებულ პანებს და ოფიცრებს ემუქრებოა. მეთაურთან მივიდა. ჯარისკაცივით გაჩერდა მის წინაშე ბრგე ვაეკაცი და ანთებული თვალები შეანათა. ხმაში ხვეწნა-მუდარა და უტეხი გადაწყვეტილება გაისმა:

— მეთაურო, ერთი თხოვნა შემისრულეთ.

— რა გნებაეთ?

— შაშხანა მომეცით.

— მიეცით შაშხანა!

ანდრეი ზოზულაიმ შაშხანა აიღო და წითელ მეომრებთან ერთად გროდნოსაკენ გასწია.



წითელარმიელებმა გადაარბენა დაიწყეს.

ნემანის მაღალ ნაპირზე, ხიდის მისასვლელთან, ჯაგებში ჩასაფრებულმა ოფიცრებმა ხელყუმბარები და ტყვიამფრქვევები დაუშინეს.

ლეიტენანტის ზურიაშვილის ასეულის მეზიზნეებმა უპასუხეს. ზურიაშვილმა მოხერხებული ადგილი მოსძებნა და ერთი ტყვიამფრქვევი მან თვითონ

ამჟამად. საკვირველად ისროდა იგი. ერთი საათის განმავლობაში ოფიცერთა ასეული თითქმის მთლიანად მოსთიბა. ოფიცერთა მეშველი ჩვიდმეტე სერჯანტი მოვიდა. სერჯანტები შუცელზე ხოხვით წამოვიდნენ ჯავითა და მკაცრად სვერ-ლობზე. შეუმჩნეველად მიუახლოვდნენ სწორუპოვარ მსარტოვს. მისი წამო-მოდგა და ხელყუმბარა სტუორცნა: შორს დავარდა და ზურიაშვილი გადარჩა. მაშინ ნემანზე გრილით მიიჭრა სწორედ ის ტანკი, რომელსაც გროდნოში თორმეტი წლის ბიჭმა აცნობა: ხიდი დანადგმულია.

წითელარმიელები დაუვიწყარი ბრძოლის მოწამენი გახდნენ.

წამოდგებოდა თუ არა თბრილიდან სერჯანტი ყუმბარის სატუორცნელად, მაშინვე ტანკის ტყვიამრქვევის მიერ მოთიბული გაიშორებოდა მიწაზე.

ჩვიდმეტმა პოლონელმა სერჯანტმა უკლებრივ იგემა აქ სიკვდილი.

ტანკებისა და ტყვიამფრქვევების მიერ გაწმენდილ უბნებისაკენ ქვევითი ჯარი დაიძრა. ჯარმა ქალაქი გასწმინდა. შენობებზე წითელი დროშები აფრიალდა.



მოედანზე დიდი მიტინგია.

ღვას ტრიბუნაზე სამხედრო კომისარი ანატოლი არხიპენკო და უამრავი ხალხის წინაშე მგზნებარე სიტყვას ამბობს. მისი ხმა საყვირივით გაისმის და ქალაქ გროდნოს კიდით-კიდემდე სწვდება. და როდესაც ნემანზე გადასვლის დროს მენავე ქალის მკვლელობის ამბავს მოჰყვება, როდესაც ლიდა ზოზულის მიერ სიკვდილის წინ თქმული სიტყვები გაიმეორა: გადაეცით ამხანაგ სტალინს, რომ მე ბედნიერი ვცდებიო, მოედანი წუთით შესდგა, დადუმდა. მერე ერთ-ბაშად დაიხუფლა და ხალხთა ბელადის, დიდი სტალინისადმი მიძღვნილმა ვაშას ძახილმა ჰაერი გააპო.

არხიპენკოს შემდეგ ექიმი მიხას ბროკოვიჩი გამოვიდა. მან დასავლეთ ბელორუსიიდან წითელარმიისთან ერთად თავისი წასვლა უამბო ხალხს. მას აქეთ ოცი წელი გავიდა. მაშინ მიხასი თითხმეტი წლის ყმაწვილი იყო. იგი უამბობს ხალხს თავის ობლობას, უსახლკარობას და საბჭოთა ქვეყანაში კაცად გაბლომას.

— საბჭოთა ქვეყანაში უსახლკარო და ობოლი ბავშვები არ იკარგებიან. მათ აღამიანად ჰხდის ჩვენი ქვეყნის მზრუნველი ხელი, — ამბობს ექიმი.

ქაბუკი ლეიტენანტი-კი ტრიბუნიდან გასქვერის მოედანზე მოზღვავებულ ხალხს, ზეგების ტოტებზე და ბალის ლობის მოაჯირებზე ბელურებივით შემომ-სხდარ ბავშვებს და ყმაწვილებს. ტანკისტი გაფაციკებით ათვალეირებს და ეძებს მათ შორის ერთ ყმაწვილს, სწორედ იმას, რომელიც შეეფეთა მას ზი-დთან და გააფრთხილა: ხიდი დანადგმულია. „ალბათ, აქ არის ის უცნობი გმირი-ბიჭუნა და ალტაცებული წკრიალა ხმით იძახის ვაშაო. უნდა უთუოდ მოვსძენო, როგორ მიეკრავ მკერდზე იმ ყმაწვილს, ისეთივე სიყვარულით, როგორც ხალხთა ბელადი, ჩვენი მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი ვამბორება და მიიკრავს ხოლმე მკერდზე საბჭოთა ქვეყნის ბავშვებს, გმირებს, მებრძოლებს, ყველა ჩვეთაგანს, ყველა მშრომელთ, ყველა-ამათ, ვინც ამ მი-ტინგზე გახარებულნი მოსულა“. ასე ფიჭობდა ტანკისტი. მერე უნებლიეთ

ანატოლი არხიპენკოზე შეაჩერა თვალი და, როდესაც მის ქუთუთოზე შეხტარი, მოლურჯო ხორცმეტი დაინახა, ნათლად წარმოუდგა თვალწინ იმ ბრვის კორფლიანი სახე, მოცისფრო დიდრონი თვალეები და ქუთუთოზე შეხტარი ხორცმეტი, თითქო ჩიტს დაუკორტნიაო. საკვირვლად შეიჭრა ტანკისთვის მესხიტებაში წამიერად ნახული ყმაწვილის სახე.

ექიმმა დედასთან შეხვედრა უამბო ხალხს და როდესაც სიტყვა დაასრულა, ისევ იგრილა ტაშმა და ისევ გაისმა ეაშას ძახილი.

ექიმი უკან დადგა. ქუდი მოიხადა და ოფლი მოიწმინდა. ამ დროს მას ლეიტენანტი მიესალმა:

— გამარჯობათ, ექიმო! ვერ მიცანით? გახსოვთ, დაშავებული მუშის საშველად რომ წაგიყვანეთ პომელიდან მინის ქარხანაში? ეს ხუთი წლის წინად იყო. იქნება არც კი გახსოვთ...

— ო, პეტრუს დუდარ! — დაიძახა ექიმმა და მაგრა ჩამოართვა ხელო ტანკისტს.

პავლო ტიჩინა

ლაქლაქა და ქერა

მშვენიერი იყო ის დღე. ცა — წყნარი და წმინდა,
თითქოს ახდა, რაც ინატრეს თაობებმა წინათ.
და შეინძრა თითქოს ირგვლივ დედამიწა მთელი:
ეგ ვისმინეთ და ვიგრძენით ყველამ სიტყვა კრემლის.
ვით ბიდონი სქელ ბძეს, გულიც იტყვის სიტყვათ ზანზარს.
და შევხედეთ უცბად შორით გადაწეულ საზღვარს.
არც მტვერია, რომ სიანს შორით, არც კალია, თოვლი, —
გინგლი-ლაა, ეგ შლიახტას ასდის ზურგზე ბოლი.
და წითელი დროშები სულ ფრიალებენ მზეზე,
ისვენებენ მეომრები და მღერიან ლექსებს —
სიმღერებსა ბრძენ სტალინზე და ბედნიერ ხალხზე,
დაბრკოლებათ რომ არა სცნობს თავის ნათელ გზაზე.
და გამოდის აქ გოგოლი: — გალიციის მიწაე!
სურს ჩაიკრას იგი გულში; ხელებს იშვერს მისკენ.
— შე საბრალო გალიციაე, ტურფაე, კმარა ღელვა.
შეწყდა პანას გაუმძღარ დანის მუდამ ელვა.
სიცხადეა, რასაც ეხედაე? სიზმარია? განა?
სიანიდან დონეცამდე იზნიქება ყანა.
ქარი ჰქრის და თავთავთ ავსებს, საამოა ნახვა.
დაკიდულან ვენახები, ვით ჩანჩქერნი მალა.
და გამოდის აქ შეფჩენკო, იცინის და ტირის.
მზე სხივებს ჰფენს მოალერსე და მზურვალე იმ გმირს:
— მშვიდობა შენ, ტარას... შენი სახე ამ წუთს ამკობს!
სალმით შეხვდი ფედკოვიჩსა, კოცნით — ივან ფრანკოს.
და წითელი დროშები სულ ფრიალებენ მზეზე.
ისვენებენ მეომრები და მღერიან ლექსებს —
სიმღერებსა ბრძენ სტალინზე და ბედნიერ ხალხზე,
დაბრკოლებათ რომ არა სცნობს თავის ნათელ გზაზე.
ო, ჩემო თავისუფლებაე, ლაქლაქაე და ქერაე,
უკრაინელთ და ბელორუსთ ტკბილო ბედისწერაე!

სად სისაწყლვე დადიოდა, სიტიტველე და ძრწოლა,
იქ ლხინია დღეს, სიმღერა, მშობლიური სკოლა!
სიცხადეა, რასაც ვხედავ? სიზმარია, ჯანა?

სიანიდან დონეცამდე იზნიჭება ყანა.

ქარი ჰჭრის და თავთავთ ავსებს, საამოა ნახვა.

დაკიდულან ვენახები, ვით ჩანჩქერნი, მაღლა.

და წითელი დროშები სულ ფრიალებენ მზეზე.

ისვენებენ მეომრები და მღერიან ლექსებს —

სიმღერებსა ბრძენ სტალინზე და ბედნიერ ხალხზე,

დაბრკოლებათ რომ არა სცნობს თავის ნათელ გზაზე.

უკრაინულიდან თარგმნა **იანაშანვა**.



კონკა მარშიანი

ნოემბრის თოვლი

ახლა კოლხეთში თოვს... ნოემბრის ღამეში თოვდეს,
სად 'გაგონილა'?.. ფორთოხლები გაკვირვებულან,
გაკვირვებულან ლომონები, გაკვირვებულან,
სცივათ.. არხევენ ბარაქიან დახუნძლულ რტოებს.

— ჩქარა! სათბური მოუტანეთ, მოდის ზამთარი,
თორემ ამნაირ ცულ ამინდებს ვერ გაუძლებენ —
ყინვა დააზრობთ და დასცივით მწვანე ფურცლები,
როგორც ერთ ქართულ სიმღერაში არის ნათქვამი!

მათ სურთ — კოლხეთში დადიოდნენ ნაბდიანები,
და უღარდელად შეპყურებდნენ ნადრეგ თოვას, —
იკვირებიან, ჩურჩულებენ: — სიმღერის დროა,
და საკვირველად ოქროს თვალებს აბრიალებენ!

სცოვათ ნარინჯებს.. მესმის მათი გულის ძახილი
სცივათ.. ღამაზმა ფორთოხალმა თვალი მილულა,
— მოეშველენით! სანამ იგი არ გაყინულა,
ცისქვეშ ცახცახებს ფიფქიანი და თავდახრილი!

შეციებულნი მომძახიან — მოგვეშველენით!
— რა ვჭაათ?.. გვეცევა და ამისათვის ნუ დაგვიჩაბათ,
თორემ ორმოც წლის გამოფენას ველარ ვნახათ, —
ფორთოხლის ბუჩქი მევედრება გაშლილ ხელებით!

დილით კი ვნახე, მოეხურათ ტანზე ნაბადი,
არ კანკალებდნენ, მილიმოდნენ და ციმციმებდნენ,
თოვლიან ამინდს შესცქეროდნენ მხნედ და იმედით,
იმედად ჰქონდათ სათბურები და შუშაბანდი!

ქახილი მთაში¹⁾

რომანი

მეორე წიგნი

ღღის საში საათი იყო.

დირექტორი პაველე შერვაშიძე ძლივს მარტო დარჩა თავის კაბინეტში. სახელდღერებელი სავარძლიდან წამოდგა. მძიმედ ამოიხვნეშა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

შემდეგ ისევ მაგიდასთან მივიდა, სავარძელში ჩაჯდა და მაგიდაზე გაშლილ ქალაქს დახედა.

ერთი ადგილი მესამედ გადაიკითხა:

„ნოდარ ხურციძის გამოგონება დაამტკიცა ბიურომ. მთელი ბრალდება, ასეთი მნიშვნელოვანი გამოგონება აქამდე უწყურადღებოდ რომ ეგდო მაგიდის უჯრაში, გრიგოლ ბუაძეს და მის ხელისშემწყობს დაატყდა თავს. აცნობეთ ავტორს და შეუდევით სათანადო მზადებას გამოგონების ცხოვრებაში გასატარებლად“.

ერთხანს ჩუმად იჯდა დირექტორი, შემდეგ ხარი დარეკა და საქმეთა მმართველს სიკო უნდილაძეს გამოუძახა.

— სიკო ხარ? — შეეკითხა ფიქრებიდან გამოსული დირექტორი სიკოს, რომელსაც თავი დაეხარა და ხმას არ იღებდა — აი, წაიკითხე, სიკო, წაიკითხე, გეთაყვა, მაგრამ გახსოვდეს, საიდუმლოა... ჩვენ უნდა ვიცოდეთ მხოლოდ.

სიკომ ქალაქი წაიკითხა, თავი გააქნია და ვაგრძელებული ხმით წარმოსთქვა:

— საუცხოვოა, მშვენიერია!

— რა არის აქ მშვენიერი? — შეეკითხა დირექტორი და მცირე ფიქრის შემდეგ უთხრა: — წადი, სიკო, და ახლავე აქ გამომიძახე.

— ნოდარი?

— დიახ, ნოდარ ხურციძე, სასწრაფო საქმე აქვს-თქო, უთხარი, თორემ ჯიუტია და მუშაობის დასრულებამდე ფეხს არ მოიცივლის.

— საუცხოვოა, მშვენიერია! — გაიმეორა კვლავ სიკომ და წავიდა.

დირექტორმა გაშლილი ქალაქი მაგიდის უჯრაში შეაგდო და ორივე ხელი წინ დაიდო. დასცქეროდა საკუთარ თითებს, თითქოს ძალიან მოსწონსო. ხანგამოშვებით ღიმილის მაგიერ რაღაც უცნაურად ეხსენებოდა განიერი ტუჩები.

¹ დასაწყისი იხ. „მნათობი“ № 8 და 9.

— შემოდით! — გაისმა კარებთან სიკოს ხმა, რომელიც ნოდარს წინ მოუძღოდა: — აქ არის, ამხანაგო დირექტორო, — ახლა დირექტორს მძმართა სიკომ და მაგიდასთან ჩვეულებრივად წელშიწახრილი შეჩვენდა.

— აჰა, კეთილი, — სთქვა დირექტორმა და სიკოს სწავლა დაიწყო, სიკო, შენ შეგიძლია წახვიდე.

სიკო წავიდა.

ნოდარი ხმის ამოუღებლად იდგა მაგიდასთან. მის თვალებში გაკვირება იხატებოდა.

— დაბრძანდით, გეთაყვა, — რატომღაც განსაკუთრებულის ზრდილობით უთხრა დირექტორმა და წელში გასწორდა.

ნოდარი ისე ფრთხილად ჩამოჯდა, თითქოს იმ სკამზე ცეცხლი ყოფილიყო გაჩაღებული.

— დიახ, — თითქოს დაწყებულ ფიქრს აგრძელებსო, დაიწყო პავლემ: — მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თქვენ ღირსეული ახალგაზრდა ხართ: სტახანოველი, ვამომგონებელი, მუშა და სტუდენტი. აი, ამიტომაც მიინდა დაგეზმართო. ცოდნა პირველია. თუ კაცს ცოდნა არა აქვს, ის ცხოვრებაში სწორ გზას ვერ იპოვის, მაგრამ საბოლოოდ ერთ საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი. რაკი აგრეთ, ჩვენც გადავწყვეტეთ მიგავლინოთ მოსკოვში. იქ საინჟინეროს დაასრულებთ და სამიოდე წლის შემდეგ მცოდნე კაცი დაბრუნდებით საქართველოში. თქვენი ძირითადი ხელფასი მაინც მოგეცემათ და სწავლისათვისაც მეტი დრო გექნებათ. დღეს თხუთმეტია, რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში იქნებით და პირველ იანვრიდან თქვენს საქმეს შეუდგებით. დიახ, მე უკვე მოვგეგვარე ეს საკითხი და ხვალიდანვე შეგიძლიათ მოემზადოთ გასამგზავრებლად.

ნოდარს ვერ გაეგო, რატომ დასჭირდა დირექტორს მის მიმართ ასეთი მოულოდნელი მზრუნველობის გამოჩენა ან რა საჭირო იყო მოსკოვში წასვლა, როცა საქართველოშიაც მშვენივრად სწავლობდა და ყველა საგანს ფრიალზე აბარებდა?

„არა, ჩვენს დირექტორს აწუხებს რაღაც“, — გაიფიქრა ნოდარმა და მტკიცედ გადასწყვიტა, არაეითარ შემთხვევაში არ დასთანხმებოდა.

— გმადლობთ, პატივცემულო დირექტორო, მაგრამ, — თავშეკავებულად მიუგო ნოდარმა, — რა საჭიროა ამდენი ზრუნვა? პირველი — მე აქაც მშვენივრად ვახერხებ სწავლას, მეორე — არ მიინდა, მოსკოვში ჩემი შესანახი ხარჯები დააწვეს ქარხანას, როცა შესაძლებელია არ დააწვეს. მესამე — მე აქ ქართულად ვსწავლობდი ამდენხანს და ახლა იქ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო, რადგან რუსული კარგად არ ვიცი, მეოთხე — მე ვამაყობ იმით, რომ მუშა ვარ, სტახანოველი და საკუთარი შრომით მივდივარ წინ. მეხუთე — გამომგონებლობის აზრსა და მისწრაფებას ქარხანა მამძღვეს.

დირექტორის სახეზე უსიამოვნო ხაზები გაჩნდა, ბოლოს თვალებიც გაუფართოვდა, პირი ვაალო და ნოდარს მიაჩერდა:

— მშვენივრად ლაპარაკობ, — ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მიუგო დირექტორმა. — სწინს, უდიდესი სურვილები ცოცხლობენ შენში, შით უფრო უნდა იჩქარო და რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღო. ყველაფერი კარგია, რასაც შენ ამბობ, მაგრამ მე გამოცდილი კაცი ვარ და სჯობს დამიჯერო, ცუდს როდი გირჩევ. მოსკოვში სწავლა მაინც სხვა არის. მაშ ასე, დამიჯერე

და მოეშადა. მშვიდობით, მომეცი ხელი! — უფრო და უფრო გაატკბილა ღირექტორმა სიტყვები და ბოლოს ნოდარს-ხელი გაუწოდა.

ნოდარი თავდაპირველი მღელვარებით წამოდგა ზეზე, ~~სადაც~~ ~~მღელვარებით~~, თვალბეჭით სისხლი მოაწვა.

— გმადლობთ, ამხანაგო ღირექტორო! — გადაჭრით მიუგო მან, — თქვენ ყველაფერი კარგად სთქვით, მაგრამ მე მაინც არსად არ წავალ და აქვე დაურჩები. უკანასკნელი სიტყვაა ჩემი და ხელის ჩამოართმევა რაღა საჭიროა: ახლოს ვიქნებით. ახლა ნახვამდის, მელოდებიან, — სთქვა ეს და სწრაფად გავიდა.

— საოცარია! — წამოიძახა ღირექტორმა და სახეზე ალი მოედო.

ზეზე წამოდგა. მაგიდას განშორდა. ჯიბეებში ხელეზ-ჩაწყობილი აჩქარებით დადიოდა ოთახში.

ბოლოს ისევ მაგიდასთან მიიჭრა და ზარი დარეკა.

„მამ ასე, პირველი არ გამოვიდა, ახლა მეორე და უკანასკნელი!“ — გაიგლო თავში.

კარი გაიღო და, როგორც ყოველთვის, დარაჯმა თავი შექყო.

— დაუძახეთ სიკოს და თომას! — უბრძანა ღირექტორმა და სავარძელში ჩაეწვა.

ჯერ სიკო შევიდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ თომაც გაჩნდა. ისინი უბზოდ მიუსხდნენ მაგიდას და ღირექტორს გაკვირვებით მიაჩერდნენ.

ღირექტორი ერთხანს ჩუმად იჯდა. შემდეგ ის უსიამოვნო ქალაღლი ამოიღო, წელან მაგიდის უჯრაში რომ შეაგდო, და წინ დაიდო.

— თქვენ უკვე იცით ამ ქალაღლის ამბავი, — მღელვარებით, მაგრამ ხმადაბლა დაიწყო ღირექტორმა, — ხომ გესმით, რას ნიშნავს ეს? ეს უდიდესი ამბავი იქნება, ამასთან ჩემს გაკილვას ბოლო არ მოეღება. ბევრს ვეცადე, მაგრამ არაფერი არ გამოდის. მოსკოვში ვგზავნიდი — უმალღეს იქ დაამთავრებ და კაცი გამოხვალ-თქო, ვეუბნებოდი, მაგრამ დამცინა, მადლობა გადამიხალა და უხეშად ზურგი შემომამაქცია. წავიდა. ახლა ბოღიში აღარ იქნება. ასეთ უხეშებს სასტრუქად უნდა მოვეყვარათ. უკან დახევა არ ივარგებს, მუდამ შეტევა სჯობს. დამიჯერეთ, უკანასკნელ ზომას უნდა მივმართოთ ახლა. სხვა გზა არ არის, უკვე მოვიფიქრე და ჩემი გეგმა შემდეგში მდგომარეობს: თომა, შენ ხვალ, საღამოს ათ საათზე, თამარის ოთახში დაიბარე ნოდარ ზურციძე და თითონ თამარ ნათელაშვილი, თითქოს ნოდარის გამოგონებაზე აწყოთ თათბირს. ისინი მოვლენ, მაგრამ თქვენ არ დახვდეთ. მხოლოდ თამარის მაგიდის მინა წინასწარ ისე ვასტეხეთ, რომ ვერაფერს გაიგოს. შემდეგ წერილი დაუტრუვეთ მაგიდაზე, რომ დაგიცადონ ნახევარი საათით. ისინი ლოდინს დაგიწყებენ, ამ დროს შექვი უნდა ჩაქრეს იმ ოთახში და თქვენ ორივენი მაშინ გამოჩნდეთ. შეგიძლიათ ვინმე ჩვენი კაცი კიდეც იყოლიოთ იქ, ეს უკეთესი იქნება. იმავე წუთს ჩემთან შემოდიეთ. მე შევეყრი ხალხს და თქვენ მომიყვებით შემდეგს: როცა ბრუნდებოდით დამზადების საამქროდან, გინდოდათ შესულიყავით თამარის ოთახში, მაგრამ შეამჩნიეთ, რომ ოთახში შექვი ჩამქრალია და შეტრად მოგესმათ ქალის ხმა: „შენთვის სიცოცხლესაც ვაეწირავ! რა უყოთ, მაშინ ვერ მოვახერხებ, მაგრამ მალე მოვახერხებ“. ამ დროს თქვენ გინდოდათ ვითომ კარის გაღება და შიგ შესვლა, მაგრამ კარი დაკეტილი დაგხვდათ. შემ-

დღე თითქოს ჩემთან მოიზრინეთ და ყველაფერი მაქნობეთ. დანარჩენი წამზე იყოს. მაგ ორ წიწილას ერთად მოვიშორებთ, ხოლო თამარის ქმროს, ვოგი შეინდაძეს, ამის შემდეგ ქარხანაში დარჩენის პირი აღარ ექნება... ჩვენი არ წავე და ძალით გავავდებთ. ჩინებული აზრია, არა? ეს ნამდვილი გამაჯვება იქნება ჩვენი!

აქამდე თვალგაფართოებული თომა და სიკო თითქმის ერთსა და იმავე დროს შეიშმუნენ რბილ სავარძლებში.

ბოლოს თომამ მარჯვენა ხელი ნიკაზე ჩამოისვა, თითქოს გრძელი წვერი ჰქონდესო, და მაგიდას დააჩერდა.

სიკოც მდუმარე თომას მიაჩერდა, მაგრამ ხმას არც ის იღებდა.

— ხომ მოგეწონათ? — დუმილის შემდეგ განაგრძო დირექტორმა. — მართალია, გრიგოლი მოაშორეს ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატს და შეიძლება ამ ტალღამ ჩვენამდისაც მოაღწიოს, მაგრამ ჩვენ მაინც მტკიცედ უნდა ვიდგეთ. თუ გრიგოლის ბედი რომელიმე ჩვენთაგანს ეწვია, შეგობარს არ უნდა ვუღალატოთ და ვინც აქ დარჩება, ჩვენი საქმე მტკიცედ უნდა განაგრძოს. ასე უნდა ვიბრძოლოთ.

— ეგ კარგი, ბატონო დირექტორო, — დაიწყო თომამ, — მაგრამ ხვალინდელი თქვენი ფოკუსი არ ჩაგვეშალოს და კიდევ უფრო ცუდ ამბებს არ შევემთხვეთ. მე ვფიქრობ, რომ ამბავი კარგად არის მოსაზრებული, მაგრამ...

— თუ საქმეს ჰკუთხედებით, ყველაფერი როგორ იქნება! მოიფიქრეთ, ხვალ საღამომდე კიდევ დრო არის. ჩაუჯექით ამაღამვე და ხვალ სამსახურის ბოლოს დაზუსტებული გეგმა მომეცით.

— საუცხოვოა, მშვენიერია! — დაიძახა სიკომ და ხელები მაგრა დაისრისა. — ცოტა საზიფათო საქმე კია, ბატონო დირექტორო, მაგრამ მაინც... საუცხოვოა, მშვენიერია!

— ჰო-და თუ მშვენიერია, გეთაყვა, მეც ეგ მინდა. წადით ახლა, დროს ნუ დაჰკარგავთ, იფიქრეთ, — სთქვა ბოლოს დირექტორმა და ზეზე წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

თომა და სიკო რაღაც განსაკუთრებულად მძიმედ წამოდგნენ. თომა წინ წავიდა, ხოლო სიკო, თითქოს თომას ებარებო, ფრთხილი და გრძელი ნაბიჯებით უკან აედევნა. გავიდნენ.

— ტუტუტუები! — თომასა და სიკოს მისამართით ჩაილაპარაკა დირექტორმა, — რა იციან, რომ მაგათი საქმე წასულა!

დირექტორი უტბად გამზიარულდა, ჯიბეებში ღრმად ჩაიყო ხელები და „ნანინას“ კილოზე დაბალის ხმით სიმღერა გააბა.



მეორე დღეს, საღამოს ცხრა საათზე, თომა და სიკო უკვე ქარხნის სამშრომელთა შენობაში იყვნენ. საიდანაც წერწეტი სევასტიც გაჩნდა ჰერუფანში და პირდაპირ თამარ ნათელაშვილის სამუშაო ოთახში შევიდა. იქიდან რაღაც რახუნნი მოისმა. მალე წერწეტმა სევასტიმ ოთახი დასტოვა, დერეფანში აჩქარებით გადასდგა გრძელი ნაბიჯები და მიეფარა.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა დერეფანში. მაგრამ, აი, თომას კაბონეტის
დან გამოდიან სიკო და, თითონ თომა. თომამ რაღაც ქალაქი ვადაც/სიკოს,
სიკომ უხზოდ ჩამოართვა და თამარის ოთახისკენ წავიდა, ~~წაქაშაწაქაშა~~ შევიდა
ამ ოთახში და ისევ სწრაფად უკან გამობრუნდა.

მალე მათ დასტოვეს ქარხნის სამმართველოს შენობა და ღამით მომუშავე
დამზადების საამქროსკენ წავიდნენ.

სრული ათი საათი რომ შესრულდა, პირველად თამარი გაჩნდა ქარხნის
სამმართველოს დერეფანში. ის პირდაპირ თავის სამუშაო ოთახისკენ გაე-
მართა, შევიდა შიგ და შუჭი აანთო.

მაგიდასთან რომ მივიდა, მაგიდის მინა გატეხილი დაუხვდა. იქვე თომას
წერილი დანახა, გადაიკითხა და უკანვე გამობრუნდა.

დერეფანში გაიხედა, ეგებ ღამის დარაჯი იყოსო, ეკითხავ, ვინ გასტეხა
ამ ღამე ეს მინაო.

იქ არავენ არ იყო.

თამარი ისევ შებრუნდა ოთახში და მაგიდას მიუჯდა.

აი, ნოდარიც, ის სახე-გახსნილი მივიდა თამართან და ხელი ჩამოართვა.
იქვე ჩამოჯდა.

— შეხედე, ნოდარ, რასა ჰგავს ეს? — უთხრა თამარმა და მაგიდის გატე-
ხილ მინაზე უჩვენა. — სულ რაღაც ორი საათია, რაც წავედი აქედან. სადი-
ლის ჰამა ძლივს მოვასწარი, მოვიდივარ და... ვერაფერი ვერ გამოვიდა!

— ვინ უნდა მოსულიყო? — გაკვირვებით იკითხა ნოდარმა — მაგრამ ეპ,
მინა კი არა, კაცი ტყდება, რა ვუყოთ შერე! — ხუმრობით დაამშვიდა თამარი
და ხელი ჩაიქნია.

— აი, ეს თომას წერილი დამხვდა მაგიდაზე, ნახევარ საათს დავიგვიან-
ებო, სწერს. ალბათ, დარაჯს თუ გამოატანა და მინა მან გატეხა.

— დიდი საქმის კაცია, ეტყობა, — მიუგო ნოდარმა. — თითქოს მაგისი
ხმა არსად არ ისმის, მაგრამ ვფიქრობ, საქმეს მაინც ბევრს აკეთებს. ბევრს
გარბი-გამორბის, დაფუსფუსებს, დიდ ამბავშია.

— ჩემი კაცია და, ალბათ, იმიტომ, ნოდარ, — სთქვა თამარმა. — დირექ-
ტორთან უკმაყოფილოდ არის, მაგრამ არ ვიცი, რა დაუშავა დირექტორმა,
თითონ მოიყვანა და....

— უკმაყოფილოდ არის! — ირონიულად გაიმეორა ნოდარმა თამარის
სიტყვები — იცი, თამარ, ზოგჯერ „უკმაყოფილება“ გადაქარბებული სიყვო-
რულის ბრალია, ვინ იცის, რატომ არის უკმაყოფილო!

— ეგ მართალია, მაგრამ ცუდი კაცი არ უნდა იყოს თომა.

— მშვენიერი კბილები აქვს და იმიტომ! — კვლავ იოხუნჯა ნოდარ-
მა. — დირექტორიც კარგი კაციაო, ამბობენ ზოგიერთები და შენს გამოგონე-
ბას უდიდესი თავგამოდებით იცავესო. მაგრამ რაღაც არა მჯერა. ამბობენ
სტახანოველობა ჩვენ ქარხანაში პირველად პავლემ შემოიღო და დირექ-
ტორიც ამიტომ გახდაო. მაგრამ გამოირკვა, რომ ის მხოლოდ ყალბი ციფრე-
ბით ბაქი-ბუქობდა. გრიგოლი ხომ მიაბრძანეს, ვინ იცის, იქნებ აქედან მოდი-
ოდა ჩვენი პავლეს „ღირსეული“ ამბები!

რას ამბობ, ნოდარ! — მიუგო თამარმა — პავლეზე მაგის თქმა როგორ
იქნება? ძალიან შორს მიდიხარ, ნოდარ.

— შორს? — იკითხა ნოდარმა, — თამარ, მე ამ დღეებში შორს მარტო შორს მივდივარ, მშვენიერი თოფი შევიძინე და სანადიროდ მივდივართ ბუჩქები. შენ ხომ არ წამოხვალ, თამარ?

თამარს გაეცინა, ნოდარმა კი გადაიხარხარა.

ამავე დროს სამმართველოს შენობაში შესული თომა და სიკო მოუხუცენრობდნენ.

უკვე თერთმეტის ნახევარი სრულდებოდა, მაგრამ დირექტორი კიდეც არა სჩანდა.

ბოლოს თომამ თავის კაბინეტის კარი ფრთხილად შეაღო, ფეხაკრფით მივიდა მაგიდასთან და ტელეფონი დარეკა. სიკოც შევიდა.

— სად არის პავლე? თომა ვარ, თომა... რამდენი ხანია აქ ველოდებით... სახლში არ არის? წაიყვანეს? სად წაიყვანეს? როგორ?! — შემზარავის ხმით წამოიძახა თომამ უკანსკნელი სიტყვა „როგორ“ და ხელის კანკალით ტელეფონის მილი დასდო.

კაცის ფერი აღარ ედო. ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და, თითქოს ფეხი იატაკზე დაუჭედესო, ადგილიდან ველარ დაიძრა.

— რა მოხდა, თომა? — მიიძახა ელდანაცემმა სიკომ და ისიც ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო — რა მოხდა სად წაიყვანეს თომა, დირექტორი?

— მომეშვი, სიკო! — ძლივს წამოსთქვა თომამ და სავარძელში მოსხლეტილი ჩაეშვა. — სად უნდა წაიყვანათ, არ იცი ვანა? — კარგა ხნის შემდეგ მიუგო რომამ და მაგიდაზე თავი დახარა.

— რას ამბობ, თომა?! — აღმოხდა მთლად გაფითრებულ სიკოს და სკამი მიავლო, — საუცხოვოა, მშვენიერია! — ჩაურთო ბოლოს.

— წადი, სიკო, წადი და უთხარი, — დუმილის შემდეგ, როგორც იყო, სთქვა თომამ, — ჩვენთან მოვიდნენ, ასე აჯობებს. გამაგრდი, სიკო, მოიგონე პავლეს სიტყვები, ყოჩაღად იყავი!

სიკო წამოდგა. ცოტა ხნით თავჩაქინდრული მაგიდასთან შეჩერდა. კარი-საკენ რომ გაემართა, კვლავ გაიმეორა:

— საუცხოვოა, მშვენიერია!

კარებში გასვლისთანავე სევასტის შეეხეჩა. სევასტიმ ცალი ხელი მკლავში მოჰკიდა სიკოს და ხმადაბლა შეეკითხა:

— რას უცდი, სიკო, რა ამბავია?

— მოიცა! — მიიძახა სიკომ და სწრაფად მოიშორა სევასტის ხელი: — წადი ახლა, დაიჯარგე აქედან, არაფერი არ გამოდის.

ეს სთქვა და აჩქარებით შევიდა თამართან.

როდესაც თამარი და ნოდარ თომასთან შევიდნენ, თომა შეშინებულნი წამოდგა ზეზე და შემოსულებს სკამებზე მიუთითა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — შემყრთალი ხმით მიმართა თომამ.

თამარ და ნოდარ მაგიდას მიუსხდნენ, ფერმიხდილ თომას მიაჩერდნენ, მაგრამ თომა ხმას ვერ იღებდა.

ეს წუთიერი დუმილი ისევ თამარმა დაარღვია და ბოლოს თომას უთხრა:

— ალბათ, ჩვენთან რაიმე საქმე გაქვთ, ამხანაგო თომა?

— დიახ, დიახ! — რაღაც უჩვეულო მოკრძალებით მიუღო თომამ და რატომღაც იქვე გვერდში მჯდარ სიკოს შეხედა: — ჩვენ დირექტორმა დაგვავალა... დიახ, დაგვავალა! რომ ნოდარის გამოგონებაზე მოვილაპარაკოთ...

— მოვილაპარაკოთ!? — იკითხა გაკვირვებით თამარმა: — განა ცოტა ვილაპარაკეთ? გამოდის თუ არა რაიმე საქმე აქედან? ეს არის მთავარი.

— დიახ, საქმე! — კვლავ უხერხულად მიუღო თომამ და როგორც იყო სავარძელში ჩაეშვა.

ცოტა ხნით კიდევ იყურა. მაგიდაზე ხელებს უაზროდ აფათურებდა, თითქოს რაიმე იცის და არ უნდა სთქვასო. შემდეგ სიკოს შეხედა, მაგრამ მისი სახე არაფერს ახალს არ ეუბნებოდა. ამიტომ აქამდე თავში ბუნდოვანად აფორიაქებული საკითხი სწრაფად გადასწყვეტა: მაგიდის უჯრა გამოაღო და ის ქალაღი ამოიღო, რომელზედაც ამდენხანს ფიქრობდა.

— წაიკითხეთ! — სიქვა გადაწყვეტით და ქალაღი თამარს გადასცა.

თამარმა სწრაფად გადაიკითხა ქალაღი. მის სახეს სიხარულის შუქი მოეფინა.

— ეაშა! — წამოიძახა თამარმა, ზე წამოიჭრა და ნოდარს ხელი წაატანა. — მოგილოცავ ნოდარ! აი, წაიკითხე!

ნოდარმა აუჩქარებლად წაიკითხა ქალაღი და მის თვლებში რაღაც სხივი გამოჩნდა, მაგრამ ის სხივი აფეთქებას მაინც არ ცდილობდა. ნოდარი სიღინჯეს ინარჩუნებდა.

— მოგილოცავთ, მოგილოცავთ! — შიდახეს აქეთ-იქიდან ნოდარს ჯერ თომამ, შემდეგ სიკომ და დიდის ამბით ხელი ჩამოართვეს.

— იცით, რას ნიშნავს ეს? წარმოგიდგენიათ? — იძახდა თამარ და ვერ ისვენებდა.

— მაშ დამბრძანდით, თამარ, და ვისაუბროთ! — კვლავ მოკრძალებით უთხრა თომამ სიხარულისაგან აფრენილ თამარს.

— არა, არა! — გადაწყვეტით დიძახა თამარმა, — ახლა მაგისი თავი არა გვაქვს. მაშინ სხვა ამხანაგებიც უნდა მოვიწვიოთ, ადექი. წამოდი, ნოდარ, წამოდი! ჰო, მშვიდობით! — ძალით გააგდო ნოდარი კარებში და ოთახში დარჩენილ გაშტერებულ თომასა და სიკოს დაემშვიდობა.

თომა და სიკო ერთმანეთს მისჩერებოდნენ.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ყველას მოედო ნოდარის გამოგონების ამბავი.

ნოდარი შინ მიაცილეს თამარმა და სხვა ამხანაგებმა.

ილია თავისებურად ჩუმად იღიმებოდა, სიხარულით გული ეცსებოდა.

ბოლოს კატოც მივიდა ნოდართან და შუბლში აკოცა.

— გილოცავ, შვილო გისურვებ მრავალ სიხარულს! — უთხრა და გულ-აიუყებულნი გავიდა.

— ჯერ კიდევ ნაადრევია სიხარული, — ამბობდა ნოდარ, — განეახორციელოთ და მაშინ ვიხაროთ.

მაგრამ ახალგაზრდები მაინც დარწმუნებულნი იყვნენ საბოლოო გამარჯვებაში, ეკვი არ ებარებოდათ, რომ ნოდარის გამოგონება ხორცს შეისხამდა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში სუფრა გააწყეს და სიმღერა დააგუგუნეს.

სუფრის თავში იჯდა ხანშიშესული ცოლქმარი — ილია და კატა. მხალ-
გაზრდების სიხარულით ისინიც სტკებოდნენ.

ერეკლესული
ხელმოწერა

მეორე დილით ქარხანაში მისული მუშების მღელვარება დიდხანს
გრძელდებოდა.

მუშაობის შემდეგ მოაწყვეს მთელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინ-
გი. დიდის ზიზღით იხსენიებდნენ მანებელ დირექტორს, რომელიც ყოველ-
თვის ნიღაბს ატარებდა, ნამდვილ სახეს არასოდეს არ აჩენდა.

ამასთან გოგის ულოცავდნენ დირექტორად გახდომას, ხოლო ნოდარს —
მისი გამოგონების გამარჯვებას.

11.

თოვლი მოვიდა.

თბილისის გარშემო მდებარე მთები თოვლის თეთრ საბანში გაეხვეინენ.

კავკასიის მთების მარადიული ქალარა ბარსაც მოედო.

თეთრი სისპეტაკით ტანდაბურელი ქვეყანა ცივი ქარებით ძალუმად
სუნთქავდა, ხოლო ცა კვლავ თეთრ სიუხვეს აყრიდა მიწას.

ზოგჯერ მძიმე ღრუბლები აჩქარებული ქარავნებით მიჰქროდნენ ცაზე,
თითქოს დაკარგულ სადგომს დაეძებნო.

ამ დილით ქარი არა ჰქროდა. ღამით წამოსული თოვლი ცხლაც მშვიდად
ბარდნიდა მიწას, სახლებს და ხეებს.

დასვენების დღე იყო, მაგრამ ადრე ადგომას მიჩვეულმა ნოდარმა ლოგინ-
ში ვერ მოისვენა და ზეზე წამოაღვა.

ტანთ ჩაიცვა, ხელპირი დაიბანა და ფანჯრიდან თოვლით დატვირთულ
ბაღს მიაჩერდა.

რატომღაც თოვლით შემოსილმა ხეებმა თავისი სოფელი — შუამთა მოაგონა.
თვალწინ წარმოუდგა თოვლით დაძაძული ტყეები, მთები და თოვლში
თითქოს ფრთებ-დაშვებული პატარა სახლები. მოაგონდა ძველი მეგობრები,
ღედ-მამა...

ქარი გაიღო. ოთახში შესულმა მარომ პალტო და ქუდი კედელზე დაჰკიდა
და გაცივებული ხელები დაისრისა.

— ოჰ, რამდენი ვითოვლბურთეთ ამ დილით, ნოდარ! გზაზე ბიჭები და
გოგოები დაეტაკნენ ერთმანეთს, ბოლოს დავიდალე, გამოვიქეცი. ოჰ, რა
მშვენიერი თოვლია!

— მივდივართ, არა? — შეეკითხა ნოდარი.

— მივდივართ, ნოდარ, კლუბიდან წავალთ. ყველანი იქ მოგროვდებიან.

— ხელმძღვანელად სოფრომი მიგვეყება, არა?

— სოფრომი! — მიუგო მარომ და სკამზე დაჯდა.

— კარგი მცოდნეა, მაგრამ რუსულ-ქართულად რომ ლაპარაკობს, ყველას
ეცინება.

— დედა ქართული ჰყავს, მამა რუსი. კიდევ კარგად ისწავლა ქართუ-
ლი, — მიუგო მარომ.

— სად არის რევაზ? — დუმილის შემდეგ იკითხა ნოდარმა.

— მე რა ვიცი?! თითქოს წყენით მიუგო მარომ, — განა მე ყველაფერი უნდა ვიცი?

— ვინ ამბობს, მარო, ყველაფერი უნდა იცოდეთ, მაგრამ რევეზის შესახებ უნდა იცოდეთ, — საესებით სერიოზულად მიუგო ნოდარმა, — მარო ასეთი თამაში იქ, სადაც გრძნობაა.

— გრძნობა! — უკმაყოფილოდ წამოიძახა მარომ. თავი დახარა თითების ფრჩხილებს თვალს არ აშორებდა. — ჯვარი ხომ არ დამიწერია? როდის მქონდა ასეთი განსაკუთრებული გრძნობა რევეზისადმი?

— მეტი გულწრფელობა შეგფერის მარო! — მიუგო ნოდარმა — კარგად უნდა გახსოვდეს, თითონ შენც არ მალავდი რევეზისადმი მხურვალე სიყვარულს. ამ ბოლოს კი, თითქოს მთლად გადაბრუნდა შენი გრძნობები, სხვანაირი ენა ჩაიდგინა და ეს არ ვარგა, რამდენი გულია შენს მკერდში? ერთი ხარ, ერთი უნდა გიყვარდეს!

— მე ერთი მიყვარს! — წამოიძახა მარომ, მაგრამ როცა თავისი ხმა მოესმა, სირცხვილი იგრძნო და სახე აენტო. — შენ არაფერი არ გესმის, ნოდარ! — გულაჩუყებული წარმოსთქვა ბოლოს და ცრემლი მოერიო.

ნოდარიც უცერად აენტო. გულში გაივლო:

„სჯობს ახლაც გადაწყდეს ყველაფერი, თორემ შემდეგ გვიან იქნება“.

კოტა ხნით მიყურდა. თვალცრემლიან მაროს გულნატკენი მისჩერებოდა. მის თვალეში ჩამდგარი ცრემლი ახალ სიყვარულზე ლაპარაკობდა.

— ყველაფერი ვიცი, მარო, რაც ხდება! — ბოლოს გადაწყვეტით მიუგო ნოდარმა. — ვიცი და ვამბობ: ეგ შეცდომაა, ეგ ყოველად შეუძლებელი რამ არის! თავდავიწყებამდე რომ შეგიყვარო, ამას არ ჩავედენ!

ამ სიტყვებზე ელდანაცემი მარო წამოიჭრა, მივარდა ნოდარს და ქვეითინ დაიწყო.

— შენ ყველაფერი სწორად გაიგე, ნოდარ... ძალიან სასტიკი ყოფილხარ, ძალიან! გული არ მიჩერდება, მეტის ატანა აღარ შემიძლია... გამკიცხე!

ნოდარი ღელავდა. ქალის ათრთოლებული თითები ძლივს მოიშორა. ზეზე წამოდგა და მარო სკამზე დასვა.

— არ ვარგა, მარო, — მოგვიანებით უთხრა ნოდარმა და ოთახში წრე გააკეთა. — იცი, რევეზი ჩემი მეგობარია, საუცხოვო ბიჭია და ნამდვილი ადამიანი. მისი გულწრფელობა შენც კარგად იცი და რა მოგდის ახლა? მე შენ მიყვარხარ, მაგრამ ეგ სიყვარული სულ სხვაგვარია. არ მავიწყდება, მეგობრის სატრფო ხარ და სიტყვას გაძლევ, ამას არც დავეიწიყებ!

— არ დავეიწიყებ! — გულჩათხრობილად სთქვა მარომ თავისთვის, ადგა პალტო ჩაიცვა, ქუდი აიღო და ნელის ნაბიჯით კართან მივიდა.

შეჩერდა. იდგა და რაღაც უიმედო გრძნობის გამომსახველი თვალეშით ნოდარს მისჩერებოდა. ხმას ვეღარ იღებდა. თვალეში კვლავ ცრემლით ეცებოდა.

ბოლოს უხმოდ მიიჭრა ნოდართან, ტუჩებში აკოცა და განშორდა. კარებთან რომ მივიდა, ნოდარის გამგმირავი სიტყვები მოესმა:

— მე დამ გადამკოცნა, რომელიც ჩემი მეგობრის რევეზის სატრფოა!

— აჰ! — შეჭკივლა კარებთან მარომ და გარეთ გაიჭრა.

— მოიცა, მარო, რევეზი მოვა და ერთად წავიდეთ! — გასძახა ნოდარმა.

მაგრამ მაროს არაფრის გაგონება აღარ უნდოდა. კიბეზე რომ ჩადიოდა, ცრემლით სავსე თვალებით ვერაფერს ვერ ხედავდა, მხოლოდ სახელურს ჩასდევდა ქვემოთ...

ნოდარს გული დაუსერა ამ ამბავმა. არ ეგონა, თუ მარო აქამდე იყო მისული.

იმაზე ფიქრობდა, რატომ უფრო ადრე არ მიიღო ზომები.

ფანჯრიდან გარეთ მოზშირებულ თოვლს უცქეროდა, მაგრამ კვლავ მაროს მოულოდნელ აფეთქებაზე ფიქრობდა.

აჩქარებით გავიდა ნოდარი სახლიდან.

ახალ თოვლს რომ ხედავდა, ბავშური სიხარულით ევსებოდა გული.

გზაში რამდენიმე გუნდა მოარტყეს.

ხილამდის მიაღწია. თითქმის ნახევარი საათი იცდიდა, მაგრამ რევაზი მაინც არ სჩანდა.

ბოლოს შორიდან შენიშნა ნოდარმა თოვლში ძუნძულით მომავალი რევაზი, რომელსაც სახე მთლად ვაფითრებოდა.

როცა მიუახლოვდა, ხმა-შემერთალმა შესძახა ნოდარს:

— მარო არ მოდის, ტირის, რა დაემართა? წამოდი, ნოდარ, დამეხმარე, წამოვიყვანოთ...

ნოდარი შეერთა, ცოტა ხანს უსიტყვოდ იდგა, შემდეგ ვაფითრებულ რევაზს ხელი გამოსდო.

— წავიდეთ! — მიძახა და წაყვილენ მაროს ბინისკენ.

უსიტყვოდ გაიარეს მთელი გზა.

მაროსთან რომ შევიდნენ, რევაზს ლოგინზე პირქვე გაწოლილ მაროსათვის უნდოდა ეთქვა რამე, ტუჩები აამოძრავა, მაგრამ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა.

— მარო! — გამოეხმურა ბოლოს მაროს ნოდარი და ახლოს მივიდა.

მაროს თითქოს სიზმარში ჩაესმა ნოდარის ხმა: შეიშმუშნა, გვერდზე გადაბრუნდა.

ბოლოს ნამტირალევი თვალებით ნოდარს შეხედა და ლოგინზე წამოჯდა. წუთით სიჩუმე ჩამოეარდა.

ყოველი მათგანი თავისებურად ხსნიდა დუმილის მიზეზს.

— მარო, არ გრცხვენია? — მიმართა ნოდარმა: — წავიდეთ, მარო! — მცირე შეყუვნების შემდეგ უთხრა ნოდარმა და მის მხარს ოდნავ ხელით შეეხო.

მარო, თითქოს ნოდარის ხელმა შეაკრთოო, ზეზე წამოდგა, თმა გაისწორა, პალტო ჩაიცვა და კარებში პირველი გავიდა.

ახალ თოვლზე ერთად მიდიოდნენ. მოწყენილი დუმილი მისდევდა მათ.

კარგა ხნის შემდეგ ნოდარი უეცრად მივირდა თოვლს, დააგურგელა იგი და ჯერ მაროს, მერე რევაზს ესროლა.

მარომ შეხედა ნოდარს, დაღრუბლული სახე უეცრად გადაეწმინდა. თითქოს ყველაფერი დააეწიწა; რაც დღეს მოხდა, და თოვლის გუნდები მანაც მიიყარა ნოდარს.

რევაზიც ჩაერია გუნდაობაში.

იცინოდნენ და გუნდებს ესროდნენ ერთმანეთს.

ნოდარი გაიქცა თოვლით დაფარულ პატარა მინდორზე რევაზი დაედევნა.

— რევაზ მომიკიდე ხელი, წამაქციე და თოვლის გუნდებში წაშენებ! — მაიძახა ნოდარმა რევაზს, მაგრამ ისე, რომ მხოლოდ მას გაეგონა, და გაიქცა წინ.

რევაზიც დაედევნა, ხელი მოჰკიდა და ოდნავ მოიქნია. ნოდარი თვითონ წაიქცა თოვლში.

რევაზი თოვლის გუნდებს აყრიდა შეგობარს. მაგრამ, აი მარომ უეცრად შესწყვიტა კისკისი, ახლოს მიიჭრა და რევაზს მაიძახა:

— კარგი, რევაზ, გეყოფა, ააყენე! — ისეთის წყრომით უთხრა ეს, რომ რევაზს სიცილი ტუჩებზე შეაკიდა.

მაროს დამნაშავესავეთ მიიჩერდა სახეში და ნოდარისათვის მისაყრელად აღებული თოვლი ხელში შერჩა.

ნოდარი წამოდგა, თოვლი გაიფერთხა, თან იცინოდა.

— მაჯობე ხომ, არაფერია, არაფერია! — ამბობდა ნოდარ.

მარომ განაგრძო გზა.

რევაზი თითქოს დარცხვენილი მიიბიჯებდა.

მას მოეჩვენა, რომ ნოდარმა მაროს შესახებდალ მოაწყო ეს ოინი: განგებ წაიქცა თოვლში, რომ ამით რევაზის ძალა და ვაჟაკობა გამოეჩინა. არ ესია-მოვნა ეს მოგონილი ამბავი...

მარო კი ილიმებოდა, რევაზს ვერ გაეგო ამ ღიმილის ნამდვილი აზრი, სა-მაგიეროდ მშვენიერად ესმოდა იგი ნოდარს.

ნოდარისათვის მაროს ღიმილი თითქოს ამბობდა: „ეს ჩემი რევაზი არც თუ ისე ჯაბანი ყოფილა!“

გავიდნენ ხილზე.

ქარხნის ქიშკართან რამდენიმე მუშა შემოხვდათ:

— რად დაიგვიანეთ აგრე? — შორიდან გასძახა ერთ-ერთმა მუშამ ახლად-მოსულებს: — გელოდეთ, გელოდეთ და წამოვედით. სხვები წავიდნენ.

ყველანი ჩქარობდნენ.

იქვე მათთვის მომზადებულ ავტოში ჩასხდნენ და გაემგზავრნენ.

ათ წუთში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან იყვნენ ყველანი.

მუზეუმის კიბეზე რომ აღიოდნენ, თითქოს მორწმუნენი ტაძარში შედიანო, ხმა გაიკმინდეს და ფეხაკრეფით შევიდნენ კარებში.

ხელმძღვანელი სოფრომიც იქ იყო. ერთ ვეებერთელა დარბაზში შეჩერდნენ. სოფრომმა გრძელი ჯოჯი ამოძრავა.

ამ ჯოჯით უჩვენებდა მსმენელებს კედელზე გაკრულ ისტორიული ძეგლების სურათებს. ხსნიდა, არკვევდა უძველესი დროის კულტურას, ხალხის ცხოვრებას, და ეს გამხდარი კაცი ხან ღელავდა, ხან მშვიდდებოდა. იგი ისეთის აღზნებით შედიოდა ამ სურათების ნამდვილ ქვეყანაში, ისე დარწმუნებით ლაპარაკობდა, თითქოს ის ახლაც ცხოვრობსო ამ სიძველეებთან და თითქოს სველაფერი მის თვალწინ ხდებოდა იგი თითქოს ახლაც გრძნობდა ჩვენი წარსულის ტკივილებს, მათ სიხარულს, მარცხსა და წარმატებას.

თავიდან დაწყება. დარბაზიდან დარბაზში გადადიოდა. მოჯადოებულნი მსმენელებიც უხმოდ მისდევდნენ. შეკითხვები საჭირო აღარ იყო, ისეთის სი-

ხოველით აშუქებდა სოფროში წარსულს, და ეს გაბმული, გრძელი ანბანი საუკუნოდან საუკუნეში ერთ უწყვეტ ჯაჭვად გადადიოდა, ცოცხლდებოდა, იზრდოდა ესა თუ ის ისტორიული პირი, შეფე თუ პოეტი, მოქანდაკე მხეცნიერი.

ყველაფერი დასრულებული საბით მოსჩანდა. ყველაფერს — მჭიხტა ხანისი დასაწყისი და დასასრული. ადამიანები იბადებოდნენ, ცხოვრობდნენ და მიდიოდნენ. მოვლენები ჩნდებოდნენ, არსებობდნენ, ნადგურდებოდნენ. რჩებოდა მხოლოდ ხალხის მიერ შექმნილი ციხეები, ძეგლები, ქვისა თუ ლითონის იარაღი, საოჯახო ნივთები, სამკაული. ესენი უფრო ხანგრძლივი არსებობის უფლებას ინარჩუნებდნენ, რომ თავიანთი შემქმნელების ცხოვრებაზე უამბონ მომავალ თაობებს, რომ ადამიანთა არსებობის ძველი სურათი წყველიაღმა არ ჩანთქას, დიახ, აი, ამ უძველესი ციხის ნანგრევები ხმლის ნატეხები, თლილი ძეგლები და ლითონის მრგვალი სამკაული ახლაც ლაპარაკობენ მუნჯურის ენით იმ წარსულზე.

სოფრომმა მშვენივრად იცოდა ამ მუნჯთა ენა. უხაროდა, რომ მათი საშუალებით ცოცხლდებოდა უსულო საგნებში ჩაქრული ცხოვრება.

ნოდარი ბოლოს გამოქვამულთან შეჩერდა, სადაც პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება იყო წარმოდგენილი. გამოქვამულში შუა ადგილას, ფიჩხის ცეცხლთან, თმა-გაბურძენული შამაკაკი და დედაკაკი იდგნენ. ერთი, შედარებით ახალგაზრდა ქალი, გვირაბის სიღრმეში იდგა, ტიტველ ტანზე ხშირბეწვებიან რაღაც ცხოველის ტყავს იფარებდა. მათ თვალეში საშინელი შიში იყო ჩამდგარი, თითქოს ელოდებიან, საცაა მოეარდება ლომი ან ვეფხვი, დათვი ან აფთარი და მათ არსებობას ბოლოს მოუღებსო. ეს შიში, ეს მოლოდინი მხეცის გამომეტყველებას აძლევდა თვით ადამიანს. და ნოდარის თვალში ერთის წუთით წაიშალა ყოველგვარი საზღვარი ადამიანსა და უბრალო ცხოველს შორის. მან შეამჩნია ფიჩხით გაჩაღებულ ცეცხლზე შედგმული რაღაც თიხის ქურქელი. იქვე ეგდო ჯოხგარკობილი, საგანგებოდ წამახვული ქვის იარაღი, მხეცებთან ან ველურ ტომებთან საბრძოლველი:

„მაგრამ საბრძოლველი იარაღის გაცემებას უბრალო ცხოველი ვერ მოიფიქრებდა“, გაიფიქრა მან და ამით მოულოდნელად იპოვა ის საგანი, რითაც სხვა ცხოველებისაგან იმ თავითვე განსხვავდებოდა ადამიანი. და აი, ამ უბრალო საგნებიდან ასეთი დიდი ნახტომი: წათლილი ქვებიდან ჰაერში აფრენა, გამოქვამულიდან სასახლეები.

დასვენების დღე იყო და უამრავი ხალხი ირეოდა.

კარებისაკენ გასასვლელად წასულ ამხანაგებს თვალი შეასწრო და აჩქარებით დაედევნა.

კარებში გასვლისას ნოდარმა იგრძნო, რომ ვიღაც ქალმა მკერდზე მხარი რბილად მოახვედრა. ერთმანეთს გადახედეს. ერთის წამით მათი თვალები გაფართოვდა. ორივე შეკრთა: გაეცალნენ, დაშორდნენ ერთმანეთს.

ეთერი იყო, სხვა ჯგუფს მიჰყვებოდა.

ნოდარმა მოუჭიქარა ნაბიჯს. კიბეზე აღელვებული ჩადიოდა, ვერ გაეგო, რა ჰქონდა ეთერს იმ ხალხთან საერთო, და გულში გაივლო: „რას ჩამაცივდა, არ მომეშვება?“

მიზროდა, ყველაზე წინ გავიდა მუზეუმის კარებში.

12.



სალამხანას აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში საყვირის გუგუნე გაიქცა. მას შეუერთდა მუშა-ქალთა სიცილ-კისკისი, და თოვლით დაფარულ ქალხით აივსო. შინისაკენ მიიჭქაროდნენ.

ქალთა მცირე ჯგუფს ეთერი განშორდა, ეზოს ჰიშვარში გავიდა, ერთხელ კიდევ მიიხვდა მეგობარ ქალებისაკენ, ხელი დაუქნია და წინ გაიქცა.

უკან მოუხედავად გარბოდა შინისაკენ. მის თვალებში ფიქრი იყო ჩამდგარა და ტუჩაში ნაცნობ სახეებს ველარ ამჩნევდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შეირბინა ერთ ძველ, ორსართულიან სახლში და პირველი სართულის ერთ-ერთი ოთახის კარი დააკაკუნა.

კარი გაუღო ხანში შესულმაჲ წელში მოხრილმა, დიდთავა ქალმა, რომელმაც ირიბულად ახვდა შესულს.

— მოხვედი, ეთერ? — ჰკითხა, მერე უკან გაბრუნდა, ლოგინთან მივიდა და ზედ ჩამოჯდა.

— სოლიკოს ხომ არ უტირია, დეიდა ლიზა? — შეეკითხა ეთერი და ჩაძინებულ ბავშვთან მივიდა.

— არა, ისადილა და ჩაიძინა.

ეთერი დასცქეროდა მძინარე ბავშვს, უსმენდა მის აჩქარებულს სუნთქვას. ვერ მოითმინა: დაიხარა, შუბლზე ეამბორა შვილს. გავცალა.

უხმოდ სადილობდნენ ლიზა და ეთერი. გარედან ქალაქის აღრზაური ისმობდა. ზოგჯერ უფრო მოძალებული ხმაური ფანჯრის მინებს შეატოკებდა, ააწრიალებდა, თითქოს ისინი მატარებელში არიან და სადღაც მიდიანო.

— ეს მეორე დღეა, რაც მოიწყინე ეთერ, — დაარღვია სიჩუმე ლიზამ.

ეთერმა ლიზას შენიშვნა უპასუხოდ დასტოვა. ლიზამ განაგრძო:

— გუშინ მუხეუმის დათვალეირებამ ხომ არ იმოქმედა შენზე? არ მეუბნები, იქ რალაც მოხდა.

— არა, დეიდა ლიზა, — მიუჯო ეთერმა და ლუკმა ძლივს გადაყლაპა, — ცოტა შეუძლოთ ვარ და იმის ბრალია.

— კეთილი, შვილო აგრემც ყოფილიყოს, — თითქოს ოდნაეი იქვის ჩართვით უთხრა ლიზამ.

მოათავეს სადილი.

ცოტა ხნის შემდეგ ეთერი წიგნებით ხელში წავიდა და მხოლოდ ღამის ათ საათზე დაბრუნდა. წიგნები მაგიდაზე დასდო. და მოქანცული ჩამოჯდა. ლიზა ღუმელთან იჯდა და წინდას ქსოვდა. ისე ნაღვლიანად დასცქეროდა, თითქოს ამ წინდას აქსოვებსო გულის ნაღველის იმ უკანასკნელ ნარჩენებს, რომლებიც ბნელი წარსულის ხსოვნამ მასში დასტოვა. იგონებდა თამბაქოს ფაბრიკას, სადაც ის თოთხმეტი წლიდან მუშაობდა, წინ ედგა ფაბრიკის დირექტორი, მისი დაუვიწყარი მრისხანე თვალები, რომლებიც ლიზას შიშის ზარს ჰგვრიდნენ. იმ ფაბრიკაში ძირში ჩაკლეს ყველა ადამიანური გრძნობა მასში, გადასტება ყველა ყლორტი, რომელიც გაშლას და გაფურჩქენას ლამობდა.

ბოლოს ყველაფერს შეეჩვია ლიზა და თანდათან დამშვიდდა, თითქოს მისი გული და სული მოიხარაზა იმ დახშულ ქვაბში, რომელსაც მაშინ ფაბრიკას

ეძახდნენ. გულს მგრძობიერების ალი გამოეღია, ხოლო სულში მისწრაფების ნაპერწკლები ჩაქრა.

უფრო გვიან ფაბრიკის მუშებმა ლიზას უკეთესი გზა დაუნიშნეს და მას შემდეგ ლიზაც სხვა ვახდა. ძალიან ბევრს იტანდა, წველობობაში მტროტებასთან ბრძოლა ისწავლა და ეს ახარებდა. ვინ იცის, რამდენმა კეჭა-ქუბილმა გადაიარა მისთავზე. ბოლოს მაინც მოვიდა ლიზასთვის ნანატრი დღე.

ოო, რა გვიან მოვიდა...

ის უკვე პენსიაზე გადაიყვანეს, დაასვენეს მოხუცი, მაგრამ ლიზას ბრაზი მოსდიოდა საკუთარ თავზე, რადგან სწორედ მაშინ ისვენებს, როცა ყველაზე მეტად საჭიროა შრომა, როცა ყველაზე მეტად ფასდება შრომა, როცა სიცოცხლე შრომაშია. ასე მუდამ თავის წარსულზე, საკუთარ ბედზე და დღევანდელ დღეზე ფიქრობდა ლიზა. ყველაზე დიდი კმაყოფილება იმისათვის ის იყო, რომ საკუთარი თვალებით ნახა მტრების დამარცხება, რომ მშრომელებმა გაიმარჯვეს.

ლიზამ თითქოს დაასრულა ყველა ამ ამბის წინდაში ჩაქსოვება, ზეზე წამოღვა. წინდა დასდო და ჩაი მოამზადა.

— მოდი, შვილო! — უთხრა ეთერს და მაგიდას მიუჯდა.

ეთერი მაგიდასთან მივიდა და უხმოდ დაჯდა. თხელი ობზივარი ასდიოდა ცხელი წყლით გავსებულ კიქებს და საჩაიეს, იგი, თითქოს მოღლილი, ეთერის ფიქრებით იფანტებოდა.

დღემილს მხოლოდ ჩაის მოსმის ხმა არღვევდა.

ამ დროს კარის კაქუნი მოისმა. ეთერმა მიიბრინა და გაალო. უცებ მოისმა ორი მისი მეგობრის სიცილი. ისინი მზიარულად მიესალმნენ ეთერს და ლიზას. სტუმრები ჩაიზე მიიპატიყეს.

— რას იტყვით, ბიცოლა ლიზა, ეთერი რომ წაეყვანოთ აქედან? — შეეკითხა ვაჟი და თავისთან ერთად მისულ ახალგაზრდა ქალს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

ლიზამ უნდობლად ახედა ვაჟს და ჩაი მოსვა:

— სად უნდა წაიყვანოთ ეთერი, ევტბი? — დაგვიანებით იკითხა ლიზამ, — განა ახლა ოჯახიდან გასვლის დროა?

— არა, ვერ გამიგეთ, ბიცოლა ლიზა, — მიუგო ევტბიმ: — ამაღამ კი არა საერთოდ.

— საერთოდ? — უკვე გაკვირვებით იკითხა ლიზამ და კიქა დასდო.

ეთერის სახეზედაც გამოისახა გაკვირვება, მისი მეგობარი ქალი კი იცინოდა და კისკისებდა. ეთერმა ჰკითხა:

— რაზე იცინი, ნელი?

— არაფერია, — მიუგო ნელიმ, — გულს ნუ ვაისივებთ: დღეს საღამოს გადაწყდა.

— დიახ, ეს ამბავი ახლა გადაწყდა, — ჩამოართვა სიტყვებ ევტბიმ: — როგორც სტახანოველი, ზვალიდან ახალ სამყაროში გადადის.

— რას ნიშნავს ეგ „ახალი სამყარო?“ — იკითხა ლიზამ, რომელმაც ჩაის სმას თავი მიანება და შეფიქრიანებული ხან ევტბის და ხან ნელის მისჩერებოდა.

— ახალ ოთახებში! — აღხსნა ნელიმ.

— დამაცადეთ, ნელი! — საყვედურის კილოთი მიმართა ვეტიჩი ნელის.

— როგორ?! წამოიძახა ეთერმა, ხოლო ლიზას თვალებში გაკვირვება გააქრა, მან დინჯად სთქვა:

— კარგია, კარგი, შევიღებო!

ეთერი წამოდგა, რატომღაც მიმნარე ბავშვთან მივიდა, ჩახედა, სახეზე ხელი შეუსვა და გაეცალა.

— გვიან არ იყოს, ასე ადვილად ვერ გადაარჩებოდი, ახლა კი ეს ჩაიც გვეყოფა, — უთხრა ნელიმ ეთერს და ეეტიხის მიმართა: — ადექი, ეეტიხი, დროა! პარტორგოც ასეთი უნდა, დაჯდება და ჩაის ვერ გაათავებს! — სთქვა ნელიმ და პალტო ჩაიცვა.

ვეტიჩიც წამოდგა. ხელების გაშლით ლიზას შესჩივლა:

— რა ვქნა, ბიკოლა ლიზა, ნელის კრიტიკა ზემორობა საქმე არ არის, საზოგადოების წარმომადგენელია და რა ვაეწყობა!

წავიდნენ.

ეთერი თავჩაქინდრული იჯდა მაგიდასთან, ხოლო აღელვებული ლიზა გაუთავებლად უვლიდა მაგიდას ვარშემო და ხმას არ იღებდა. ბოლოს ლოგინთან მივიდა და ტანის გახდას შეუღდა.

— რა ვიქირს, შეილო, იცხოვრეთ... ახალგაზრდობა... — სთქვა და ლოგინში ჩაწვა.

ეთერი თითქოს შეაკრთოო ლიზას სიტყვებმა. ლიზას საწოლს გადახედა, მის შევერცხლილ თმას თვალი მიაშტერა და გული შეეკუმშა. ლიზა შორეული ნათესავი იყო მისი. ამ ქალაქში გაიქცო მხოლოდ მაშინ, როცა გაუქირდა. მაგრამ სად იყო ეთერი, სად იყვნენ მისი მშობლები მაშინ, როცა ლიზა იტანჯებოდა? არავის არავითარ დახმარებასა და შემწეობას არ სთხოვდა ლიზა, იგი თავისთვის იყო. ახლა ეთერს ცხოვრების უკეთესი პირობები შეეკმნა და შორდება ლიზას. ლიზა ამაზუნდაც თანახმაა. წვეს ლიზა ლოგინში და ვინ იცის, რას ფიქრობს. ალბათ, მომავალ თავის მარტობაზე თუ ფიქრობს, ალბათ, სოლიკოზე ფიქრი თუ აწუხებს: მის ხელში იზრდებოდა, ჰხანდა, აჭმევდა, აძინებდა ნანას უმღეროდა...

ეთერი წამოდგა, ფეხაკრეფით მივიდა ლიზას ლოგინთან და ბავშვის მაგიურ ახლა მის ჩაძინებულ თვალებს დახედა. კარგა ხანს არ გაშორებია. შემდეგ ფეხაკრეფით მივიდა ფანჯარასთან, ფარდა გადასწია და იქვე ჩამოჯდა. უცქეროდა განათებულ ქუჩებს და მახლობელ სახლებს. მაგრამ ის, რასაც ახლა თვალთ ხედავდა, ანარეკლი იყო იმ სურათებისა, რომლებიც მის ხელში ისახებოდნენ: საავადმყოფო, თავის ქმარს დაეძებს, ქირურგიულში ხშირად იყურება. გაიგო, რომ ნოდარი აქ არის სადღაც, რომ ძალიან ცუდად არის. კედებო, უთხრა ერთმა ავადმყოფმა. ტანში გრუქანტელმა დაუარა მაშინ. რატომ? თვითონაც ვერ გაეგო. ეძებდა. ქირურგიული გაიზბინა. ვერ იპოვა. ბოლოს, ერთ პატარა ოთახში შეიჭვრიტა, სადაც ორი ლოგინი იდგა და, ო, სასწაულო! ვინ არის? ნუ თუ ის არის? მკვდარია თუ ჯერ კიდევ სუნთქავს? მკერდი თითქოს ოდნავ მოძრაობს, მაშასადამე ცოცხალია, ცოცხალი!... მაგრამ სახე? თვალები? არა, მკვდარია, მკვდარი!

ამ დროს მომვლელი ქალი შევიდა ოთახში. ეთერი შეეშინებოდა დერეფანში გავიდა, კედელს მიეყრდნო. ნოდარ, ნოდარ! მომხედო, ნოდარ! — მოესმა ეთერს ამ ქალის ხმა. ეთერმა კვლავ შეიჭვრიტა კარებში და დახმარებისაკენ გაახილა თვალები და ისევ დახუჭა. ეთერს თითქოს ნემსებს ჩხვნიდა ქულებში. უნდოდა, ეთქვა რამე ან დაეყვირა ყველას გასაგონად, რომ იგი მისი სატროფოა, ის ნოდარია, რომელიც ამ ქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა. უნდოდა, მთელის ხმითა და მთელის გულით ტირილი დაეწყო, ნოდარს მიეგრძნოდა, მოხვეოდა, ცისათვის შეეთხოვა მისი სიცოცხლის მობრუნება. მაგრამ, არა, ეს უფლება, ალბათ, ბედნიერთა ზვედრიაო, — გაუფლავა უცერად თავში და ძირს რომ არ დაეცემულიყო, ისევ კედელს მიეყრდნო.

ყურში რალაც უცნაური ქრიალი მოესმა. ამ დროს დერეფანში მომავალ ქმარს შეასწრო თვალი და მისკენ წავიდა. ალბათ, მაშინ ქმარმა თუ უშველა, რადგან რა მოხდა შემდეგ აღარაფერი აღარ ახსოვდა. თავის საწოლ ოთახში თვალი რომ გაახილა, დაინახა ჩამომჯდარი ჩაფიჭრებული ქმარი.

შემდეგ საავადმყოფოში ბშირად შორიდან უთვალთვალებდა ნოდარს და ყველაფერს ტყობილობდა მისი ჯანმრთელობის შესახებ. ბოლოს საავადმყოფოდან გასვლის დროს ნოდარმა პირველად დაინახა იგი. ნეტავი რა იგრძნო ნოდარმა მაშინ? სიძულელი? „გუშინ კი ისე შემომხედა, ისე გაიქცა, — გაიფიქრა ბოლოს ეთერმა და ტანი აუთრთოლდა. — იცის ნოდარმა ახლა, სადა, ვარ და რას წარმოვადგენ? ახლაც, ალბათ ქმარიანი ქალი ვვინივარ. მივწერო? არა, არა, რომ დამამციროს და არ მიპასუხოს? ახია, ახი ჩემზე! სტახანოველი ქალი ვარ და ბინას მაძლევენ. რად მინდა ბინა, როცა გულმა ბინა ვერ პოვა?“ — უთხრა თავის თავს და თვალები ცრემლით აევსო.

წამოდგა. განშორდა ფანჯარას, ფარდა ჩამოუშვა და ლოგინში ჩაწვა. ცრემლით სავსე მისი თვალები დიდხანს არ დახუჭულა.

13.

იანვარი თოვლს არ აშორებდა ქალაქის ქუჩებს. ირგვლივ მთები და ველები თეთრად მოსჩანდნენ.

თოვლს ყინვა სცვლიდა და ყინვას თოვლი.

ხალხი გარბოდა ქუჩაში.

ავტომანქანები შეციებულნი ხარბებივით ბლაოდნენ, თოვლს ძლივს მითვლავდნენ, ბულრაობდნენ.

ნოდარი მარტოა თავის ოთახში, კედელზე ჩამოკიდებულ სანადირო თოფს აცქერდება და იღიმება.

იღებს ამ თოფს, სკამზე ჯდება და ჩეარით სწმენდს. ლულაში იჭვრიტება. ქარხანაში მონადირეთა ჯგუფი იყო შექმნილი და ნოდარი სიხარულით შევიდა ამ ჯგუფში. ის კარგა ხნით ჩაიკეტა ქალაქში და ბუნებაში გასვლის წყურვილი ახრიაბდა. იმდენად ნადირობა არ უნდოდა, რამდენადაც ბუნებასთან ახლოს შეხვედრა.

ლამის თორმეტ საათზე ვადიოდა მატარებელი, რომლითაც ისინი თოფე-
ბითა და ძალღუბით ქალაქს დასტოვებდნენ. სანადირო ადგილას განთავსდისა
უნდა მისულეყენენ.

ჯერ კიდევ დრო იყო.

ნოდარმა თოფი კვლავ ჩამოკიდა კედელზე და ლოგინზე გაწვა. შემდეგ
ვაზეთი „კომუნისტი“ აიღო და მეორედ შეუდგა ერთი ადგილის კითხვას. ილი-
მებოდა.

მეორე ოთახიდან მაროს ხმამალალი ლაპარაკი და სიცილი მოისმა. მალე
კარი გაიღო და მარო შემოვიდა. სახე სიხარულით უბრწყინავდა.

ნოდარი სწრაფად წამოდგა, მიეგება.

ხელში მასაც ვაზეთი ეჭირა და ნოდარს უჩვენებდა:

— ხომ ნახე, ხომ წაიკითხე? ვინ დასწერა ასე მშვენიერად?

— არაფერიც არ მინახავს, — იცრუა ნოდარმა და „კომუნისტის“ პირველ
გვერდზე მოთავსებულ რევაზის ვებერთელა სურათს მიაჩერდა, — რეკორ-
დებს აკეთებს და ხომ იცი, — დაასკვნა ნოდარმა, შემდეგ ლოგინზე მიგდებუ-
ლი ვაზეთი აიღო და იგივე სურათი უჩვენა მაროს.

— აი, შე ეშმაკო, შენა! — სიცილით ეუბნება მარო — თითქოს არაფერი
არ ვიციო.

ნოდარმა ორივე ვაზეთი ხელში აიღო და კმაყოფილად დახედა რევაზის
ორ სურათს:

— ხომ ხედავ, მარო, ერთი რევაზიდან რამდენი ათასი რევაზი დაიბადა
შუტრად. მიქტრის ხალხში რევაზი და ყველას აკვირვებს.

— ეს წერილი ვისია ნეტავი? თითქოს რევაზის სულში იჯდესო, ისეა
შედგენილი.

— აგრე რომ ამბობ, ისე გამოდის, თითქოს შენც ზიხარ რევაზის სულ-
ში, — მოუჭრა ნოდარმა.

მარომ იგრძნო, რომ უხერხულად გამოვიდა, შერცხვა, თავი დახარა.

ამ დროს ნოდარმა თვალი მოკრა მაგიდაზე წერილის შავს, რომელიც ახ-
ლა უკვე ვაზეთში იყო მოთავსებული, მივიდა, ხელნაწერი აიღო და მაგიდის
უჯრამში შეაგდო.

გაიღო კარი და კატომ კონვერტი გამოუწოდა ნოდარს.

— ახლა მოიტანა ვილაკამ, — დაატანა თან კატომ.

ნოდარმა კონვერტი გამოართვა და ზედ წაიკითხა: „ნოდარ ხურციძეს, რე-
ვაზისათვის“. და ქვემოთ მინაწერი: „თინა ნათელაშვილისაგან“.

კონვერტის წარწერა მარომაც გადაიკითხა. სახე შეეცვალა.

— მოიტა! — დაიძახა მარომ, ნოდარს კონვერტი გამოსტაცა, ვაზია და
ბარათის კითხვა ტაიწყო.

— ეგ როგორ იქნება, მარო? — მიაძახა ცბიერად ნოდარმა და ოთახში
გაიარ-გამოიარა.

მარო გაფაციცებით კითხულობდა და მის სახეზე ლურჯი და მოყვითალო
ფერი ერთმანეთს სცვლიდა. წერილში ეწერა:

„ძვირფასო რევაზ!

ძია ილიას სახლში ახალ წელს ერთად რომ ვხვდებოდით იმ დაუღვიწყარი
ლამის სიხარული ჩემს გულში არასოდეს არ წაიშლება. მაშინ ხომ პირველად

გავიცანით ერთმანეთი. უწინ მე ნოდარი მომწონდა, ასე მეგონა, ნოდარს ვე-
არვინ შეედრება—თქო. როგორ ვცდებოდი! შენ რომ გნახე და გავიცანი, ყვე-
ლაფერი შეიცვალა იმ დღიდან. თითქოს ახალი ცა დავენახებოდა შენთან ში-
ნაარსის გული ვიპოვე. შენს უბრალო საქციელში და სიტყვებში ჩამდენი
გულწრფელობა და სინათლეა. შენი შავი თვალების სიღრმეში რამდენი შინა-
განი ძალა ელვარებს. მითხრეს, თითქოს ვიღაც ვიყვარდეს. არ არის მართალი,
არ მჯერა შეყვარებულ ვაქვს არ შეედლო ჩემდამი ისე მოაყრობა, იმდენი თბი-
ლი სიტყვების თქმა... გულში ჩამწედენი თვალებით ცქერა. მას შემდეგ ჩვენ
ორჯერ შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ ჩემი გრძნობების შესახებ ვერაფერი
გითხარი. რაც დრო გავიდა, უფრო და უფრო შევიბოჭე, სიტყვა დამება. მხო-
ლოდ წერილის მოწერას ვბედავ. ხელი მითრთის. რატომ მიმანჩიხარ ყველაზე
უახლოეს ადამიანად, რატომ ასე ღრმად შეიჭერი ჩემს გულში, თვითონ არ ვი-
ცი. რაღაც უხილავი სიმები მაერთებენ შენთან, გულს შენსკენ ეზიდებიან, ათრ-
თოლებენ და არ მასვენებენ. ოო, რომ ვიცოდე შეგიძლია თუ არა გიყვარდე!
გულს რომ ეწევა, იგი შენა ხარ. სხვის ხელს ჩემი გულის სიმები ვერ გაიკა-
რებენ, და ასე მგონია, რომ შენც იგივე გრძნობა გაქვს ჩემდამი. თუ ვცდები—
დავიღუპე, თუ მართალი ვარ მომილოცე დღესასწაული, რომლის მსგავსი ქვე-
ყანაზე ჯერ არავინ არ დასდგომია. მივასუბე, ძვირფასო რევაზ! მე შენს ვარ-
სკვლავზე ვყოფილვარ გაჩენილი და თუ მოგვედები, იქვე დამმარბონ... მშეი-
დობით! მეტი წერა აღარ შემიძლია.

მთლიანად შენი: თინა ნათელაშვილი“.

ნოდარმა კარგად იცოდა, ამ წერილში რას სწერდა თინა. ეს წერილიც
ხომ თითონ შეადგინა და გადასცა თინას. თინამ გადაწერა და გამოგზავნა
იკისრა მხოლოდ. ამიტომაც ნოდარი, ერთის მხრით, თითქოს ნებას არ აძლევ-
და მაროს წაეკითხა სხვისი ბარათი, ხოლო მეორე მხრით—წაკითხვას არ უშ-
ლიდა, პირიქით, უხაროდა, რომ მარო ასე დიდ ინტერესს იჩენდა რევაზის სა-
ხელზე გამოგზავნილ ბარათისადმი.

მარომ ბარათის კითხვა რომ დაასრულა, მიწის-ფერი ეღო სახეზე. ბარათი
დაკმულქნა, ჯიბეში ჩაიღო და კარს მივარდა.

— ვუჩვენებ მე იმას, ვუჩვენებ! ჩქარა მოვალ ნოდარ, — ბოლოს უთხრა
ნოდარს და გარეთ გავიარდა.

— მოიცა, მარო, რა მოგივიდა? — მიამხა ნოდარმა და ხარხარი მორ-
თო, — აი თინი, რა სისულელეს ჩადის გრძნობა! — იძახდა ნოდარი და იცი-
ნოდა.

— რა მოგდის, ნოდარ? — მოესმა ნოდარს კარებში თავშემოყოფილ კა-
ტოს სიტყვები.

ახლა კატოს მივარდა იგი და მოეხვია.

— დედა ხარ, მიხარია და ვიციანი. ო, რომ იცოდე, რა მოხდა!

ნახევარი საათის შემდეგ აღშფოთებული მარო ნოდართან დაბრუნდა,
და რევაზიც თან მოიყვანა.

რევაზმა სანადირო თოფი კედელზე დაჰკიდა, ჩაახველა და გაკვირვებით
ნოდარს მიმართა:

— რაღაც გაუგებარი ამბები ხდება ძმობილო... თინას სასიყვარულო
ბარათი დაუწერია, გულის ამბები გადმოუშლია, მე კი დღემდე არაფერი არ

ვიცილი... თინა რომ თქვენთან გავიციანი — ეს მართალია, კიდევ არჯერ რომ შევხვდი, ესეც მართალია, თითონ ვითხარით მაგრამ თუ ასეთი რამე მოჰყვებოდა ამას, არ მეგონა.

ნოდარმა, რომელიც ჯიბეებში ხელებ-ჩადებული უსმენდა შეგობარს, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ამ ამბების შესახებ არაფერი არ იცისო.

— რას ამბობ, რევაზ? — იკითხა ნოდარმა. — რომელი სასიყვარულო ბარათი, რა ვაცნობა, რა შეხვედრა? ვერაფერი ვერ გამიგია.

— განა შენ არ წაიკითხე?

— არა, არ წამიკითხავს.

— აი! — წამოიძახა მარომ და ნოდარს ბარათი გადასცა.

— ოჰო, — წარმოსთქვა ბოლოს ნოდარმა, — თინა არ ხუმრობს... კარგი, ვთქვათ, შე მლალატობს, მაგრამ მარომ რა დააშავა? თქვენი ბრალია! — გაჯერებით დაასკვნა ბოლოს და ბარათი მაგიდაზე დააგდო: — ვის გაუგონია ამდენი ლოდინი?! გაავრძელეთ და თქვენ საქმეს ბოლო აღარ მიეცა! ახლა მიინც რაღა ვიშლით? რევაზმა მშვენიერი ბინა მიიღო, რეკორდებს ამყარებს და... ვინ არ მოინდომებს ასეთ კაცს ცოლად გაჰყვეს? ახლა ჩემი საქმეც დალუპეთ...

მარო უფრო მოიღრუბლა. ჩამოჯდა. ხელები სახეზე მიიფარა და ტირილი დაიწყო.

— ჩემი ბრალია! სულელი ვარ და ჩემი ბრალია! — იძახდა მარო და ცრემლებს ვერ იკავებდა.

რევაზი მთლად დაიბნა, ვერაფერი გაეგო: რამოდენიმე დღის წინად მარო თითქოს გაუბრუნდა, ტკბილ სიტყვას ვერ იმეტებდა მისთვის, სახეს უმალავდა, რევაზის საალერსო სიტყვებს ვერ იტანდა. ახლა კი სულ სხვა ამბები ხდება, გრძნობით საესეა მაროს სიტყვები და საქციელი. ბოლოს ცრემლებიც კი...

რევაზს, ერთის მხრივ, უხაროდა ეს ყველაფერი, მაგრამ, მეორეს მხრივ, აფიქრებდა ის, რომ შეიძლება მართლაც უნებლიედ საქმე გაუფუჭდა შეგობარს, რომელიც მისთვის თავს არ ზოგავდა.

— რას ამბობ, ძმობილო? — შესძახა რევაზმა და ნოდარს მიაჩერდა, — რას ვიფიქრებდი...

— კარგი! — მოკლედ მოუტრა ნოდარმა: — თუ ჩემი მეგობრობა კიდევ გწადიათ, დამიჯერეთ: დაასრულეთ თამაში, ახლავე გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი.

მარომ ცრემლები შეაჩერა.

რევაზი თავდახრილი იატაკს დასჩერებოდა.

ნოდარმა განაგრძო:

— მაშ აგრე, საქმე გათავებულა, კეკემალულობას თავი გაანებე, — უთხრა მაროს და ზეზე ააყენა. გაშეშებულ რევაზსაც ხელი მოჰკიდა და მაროსთან მიიყვანა. მეგობრების სახეს მოულოდნელი სიწითლე და ღიმილი მოეფინა.

— ჩამოართვით! — მიიძახა ნოდარმა, და მათი ხელები მაგრა გადაეჭვენ ერთმანეთს. — აკოცეთ! — კვლავ რიხიანად დასძახა ნოდარმა.

გათამამებულმა რევანშმა აღარ დააყოვნა და მაგრა ჩაეკონა-მაროს ტუჩებს. წუთიც და ახლა მათი საერთო სიცილ-ხარხარი აესებდა ოთახს.

ოცოტა ხნის შემდეგ ისევ ნოდარმა დაიწყო:

— ვინაიდან ასეთი დიდი მოვლენის მოწამე გავხდით, დღეს შეცადინე-ობა აღარ შეიძლება. სანადიროდ გამგზავრებამდე ორი საათი დარჩა. მოდით, ვისარგებლოთ ამ მცირე დროით და აღვნიშნოთ ბედნიერი წუთი!

— მზად ვართ! — თითქმის ერთხმად შეაძახეს მეგობრებმა და პიონერე-ბივით მარჯვენა ხელი მაღლა აღაპყრეს.

— მაშ აგრე, მე წავალ, რამეს მოვიტან, — სთქვა ნოდარმა და პალტო ჩაიცვა.

— ჩვენც, ჩვენც! — შეაძახეს მარომ და რევანშმა და ნოდარს დაედევნენ. მალე მშვენიერი მაგიდა ვააწყეს. ილიაც გაჩნდა.

მოუსტდნენ მაგიდას და პირველი ჭიქით აღნიშნეს ეს გადამწყვეტი საღამო ორი ახალგაზრდის ცხოვრებაში.

ილიამ სთქვა:

— თითქვამს და ეხლაც გუებნებით, რომ ჩემი და კატოს ერთად ცხოვრება მაშინ დაიწყო, როცა ბნელოდა. იმ სიბნელეში გზას ძლივს ვიკვლევდით, ვე-ცემოდით, ვწვალოდით. თქვენი კი მაშინ იწყება, როცა ჩვენი ცხოვრების შუქი უფრო და უფრო გვინათებს. ამ სინათლეში ოცოტა ხანს კიდევ გვაყოფთ თქვენთან. თქვენი ბედნიერებით ჩვენც გავიხარებთ...

ილიას სიტყვები ყველას გულს მოხვდა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სიტყვას ვერავინ ამბობდა.

პირველად ნოდარმა, შემდეგ კი მარომ და რევანშმა მაგრა გადააკონცეს ილია. ამის შემდეგ ყველამ ენა ამოიღვა და საერთო მზიარულებამ ოთახი გააყრუა.

ნოდარმა მიიჩინა და რადიო შეაერთა. გაისმა მუსიკის ხმა.

ცეკვაუდნენ, მზიარულებდნენ, იცინოდნენ.

ილიას ვაჟი თენგიზიც მოვიდა. ისიც ხალისით აპყვა მეგობრებს, — ისიც მღეროდა.

შკვე დრო იყო. ნოდარი წამოდგა და რევანშს გასძახა:

— მიედივართ, რევანშ, დროა!

რევანში მიძიმედ წამოდგა, თითქო აღარ სურსო სანადიროდ გამგზავრება.

— აღარ, ვსურს, ხომ? არა, ვერ დაგტოვებ! — უთხრა ნოდარმა და მავი-დას განშორდა.

— მოედივართ! — გადაწყვეტით დაიძახა რევანშაც და წამოდგა.

სწრაფად მოემხადნენ და წავიდნენ.

მაროც გაპყვით სადგურზე. რევანშის გვერდით მიდიოდა.

— უკვე ცოლქმრული ჰაერი ჩამოღვა თქვენში! — აჯერებდა ნოდარი მეგობრებს.

რკინისგზის სადგურზე რომ მივიდნენ, ჩქარა იპოვეს დანარჩენი ამხანა-გებიც.

სულ ათი კაცი მოგროვდა, მათ შორის სიკო უნდილაძე და სევასტი ქირდაძეს ჰყავდათ ორი ძაღლი. ამ ორი ძაღლით მიდიოდა ეს ათი კაცი და ყველას სააღერსო სიტყვები ამ ძაღლებსადმი იყო მიმართული.

მატარებელი უკვე ჩამოვდა. შევიდნენ ვაგონში და მცირე ჯგუფებად მოეწყვენენ კუბებში.

მატარებლის გასვლის წინ მხოლოდ რევაზი, მიშა პახომოვი და დიმიტრი დარბაიძე იდგნენ ბაქანზე. ორ მათგანს ცოლები არ უშვებდნენ, ხოლო რევაზს — ახლად დანიშნული.

ნოდარი ვაგონის ფანჯრიდან გასცქეროდა მეგობრებს და მუქარის ნიშნად საჩვენებელ თითს უჭნევდა. და მეგობრებიც ღიმილით უპასუხებდნენ ნოდარის „მუქარას“.

ბოლოს ნოდარი ვაგონის კარებთან ვაჩერდა და ხმამალა დაიძახა:

— გეყოფათ! დანარჩენი ხვალისთვის იყოს. ცრემლები არ დაღვაროთ, ცრემლები!

მეორე ზარიც დარეკეს.

მატარებელი უკვე დაიძრა, განშორდა სადგურს, მაგრამ ერთ ადგილას გაშეშებული მარო ადგილიდან არ იძროდა.

როგორც იყო მეგობარმა ქალებმა მიაბრუნეს მარო და სახლისაკენ წავიდნენ.

14.

აღმოსავლეთისაკენ მიჰქროდა მატარებელი. მალა ასული ბოლი დილის ნათელს ეგებებოდა.

ვაგონში სიკო უნდილაძე და სევასტი ქირდაძე ერთად ისხდნენ და ჯერ კიდევ ფიზილობდნენ.

ჩურჩულით საუბრობდნენ ისინი.

ქშინავდა, რაკრაკებდა, ქანაობდა მატარებელი და მათი საუბარიც მატარებლის გზით მიდიოდა.

სიკომ, სევასტის დარიგება რომ მოათავა, გაბედულად დაარტყა მუშტი ქატარა მაგიდას და ასე დაასკვნა:

— საუცხოვოა, მშვენიერია! ისე ვერ გავიხარებთ იცოდე. ხომ ხედავ, გაგვირბის. თითქოს ჩვენი თვალები არ მოსწონდეს, არც კი გვიცქერის, რამეს ეტყვი და პასუხს არ გავცემს, ვადიდკაცებულა. უნდა გავებდოთ, შენ მოახერხებ თუ მე — სულ ერთია. ვაგიგე: ჩვენი დაწინაურების საქმეც მაგან ჩაშალა. ახლა უკვე პარტიის კანდიდატია. ვინ იცის, რას არ ავრცელებს იქ ჩვენზე. შეგვაწუხა მაგის უცნაურმა გამოგონებებმა. ასე მოვიტყეთ. განა ნოდარისთანა ბიჭებმა უნდა გვაჯობონ?

წეროსავეთ წერწერტ, მალალი სევასტი ჩაჯდა, ოდნავ იყუჩა, შემდეგ თვალები ისე დაქყიტა, თითქოს ლურჯ სინათლეში ვილაცას ეპარებოდა. მერე ისევ წამოვდა:

— ფრთხილად, სიკო, ფრთხილად, თორემ...

— ჰო, ფრთხილად, მაგრამ აუცილებლად!

მატარებელმა უკლო სიჩქარეს და ერთბაშად შეჩერდა:

— მივედით, მივედით! — ალაპარაკდნენ მგზავრები.

სიკო და სევასტი, თითქოს ახლა გაიღვიძესო, შეკრთენ, სწრაფად მოემზადნენ და ძირს ჩავიდნენ.

ყველანი იქ იყვნენ.

ძალღები მოახლოვებულ ალიონს უყუფდნენ, თითქოს ვერაფერი იქნებოდა, — მწკრივად დაეწყვიენ, წინ იჩქაროდნენ.

მიმავალ ადამიანთა სუნთქვა აორთქლებდა თოვლიან შარავზას. ახლა ყოველ ორ კაცს საკუთარ ამბებზე ჰქონდა საუბარი.

სულ ჩქარა ვზა დაიკარგა და გაუთელავ თოვლს მიარღვედნენ.

თოვლის სისპეტაკე ახარებდა თითქოს ფეხებსაც.

მთისკენ შეუხვიეს, უფრო მძიმედ მიიბიჯებდნენ, ზოგჯერ ძალუმად უბერავდა ცივი ქარი, თითქოს თვით მთამ ამოისუნთქო. ქარის ჩადგომისას ხეების ჯარი გედის ფრთებივით დაშვებული რტოების რხევას აჩერებდა და გარინდებული მელიდურად შესცქეროდა ცას.

მიდიოდნენ...

ასე გაიარეს კარგა მანძილი.

როცა მეორე მთას მიაღწიეს, შეჩერდნენ.

ირგვლივ თოვლით დატვირთული ტყე მოსჩანდა.

სოფლები კარგა ხანია უკან მოიტოვეს, უკვე ხელუხლებელი ბუნება იყო. მშვენიერი ამინდი იდგა. გამჭირვალე ცა დარაჯობდა დედამიწის ამ მცირე ნაჭერს.

სპეტაკ, მთის ანკარა ჰაერში აქა-იქ ჩნდებოდა მსუბუქი ნისლი და ისევ ჰქრებოდა...

ფრთხილად თენდებოდა.

ძალღები ახლა თითქოს ბაძავდნენ ადამიანებს და ფრთხილად მიდიოდნენ. ზოგჯერ მონადირეთა ჩურჩულისებურ საუბარს გადაცეცებით უგდებდნენ ყურს, სახეში მისჩრებოდნენ, თითქოს სახეზე კდილობენ ამოიკითხონ მათი განზრახვაო.

უფრო ინათლა.

და მათ მახლობლად ტაფობში მიწის ჩარჩოში ჩასმულ სარკესავით გამოჩნდა ტბა.

სიკომ გამოცდილი მონადირის კილოთი განაცხადა, რომ მთავარი ნადირობის მოწყობააო, და წინადადება შეიტანა, რათა ისინი ორ ჯგუფად გაყოფილიყვნენ: ერთი წასულიყო მთის აღმოსავლეთით, მეორე — დასავლეთით, თითო ძალღი წაეყვანათ და მთისთვის ალყა შეჭოერტყათ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სამ ჯგუფად გაიყვნენ: ორ ჯგუფს ძალღებით ორი მხრიდან უნდა მოეველო ტყისთვის, ხოლო მესამეს მთის შუა ადგილას უნდა დაეცადა, სადაც, დიმიტრი დარბაიძის თქმით, ნადირის შანი ემჩნეოდა.

პირველ ორ ჯგუფში ოთხ-ოთხი კაცი შევიდა, ხოლო მესამეში ორი დასტოვეს, რომლებიც შანის სათავეში ხმაგაკმენდილნი უნდა ჩასაფრებულიყვნენ.

სიკო იმდენს ეცადა, რომ სევასტი ამ უკანასკნელ ჯგუფში დასტოვა, ხოლო თითონ სამი კაცით და თავისი ძალღით მთის დასავლეთის მხრისაკენ გასწია.

ნოდარი, რევანი, დიმიტრი და სტეფანე ხითაროვი მთის აღმოსავლეთის მხრისაკენ წავიდნენ.

მათ ყველაზე მეტი გზა უნდა გაეცლოთ, რათა აღმოსავლეთის მხრისაკენ ტყე მოერეკათ.

დიმიტრის ძაღლი, წაბლა, გამოცოცხლდა, ტყეში ვაფაცოცებით გარბი-გამორბოდა, წყმუოდა, მაგრამ ჯგუფს დიდი მანძილით არ შორდებოდა.

როდესაც ძაღლი იგრძნობდა, რომ ტყეში კარგა მანძილი გავირბინეო, ჯგუფის მოსანახავად გამოიქცეოდა, ახლოს მიივრბენდა, თვალს შეავლებდა და ისევ ვარბოდა.

ყოველი ნაბიჯი ხალისს ჭატებდა მონადირეებს. საცაა ამ უკაცურ ტყეში რაიმე ვარეულ ცხოველს უნდა გადააყროდნენ.

ყოველ წუთს ელოდნენ ამ მოულოდნელ შეხვედრას და ეს მოლოდინი რალაც აუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა მათ.

ისინი მთლიანად ბუნების სამყაროში იყვნენ შესულნი და ყოველ ნაბიჯს სიახლის სასიამოვნო გრუნტელი მოჰქონდა. ამ უღრან ტყეში სადმე, ალბათ, დათვის საზამთრო ბუნავიც არის. ეშვებიანი ტახებიც დადიან. ამ გრძნობას შიში მოჰქონდა, მაგრამ ამ შიშშიც ხალისი იყო, რალაც უხილავი სიამე სჩქედდა.

წაბლამ ყეფა დაიწყო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ძაღლმა რალაც დაუნოა. ყეფის ხმამ ახალი გრუნტელი მოჰგვარა მონადირეებს.

თოფები მოიმზადეს და წრე გაშალეს.

წაბლას ყეფის ხმა დაშორდა მათ, ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოახლოვდა. მონადირეებს გული აუტოკდათ, მოუთმენლად ელოდნენ, და, მართლაც, ნოდარისა და რევანის ახლოს ყურებ-აქკვეტილი კურდღელი გამოჩნდა.

ნოდარმა დაასწრო და საცოდავი კურდღელი უსულოდ დაეცა თოვლზე-თოფის გაგარდაზე წაბლამ ყეფა შესწყვიტა. ცოტა ხნის შემდეგ კურდღელთან მიივრბინა და როცა მსხვერპლი მოკლული ნახა, გულდამშვიდებით გაიქცა წინ.

პირველი სხივი აელვარდა დათოვლილ მწვერვალზე.

მუხლამდე თოვლს ძლივს მითელავდნენ და მიდიოდნენ.

დასავლეთის მხრითაც მოისმა თოფის ხმა. ორიოდე საათში ოთხი კურდღელი და სამი იხვი მოჰკლეს.

საკმაოდ მოქანცულნი ერთ ვებერთელა ნაძვთან შეჯგუფდნენ. ზოგმა პაპიროსი ვაბოლა, ვახარებულ წაბლას ეფერებოდნენ, იცინოდნენ.

ჩქარა ისევ გაშალეს წრე, კაშტანაც გაიქცა წინ. ხმაურით შეუდგნენ ნადირის მორეკას.

კარგა ხნის შემდეგ ტყეში ახლა კაშტანამ ასტეხა ყეფა. ძაღლის ყეფა თანდათან შორდებოდა, იკარგებოდა. მონადირეები მიხვდნენ, რას ნიშნავდა ეს და სწრაფად გაეშურნენ წინ.

უფრო და უფრო შორს შედიოდნენ ტყეში და ტყეც თანდათან იბურებოდა. მონადირეთა წრე უფრო გაიშალა და ხმას ძლივს აწვდიდნენ ერთმანეთს. ნოდარი ტყის სულ ზედა ნაწილს ზევრავდა.

ერთ ადგილას, ტაფობში, ისეთ დაბურულ ტყეში შევიდა, რომ გზას ძლივს იკვლევდა, თოვლში იფლობოდა.

უეცრად მის ფეხქვეშ თითქოს მიწა გასკდაო: ნოდარი დაეშვა ქვევით და ჩავარდა ჯურღმულში. ირგვლივ რომ მიმოიხედა, სიბნელე იყო. მხოლოდ ზევიდან ჩამოდრიოდა ოდნავ სინათლე.

ნოდარმა ყივინი ასტეხა, ეძახდა ამხანაგებს, მაგრამ ახლოვანდებოდა იყო. ცოტა ხნის შემდეგ ძლივს მოისმა საპასუხო ხმა. თითქოს ეს ხმაც ისეთივე ჯურღმულიდან გამოდიოდა, როგორშიაც ნოდარი იყო. ხმა თითქოს ახლოვდებოდა. ნოდარმა მოუხშირა ყივინას. იმ ზერელში, საიდანაც ის ჩამოვარდა, თოფი ისროლა. როცა ამხანაგების ხმა მოახლოვდა, ნოდარმა ევლარ გაბედი თოფის გასროლა ზერელში, ამიტომ მხოლოდ ყივინით ეძახდა ამხანაგებს.

არ იქნა, შინაც ვერ იპოვეს ის, თუმცა ერთმანეთის ხმები ძალიან ახლოს ესმოდათ.

ნოდარმა მოისახრა: ჯიბიდან რაღაც ჩვარი და ასანთი ამოიღო, ჩვარს ცეცხლი მოუქიდა, ძირს ფეხებთან მიწაზე დააგდო და სველი ფოთოლი გადააყარა. ამდგარი ბოლი სვეტკივით ადიოდა ზევით ზერელში. ამის შემდეგ ამხანაგებმა მალე მიაგნეს ნოდარს.

— სადა ხარ, ნოდარ? — მოესმა ზევიდან რევაზის ხმა ნოდარს.

— აქა ვარ, რევაზ! — უპასუხა ნოდარმა — აი, მაგ ზერელში ჩამოვევარდი.

— ჯურღმულში ჩავარდნილხარ, ძმობილო! — უთხრა რევაზმა და ზერელში ჩაიხედა.

— ქვევით გასასვლელი ზერელი უნდა იყოს, რევაზ მაგრამ, ალბათ, თოვლით არის ამოვსებული, უნდა იპოვოთ — ამოსძახა სიცილით ნოდარმა.

ამ დროს დიმიტრიც მივიდა შემთხვევის ადგილას.

კარგა ხანს იცინეს, შემდეგ ქვემოთ მართლაც იპოვეს თოვლით დაფარული ზერელი, გასწმინდეს და ნოდარი გამოიყვანეს.

კვლავ განაგრძეს ტყის მოვლა.

იმ ადგილიდან, სადაც მონადირეებმა ორი კაცი დასტოვეს, თოფის ხმა მოისმა: გაეარდა ერთხელ, მეორედ, მესამედ. მერე ისევ მისწყდა.

თოფის გასროლისთანავე კაშტანამ ყეფა შესწყვიტა. მხოლოდ ახლა დასავლეთიდან მოისმა მეორე ძაღლის ყეფა.

ახლოვდებოდა.

სჩანდა, სიკოს ჯგუფი მოდიოდა.

კაშტანა უკან მიბრუნდა. დიმიტრის აღარ შორდებოდა, წრიალებდა, წკმუდა. მას ჩვეულებად ჰქონდა. თოფის გაეარდნის შემდეგ თუ მსხვერპლს საკუთარი თვალით არ ნახავდა, ახლის ძიებას არ შეუდგებოდა.

როდესაც ნოდარი დარწმუნდა, რომ ტყის აღმოსავლეთის ნაწილი მთლიანად მოიარეს, რევაზთან ერთად ქვევითყენ დაეშვა.

ისინი გარბოდნენ ტაფობისკენ, რომლის ქვედა გასასვლელში ორი კაცი დასტოვეს.

მიუახლოვდნენ. ნოდარი წინ მიბრბოდა, რევაზი უკან მისდევდა.

ამ დროს მოულოდნელად გაეარდა თოფი...

ტყვიამ ზუზუნით გაიჭროლა ნოდარის ყურთან.

— ჩვენა ვართ, რას ჩადიხართ?! — იყვირა ნოდარმა.

ამ დროს უკანიდან კენესა მოესმა, მიიხედა, და ძირს დაცემული რევაზი დაინახა.

— მიშველე, ნოდარ! — დაიძახა რევაზმა, რომელიც მარცხენა მკლავზე გამწარებით იჭერდა ხელს.

ნოდარმა სწრაფად მიიზბინა მეგობართან.

ნოდარმა

— სად მოგვხდა, რევაზ? მკლავში? ნუ გეშინია! სამსუგერსა ჩვევაში. ჩანთიდან ბინტი და იოდის შუშა ამოიღო, მერე პალტო გახადა. ამ დროს სევასტიმაც მიიზბინა მათთან, მას მეორე ამხანაგიც მიჰყვა.

— ოჰ, როგორ შევეცი! — დაიძახა სევასტიმ, — დათვი მეგონა...

— მომეხმარე! — დაიძახა ნოდარმა ისე, რომ სევასტისთვის სახეზე არ შეუხედნია. — კარგია, რომ რბილ ადგილას მოხვედრია და გასულა ტყვია.

მივიდნენ სხვებიც.

ჭრილობაზე იოდი წაუსვეს, ბინტით შეუხვიეს და ზეზე ააყენეს.

რევაზმა მძიმედ ამოისუნთქა და ღიმილით შეხედა ნოდარს:

— დათვი ეგონე თურმე შენ, ძმობილო, და შე კინაღამ სული გამაცხებინეს.

რევაზის ამგვარ ოხუნჯობაზე ყველას გაეცინა. არ იცინოდა მხოლოდ სევასტი, მას თავი დაეხარა და ჩაფიქრებული წინ მიდიოდა.

სიკომ გვერდით ჩაუარა და წასჩურჩულა:

— შეგარცხვინა ღმერთმა, სევასტი!..

თავი რომ შეუყარეს, საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა ნანადირევი. ტვირთი თანაბრად გაინაწილეს და წამოვიდნენ.

მხოლოდ რევაზი მოდიოდა თავისუფალი და მისი თოფიც ნოდარს მოჰქონდა.

მთაზე რომ გადადიოდნენ, ნოდარი მიაჩერდა აღმოსავლეთით ცად-აწვდილ მწვერვალს, რომელზედაც მზის სხივები აელვარებულეყვნენ. ნოდარმა ასეთი სიტყვებით მიმართა იმ მთას: „მთაო, დიდებულო, შენ ჩემი დიდი გული ხარ“-ო.

16.

ზამთრის სუსხმა ძალა დაჰკარგა.

თითქოს ნოდარის გულს სხივები აღებდნენ: ოთახში მათ სიხარული შეჰქონდათ.

ხუთი დღის ავადმყოფობის შემდეგ დღეს პირველი დილა გათენდა, როცა ნოდარი სიციხეს არა გრძნობდა.

ყველაფერი მშვიდად გამოიყურებოდა. სხეულშიაც სიმშვიდე იყო.

კარი გაიღო, კატო შემოვიდა. მისი გამხდარი ხელი ფრთხილად შეეხო ნოდარის შუბლს.

— კარგა ხარ, შეილო. ზეზე ადგომა მაინც არ შეიძლება. ორი დღე კიდევ მოითმინე და...

იგი გაბრუნდა. ოთახში წყალი შემოიტანა, ავადმყოფს ხელპირი დაბანინა, ჩაი მიუტანა და ისევ დასტოვა ოთახი.

ოთახს კვლავ სიმშვიდე დაეუფლა. ნოდარი სისუსტეს გრძნობდა.

ხუთი დღე-ღამე ამობოქრებულ ტალღებს ებრძოდა ის. ახლა კი ფრთხილად აცურავებდნენ იგივე ტალღები ნაპირთან. როგორი სიამით შრიალეზდნენ. და ამ შრიალმა ისევ ვააცოცხლა ის ფიქრები და მისწრაფებები, რომლებიც

ნოდარში ამ ხუთმა დღე-ღამემ ჩააჩუმა, ისევ გამოჩნდა ის სხივმჩქერარი ბაღ-ნარი, რომლის შეცნობას იგი ღამობდა.

ჯერ კიდევ რაღაც ჯადოსნური გასაღებით იყო ჩაკეტილი ღვეჯ-ქაღალდი. ნოდარი გრძნობდა მის არსებობას, მაგრამ მის კარებს არს ჩქვს: სქერვით გასაღები ვერ მოერგო, შიგ ვერ შევიდა...

ამ ფიქრმა უნებლიედ მოაგონა, თუ რამდენი მტერი ჰყავდა სამშობლოს, რა დიდი ვშირობისა და ვაჟკაცობის გამოჩენა არის საქირო ამ მტრების გასა-ნადგურებლად.

ნეტავი ჩქარა, ჩქარა მიაგნოს იმ ბაღნარის გასაღებს, სადაც იმდენი სიხა-რულია, საიდანაც დიდი სამშობლოს უფრო დიდი ძლიერება გამოვა.

წამოიწია, ადგომა დააბირა. დარწმუნდა, რომ ახლა ერთი წუთის ხელი-დან გაშვებაც კი არ შეიძლება. მაგრამ კვლავ დაეშვა. მიხვდა: ასეთი სიჩქარე უფრო მეტ ზიანს მიაყენებს.

ოთახში ილია შემოვიდა, იგი მაროსა და რევას წინ მოუძღოდა.

— ხომ ვამბობდი, ახლა თქვენ აღარ მოეშვებით ერთმანეთს! — აჯავრე-ბდა ილია მაროს და რევას. — გამტკბარი ცოლქმრობის ბრალია ეგ და რა გაეწყობა!

მარო და რევაზი იცინოდნენ და ილიას პასუხს არ აძლევდნენ.

— როგორ ხარ, ნოდარ? — შეეკითხა პირველად მარო.

— როგორც სჩანს, საიქიოს ფოსტალიონად აღარ გამოვდგები, — იოხუნ-ჯა ნოდარმა.

— ყველას გაეცინა.

ილიამ ჩაახველა და ნოდარის საწოლზე ჩამოჯდა.

— საიქიოს ფოსტალიონებად ჩვენი მტრებიც გვეყოფა, ნოდარ, — დაი-წყო ილიამ — ავერ პირველი სამურაები რაღაცებს ურევენ საზღვარზე. ერთხელაც იქნება ჩვენი მტრები სიკვდილს ჩაყლაპავენ. პო-და, იი, მაშინ საი-ქიოს ფოსტალიონიც ბლომად იქნება, — დაასრულა ილიამ, წამოდგა, კვლავ ჩაახველა და გავიდა.

ნოდარი კმაყოფილი მისჩერებოდა მაროსა და რევას, რომელთა თვა-ლებშიაც ახლად შეერთებული ცოლქმრის ჯერ კიდევ დაუმცხრალ ვნებებს ხედავდა. ყველაფრიდან აშკარად სჩანდა, რომ ნოდარის მეგობრებს ერთმანე-თის მახლობლად გულგრილად ჯდომა არ შეეძლოთ ზოგჯერ რაღაც დღუმალი გრძნობით დამტკბარ თვალებს მიაპყრობდნენ ერთმანეთს და ისევ დააშორე-ბდნენ, რომ ყოველივე ეს ნოდარისათვის შესაძინევი არ ყოფილიყო.

ნოდარი გრძნობდა ყველაფერ ამას, მაგრამ არ სურდა მეგობრების გულ-ში ხელის ფათური.

თითქოს არაფერი არ გაუგიაო, ამ გრძნობის შესახებ არაფერს არ ამბობდა.

ბოლოს შენიშნა ნოდარმა: მისი მეგობრები დღეს განსაკუთრებულად იყვნენ ჩაცმული. მათი დუმბილიც ამბობდა ახლა, რომ ისინი საღდაც მიიჩქა-რიან, თუმცა ამაზე ნოდართან არაფერს ამბობდნენ.

— წადით! — უთხრა მათ ნოდარმა. — ვიცი, საღდაც მიეჩქარებით, წა-დით! მე ახლა კარგად ვარ, ხეალ აედგები და საქმეს შეუდგები.

— მიგვიხვდი, ძმობილო, — მიუგო რევაზმა და გაიცინა. — თითქოს ვიგრძენით, უკეთ იქნებოდი და ფეხბურთზე წასვლა ვიფიქრეთ.

— წადით ნუ იგვიანებთ! — გაუმეორა ნოდარმა მეგობრებსა და დღეს საინტერესო თამაში იქნება და ამბავს მოიტანთ.

— ამბავს კი, რა თქმა უნდა მოგიტანთ, — მიუგო რევაზმა და ზეზე წამოდგა.

წამოდგა მაროც, და კარებში ფეხაკრეფით გავიდნენ.

გაზაფხულის მზე უფრო და უფრო ეტანებოდა ნოდარის ოთახს. იგი ნოდარის მთელ არსებას სითბოთი და სინათლით აესებდა. მისჩერებოდა ნოდარი კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს და ახლად დაქორწილებული მეგობრების ბედზე ფიქრობდა. მათი სიყვარულიც ხომ წინააღმდეგობით იყო აღსავსე. დასრულდა ეს წინააღმდეგობა და მეგობრები მტკიცედ შეერთდნენ. ერთმანეთს ველარ შორდებიან.

ნოდარის ბევრი მეგობარი დაქორწინდა ამ მცირე დროის განმავლობაში. ბევრს შეილიც გაუჩნდა და ეს ზნაღმობილნი „იბრძოდნენ“ აკვნებში, ჩხაოდნენ და მომავალ ცხოვრებისაკენ მუშტების ქნევით მიიწვევდნენ.

შემდეგ თავის თავზე გაიფიქრა ნოდარმა. სახე მოეღრუბლა და გულში გაივლო: „ალარაგის აღარ ვუყვარვარ, აღარც მე მიყვარს. მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ. რამდენადაც დიდია ამოცანა, იმდენად დიდია ჩემი ვატაცება... მაგრამ შეილი, შეილი ხომ მაინც არის საჭირო, — დაასკვნა მან.

კარებში ისევ ილია გამოჩნდა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მოისმა ილიას ხმა. — ხომ გეუბნებოდი, მოვლენთქო, — მიმართა მან ახლა ნოდარს: — აჰ, ხომ ხედავ!

ოთახში შემოვიდნენ ღირექტორი გოგი შვინდაძე, პარტკომის მდივანი გურამი, თამარ ნათელაშვილი, დიმიტრი დარბაძე, ზითაროვი და რამდენიმე სხვა ამხანაგი.

ისინი მეგობრულად მიესალმნენ ავადმყოფს, დასხდნენ და ყველაფერი გამოაკითხეს.

შემდეგ გიორგიმ აცნობა ნოდარს, რომ სამოდელიო-საამქროს უფროსობა შენ ჩავაბარეთო და იმედი გამოსთქვა, რომ ნოდარი წარმატებით გაუძღვება ამ საქმეს.

ნოდარმა სრულიად გულწრფელი წინააღმდეგობა გაუწია ამ გადაწყვეტილებას. ამტკიცებდა, რომ ეს მისთვის ნაადრევია, რომ მას ჯერ არ გააჩნია საამისო ცოდნა-გამოცდილება ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობისათვის.

როცა ნოდარი თავის უარს ასაბუთებდა, სხვები სიცილით უპასუხებდნენ, რადგან ყველას უსაფუძვლოდ მიაჩნდა ნოდარის მტკიცება.

ბოლოს გოგი ნოდარის შინაურ მდგომარეობას შეეხო, ურჩია გადასულიყო ახალ ბინაზე და ცოლის შერთვაზედაც ეფიქრა. მაგრამ ნოდარმა უარი განუცხადა.

— არა, ეს ხომ ჩემი საქმეა, ღირექტორის ბრძანება აქ ვერ ვასკრის! — სრულიად სერიოზულად მიუგო ნოდარმა.

— ეგ მართალია — მოუჭრა ღირექტორმა, — ამ საქმეში ღირექტორის ბრძანებას ვასავეალი არა აქვს, მაგრამ აქ პარტიის ბრძანება დაგვეხმარება.

— პარტიის? — მოკრძალებით იკითხა ნოდარმა: — პარტია რომ არ მიიძღვება?

— არა, არ ვაიძულებს, მაგრამ გირჩევს. ესეც ხომ შენვე ხარ, ნოდარმა პარტიელისთვის.

— შევეცდები დავარწმუნო პარტია.

საუბრობდნენ და მსჯელობდნენ დიდხანს.

შემდეგ ნოდარს გამოჯანმრთელება უსურვეს და წავიდნენ.

მარტოდ დარჩენილი ნოდარი ღელავდა: ერთის მხრივ, სიამაყის გრძნობამ აღაქსო, მეორეს მხრივ, ახალ ვალდებულებებზე ფიქრობდა.

ვერ მოითმინა და ლოგინში წამოდგა. ფანჯრიდან თბილისს ხედავდა: თბებოდა თბილისი, მსუბუქი ნისლი ასდიოდა სახლების სახურავებს. წარმოიდგინა, რომ ასეთი გადასახედი, ასეთი მიწშიდგელი ადგილი ქვეყანაზე არსად არ არის და სინანულით ფიქრობდა ბინის გამოცვლაზე.

აქ ხომ მეორე მშობლებიც არიან მისი და როგორ დასტოვოს? რატომ აუხიბდნენ ამხანაგები? მას ხომ თავისი მდგომარეობა იდეალურად წარმოუდგენია. იგი შრომობდა, სწავლობდა, გამოიმგონებლობდა.

აქ, ამ პატარა ოთახშიც შევიდა ის სიხარული, რომელიც ნოდარს გულს უნათებდა. მეტს არ ითხოვდა.

სისუსტე იგრძნო და ისევ ჩაწვა.

ოთახში თინა შემოვიდა. ნოდარის საწოლს ფეხაკრეფით მიუახლოვდა. სასთუმალთან რომ მივიდა, მხოლოდ მაშინ გაახილა ნოდარმა თვალი და პირდაპირ თინას მომცინარე თვალებს შეხედა.

— თინა! — სიხარულით დაიძახა ნოდარმა და საწოლიდან წამოიწია.

— არა, იწეკი, ნოდარ! — მიაძახა თინამ, ხელი სტაცა და ბალიშიდან თავი არ ააღებინა. — რას შერები, ნოდარ? ფერი არა ვაქვს.

— დამცინი, თინკო, არა?

— მართალს გეუბნები, ძვირფასო! — მიუგო თინამ და ჩამოჯდა. — თავის დროს ყველაფერი უხდება კაცს. მაგრამ ნოდარ, გრიპმა როგორ დაგიმორჩილა, ვაჟკაცი არა ხარ? ამბობენ, ფიზკულტურა შეანელო და, ალბათ, იმიტომ.

— პირიქით, თინა, — მიუგო ნოდარმა: — ვარჯიშობა უფრო გავაძლიერე, მაგრამ ბოლოს მეტი მომივიდა, ვაოფლიანებულს სიგრილემ დამკრა და მაშინ ვაეცივდი.

— აა, მაშ ნორმას აქაც ვადაქარბე, არა? — გააჯაერა თინამ და გაიცინა. — მაგრამ, ნოდარ, ერთ რამეში ჩამორჩი ნორმას, აბა თუ მიხვდები — რაში? ვერ მიხვდი ხომ? სიყვარულში ჩამორჩი. ხომ მართალია, ჰა, ხომ მართალს ვამბობ?

ნოდარმა სერიოზული გამომეტყველება მიიღო სახეზე ღიმილი გაუქრა, თითქოს ფიქრი უეცრად თვალეშვიაც ჩაუდგა.

— ჰა, ნოდარ, ხომ არ გეწყინა? სიმართლეა და მიტომ, არა? — უთხრა თინამ და თავისი პატარა ხელის თითებით შუბლზე ჩამოშვებული ქოჩორი გადაუწია. — აა, შე ეშმაკო, შენა! საოცარი ხარ, ვერაფერი ვერ გამიგია, მაგრამ მაინც კარგი ხარ! — მიაძახა თინამ და ტუჩებში მაგრა აკოცა.

ამ მოულოდნელობით გაოცებულმა ნოდარმა გაკვირვებით შეხედა თინას შემდეგ მისი პატარა თავი მკერდზე მიიკრა. რაღაც განსაკუთრებული სითბო შევიდა მის გულში.

— თინიკო, ჩემო მშვენიერო, რა კარგი ხარ, რა ნათელი ხარ, არ ვიცო, ჩემი რა ხარ, მაგრამ მიყვარხარ-კი...

თინას სიცილი პირდაპირ გულში ეღვრებოდა ნოდარს და უდიდეს სიამეს გრძნობდა. მაგრამ, აი თითქოს უკვე აივსო გული. ნოდარის მკლავებმა გაანთავისუფლეს თინას თავი და სახე-შეფაკლებულმა თინამ ღრმად ამოისუნთქა.

— აქ დაჯექი, თინა, აი, აქ, ახლოს, თუ ჩემი ხარ, აქ დაჯექი, თინა!

ამ სიტყვების შემდეგ თინას სწრაფად შეეცვალა სახე, თითქოს სხვა სიომ დაუბერაო.

თინა წამოდგა. მან ნერვიულად ოთახში სამიოდე წრე გააკეთა, შემდეგ ისევ მივიდა ნოდართან, ჩამოჯდა და უჩვეულო, ოდნავ დარცხენილი ღიმილით ვაჟს თვალი გაუსწორა.

— ხომ სწორად ვითხარი, ნოდარ, საოცარი ხარ, გაუგებარი ხარ, მაგრამ მაინც კარგი ხარ-მეთქი... ეჰ, არა უშავსრა... მეგობრები ვართ... ვიყოთ ასეთები.

— ვიყოთ! — უბასუხა ნოდარმა და თინას პატარა ხელს ხელი მოუჭირა.

— არა, ნოდარ, შენ მე ვერ შემიყვარებ, ამას ვგრძნობ. ძველი თუ გტკივა კიდევ, ეს იმის ბრალია... სიყვარული მრავალგვარია... მაინც მიყვარხარ.

— ძველი? — იკითხა ნოდარმა, — არა, თინა, არც ძველი და არც ახალი. ისე კი, შენ მართალი ხარ: სიყვარული მრავალგვარია და მისთვის მიყვარხარ. გული ხომ ლოდი არ არის, სიახლოვეს სითბო ვერ იგრძნოს?!

თინას გაეცინა, ადგა და კვლავ გაიარა ოთახში.

— შენი მეგობრების ომი ხომ დაეაცხრეთ, ნოდარ! ზავი ჩამოვაგდეთ და ორთა შორის მშვიდობიანობა და წესრიგი დამყარდა. ისე, პო, თუ იმ ძველიდან რაიმე გაწუხებს, მე აქაც დაგეხმარები.

ამ სიტყვაზე ნოდარმა თითქოს უმიწეზოდ სიცილი ასტეხა:

— ო, როგორ მაკინებ, თინა, როგორ მაკინებ! — სთქვა ნოდარმა. — შენ ჩემი თინა ხარ. რას არ იტყვი, რას არ მოიფიქრებ, მაგრამ გეყოფა, თინა, რაც გაგაწვალე, გეფიცები მეტს აღარ შეგაწუხებ. ის მხოლოდ ჩემი მეგობრების გულისთვის და არა ჩემთვის. მოვათავე. ბავშვობის არც ერთი კბილი აღარ შემჩინია, არა, თინიკო! ახლა შენ თითონ მიმსახურე, მზადა ვარ, თინა! — ეს სთქვა და უნებურად ლოგინში წამოჯდა.

თინას უდიდესი სიყვარულის გრძნობით მისჩერებოდა.

— როგორ შეიძლება, ჩაწეკი, ნოდარ! — მზრუნველობით მიაძახა თინამ, მივარდა, ხელი მოხვია და ჩააწეინა. — გეყოფა შფოთვა! — დაარიგა ბოლოს: — ჯერ კიდევ სუსტად ხარ. დაწყნარდი. ახლა მე წავალ, მშვიდობით, ნოდარ! მალე გინახულვ, უკეთ დამხედი, — ეს სთქვა და სწრაფად გავიდა.

— თინა, თინა, მიდიხარ? მშვიდობით, თინა! — მიაძახა ნოდარმა, თუმცა მისი უკანასკნელი სიტყვები თინას არ გაუგონია.

კვლავ მარტო დარჩა. მზემ ყელამდე აივსო ოთახი.

საწოლში ველარ მოითმინა და ზეზე წამოდგა. აჩქარებით ჩაიკვა ტანთ, ფეხთ, პირი დაიბანა და ფრთხილად შეაღო მეორე ოთახში გასასვლელი კარი.

როდესაც კატომ ნოდარი დაინახა, შეერთა, მიიჭრა მასთან და ხელი მოჰკიდა.

— რას შეები, შეილო? არა გრცხენია! შედი, შედეი ^{ენაქენული} ~~ფაქიშაძის~~ ^{ფაქიშაძის} აკარგა შეილო.

— დედა! — გრძობით უთხრა ნოდარმა და ხელი მოხვია. — არა მიშავსრა, კარგად ვარ ახლა, მაგრამ რას იტყვი, დედა, რომ გადავიდე აქედან? ხომ გაივონეთ, რას ამბობენ ამხანაგები?

ამ სიტყვების გაგონებაზე კატომ მთლად დაკარგა ძალა, ხელები ძირს ჩამოუვარდა, თავი დახარა და ძლიეს აღმოხდა:

— როგორც შენთვის აჯობოს, შეილო, ახალგაზრდა კაცი ხარ, ჩვენ ბებრებს, რას გვიყურებ...

და ატირდა. შავ სათვალეებს ქვეშიდან წვიმის წვეთებივით მოგორავდნენ ცრემლები.

— დედა! — ხმაშლლა შესძახა ნოდარმა და გულში ჩაიკრა.

— შე მაინც მუდამ თქვენთან ვიქნები! თქვენს იქით სიცოცხლეც არ მინდა, თქვენთან ვიქნები!

16.

მაგიდაზე დაშვებულმა ელნათურმა შუჭი დაკარგა.

ოთახში ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ იჭრებოდა დღის სინათლე.

მან მაგიდაზე დახრილი თავი ასწია, შეებით ამოისუნთქა, ზეზე წამოღდა და უძილო თვალებით მიაჩერდა გარედან შუქშეფრქვეულ ფანჯარას.

ნუთუ გაითენდა? რა სწრაფად გაიჭროლა ღამემ. კარგად არც კი იყო დაღამებული, როცა ის მაგიდას მიუჯდა და უკვე გაითენდა! თითქოს ერთს საათში გაირბინაო ღამემ.

ოთახში სიჩუმეა. მხოლოდ ელექტრომთვლელის წკრიალი მოისმის. ეს წკრიალაც ხომ იმას ამბობს, რომ ჩვენი ცხოვრების ბრძოლები ღამეც კი ბრუნავენ და წინ მიილტვიან.

მთელ ღამეს მუშაობდა, ხაზავდა, ჰქმნიდა. უკვე ყველაფერი მზად არის და ახლა შეუძლიან თავისი მუშაობის შედეგი სხვასაც გააცნოს.

ვინ იცის, როგორის თვალით შეხედავენ მის ნამუშევარს? თითონ მან საბოლოოდ გადასწყვეტა საკითხი: თავისი ნაბაზების სისწორეში ეჭვი არ ებარება. მაგრამ, ვინ იცის, სხვები რას იტყვიან და თითონ სინამდვილე როგორ შეიგუებს მის ნამუშევარს.

ყოველივე ეს ანელებდა იმ უდიდეს შინაგან სიხარულს, რომელიც ზოგჯერ ნოდარის გულს აფეთქებით ემუქრებოდა.

გავიდა მეორე ოთახში და იქ მძინარე თემურის დახუჭულ თვალებს მიაჩერდა.

— ოო, რამოდენა გაზრდილა თემურ, უკვე ვაჟკაცია, ძალუმად სუნთქავს! სუნთქავს!

ნოდარი უცქეროდა თემურის თვალებს და აგონდებოდა მთელი წარსული სოფლად. ხედავდა დედას, მამას, მეზობლებს, საკუთარი ბავშობის დღეებს. აოცებდა გუშინდელი ბავშვის ასე მალე დაეაჟაკება. თემური ხომ უკვე

უმალესში შესასვლელად ჩამოვიდა სოფლიდან. გამოცდების შიშით არა ჰქონდა, არჩენად დადიოდა და მოუთმენლად ელოდა სწავლის დაწყებას.

ნოდარმა პირი დაიბანა და ისევ ოთახში შევიდა.

მხოლოდ ახლა იგრძნო დაღლა, საწოლზე გაწვა, თუმცა ძილი მაინც არ ეკარებოდა.

მისჩრებოდა ახალი ბინის კედლებსა და ჰერს, რომლებიც უფრო ფართო და მაღალი იყო. იფიქრა: განა ღირს ამოდენა ბინა ერთი ან ორი სულსიათვის სცდებოდესო. წარმოიდგინა, თითქოს ეს დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს და გამოსავალს ეძებდა.

ცოტა რომ მოისვენა, ზეზე წამოდგა. საათმა რვაჯერ დარეკა. ნოდარი მივიდა, აიღო შილი და გოგის დაურეკა:

— გოგი ხარ? სალამი, გოგი! მე დღეს ვერ მოვალ. საავიაციო სკოლაში უნდა მივიდე. არა, დაყოვნება შეუძლებელია, რალაცაზე უნდა შევეკითხო. აუცილებლად! თუ მოვასწარი, შემოვალ, გოგი.

მივიდა, ნახაზები ერთად დაალაგა და შეახვია.

— ადექი, ნოდარ? — მოესმა.

თემური იყო. ვეებერთელა ქოჩორი უფრო მაღალს აჩენდა თემურს.

— თემურ, მოდი აქ!

თემური მივიდა. ნოდარმა ხელი მოხვია.

— შენ უკვე ვაეკაცი ხარ, თემურ. ისწავლე. იცხოვრე აქ ჩემთან.

ნოდარი კვლავ მიუბრუნდა მაგიდას, შეხვეული ნახაზები აიღო და კართან რომ მივიდა, თემურს მიმართა:

— თავი ზომილით არ მოიკლა, თემურ, ყველაფერი იყიდე.

წავიდა.

როდესაც ნოდარი საავიაციო სკოლაში მივიდა, იქ არავინ არ იყო. სკოლის წინ ბაღში სკამზე ჩამოჯდა. პირდაპირ გაშლილ მინდვრებსა და ველებს მიაჩერდა. ნახაზები იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი და თითონაც არ იცოდა, სად მიიყვანდნენ ეს ნახაზები, შესაძლოა მისი გზა ნახაზების გზით წასულიყო. მაშინ ის, რაც ახლა იღლიაში აქვს ამოჩრილი, მისი ცხოვრებისა და მუშაობის ზინაარსად გადაიქცევა.

უცქეროდა სამშობლოს ქვეყნის მთებსა და ველებს. გამჭვირვალე, უძირო ცას და მთის კალთებზე შეფენილ ნისლს, თითქოს ისვენებსო ნისლი, თითქოს თვით მთები და ველებიც ისვენებენო და მათთან ერთად ნოდარიც ისვენებდა.

სკოლის კარებთან ხმაური მოისმა. ნოდარმა მიიხედა და აეტომანქანიდან გადმოსული საავიაციო სკოლის უფროსი იქნო.

ცოტა ხნის შემდეგ საავიაციო სკოლის უფროსის კაბინეტში ნოდარმა დაასრულა უკანასკნელი ნახაზის განმარტება. უფროსის თვალეზში ჩამდგარი ვაკე ვირვება ჯერ კიდევ არაფერს ამბობდა. ცოტაც და ეს გავეკირვება აღფრთოვანებად გადაიქცა. უფროსი ნოდართან მივიდა.

— მომილოცავს! — მიაძახა უფროსმა და ხელი ჩამოართვა. — მწამს, რომ ვაიმარჯვებ!

— წითელ არმიაში გასვლამ რომ მომიწია, საავადმყოფოში ვიწექი. ექიმები, ძველი ქრილობის გამო, შემდეგაც მიწუნებდნენ და ჯარში გაყვანაზე

უარს შეუზნებოდნენ. ხალა საესებით ჯანმრთელი ვარ და წითელ არმიაზე ხელ-
ცარიელი არ მინდა მისვლა. თუ გამიმართლდა, კარგი იქნება.

— რაც ამბხსენით, ჯერ კიდევ ბუნდოვანია ჩვენთვის, მაგრამ მშუკნი აქე-
დან დიდი ამბები უნდა გამოვიდეს.

— ყველაფერი თავდაცვის ინტერესმა მაფიქრებინა, — განაგრძო ნოდარ-
მა — მაგრამ თუ გამიმართლდა, უფრო შორს შეიძლება წასვლა.

— წავიდეთ, — უთხრა უფროსმა ნოდარს და ხელი გამოსდო მკლავში, —
ახლავე უნდა წავიდეთ არმიის შტაბში.

— არმიის შტაბში? — გაკვირვებით იკითხა ნოდარმა. — რა საჭიროა? მე
მინდა მხოლოდ დამიმზადონ ჩემი მანქანების ცალკეული ნაწილები და სხვა
არაფერი.

— დიან, მაგრამ მაინც უნდა წავიდეთ! — გადაჭრით მიუგო უფროსმა და
ნოდარი წაიყვანა.

ჩაეიდნენ ძირს, ჩასხდნენ მანქანაში და არმიის შტაბისაკენ წავიდნენ.

შტაბის უფროსმა ამიერ-კავკასიის ჯარების სარდალს წარუდგინა ნო-
დარი.

— ეს ახალგაზრდა ნოდარ სოლომონის-ძე ბურციძე ვაზლავთ, სარდა-
ლო, — გააცნო იგი სარდალს საავიაციო სკოლის უფროსმა, — მანქანათმშენ-
ბლობის ჭარხნის მუშა ჩვენს სკოლაში საღამოობით ესწრებოდა მეცადინეობას.
იმავე დროს მექანიკური განხრით სწავლობდა საინჟინერო ინსტიტუტში და
ახლა უკანასკნელ კურსზეა. ჩვენთანაც დიდ უნარს იჩენდა სწავლაში, ჭარხანა-
ში უკვე გამოიყენეს რამდენიმე მისი მნიშვნელოვანი გამოგონება ამჟამად
სამოდულო-სამაქროს უფროსად არის. ახლა კი აი, ნახაზებიც მოგვიტანა. თუ
მისმა იდეამ ხორცი შეისხა, ეს მარტო თავდაცვის საქმე როდი იქნება...

— შეიძლება ახლავე გავიციოთ? — იკითხა სარდალმა, რომლის მკერდზე
სამი წითელი დროშის და ერთი წითელი ვარსკვლავის ორდენი კაიფობდა.

— თითონ გაფაცივობთ ახლავე, მაგრამ შეტად რთული საკითხია და დეტა-
ლები მეც ნაკლებად მესმის, — განუმარტა უფროსმა სარდალს და ნოდარს შე-
ხედა. — გავშალოთ, ნოდარ, ნახაზები!

ნოდარი საქმეს შეუდგა.

სარდალი გაფაცივებით უგდებდა ყურს. ზოგჯერ ნახაზს დიდხანს უყვირ-
დებოდა. მეორე მხრით მოუვლიდა, შეკითხვებს აძლევდა.

ნოდარმა დაასრულა, მაგიდას დაეყრდნო და სარდალს მიაჩერდა.

სარდალმა აღელვებით გაიარ-გამოიარა ოთახში და ნოდართან გაჩერდა.

— აქ გასაოცარი ამბებია! — ხმის ოდნავ ათრთოლებით დაიწყო მან და
ღონიერი ხელები მხრებში მოჰკიდა. ასეთი ბიჭები გვჭირია ჩვენ. თქვენი ნამუ-
შევარი სახუმრო საქმე არ არის. საოცარია, როგორ მიხვედით ასეთ დასკვნამ-
დე! — სთქვა ბოლოს სარდალმა და ნოდარს განშოდა.

მაგიდასთან მივიდა, მილი აიღო და ცეკაში დარქვა:

— ნება მომეცით, ახლავე მოვიდე თქვენთან და თან ერთი ახალგაზრდაც
მოვიყვანო... მაშ მოვალთ... — მილი დასდო.

ამის გამგონე ნოდარს თავი სიზმარში ეგონა.

— წავიდეთ! — დაიძახა არმიის სარდალმა და ნოდარს მკლავში ხელი გა-
მოსდო. შემდეგ სკოლის უფროსს მიმართა: — თქვენც, თქვენც!

როდესაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკაში შევედით, არმიის სარდალი მიესალმა ცეკას მდივანს და ნოდარი წარუდგინა, თანაც მოკლედ აღესნა საქმის ვითარება. თავის მხრივ ნოდარმა ყველაფერი გაქმნა და

რომ დაასრულა, ცეკას მდივანმა დაიძახა: გენერალის

— აი, მესმის! ეს იდეა, ჩემის აზრით, განზორციელების ღირსია!

— მე ვფიქრობ ამ საქმეს გზა უნდა მიეცეს, — მიუგო არმიის სარდალმა: — სჯობს, პირდაპირ მოსკოვში გავგზავნოთ და იქ ხელთ ექნება ყველაფერი, რაც საჭიროა.

— დიან, მოსკოვში, — დაუდასტურა ცეკას მდივანმა. — შენ რას იტყვი, ამხანაგო, თანახმა ხარ?

მოსკოვის გავგზავნაზე ნოდარს სიხარულის ურუნტელმა დაუარა. რევაზის სიტყვები გაახსენდა: „შენ უფრო შორს წახვალ ძმობილო“.

ნოდარმა გადაწყვეტით უპასუხა:

— თანახმა ვარ. ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ მიჩვენო.

— მაშ ასე! — დიდის სიყვარულით ხმადაბლა უთხრა ცეკას მდივანმა: — განაგრძე მუშაობა და ჩვენც შენთან ვიქნებით.

— ვეცდები, — იყო პასუხი. ახალგაზრდა ნოდარისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის მოღიშარი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

ნოდარმა იქვე მიიღო პირადი წერილი საკავშირო მძიმე მრეწველობის სახკომთან.

იქვე სახარჯო ფული გამოუწერეს და უთხრეს:

— ორი დღე კიდევ შეგიძლია დარჩეთ თბილისში. მშვიდობით!

ნოდარი გამოეშვიდობა ყველას და პირდაპირ ქარხნისკენ გაემართა.

ქარხანაში გოგისთან რომ შევიდა, იქ სხვა არავინ არ იყო. მაგიდას ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა და სკამზე მძიმედ დაეშვა.

— ავად ხომ არ ხარ, ნოდარ? — შეეკითხა გოგი და მიანერდა.

— არა, — მიუგო ნოდარმა.

— ხვალ შეგიძლია მოხვიდე ქარხანაში?

— არა, არ შემიძლია, ვერც ხვალ და ვერც ზეგ. მოსკოვში მივდივარ, გოგი, — გულდაწყვეტით მიუგო ნოდარმა.

— მოსკოვში? რას ამბობ, ნოდარ? — მიაძახა გოგომ და გაკვირვებით თვალები გაუფართოვდა.

— დიან, მივდივარ, გოგი! — განაგრძო ნოდარმა. — ამ წლების ფიქრორთად შეგროვდა, მოსკოვში წამიღო. აი, ამ ნახაზების თაობაზე გვხანის ცეკა და ორ დღეში უნდა წავიდე.

— ხუმრობ ნოდარ?! ცეკა გვხანის? მომილოცავს!

— თუ გავიმარჯვე, მოსალოცი მაშინ ვიქნები. ახლა კი... მაშ, ასე გოგი — უნდა წავიდე.

ნოდარი გვიან წავიდა ქარხნიდან. ილიას და კატოს გაუარა. მისი გამგზავრების ამბავმა ააცრემლა მეორე მშობლები, მაგრამ ამ ცრემელში ბედნიერების გრძნობა იყო ჩაწვეთებული.

სალამო ხანს მოქანცული მივიდა ბინაზე, თემური ღიმილით მიეგება:

— სადა ხარ, ნოდარ? მომწყინდა მარტოს.

— არა, თემიკო, არ უნდა მოიწყინო უჩემოდ, შით უმეტეს ესაა, რადგან მივდივარ, — უთხრა ნოდარმა, — მოსკოვში მივდივარ, ძმაო, ყველგან დასაწყობების საკითხი მაქვს გამოსარკვევი. მალე ჩამოვალ.

— რას ამბობ, ნოდარ? მოსკოვში მიდიხარ? — შემკრთალი ხმით შეეკითხა თემურს.

— ნუ შეშფოთდები, თემურ, არაფერს არ მოგტკლებ, მხოლოდ ისწავლე!

— არ მინდა! — მიადახა უკმაყოფილოდ თემურმა, — შენ თუ იქ წახვედი, მე აქ მარტო არ დავრჩები, იცოდე!

და თემურმა სახე მოაჩიდა, ფანჯარასთან მივიდა.

ნოდარს სიცილი აუვარდა. მივიდა თემურთან, გულში ჩაიკრა და სახე დაუკოცა.

ნოდარი წამოწვა. ჩქარა დაეძინა.

რომ ჩამობნელდა, ნოდარის ოთახში სტუმრები შეიყვანა თემურმა და შუქი აანთა:

— სძინავს? — იკითხა სტუმარმა.

მაგრამ ნოდარმა თვალები გაახილა და ოთახში შემოსული მარო და რევაზი იცნო.

— ოჰ, თქვენა ხართ! — დაიძახა ნოდარმა და ზეზე წამოღვა. იგი მსურვალედ მიესალმა მეგობრებს. მაგრამ მეგობრები ხმას არ იღებდნენ, თითქოს მგლოვიარედ არიანო, ჩუმად მოუჯდნენ მაგიდას.

— მიდიხარ, ძმობილო? — დაგვიანებით შეეკითხა რევაზ.

— მივდივარ, რევაზ!

— ჰო-და, ხომ ვითხარი, ძმაო, ერთხელ: ვერძნობ შორს წახვალ და ეს მადარდებს-თქო, შენ არ გჯეროდა, მე მართალი გამოვედი.

— მივდივარ, მაგრამ არ ვშორდები, რევაზ, — მიუგო ნოდარმა, — ჩქარა ისევ ერთად ვიქნებით!

— არა, ნოდარ, — ჩაუბოთო მარომ, — ჩქარა ველარ ჩამოხვალ.

— ქარხანაში ყველა შეწუხებულა, თანაც უხარიათ, რომ რაღაც დიდმნიშვნელოვანი ამბავია.

— შე არაფერი არ მოთქვამს! — მიუგო ნოდარმა. — განა ასეთი ხმები გავრცელდა?

— გავრცელდა კი არა, ყველას პირზე ეს აკერია! — განაგრძო რევაზმა. — თუმცა არ იციან, რას შეეხება ეს დიდი ამბავი.

— სრულიად არ არის მართალი, რევაზ, — მიუგო ნოდარმა. — უთხარით ყველას, რომ ევ შემტდარი ახრია. მართალია, მაქვს რაღაც წინადადება, მაგრამ ჯერ, ვინ იცის, რა გამოვა აქედან! — აღლევებით დაასრულა ნოდარმა.

იმავე საღამოს კიდევ რამდენიმე ამხანაგმა ინახულა ნოდარი.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა ამხანაგების უკანასკნელი წყება მიაცილა კარებთან და კარგა მოქანცული შებრუნდა ოთახში.

ამ დროს თემურმა რაღაც კონვერტი გადასცა:

— ასე სთქვა, თინა ვარო, მოვიდა მაშინ, როცა შინ არ იყავი და ეს კონვერტი დასტოვა შენთვის.

ნოდარმა სწრაფად გადახია კონვერტი, ბარათი ამოიღო და წაიკითხა:

„ნოდარ!

მე მინდა გნახო ხვალ, სალამოს. შენ მეგობარ თინასთან ერთად მოდი...
 აუცილებლად მოდი. იცოდე, დიდი საქმე მაქვს და მაშინ გაგაგონებ.
 ეთერი“.

ნოდარი აენთო. მაგიდას მიუჯდა, თვალს არ უჯეროდა, რომ ეს ეთერის
 ბარათი იყო, და ერთხელ კიდევ გადაიკითხა.

ცოტახანს გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან. ბარათი გაშალა, დაიღო წინ
 და კვლავ დააჩერდა. შემდეგ ფრთხილად აიღო კალმისტარი, ოდნავ შეუკუმან-
 და, მაგრამ ბარათს მაინც წააწერა:

„არ შემიძლია!

ნოდარ ხურციძე“.

შემდეგ მისწერა წერილები მშობლებს, ნაცნობებს და ამხანაგებს და გვიან
 ჩაწვა ლოგინში.

არ ეძინებოდა. ეთერზე ფიქრობდა: სწორედ მოიქცა თუ არა ეთერის მი-
 მართ, როცა მის ბარათს ასეთი უსულგულო წარწერა გაუკეთა?..

შემდეგ მოსკოვში გამგზავრებისას მეგობრებთან გამოთხოვების შესახებ
 ფიქრობდა: ასე წარმოუდგა, თითქოს ამიერიდან ბევრ მისთვის საყვარელ ად-
 გილს და ადამიანს ვერასოდეს ვეღარ ინახულებს... და ამ გრძნობამ კავკასიონის
 მთის კალთებზე გადაისროლა. სულ ათიოდე დღე იყო გასული, რაც მწვერ-
 ვალზე ამსვლელთა სტუდენტების ჯგუფი დაბრუნდა. ამ ჯგუფში ნოდარი,
 რევაზი და მაროც შედიოდა. ნოდარს თვალწინ წარმოუდგა ის დიდებული სუ-
 რათი, მოაგონდა რევაზის წინათგრძნობით გამოწვეული გულაჩუყება.

მშვენიერი, წყნარი ამინდი იყო, ბუნება თითქოს ისვენებდა. ხშირი ტყე-
 ბით ფრთებდამძიმებული მთებიც სდუმდნენ. ამ დღემილს არღვევდა მხოლოდ
 მარადიული შხელილი მდინარისა, რომელიც არასოდეს სუნთქვას არ აჩერებს.

საკმაოდ ციოდა.

ნოდარმა და რევაზმა საწოლი ერთად მოაწყეს. მარო ქალების ჯგუფმა
 ქმართან არ გაუშვა.

რევაზი გვერდში მიუწვა ნოდარს და ცას მიაჩერდა. შორეული ვარსკვლა-
 ვები ფერ-მიხდილად მოსჩანდნენ მთვარიან ღამეში:

— ძმაო!

— რა იყო, რევაზ?

— მინდა შენთან ვიყო განუყრელად.

— იყავ, რა გიშლის მერე? — სიყვარულით მიუგო ნოდარმა.

— არა, გული მეტუნება, რომ შენ შორს წახვალ და ეს მაფიქრებს. მაშინ
 გაგშორდებით ერთმანეთს. გული მტკივა...

— ვინ იცის, რევაზ, იქნებ მე კი არა, შენ წახვიდე შორს და მე დამტო-
 ვო. მაგრამ რას ნიშნავს, რევაზ, შორს? სიშორე ჩვენში აღარ არსებობს, ჩვენ
 ყველანი მახლობელნი ვართ. შორს წასვლა დაშორებას ვერ გამოიწვევს, გუ-
 ლით მაინც ერთად ვიქნებით.

— ვიქნებით, ძმაო, მაგრამ მაწუხებს, რომ ყოველ დღე ვეღარ ვნახავთ
 ერთმანეთს.

— ვნახავთ, ძმაო, ვნახავთ! — მიუგო ნოდარმა.

არ იმზნევედა, მაგრამ გული აუტოკა მეგობრის სიტყვებმა და სიყვარულის ცრემლი მოაწვა თვალებზე. ერთბედ ქვეშ მყოფთა სიბზლოვე ურთიერთგაგება იყო მიზეზი ამ სიყვარულისა.

„ახლო მძაც არის, დედაც, შამაც — ყველაფერია. ათი ათასი კილომეტრის იქით, ვინ იცის, ეგებ უფრო მახლობელი გული ნახოს ადამიანმა“, — გაიფიქრა ნოდარმა, დახუჭა თვალი და ჩაეძინა.

17.

მეორე დღეს გულმა არ მოუთმინა ნოდარს და დილით ადრე ქარხანაში წავიდა. მუშები გულთბილად შეხვდნენ:

— წაეა და მთლად დაგვივიწყებს.

— არა, ეს ჩვენი ბიჭია და მუშურ გზას არ დაჰკარგავს.

— იქაც ხომ ჩვენს საქმეებს გააყეთებს და ასე სჯობია!

მსჯელობდნენ მუშები.

ნოდარმა, დირექტორის განკარგულებით, რეეაზს გადააბარა სამოდელო საამქრო.

რეეაზი ხასიათზე არ იყო, არც უნდოდა ნოდარის თანამდებობა მას დაეჰქირა, მაგრამ ნოდარმა იმით ანუტეშა, რომ ეს დროებითი ამბავია, ჩქარა დეზბრუნდები და ისევ შეტყველიო.

რეეაზს ეს არა სჯეროდა. მუშაობის გადაბარების დროს ხმას არ იღებდა, მხოლოდ თავს იქნევედა თანხმობის ნიშნად.

იმავე დღეს ნოდარის პატივსაცემად ილიამ სადილი მოაწყო და ნოდარის ოცამდე ამხანაგი მიიპატიჟა.

სალამოს ხუთ საათზე მიპატიებელი ამხანაგები ილიას პატარა ბაღში შეგროვდნენ. ცხელოდა. ილია ზის ძირას მივიდა. ონკანი მოუშვა და მთელი ბაღი მოასხურა.

დასველებულმა ამხანაგებმა ერთი ხმაური და სიცილ-ხარხარი ასტეხეს, ხოლო ილია არხენად იდგა ზის ძირას და გამარჯვებული კილოთი ამბობდა:

— ეს ჩემი სურპრიზი გახლავთ, ყველამ დაიწყეთ გამომგონებლობა და განა ილია ნაკლები გამომგონებელი გეგონათ?

ილიამ სწორედ ისეთი დრო შეარჩია, როცა ბაღში მარტო კაცები იყვნენ, ხოლო როცა ხმაური ატყდა, ჟივილ-ზივილი, ქალებიც გამოცვიდნენ.

— ხედავ, როგორ გააგრილა უეტრად ბაღი! — იძახდა ერთი.

— მართლა, რომ გამოგონებდა! — ამბობდა მეორე.

მცირე ხნის შემდეგ გაგრილებულ ბაღში გაშლილ სუფრასთან შოგროვდნენ ყველანი, მაგიდას მიუსხდნენ.

ნოდარის გვერდით ცალ მხარეს ილია და კატო იჯდა, მეორე მხარეს — რეეაზი, მარო, თემური.

საყვარელი ადამიანებით გარშემორტყმული ნოდარი სიხარულს გრძნობდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, აგონდებოდა აუცილებელი გამგზავრება. და ეს ორმაგი გრძნობა ერთმანეთს ებრძოდა.

ყველანი, რომლებიც ეხლა მაგიდას შემოსხდომოდნენ, აქ რჩებოდნენ. მარტო ნოდარი შორდებოდა ამ თბილ, შერჩეულ წრეს და გული სწყყდებოდა.

მაგრამ ზოგჯერ მომავალი შესაძლებელი გამარჯვების ნაჭურჭელი ვაიელ-
ვებდა ხოლმე.

თითქმის ყველა სადღეგრძელო ნოდარს დასტრიალებდა. ^{ნარჩენული}
იმდენი ქება-დიდება შეასხეს, რომ არ იცოდა, როგორ დაეღწია თავი. მით
უფრო, რომ ყოველივე ეს მეტის-მეტად გადაჭარბებულად, ნადრევად მიიჩ-
ნდა.

მგრძნობიერი სიტყვა სთქვა ილიამ. თითქოს პირდაპირ გულიდან ისმისო
მისი სიტყვები.

თვალში ცრემლის მოწოლა რომ იგრძნო, ცოტა ხნით შესწყვიტა სიტყვა,
ბოლოს დაასკვნა:

— ხომ გუუბნები, თავიდანვე გუუბნებოდი და, როგორც სჩანს, მართალი
ეყოფილვარ, რომ შენ ჩვენი მუშების გულიდან ამოიზარდე. მაშ, იცოცხლე და
გავიმარჯვოს!

სხვებმაც წარმოსთქვეს სიტყვები.

ბოლოს შეესათვალეზიან კატოსაც სთხოვეს ეთქვა რამე და მანაც თავის
სიცოცხლეში დღეს პირველად აიღო სიტყვა:

— ჩემს თვალებს არავინ ზედავს, მაგრამ... გული მინდა გიჩვენოთ, — და-
იწყო კატომ: — თვალების სიბნელე, ეს ძველი დროის სიბნელეა, შეილებო.
იმ ძველი დროიდან თვალეზში სიბნელე გამომატანეს, მაგრამ გულმა მაინც
ნახა სინათლე. მე ლეინოს არ ვსვამ, შეილებო, მაგრამ თქვენთან ერთად დღეს
სიხარული მინდა დაეღიოს. ვგრძნობ, აწი სიხარული ჩვენი არასოდეს არ დაი-
ლევს... ნოდარი მიდის, ილიას ცრემლი მოერიდა, მე კი არ მინდა ცრემლი!

— ვაშა, ვაშა! — დაიძახეს აქით-იქიდან და ტაში შემოპკრეს.

კატომ სიტყვა განაგრძო:

— ჩვენ გვიძნელებს: შეილი ჩვენი, გვშორდება, მაგრამ განა ნოდარი
მარტო ჩვენი შეილია? დიდი საშობლოს ყოველი კუთხე ჩვენი ოჯახია, სისხ-
ლია ჩვენი, ამიტომაც ნოდარი მიდის და არა გვშორდება. ჩემი სათვალეზიდა-
ნაც კარვად დავინახავ, სად იქნება იგი და რას გააკეთებს. მე ვიგრძნობ ამას,
რადგან ჩვენია, ჩვენი ლეილია. გზა მათელი მოგცეს, შეილო! სიხარული არ
შოგაკლდეს! — სთქვა, ნოდარს მოეხვია და გადაპკოცა.

თავის მხრივ აღელვებულმა ნოდარმა დაპკოცა კატო, ეს მუდამ წყნარი,
უენო მოხუცი, რომელიც დღეს თითქოს მეორედ დაიბადა და ენა ჩაიდგაო.

არავინ არ ელოდა კატოსაგან ამას, თითონ ილიაც კი ვერა სცნობდა კა-
ტოს. იმ აღამიანს, რომელთანაც მთელი ოცდახუთმეტი წელიწადი იცხოვრა.

ჭალები იცრემლებოდნენ, თანაც იციხოდნენ, ზოლო კაცები გაცხოველე-
ბით უკრავდნენ ტაშს და „ვაშას“ ძახილს არ ათავებდნენ.

— კატო, მომხედე ერთი! — მიმართა ილიამ და როცა კატომ პირი იბრუ-
ნა, მაგრა გადაპკოცა.

ახალი აღფრთოვანების ტალღა აგორდა ირგვლივ და საერთო ზეიმად
გადაიქცა.

— თქვენ გიხარიათ, ამბანაგებო! — დაიძახა ილიამ — განა მე ბედნიერი
კაცი არა ვარ? ჩემი ბებრუხანის პირიდან ნახევარმა საუკუნემ დღეს ერთად
ამოიძახა, მოდი და ნუ იხარებს თქვენი ილია!

ისევე ახალი აღფრთოვანება და აღტყინება.

ნოდარის ახლო ამხანაგებიდან მხოლოდ რევაზმა ვერ შესძლო სიტყვის თქმა: რამდენჯერაც ჭიქას მოჰკიდა ხელი და შეეცადა ეთქვა: „*მეცაა მომდენ-ჯერ ენა დაება და ყელი ვაუშრა.*“

ქალებმა პატეფონი გამოიტანეს, ბიჭები აიყოლიეს და ციკვა დაიწყეს. ცოტა ხნის შემდეგ ბიჭებმა სიმღერა დააგულუნეს. ქალებიც აპყვნენ და მალე მშობლიური, ძვირფასი ხმებით ააყეს ბავი.

ერთმა ქალმა გიტარაზე „წითელი მესაზღვრის სიმღერაც“ დაამღერა:

„მე გამომყვა დედის გული,
 დიდის გრძნობით ანთებული,
 და სამშობლოს სიყვარული
 მაქვს სისხლშიაც გადასული.
 სულში დაღვა გაზაფხული,
 სიხარული არნახული, —
 მოსჩანს მთები, როგორც გული,
 და ველები გადახნული.
 ჩემო დედავ, ო, ძვირფასო,
 მტერს არ ვზოგავთ, ლაზვარს ვასობთ,
 დიდ ქარტიის თითო ასო
 სიოცებლზე მეტად ფასობს.
 ჩვენ ვიმღერით, გულით ეხარობთ,
 გავიძახით: ვაშა სტალინს!
 გფიცავთ, მტერმა ვერ გასვაროს
 ჩვენი მიწის სუფთა ტანი!“

იგრილა ტაშმა და ყველას თეატლებში სამშობლოსადმი სიყვარულის უდიდესი შეჭი აინთო...

ხალხი დაიშალა. ნოდარიც თავის ბინისკენ წავიდა მარტო.

შორიდან დაინახა თავისი ბინის გაჩირალდებული ფანჯრები და გულში გაივლო: „*ოჰ, შე ეშმაკო, თემურ, ამისათვის გაიპარე სუფრიდან!*“

მან უკვე შედგა ფეხი სახლის ჯერ კიდევ ჩაბნელებულ შესავლის კარებში, როდესაც ვიღაც მოხრილი, წერწეტი კაცი დაეწია და შეერად ვეებერთელა დანა აღმართა.

ნოდარი ვერ ზედავდა მას. ის იყო წერწეტი კაცს დანა უნდა ჩაეცა ნოდარისათვის, რომ ვილაცამ შესძახა:

— გააგდე დანა!

წერწეტმა კაცმა პირი იბრუნა და რევოლვერის ტუჩს კი მიაჩერდა. შეკრთა, გაქცევა დააპირა, მაგრამ გვიან იყო. უცბად მოეშვა.

— ეინა ხარ? — მიიძახა წერწეტმა კაცს უკან მიბრუნებულმა ნოდარმა და მიაჩერდა. — შენ ხომ სევასტი ხარ, რა გინდა აქ?

ამ დროს სევასტის ხელიდან დანა გაუფარდა, დანა აიღო იმან, ვისაც რევოლვერი ეჭირა, და ნოდარს უთხრა:

— გეპარებოდა, ვიცით, ვინც ბრძანდება, — სთქვა უცნობმა და სევასტის უკან ამოუდგა: — გასწი! — მიიძახა მრისხანედ და წერწეტი კაცი წინ გაიგდო.

ნოდარი მხოლოდ ახლა გაერკვა: მის გონებაში ელვის სიბწროვით გაირბინა ნადირობის დროს სევასტის მიერ რევაზის დაჭრის ამბავი. ბევრმა რამ, რასაც „შემთხვევას“ უწოდებდნენ.

— მაგრამ, ნეტავი, ის ვილა იყო, — გაფიქრა ნოდარმა, — იარაღი რომ დაადებნა და წაიყვანა?

ნოდარი მიბრუნდა, სწრაფად აირბინა კბე და მეორე სართულში თავისი ბინის კარები დააკაუნა.

თემურმა ვაულო კარი. გაფითრებულ ნოდარს რომ შეხედა, გულმა რჩხი უყო.

— რა მოხდა, ნოდარ?

ნოდარს ხმა არ გაუცია, მაგიდასთან მიიქრა და როცა იქ თავისი ნახაზები იპოვა, შევებით ამოისუნთქა.

— არაფერია, თემურ, არაფერი, — მხოლოდ ახლა უპასუხა თემურს და ტელეფონის მილი აიღო. გოგისთან დარეკა: — გოგი, შენა ხარ? შემოსასვლელ კარებთან სევასტი ქირაძემ უკანოდან დანით შეპარებოდა. გააგდე დანა! — მომესმა ხმა და მივიხედე, სევასტის დანა გაუფარდა. მასთან იდგა ვილაც უცნობი რევოლვერით ხელში. ამ უცნობმა წაიყვანა... ნახაზები? აქ არის. კარგი, რომ ისინი არ გაიტაცეს...

მილი ჩამოაკიდა და დამძიმებული ნაბიჯით თემურს მიუახლოვდა.

— იცი, ნოდარ, — მიმართა თემურმა: — მე რომ მოვედი, კარებთან ვილაც მაღალი, გამხდარი კაცი დამღვარიყო და, მგონი, ალებდა ჩვენს კარებს. გასაღების ჩხარუნი მომესმა და კბეზე რომ ამოვირბინე, ის კაცი ქვევით დაეშვა.

— რას ამბობ, თემურ? — დაიძახა ნოდარმა.

— მერე ვინ არის, რა უნდა? — იკითხა თემურმა.

— დიახ, ქურდი, მაგრამ უფრო საძაგელი! — უპასუხა ნოდარმა, — ვინც მე სასიკვდილოდ შეპარებოდა, შენც ის შეგხვედრია, ალბათ. აი, ეს ნახაზები უნდოდა და ჩემი სიკვდილი, მაგრამ ვერც ერთი ვერ შესძლო.

— მერე ვინ არის, რა უნდა? — იკითხა თემურმა.

— მტერი, თემურ, რა უნდა? — ჰკითხა და სკამზე დაეშვა: — ჩვენი მოსპობა.

თემურს ხმა აღარ ამოუღია.

იმავე საღამოს ბევრმა ამხანაგმა ინახულა ნოდარი, ნოდარმა მომხდარი ამბების შესახებ ყველას არ უამბო, მაგრამ ვინც გაიგო, შეშფოთებული სტოვებდა ოთახს.

•
•

მეორე დღეს, შეადღისას, როდესაც ნოდარი უკვე მზად იყო გასამგზავრებლად, მასთან ბინაზე მივიდნენ გოგი და გურამი. მათ თვალეში რალაც ახალი წაიკითხა ნოდარმა:

— გოგი, კიდევ ხომ არაფერი მომხდარა ახალი?

— ბევრი არაფერი, — საქმიანად მიუგო გოგომ, — დღეს სიკოც ზედ მიაყოლეს სევასტის. ალბათ, უკანასკნელი კუდებია. შენ ხომ მზადა ხარ, ნოდარ?

— შხადა ვარ, გოგი! — მიუვო ნოდარმა. — მაშ მიდიან? ეგრე, წავიდნენ მოგვეშორდნენ.

— შენ საქმეს მიხედე, ნოდარ, და მაგათ ჩვენ მოუყვარე! გურამმა და ბარგის შეყვარაში მიეშველა.

ახლო მეგობრები იმ დღეს რკინიგზის სადგურზე დიდის სიყვარულით გამოეთხოვნენ ნოდარს.

დაიძრა მატარებელი. ნოდარი ფანჯრიდან უყურებდა საყვარელ ადამიანთა პატარა ჯგუფს, რომლებიც ხელებს და ცხვირსახოცებს უქნევდნენ მას. აგერ თინა, თემური, ილია, გოგი, გურამი...

უკვე მიეფარა მატარებელი.

თბილისი თითქოს მისცურავდა მისგან შორს, ლაგვარდ ცისაკენ მიიჩქაროდა. და რამდენი სიყვარული რჩებოდა იქ...

ახლა მან ახმაურებულ ორთქმავალს გააჩხედა წინ. მიდის, მიიჩქარის მატარებელი რევოლუციის დედაბურჯისკენ, ადამიანთა კულტურისა და სიმართლის ცენტრისაკენ. რამდენი სიახლოვე და სიხარულია იქ. იქ არის სტალინი, დიადი სტალინი, ადამიანთა სინდისისა და იმედის ჩაუქრობელი ჩირაღდანი. იქ არის ლენინი, მძინარე ლენინი, რევოლუციის პირველი მამა.

18.

რამდენიმე დღის შემდეგ ნოდარი უკვე მოსკოვში უდიდესი ინტერესით ათვალიერებდა ყოველ სახლს, ყოველ ქუჩას, ადამიანებს.

მძიმე მრეწველობის სახკომი იქ არ დახვდა და მხოლოდ ორიდღის შემდეგ დაბრუნდა და ნოდარიც იმავე დღეს მიიღო.

უკვას მდივნის ბარათის წაკითხვის შემდეგ ნოდარმა გააცნო სახკომს თუ რა მიზანს ისახავდა ის და როგორია მისი ნახაზები. სახკომის თვალეში ნოდარმა თანაგრძობის შუქი შენიშნა. მან ნოდარს უთხრა:

— ახლაგაზრდავ, თუ ეს გამართლდა, შენ ერთი უდიდესი მეცნიერი იქნები საბჭოთა კავშირში და მთელს ქვეყანაზე. ეს უბრალო გამოგონება კი არა, უდიდესი აღმოჩენა იქნება.

ნოდარმა კარგად იცოდა, ვინ იდგა ახლა მის წინაშე, ამიტომ დიდი განცდებით იყო შეპყრობილი. ღელავდა, მაგრამ მას არ ამელავებდა.

— ამხანაგო სახკომო! — მიმართა მას ნოდარმა. — არა მგონია ვცდებოდე, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მანქანა ამუშავდება.

— ვისურვებთ წარმატებას! — სიხარულით მიუვო სახკომმა. მერე გამოუძახა თავის შოადგილეს, გააცნო ნოდარი და უთხრა: — სერიოზული საქმეა, გთხოვთ გულდასმით განიხილოთ!

ამის შემდეგ იქვე მოილაპარაკეს და ნოდარის ნახაზების შიხედვით ამ უცნაური მანქანის ნაწილები სხვადასხვა ქარხანას გაუწავილეს.

სახკომმა იქვე დანიშნა კომისია, რომელსაც ნოდარის ნახაზები უნდა განეხილა:

ნოდარი მეტად კმაყოფილი დაბრუნდა ბინაზე და დიდხანს მძიმე მრეწველობის სახკომთან შეხვედრის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა: რამდენი უბრალოება, ადამიანურობა სჩქედდა ამ დიდ ადამიანში, რა დიდი გული აქვს მას! ნოდარი მიდი-მოდიოდა ოთახში. რომელიც მეშვიდე სართულზე იყო მოთავსებული. ფანჯრიდან თითქმის ნახევარ მოსკოვს ხედავდა.

— აგერ, რა ახლოა კრემლი, სადაც დიდი სტალინი დიდ ნაქმერს ჰქმნის. მახლობლად ლენინის აკლდამაა, რომელიც ნოდარმა გულში ნახა, რადგან ერთი შეხედვით გული ვერ იჯერა, გავიდა გარეთ, მეორედ ჩაღვარებულს უკან ერთხელ კიდევ შეაგლო თვალი კაცობრიობის კულტურისა, სიბრძნისსა და სამართლის მწვერვალს. წამოვიდა, მაგრამ ლენინის მშვიდად ჩაძინებული ნათელი სახე გულში ჩაჩანა სამარადისოდ.



სამი დღის შემდეგ შიმშილს მრეწველობის სახალხო კომისიის მოადგილესთან მოხდა კომისიის პირველი სხდომა, რომელსაც ნოდარის ნახაზები უნდა განეხილა.

ნოდარმა მანქანის ნახაზები გააცნო კომისიას და რომ დაასრულა, უდიდესი სიხუმრე ჩამოვიარდა.

პირველად ნოდარს მიაჩერდნენ, შემდეგ ყველამ პირი შუა ადგილას მჯდომ მოხუცის სახისკენ იბრუნა.

მოხუცებ სდუმდა, ქალღმერთით თეთრ წვერზე ხელს ისევამდა და თავის მხრივ ოდნავ წამოწითლებულ ნოდარს მისჩერებოდა. კომისიის ორ წევრს მიეცა სიტყვა ნოდარის ნახაზების შესახებ. ერთი იყო გამხდარი, შუა ხნის სათვალე-ბიანი სპეციალისტი. ის ამტკიცებდა, რომ ნოდარის ნახაზები შემცდარია და მისი მანქანა მუშაობას არ დაიწყებსო. მეორემ დადებითი აზრი გამოსთქვა. კომისიის თავმჯდომარემ მოავონა კრებას, რომ ნოდარის ნახაზების მიხედვით მანქანა უკვე მზადდება. ხოლო მას სურდა სპეციალისტების აზრი სკოლნოდა წინასწარ.

სახკომის მოადგილის ამ განცხადების შემდეგ მოხუცმა პროფესორმა აიღო სიტყვა. ძალიან ფრთხილად ლაპარაკობდა, განმარტავდა ნოდარის ნახაზების ზოგიერთ დეტალს, ბოლოს დაასკვნა:

— დიახ, ასე ვფიქრობ მე, მაგრამ ჯერ კიდევ გადაჭრილ პასუხს ვერ გეტყვით. მიუხედავად ამისა, მე მაინც მგონია, რომ ახალგაზრდა ინჟინერის მანქანა ამუშავდება. დიახ, ოგი ამუშავდება და მაშინ გამარჯვებაც უჩვეულოდ დიდი იქნება...

ამით დაასრულა სიტყვა.

ნოდარი ოფელში იწურებოდა, თავის ნამუშევარზე არა მარტო უარყოფითი, — დადებითი აზრით ალელეებდა: როცა უარყოფითად ლაპარაკობდნენ, ან ექვემდებარებოდნენ, სირცხვილის გრძნობა იპყრობდა, როცა შეაქებდნენ და მის ნამუშევარს უდიდეს აღმოჩენას უწოდებდნენ, ენთებოდა, გული სიხარულით ეკუმშებოდა.

მთელი რიგი შენიშვნები ჰქონდა ჩაწერილი და ბოლოს ამ შენიშვნებზე ილაპარაკა.

მოხუცი პროფესორი გააოცა ნოდარის მოხდენილმა პასუხმა და აზრის სიმკვეთრემ. მისი თვალეები გაკვირვებასა და სიხარულს გამოხატავდნენ.

ხუთი საათის სჯა-ბაასის შემდეგ კომისიის წევრებიდან სამი იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ ნოდარის ნახაზების მიხედვით გაკეთებული მანქანა ამუ-

შედეგად, ერთი, გამხდარი, სათვალეზიანი სპეციალისტი საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამდა, ხოლო ორმა თავი შეიკავა.

ასეთი შედეგით დასრულდა კომისიის პირველი სხდომა. მოხუცი პროფესორი ახლო იდგა და ბინისაკენ ფეხით წავიდა. მარტო მიდიოდა თავჩაქნდრული. მთელი გზის მანძილზე ახალგაზრდა ინჟინერის ნახებზე ფიქრობდა.

„რა მოხდება მაშინ, თუ მართლა ამუშავდა მანქანა? — შეეკითხა ის თავის თავს. — ეს ხომ უდიდესი საქმე იქნება. ჯერ კიდევ არ შეიძლება ყველაფერი იმის გათვალისწინება, რაც შეუძლია მოგვეცეს ამ აღმოჩენამ. მოვხუცდი კაცო, რამდენი ჩემისთანა მოხუცდა კიდევ, მაგრამ ასეთს აღმოჩენიდან ძალიან შორს ვლგვეართ. ახალგაზრდა კი მოდის და ერთბაშად იგონებს, მოდის ნიჭი და კულტურა. რა შეაჩერებს, რა ალუღდება ამ უტეხ ძალას? რამდენი ასეთი ახალგაზრდა შევიდა მეცნიერების ცხრაკლიტულში, ვინ იცის, კიდევ რამდენი შევა და რას მიღწევს?“

იმ დამეს ბინაზე გვიან მისული ნოდარი ძილზე სრულიად აღარ ფიქრობდა. ვახურებულ შუბლზე სველ ხელს ისვამდა, მიდი-მიდიოდა.

ბოლოს, გაღებულ ფანჯარასთან მივიდა, რაფას დაეყრდნო და ნახევრად ჩაძინებულ ქალაქს გახედა.

ახლა სულ სხვა გვარი იყო მოსკოვი. მრავალფერად გაჩირაღდებული ქალაქი ზღაპრული წიგნით იყო გადაშლილი. ყოველ სახლსა და ყოველ ქუჩას თავის საკუთარი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ ყველა ესენი ერთ მთლიანს წარმოადგენდნენ. და მისი აქ ყოფნაც ხომ ზღაპარია. რას განიცდიდა ამ რამდენიმე წლის წინად, როცა მტრის ხელში იყო და ყოველ წუთს სამარცხენო სიკვდილს მოელოდა? სად არის და რას განიცდის ახლა?

სათვალეზიანი კაცის მწარე სიტყვები გულს უსერავდა, მაგრამ მოხუცი პროფესორის იმედიანი სიტყვები აგონდებოდა და ეს ახარებდა. და ეს ორმაგი განცდა ზღვის ტალღის მიმოქცევისასავით ეხეთქებოდა მის გულს აქეთ-იქიდან.

ბოლოს, ნოდარმა იგრძნო, რომ თვალები ეხუტებოდა, მოშორდა ფანჯარას, მისდო თუ არა თავი ბალიშზე, წამსვე დაეძინა.

19.

ორი თვე გავიდა.

ციოდა, თოვდა, ყინავდა.

მოსკოვი თეთრად იყო გათოშლილი.

ყოველ დღეს უფრო მეტი სიცივე და სუსხი მოჰქონდა.

ნოდარი კვლავ მოსკოვში იყო.

ამ ორი თვის განმავლობაში მან ბევრი რამ ნახა, უკვე დაახლოებით წარმოადგენა ჰქონდა მოსკოვზე, მისი კულტურის მთავარ კერებზე. გაეცნო მუზეუმებს, სამხატვრო გალერეას, ინსტიტუტებს, თეატრებს და ყველა მნიშვნელოვან სამრეწველოს.

დღევანდელი დღე შესაძლოა გადამწყვეტიც ყოფილიყო ნოდარისათვის. ჩვეულებრივზე აღრე მიატოვა საწოლი და ტანთ ჩაიცვა. ღამე კარგად არ სძინებია, რადგან სულ ამ გათენებაზე ფიქრობდა და ვერ ისვენებდა: ან სრული გამარჯვება, ან მარცხი და თავის შერცხენა.

სალამოზე თავი უნდა მოუყარონ მის მანქანის უკვე მზა ნაწილებს და გულის ფანქვალით მოისმენს ყველა: სულს ამოიდგამს თუ არა მანქანა, შევა თუ არა იგი ცხოვრებაში?

ის ახლაც გადაწყვეტით ფიქრობდა: მანქანა აუცილებლად უნდა ამუშავდესო, მაგრამ თავის თავს ბოლომდე ვერ ენდობოდა, სანამ ხორცშენახულ სინამდვილეს საკუთარის თვალთ არ ნახავდა.

საათს დახედა, ჯერ კიდევ აღრე იყო.

მოუსვენრად დადიოდა ოთახში.

ბოლოს, მაგიდაზე მიყრილი მეგობრებისა და მოკეთების მიერ მონაწერ ბარათებს შეასწრო თვალი. მივიდა, რამდენიმე ბარათი ამოაჩია და კითხვა დაიწყო.

მამის წერილიდან მეორედ გადაიკითხა შემდეგი ადგილი:

„ჩვენნი საქმე წინ მიდის, შვილო, სოფელს მხრები გაუგანეირდა, კოტემ კოლექტივში სტახანოვეური მუშაობის გმირობა გამოიჩინა და ორდენით დაასაჩუქრეს. ბორჯომის რაიონში კიდევ ერთმა კოლმუშურნე ქალმა მიიღო ორდენი. ტარიელისა და გიორგის ამაღლება უნდოდათ, სთხოვეს, რაიონში გადმოდიოთ სამუშაოთო, მაგრამ მათ უარი განაცხადეს: რამდენადაც მაღლდება სოფელი, იმდენად ჩვენც ვმაღლდებით და მეტი ამაღლება აღარ გვინდაო, — მიუგეს მათ. რაიონს გაეციან და ასეთი მოსწრებული პასუხისათვის ორივე დაგვიტოვეს სოფელში“.

ნოდარმა ბარათი დასდო, სიხარულით გულავსებულები სოფელს იგონებდა.

კედლის საათმა მოაგონა დროს არსებობა. უკვე დრო იყო: უნდა წასულიყო და დაშნადებული მანქანის ნაწილები თვითონ გაეხინჯა.

ამ დროს ტელეფონის ზარი მოისმა. მიიბრინა. მძიმე მრეწველობის კომისარიატის მთავარი ინჟინერი აცნობებდა, რომ მანქანა გამოვგზავნე და ახლავე მოდიოთო.

ლიფტს არ დაუცადა. ასე ეგონა, უფრო ჩქარა ჩავირბენ კიბესო, მაგრამ მოსტყუვდა. ლიფტი დაეშვა, ის კი ჯერ კიდევ ჩაბოდა ქვემოთ.

ჩაეიდა. ჩაჯდა აეტოში. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის კარებში კომისიის ერთ-ერთი წევრი, კომისარიატის მთავარი ინჟინერი შეხვდა და იმავე მანქანით ქარხნისკენ წაეიღნენ.

მათ წინაშე ახალი მანქანის ნაწილები იყო. როდესაც ნოდარმა გასინჯა, წამოწითლებული სახით მიუბრუნდა მთავარ ინჟინერს და წყნით უთხრა:

— ეს მანქანა არ იმუშავებს!

— არ იმუშავებს?! — შემკრთალი შეეკითხა მთავარი ინჟინერი და თვალები დააცეცა.

— ყველა ნაწილი სწორად არ არის დაშნადებული, — მიუგო ნოდარმა. — მომეციოთ ნება, მე თითონვე ვუხელმძღვანელოო.

— არა, მოითმინეთ... — დაბნეულად სთქვა მთავარმა ინჟინერმა, — დღეს სალამოთი მაინც უნდა გავსინჯოთ, თორემ...

— ეგ შეგიძლიათ, მაგრამ მანქანა არ იმუშავებს.

მთავარი ინჟინერი შეწუხებული მიდი-მოდიოდა, უსიამოვნოდ იქნევდა ხელს და რაღაცაზე თავისთვის ჯავრობდა.

ამ დროს საიდანღაც გაჩნდა კომისიის გამხდარი, სათვალეებიანი წევრი, რომლის დანახვაც ნოდარს ხასიათს უფუჭებდა. ეს კაცი სძულდა კიდეც.

„ვინ იცის, — ფიქრობდა ნოდარ, — ეგებ ეს კაცი მართლაც მართალია მერად უნდა შევიძულო?“

მაგრამ არ იქნა, თავი ვერ დაიმორჩილა და იმ კაცისადმი სიძულვილი ვერ მოიშორა.

ახლაც ის შეეფეთა და თავისი უსიამოვნო სახით ნოდარი უფრო გააბრაზა.

— ხომ კარგია? — იკითხა მან, — ნაწილები ხომ მოგეწონათ?

ნოდარმა არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ მთავარი ინტენერი მივიდა ახლად მოსულთან და ხმამაღლა უთხრა:

— არ ვარგა არაფრად!

— როგორ თუ არ ვარგა?! — გაიკვირვა სათვალეებიანმა კაცმა. ეგ მართალი არ არის.

— დღეს გასინჯვა ჩაიშლება, ნიკოლოზ პეტრეს-ძე, — მიმართა მთავარმა ინტენერმა სათვალეებიან კაცს.

— როგორ თუ ჩაიშლება? — გაიკვირვა მან. — არა, გასინჯვა აუცილებლად დღეს უნდა მოეწეოს. ბოლოს და ბოლოს ხომ არ გადაეცეებით ამ საქმეს? ეგებ სულ ფუჭი რამ არის და არ უნდა ვიცოდეთ?

ნოდარი ორი ნაბიჯით მიუახლოვდა ნიკოლოზ პეტრეს-ძეს და მტკიცედ უთხრა:

— მაპატივეთ, ნიკოლოზ პეტრეს-ძე, მაგრამ თქვენთვის ეს საკითხი კომისიის პირველსავე სხდომაზე ნათელი იყო. თქვენ შეგიძლიათ მოაწყოთ გასინჯვა დღესვე, მაგრამ ვაცხადებ, რომ მანქანა არ იმუშავებს.

— არ იმუშავებს?! — ნაძალადევი ღიმილით გაიმეორა ნიკოლოზ პეტრეს-ძემ. — თქვენ მართალი ხართ, ჩემის აზრით, თქვენი მანქანა შემდეგშიაც არ იმუშავებს და რაც ადრე მოვრჩებით ამ ზედმეტ საქმეს, მით უკეთესი იქნება!

— მოითმინეთ! — ჩაერია მთავარი ინტენერი და ნოდარს მიუბრუნდა: — დაწყნარდით, ნოდარ. ვაგსინჯოთ, ვნახოთ, ამით არაფერი არ ვაფუჭდება.

— თქვენი ნებაა, — უფრო დამშვიდებით მიუგო ნოდარმა. — ჩემი აზრი თქვენ უკვე იცით.

— კარგი, — უთხრა მთავარმა ინტენერმა, — ახლა წავიდეთ და სალაშოთი შევიკრიბოთ.

ნოდარი ავტოში ჩაჯდა. მთელი გზა ხმა არ ამოუღია.

— ნუ დარდობ, მეგობარო, — ამხნევებდა გზაში მთავარი ინტენერი — ჩვენში მართალი საქმე არ დაილუპება.

სახლში რომ მივიდა, მაშინაც კი ესმოდა სათვალეებიანი კაცის მწარე სიტყვები და ამ სიმწარეს ძლივს ინელებდა.

დღეს არაფერი არ უქამია, არც უნდოდა ექამა რამე.

— ჩემი ბრალია! — უსაყვედურა მან თავის თავს: — რატომ ასე მწვავედ განვიცდი ყველაფერს? გულთან მიმაჭვს ყოველი წერილმანი. იმ კაცმა რა დააშავა, თავისი აზრი გამოსთქვა მხოლოდ.

მაგრამ მთელ დღეს ვერ ისვენებდა: დგებოდა, ჯდებოდა, დადიოდა ოთახში, გადიოდა ქუჩაში და ისევ ბრუნდებოდა.

სალამო ხანს, როდესაც ქარხანაში წასვლის დრო მოახლოვდა, კოტაოდენი სიმშვიდე იგრძნო. მანქანის ნაწილების გასინჯვის შემდეგ ეს ტესტიმონილოდინი აღარ იქნებოდა საჭირო და რაიმე გარკვეულ გზაზე დასაძინებელია.

ჩავიდა ძირს, გვიან ისადილა და ნახევარი საათის შემდეგ იმავე ქარხანაში მივიდა.

მუშების დახმარებით ააწყეს მანქანა. კომისიის ყველა წევრი იქ იყო. აწყობილი, რაღაც უჩვეულო ფორმის მანქანა, პატარა, მაგრამ ლამაზი იყო. ნოდარმა განუცხადა კომისიას, რომ ნაწილების უფარვისობის გამო, მანქანა არ იმუშავებსო. მაგრამ ნიკოლოზ პეტრეს-ძემ მაინც თავისი გაიტანა და დენი შეუერთა.

მანქანა მუნჯად იდგა და განძრევას არ ფიქრობდა.

— ხომ ზედავთ?! — დაიძახა ნიკოლოზ პეტრეს-ძემ: — თქვენ არა გჯეროდათ, ამდენი თანხა და დრო დაღუპეთ და არაფერი კი არ გამოვიდა. ბავშვური თამაშია! თავიდან ვამბობდი, მაგრამ არ გჯეროდათ. სანამდის უნდა შევიტყუოთ თავი ამ მოსაწყენი თამაშით? სერიოზული ხალხი ვართ და სათამაშოებით ვერთობით!

— მოიცათ, — მიუგო მთავარმა ინჟინერმა და დენი გამოართო. — ერთხელ კიდევ მიეცეთ ნოდარს საშუალება და შემდეგ ვნახოთ.

— თქვენ როგორც ვინდათ, ისე მოიქცით, მე კი მაგ თავშესაქცევი ამბებისათვის აღარა მცალიან, — სიტყვა ბოლოს ნიკოლოზ პეტრეს-ძემ გაჯავრებით და გარეთ გაეარდა.

მთავარმა ინჟინერმა უთხრა ნოდარს:

— ნება გეძლევათ, ნაწილების დამზადებას თვითონ უხელმძღვანელოთ. რამდენი დღე იქნება საჭირო?

— ხუთმეტი, — მიუგო ნოდარმა.

— კარგი, თანახმა ვარ! — იყო პასუხი და მთავარმა ინჟინერმა დასტოვა ქარხანა.

20.

ხუთმეტი დღის შემდეგ შეიკრიბნენ ისინი. ნოდარმა განაცხადა, რომ მანქანა ახლა აუცილებლად იმუშავებს, რადგან მანქანის ნაწილები ჩემი მეთვალყურეობით დამზადდა, მე თვითონ გავესინჯე მანქანის ყოველი დეტალიო.

კომისიის წევრებიდან მხოლოდ ერთი, — მოხუცი პროფესორი არ გამოცხადდა.

ნიკოლოზ პეტრეს-ძე ჯერ ჩუმად იყო, მერე ერთსა და იმავეს იმეორებდა: — შეიძლება მე შევცდი... დიახ, შეიძლება შევცდი...

ნოდარმა მუშების დახმარებით ააწყო მანქანა. ყველა დაძაბული ინტერესით მისჩერებოდა უჩვეულო მანქანას. ელოდნენ, რა მოხდებოდა.

ყველაფერი მზად იყო უკვე. ხელების თრთოლვით და გულის ფანცქალით მიუახლოვდა ნოდარი ზონარს. მცირე ხანს შეჩერდა, მერე ხელში აიღო საბედისწერო ზონარი, შეუერთა დენს და მიაშტერდა მანქანას.

იქ, მანქანაზე, არავითარი ცვლილება არა ხდებოდა...

ნოდარს მუხლები მოეკცა და იქვე დაეცა. მიეშველნენ აიკინთეს, დაზგაზე დააწვინეს და წყალი მიასხურეს.

ნოდარმა თვალეები გააბილა, არაბუნებრივი გამომეტყველებით მიჩიქრდა იქ მდგომ ადამიანებს, მანქანას და, ყველაფერი რომ მოაჯინდას, შეხტა წამოდგა და გარეთ გავარდა.

— მიხედეთ, პალტო წაუღეთ, ჩააცვით! — გასძახა მთავარმა ინჟინერმა სტეფანე მაქსიმეს-ძემ იქვე მდგომ მუშებს, ხოლო თითონ გაფითრებულმა საამქროში გაიარ-გამოიარა.

დამძარბული იყო. სდუმდა. არც სხეები იღებდნენ ხმას. მხოლოდ ნიკოლოზ პეტრეს-ძის თვალეებიდან გამოერთოდა სიხარული.

— აქ ახალი არაფერი არ მომხდარა! — წარმოსთქვა ბოლოს მან, სთქვა ეს და ქარხნიდან გავიდა.

მას გაჰყენენ დანარჩენებიც. მხოლოდ მთავარი ინჟინერი — სტეფანე მაქსიმეს-ძე დარჩა იქ. მოქანცული ჩამოჯდა მაგიდასთან, ნიკაპზე ხელი შემოიღო და მოწყენილი მიჩიქრდა ლამაზ, მაგრამ უნერ მანქანას.

ოცრა ხნის შემდეგ გაიღო კარი და მოხუცი პროფესორი შევიდა.

— სტეფანე მაქსიმეს-ძე! — გაკვირვებულმა წამოიძახა მან. — მარტო დარჩით?

— დიახ, მარტო დავრჩი, — მოწყენით მიუგო.

— სხეები სად არიან? — საქმე ცუდად დასრულდა, ალბათ?

— დიახ, ცუდად. ვალერი გრიგორის-ძეც. მანქანა არ ამუშავდა, საცოდავი გულწასული დაეცა აქვე. ვინს რომ მოვიდა, უსიტყვოდ გავარდა აქედან.

— უნდა გავიგო, რაშია საქმე, რატომ არ ამუშავდა მანქანა? ნახაზები სწორია. მე აქ უნდა დავრჩე. თქვენ, ამხანაგო! — მიმართა მან იქვე მდგომ მუშას, — ხომ შეგიძლიათ დარჩეთ აქ, ჩემთან?

— თუ საჭიროა, რატომაც არა, — მიუგო ჩაფსკენილმა მუშამ.

— მაშინ მეც დავრჩები, ვალერი გრიგოლის-ძეც — სთქვა მთავარმა ინჟინერმა და ზეზე წამოდგა.

— არა, — გადაწყვეტით მიუგო მოხუცმა: — თქვენ წადით და იმ ახალ-გაზრდას მიხედეთ. — შემდეგ მუშას მიუბრუნდა და სახელი ჰკითხა.

— პროკოფი, პროფესორო! — მიუგო მუშამ.

— კეთილი, ამხანაგო პროკოფი. აქ ხალაით ხომ იშოვება? თუ იშოვება, მომეცით, თქვენ ჩაიცვით. ეს მანქანა უნდა დაეშალოთ.

— არაფერი არ გამოვა, ვალერი გრიგოლის-ძეც: თვითონ ყმაწვილმა გასინჯა და... — კვლავ ჩაერია სტეფანე მაქსიმეს-ძე.

— მიბრძანდით, მიბრძანდით! — შეაწყვეტინა მოხუცმა სიტყვა, ხელი მოჰხვია და მთავარი ინჟინერი კარებში გაიყვანა. — მე თვითონ უნდა დავრწმუნდე, მე თვითონ.

— გემორჩილებით, — მიუგო ბოლოს სტეფანე მაქსიმეს-ძემ და გავიდა.

— აბა, პროკოფი, დამეხმარეთ! — უთხრა პროფესორმა მუშას. — უნდა დაეშალოთ მანქანა, ყოველი დეტალი უნდა გაესინჯოთ...

შეუღდნენ მანქანის დაშლას. ყოველ წვრილმანს სინჯავდა მოხუცი პროფესორი, სწმენდავდა, ხედავდა ცალკეულ ნაწილებს და ნახაზებს ადარებდა...

სწორედ ამ დროს ნოდარი თავის ბინაზე იწვა ლოგინში, მის სწორედ მალ-თან იჯდა მოსკოვში გაცნობილი და ახლა უკვე მეგობარი ალექსანდრე.

— არ ვარგა, ნოდარ, ასეთი დარდი, — არიგებდა იგი ლეონტი მჭედარე მეგობარს.

ის პირველი იყო, რომელმაც ტახტზე პირქვე დამხობილ, აქვითინებულ ნოდარს მიუსწრო.

ნოდარის დიდი ტანჯვა ჰქონდა გამოვლილი, მაგრამ მის თვალებს ცრემლი არასოდეს არ მიჰკარებია. ახლა კი თვითონაც უკვირდა, საიდან მოდიოდა ამდენი ცრემლი.

ღამის სამის ნახევარი იყო, როდესაც ტელეფონი დარეკეს. ტელეფონთან ალექსანდრე მივიდა.

— ვინ გნებავთ? ნოდარი? წევს... კეთილი, გადაცემ.

— ვინ არის? — შეეკითხა იგი. — თქვენ ბრძანდებით, ვალერი გრიგორის-ძე? მანქანა ამუშავდა? რას ბრძანებთ?! — დაიძახა ნოდარმა და სიხარულისაგან მილი ზელიდან გაუვარდა. — ალექსანდრე, ალექსანდრე! — დაიყვირა მან და მეგობარს გადაუხვია. — მანქანა ამუშავდა, მანქანა! ახლავე უნდა წავიდე!

ალექსანდრე გონს ვერც კი მოსულიყო, რომ ნოდარმა ქუდს დასტაცა ზელი და გარეთ გავარდა.

როდესაც ნოდარი ქარხანაში მივიდა, მოხუცი პროფესორი და პროკოფი ტანდაკებებივით გაუნძრევლად იდგნენ და ერთმანეთს მისჩერებოდნენ.

მანქანა ძველებურად ჩუმად იდგა თავის ადგილას და ხმას არ იღებდა. ნოდარი გაფითრდა: ვაი თუ განგებ გამამხნევებსო.

მაგრამ ამ დროს მოხუცმა პროფესორმა მიმართა:

— მომილოცავს მსოფლიო მეცნიერის სახელი! — უთხრა ეს, ხელი ჩამოართვა და გადაჰკოცნა. — ფიცხი ყოფილხარ, ნოდარ სოლომონის-ძე, ცოტა რამ უნდოდა, თქვენ კი დასტოვეთ და გაიქცეთ.

— ძვირფასო პროფესორო! — დაიძახა ნოდარმა და მოხუცი მკერდზე მიიკრა.

ცოტა ხნის შემდეგ მთავარი ინჟინერი და სახკომის მოადგილეც მოვიდნენ. ისინიც უდიდესი სიხარულით და აღფრთოვანებით ულოცავდნენ ნოდარს დიდ გამარჯვებას.

სიჩუმე რომ ჩამოვარდა, მოხუცი პროფესორი, ვალერი გრიგოლის-ძე, მივიდა კედელთან და ზონარით აიღო. უდიდესი ინტერესით მიაჩერდნენ მას, მაგრამ მოხუცი უცხად შეჩერდა.

— არა, — დაიძახა მან და უკან დაიხია, — უმჯობესია ახალგაზრდა მეცნიერმა საკუთარი ხელით შეუერთოს დენი.

— არა, არა! — უპასუხა ნოდარმა, — პირველად თქვენს ხელში ამუშავდა მანქანა, ამიტომ გთხოვთ, პროფესორო!

ნოდარს სხეებიც დაეთანხმნენ და ისევ მოხუცი შეუდგა საქმეს.

ის კვლავ ზონარით ხელში კედელთან მივიდა და ფანჯრისაკენ წასულ მთავარ ინჟინერს გასძახა:

— ნუ მიხვალთ, ნუ მიხვალთ ფანჯარასთან, ხტეფანე მაქსიმეს-ძე, არ შეიძლება!

ფანჯრის ერთი თვალი ღია იყო, იქიდან სიცივე შემოდოდა. მოხუცმა პროფესორმა შეუერთა დენი მანქანას. მანქანამ უცნობი შრიალი დაიწყო და გამოღებულ ფანჯარას უჩვეულო ფერის ქვეყნებს უჩვენებდა. ეს სხივები შორს, ძლიერ შორს გაიჭრნენ ღამის წყვილიდნენ.

— ოთხიოდე ასეთი მანქანის შეერთებულ სხივებს, — დაიწყო მოხუცმა, — ვერაფერი ვერ გაუძლებს, მოხდება აფეთქება და ყველაფერი განადგურდება. ეს უდიდესი აღმოჩენაა!

ყველანი აღფრთოვანდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ, ჰკოცნიდნენ.

თენდება. ქალაქში უკვე ისმის მარხილების ელარუნი, თითქოს ამით დასცინიანო, აჯავრებენო სუსხიან ზამთარს.

ცა მოწმენდილი იყო. ყინავდა.

სამი მანქანა შეუჩერებლივ მიჰქროდა ქალაქს გარეთ, უკვე გამოჩნდა თვალწუვდენელი მინდვრები. მანქანებში ისხდნენ სამხედრო სახკომისარიატის წარმომადგენელნი.

გავიდნენ ველზე. ნოდარის მანქანის გამოცდამ ბრწყინვალე შედეგი უჩვენა მათ. ორიოდე საათის შემდეგ ყველანი დაბრუნდნენ უკან. მათ თვლებში სიხარულის შუქი ბრწყინავდა.

ნოდარი ჯიბეებში ხელზე-ჩაწყობილი დადიოდა ოთახში. სახე უცინოდა. ახლა მისი ბედნიერი ფიქრი რას არ სწვდებოდა.

საზღვარგარეთ უკვე იცოდნენ ნოდარის აღმოჩენისა და მისი მანქანის განსხვავებული პრინციპის შესახებ. იგი მექანიკის არსებული კანონების ფარგლებში ვეღარ თავსდებოდა, მაგრამ იქ არაფერი არ იცოდნენ იმაზე თუ როგორ არის შექმნილი ეს უჩვეულო მანქანა.

„ყველა ჩვენმა მტერმა უნდა დაჰყაროს იარაღი,“ — გაიფიქრა ნოდარმა.

ამ დროს ზარი დარქევს. ნოდარმა გაალო კარი და შიგ ორი სამხედრო პირი შევიდა.

— თქვენ გთხოვენ, ახლავე უნდა წავიდეთ! — უთხრა ერთმა და კონვერტი გადასცა ნოდარს.

ნოდარმა სწრაფად გახსნა კონვერტი, წაიკითხა ბარათში ჩაწერილი სიტყვა და წასასვლელად მოემზადა.

აი, მიაღწიეს კრემლის კედელს. მანქანა შეჩერდა და ისინი ძირს გადავიდნენ. არასოდეს არ ყოფილა აქ ნოდარი. ყველაფერს დიდის ინტერესით ათვალიერებდა.

ვენერთელა დარბაზში შევიდნენ. მერე რამდენიმე ოთახი ვაიარეს და ბოლოს ერთი ოთახის კარებში თავდაცვის სახკომი შემოხვდა მათ.

— გელოდებით, — უთხრა მან ნოდარს და მასთან ერთად მოზრდილ ოთახში შევიდა. ნოდარს ერუანტელმა დაუარა ტანში: მაგიდასთან ღინჯად მჯდომ ბელადს მიაჩერდა.

— მოგიყვანეთ, იოსებ ბესარიონის-ძე, — მიმართა მას თავდაცვის სახკომმა.

ბელადს სახეზე ტკბილმა ღიმილმა გადაუარა. წამოდგა, ორი ნაბიჯი გადასდგა მაგიდის გვერდით და ხელი მაგრა ჩამოართვა ნოდარს.

— ყოჩაღ! — უთხრა ქართულად ბელადმა, — გისურვებ წარმატებას გულით და სულით!

გააცნეს ნოდარი იქ მყოფ პოლიტიუროს სხვა წევრებსაც.

ბელადმა ბევრი საინტერესო საკითხი დაუსვა ახალგაზრდა მეცნიერს, რაც მის ახალ აღმოჩენასთან იყო დაკავშირებული. ნოდარი პირველი ზანს შეტად შორცხვობდა, სიტყვები უწყდებოდა, მაგრამ ჩქარა დაივიწყა შორცხვობა და დიდის სიხალდით განმარტა ყველა საკითხი, რომელიც ბელადმა დაუსვა მას.

— ყოჩაღ! — განუთქორა ბელადმა ახალგაზრდა მეცნიერს და დიადი ღიმილით გადახედა თავის თანამებრძოლებს: — ხომ ხედავთ, რას შვრება ჩვენი ახალგაზრდობა?!

დანარჩენების სახეზედაც უდიდესი მოწონებისა და თანაგრძნობის ღიმილი შენიშნა ნოდარმა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გამომშვიდობებისას ნოდარს ყოველგვარი დახმარება აღუთქვა ბელადმა, მგზნებარე და სიბრძნით სავსე თვალები შეანათა ნოდარს და კვლავ ხელი მაგრა ჩამოართვა. უმწვერვალესი, ნეტარი განცდით აღვსილი ნოდარი განშორდა ბელადს...

იმავე ორმა სამხედრო პირმა გააცილა ნოდარი და ეს დიდი დღე სამუდამო სიხარულად ჩარჩა ნოდარს გულში.

21.

ვატყდა ზამთარი.

გაზაფხულის მზე მკერდს უშუშებდა ზამთრისაგან გაყინულ მიწას.

თბილ ობშივარით სუნთქავდა მიწა, თითქოს ამბობდა: მეყოფა, დროა დაიწყო სიცოცხლე.

მოსკოვ-ვოლგის არხში გაძლიერებული ხმით გუგუნებდნენ გემები, თითქოს ისინიც სიხარულით ამცნობდნენ ქვეყანას, რომ გაზაფხული დადგაო.

ყველაფერი ეს ახალ სანეტარო ცხოვრებას აღვიძებდა ხალხში...

ნოდარმა დღეს პირველად გამოაღო ფანჯარა და ოდნავ უფერული, გამხდარი სახე მზეს მიაშვირა.

რამდენი რამ განიცადა ამ დროის განმავლობაში.

ამბები უდიდესი სისწრაფით ეითარდებოდნენ. ბელადთან შეხვედრის შემდეგ ახალი აღმოჩენის ნიადაგზე რამდენი ახალი ლაბორატორია და საწარმოო შეიქმნა და ახლაც იქმნება.

ამ საქმეების გულში ნოდარი იყო. დრო არა ჰყოფნიდა: იჯდა ლაბორატორიაში, დადიოდა საწარმოებში და ხშირად მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა.

და კიდევ რამდენი ახალი პრობლემები და ამოცანა იშლებოდა მის წინაშე.

მას პატივს სცემდნენ, აფასებდნენ, გულთბილად ხედებოდნენ, და როცა ის ამ ადამიანების შესახებ ფიქრობდა, მათდამი უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით ივსებოდა. დიახ, ღირს ადამიანების ბედნიერებისათვის ვასწირო თავი. ნეტავი ნოდარს ათასი სიცოცხლე ჰქონდეს, რომ ყველა სოციალიზმის ქვეყანას მისცეს. დიდი სამშობლო, ადამიანების მომავალი სამშობლო კიდევ უფრო დიდი იქნება.

მომოზრდა ფანჯარას. ქუჩიდან აეტომანქანის ძახილი მოესმა, სწრაფად მოეშხადა. ამ დროს ალექსანდრე შევიდა ოთახში და ერთად წავიდნენ.

ერთ ახლად შექმნილ ლაბორატორიაში ალექსანდრეც მუშაობდა ნოდარ-თან ერთად. სხვადასხვა ოთახებში შევიდნენ.

ნოდარი სულ მარტო მუშაობდა თავის ოთახში: რაღაცებს შინჯავდა, ხაზავდა, შემდეგ მაგიდას მიუჯდებოდა, წერას იწყებდა.

მან თეორიულად ახსნა-განმარტა თავისი აღმოჩენა.

უეცრად მწვანე ელნათური აინთო მის მაგიდასთან, რაც დასვენების ნიშანი იყო. ამ დროს მოხუცი პროფესორი ვალერი გრიგორის-ძე შევიდა ნოდარ-თან და გულთბილად მიესალმა.

— იცით, ნოდარ სოლომონის-ძეე, — დაიწყო მან, — თქვენი აღმოჩენა, ჩვენ სახალხო მეურნეობასაც უნდა მოვანხაროთ. აკადემიაში დაისვა საკითხი ამის შესახებ, მაგრამ როგორ მოვიქცევით, რომ ყველაფერი ეს არ გახმაურდეს? მე საწარმოების მთელი სია მაქვს, სადაც ჩვენი მანქანის გამოყენება რევოლუციის მოხდენას ნიშნავს. ვანა დანაშაული არ არის, რომ ასეთი აღმოჩენა არსებობდეს და მისი სამეურნეო მიზნით გამოყენების ნება არა გექონდეს?

— რატომ, ვალერი გრიგორის-ძეე? — მიუგო ნოდარმა, — უნდა მოვიფიქროთ, სად და როგორ შეიძლება მისი გამოყენება. ეჰ, ვალერი გრიგორის-ძეე, რამდენი რამ იცის მსოფლიო მეცნიერებამ, რითაც ადამიანთა ცხოვრების გამდიდრება, გაკეთილშობილება იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ...

— დიახ, დიახ! — დაეთანხმა მოხუცი ნოდარს, — რამდენი სიველურე მოსდევს კიდევ კაცობრიობას!? როდის გაქრება სიველურე ადამიანში?

— სიველურე? — შეეკითხა ნოდარი. — მე ასე მგონია, ვალერი გრიგორის-ძეე, სიველურე კულტურულ ადამიანშიაც იფეთქებს ზოგჯერ, თუ თვითონ ველურობის წარმომშობი მიზეზები არ მოისპო.

— დიახ, გაიმარჯვებს ადამიანი და სიველურე სამუდამოდ უკან დარჩება, — მიუგო მოხუცმა და ზეზე წამოადგა.

წამოადგა ნოდარიც. აივანზე გავიდნენ. მოხუცი ნოდარის ფერმიხდილ სახეს მიაჩერდა და წყენით უთხრა:

— მასე არ შეიძლება, ლამებს ათენებთ, ფერი ალარა გაქვს, ექიმებსაც არ უჯერით. როდემდის ვაგრძელებდა ეს?

— ნუ სწუხართ, ვალერი გრიგორის-ძეე, — მიუგო ნოდარმა, — ჯერ ახალგაზრდა კაცი ვარ, ვაფუძლებ.

— შეუძლებელია ასე ვაგრძელება! — კვლავ განაგრძო ბუზღუნით მოხუცმა. — გუშინ თავდაცვის კომისარს ვუამბე ყველაფერი და ძალიან გაჯაერდა. ჯანმრთელობას უნდა ვაუფრთხილდე, ნოდარ სოლომონის-ძეე. თუ არ ვაუფრთხილდებით თავს, იკოდეთ ისევე ვნახავ სახალხო კომისარს.

— ვეცდები, ვალერი გრიგორის-ძეე!

— ჯიუტობა არ ვარგა, — წყენით მიუგო მოხუცმა, — დანაშაულს ჩაღიხართ, ნოდარ სოლომონის-ძეე.

მაღე მოხუცი პროფესორი წავიდა.

ნოდარი ჩაუფიქრდა მის სიტყვებს და თავის თავს უთხრა: სრულ სინამდვილეს ამბობდა ვალერი გრიგორის-ძე, უნდა შევანელო მუშაობა.

მან რამდენიმე ოთახი შემოიარა, თანამშრომლების მუშაობას გაეცნო და შემდეგ ქარხანაში წავიდა. უკვე შინ მიდიოდნენ ყველანი, როცა ნოდარი

უკვე დაბრუნდა თავის სამუშაო ოთახში. ცოტა ხანს კიდევ დაეკრებო, — გაიფიქრა და საქმეს შეუდგა. ღამის ორ საათზე ალექსანდრემ დაფიქრება წოდარს, აცნობებდა, რომ მის სახელზე წერილია და, როგორც შედეგად, საჩქარო არისო.

შენსილომთხა

შზოლოდ ახლა შეხებდა წოდარმა საათს. მიხვდა, როგორ დააეციყდა ვალერი გრიგორის-ძის მამაშვილური დარიგება.

შინ რომ მივიდა, შექეფიფიანებულმა ალექსიმ გააცნო ნოდარს ვილაც ორი ლამაზი ქალი, მაგრამ ნოდარის თვალებში წყრომა გამოჩნდა და მეორე ოთახში გავიდა, ალექსანდრეც გაპყვა.

— ვინ არიან, ალექსანდრე, ისინი? — წყენით შეეკითხა ნოდარი, — აქ რა უნდოდათ?

— არაფერი! — უდარდელად მიუგო ალექსიმ. — სამი დღეა გავიცანი, შენი მეგობარი მოგვწონსო, ამბობს ერთი, უფრო ლამაზი.

— მომწონსო, — უკვე გაბრაზებით მიუგო ნოდარმა, — იცი რა, ალექსანდრე: შენ თუ ჩემი მეგობარი ხარ, ასეთ ქალებს კარი არ გაუღო...

ალექსანდრეს საზე წამოუწითლდა.

— არა, მეგობარო! — დარცხვენით მიუგო ალექსანდრემ. — არასოდეს აღარ გავუღებ, ვგრძნობ, შეცდომა ჩაეიღინე, — უთხრა და კონვერტი გადასცა.

ნოდარმა კონვერტი გახსნა, თავდაცვის სახკომის ბარათი ამოიღო და წაიკითხა:

„დღეს ბელადმა მკითხა თქვენი ჯანრმთელობის შესახებ. ვუამბე. ბელადის სურვილია, ექიმების დასკვნის თანახმად, ორი თვით წახვიდეთ სადმე და მოისვენოთ“.

ნოდარი ორგვარი გრძნობით გაიმსქვალა: ერთი ის, რომ თითონ ბელადიც კი შოულობდა დროს, ფიქრობდა მის ჯამრთელობაზე, მეორე — აწუხებდა ის, რომ მან ამის შემდეგ, დროებით მაინც, უნდა მიანებოს საქმეები, რომელთა დასაძლევად დრო ისედაც არა ჰყოფნიდა.

ჩამოჯდა ფანჯარასთან და გაჩირალდნებულ კრემლს მიაჩერდა: თითქოს აქედანაც ხედავდა ბელადს, და ფანჯარას დიდხანს არ განშორებია.

„რა არის სიყვარული? — შეეკითხა ნოდარი თავის თავს: — ამაზე დიდი დედამიწაზე არაფერია, და განა სიყვარულია ის შზოლოდ, რასაც ბელადის მიმართ განვიციდი? ეს რალაც ვაცილებით უფრო დიდია, აი აქ, იმ უძველესი შენობის რომელიდაც ოთახში ზის ხალხიდან გამოსული, უბრალო, მაგრამ შოფლიოში პირველი ადამიანი. ის არ იღლება, არასოდეს არ იქანცება, ყველაფერს ასწრებს. მისი ნათელი გონების შუქი ყოველი, უბრალო ადამიანის ფიქრებსაც სწვდება. ეს დიდი სიბრძნე და სიყვარული ანდამატრით იზიდავს ყველას, ვინც ჩვენია, ვინც რევოლუციისა და ხალხის ძლიერების კედლებს ამავრებს. ბელადი დიდი ჩირალდანი, უსაზღვროდ დიდი, ჩაუქრობელი“.

გული აუტოკდა. განშორდა ფანჯარას. ამ დროს ალექსანდრეც შევიდა. გულიანად იცინოდა.

— რა მოგდის, ალექსანდრე? — ჰკითხა ნოდარმა.

— არაფერი, — მიუგო მან: — დავარწმუნე ის ლამაზები: ნოდარმა სიტყვა, რესტორანში მოვალ და იქ დამიცადეთ-თქო, და წავეყვანე. ტროლებთსში რომ შევიდნენ, მე ძირს დავრჩი და შორიდან ძვირფასი სალაში მივეცი.

— რატომ აიტეხე ეს ქირი, ალექსანდრე? — ღიმილით მიუგო ნოდარმა, — ის არა სჯობია, ასეთ ხალხს თავიდანვე მოერიდო? მე არც ისეთი ბერი ვარ, ალექსანდრე, მაგრამ ვიცი, რასაც ჩაედივარ. ვინ იცის, ვინ რაყენენ, არა უნდა დათ? არა მგონია, შენი ან ჩემი ლამაზი თვალებისათვის იყენენ მოხუცობა. არა, ალექსანდრე, ალბათ, ისინი უფრო დიდ საქმეს უმიზნებდნენ...

— ჰა! — დაიძახა ალექსანდრემ და შუბლზე მაგრა მიირტყა ხელი. — რატომ არ მითხარ, ნოდარ? ეს რომ მეფიქრა, აგრე არ მოვიქცეოდი.

— არაფერია! — დამშვიდებით მიუგო ნოდარმა, — თუ მართლაც ბოროტი განზრახვა ჰქონდათ, ერთხელ კიდევ სინჯავენ პედს და მაშინ შეგიძლია შეამოწმო.

— მესმის, მესმის! — სიხარულით წამოიძახა ალექსანდრემ.

კარგა ხანს ისაუბრეს მეგობრებმა, შემდეგ თავიანთ ოთახებში წავიდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ დიდი ოთახის სიჩუმეში მხოლოდ ჩაძინებული ნოდარის სუნთქვა ისმოდა.

22.

მთელი ბინა ყვეაილების სურნელებით იყო გაქდენილი. დილიდანვე მოეზადა ნოდარი. რამდენიმე წუთის შემდეგ თბილისში მიმავალ მატარებლით უნდა გასულიყო.

წყნარი, მზიანი დილა ვათენდა მოსკოვში.

ნოდარი სულიერ სიმშვიდეს გრძნობდა. ბარგი უკვე გაგზავნა რკინიგზის სადგურზე. თვითონ ერთი მცირე ყუთი დაიტოვა მხოლოდ.

მივიდა, გამოალო განჯინა. ახალი კოსტუმი ჩაიცვა და მკერდი ლენინის ორდენით დაიმშვენა.

კოტა ხნის შემდეგ საიდანღაც ყვეაილებით ხელში მოვიდა ალექსანდრე.

ათი წუთის განმავლობაში მთელი ბინა ნოდარის მეგობრებითა და ნაცნობებით გაივსო. გულთბილად ესალმებოდნენ, უსურვებდნენ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

ბევრმა რკინიგზის სადგურზე გააცილა ნოდარი. ალექსანდრემ პირობა მისცა ნოდარს, თუთმეტ დღეში აიღებდა შეებულებას და საქართველოში ნოდართან ჩავიდოდა.

დაიძრა მატარებელი. გამცილებლები ძირს ჩავიდნენ და საერთაშორისო ვაგონის ფანჯარასთან მომდგარ ნოდარს ხელებს უჭნევდნენ. მალე მატარებელი განშორდა სადგურს და მიეფარა.

ნოდარმა ახლაც, როგორც საქართველოდან გამომგზავრების დროს, მართობა იგრძნო, უკან დატოვებულ მოსკოვს თვალს არ აშორებდა.

ნოდარი კუპეში შევიდა, სადაც ის სულ მარტო იყო. თან წამოღებული გაზეთები ვაშალა და კითხვა დაიწყო. წინა დღით დასრულებული სტახანოველების საკავშირო თათბირის მასალებმა გაიტაცა და წაუკითხავად სიტყვას არ სტოვებდა.

მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა თათბირზე გამოსულთა სიაში, სხვა მის ნაცნობებთან ერთად, თავისი მეგობრის, საუკეთესო სტახანოველის დიმიტრი დარბაიძის გვარი იპოვა. დიმიტრიმ გუშინ დილით ინახულა ნოდა-

რი, მაგრამ თუ ის სიტყვით გამოსვლას აპირებდა, არ უთქვამს და, არ რა მშვენიერი სიტყვა წარმოუთქვამს დიმიტრის.

ამ სიტყვაში ნოდარსაც ახსენებდა. ასახელებდა აგრეთვე ^{უკუჩვენებდა} ბეჭურცხე, სტახანოველს.

მატარებელი საბჭოთა რუსეთის — უნაპირო ველებში გარბოდა.

ნოდარმა გაზეთი გადასდო, დერეფანში გავიდა და სუსხიანი ზამთრის შემდეგ გამოღვიძებულ თვალუწედინელ ველებს ფანჯრიდან მიაჩერდა. ამ უნაპირო ველებს რომ ხედავდა, რატომღაც ლენინი, ტოლსტოი, პუშკინი, გორკი და რუსი ხალხის სხვა უდიდესი შვილები აგონდებოდა. ეს ველები თითქოს იმ გენიოსების აზრებივით იყო გაშლილი.

და უდიდესი, განუსაზღვრელი სიყვარული იგრძნო ნოდარმა ამ უნაპირო ველების შიშართაც.

აპრილის ბოლო რიცხვები იყო და გაზაფხულის მზეში, როგორც ათასი წლის წინათ, ახლაც პირველი სინორჩით სუნთქავდნენ ველები.

რამდენი გენიოსი წარმოშვეს ამ ველებმა, რუსეთის ამ ნოყიერმა მიწამ და, ვინ იცის, კიდევ რამდენს წარმოშობს!

ნოდარის ოცნებით ამ უნაპირო ველების წიაღში უეცრად საქართველოს მთებიც შეცურდნენ და ბროლივით აელვარებული მწვერვალები გამოჩნდნენ. ამ მთებმა, ნიშნად დიდი სიყვარულისა, თან მოიყვანეს დიდი სტალინი აქ. უნაპირო სიერცხეების ოკეანეში საერთო სიხარულის ასაყვავებლად.

ვაგონში ნოდარს ქართული ლაპარაკი მოესმა. მიიხედა და თვალს არ დაუჯერა: ეთერი! საიდან გაჩნდა ეთერი აქ?

ეთერმაც შეხედა ნოდარს და ფერი ეცვალა... ეთერის მკერდზე შრომის ორდენი კიაფობდა.

ნოდარი ფანჯარას მოშორდა და სწრაფად შევიდა თავის კუბეში. დაჯდა და იგრძნო, რომ რალაც სხევანაირად უცემდა გული:

სად იყო ეთერი და როგორ მიიღო ორდენი? მასთან ქალია ვილაცა, ისიც ორდენით.

„ნუ თუ ასე მჭიდროდ შემოვიდა ის ჩვენს ოჯახში? — გაიფიქრა ნოდარმა და ახლა ეთერი სულ სხვა სახით წარსდგა მის წინაშე! — მე გავებობდი, ამბავიც კი არ ვიკითხე მისი. ვინ იცის, სად იყო, რას აკეთებდა? მიყვარს იგი? არა, არ მიყვარს მაგრამ გული მაინც ამიძვერდა უეცრად. განა მე ვემდურე? ბავშვობა იქნებოდა, რომ ვემდუროდე, მით უფრო, თუ ის ჩვენია. გული დაჭრილი მქონდა, მაგრამ წავიდა, მოშუშდა ჭრილობა. სხევანაირმა სიომ დაძვერა ცხოვრებას... სისულელეა. ვემდუროდე, — გადასწყვეტა, მაგრამ რალაც მაინც აჩერებდა.

წამოღვა, კუბის კარი გამოაღო. გაწითლდა, როცა მის კუბეს პირდაპირ, ფანჯარასთან, მარტოდ-მარტო ეთერი დაინახა.

ეთერიც მიაჩერდა, ისიც აენტო.

— ნოდარ, შენა ხარ? — ათრთოლებული ხმით ჰკითხა ეთერმა.

— ვხედავ, ეთერი ხარ... — ცოტა დაგვიანებით მიუგო ნოდარმა და ეთერის გამოწვდილ ხელს ხელი შეახვედრა.

ახლა ისინი კი არ ხედავდნენ, გრძნობდნენ ერთმანეთს.

ნოდარმა ფრთხილად მოსწია ეთერის ხელი და თავის კუპეში შეემატიე ქალი.

ეთერი უსიტყვოდ გაჰყვა, ნოდარის პირდაპირ ჩამოვარდა და დაეცა. ასე უსიტყვოდ კარგა ხანს ისხდნენ. ნოდარს უნდოდა ეთქვა რაიმე, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ისევ ეთერმა დაარღვია სიჩუმე და თითქოს თავისთვის სთქვა:

— მე შევეციდი, ნოდარ, არა, სისუსტე გამოვიჩინე. დავემორჩილე მამის მტკარას. შემდეგ ვინანე. დამნაშავე ვარ შენთან. გულწრფელობაც დავეკარგე ბოლოს. ამან უფრო მეტად დამტანჯა. მძიმე დღეში ჩაგვადე, ვიცი, კინალამ საბოლოოდ დაგლუპე. ჩემი ბრალია, შაპატიე!

ნოდარი კვლავ სდუმდა, არ იცოდა, რა ეთქვა, საიდან დაეწყო... უეცრად მოეჩვენა, რომ სათქმელი არაფერი არა ჰქონდა, რომ ყველაფერი უსიტყვოდ თავისთავად ლაპარაკობდა.

— განაგრძე, ეთერ, — უთხრა თავდახრილ ეთერს და თავით ფანჯარას მიეყრდნო. — მინდა ვიცოდე, როგორ მიდიოდა შენი ცხოვრება.

— ო, გრძელი ამბავია, ნოდარ. რა უნდა გითხრა, თითონ არ ვიცი. აი, მოსკოვში სტახანოველების თათბირზე ვიყავი, შენი ნახვაც მინდოდა, მაგრამ ვერ გავებდე. ყველანი დაგვასაჩუქრეს, ყველა სიხარულით ცას სწედებოდა. მაგრამ მოსკოვს რომ ვსტოვებდი, შენ რომ იქ რჩებოდი, ამან სიმწვავე მაგრძნობინა. კინალამ ტირილი დაიწყო. ამ დროს გავიგე, შენც აპირებდი საქართველოში, და ცოტა დავმშვიდდი.

სთქვა ეს და თავისდა შეუშინველად თვალები ცრემლით ავესო.

— ბოლო კი არა, ეთერ, — მიუგო ნოდარმა: — უფრო შორიდან მინდა დაიწყო. თუნდაც იქიდან, ქმარს რომ გაჰყვი. გთხოვ შემდეგ მეც გატყვი ყველაფერს.

— ქმარს რომ გავყვი, ეს შენც გაიგე, მაგრამ რად დავშორდი, ამაზე გეტყვი.

— ქმარს დაშორდი?! — გაკვირვებით მიადახა ნოდარმა, წამოიწია და თვალები მიაშტერა ეთერს. — რას ამბობ, ეთერ, როგორ მოხდა?

ეთერმა ფანჯარასთან ბალიში მისდო, მზრით მიწვა და დაიწყო:

— ყველაფერს გეტყვი, რაც მთავარია ყველაფერს გეტყვი. შენც იცი, ალბათ, ძალდატანებით მიმათხოვეს იმ ექიმს. უგულოდ დაიწო ჩვენი ცხოვრება ქმარი გრძნობდა, რომ მისადმი სიყვარული ჩემში არ იყო. ამან ძალიან აღაშფოთა იგი. დაიწყო ლოთობა, მუდამ ჩაფიქრებული, დარდიანი დადიოდა. ამიტომ, ალბათ, შენც იცი საავადმყოფოში „ჩაფიქრებული ექიმი“ შეაჩქვეს. მეც იქ მივდიოდი, შენ შორიდან ჩემად გითვალთვალედი. ერთხელ მკვდარი მეგონე, ნოდარ, და გული წამივიდა. იმავე ხანებში შუამთაში გამიწვიეს უზენაეს სასამართლოს გამსვლელ სესიასზე. გულმართლად წავდექი სასამართლოს წინაშე. ჩემი შეტდომა ვალიარე. ყველაფერი გულახდილად ვუამბე სასამართლოს. დასრულდა სასამართლო. მამაჩემს გადასახლება მიუსაჯეს. მეც სასჯელს ველოდი, მაგრამ მოულოდნელად მომხსნეს ბრალდება და გამომიშვეს. ამ სასამართლომ ყველაფერს ახადა ფარდა. ჩემს თვალში საკუთარი მამის ნამდვილი სახეც მაშინ გამოჩნდა. ამის შემდეგ უფრო შემძულდა ქმარი. მისი სიხლოვე ჩემთვის უდიდეს ტყვიელად გადაიქცა. სამაგიეროდ შენ სახეს უფრო

მეტე სისპეტაკე ემატებოდა. უფრო გაახშირა ქმარმა ლოთონა, ლამე ვეიანობანდუ არ მოდიოდა. ამტვრევდა ავეჯს, ტიროდა ხმამალა. უჩიოდა იმას, რომ შეილი არ მეყოლა. ბოლოს ყველაფერი ერთმა საღამომ გადასწვტეკე, მასშინ მოხდა, როცა ჩვენ ოპერაში შეგვხვდით ერთმანეთს. ქმარი უკვე გიცნობდა შორიდან და ჩვენი ამბების შესახებ ყველაფერი კარგად იცოდა. თითონ ვუამბე მთელი სიმართლე. ოპერაში შენი დანახვის დროს, ცუდად რომ გავხდი, ყველაფერს მიხვდა. შენ ვიყვარსო იგი, — მითხრა გაბრაზებით, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. დუმლიმა უფრო მეტად აანთო ქმარი. მიცქერდა გულჩახტობილი. შემდეგ კი, როცა ბოლო მოქმედებაში მკედარი დაეცა, ალბათ. შენც გაიგე — მოკვდაო, ვიყვირე ჩემდა უნებურად. იმავე წუთს დავტოვეთ თეატრი. სახლში რომ მივედით, მთელ ღამეს ყვიროდა, ტიროდა, ყველაფერი დაამტვრია. მაშინ მე მტკიცედ ვუთხარი: „გათავდა, მეტს ვეღარ ვიცხოვრებ შენთან: მართალი ხარ: იქ იყო ის, ვინც მიყვარს. საბოლოოდ გათავდა ყველაფერი! შენ არასოდეს არ მყვარებინარ და ვერც შეგიყვარებ. დროა დასრულდეს ეს მოჩვენება. ასე შენთვისაც უფრო ცუდია, მერწმუნე. ჩვენ დავშორდებით და შენც უკეთ იცხოვრებ მაშინ. შეერთე, ვისაც გულით უყვარხარ, და ორივენი ბედნიერი იქნებით!“ „რას ამბობ, ეთერ?“ — ათრთოლებული ხმით შემომხაზა ქმარმა: — ვილუპები. ვგრძნობ, მართალს ამბობ, მაგრამ ასეთი სიმართლე, გთხოვ, აღარ მითხრა. ტყუილი მითხარი, ეთერ! ეგებ თავი ვინუგეშო და გადავურჩე სიმართლის ლახვარს! თანახმა ვარ, გთხოვ, რამდენიც შეგიძლია, იმდენი ტყუილი მითხარი ეთერ, ეს უკანასკნელი თხოვნაა ჩემი და უარს ნუ მეტყვი“. „აჰა, — ვადაწყვეტით მივუგე მე: — ტყუილის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ამიერიდან ჩემგან სიმართლესაც ვეღარ მოისმენ. ვთქვი და გათავდა!“ უფრო აღელდა. ძალით ხმამალა ქვითინი დაიწყო. „სჯობს ერთხელ და სამუდამოდ“. — ვავიფიქრე მაშინ, დავტოვე ქმარი და მეორე ოთახში ჩავიკეტე. ქმრის ხმა რომ აღარ ვამეგონა, ყურებში თითებს ვიცობდი. დავეცი ლოგინზე და მეც ვტიროდი ჩემს უბედურებას და უკვე ყოფილი ქმრის მწუხარებას. გათენდა. დილის ათი საათი რომ შეიქმნა, ფრთხილად გავალე ოთახის კარი, მეორე ოთახში არავინ იყო. ყოფილი ქმრის საწერ მაგიდასთან რომ მივედი, იქ მისი ბარათი ეიპოვე. ის სწერდა: „ეთერ, მივდივარ, გთხოვ, დაივიწყო სასტიკი შენი სიტყვები. გაძლეე სიტყვას, შენდამი საყვედური აღარ წამომცდეს. ყველაფერს შევერიგდები. ოღონდ შენ იცხოვრე ჩემთან, ჩემ სახლში იყავი. სხვა არაფერი.“ ასეთი წერილი რომ წავეკითხე, ქმრისადმი უფრო მეტი სიძულელი, მეტი ზიზღი ვიგრძენი. მამაკაცს უფრო მეტი ნებისყოფა უნდა გააჩნდეს, — ვავიფიქრე მაშინ, ავიღე კალმისტარი და მხოლოდ ერთი სიტყვა მივაწერე: „არასოდეს“. წერილი იქვე დავტოვე. მოვემზადე, დავკეცი ბინა და გასაღები ჩემს მახლს გადავეცი, თანაც ვავაფრთხილე, როცა მოვა, შენ დახვდი შინ, მიხედე-მეთქი. წავედი. ერთ ჩემ ნათესავ ქალთან გადავედი. სულ რაღაც ათ დღეში ვიშოვე სამუშაო, აბრეშუმის ქარხანაში მიმიღეს მუშად. შევეცადე, ვისწავლე ხელობა, ბევრი რამ ახალი შევითვისე ქარხანაში. ერთხელ წერილიც მოგწერე შენ, მინდოდა შეგვედრა, ჩემი ამბავი რომ მეამბნა, მაგრამ პასუხი არ გამეცი და გული მომიკვდა. ჯაერსა და მწუხარებას მხოლოდ თავდადებული შრომა მიქარავებდა. შემდეგ კი... ხომ ხედავ...

დაასრულა ეთერმა და ამაყად შეხედა ნოდარს.

ნოდარი, რომელიც სულგანაბული. უდიდესი ინტერესით უსმინდა ეთერს, ზე წამოძვარა:

— მომილოცავს, ეთერ, შენ გაიმარჯვე! — აღფრთოვანებულია ეთერს და ხელი ჩამოართვა. — კარგია, ჩვენთან ხარ და ეს მახარებს!

ეთერიც წამოძვარა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. უხერხულობიდან გამოსასვლელად ნოდარმა ჰკითხა ეთერს.

— ის ქალი ვინ იყო, ეთერ, აი, წელან, შენთან რომ იღვავ?

— მეგობარია, — მიუგო ეთერმა. — ერთად ვიშვავრეთ. ისიც თათბირის დელეგატია, გააცნობ, მშვენიერი ქალია, ამ რამდენიმე დღეში ისე შემიყვარდა, რომ ვერ ვშორდები!

— კარგი, — დაეთანხმა ნოდარი. — ჩემთან გადმოდით, ერთად ვიქნებით.

— ახლავე! — სთქვა ეთერმა და გარეთ გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ეთერმა შემოიყვანა და ნოდარს გააცნო მეგობარი ქალი, ჩაის ქარხნის სტახანოველი, ლიზა ხანთაძე.

და ლაპარაკმა, სიცილმა ნოდარისა და ეთერის საუბარს უფრო მეტი ხალისი მისცა.

მეორე დღეს, სადილს შემდეგ, ლიზას ჩაეძინა თავის საწოლზე. ამ დროს ნოდარმა მოკლედ უამბო ეთერს, რაც მას გადახდა.

— ახლა ორი თვით მივდივარ საქართველოში, — დაასრულა ნოდარმა, მაგრამ ვეცდები, ეთერ, ადრე მოვმავრდე და უფრო ჩქარა დაებრუნდე უკან. დრო ჩვენში გასასოცარი რამ არის, ეთერ. ყოველი საათი დიდი რამეა. საკუთარი ჯანმრთელობაც კი მავიწყდება.

ეთერი ხმას არ იღებდა. თავი დაეხარა. უხმოდ წამოძვარა, ალბათ, შეეშინდა — ცრემლებმა არ მომისწრონო, და გარეთ გავიდა. თვალი გააღვენა, თუ რა სისწრაფით რჩებოდნენ უკან ტელეგრაფის ბოძები.

მესამე დღეს, საღამოხანს, საქართველოს დედა-ქალაქს თბილისს შორიდან მიადახა ორთქმავალმა და ამ ხმამ მგზავრები ფეხზე წამოაყენა.

აი, ჩამოძვარა მატარებელი. მგზავრები სწრაფად ჩავიდნენ ძირს. დამხდურნი და ჩამოსულნი ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ ერთმანეთს.

ნოდარი, ეთერი და ლიზა თითქმის სულ ბოლოს ჩამოვიდნენ მატარებლიდან.

გამომშვიდობებისას ნოდარმა პირობა მისცა ეთერს — აუცილებლად გინახულვო.

23.

ნოდარის დაბრუნების გამო წინა დღით დაწყებული სიხარული დღესაც გრძელდებოდა ნოდარის ამხანაგებსა და მის მოკეთებებს.

როცა ნოდარს მოსკოვში ამგზავრებდნენ, ილია და კატო უფრო მეტ სიმტკიცეს იჩენდნენ, ვიდრე ახლა, როცა ნოდარი სრულიად მოულოდნელად დაბრუნდა: სიხარულის ცრემლებს ველარ იკავებდნენ.

თუმცა არც კი იმჩნევდა სიხარულს, თუმცა მისი ჩუმი ღიმილი გულში მომწყვდევული უდიდესი სიხარულის ნაკვეთი იყო.

რევაზი იძახდა:

— მომილოცეთ, დამიბრუნდა ჩემი ძმობილი, — და ერთ დღეს სამჯერ ინახულა ნოდარი.

ბოლოს ამხანაგებთან ერთად ნოდარი ქარხანაში წავიდნენ. ნოდარის მისვლამ დიდი სიხარული შეიტანა ქარხნის ცხოვრებაში, რომლის გამარჯვებაც ყოველ მუშას საკუთარ გამარჯვებად მიაჩნდა. ეს ყოველ მათგანში აორკეცებდა რწმენას საკუთარი ძალისადმი.

ნოდარი დაჰპირდა ამხანაგებს, რომ საღამოთი მივიდოდა ქარხანაში სადაც მას შეხვედრას უწყობდნენ.

სადილობისას, პირობის თანახმად, ეთერთან მივიდა ბინაზე.

ვიღაც მოხუცმა ქალმა გაუღო კარი. ნოდარი არ ცნობდა მას.

ნოდარი შევიდა ოთახში და პირველი მისი ყურადღება წესრიგმა და დიდმა სისადავემ მიიპყრო.

— დაბრძანდით! — მოუწოდა იმევე მოხუცმა ნოდარს, ფანჯარასთან სკამი მოუდგა და თითონ გავიდა.

ნოდარი დაჯდა. სანახევროდ გამოღებულ ფანჯარიდან სხივების ნაკადი და გაზაფხულის გამაბრუნებელი სურნელი შემოდინოდა.

ეს ახალი მუშათა სახლი ბაღში იყო აგებული, რაც ბინას უფრო მეტ მიმზიდველობას და სიმშვიდეს აძლევდა.

დღეს იგი თითქოს სხვა იყო, მშვენივრად ჩაცმული, სახე დამშვიდებული ნოდარი წამოდგა და მიესალმა.

თითონ ნოდარიც რაღაც განსაკუთრებულ სიმშვიდესა და სითბოს გრძნობდა. რაც უფრო იზრდებოდა სიმშვიდე, მით უფრო მელანდებოდა ნოდარის გულში დღემდის დაფარული გრძნობები. დამშვიდებულ გულს ახლა სხვა მხრიდან წამოუბერა ნიავმა.

ამ დროს უეცრად გაიღო კარი და მეორე ოთახიდან ეთერი შემოვიდა.

დღეს იგი თითქოს სხვა იყო. მშვენივრად ჩაცმული, სახე დამშვიდებული მივიდა ნოდართან.

ნოდარი წამოდგა და მიესალმა.

— ჩვენს ოჯახში სიხარული შემოგვეტანოს! — უთხრა ეთერმა და ნოდარის მახლობლად მიიღვა სკამი.

— იყოს კეთილი! — იყო პასუხი.

დასხდნენ. წუთიერი სიჩუმის შემდეგ ნოდარმა სთქვა:

— მშვენიერი ბინა უჭონია ეთერ, სიწყნარე, სისუფთავე და უბრალოება.

— სიწყნარე! — თითქოს თავისთვის გაიმეორა ეთერმა და მძიმედ ამოისუნთქა. — არა, ნოდარ, სხვა ყველაფერი, სიწყნარე — კი შორს არის ჩემგან...

ნოდარის თითქოს შეშინდა ამ საკითხზე ლაპარაკის გავრძელება და ჰკითხა:

— სოფელი მთლად დაივიწყე, ეთერ, არა?

— ერთხელ ჩავედი. უკანასკნელად შევაველე თვალი და წამოვედი, — მიუგო ეთერმა. — სოლომონი შემომხვდა გზაში. გულთბილი საღამო მომცა, არ მოველოდი და გამეხარდა.

— სოლომონ, სოლიკო! — მცირე დუმილის შემდეგ ხმამალა დაიძახა ეთერმა და მეორე ოთახში გასასვლელ კარს შიაჩერდა.

ნოდარმა გაკვირვებით გააცეცა თვალები, ვერ გაეგო, ვის ეძახდა ეთერი და ბოლოს ჰკითხა:

— ვის ეძახი, იქ, ეთერ? მამაჩემი აქ ხომ არ არის? *ეჩქინენული*

ამ დროს გაიღო კარი, რომელსაც ეთერი მისჩერებოდა, თმისქუქუქ ბიჭუნია შემოიჭრა და ეთერისკენ გაიქცა.

— შენს მამას კი არა, ჩემს შეილს ეძახი! — მხოლოდ ახლა მიუგო ეთერმა და ზეზე წამოდგა.

— შენ შეილს?! — შესძახა ნოდარმა: — შენ ხომ სიქვი, ეთერ, შეილი არ მყოლიაო?

— მე ვგ არ მითქვამს, მე ვსიქვი, ქმართან არ მყოლია შეილითქო.

— მაშე ვგ... — ძლივს სიქვა ნოდარმა და სიტყვა გაუწყდა.

— შეხედე, ნოდარ, შენი შეილია... ნუ თუ ვერ იცან? — მიუგო ეთერმა და გაფითრებულ ნოდარს სახეში მიაჩერდა.

— ჩემი შეილია?! — რაღაც არაბუნებრივი ხმით დაიძახა ნოდარმა, თავის წინ შეჩერებულ ბავშვს წაეტანა და მალლა აიტაცა. — ეთერ, რას ამბობ, ეთერ?! — გაოცებული და აღფრთოვანებული იძახოდა ნოდარ და ეთერთან პირველ სიყვარულის ყვავილს გულში იკრავდა.

ეთერი თავისთვის იდგა. მამაშვილის ამ მოულოდნელმა შეხვედრამ ისიც ააღელვა და ჩუმ ღიმილს ცრემლი მოაყოლა.

ნოდარმა ბავშვი დივანზე დასვა და მოკრძალებით, დარცხვენით აცრემლებულ ეთერს მიუახლოვდა. თითქოს ეთერში იმ პირველ სიყვარულის სხივი ამოიზარდაო, იგი უეცრად ამიღოდა და უფრო მომაჯადოებელი სახით წარსვა ნოდარის წინაშე. მთელის არსებით ალგზნებულმა ნოდარმა მკერდზე მიიკრა ეთერი.

ამ დროს ძალზე აჩქარებული ტოკავდნენ მათი გულები...

სოლიკო გააკვირვა ამ უჩვეულო სურათმა, მიიბინა და დედას კაბაში წაავლო ხელი.

— ჩემი ბედნიერების ამოუწურავი წყარო ხარ, ეთერ! — აღმოხდა ნოდარს.

— ჩემი არსებობის ბრწყინვალე დღე ხარ! — იყო პასუხი.

და ისინი კვლავ მთელის არსებით, მთელის სიცოცხლით დაეწაფნენ ერთმანეთს.



დიდი ხანია სოფელ შუამთაში ველარ შეხვედებით ძველ სახლებსა და ქობნახებს. ძველ დროსთან ერთად ისინიც აღარ არიან და მათ ნაცვლად ახალ ცხოვრებასავით ნათელი შენობები ამშვენებენ არე-მარეს.

ახალი ქუჩები, მოედნები, ახალი თეატრი, წყალსადენები. ყოველ დღეს თითქოს საფეხურებზე აყვავდა ხალხი ახალ ცხოვრებას.

უწინდებური ტკივილები, ჭრილობები აღარ სერავდნენ ხალხის გულს.

შემთბარი მიწა დღეს, პირველ მაისს, უფრო ხარბად ითქვამდა სულს. მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ახლად მოწყობილ შოქდანზე გამოსულიყო და ზეიმობდა.

აქ იყვნენ დასასვენებელ სახლებიდან მოსული მუშებიც. კრებას არ აკლდა მოხუცი მეწისქვილე ონოფრეც-კი, რომელიც თავისი გრძელეურობის გამო ხით დადიოდა და თავისთვის იღიმებოდა.

ამ დროს რაღაც შორეული ვუგუნე მოისმა. მთელი ხალხი ცას მიაჩერდა. ცოტა კიდევ და აღმოსავლეთით გვირგვინას მწვერვალზე ერთად გამოჩნდა ხუთი თვითმფრინავი. ისინი ელვის სისწრაფით ახლოვდებოდნენ. ხალხში გაურკვეველი ხმაური ასტყდა: ვინ რას იძახდა, ვინ რას.

მალე თვითმფრინავებმა ხალხს თავზე გადაუარეს, დასასვენებელი სახლების ქვემოთ წრე გააკეთეს და რიგრიგობით მოედანზე ფრთხილად დაეშვნენ.

უფრო გახარებული და ამ მოულოდნელობით გაკვირვებული ხალხი ახლოს მიცვივდა და დაშვებულ თვითმფრინავებს ირგვლივ შემოერტყა. გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა პირველი თვითმფრინავიდან ნაცნობი სახე გადმოვიდა. მან თმახუტუტა ბავშვი გამოართვა თვითმფრინავში მჯდომ ქალს და თითონაც გადმოიყვანა. ის ქალიც ხალხისთვის ნაცნობი იყო.

მფრინავები და სტუმრები ერთად შეგროვდნენ, ხალხს მიეგებნენ.

— ისინი არიან, ისინი! — იძახდა ხალხი და მფრინავებისკენ მიიწეედა.

— სოლომონ, სოლომონ, სადა ხართ, სადა? აქეთ, აქეთ! ხომ ხედავთ ვინ არის? — დაიძახა ვილაცამ.

— მამა, დედა! — წამოიძახა ამ დროს ნოდარმა და წინ გაიქცა.

— შეილო!

— შეილო!

თითქმის ერთდროს მიაძახეს მოხუცმა მშობლებმა, თითქოს მიწიდან ამოსულ შეილს და გადაეხვივნენ.

— აი, შეილია ჩემი, ეს კი, ეთერი, ცოლია ჩემი! — მიაძახა ნოდარმა მშობლებს და ხუტუტომიანი ბიჭუნია გადასცა მამას. — შენი სახელი ჰქვიან მამაჩემო!

თან შემკრთალი, თან გახარებული მშობლები მიაჩერდნენ ბავშვს და ეთერს. გაოცების წამიერი დუმილი სოლომონის სიხარულის ყვირილმა შესცვალა:

— ბაბუა! შეილებო! — დაიძახა სოლომონმა და ისინი ერთად მკერდზე მიიკრა.

სიხარულით აცრემლებული ბებია ირინეც გამხმარ თითებს. ხუტუტა თმაზე უსვამდა ბავშვს.

— იხარეთ, იხარეთ! — მოესმა სოლომონს ნაცნობი ხმა, და მიიხედა.

ილია იყო.

სოლომონმა ირინეს გადასცა ბავშვი და ილიას გადაეხვია.

— ჰო, ძმა ხარ ჩემი! როგორ გამახარეს, რომ იცოდე! — იძახდა სოლომონი.

ცა გადაიხსნა მათ თვალეშში.

ყველაფერი, მთელი განვლილი მწუხარება, ყოველი ტანჯვა, ყოველი ტკივილი საბოლოოდ დაიმარხა და სიხარულმა დაიკავა მათი ადგილი.

ნოდარისა და ეთერის ასე გამარჯვებულად დაბრუნების აღსანიშნავად სოფელმა გადასწყვიტა: პირველი მაისის დღესასწაული გვირგვინას მწვერვალზე გადაეხადა.

სწრაფად დაირაზმნენ და სიმღერით გასწიეს მწვერვალისაკენ.

მალე გვირგვინას მწვერვალის მახლობლად გამოჩნდა გაშლილი წითელი დროშა. დროშასთან ერთად ზევით მიიწევდა მთელი სოფელი. მისი სტუმრები, სხვებთან ერთად ნოდარი თავისი ცოლ-შვილით და მოხუცი მშობლებით.

მზის სხივებისა და ადამიანების ბედნიერ ღიმილს მთის მაცოცხლებელი ნიავი მიეალერსა.

დასასრული

სოლომონ თავაძე

გმირთა დილა

1.

დასაბამიდან სქექდა და ჰქუხდა
წარღვნა, გრივალი, მეზი რამდენი.
მაგრამ ვეროდეს ასეთ ქარბუქთან
ვერც არწივი და ვერც შევარდენი
ვერც გაბედავდა შებმას პირისპირ,
თავშესაფარად ირჩევდა მღვიმეს;
მშვენიება არის მხოლოდ გმირისთვის —
ყოველ ბრძოლაში ანთებდეს იმედს.
არც ზეცა მოჩანს და არც ხმელეთი,
თითქო მღელვარ ზღვად იქცა

ზესკენელი,
და ამ ბობოქარ, ამ მძაფრ ბნელეთში
მერი შტურმანი, გეზისმძებნელი,
ამოდ ცდილობს მიხვდეს ალლოთი:
ქვევით რა არის — ზღვა თუ მთებია...
რადიოც სდუმს და... ახლა ამ ლოდინს
სუნთქვაც, გულის ხმაც შეერთებია.
ჟამი დაუნთქავს ანაფერები
თვითმფრინავს, ცისკენ მძლავრად
აფრენილს,

და გუგუნებენ პროპელერები,
აწყვეტილ ქართან მოკამათენი.

მერიმ შეალო ზედა სარკმელი:
იქნებ ვარსკვლავი სადმე კამკამებს, —
ბნელა და ჰყინავს, თითქო ნალველით
ამოცხებია უბე ამ ლამეს.
მანქანა წყვდიადს მიარღვევს, მიჰქრის,
კაბინაში კი ჩაჰქრა ნათურა...
„საწვავი ჯერ გვაქვს“, — ეს მწვავე
ფიქრი

გულმა იმედით დაუდასტურა.
სდუმდა რადიო... და ქარტეხილში

მყისვე ჰქრებოდა მერის ძახილი...
თითქო უფსკრულში გადაჩხილი
მიქანაობდა თავქვე მარხილი.
თვითმფრინავს, ასე გახვეულს ზეცაში,
მძლე სტიქიონი ზეირთებს ახლიდა,
თითქო ჩაეშვა ამღვრეულ ზღვაში
და სიღრმეს ტალღა სცემდა მაღლიდან.

II

მეორე დილა ინათებს მალე,
ძირსდაუშვებლად მიჰქრის ასე;
მშვიდი ნათელი მოსწყურდა თვალებს
ამ ელვასავით ანთებულ გზაზე.
სამნი არიან ლამისმძლველნი,
შეუბოვარნი, ვით მძაფრი ქარი —
გურამ ზარიძე, ანდრო ხეველი,
მერი — ფრენაში წრთობილი ქალი.

* *

გასწით! ეს ჩვენი მთა-ველი
ლომკაცთა ნაფეხურია;
ქართველის დედას და დილის მზეს
თქვენნი ალერსი სწყურია.
ჩემს ქნარს გაეუბი სიმებად
თქვენნი თვალების სხივები,
გულიც თქვენ გამოგაყოლეთ,
ტრფილით განაღვივები.
ვადიდე თქვენი მშვენიება,
ვაგჟაკურცი და ქალურიც.
გასწით! რა არის სიცოცხლე,
თუ არა გზნება ალური!
თქვენ გზრდიდათ მიწა გულუბვი,
მრავალ მწვერვალის ამყვანი,
სადაც დაირხა ბელადის

შუქაფენილი აკეანი.

ახლაც თქვენს შორ გზას გაპყურებს
მისი შორსმჭევრეტი გონება;
კავკასიონის გულმკერდი
მხოლოდ გმირს ჩაეკონება.
გასწით, გაპყვეთეთ ტატნობი,
მზიური ქვეყნის შეიღებო!
ინებოს დიდმა სამშობლომ,
თქვენი დიდება ინებოს!

• •

სივრცესთან ბრძოლა მფრინავთ წესია,
რამდენჯერ საფრთხე ჰფეთქდა
ალეზად,

მაგრამ ყველაზე უძნელესია
მშობელი ქვეყნის ეს დავალება:
უნდა გაჰკაფონ გზა ჯერ უცნობი,
ალმართონ დროშა ამ შორ მხარეში
და კვლავ აანთონ სხივი უჭრობი
გმირთა დიდების სიელვარეში.

არღვევენ ღრუბლებს და გული სამი
შეერთებია მანქანის ელერას;
არ ჩაეარდნილა არც ერთი წამი,
რომ გაეთიშა შეზრდილი ძგერა.

გზა ხსნილი იყო, ვიდრე რადიო
დედა-ქალაქთან არ სწყვეტდა კავშირს,
და მეგობრების სიტყვა მკაფიოდ
შორიდან შორით ანთებდა ნაპირს.

ამ წამს კი თითქო მშობლიურ მიწას
მოსწყდნენ და ბნელში დაჰკარგეს

კვალი;

ვერ მიაღწიონ ეგების მიზანს
და აშხივილდეს სიკვდილის რკალი.

„ახლა ღამეა, შინ ყველას სძინავს“, —
გაივლო გულში მერიმ და მყისვე
დასძინა: „არა, აქ ჩემთან ფრინავს
დღეიკოს ფიჭრი, ის ფხიზლობს ისევ.
ჩემს პატარას კი, ჩემს გოგონიკოს
სძინავს და იქნებ სიზმარში მხედავს;
ვით წარმოიდგენს, რაგინდ შორს ვიყო,
თუ იქვე, გვერდით არ უზის დედა.
იძინე, გულო, იძინე მშვიდად,

შენი ღიმილის ჭირიმე, ნენა,
ჩემი სიცოცხლე გაგედოს ხნადა,
რომ არ მოგაკლდეს სიყვარულსა და სიხარულსა...“
მეზღოთქმე

რა მკვირცხლი არის ფიჭრი, რა მალი,
გაჰკვეთს სივრცეებს, გადუღლის
მყინვარს! —
გადმოიფრინეს მთები, ტრამალი
და ახლა ქარბუქს ებრძვიან მძვინვარს...
ამ დროს კი დედის დიდი გონება
ადის სიცოცხლის მზიურ კარამდის,
ქცნობას და რღვევას არ ემონება
და უკვდავ თვალთ სწვდება მარადის.
ერთი იქ არის, შეილიშვილს ეტრფის
და შეილზე ჰფიჭრობს ძილგატეხილი,
მეორე აგერ ქარიშხალს ებრძვის,
მიწას და ზეცის შუქს მოწყვეტილი!

III

თენდება... მაინც მზის ნაპერწკალი
არ ჩანს, მიწას კი ღრუბლები ჰფარავს.
და აი მერი, ოდნავ შემკრთალი,
სარკმლიდან პილოტს მიაწვდის

ბარათს:

„საზღვარი. ტყე და ქაობი ვრცელი,
მარჯვნივ... დაშვების დრო არის

უკვე...“

და, რომ განსჭვრიტოს ეს სივრცე

ბნელი,

სინჯავს ხელსაწყოს, დასცქერის

რუკებს.

აქ სისწრაფეა ხმაში, ქროლაში,
ძგერს და ცახცახებს ნივთი ყოველი,
თითქო ჩაბმულა მწვევე ბრძოლაში
ლითონი, როგორც არსი ცხოველი,
აზავთებულა მთელი სამყარო,
აქ არ დაისმის არსად წერტილი;
მერი კი დინჯად ზის და არ ჩქარობს,
მრავალ ფრენაში გამობრძმედილი.
ან კი გულს შიშმა ვით გაჰკრას

ბრწყალნი:

ოწინარი ხომ უპყრია გურამს,
ბრმად ფრენაშიაც სჭრის მისი თვალი,
მის გზას წყვედიადი როგორ დაჰბურავს.

იქვეა, გვერდით მისი კაბინა,
სარკმლიდან მოჩანს მხოლოდ
პროფ:ლი;
რამდენჯერ შექად შემოაფინა
ლიმილი. სათუთ გრძნობით შობილი.
მერის არ ახსოვს, ოდესმე საფრთხეს
მზისაგან დამწვარი და ქარდაკრული
მცირედ შეეკრთოს გურამის სახე
და გულმტკიცობა მისი ზღაპრული,
შეზრდია თითქო სხივის სისწრაფეს
და ლომვულოვან წინსვლას, იერიშს;
თან სდევს, ამშვენებს ყოველ მის
საქმეს

ხალხის საყვარელ გმირის იერი.
შინ გულწილია, უყვარს ბავშვები,
თამაშობს, ვითომ მათი ტოლია;
კაცს ეგონება, თითქო სავსებით
ასეთ გრიგალში არ უჭროლია.
პატარა ეთერს შეისევამს მხარზე
და ამ დროს თვალი უღიშის ისე,
თითქო რაც კია ამ ქვეყანაზე
სასიყვარულო, უტკნობი, პირმზე, —
სულ ყველაფერი, სხივადგუნებული,
ეთერის სახეს ამკობს, ნარნარობს,
თითქო გურამის მხარზე შედგმული
ზეალმაველი ბრწყინავს სამყარო!

IV.

გათენდა, მაგრამ ღრუბლის ჩქერების
შავად მღელღვარ ფრონტს არ უჩანს
კიდე.
და ზრიალებენ პროპელერები,
თითქო მომკელი სქელ ყანას მკიდეს.
თვითმფრინავს ისევ მართავს გურამი,
შეუღრეკელად მიიწევს მზისკენ;
ამ აწყვეტილი ცის საბურავი
მის მუხლს და მაჯას უპყრია მტკიცედ,
ზის და შინაგან ხილვით ძლიერით
შორ გზას გასტყერის, არღვევს
უკუნეთს;
ვით მეგობარი გულისხმიერი,
მოტორიც თითქო გრძნობით გუგუნებს.

გმირი რომელ დროს არა შეეფიცა,
შავ ბედს ებრძოდა, ქედს არ ჩხრიდა;
ცისკენ ოცნებით ბეჭდის უწყალოდ
მიწაზე კაცის ვაჩენის ღლიდნს.
მაგრამ არავის ასეთი სწრაფვა
და სიამაყე არ განუცდია:
გურამთან ახლა, ღრუბლებს რომ
კვაფავს,
სამშობლოს მძლავრად ფრთა
გაუშლია!
მიჰქრის და მიაქვს წმინდა ნათელი.
მიჰქრის და არსად თავს არ გრძნობს
მარტოდ.

ანთო ყველგან წინსვლის კანდელი
და მნათობიდან ვაპყურებს მნათობს!
და აი უცებ (ფრენაში მუდამ
სულყველაფერი ანაზდად ხდება)
განუშვრეტელი ქაოსი უნდო
შესცვალა ცამ და კაშკაშა მთებმა.
იღვიძებს მიწა და დილის სამოსს
არჩევს, რომ სატრფოს შეხვდეს
დამტკბარი,
ახალი ეშხით ააკამკამოს
სხივწამოსხმული ზღვა და მთაბარი.

„მიწა!“ — აღმოხდა მერის, და ხედავს
მაღალ მწვერვალებს, თოვლით
მოსილებს.

შემოეგებათ თითქო აქ დედა
და საალერსოდ ხელს უწვდის
შვილებს.
პილოტებს თვალს სჭრის ცეცხლოვან
ყამის

მეწამულ კართან მზის დაბადება.
რა დიდებული აენთო წამი,
რა დიდებული დღე ბანაკდება!
ახლა ღრუბლებიც ჰგვანან მთაგრეხილს,
თითქო თოვდა და თოვდა მთელ ღამეს.
მხოლოდ აქა-იქ ნაპრაღს დამეხილს
ვიწრო ზოლები ლურჯად ქსელავენ.
და მშობლიური ხიბლავს მფრინავებს
სუნთქვა მიწისა, მათთან ასული.
ბიბინებენ და ლალად ბზინავენ
ველები, წყლებით შემოთასმული.

V

მეორე პილოტს, გულფიცხელ ანდროს, სურს, რომ გაიგოს: სად ვართო ახლა; შერის სწერს ბარათს, მერი კი ამდროს ცდილობს, რომ მისწვდეს რადიო-ტალას.

სადა სცალია — პასუხი ვასცეს, ან ამ სიხარულს რა უყოს ამდენს: ბრმად მიფრინავდნენ, გზას კი არ ასცდნენ

და მიალწიეს შორეულ ზღვამდე. რადიოგრამა მზადა აქვს უკვე: „შვიდი საათი. ჩენი ალამი მალე გადუფლის შორი ზღვის სრუტეს, ვფიქრობთ დავეშვათ. მხნედ ვართ. სალამი!“

მაგრამ არ იღებს ეთერი მის ხმას, მოსწყდა ნაპირებს ფრენა ქარული, თითქო ლამობსო ცა იჭკეს რისხვად და წარიტაცოს ეს სიხარული. ნუ თუ სამშობლოს გულს ვერ ახარონ, რომ მისი სამი ერთგული შვილი, ისევ წინ მიჰქრის, რომ არ დახარონ მზიური დროშა, ამაყდშლილი; რომ შეასრულეს თავისი ვალი, ჯერგაუფლელი გაჰკვეთეს სივრცე; დასტოვეს მთები, კლდეები სალი და გადიეღვეს უფსკრულის პირზე. — ანდრო სწუხს: მერის დუმბილის მიზეზს ვერ მიხვდა, ღელვას, ვერ დაუცდია; ნუ თუ დათრგუნვილ სიყვარულს ისევ მუშურნეობის ცეცხლი უნთია?! არა, მას შემდეგ დიდი ხანია, გულში ჩაიკლა ტრფობის წყურვილი, სხვა მისწრაფებამ აითანია, კავშნის ნისლით შემობურვილი. მაშ ახლა რაა, ეს გესლიანი გრძნობა რომ ჩაწვდა სიღრმეს გულისას?!

თითქო დღე ჩაჰქრა ნათელმზიანი, წამლები ნანატრ სიხარულისა. — „არა, იყურე, გულო... კი, მაგრამ გურამს ხომ აწვდის ბარათს ის ხშირად...“

გაკრა ამ ფიქრმა და მუდმივ ზაფრა წამსვე ხელახლა გამოიტირა.

„რა დროს ეგ არჩნის...“
მეტყობდა და ხელსაწყოებს შიაპყრო მზერა. მერმე გახედა ელვარე მზისეთს და გულმა შევებით დაუწყაო ძგერა. „იხარე, ჩემო შორო ნათელო, ვეწაფო შენი თვალების სხივებს! ჩვენ ხომ ერთი გვაქვს გზა სასახელო. სულს ერთი სწრაფვის ალი გვიღვივებს...“

მანც რა კარგი იყო ის დილა, რა დიდებული გემოსავდა შუქი! მთელ სიკაბუქეს, ვით ღრუბლის ფთილას,

აიწონიდა ის ერთი წუთი! — გაივლო ეს და უმალ ნათურამ სხივი მოაჭინა კაბინის კუთხეს; მერი სწერს: „ვგრძნობდი მე შენს სამღურავს. უკვე მივედით. საზღვრისკენ ეუბნევით.“ ახლა სიხარულს, ლაქვარდში დანთქმულს,

მზიურ მწვერვალზე ააქვს ცხოვრება, და ერთი პანგი აძგერებს მათ გულს, ვით სიმის სიმთან გაამბორება. ამდროს, უეცრად, ხედავს გურამი, წითელი შუქი იძლევა ნიშანს: საწვავი მორჩა... დიდ სადგურამდის ვერ მიალწივენ... დახედა მიწას: ირგვლივ უნდობლად მოსჩანს ყოველი, ბორცვები, ტყე და ჭაობის კიდე... მერის კაბინას საფრთხე მოელის, უნდა გადახტეს... ანიშნა კიდეც... მოეწყაო მერი. რალს უცდიდა, რაკი უფროსმა უბრძანა მტკიცედ. შემოითასმა პარაშუტი და გულმხნედ გადადგა უფსკრულის პირზე.

VI

მოსწყდა, თავქვე დაეშვა ორი ათას მეტრიდან.

შეიკუმშა გული და
თითქმის ძვრა შეწვეცია.
მიჰქრის, როგორც შურდული,
მიჰქრის, მიეტანება,
ჰაერი კი შხივილით
ტანზე მძაფრად აღნება.
ახანგრძლივა ნახტომი,
ვიდრე სუნთქვას შესძლებდა,
მერმე კი რგოლს ჩამოჰკრა,
აიტაცა ლვედებმა.
შეისვენა; პირზე სუსხს
სივრცე აღარ აზლიდა;
ფრთაგაშლილი ორბივით
მიწას დასცქერს მაღლიდან.

ქალო, ქვეყნის მშვენებავ,
დილის სხივით მოსილო,
რა იქნება ისეთი,
შენ არ დაიმორჩილო!
გშვენის მზისფერ დროშების
და საშობლოს იერი;
ჯერ არსად არ შობილა
ქალი შენზე ძლიერი!
ვინ გაბედოს, აღიძრას,
შენს ვზას შემოედოს!
სატრფოვ, სულზე უტკბესო,
საყვარელო დედაო!
იცი, მიწას ღიმილის
ყვავილებით დაჰფარავ;
აღერსს მონატრებული
გელის შენი პატარა.
მიზვალ, ეტყვი — მომავალს,
გულო, შენთვის ვქედაო.
სატრფოვ, სულზე უტკბესო,
საყვარელო დედაო!
ფეხს დაადგამ მიწას და
ხედავ — გაბრწყინებულა
თავგანწირულ ბრძოლაში
რაც კი დამიწებულა;
მზის სხივების ციმციმით
უქნობ ბალში შედიხარ;
მღერის, მაგრამ იადონს
ენატრება შენი ხმა.

7. „მნათობი“ № 10-11.

შენი თვალის კამკამო
ნეტავ ვის არ მოსწყურდეს;
ვარსკვლავი ხარ ციხურისა,
ყველა შენ შემოგაქურდეს;
ყველა ამბობს — ფრთას გეასხამს
მისი შემოხედვაო, —
სატრფოვ, სულზე უტკბესო,
საყვარელო დედაო!

თეთრი ღრუბლის ქულაა,
ნისლია თუ ზმანება? —
მერი დედამიწისკენ
მიჰქრის, მიექანება.
სურს გაერკვეს კომპასით:
სად ტბაა, სად მდინარე;
იქნებ სადმე ველია,
საიმედოდ მშინარე?
ხედავს, მაგრამ თავისთვის
მიანც ვერ გაუმზილა,
რომ ამ ველურ მიდამოს
ჯერ კაცი არ უხილავს.
სწრაფად უახლოვდება,
მიწა მისკენ გამორბის:
უდაბური ტყეები
და მზარავი ჭაობი.
აი, ხეთა წვერები
ზეაწვდილან ეშვებად;
სახეს მკლავით იფარავს
და ტოტებში ეშვება.
დაეკიდა და ხის ტანს
მოხვდა მწვევე კვეთებით...
მერმე დანით შემოჰკრა
პარაშუტის ლვედები.

VII

„აი, მიწა!“ — სთქვა ხმამაღლა,
ღრმად ისუნთქა, ნებანებით.
თან რადიოს უსმენს თითქო,
ყურში რომ არ ჰქრება ხმები.
ახლა იგრძნო ბუნვეულის
სამოსელში ოფლის ღვირი;
ცხელა, მაგრამ ამ სქელ ტყეში
არა! თ აღარ მოჰქრის არი.

სიჩუმეა... ხევში ხომ არ
ჩაიმარხა დიდ მთის შვავეი?...
მაგრამ აგერ სულ ძირს, ტყეზე
მოგუგუნებს თვითმფრინავი.
გურამია! სურს გაიგოს
სად დაეშვა ტყეში მერი...
მისწყდა ხმები... შორ სივრცეს კი
იღუმალი ერთვის ჩქერი.
თვალი წყნარად მიმოავლო
ტყეს ხაფისფრად გადაბარდნილს;
ლამის ფიქრით დაემსგავსოს
კაცს, ორმოში გადავარდნილს.
მარტო არის... ეს სიჩუმე
აიწონის მთელ ქვეყანას;
ერთი ქალი, მარტოხელი,
მასთან ბრძოლას შესძლებს განა?!
რა იღონოს, რას მიენდოს,
ვით გაუძლოს ზადრას ამდენს:
გული შეჰკენეს გურამს, ანდროს, —
ნეტავ, რა ჰქნეს, დასხდნენ სადმე?
ტყეც ლოდინში გარინდულა,
თვალბედივით სდუმს ყოველი...
ჩამოჯდა და წამისწამზე
საიმედო ხმას მოელის.
სიჩუმეა... ამ უღრანში
ოდესმე თუ იყო არსი?
ტყესთან ერთად აქ დროსაც კი
მოსდებია თითქო ზავსი.
სად დაეშენენ?.. ხომ აღუთქვეს,
რომ მისცემდნენ ნიშანს სროლით...
სიჩუმეა... არსით ჩქამი,
თუნდ მწერისგან შენაკრთოლი.
ადგა. ფეხქვეშ დაიმსხვრა და
ახშიანდა ხმელი ფიჩხი;
წამსვე გული აუჩქროლდა
ამაყი და მწველი ფიქრით:
— რას დამუნჯდით? არ ვსმენიათ
სიტყვა, გრძნობით შენარხვეი?
აი, მოველ, მოვიტანე
მე სიცოცხლე მძლეობამძლევი...
მოემზადა, შეამოწმა
ნახაზები სიფრიფანა,
კომპასი და რევოლვერი,
ვაზნები და ჯიბის დანა.

გზას გაუდგა, სავალად შეჩინდა
შოკოლადი ხუთი ცალი;
მიარღვევდა ტყის ბმვას დუმალს
გულმტყიცე და უშიშარი.

VIII

იარა და... ლამდებოდა,
როს გამოჩნდა მცირე ველი;
შეჩერდება, ყურს მიაპყრობს,
თოფის სროლას ისევ ელის.
იქნებ მარცხი მოუვიდათ
და სიკვდილი ელავს წუთად...
სიახლოვეს არვინ არის,
დაჭრილებს კი შველა უნდა...
რა ზვიადი საღამოა,
რა პირქუში მოდის ღამე!
სულს შეზუთვენ ეს ხეები,
გარს რომ წყვედიდს მოისხამენ!
დასავლეთით მოჩანს მხოლოდ
ჩაძირულ მზის ანარეკლი...
მოდის ღამე, ვით ღრუბლები,
მძლავრი ქარით ანარეკი.
რა შორსაა ეს ვარსკვლავი,
კივად ბუტყავს, უთვისტომოდ,
ამტერდება ამ ვეება
სამყაროს და უყვირს ობოლს!
ნუთუ ამ მუნჯ სიბნელეში
ჩარჩეს მათი თვალთა ბრწყინა,
დაიმარხოს უწრფელესი
გრძნობები და აღმადგრენა?!
მაშინ მერიც დაე მათთან
ჩაესვენოს სამარეში,
ნუ ეღირსოს ეთერის და
დედის ხევენა და აღერსი...
ამ დროს უცებ გაიბზარა
სივრცე, ელვებო ანანთები.
ჩუ! სროლაა... შორს ტყის უბემ
უპასუხა ათას ხმებით.
— შეძახიან! ცოცხლებია! —
სიხარულით გულში ამბობს.
აი, თითქო ხმა გუგუნებს:
„გურამი ვარ, გიძღენი ამბოროს“...
კვალე სროლაა... ეს სანიშნოს
რალაც არ ჰგავს, მგონი სხვაა...

მგრამ არა, დაღამდა და
სანუგეშო მოკითხვა.
უსიერ ტყეს, თვალუწვდენელს,
უბეს უხსნის ღამე ჩემი
და ნარნარად ვფინება,
როგორც ქუფრი აბრეშუმი.
მერიმც სამჯერ გაისროლა,
ხმა ცის სიღრმეს აყვავა რხევით;
გულს იმედი მოეცა და
გაიფიქრა აღმადრენით:
— ვინა სთქვა, რომ აქ მარტო ვარ?
ან ეს ღამე რას ზვიადობს?
ჩემი ქვეყნის ძალა ყველგან
ელვარებს და განთიადობს!
შეც იმისი ნაწილი ვარ,
მცირე შუქი დიდი მზისა;
რომ ვემსგავსო ყველაფერში,
აიყვარულით მისთვის მზრდიდა...

გზა განაგრძო... დაიღალა...
ხის ძირს ჩაჯდა უნებურად.
მოისვენა, თითქო დედა
მზრუნველობით უგებს... ჰბურავს.
ივანშმა და ერთის წამით
გულს ეს ღამე ავსებს შურით, —
თანამგზავრებს გაუგზავნა
მოალერსე საყვედური:
— „არ გრცხვენიათ, ვაჟაკებო,
უშფოთველად მკლავზე ძილი?
მიატოვებთ ობლად ქალი,
ულრან ტყეში ჩარჩენილი...“
თან ღიმილი მოერია,
გულში სხივი ჩაეფინა;
ეამბორა ეთერს, დედას
და მაშინვე ჩაეძინა...

IX

რა უდაბური მხარეა,
საცხე უტეხი ზევაობით,
ხავსმოდებულნი ტყეები
და გაუვალნი ქაობი;
ათასწლოვანი ხეები,
ულრანში ჩახერგილები,
თითქო გახრწნილან ვეშაპნი

და დასცვენიათ კბილები.
აქ თუ შეჰბედავს ფრინველი
და მტაცებელი მსუნჯავი,
გადაბურულა პირქუსად,
დათვთა, ფოცხვერთა ბუნავი.
დაჰბერავს, დაჰკრავს გრივალი,
ტალა, ტალღებით შობილი,
თუ არა დაისადგურებს
ღუმილი პირველყოფილი.
ახლაც რა მძიმედ ჩამოწევა
ეს მწუხრი დანადგლებული,
თითქო დანთქმულა ბნელეთში
სიცოცხლე განახლებული.
გადაკარგულან ვარსკვლავნი,
ტყეც აღარ სუნთქავს შრიალით...
ასეთ დროს ზომ არ ისვენებს
ცხოვრების ჩარხის ტრიალი?
მგრამ ვინ არის ეს მგზავრი,
ტყის პირს რომ მოეტანება?
კაცია გზადაკარგული,
თუ ბინდმოსილი ზმანება?
მტყიცედ აბიჯებს, არ ჩქარობს,
ტანბრგე და ომახიანი,
თითქო სურს უთხრას ტყის ღუმლის —
მოველო მაღალხმინანი!
მე ვარო ძალგულოვანი
პატრონი დედაშიწისა,
მისი ძეც ვარო ერთგული,
სამშობლოს დედად ვიფიცავ! —
თავზე ახურავს ჩაფხუტი,
ამოუტყეცავს საყურე,
თითქო არწივი ბარიდან
მთების მწვერვალებს გაჰყურებს.
ფოლადისფერი სახე აქვს,
ქარსა და მზეში ნაწრთობი,
შეუბოვარი თვალები
უბრწყინავს, როგორც მნათობი.
ეტყობა სივრცე მრავალჯერ
ელვისებრ დაუსერია,
გაურღვევია ღრუბლები,
გრივალს შებმია ჩქერიანს.
აცვია ტყავის ქურთოუკი,
წელს რვეოლვერი ჰკილია,
აბგა, ვახნები, მათარა, —

როგორც მებრძოლის რიგა.

გამოუვლია ქაობი,
წყალი თუხთუხებს წაღებში,
შემოფლეთია სამოსი
ეკლად დახლართულ ჯაგებში...
რა მოსდის? მწვავე ტყვილით
რატომ შეკმუნა წარბებო?
უნებურ გმინვა აღმოხდა,
ვარამით გულისწამლები.
მარცხენა ხელი ვერ დასძრა,
მკერდზე მიიჭლო მარჯვენა,
თითქო ამ ყრუმუნჯ ბუნებან
თვისი ჭრილობა აჩვენა.
ქურთუკზე სისხლი მოწვეთავს,
ჩამოღეარულა ზოლებად...
ქაბუკი ცდილობს — წუხილი
დაუმორჩილოს გონებას.
მაგრამ უმტყუნა მუხლებმა
და წაბარბაცდა მთვრალივით,
მიწაც შეირყა, გარს ერტყმის
ტყე გაუვალი რკალივით.
ზურგით მიეყრდნო ბებერ ხეს,
ქლივს მოიკრიბა ძალები;
პერმე ჩაჯდა და კაეშნით
მიმოატარა თვალები.

X

მიელულა.
წამს მიყუჩდა ტყვილი.
მძიმედ სუნთქავს
ბალახებში მწოლარე.
გაპჭრა ეს დღე,
როგორც გველის სივილი.
ახვა ზმანებებს
შეუპყრია მკრთოლარე.
აი, დედა
გამოსცილდა ტირიფებს,
მიეახლა,
უაღერსებს მცინარი.
რას ბუტბუტებ?
ხმამაღლა სთქვი, ქირიმე,
ნუ გგონია —
შენ გურამი მძინარი.
რაო? მამა

შორეული ქვეყნიდან
გვეწერს, დაეძლეო
ამ ცოცხალთა სამარეს
ნეტავ, გურამს
წუთით მაინც ეპყრიტა —
ცოცხლებს მიწა
როგორ გადააყარეს?!
წინ გასწევდა
ზარდამცემი პირითა,
დაიხსნიდა
მამას მტარვალთ ხელიდან...
ბავშვმა ველზე
ბევრჯერ გაიჯირითა
ხის სატევრით
და გრძელ ჯოხის ცხენითა.
აჰ, დედაკო!
რად ხარ აგრე მწუხარე?
დამაცადე,
გავიზრდები ვაჟაკი,
მტერს შემუსრავს,
ცრემლს შევიშრობს მდულარეს
ჩემი ხმალის ელვასავით კაშკაში...
უცებ შეკრთა,
მწვავედ ვაპკრა ჭრილობამ...
მერმე ისევ
ჩაწვა ძილის მორევში...
ეს რა არის?
ომია, თუ ყრილობა?
გარეულა
მგზნებარ გულის სწორებში.
მტერი მოდის,
დაჰკათ, მძლავრად დაჰკარით!
ალიგავოს
კვალი მისი ჩრდილისა!
მოეფინოს
ჩვენი ქვეყნის ლამპარი
მთელ მსოფლიოს,
როგორც სხივი დილისა!..
ეჰ, სად იყავ,
დედი, რომ ვერ მოესწარ
ჩვენი დროშის
ციდან ცამდის ტარებას!..
მამაც სადღაც
მტრის ურდოში მოემწყვდა,

ვერ ეღირსა
 ნანატრ გამოდარებას...
 ღრმად ისუნთქა,
 შეუთრთოლდა ტუჩები,
 თითქო მშვიდი
 ღიმი ჰკურნავს იარებს;
 მტრედებივით
 მოფრინდნენ ეს წუთები,
 ლულუნებენ
 პანგებს თანაზიარებს. —
 გაიმარჯვა,
 შინ ბრუნდება მზედარი,
 წინ მოქდღვის
 სატრფოს თვალთა ციმციმი, —
 ეს მერია,
 მისი ხმაა ნეტარი,
 სატრფიალოდ
 ფრთავაშლილი სიცილი.
 მაისის მზეს
 შურით თვალებს აუნთებს
 მისი სახის ეშხით გამონათება;
 ზიბლავს, როგორც
 გაზაფხულის საუნჯე.
 მშობლიურად
 თანშეზრდილი არსება.
 რა დარია!..
 და რამდენი კარია
 გამოვლილ გზის
 წმინდა შუქით ნახატი!
 ორთავენი
 ფრთაშესხმულნი არიან,
 ზე ადიან
 მარად წინსვლის ღაღადით
 ძლევაშოსილთ
 რა დარჩებათ უცნობი?
 შემოქმედის
 სიამაყეც შეფერით...
 ღალ სიცოცხლის
 ყვავილია უქკნობი,
 მათი ნორჩი,
 თვალთუქუნა ეთერი.
 აგერ მოდის,
 თითქო გაბუტულია,
 თითს უქნევს და

ემუქრება მამილოს...
 დაქანცულა...
 რა შორი გზა უვლავს
 მოდი, გულო,
 მოდი, ჩემო ყვავილო!..
 შეიშმუნა,
 შეაფრინდა კვალები,
 გულს ცეცხლივით
 შემოენთო წუხილი...
 გააბილა
 სისხლჩამდგარი თვალები:
 ღამე იყო
 და საზარი დუმილი

XI

თავს დაადგა მერის დილა,
 როგორც მზრუნველ მშობლის მზერა;
 გაატარა ღამე თბილად
 და ტყვეს ახლა ისევ ზვერავს.
 მაღალ ხეთა დიდრიონ შტოებს
 დაუფარავს სივრცე ცისა;
 ნუთუ დღესაც ვეღარ ჰპოვებს
 თავისუფლად სავლელ მიწას?
 ტყეში სხივი ეონვას მკრთალად,
 თითქო მორცხვად ხრის წაშწამებს;
 მზე კი მაინც, ათასთვალა,
 ცვარნამებში კრთის, კამკამებს.
 გზას გაუდგა კომპასით აქვს
 მას ეს გეზი ჩანიშნული.
 შეჩერდება... ტყეც ყურს უგდებს,
 მოლოდინში გარინდული.
 სად წავიდნენ? რად არ ისმის
 დღეს მათი ხმა სანატრელი?..
 იქარის და თანაც გულში
 ღვივის მწვავე სადარდელი:
 იქნებ დიდი მარცხი მოხდა,
 დაშავდნენ და ვერ დგებიან...
 ახლა სროლაც აღარ ძალუძთ,
 სისხლისაგან იცლებიან...
 შეაფრეოლა... რევოლვერით
 კვლავ ნიშანი გასცა სამჯერ;
 დაიხუვლა ტყის წიაღმა,
 თითქო სივრცის ზღვისა სევამდეს.
 მერმე ისევ ღრმა დუმილი

ჩამოწვა, ვით უტყვი ღამე...
 აუჩქარა, თავს არ ზოგავს,
 არც ლაჩრულად უფრთხის რამეს.
 მიდის... ტყეში დგას ჰაერი
 უძველესი აკლდამისა;
 ირგვლივ ხავსი, ნამსხვრევები
 და კედელი ქალტამისა.
 მერის ბეწვის სამოსელიც
 სწვავს, გადმოსდის ოფლის ღვარი;
 მიარღვევს და არ თავდება
 ეს შამშნარი მოსისხარი.
 მოსწყურდა და ფოთლებს ლოკავს,
 პირს ისველებს დილის ცვარით...
 დაიღალა, წყურვილი ჰკლავს,
 მაგრამ მაინც მიიჩქარის.
 უცებ შეერთა, მოეჩვენა,
 თითქო ვიღაც ამსხვრევს ტოტებს.
 მიაყურა... ეს დათვია, —
 უცხო ხმა თუ აბოროტებს.
 შეჩერდა და ისიც დადგა,
 გზა განაგრძო, თან მიჰყვება...
 მიდის მერი, ცდილობს, მაგრამ
 ვერ ახერხებს დავიწყებას,
 რომ კვალდაკვალ მოსდევს იგი,
 ყველგან შამბი და ნადირი...
 თანამგზავრთა ხმაც არ ისმის
 და არც ამ ტყეს აქვს ნაპირი.
 ნამსხვრევებს რომ ფეხს წამოკრავს,
 წაიქცევა... დგება სწრაფად...
 ერთ ხის ძირას წყალი ჰპოვა,
 სიხარულით დაეწაფა.
 შეისვენა. გულიც ჩადგა.
 აღარ აკრთობს
 ფიქრი მწვავეი...
 ტყის პირს ხედავს...
 მყისვე გარბის,
 რომ იქ ნახოს თვითმფრინავი.

XII

იარა, ბევრი იარა,
 მაგრამ ვერ ჰპოვა მანქანა;
 თვითონაც უქვირს, ვით შესძლო
 ამდენი ტანჯვის ატანა.
 ქაობს ვაჰხედა, კუნძულებს...

არსად რაიმე ნუგეში...
 ცრემლს ხომ არ ვადმოუქონავს
 დაღლილი თვალთ...
 წარბი შექმუხნა, მოიხსნა
 დაპვმო გრძობების ალობა;
 გულს უთხრა: გიჯობს გააკედღე,
 არ შეირცხვინო ქალობა!
 ტყის პირს შეუყვავა, ქანკრობში
 ბევრჯერ ჩაეფლო მუხლამდის...
 ეს უკაცური მიღამო
 მხოლოდ დაღუპვას უქადის.
 ჩამოჯდა. თვალებს ეამა
 გორაკი ბალახიანი...
 ყური მიაპყრო... ეს, მგონი,
 კენესა ადამიანის!
 წამოიმართა, ხმას მიჰყვავა,
 გულს ჟრეოლა შემოეპარა...
 შეერთა, შეჩერდა, თითქო თვალს
 ღამის ფრთა შემოეფარა.
 ის არის, მაგრამ რასა ჰგავს,
 დაქრილი, სისხლშიმოსვრილი?!
 დგას და უცქერის უსიტყვოდ,
 ზაფრისგან წელში მოხრილი.
 გონმიხდილსა ჰგავს... არ სძინავს...
 თმა შუბლზე ჩამოჰფენია.
 ბევრჯერ უცდია ადგომა,
 ტუჩები დაუქებნია...
 — ვაიმე, ჩემო გურამო! —
 შეჰკავლა მერიმ მწუხარედ;
 ჩამოეკინძა დაწვებზე
 ვულში ნაფეთქი მდულარე.
 თვალი გააღო დაქრილმა,
 ხმა რომ გულს ჩაწვდა ნეტარი;
 პირს მოეფინა ღიმილი,
 თითქო დილის მზეს შეჰხარის.
 თავი ასწია, შეიტკბო
 ეს ბედნიერი წუთები,
 და შეაგება ხიცოცხლეს
 მოწყურებული ტუჩები.
 მერი ეხვევა, ცრემლსა ღერის,
 თვალებს უკოცნის მგზნებარედ,
 თითქო სურს იქცეს ნაკადად,
 სულში ჩაუძვრეს მჩქეფარე...
 უცებ ჰრილობას დახედა,

ამოებებლა დაწვებზე კორფლი
და ხელი ფრთხილად ჩაუღო ხელში.
ნუგეშს აძლევდა, ითხოვდა ნუგეშს,
თვალში ეონავდა სევდა ფარული,
თითქო ნაკვერცხლით უვსებდა უბეს
სიცოცხლის ნატერა და სიყვარული.
— ახლავე წადი! გაჰყევ ტყის ნაპირს,
ძვირად ღირს ახლა წამი ყოველი,
არ შეუშინდე არც ბნელს, არც

ნადირს, —

ნორც ვისმისაგან შევლას მოვლი...
არ აცდებოდა ანდროს მტრის მახე,
შეკრული არის ყველგან ის მხარე...
შენ აი, ამ გეზს ბოლომდე გაჰყევ
მდინარისაკენ გასწი, იჩქარე...

ჩვენებს აცნობე... დაჰგუბონ ხერელი...
მტრის შხამი მტერსვე შემეუსრავს
მძლავრად.

და მე ეს მარცხი მოულოდნელი
აღარ ჩამყვება საფლავში ჯავრად...

XIV.

მერი, ვით დედა სულთმობრძავე
შვილის

საწოლთან მძიმედ ჩაფიქრებული,
უშენდა გურამს, თითქო სიკვდილის
თვალს შეეფეთა გაფითრებული.
ხედავს: დანთქმული უცხო ფერებში
გურამის სახე ცამდე აწვდილა, —
ეს თვით სიკვდილზე უძლიერესი
ტრფობა მზისეთის ძალით აღესილა.
დაიხარა და აკოცა შუბლზე,
შეეხო სუნთქვა მახარობელი:
ეს ერთი კაცი სამყაროს უმზერს,
როგორც მეორე სამყარო ვრცელი!
აქ არის მერის სიცოცხლე ლალი,
შესხივებია ამ თვალებს სული;
რომ დაიხუტოს, დაქნება ბალი,
მისი ღიმილით აყვავებული.

ეს აქ დასტოვოს მარტოდ. უშწოდ,
ებრძოდეს სიკვდილს, ჰკლავდეს
წყურვილი...

საღლა წავიდეს მერი უმზერო,
გლოვის ბურუსით შემობურვილი!

მერი

ნუ გამიწყურები... შემპყრო ხაფრამ,
გიჭირს, ვერ გშველავ...
სამშობლო...

ადილი თქმა — წადიო, მაგრამ
საღლა წავიდე დასამიწარი!
არა, ასე სჯობს, დავრჩები აქ მე,
შენ ახლა გინდა ნუგეში, მოვლა...
რა უნდა იყოს სხვა დიდი საქმე,
მარტოდენ მისთვის რომ ღირდეს
ბრძოლა...

გურამი

ეს რა წამოგცდა? მაგ აზრს რას
არქმევ?
იქნებ ჩავთვლიმე და ხმა მეზმანა?
ჩაო? როგორ თქვა? მგონი: „სხვა
საქმე“, —

განა სხვა საქმე არის ქვეყანა?!
სამშობლო, მერი! ჩვენი დიდება!
ყველა ჩაგრულის დიდი მედროზე!
ის ჩვენი სულის გზნებით ბრწყინდება,
ჩვენივე სისხლის ფერით შევმოსეთ!
სხვა რაღა არის სიცოცხლის აზრი,
რითი ამაღლდე და გაიხარო,
თუ ვით მკურნავ წყლით აღსავეც თასი,
მშობელ მიწაზე არ დაიღვარო!
დეე აყვავდეს სხივმომფინარო,
შემოქმედებას ბაღნარად შლილი,
რომ შენი გოდნობის თუნდ ერთი ცვარი
მის ნორჩ ყვავილზე ბრწყინავდეს
დილით.

სამშობლო მზეა, სიცოცხლის წყარო,
ვარსკვლავი მზეზე უფლავრესი,
სიყრმის ოცნება დაუფიწყარი
და დედის ნანა, დედის ალერსი.
ამას უწოდდე, მერი, სხვა საქმე?
განა შეპფერის ეს შენს ქალობას?
როგორ დაეცი, როგორ გადაჰყევ
წყუხილს და ლაჩრულ

გულმონწყალობას?!
მოვლა გინდაო... განა არ ვნაღვლომ,
ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია,
მაგრამ, როდესაც საფრთხეა ახლოს,

მერი, სამშობლო უფრო დიდია!
 ვიცი, ტრფიალი ჩემს თავს
 გაცოდევებს,

სიყვარულით მეც დამიკენესია,
 მაგრამ, როდესაც ხმას მოგაწოდებს,
 მერი, სამშობლო უმაღლესია!
 ფერვლიც ნუ ვიყო ნაძრამ

სიცოცხლის,

გმირისთვის წრფელი გლოვა — ვალია,
 მერი, სამშობლო ჩვენი სისხლხორცის,
 ჩვენი ეთერის მომავალია!..

XV.

რას შეაშტერდა თვალანთებული,
 ხმა რამ შეუკრთო ამაყ მთის არწივს?
 ამომავალ მზით განათებული
 ეთერის სახე დაუდგა თვალწინ.
 სურს მიაშუროს მამას სიცილით,
 თითქო შლის ხელებს, ყელზე ეხვევა;

ასე მამის დილის ციმციმი
 ყვავილნარს ეშხად შემოეფრქვევა.
 გურამს დაბთვილ ტურზე ღიმილი
 მოეფინა და განაგრძო ისევ:
 — მერი, არ გშვენის შენ სიმძიმილი,
 როდესაც საქმე საგმიროდ ვაწვევს.
 ვიცი, წახვალ და დროს ნულარ

პკარგავ,

მთელი ქვეყანა ჩვენ გვიმზერს ახლა.
 რა ვალიც გემართებს, იფიქრე კარგად,
 და მზიურ მწვერვალს გაჰხედე მალა.
 ხედავ, დაგეყურებს სიბრძნის,

გმირობის,

შემოქმედების წმინდა ნათელით,
 სამშობლოს წინსვლის უნაპირობის
 ჰძლე და უბადლო გამომხატველი!
 პელადის თვალი გზას არ ავაცდენს,
 იგი ყოველ წამს ჩვენს ძაბილს ელის;
 რა არის ქვეყნად, რომ არ გადაწვდეს
 მისი კეთილი, მზრუნველი ხელი!
 მე კვლავ ათასჯერ რომ დავიბადლო,
 მისი გზით მტკიცედ ვივლიდი მარად...
 მშვიდობით, მერი!.. აღარ იღარდო,
 გულაჩუყება გეყოფა, კმარა!

მომეცი აბგა... მე არ მჭირდება
 ეს შოკოლადი წაიღე საგზნად.
 ღამე მოგისწრებს, გავგვირდებ...
 ახლაც გემჩნევა სახეზე დაღლია
 მაგრამ...

მერი

მიედივარ... სულს შენთან

გტოვებ.

შენ შემოგველე, ნუ მატან საზრდოს.
 ჯანმრთელი ტყეში სოკოსაც ვბოვებ,
 ნულარ მიმატებ ზედმეტ სადარდოს.
 ეს საკვები შენ გაგიტანს ხუთ დღეს,
 მანამ კი ძალგვიძს მტრის გეგმის
 ჩაშლა;

შველაც მოგისწრებს, თუ მე ეს კუთხე
 გავარღვიე და შეეძელი გასვლა...

გურამი

გაარღვევ, ჩემო სულო ნათელო,
 გმირთა დიდების შუქით ელვარევი!...
 აბა, ვის ძალუმს მიწვდეს, გათელოს
 ძალა, უშრეტი რწმენით მღელვარე!
 ეგ ცრემლი, კოცნით ამოსაშრობი,
 ქალურ სისუსტის ხარკი როდია;
 შენი გული ხომ, მზეში ნაწრთობი,
 ჩვენი სალი კლდის ერთი ზოდია...
 მე ნუ მიდარდებ, გავძლებ... თუ არა,
 მმოსავდეს მზიურ ქვეყნის ელფერი...
 აი, ცას ელვამ გადაუარა,
 თითქო გვიღიმის ჩვენი ეთერი...
 მერის შეპყვნესა გულმა მზარავად,
 რომ განშორების იყო ეს წამი,
 თითქო იღუმლად და შემპარავად
 გრიგალის ტალღამ დასცა ლერწამი,
 მოეხვია და... აენთო უცებ
 სულის სიღრმეში ზმანება მწველი:
 ეს ერთი კაცი სამყაროს უმზერს,
 როგორც მეორე სამყარო ვრცელი!..
 ეს გრძნობა როგორ გადაეხანდა!
 ეს განცდა მძაფრი რას შეეფარდოს!..
 გურამმა ამ დროს მოახერხა და
 ჩუმად ჩაუღო აბგაში საზრდო...

XVI.

მიდის მერი... ხუთი დღეა
 გზას მოიკვლევს უღრან ტყეში,
 ხან შამხნარი ეღობება,
 ხან ჭაობი უარესი.
 უკან რჩება მომაკვდავი
 სულის სწორი უნათლესი;
 წინ სამშობლო მოუწოდებს,
 სიკოცხლეზე უმაღლესი.
 ძალას იკრებს... თუმცა ბევრჯერ
 ჩაიჩოჭა უხმო კენესით...
 შტურმანია, ეძებს, მაგრამ
 გზა ვერ პპოვა უმოკლესი.
 ძვირად უზის ეს მანძილი,
 მწვავე ჯაფით მონაგები;
 გადალახა ნალექი ტყე,
 ნაცეცხლარი გორაკები;
 დაიკაწრა ჯაგნარებში,
 შეეფეთა ნადირს ბევრჯერ;
 ხან კოლბობებს წააწყდება
 მყრალ გუბეთა ნაპირებზე;
 ხან მუხლამდის სწვდება ლაფი,
 ხან ქალტამი ავაგლახებს...
 სულას კი მაინც არ ანელებს,
 სიმწრის ოფლმა დასწვა სახე...
 დაიღალა, დაფოტრილ ხეს
 მიეყუდა დამწუთლი;
 სულს უხუთავს ზავის სუნი,
 ტყის სიღრმეში დაკმეული;
 მოეჩვენა, თითქო წლები
 უამრავ წლებს ენარცხება,
 ჩარჩენილან ამ კაპანში
 და უწყიათ დანაცრება.
 ჩამოჯდა და ვახსნა აბგა,
 გულისცემა აწვევს ხშირი;
 შოკოლადს რომ ჩამოსტება,
 გაუშეშდა წამსვე პირი.
 ამოვესო ცრემლით თვალი,
 ერთ წერტილზე მინაცქერი,
 გაუფითორდა ბაგეები,
 მძაფრი გრძნობით ანადგერ...
 ეს გუჭამის ლუკმა იყო,
 დაჭრილის და სისხლდაცლილის...
 იქნებ ტანჯვას ვერ გაუძლო

და სიკვდილი მიწვდა ცივი,
 ჩაპჭრა მისი შავი თვალი,
 ტრფობის წუქით მოეღვარე;
 მხეცებს დარჩა უპატრონოდ
 შე კი ველარ მოვეხმარე...
 სულს რომ ლევდა, იქნებ ეთერს
 ეძახოდა მისებურად...
 ნუ თუ მართლა ხმას ვერ გაწვდენ,
 ნუ თუ აღარ მომხერ, გურამ?!
 მაშ რას ვეძებ?... ეგებ მიჯობს —
 ეს ტყე მექცეს მე სამარედ...
 აჰა, კიდევ შეიხუთა
 და ხავისფერ ქსელს მადარებს...
 შეაერყოლა... ყრუ გოდებით
 მოიხოცა თვალზე ცრემლი, —
 ეს რა ფიქრი დაებადა
 სასიკვდილო წამზე მწველი!
 გურამის ხმა ესმა თითქო
 და აზრი აზრს მიჰყვა რთული;
 დაუშრეტელ ძალას მატებს
 სამშობლო და სიყვარული.
 გულს ამხნეებს: გაიმარჯვე,
 ან სიკოცხლე დასწვი უწინ!
 ნუ აყვები ბნელ ზმანებებს,
 გზა გაპკაფე, გასწი სულ წინ!
 ეს ქვეყანა მას უღიმის,
 ვინც მუდამ ეამს ქმნის და სკვდავს,
 ვინც სტიქიონს იმორჩილებს,
 უკუნეთშიც წინსვლას პხედავს.
 გზა განაგრძო შეუპოვრად,
 გულს კი მწვავე აზრი სწურავს:
 ნუ თუ ანდრო გადარჩა და
 არ უშველა დაჭრილ გურამს?!
 ეჰ, ვინ იცის, კაცის გული
 ზღვა არისო ბნელზე ბნელი:
 ვარსკვლავებს რომ უბეს უხსნის,
 შიგვე საზრლოს ეძებს გველი.
 იქნებ ისევ მეშურნეობს,
 ვერ დათრგუნა ძველი ტრფობა,
 ისევ შერჩა იდუმალი
 მჩქეთარ სიყრმის მწველი გრძნობა?
 მაშინ ნუთუ ნილაბია
 თვალთა შუქი მეგობრულ?!
 ნუ თუ სული სულს ვერა სცნობს

და მზაკვრობა მეფობს სრული?!
 ნუ თუ მაშინ უღალატა,
 როცა შეველა უნდა ძმური?! —
 გაიხედა: წინ ტყე იყო,
 კიდევ უფრო უღაბური.

XVII.

გაელვიძა. ჭაობის პირს
 უსასოოდ აკვირდება:
 ნეტავ, როდის დამთავრდება
 ეს უზომო გაჭირვება?
 გუშინ, როცა ძლივს ვიდოდა,
 მთლად სოველი, ძალმიხილილი,
 თვითმფრინავის ხმა მოესმა,
 ვით მუსიკა მძლავრი, ტკბილი.
 მყის გამხნევედა, დაავიწყდა
 უჭმელობა სამი დღისა, —
 მხოლოდ ტყის ხილს თუ ჰპოვებდა,
 ისველებდა ჭნავით პირსა.
 აი, ახლაც ხარბად იდებს
 პირში მარცვალს ორიოდეს;
 ცას გაჰყურებს, იქნებ ისევ
 თვითმფრინავი შორით ჰქროდეს.
 ჩუ! შრიალი ჩაწვდა ყურში,
 თითქო მორევს ერთვის ჩქერი...
 აჰ, ისვების გუნდი არის,
 მიიჩქარის ბედნიერი!
 გააყოლა სვედით თვალი
 ნარიფრავალ სივრცის კრიალს...
 აგერ, ხიდან ვადმოჰყურებს
 თვალალმასა, მკვირცხლი თრია.
 შენ რა გიშავს, მაქციერო,
 შინა ხარ და დანაგარდობ;
 გულცივი ხარ, ვით ბუნება,
 თუ გაძეხი, არას დარდობ.
 ეს პაწია ჩიტუნებიც,
 ბოლოჰყრელი, ნაცრისფერი,
 ბიდანზეზე სააღეროსო
 ხმას აწედიან ნახ სიმღერით...
 ადგა, სახსრებს ძლივს იმაგრებს,
 შეულონდეს ლამის გული;
 უნდა განვლოს ეს ჭაობი,
 სადღესოდ გამიზნული.

საცა არის, აქ ახლდა
 მდინარე და საგუშავგო;
 ოლონდ მათთან მუჯღმღმღ...
 და თუნდ გაჰქრება სამსუქამრად
 ეგებ გურამს სული უღვას,
 ალიკეთოს ზრახვა მტრისა, —
 მაშინ მერი სიკვილიშვიაც
 უკვდავ შევებას ნახავს თვისას.
 მიდის მძიმედ... თბილი ქურჭი
 და სამოსი მიაქვს მზარით;
 მარტოდენ ხალათს ურბევს
 მზით გამთბარი ნიაქქარი.
 შუადღისას ხმა მოესმა —
 თვითმფრინავი ჰაერს ჰკვეთდა...
 შეჩერდა და ძალმილეულს
 შემოენთო მწვავე სევდა...
 იქნებ მისკენ ჩამოეწვას
 და ნიშანი მისკცეს ჩვენებს,
 მაშინ აქვე ჩამოვდება,
 დიდხანს, დიდხანს დაისვენებს.
 მაგრამ რგი მიიმალა,
 ისევ მარტოდ მიდის მერი...
 ძალას იკრებს, თუმც სახეზე
 გადაედო მიწისფერი.
 ხან კოლბობზე მიაბიჯებს,
 ხან წელამდის წვდება ლელი;
 აღარხად ჩანს შორეული
 თოვლიანი მწვერვალები...
 დაქანცულმა ვერ შენიშნა —
 გადაზრდოდა გუბეს ხავსი;
 შეტორტმანდა, ჩაიჭკა და
 ჩაიმალა უცებ წყალში.
 ძირს მიიწვეს ფეხი, როგორც
 ტყვასავით მძიმე ტვირთი...
 იბრძვის, მაგრამ ამ მწვერწი
 მყის უქარწყლებს იმედს ზვირთი.
 ბოლოს მაინც გადასცურა
 და ჩააჭდო ნაპირს ხელი,
 შეისვენა... ნაომარმა
 შევება იგრძნო საკვირველი:
 რა ტკბილია დედამიწა,
 მოალერსე, გრძნობიერი,
 მასაც თითქო გული უცემს,
 მოწყალე და ღმობიერი!..

XVIII

სალამომდის ტანთ შეიწრო...
 ნახა ქვებოთ საესე მღვიმე.
 თაჲ მისდო გატანჯულმა,
 ჩაეძინა წამსვე მძიმედ.
 რა იცოდა, იქვე, ხევში
 მდინარე თუ ჩქრიალებდა.
 სად შეეძლო... ძალმიხილი
 გული ვითლა იალებდა...

იწვის ღამე...
 მოციმციმებს ცისკარი.
 რა კარგია!
 ცხადია, თუ სიზმარი?
 მიჰქრის მერო,
 ვადუღევა მყინვარებს,
 მთებს დაჰყურებს,
 მშობლიურად ბრწყინვალეს.

ჰა, ღრუბლები
 ტალღებივით გაბმულა,
 სერიოთ სერზე
 თეთრად გადაბამულა.
 ძირს ჩაეწევა,
 აქაც ყველგან ბურია,
 აღარ მოჩანს
 კოლხეთი და გურია,
 აქ ახლოა
 სადღაც მისი სოფელი:
 რა ზანია

ელის დედა მშობელი...
 აი, თითქო
 ნაკადს მიჰყვა ჩქერიანს...
 ბავშვი შეხვდა, —
 ეს ზომ თვითონ მერია!
 აგერ მამაც...
 აღნთია ღამპარი,
 რომ უამბოს
 მერის ძველი ზღაპარი.
 „შვილო ჩემო,
 იყო, არა იყო რა...
 მზეჭაბუკმა
 მტერი ვერ მოიშორა—
 არეინ ჰყავდა,
 დარჩა ზმალის ამარა...

დაქრილ რაშით
 მიწვედა ზეცის კამარას...
 ილუპება,
 მაინც სატრფოს უმღვრის
 ეს ვინ მოსწყდა:
 მზეჭაბუკი, თუ მერი?
 ნუთუ ისე
 ჩაჰქრეს მისი ცხოვრება,
 სამშობლოში
 არვის ემასხოვრება?
 გურამ, სად ხარ?
 მოდი, ჩემო ვაჟაკო!
 რა შორსა ხარ!
 მზესავით კი კაშკაშობ...
 მე აქ ვრჩები,
 ძალა შემომელია...
 ნახავ ეთერს...
 დედას ნახავ... გველიან...

უგზოუკლოდ იკარგება
 შორით გამოგზავნილი...
 უცებ თავზე წაადგება
 ამხანაგი სტალინი.
 ეტყვის: „მერი, ამხანაგო,
 აქ ახლოა მდინარე;
 აი მოდის მშველი რაზმი,
 გვერდს გივლიან მძინარეს.
 ახლა ეხედავ, ვერ ყოფილხარ
 შენ შტურმანი წრთობილი: *
 ეძებე და ვერ იპოვნე
 აქ მდინარე ცნობილი.“
 მერის გული უღონდება
 უმძიმესი სირცხვილით,
 ამ საყვედურს ურჩევნია
 ტყეში ობლად სკვდილი...

XIX

რა სინარჩართი იცვლება
 მიდამო პირმომცინარი;
 მიიკლავება ღუღუნით
 მდინარე, სწრაფად მდინარი.
 ნავი ირწყევა ზვირთებზე,
 დენას მიჰყვება სრიალით;
 შეხვედბის ჩქრიალს ბანს აძლეეს

არყის ფოთლების შრიალი.
 ზურმუხტი კარბობს ფერებში,
 ზოგან კი — მოოქროვილი,
 ციმციმებს, ნაირნაირობს,
 ვით თვალწარმტაცი ქსოვილი.
 ყოველ ნაზარდში სიცოცხლე
 გაღაღებულა მზიანი;
 გადახვევიან ურთიერთს
 ხეები ჩუქურთმიანი.
 ნაეში მწოლარეს მოუთხორობს
 მოხუცი მალალხმნიანი;
 აღერსით უმზერს, უცინი:
 თვალეზი აღმასიანი.
 მკერივი სახე აქვს ქაღარას,
 ბრძოლაში გამობრძმედილა,
 ვერ დაუჩრდილავს ნაკვებს
 მისი ღიმილი კეთილი.
 განაგრძობს:

„...ანდროჲ დაგასწრო,

მოვიდა განაწამები...
 სამი დღის წინათ წაჰყვეთს
 მტერს შხამიანი ბრკვალეზ...
 უნდა გენახა შენ ანდრო,
 მწვავე კაეშნით ღმობილი. —
 თუ ჰყავდეს, ჰყავდეს ასეთი
 ვაჟკაცს ვაჟკაცი ძმობილი!
 აი, ასეთმა კაბუკმა
 საფლავს ჩამძახოს — მამაო,
 ვიტყვი: ზელახლა აცყავადი,
 არ მიცხოვრია ამოდ!
 წამი რა არის, წამიც კი
 არ დაისვენა მგზნებარემ:
 წამოგვეწია. რუცა ჩვენ
 საძებრად გამოგებარეთ.
 მიკვირს: რამ ვაადლებინა,
 არ შეიმშნია წყლულები:
 ვინ ჩაუნერგა სიმტკიცე
 და სულის ძალა უღევი!
 მისებრ მეგობრის სიყვარულს
 ნუ დაიკვებნის ნურავინ...
 აკი ვითხარი — მხოლოდ მან
 გადაარჩინა გურამი.
 ახლა ორთავეს მკურნალა
 თავს ადგას, უღელის შვილივეთ.

სულ მალე ნახავ არწივეს
 ცაში აიჭრენ შვილილით...

XX

ქართული
 ლექსების
 კრებული

მერიმ ახელა ქაღარას,
 სახეს, ანთებულს ტრფილით,
 გულს ჩაწვდა, როგორც ამბორი,
 მისი თვალების ცილა.
 ხმა ვერ დაუძრავს, თორემ სთხოვს
 კვლავ თქვას ეგ ტკბილი ზღაპარი...
 რა უყოს, როგორ დაიტყვს
 ამდენ სიხარულს მთაბარი?!
 ნეტავი ხელი მოხვიოს
 მარტო ამ მოხუცს კი არა,
 დიდ სამშობლოში ვინც მისი
 ზეიმი გაიზიარა!
 ნეტავი დააკოცინა
 განა თუ მარტო კრებულა,
 ყველა ხე, ყველა ფოთოლი,
 მზის სხივებს დაწაფებული!
 ნეტავი მისი ეთერი
 ახლა აქ გაჩნდეს, ინაზოს,
 ასწიოს, როგორც აღამი,
 მსოფლიოს შეერიტრათოს!
 მოხუცი რსევ განაგრძობს,
 დაწვზე უღიმის ნახმლევი:
 — სიცოცხლე წამიერია,
 ელვაზე ჩამონახვევი,
 მაგრამ რა დიდი ზღვა არის,
 რამდენი განცდის დამტევი!
 ჩემს დღეში რას არ მოვესწარ,
 რამდენ მწვერეალებს ავჰყევი!
 უფსკრულშიც ჩამიხედია,
 სხვა რალა გამიევირდება...
 ახლა კი ყველა დაჩრდილა
 თქვენი გმირობის დიდებამ.
 შეიძრა მთელი სამშობლო,
 ზღვიდან ზღვას მიწვდა ნათელი;
 კაცი არ დარჩა, რომ ტრფობით
 არ ეთქვას თქვენი სახელი.
 ვკითხულობ: „გურამ ზარიე“...
 როგორ არ ვიცნო ეს გვარი!
 მაშინვე თვალწინ დამიდგა
 თანამებრძოლი მედგარი...

მეგონა, მზემ აიტაცა
 სევდა, ნისლივით მბურავი:
 ვნახე — დაღუპულ მეგობრის
 შვილი აღმოჩნდა გურამი!
 აბა, ვაჟკაცი ის იყო,
 ის ჩემი კარგი ძმობილი!
 რამდენ ხანს უტარებია
 ციხეში მძიმე ბორკილი!
 მერე რა ობლად კედებოდა,
 ცხარე ბრძოლაში დაჭრილი...
 ახლაც აქ არის, მგონია,
 მისი ნათელი აჩრდილი.
 როცა ვმარხავდი, მე ვიყავ
 იმისი ჭირისუფალი...
 ველარ მოესწრო, ვერ ნახა
 სამშობლო თავისუფალი!
 მაგრამ მე ისევ მოვნახავ
 სამარეს წაშებულისას;
 ვეტყვი: აყვავდა, მზედ იქცა
 იმედი შენი სულისა!
 სამშობლომ სხივად შეიტკბო
 ის ჩვენი ძველი ნალველი!
 შენმა ძემ, შენმა სისხლბორცმა
 ადიდა შენი სახელი!

ნავი ჩქერიანს ვასცილდა
 და შეტივტივდა მორევში, —
 მოხუცმა წარბი ასწია,
 ვადიხებდა შორეთში:
 — არ მიყვარს ზოგიერთივით
 სიკვდილს ლაჩრულად ვუმზირო;

მკენარი ფოთოლი ხომ არ ვერ,
 უთვისტომო და უძირო!
 მოგვედებით, ვანა არ ვეცდებით
 საფლავში დაგებრავს ქვეყნის
 მაგრამ სხვა თვალში იელვებს
 ჩვენი თვალების სხივები!
 უსაზღვრო არის სამყარო,
 რა ფიჭვი შეეწონება!
 არ დაეღვევა სავლელი
 ადამიანის გონებას!
 სამშობლომ დასცა ბნელეთი,
 წინ — თვალწარმტაცი ქედია!
 ვინც 'გულით მის გზას მიჰყვება,
 ვშირი და შემოქმედია!
 ვხედავ მე — სულ წინ მიდიან,
 მიდიან უშუქოსილები...
 ვადმოგვხედავენ მალლიდან,
 ვშირებო, თქვენი შვილები!

დაიძრა მატარებელი,
 ვშირებს ხმა ესმით უღვევი;
 თან მიაქვთ წრფელი გრძნობებით
 შეკრული თაიგულები.
 მოხუცი დგას და გაჰყურებს,
 ვერა ჰხრის წელთა სიმძიმე;
 მხოლოდ თვალეზზე ცრემლები
 დილის ცვაბრით ცომციმებს.

საგურამო, ილიასული სახლი.
 1939 წ.

ლადო ბალიაშვილი

ბერლი უსაჯური

დედისერთა ქალი იყო ადუთი აშექალი. ვერცხლის ჩაფურასტებით მორთული, საყურებ-ზინზილიანი, მუდამ ოქროს შიბიან ყელსადებს რომ აერიალებდა. მედიდური, უკადრისი: ძუ ვეფხვივით მრისხანე, შვლის ნუკრით მორჩილი. აშექალს ვინ არ უწაწლებდა, აშექალის წაწლობა ვის არ ენატრებოდა, მაგრამ წყვეული ქალი არავის წაწლობდა, ახლოს არავის არ ეკარებოდა. მარტობა უყვარდა. მხოლოდ დობილ ნანას თუ მეგობრობდა, შინშო დაეითს საიდუმლოს გაანდობდა და ფრთეჭრელ გარმონზე იქარვებდა საკუთარ დარდებს. თავათ თხზავდა ლამაზ ლექსებს, აქებდა: სიმამაცეს, ამაყ არწივს, მარადეამს რომ ცის ლავჯარდებში დანავარდობდა დ მიუვალ ჭიუხებში ბუდობდა, ჯიხვის სიფრთხილეს და მონადირის მუხლის სიმარდეს. მხოლოდ ერთხელ წამოსცდა ვაჟის სახელი ლექსის თქმის დროს და გაბრაზებულმა კინაღამ გარმონი დაამსხვრია, საყვარელი გარმონი, თავისი საამო ეღერით რომ ატკობდა. მაშინაც გარმონის ტკბილმა ხმამ გაიტაცა აშექალის გრძნობა და მის ბავთ მოსწყდა უნებური ქართული:

„ფენმარდი ბერდი...“

— უი სირცხვილო!.. სიკვილილო, მოიტაცე აშექალი!

იმ დღეს პური არ უქამია, რძით ნაბანი სახე ცრემლით დანამა და თავს უწყრებოდა:

— მოსისხლეა ბერდი, მოსისხლე! გახვედი გულო! დაბნელდით თვალეზო!..

ქალის გულს თავისი გაჰქონდა: აშექალს ბერდის ნდობა ეპარებოდა. სალამოზე ნაღვლიანად მიატოვა ვახშამი, ამოთხვრით ჩაწვა საწოლში. დედას არწმუნებდა, თავი მტკივით და ხშირმა წამწამებმა მარგალიტის ცვრებით ჩაკეტეს აშექალის შავ თვალეზოში ბერდის სახე...

დილით ხმაური რამ ატყდა სოფელში. დედამ აშექალი გააღვიძა — ბერდის ჯიხვი მოუკლავსო, უთხრა. ქალი უნებური სისწრაფით წამოხტა საწოლიდან, დედას აღარ დაერიდა: სარკმელიდან გახედა მონადირეს. გარშემო ხალხი ეხვეოდა: ბერდის სახელს და ნადირზე გამარჯვებას ულოცავდნენ, კვლავ უკეთესს უსურვებდნენ. ხელიდან ხელში გადადიოდა მანძილა ჯიხვის ჩაქანვებული რქები. ბოლოს ქალარა ხილამ ნაზარდი გადათვალა: თვრამეტი წლისა არისო, — შემოესმა აშექალს. შეკრთა: წუხელ სიზმარში იხილა ბერდი: მანძილა ჯიხვი მოეკლა, შენისთვის ერთი კვირის ციკანი მოეტაცნა, ამაყად მოსდევდა ბილიკს, წყაროსთან მდგომ აშექალს წააწყდა, ფურჯიხვივით შეაკრთო ქალი.

„ვიწვები, ქალავ, ვიწვები!..“ — ეჩურჩულებოდა იგი აშექალს და ისე ტკბილად უღიმოდა, როგორც ავერ ეხლა... ნეტავ თუ უყვარს აშექალს ბერდი?!

— რას უბნობ? ხომ არ გადაირიე, აშექალო? ქალო, ბერდი მოსისხლეა ადუაის ქალი ხარ, სიფრთხილე გამართებს!..

— გული სხვანაირად მიცემს, დედი!

— იყუჩე, შვილო!

— დედი, გული მიდნების!

— ავად თუ ხარ, ქალბნელო! დაიძინე გენაცვალოს ძილა!

— დედი, გული სხვას რასმეს გრძნობს... ვითამ დნებაო!

ეხ, დადნეს, დაიშალოს, სისხლის გაუხელებელი გული დაიშალოს, აშექალო!..

ბერდიმ მესამე ჯიხვის რქა შესწირა ხახმატის ჯვარს და მუხლის მოყრით შესთხოვა:

— მზეო სამძიმარ, ხახმატურო, ქალღმერთო ქალო, ჩაფურასტებით მოკაზმულო, მუდამ ზრიალავე, ოქროს პერანგით შემოსილო ღმერთო ძლიერო!.. შეხედ ღთის კარზე, აზრიალე ჩაფურასტები, ყელლილიანო შემახვეწე კაცთაწერა — მწერელს: ჩემდა დასწერას მშვენიერი ადუათ ქალი! ოი!..

უშველე, უშველე, ხახმატურო, ბერდის, სამი ჯიხვის რქა შემოგწირა, სამს კიდევ შემოგწირავს, ოღონდ აშექალის გული მოაქციე, აშექალის წაწლობა აღირსე...

ბერდი იმ ღამეს ქარივით ეცვიებოდა ადუათ კოშკის კარ-სარკმელს, წყალ-მოწყურებული ხარირემივით სწყუროდა აშექალის ხილევა, მასთან საუბარი, მისი სიმღერის მოსმენა, მაგრამ სისხლი აშორებდა ერთიმეორეს: აშექალის გვარის კაცი შემოაკვდა ბერდის და სამუდამოდ სიცოცხლე გაუმწარდა. ორი წელიწადი იარა საამანათოს: გურო-შატილს შეაფარა თავი, შუაკაცები უგზავნა აშექალის მამას, რიგი აყენებინა: ღრამით გადაუხადა კაცის თავი, შემდეგ ჯვარში შეუჯდა. „თოფი აალებინა“ და სოფელში მისელა ეღირსა ბერდის, მაგრამ ადუას კვლავ შურისძიება ედო გულად. ბერდი ფრთხილობდა, მხოლოდ მალეით უქვერტდა აშექალს. იმ საღამოსაც სიბნელემ გააბედვირა ადუას კოშკთან მისელა, მაგრამ აშექალის ხილევა მაინც არ ეღირსა. დაღონებული დაბრუნდა შინ და ელჩ ნანას შესჩიოდა: მკლავსო აშექალის ნღობა. ეღობას სთხოვდა. ნანაი, წყველი ნანაიც კი გაუკნიახდა: ჯავრობსო ადუა, აშექალის ახლოს არაეის იკარებსო, ვერ მოეშორდებიო ღობილს, — წუწუნებდა ქალბნელი ნანაი.

აშექალის წაწლობა სხვას რამდენს ენატრებოდა, აშექალს ვინ არ უწაწლებდა, მაგრამ „წყვეული ქალი“ არაეისთან წაწლობდა. ვაეები თავაურობდნენ — ჯიშს და გვარის წარსულს იკეხნიდნენ. დედულ-მამულით ამაცობდნენ, საუკეთესო იარაღით მოკაზმული გახელებული ხეადებით მოდიოდნენ ადუასთან სტუმრად: აშექალის ნახვა სწყუროდათ, აშექალთან წაწლობის სურვილი ახელებდათ. კეჭნაობდნენ, ფარიკაობდნენ, ჯირითობდნენ. აშექალის სახლის

კარზე ლხინი იმართებოდა: ქალ-ვაფი თავს იყრიდა — მღეროდნენ, ცეკვოდნენ. ძილის პირის ვამს ელჩები მიდგ-მოდგებოდნენ, ჭერხოს და წინგარდას ლაგინებს შლიდნენ, სწორფერი სწორფერს მოძებნიდა — წაწლობდნენ. ლამის სიბნელე ნთქავდა იდუმალ სიცილს, მოპარულ კოცნას და უნებურ ცეკვისს, ეჭაიქ ისმოდა: ჩუმი ჩურჩული, დამცინავი სიტყვეების სისინი, წაწალი წაწალს უწყობდა, უცხო უცხოზს ზვერავდა, ხასიათებს უჩხრეკავდა, ხელების მოძრაობას უშლიდა, კოცნას უკრძალავდა, ხელზედაც კი არ იწვევდა, ხელზე...

ამ დროს ბერდი სანადიროში ტეხდა ღამეებს. არხოტის თავზე გადამავალ ვარსკვლავს შენატროდა: ვარსკვლავი დაჰყურებდა ადუას კოშკს და მოლოზინეთ. ბერდი კი... სისხლმა დააშორა, ბერდის ხელით უნებურად დაღვრილმა სისხლმა და ხვესურეთის წესმა შებოჭა, ვეფხი ვალიაში მოაქცია: იგი ვერ იმღერებდა სოფელში, ცეკვის ნება არა ჰქონდა, ვერ გაიხარებდა. მაშ რა ექნა ბერდის? გამწარებულმა განთქმული ხმალი: „ფრანგულის გული“ იყიდა. რვა ძროხა მისცა ხონდად ზვადში და ოთხი წლის კვიცი ძლივს ჩაიგდო ხელში. ფეხმარდმა ბერდიმ სოფლის ბოლოზე გახედნა რემა. კვიცი ჭიხვინებდა, პირიდან ჭაფს ჰყრიდა, თვალეზიდან ცეცხლს აფრქვევდა და ფაფარაშლილი ქვახეს აწყდებოდა. ბერდის წარბი არ შეუხრია მაგრამ... აშექალს ერთხელაც არ მოუხედნიაო, უთხრეს დობილებმა ბერდის და ბერდი დააწყვედინეს. გამწარებული ბერდი კვლავ სანადიროში გაიჭრა. ცაზე გადამავალი ორბი აშექალის კოშკის წინ ჩამოავდო, არწივს მხარი მოსტეხა, თორმეტოდუე ჯიხვის რქები დააჯარა ჭერხოს კარზე. მაგრამ... აშექალს ერთი ღიმილიც არ შესთამამებიაო — სთქვეს დობილებმა.

უთუოდ არ უყვარს აშექალს ბერდი, არა...

ბერდიმ ვეღარ მოითმინა: ხვესურეთის ადათს გადაუხვია, მოსისხლეს გზაზე წამოეწია და ღიმილით წასტურტულა:

— ქალავ, ვიწვები და შენ კი..

აშექალს ნაბიჯი არ შეუხლართავს, წარბი არ შეუხრია, ბერდისათვის პატრივი არ დაუღვია: ამაყი იყო ქალბნელი აშექალი. მხოლოდ ერთხელ მოხედა ჭერხოს კარიდან და შერცხვა, შერცხვა დედისერთა აშექალს და თავს გაუწყრა: პირველად შეხედა აშექალის მოღიშარი თვალეზი ტრფობით გახელებულ ვაფის თვალეზს და უცნაურმა სიტყვომ შეაერყოლა ადუას აშექალი!..

ჩამოგშალა მიწამ, ქალავ, რად შერეები უწყესო: მოსისხლეა ბერდი ღმერთგამწყრალო!

ბერდიმ იმ საღამოს ელჩი ნანა მოსძებნა:

— ქალავ, მიშველე, თორემ... კაცობით გადავარდები! — შეემუდარა იგი ნანას პირველ შეხვედრისთანავე.

— რა ექნა, ღმერთგამწყრალო ბერდი, ბიჭო, აშექალის გული სხვას რასან უჭერავ..

— იქნება ვინ უყვარს?

— იქნებ!

— იქნება ვისთან წაწლობს აშექალი?

— აშექალი ცის კიდურისაკენ იყურება: ცით ვარსკვლავს სწილავს, ფეხით თელავს ვაფის გულს, მაგრამ...

— მაგრამ რაი?!

— გუშინ აშექალის სიმღერას მოვხეივანი ყური. შეუცხოვია: ბმელის ეამს
ოჯდა ბანზე, გარმონზე მღეროდა, ვილაცა მონადირეს ასხენებდა. უფროდ ვი-
ნამ უყვარს აშექალს...

— ელჩი ხარ, აშექალი ნახე, ქალო, გაიარე ეხო-კარო, ეჭვამი, ეჭვამი...
ტკბილი სიტყვა თქვი, დობილი ადუაის სახლს გამოაკლიე, ერთი ქართული
მათქმიე!..

ნანას სიარული არ ეზარება, „ლაშნი ქირას არ მოსთხოვენ“, მაგრამ... აშე-
ქალი ეშმაკია, ღმერთგამწყრალი. წაეა ნანა, მონახავს აშექალს, ბევრს კარავს
ეტყვის და ამბავს მოუტანს ბერდის.

უკვე დამეშია გაბვეული სოფელი, აქა-იქ ჩირაღის სინათლეები თუ კვე-
თენ უჯუნეთს. სოფელი ვატყობ. თითქოს ღამის ეშინიანო. უცბად ძალი
აყვებდა სოფლის ბოლოს: ღობის ნაპირზე განაბულ ნანას შეუტყვის. ქალი
გამოეხმაურება, მოეფერება და მყეფარი კულის ქნევით წაეა შინსაკენ. ნანა
ფრთხილის ნაბიჯით აყვება შარას, აქეთ-იქით იყურება, ადამიანებს უფრთხის,
სოფლის სათავესაკენ მიეჭარება: ქარაფის ბოლოს ჩაჩნური ხანჯალივით
ჰკვეთს სივრცეს ადუას კოშკი და ლეკვიან მგლის თერგივით ძნელი მისასვლე-
ლია. მაგრამ ნანას მფრთხალი ჯორებიც კი დამშვიდებით ზედებიან, იცნობენ.
ყველა იცნობს მას ამ კარმიდამოში, შოლოდ ძროხები წამოდგენ ფეხზე,
ქერხოს თავზე დაბმულმა ადუას ლურჯამ შეხარა თავყელი. მაგრამ წუთის
შემდეგ ყველანი გაინაბნენ, ყველანი მშვიდად მიეცნენ ღამის მოსვენებას.

ნანაი იღუმალად ამოეფარა ქერხოს კარებს: ჩქრო რამ შემოაწყდა
ყურს — ქალის ხმა ისმოდა კოშკიდან. კოშკის კარებში ქვრივინა იპოეა ნანამ,
გახარებულმა კოშკში შეუტყვრიტა: სუსტი სინათლე ერთოდა კარზე. კერის
მახლობლად ლოგინი იყო გაშლილი. ვაეი რამ ჩნდა სინათლზე: ფარხმალი
აეხსნა, „სამამაკოს“ დაეკიდა, ეხლა ლოგინის პირზე მდგომი ჩოხას იხდიდა და
პირმოღმიზარი ვილაცას ელაპარაკებოდა. ქალის ხმა უპასუხებდა. მაგრამ ვაე-
თან მოსაუბრე არა ჩანდა: კიღობანს ეფარებოდა.

— საწაწლოდ ემზადებიან, ხთისაგან წყეულები! — გაიფიქრა ნანამ და
სმენად გადაიქცა.

ვაეი გაშლილ ლოგინზე შემოწვა, მარცხენა მკლავი გაშალა და პირმოღ-
მარი საწაწლოს დაელოდინა.

ქალი სანთებთან მივიდა. „სათაურა“ მოიხადა, თმები შეისწორა, ფარა-
გის საკინძი უფრო მაგრა შეიკრა და მწოლიარე ვაეისკენ შეტრიალდა.

ნანას ვაეხარდა: უცნობსთან აშექალი არ წაწლობდა — მეზობელი ძი-
ლუა ვილაცას მოეყვანა სტუმართან საწაწლოდ. იგი მოკრძალებით მიუახლოე-
და ვაეს, გვერდზე მოუწვა. ვაემა, მკლავი გაშალა, ქალს მაგრა შემოეხვია
კისრზე. სამჯერ ფრთხილად შეეხო მკერდი მკერდს, სამჯერ აკოცეს ერ-
თმანეთს, მკერდები ურთიერთს გამოაქადლეს და სრული სიჩუმე ჩამოწვა მათ
გარშემო...

— დაიწყელებით! — მწყრალად სთქვა ნანამ, პირზე მოსული ნერწყვი
ჩანთქა და აშექალის საწოლ ოთახს მიაშურა.

ოთახის კარები დაკეტილი დახვდა, ეუცხოვა: იშვიათად დახვედროს კარები დაკეტილი. სამჯერ შიაწევა კარებს, სამჯერ გადაუსვა ხელი, სამჯერ გადაჰკრა გარედან საეკერი...

ოთახიდან ფეხის ხმა გაისმა — ვიღაცა უახლოვდებოდა ~~ნანას~~ ^{ნანას} ~~სამაგიკავი~~, მოტკბა, ძალღონე მოიკრიბა და პირმოლიმარე გადაუდგა წინ აშექალს.

აშექალი სახეგაფითრებული იყო — შუბლი ჰქონდა შეკრული, შკაცრად დააკვირდა ქალბნელი, რა ვინდაო, ჰკითხა ნანას.

— შენი ხილვა მომენატრა, დობილო...

— დობილს შულამეში არ ნახულობენ!

— მაგრამ ელჩები ღამით იარებიან! — გადაიხარხარა ნანამ, აშექალს ვასცდა და აშექალის ლოგინზე ვაგორდა. იცინოდა, საამურ სიტყვას ეტყოდა აშექალს, სიკეთისათვის მოვედიო, არწმუნებდა.



ბერდი გრძელ ვაზშობამდე ელოდებოდა ნანას. დაიგვიანაო, ჯავრობდა და წამდაუწუმ კარებისაკენ იყურებოდა. შემდეგ ნანას მოსვლის იმედი გადაუწყდა, სანადიროდ წასვლა მოინდომა და დედას საგზლის დამზადება სთხოვა დილისთვის. თავად ფეხსაცმელის მზადებას შეუდგა. მისი ფიქრები შავი ლურბელივით აიშალა, ნისლივით ამორჩილდა: აშექალის კოშკის კარებს ელოლიავებოდა, ქიუხებში ფურ-ჯიხვს მისდევდა — მისთოფავდა...

უცბად კარები გაიღო: ელჩი ნანა შემოვიდა, ბერდის თვალი უყო — გარედ გამომყევია და ბოსლის კარებთან წასტურჩულა:

— ჯიხვის თიკანი უნდა აშექალს.

ელჩი მოსწყდა კარებს და ღამის სიბნელეში გადაიკარგა.

ჯიხვის თიკანაიო!.. იქნებ მოჩვენება იყო! ოჩოპინტე, უშველე ბერდის! დანარჩენი ღამე უძილოდ გატეხა ბერდემ. ისევ ძნელი იყო ჯიხვის ციკნის დაქერა, როგორც გაქცეული მგლის გაპარსვა...

გული სტკიოდა მონადირეს, მაგრამ ცდა ბედის მონახვერეაო, ჩაიფიქრებდა ხოლმე და მალიმალ აღებდა ქერხოს კარებს: ცაზე გადამავალ „ბუწუას“ ადევნებდა თვალს: ვარსკვლავი დროს აუწყებდა. ბერდი ღამის სიდიდეს ზომავდა. ბუწუა ქიუხებს მიუახლოვდა, „კიდევანს“ წვერს წაება, და მხოლოდ მაშინ გავიდა შარაზე მონადირე, ფრთხილად გაიარა სოფელი და სოფლის ბოლოს უნებურად შედგა: წინ შეემა ლანდმა გადაუარა — ღობეს ვიღაცა ამოეფარა...

ბერდემ გზა ვანაგრძო, უცნობისათვის ყურადღება არ მიუქცევია:

— ყველას თავის გზაშარა დაულოცას! — ჩაიფიქრა მან და აჭაფებულ მდინარეზე ვადებულ ხიდს პირუტყულმა გახვდა: ნადიროთ მწყემსს ეშმაკს სული გაუზიარა:

— სულნი შენ, ბორცი მე! — სთქვა მან ნელი ხმით და ბილიკს აჰყვა, სანადირო ქიუხებისაკენ რომ მიიმართებოდა.

ბერდის კვალდაკვალ მისდევდა უცნობი შავი ლანდი და უცნაურს რისმეს მიღუღუნებდა...



აშექალი დილით წინგარდას გამოვიდა: შუა ბანზე დადგა და შავი ძაფი ჩაახვია წიფლის ჯარატარს. მალიმალ მიატოვებდა და შემოსწოლოდა გულზე: გარმონს მწარედ უკრავდა და ნაღვლიანად დამღეროდა. მეზობელ ქალ-ვაყებს სასენო ქართულს ეტყოდა, არწივს და მუხლმარდ მონადირეს შეაქებდა, ღრმად ჩაფიქრდებოდა, ამოიხარებდა, კვლავ საძახს განაგრძობდა და მოზღვავებულ ფიქრებს აქსოვდა ჯარატარის იღუმალ წივილს.

ნეტავ რად იღრუბლება თეთრი თორბილი?

რათ ივსება ღამესავეით შავი თვალეზი ცრემლით?

— ქალო, აშექალო, რა დაგემართა?

— ქალო, მესხვარიგები!

— დედავ, დააცხე მარილიანი ხმიაღები!

— დობილებო, ვაჰყევით აშექალს „საუქმოს“!

— დობილებო, წადით „მტრედის ბუდეს“, იბორნილავეთ, კერეთ ნაქრელა, იმღერეთ ქრელ გარმონზე! იქნებ მონადირემ ჩამოიაროს, იქნებ მონადირემ ჯიხვის თიკანა ჩამოატაროს!

... მზის სხივებით ვახელებული მიდამო ქაქანებს. მცენარეები წელში მოხრილან: მშობელ მიწისკენ იწვევენ, ნამ-დანატრებულნი. ცბელა, მთელ მიდამოს ალმური ადის, ლურჯ ქვიშას თამთამი დასწოლია, ადამიანის თვალს სჭრის და აქაქანებულ სიციხეს ანთხევს: დობილები გორის ბოლოს წნორის ქვეშ სხედან და შიშველ ფეხებს ალოლიავენ წყაროს ლაელაჟა წყალში. დაიხრებიან, იმშვილდებენ ბროლივით თეთრი ტანი. ცივ წყალს იშხეფავენ, იზმორებიან და ერთმანეთს უწყრებიან:

— დობილებო, მოეშორდეთ წყაროს!

— ვიბორნილავთ, დობილებო!

— დობილებო ნუ შევსევით წყალს!

ერთბმად აიშლებიან, მზის სხივებს შეუშვერენ წყაროს წყლით შევერცხლილ გულმკერდს...

ნანა თავს ველარ იყავებს, კვლავ წყაროს წყალში გადახტება, პატარა თეთრი ზელებით ისხამს ტანზე ანკარა წყალს. იცინის, შემდეგ დობილებს ასხურებს წნორის ფოთლოვან ტოტით. კვლავ სიცილი, თავაწყვეტილი, ვენებით გაფლენილი სიცილი. ნანა შიშველ მკლავებს შლის, მზეს უცინის, ვილაყას თუ რილაყას ნატრობს. მერე მწვანე ბალახებზე გაგორდება, მიწას ჩაეკვრის და თეთრ ყვავილს იხუტებს შიშველ მკერდზე, ჰკოცნის...

აშექალს ვენება აუხევედება, გოროზდება. ავოკრებული ძუძუები ოდნავ უკრთიან შენამულ მკერდზე. წელში გადაიხრება, თმას გადაიშლის, სივრცეს გასჭვრეტს და ცის სილაყვარდში არწივს მოჰკრავს თვალს. მყის მონადირე გაახსენდება და მუხლმარდული ზეზე წამოხტება. დობილები აიშლებიან: სტოვებენ წყაროს, ყვავილოვან მინდორს გადაივლიან და თეთრი არყის ზას ქვეშ სხდებიან. ნაქრელას ჰკერავენ, წაწლებზე ლაპარაკობენ. აშექალის გარმონის ხმა მინდორ-ველს გადაუვლის, მთის ნიაცს მისდევს და გორგურებს ეხატება გულში.

აშექალის სიმღერის აწყვეტილი ხმა ღრუბელს შესწვდებოდა. პარკში მებო-
ინე არწივს შეაკრთობს, არწივი ქრელი თვალებით წყნარად გადმობედავს
დობილებს და ქაუხებისაკენ შეუხვევს გამწარებულს. აშექალი ვერც იტყუას აშექა-
ლი სასენო ქართულს არ იშლის, დობილების გულს ახელეზს.

— ქალო, დაოხდი, აშექალო!

— ქალავ, სასენოს ნუ ლექსობ!

— ქალავ, დობილების ციხეს ნუ ჩამოშლი!

გამწყრალი დობილები „მტრედის ბუდეს“ სტოვებენ, მზის სხივების ამო-
კრეფას შეპყვებიან სოფელში, უმწეურში მზეს ედარებიან. ყველას სახე
ვაბადრულია: სალამოს ელოდებიან — წერისას თუ ნახავენ ძილში.

— დებო, ვაშალეთ ლოგინები!

— დედებო, ადიდეთ ხახმატურო!

— დობილებო, გახლიჩეთ მარილიანი კვერები: იაპორნილავეთ, დობი-
ლებო, დობილებო! წყურვილი დაიოხეთ, დობილებო, მიჰბარდით საწოლებს!
ოქროს პერანგიანო სამძიმარ, უშველე დობილებს!
ჩაფურასტებით მოკაზმულო სამძიმარ, სიზმრად აჩვენე წერისა!
საყელო-ზინზილიანო ხახმატურო, შესთხოვე შევლა ანგელოზებს!
დობილებო, ძილი ნებისა, დობილებო!..



ძილმორეული აშექალი საწოლს უახლოვდება, ოქროს საკინძს გადაიხსნის,
მთის ბროლივით თეთრ მკერდს გადაიღელავს, შეე ნაწნავეებს ჩამოიშლის, სა-
წოლის წინ მუხლს მოიყრის და სალოცავს იტყვის:

— დედაო ზთისაო,

დედაო მიწისაო,

დედაო ადგილისაო!

კვირავე ძალა ზთისაო

ძალო და მადლო კვირაისაო!

მზის შუქო ბრწყინვალე,

მადლო მზისაო,

მადლო მიწისაო,

ძალო ზეცისაო,

ქუხილო ცისაო,

ლაშქარმწევეარნო,

მზეო, მწერვალნო — უშველეთ აშექალს!..

სამძიმარ ყელ-ლილიანო,

ოქროს-პერანგიანო,

ოქროს-თმებთანო,

ოქროს-ტახტიანო,

ძალო შეძლებთანო,

ღმერთთან გავლენთანო,

ქალ-ვაყების მფარველო,

თესლის მთესველო,
წერა მწერლის შუამავალო,
წაწალ წაწლობის გამჩენო — უშველს...



ქალების სახსენებლო სამძიმარ, დედათ საბეწვარო, დედათ იმედო, შეიბრალოე აშექალი!.. აჩვენე წერა მწერლისა დანაწერი ვაჟი, სამძიმარ ოქროსპერანგიანო!..

გარინდებული აშექალი თვალებს ლულავს. საბედოს ძილში ხილვის იმედით ტბილად მიეძინება და დაძინების უმალ სიზმარეთში გადავარდება: ...ლურჯი ქვიშების ბოლოზე კალთებად გაშლილი მწვანე მინდორია: ყვავილის სილამაზე ყვავილის სილამაზეს ეჯიბრება, ყვავილი ყვავილს ჩაგრავს და ყვავილთაზე ნაეარდობს სალამურის საამო ხმა. მწყემსის ამაყი კივილი გაისმის, შორს ბატკანი აბლავლდება. ქიუხებში არწივი ყივის, ყივილი ფრინველთ ერუანტელს მოპგვრის, შურთხებს შეაკრობს, დიუიანებში წყლის დასალევად ჩასული შველი ფრთხება, აშექალს გადაღურბენს წინ და მწვანე ფოთლოვანში გაუჩინარდება. გორის ბოლოს ფაფარ-აშლილი აჯილდა ქიხინებს. ათქვირებული ქაჟი მიწას ტორავს, გახელეებული იკბინება, აჯილდას მოუხმობს. შემკრთალი აშექალი მინდორს მისდევს: წყალი სწყურიან — წყაროს დაექებს: მთიდან ჩამოქროლილი ნიავი ჩამოვარდება მინდორში, აშექალის ყურს საამოდ ხვდება ნიავის მიერ მოტაცებული დუდუნი წყაროსი... ქალის გული ცეცხლდება, გულმკერდს სიქე უვლის და ბაგენი უშრებთან, ნაბიჯ-აჩქარებული წყაროს ხმას მისდევს და ცაცხვის ხეებით დაფარულ მწვანე ხეობას უახლოვდება. ხევის გულმკერდზე დიყნარია გადაშლილი, ლავს და შუბყას ქვიშიანა შეუფარავს, ქეა-ლორღს მწვანე ხავსი მოპკიდებია, აქა-იქ წნორები დგანან და ნაზად ირხევიან. აგერ წყაროს თვალიც, მაგრამ... უი! წყაროს ნაპირზე დალოლი, დაოსებული ბერდი ზის: ჯიხვის თიკანს ეალერსება, ნაზად ჰკოცნის, აშექალს ახსენებს და ხახმატურს ეხეწება: ოქროს-პერანგიანო, სამძიმარ, მოეხმარე ბერდის!

აშექალი ცაცხვის ბუჩქებს ჩაჰყვება. მონადირეს ფოთლების შრიალი გამოაფხიზლებს. აშექალის დანახვა აკრობს. გოცებით მიაშტერდება წნორებთან მდგომ თავდაზრილ ქალს. ერყოლა აიტანს... მორცხვად უახლოვდება აშექალს: ჯიხვის ციკანს მიპგვრის. სურს გულში ჩაიკრას აღუას ქალი, მაგრამ აშექალს თავი გაახსენდება, გედის ყელს შეპხრის, შურთხივით გაბრაზდება და ცის კიდურს გაჰხედავს. წყურვილით სული ეხუთება, იქვე მორაკრაკე წყაროს ხმა ათრობს. საცაა დიყის ფოთლებში ჩაიკეცება. წყალიო, — ამბობს ძლივს გასაგონი ხმით.

ბერდი სწრაფად გადაბტება წყაროს თვალთან, მათარას აავსებს, მოწიწებით მიართმევს სანეტარო წაწალს წყალს და ჯიხვის ციკანს მიუალერსებს.

აშექალი წყლით სავსე მათარას მოიყუდებს, საცაა წყლის სურვილს დაიოკებს, მაგრამ უნებურად შეხედავს ბერდის, თვალი თვალს მოიტაცებს. გახარებულ ვაჟს ჯიხვის ციკანი დააეიწყდება, ციკანი ხელიდან გაუსხლტება. აშექალს წყრილა კივილი ამოხდება, წყლიანი მათარა დაექცევა. კვლავ შეჰკივლებს.

საკუთარი კივილი გააღვიძებს აშექალს, წყნარად იშმულუნება, ნერწყვს
ჰკლავს. გულს რაღაც აწევბა...

ღმერთო!

სამძიმარი ოქროსპერანგიახო, უშველე აშექალს!..

ეს ხომ სიზმარი იყო!

წყალი ბერდემ მოუტანა!

აშექალი ბერდის წერისაა!

უი! აშექალი ბერდის ეკუთვნის!

ეჰ, ღმერთგამწყყარალო აშექალო, ღმერთგამწყყარალო ქალო, გონს მოდი:
ბერდი მოსისხლეა, ქალბნელო! რად არცხვენ გვარიშვილობას, რად შერები
უწესოს! — და აშექალის წამწამთ მხოლოდ ერთი ცვარი მოსწყდება ცრემ-
ლისა, აშექალი იღუმლად ატირდება და ბედს დაემდურება: წყეული იყვასო
ძველი წესები ხევსურეთისა!...



დილის მზის სხივები „არწივის მადლის“ შუბლზე გადატყდებიან, თოვ-
ლიან „კიდევანის“ წვერს წითლად მოაეარაყებენ, არხოტის მიდამოს მოწითა-
ლო გრილონი ჩამოედვრებიან. მზე ნელნელა ამობრძანდება. „მთის ჩიტა“ მზის
სხივებს მიესალმება: ყვავილებზე მხრებ-გაშლილი სიმღერას იტყვის და თა-
ვისსავე ხმის სიტკბოთი გახელებული ლაქვარდ სივრცეში შეინაგარდება.
ცხერის თეთრი ფარები მთის ლურჯ ფერდობზე გაიშლებიან, მწყემსი სალა-
მურს დაამღერებს, თეთრი ბატკანი წყაროს წყალს დაღვეს და გალაღებული
ცას მადლობას ეტყვის. ლალი მანძილა მთაზე გადმოდგება, საიალალს გაჰყვი-
რებს და რქებით მოსთხრის მიწას.

ბერდის ლურჯა ჯოგს გაუწყრება, აგუებულ ჭაკს თავს მიანებებს და
მთიდან სოფლად ჩამოვარდება. ამაყი ჭიხინი შესძრავს შარას. ფაფარ-აშლი-
ლი ერთბანს სოფლის ბოლოზე იტოტავებს, ხმო ბატკანს დააფრთხობს და
ახლად შობილ კვიცს დაედევნება. შემდეგ სოფლის შუა გაიჭრება. სოფელში
მითქმა-მოთქმა ატყდება:

— იქნება პატრონის უბედურება შეიგძნო ლურჯამ.

— ბერდის ოჩოპინტემ თუ უქცია მხარი.

— იქნება ბერდის წრიაპის კანჭი გაუტყდა ქარაფში.

ბოსლის კარზე მიჭრილ ლურჯას თულა გამოეგებება: თულა დედა
ბერდისა. ცხენის ნახვით შეძრწუნდება: ბერდის უბედურება ხომ არ შეიც-
ხდაო ლურჯამ. ოქროს ფაფარს გადაუშლის, მისანივით მიაშტერდება. თვა-
ლები უცნაურად უღელვარებენ.

შიშია თუ სინანული?

— რამ მოგიყვანა პატრონ? — ეკითხება თულა. მიუალერსებს, მარგა-
ლიტივით ქერს ჩაუყრის თოფრაში.

ლურჯა უგემურად გაჰკრავს პირს — უარობს, ტოტით მიწას მოსთხრის.
თულას შიში შეიპყრობს.

— რაისად ფხვრიალებ, პატრონ? — კითხულობს შემპრქურნებული, და დედის გული უცნაურად სცემს. — რად დაიგვიანა ბერდიმ სანადიროში?! — მეათედ ეკითხება თავს.

იაღსარო უშველვე თულას!..

ცხენი ფხვრიალებს. შემკრთალი იცქირება. თულა კანკალებს:

— ღმერთო, დაიფარე ბერდი უბედურებისაგან! ოჩოპინტე გზა-კვალი გაასწავლე ბერდის!

ლურჯა კვლავ დაიკიხვინებს, თულას მიაშტერდება, თითქოს სათქვამი ვერ უთქვამსო...

აშექალი კოშკის სარკმლიდან მიშტერებია თულას, თანაც შემკრთალი მზევალას ეხვეწება:

გაფრინდეს!.. გაფრინდეს!.. ოი, გაფრინდეს!..

აშექალი იმ დილით ორჯერ შეიპარა ჭინჭრიანში, ორჯერ მოსძებნა მზევალა, ორჯერ სთხოვა გაფრენილიყო აშექალის საბედოსკენ, ორჯერ მოსწყდა მზევალა აშექალის თითებს და უღონო ფრთებით გაიჭრა სივრცეში — მონადირის მიმართულებით...

ოი!.. თუ შესამედაც გაფრინდებოდეს! — წერა მწერელო, უშველვე აშექალს! წითელ ქათიბა მზევალას ხელის გულზე დაისვამს, სარკმელთან დაჯდება და აღერსიანად სთხოვს:

გაფრინდეს, გაფრინდეს მზისა და დედამიწის მიერ დალოცვილი!

მზევალა ირგვლივ ტრიალებს, ფრთით წვერებზე დგება, ქათიბს გადაიხსნის. ეძნელება გაფრენა (ქალის სითბოს სიაშე თუ შეიგარძნოო მანაც). აშექალს ბრაზი ერევა, მზევალას გაუწყრება, ხელს სივრცეში გაიშვებს:

— ოო! გაფრინდი, გაფრინდი, მზისგან, კურთხეულო! — და აღუთის აშექალი ცის სილავეარდეს დაპკოცნის თვალებით: მზევალა ნეკა თითის გულზე შეყოყმანდება, ირგვლივ შემოტრიალდება, მოსწყდება თითს და კვლავ სანადიროსკენ გადაიკარგება.

უძველად ბერდის საბედოა აშექალი, უძველად, მაგრამ... ბერდიმ სანადიროში რად დაიგვიანა? რად დაიგვიანა ბერდიმ, რად?

დაფიქრებულ აშექალს ცხენის ჭიხინი შეაკრთობს: ბერდის ლურჯა სოფლის შუაზე ჩაიჭროლებს, სოფლის ბოლოს წყალს დაეწაფება, ნამარილევი მძლავრად მოსვამს, ფრთხალი თვალებით მდინარის ტალღებს აედევნება, ერთხელ კიდევ შესქყვილებს სოფელს და საიალალოსკენ შეპყვება ბილიკს.

აშექალს ფიქრები აუხვევდება, გაოცებული ეკითხება თავს:

— სად დაიკარგნენ არწივები?

— რად არ ლულუნებენ მტრედები?

— რად დაიგვიანა მონადირემ? რად დაიგვიანა, რად?..

ოი, მონადირეე, დაბრუნდი ჭაუბებიდან, დაბრუნდი! აშექალს შენი ხილვა მოსწყურდა, შენთან ყოფნა ენატრება!

... გადის დრო. დღე დღეს სცვლის. შემოდგომა აბლოვდება, მიდამოს ღვება ფერი ედება, ყვავილებს დღენი უმოკლდება — სიყვითლემ გადაკრა. ფრინველებმა ჩრდილოეთი დასტოვეს და სამხრეთისაკენ იბრუნეს პირი. ცაზე წეროებმა გადაიარეს და შენ...

— სადა ხარ, მონადირეე! დაბრუნდი, დაბრუნდი, შენ აშექალის ცოდვით სავსეე!..

— დავით, შინშო დავით! დადნა აშექალის გული, დადნა გავაზატხელის თოვლივით. გაიჭერი სანადიროში, დავით, მოსძებნე მონადირე, ადნის გულისთვის მოსძებნე, ბიჭო, შეიბრაღე აშექალი, აშექალის საფიქარო!

— ადავ, გონს მოდი!

— შინშო, გული მიდნების!

— გულსაც არა დაეჯერების!

— შინშო, ავი სიზმარი მესიზმრა...

— ნეტამც ისეთი რა ნახე ადავ?

— კოშკის კარზე ვიჯედი, შავს ჯარაზე შავს ძაფს ეძახდი, შავი თმა მცვივოდა კალთაში... ჩემ გარმონს ქრელი თზე გაშავებოდა. ცანი არწივი ფრთებოლოდ იხოშებოდა, საცოდავი წივილი გაისმოდა. მტრედები შავ ციხეს ეხვეოდნენ გარს, ლულუნის მაგიერ გველებივით წიოდნენ. ფეხონში ნასხდომი ხევსურნი შავად იყვნენ ჩაცმულნი. დალილი, დაოსებული ბერდი ფეხონში შავ ქვაზე იჯდა, მისი ქერა ხუჭუჭი თმა შავად გადაქცეულიყო, სახე ოფლს გაეყვითლა, თვალები დანადვლიანებოდა. ხელში დამსხვრეული თოფი ეჭირა, თავი დაეხარა. მძიმე ფიქრი რამ დასწოლოდა ფეხონს. უძრავად ისტდნენ, თითქოს გაქვავდნენო: შავს მიწას მისჩერებოდნენ. ბოლოს ერთმა შათგანმა თავი ასწია. საშინელი იყო, საშინელი. სახე შემურვილივით ჰქონდა, ჯაგარივით წვერ-ულვაში აშლოდა, შავ თორბილზე ოფლის ნამი ედო, ხელფეხი უთროთოდა, ბერდის მღურვით შეხედა.

— რუჯული გამაგიცვლავის, ბერდი! — მწარედ წამოიძახა მან.

— ბერდი აღარა ხარ, ბერდი! — შესძახეს ხევსურთ.

— სხვას გვამში ვადამდგარხარ, სხვაში, მოშორდი ხევსურთ!

ბერდი ძლივს ადგა ფეხზე: წასასვლელად მოემზადა, მაგრამ შავი კაცი გადაუღვა წინ:

— უწმინდური ხარ! — შესძახა მან, შავმა ხანჯალმა გაიელვა შავ სივრცეში და...

ჩემმა კივილმა გამომადვიდა... ეჰ!.. ნუმც გამღვიძებია, შინშო დავით!

— ადავ, იყურე!

— შინშო დავით!

— ადავ, რა გემართების?

— უცნაურს ვერძნობ.

— ქალო, ადუაის ქალი ხარ!

— გული მიდნების, გული, დავით.

— ადავ, ადუა, საშიშია!

— გული დადნება, დავით.

— გვარს შეარცხენ!

— არ მეპორნილავა ნეტამც, დავით!

— ადავ, გაჩუმდი!

— ბერდის წერისა ვარ...

— ადავ!

- გული კრული ყოფილა, დავით, კრული...
- ბერდი მოსისხლეა, ცოლქმრობა რახლა იქნების...
- მოსისხლეს სიყვარული სკოდნია, შინშო!
- მოსისხლეს სიყვარული? რად არ გასქდები, დედამწამე: **ქვეყანა**
- ეხ, დნება გული, დნება. სურვილი მკლავს, დავით, სურვილი...

— ქალო, აშექალო, რა დაგემართა? ბერდის ხელით ჩემი სისხლია დაღვრილი: ცის ვარსკვლავივით ყმაწვილი მოსწილა ქვეყანას, რად დაგავიწყდების? ხევსურნი გაიციენებენ, გვარს საყვედური დაედების: მოსისხლეს გადაყვაო აშექალი.

— ნუ დავით! შეიბრაღე აშექალი: მოძებნე მონადირე, ხევსურნი აუღს ვერ იტყვიან — ვაჯაკი ვაჯაკისაგან მოიძებნების. აშექალი მუღამ შენზე იმღერებს, ლამაზ ლექსებს გეტყვის, სახელს გაგიოქვამს, მუხლად ლურჯას შეგოქვამს, აბჯარს შეგიოქვამს, პერანგს ნაქრელით დაგიქრულებს, შენ მზეს დაჟივავს, შენზე მზე ამოუხდების, ლამაზ წაწლებთან გიელჩებს, სტუმარ ქალებს ისტუმრებს, სტუმარს სხვაგან არ გაუშვებს, სტუმარ ქალებს შენთან აწაწლებს, ოღონდ მოძებნე ბერდი, მოძებნე ხთის მადლს! ვაჯაკი ხარ, მუხლი გერჯის, საჯინვევებში ბილიკები არ აგერევა. წადი, წადი ადაის გულისად!..

— რაღა იქნების! წაეა დავითი, წაეა, მაგრამ... ფრთხილად, აშექალო, ადღას არა დამეაღების!..



თულას ღამე უტყდება ფიქრით, მოკეთე უმოკეთეო სამღურავს ეუბნება: სანადიროდ რად გაუშვიო ბერდი. დაღონებული თულა სიზმარს გამოეკიდება, ხატლმერთს სახეთოს უქადებს, ლილგახსნილი ბნელში დაიჩოქებს, მამის სალოცავს — დიდგორის ჯვარს სახვეწარს ეუბნება.

არა ჩანს ბერდი, ბერდი უგერში დაიკარგა.

— თულამ მკითხავთან გაიაროს.

— ქადაგს სანთელი დაანთებინოს.

— თულამ მესულთანე ასულთანოს.

ქადაგი ხოშექი ქარი-ჭურს დაეძებს: ბერდის და თულას ამბავს კითხულობს. კარზე მისულ თულას ღიმილით მიეგვებება, თულა კი... თულა შუბლშეკრულია: არ ეცინება შეილ-დაკარგულ დედას...

ხოშექი სააღერსო სიტყვას დაეძებს, გულის საიდუმლოს სტყუენებს თულას და შიგადაშიგ მთაბარის ამბებს ჩაურევს, ცხვარ-ძროხის ამბავს ეკითხება.

— საქონლისა რა მეკითხების!

— შეილის ამბავმა თუ შეგაწუხა, თულო?

— ბერდი არ დაბრუნდა სანადიროდან...

— მონადირის აბა რა ვაიგების...

— მესულთანე ვაუგებარს ვაიგებსო.

ხოშექს შუბლი შეეკვრება, სქელ ბაგეთ მოიწუწავს, მისნურად აშტკრდება თულას.

— გამაიცვალა დროება.

— სულნი სულად რჩებიან, ხოშექ.

— ეხლანდელ კაცთა რა იკითხების.

— დედას შვილის ამბავი ეკითხების...

თულა სამკითხველად მოვიდა, ხოშექ. ხოშექ, მოიხმე, მოცვალებულთა სულელები ჯვართ ნება სთხოვე ხეთის მადლს!

ხოშექი უცნაური ხდება: სახე დაეჩრდილება, თვალეები ნაძალადევი ნალველით შეებურებიან, მთქნარება მატულობს, ოთახში სიწყნარე წვება.

თულა უძრავად ზის, თულას შიშის იერი გადაპკრავს სახეზე, მოუთმენლობა ათრობს.

ხოშექი მუხლებზე ხელს შემოიხვევს, კერს შიაშტერდება, კირვეულობს. თულა წამოდგება, ხურჯინიდან ქაღებს ამოალაგებს, სანთელს აანთებს და ხოშექის წინ დადგამს ტაბლას.

— სუფრას შენდობა ეთქმის, ხოშექ!

— გულ რაღამ მეთაღრების...

— ბერდის მამისად უთხარი შენდობა, ხოშექ!

— ბაჭყიას მამუკაც დაეტანების.

— სულნი სულთ მოიყოლებენ.

— სულს გზა არ დაეშურების.

— სულთ კარსაკვამი არ დაეხურების...

ხოშექი ფეხზე აღდგება, ბოსლის კარებს გააღებს: მიცვალებულთა სულებს მოიწვევს, ტაბლას შენდობას ეუბნება და სანთლის აღში რაღაცას დაეძებს.

თულა კრთება, სიბნელისკენ მიიწვეს და გულში, საკუთარ გულში შეეხვეწება სულთ, ნაცნობ-უცნობისათ, სულს მეუღლისას (რომლის სახელიც არ უხსენებია თულას თავის სიცოცხლეში), სულთ ქმრეულთას ღა მამის სახლის მიცვალებულთას...

სახეწინარში გადავირდნოლ თულას ხოშექის უცაბედი კივილი შეაკრთობს. სახლის კერი აელერდება, ბანზე ვილაცა გადაიბრუნს. ხოშექის კივილი სოფლად გაიჭრება, ხოშექი ქაღაგებს, ხოშექს „სულნი მოუვიდეს“:

ჰაუ ჰაუ! ჰაუ!...

აჰ ორ, ყველგან ორ, არსად ორ...

ჰაუ! ჰაუ! ჰაუ!...

მოვედი. ბერდი ვარ, შენი ვარ, შენთან ვარ!

არსად ვარ, ყველგან ვარ!

ჰაუდა, ჰაუდა, ჰაუდა ჰაი!..

დავეცვითები კარს საკვამსა,

დავიარები სამყოფოსა,

დედაო, ვლახე მთასა, ბარსა,

დედაო რაად დამილონდი?

დედავ, რად დახოლ ცრემლიანი?

დედავ, ვერ ნახე ბერდიასა!

სულეთის ღმერთსა ვეხვეწები.

მამკას ნებთი საუბრისი.

ცრემლით რად ტეხავ შავ ღამესა?

კარი საკვამი იყვას მღეი...

მინდა ტაბლაი ვადმოდგმული,

ტაბლაი მინდა სწოროფერთადა,
 ჭურჭელი მინდა ლუდიანი,
 ყანწები მინდა მძივიანი,
 ლურჯაი მენატრება ცხენი,
 ხმაღს ვნატრობ სახელდაუდებსა...

ვაი, სამწუო დამენატრა.

ხადიროთ ცოდვა თუ მომეკიდა:

ნისლი დამხვიეს ჭაუხშიგა...

დაბადების დღეს თუ დამეწერა:

ყორნებმა ჩამაფარეს ფრთენი.

ქვიშა დამიგეს ლოგინადა.

ჰაიდა, ჰაიდა, ჰაიდა!

დედაო დედაშვილობასა: ნუ დამაღონებ ბერდისა.

ძილ დაიძინე, დამიმშვიდდი.



თულას მეტი აღარ მოუსმენია: საწყევარი სთქვა და ბარბაცით აედევნა
 გზას დაოსებული, შვილის მაძებარი დედა...



ეს რა ჟრიაშული შეუდგა სოფელს!

— დედავ, ვინები მოდიან?

— დობილებო, რა ამბავიას?

— მონადირენი თუ დაბრუნდეს, დედი?

სოფელი ხმაურობს, ხალხი შარაზე გროვდება, ქარი ჰქრის, მიდამო
 იცრიცება.

ბერდი სად არის, ბერდი, არხოტივნებო?

მოსულებს სევდა აწევბათ. ნადვლიანად გამოიყურებიან...

ცაო, დაინგრიე!

დედამიწავ გასქლი!

— დედავ, დედანი ტირიან... თულა დაქრილი ვეფხვივით ღმუის!..

აშექალი ფეხზე დგება, რიცრიცებს, გულის დარდი ათრობს, სახე უფითრ-
 დება, მიმავალს დედა წამოეწევა და გაოცებით ეკითხება:

— ქალო, სად მიხვალ, აშექალო?

— გული დნების დედავ!

— გულს გაუბრაზდი, ქალბნელო!

— ბოსელში უნდა წავიდე: ამის შემდეგ მზეს ვეღარ ვუყურებ თვალით.

— საბნელოს რა გინდა, ქალო?

— ბერდი არ დაბრუნდაო, დედავ...

— ქალო, გონს მოდი!

— არ დაგებადე ნეტამც...

— ნუ, შვილო...

— თაგი გამანებე, დედის ჭირიმე, დედი!

— გული დაიოხე, შვილო...



- არ მეპორნილავა ნეტამც...
- აშექალო!
- ბერდიმ წყალი შემასმია!
- დასამებო!
- ბერდი ჩემი წერისა იყო:
- უწინ სიკვდილიმც მოგიტაცებს!
- დედავ, სიყვარული სკოდნია მოსისხლეს.
- მოსისხლეს სიყვარული!? ნუმც გიწოვია დედის ძუძუ!
- დედავ, იყუჩე, ხალხი გვიახლოვდების...

ქარი ჰქრის, დედამიწა იცრიცება, სოფელი ღელავს: სოფელს რკინის კარი შეეხსნა. ბერდი უკვალოდ დაიკარგა.

- ალბათ, მოსისხარი ქისტი შეხვდა სანადიროში.
- იქნება ფოლადის წრიაში გაუტყდა ქარაფში.
- იქნება ჯიხვებმა გადაიყოლეს სიმაგრეში.

მონადირეთ მთელი სანადირო დაეველოთ, დავითს კუნჭული არ დაეტოვებოდა დაუძებნელი, მაგრამ გერში არ არისო, სთქვეს და მთელ სოფელს შეენისლივით დააწვა ფიქრი...

- ყორნებს ხომ არ გადაუვლიათ საჯიხვებში?
- თეთრთავიანი სეავი ხომ არსად დაგინახავთ?
- ფოცხვერის ხმა ხომ არ გაგოგონიათ?

არა არხოტიენებო, არა!

— მხოლოდ შურთხის სტვენა ისმოდა. შურთხის სტვენა გვამცნობდა ცისპირის დაძვრას.

- შურთხის სტვენა ისმოდა დილის ეამს...
- ხანდისხან შუნი თუ ჩამოგვიშტვინებდა სიმაგრეებიდან.
- ან ჯიხვი გაჰკრავდა რქას ქარაფებს.
- ყორნები არსად ყრანტალეზდნენ.
- სეავებისთვის თვალი არ მოგვიკრია.
- ფოცხვერს არსად დაუღრენია...

ეხ, არხოტიენებო, დაიკარგა ბერდი!..

- წაწლებო, იტირეთ ბერდი!
- დობილებო, აშექალი მოძებნეთ!
- კოშკის კარი დაამტვრიეთ დობილებო!
- დობილებო, აშექალი დაათირეთ!



შემოდგომის ნაღვლიანი დღეები ჩამოწვენენ მთებში. ღრუბლები მთაგორებს აღარ შორდებიან. ლემადე განუწყვეტლივ ქრის. ცა არ ჩანს, ცაზე არწივები არ გადადიან. ბროლის კოშკებს ღრუბელი ეხვევა. თოვლი თოვლს ემატება, სიმწარე სიმწარეს. გზები შეიკრა, სტუმრობა შეწყდა. ქარის ქროლა და ზევევის გრიალი თუ აფრთხოვს სიჩუმეს. ტიალი არხოტი კუბოა ზამთარში—ყინულოვანი მთებით შეკრული კუბო, ცოცხალთ სამარე. გახარებული დაღონდება და აშექალს რალა ებრალებო: ზის ბნელ ბოსელში და იცრიცება...

ებ, აშექალო, აშექალო!

— ქალო რა დაგეპართა?

— ქალო, გამოდი საბნელოდან!

— უწესოს ნუ აწესებ, ქალბნელო!

— თმები რალად დაიქერი, აშექალო, თმები!

— საყურ-ბეჭედიც მოგიხსნია, შაებნელო!

— ქალო, შენ თვალებში ნალექელი ჩამდგარა, ქალო, სახე გაავფითრებია. ჩამომდნარხარ, ჩამომდნარხარ, აშექალო!

ებ, დობილებო!

არც არწივები!

არც მტრედები!

არც გარმონი!..

დაკარგული მონადირე!

დადნა, დადნა აშექალის გული. გულს თავისა გააქტეს, დობილებო, გულა კრული ყოფილა, კრული...



ჯიხვების ხოცვით განთქმულ დავით, აღუას ნადირობა სურს — გაჰყევი სანადიროდ: ბიძის ძმისწულის გამოცდა სწადიან. დიდი ხანია აღუა ველად არ გასულა, ქიუხებში ხირიმი არ უხვევლებია. დაილალა შინ ჯდომით, ქალბნელი აშექალის ცოდვა ბრალს აღარ ეძლევა: ცრემლიანი თვალებით აღნობს შამის გულს. სევდის გაქარება უნდა აღუას, დაემზადე დავით, დაემზადე.

— აღუასთან ნადირობა დასაკევენხნია ხევსურეთში!

— ბიძის ძმისწულის ქება არ შეხდერის!

— მართალი ითქმის!

დაემზადე დავით, აშექალის საფიქარო, დავით!

დავითს შთელი ღამე არ სძინებია, დილის ეამს ბიძის აღუას აედევნა და ნელის ნაბიჯით შეჰყენენ საჯიხვეებს...

იმ დღეს ორი მანძილა ჯიხვი და ერთი შუნი გამოასალმეს სიციცხლეს. თანაც დავითი ბერდის დაეძებდა კლდეში. აღუა კი... მოწყენილი დაიარებოდა, ხანდისხან თუ გამოელაპარაკებოდა დავითს. საღამოთი, ეახშმის შემდეგ, ლაპარაკი ჩამოუეცარდათ:

— ეს ერთი ხანია აშექალი გამოიცვალა, — სთქვა აღუამ, თითქოს უნებურად წამოსცდაო, თანაც ამოიოხრა.

შეკრთა დავით: არ ელოდა აშექალის შესახებ საუბარის ჩამოგდებას.

— მე მგონია ვინამ უყვარს, — განაგრძობდა აღუა, — შეილს სიბრაღული ხქონია. მეგბრალება ქალბნელი.. იქნება იცი, დავით, ვინ უყვარს აშექალს?

— იალსარს გეფიცები, არ ვიცი!

— ქაბუკები თავს ველებიან, მთხოვნელი მთხოვნელზე მოდის და ის კი... •ქნება უყვარს ვინ?

— აბა რა ვიცი, ქალი ეშმაკია, მე არას მეტყვის.

აღუა დააკვირდა დავითის შეწითლებულ სახეს, ჩაფიქრდა და ეს უთხრა:

— ხშირად მსმენია აშექალის ნათქვამი: „ბერდი“.

— ბიძაე!..

— დიახ... მსმენია და ცეცხლი მომკიდებია, ცეცხლი. მოსისხლეს სახელის ხსენება! ღამით ძილი არ მომკარებია სიმწარით: ქალ-ვაეს ნდომასს ვაჭრებოდი, თვალყურს ვადევნებდი, ბოლოს კი... სირცხვილი თავიდან მოვუბნებოდი...

— აღუაე!!— წამოიძახა დავითმა და ფეხზე წამოხტა.

— ერთ საღამოს ბერდი სანადიროდ ემზადებოდა, მე ჩვენს კარებთან ატუხულ ნანას მოვკარი თვალი: სამყოფოში იჭვრიტებოდა... როცა ნანა აშე-ქალის ოთახიდან გამოვიდა, მე კვალდაკვალ ავეყევი. იგი ბერდის ესტუმრა, მე კი იქვე, ბოსლოს კარებთან დაველოდინე და როცა ნანა უკან დაბრუნდა, სიბნელიდან შემომესმა: „ჯიხვის თიკანი უნდა აშექალს“, აჰას ნანა ამბობდა. მე თავზარი დამეცა. სიმწარით თვალები დამიბნელდა,—ჩემი შვილი ელჩის პირით ელაპარაკებოდა მოსისხლეს. მინდოდა იმავე ღამეს მომესპო ორივესთვის სიკოცხლე, მაგრამ დროს დავაცალე.

— აღუა ჩაფიქრდა, ყალიონს თამბაქო დაუმატა, მწარედ ამოიოხრა და საუბარი განაგრძო:

— იმ საღამოს მეც ძაუფისკენ ვემზადებოდი, თენების ხანს ჩავიდევი საგზალი და სოფლის ბოლოს დავეუცადე ბერდის: მე ვიცოდი, რომ ის დილით სანადიროდ წავიდოდა. არ მოეტყუედი: ჯერ გათენებული არ იყო, რომ გამოჩნდა, სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა, მე სისხლი ამიფუცდა, გულმა თქვა: აქვე მოკალიო, მაგრამ არ აეჩქარდი, — მალვით ვაეკაცის მოკვლა რა საკადრისია. კარგად შორს მანძილს მივსდევდი უკან ბერდის, ის დაფიქრებული მიდიოდა, მე კი ფრთხილად, მას სიყვარული ახელებდა, მე კი შურისძიება. მთელი დღე ვუპერტდი დღურბინდით ბერდის... ფეხმარდი იყო ის წყეული! სანადიროში მისვლის უშალ ჯიხვების ფარას წააწყდა, ტყვიას ტყვიანზე გზავნიდა ნადირისაკენ, ოთხი მოკლა, ერთი დაჭრა და ერთი კვირის თიკანს აედევნა უკან. მთელი დღე სდია ბერდი თიკანს, მე ვფიქრობდი: თიკანს დაიჭერს სიხარულით ცას შესწვდება და მაშინ გადფუდგები წინ. მოკვლავ ბერდის. ბერდის დაქერილ ჯიხვის თიკანს და ბერდის სისხლით შესერილ ბერდის იარაღს მივეუტან ჩემს აშექალს თქო. დღე მიიწურა, მზე გორის პირს დაბჰანდა. მაგრამ დაღლილი, დაოსებული ბერდი კვლავ თიკანს დასდევდა უკან. ბოლოს თიკანი ტყეში შეიჭრა, ნისლიან ფერდობს აჰვეა და სადღაც გადაიკარგა. ბერდი დიდხანს, დიდხანს იდგა ერთ ადგილზე გამტერებული... მომიხვეწა, რომ იგი ყრუდ ქვითინებდა, ოჩოპინტეს წყევლიდა, ბედს ემდურებოდა და ხშირად აშექალის სახელს იმეორებდა. უცბად მოსწყდა ადგილს, ქარაფზე გადადგა, რალაცა სთქვა, ცას შეხედა და სამჯერ ზედიზედ ახსენა აშექალის სახელი...

აღუას ბრახმა მოუარა, სიმწარისაგან სახე წამოუწითლდა, შუბლი დაენახვა, ყალიონის სირას მწარე წვეკოს მწარე კეამლი მოსწოვა: გულის დაოხება ეწადა, ალბათ.

გაოცებული დავითი სულგანაბული უგდებდა ყურს, აღუას შეჩერება ვერ აეტანა, მოუთმენლად შესძახა:

— მემრ რაი ხქენ?

აღუა არ ჩქარობდა: გულის სიმწარე ვერ დაეძლია, შუბლშეკრული მისჩერებოდა უძირო უღრანებს, უკუნეთი რომ დაწვეინა მკერდზე. ირგვლივ სი-

ჩემე იყო გამეფებული. მხოლოდ მუგულნები ტყრცილებდნენ ციხეებზე, ნაპერწყლები ხტოდნენ სიბნელეში და მიწაზე დაცემის უმაღლეს მკვრივობას.

სიბნელეში გაჭრილ აღს პაერი გაემქისა, შემის ფერფლს იტაცებდა, ათამაშებდა ირგვლივ და ჩაფიქრებულ ადუას თავზე აშლიდა. *განაგრძობა*
 აღუამ განაგრძობა:

— კაც შეგაკოდების: უჭერეტ — სიკვდილი სწადის, თავს იკლავს. გადადგა თუ არა ქარაფზე ბერდი, მაშინვე თოფი გადმოვიტანე და ვაზნა მივეცი პირში...

— და მახკალ! — მწარედ წამოიძახა დავითმა.

აღუამ შეუბღვირა, სამღურავი უთხრა: გენანებაო მოსისხლე და დინჯად განაგრძობა:

— ერთმა აზრმა გამოიბინა თავში: მოვკლავ-მეთქი, შურს ვიძიებ, ბერდის გვარს ჭირს მოვხდი, თავს სისხლს მოვაშორებ, ჩემს თავს სირცხვილს...

— და მახკალ!

— ის ყოყმანობდა, გაუგებარს რასმეს იძახდა. ამ დროს მე მის ბრტყელ ბეჭებს ვუმიზნებდი თოფს... უცნაური სიმწარე ვიგრძენი... ხელები უნებურად შედგნენ, თვალებს ფარდა თუ ჩამოაფარესო, ყველაფერი გამოიბურუსდა... იგი უცბად შემოტრიალდა: ჯიხვის ფეხის ხმამ გამოაფხიზლა — გაქცეულმა მანძილამ ჩაუარა გვერდზე: მგელს ჯიხვი წამოეგდო წინ და კბილებ-დაკრეჭილი მისდევდა. ბერდი გადმოხტა ქარაფიდან და ჯიხვს გააყოლა ბრაზიანი თვალები: მოკვლა თუ დაუჯდაო კეუაში. მანძილამ რამდენიმე ნახტომი გააკეთა, იქვე გამოქვამულს შეაფარა თავი და შიმშილით გახელებულ მგელს რქებით დაუწყო მოგერიება: დაიველებდა, ნახტომს გააკეთებდა, რქას გაჭკრავდა მგელს და შორს გადააგდებდა. მგელი ტოტებზე შედგებოდა, ოდნავ შესწყავლებდა, კბილებიდან ნერწყვი წამოუვიდოდა და კვლავ იერიშს მიიტანდა ჯიხვზე. ბერდიმ ხანი არ დააყოვნა, იქვე დაიჩოჭა. მე სული გავნახე: თუ ჯიხვი მოჰკალი, ვაი შენ დღეს მეთქი, ვფიქრობდი გულში. უცბად თოფმა დაიგრილა, უკანა ფეხებზე შემდგარი ჯიხვი, რქებს რომ უმიზნებდა მგელს, ჯერ უძრავი იქნა, შემდეგ მოსწყდა ადგილს და ქვიშაზე გაიჭრა სიმაგრეებისაკენ. მგელი კი... უსულოდ დაეცა ძირს. „ვაქვაცო ყოფილხარ ბერდი!“ — წამოვიძახე ჩემდა უნებურად და ტყიდან გამოვედი. იგი შეკრთა, გოცებით დამიწყო ყურება. მე წყნარი ნაბიჯით ვუახლოვდებოდი: შურისძიების სურვილით აოხებულ გულს ვიმშვიდებდი — მინდოდა მას არაფერი შეემჩნია.

— კვლავ ჯიხვი მოგცას! — მივამახე მისელის უმაღლეს.

გაგიმარჯოსო, სთქვა მან და თავი დახარა: მოსისხლე იღვა მოსისხლის წინ, ენათრებოდა. მე ხელი ჩამოვართვი ბერდის და ნაძალადევი ღიმილით დავუწყე ჰერეტა. იმანაც გაიღიმა...

— შენ რომ ჯიხვი მოგეკლა, სიკვდილი არ აგცდებოდა, ბერდი, — ეუთხარი მე და თვალბში ჩავაშტერდი.

— სიკვდილისად ორთ გაჩენილები, — მიბასუბა მან და ერთი კუნთიც არ შეტოვებულა მის ჯმუხ სახეზე. ორივენი ვაჭრულდით, თვალბით ვზომავდით ერთიმეორეს, თითქოს პირველად ვხედავდით ერთმანეთს. ორი ვაქვაცო ვიდექით პირისპირ და სისხლი ფუოდა ჩვენს შორის, ბერდის ხელით დაღვრილი სისხლი. იმ სისხლის თქრიალი მხოლოდ მე მესმოდა, რადგანაც ის სისხლი ჩემი სისხლი-

იყო... ჩემი სისხლი. ბერდი კი, ვითამ ქვის კაცი დგასო, არაფერს არაწედა, — ეტყობოდა თავი ჰქონდა მოძულეებული.

— დღეს მთელი დღე შენს კვალზე ვიარებოდი, — დავეწვევე შენს მინდობა პირდაპირ შეგყაროდი.

— იქნება სათქმელი გქონდა? — შემეკითხა იგი და თავი დახარა.

— დიახ, მსურდა ჩემი თოფის სწორად სროლა შენს ბეჭებზე მეცადა.

— თოფის სროლაო! — გაიოცა მან. წუთით ჩაფიქრდა, — მე მზად ვარ, ვაეცაო აღუა, მოსისხლე ვარ შენი...

— დიახ, მოსისხლე ხარ, მაგრამ... მოსისხლე მოსისხლეს უნდა ერიდებოდეს, შენ კი... დღეს ხშირად ამუქალის სახელს ახსენებდი.

მაშინ შეკრთა იგი, სახე წამოუწითლდა და თვალები საოცრად გაუბრწყინდა.

— მე არაფერი ჩამიდენია ცუდი... — სთქვა მორცხვად. — შენ ბევრის მნახველი ხარ და გეცოდინება: სიყვარული არ მოდისავ-კაცთ ნებით.

ორივენი შეფერდით: სიტყვა გაქრა... ბოლოს იმან დაარღვია სიჩუმე:

— მაშ დღეს ტყუილად დავსდევდი იმ ოხერ თიკანს.

მე შემენანა და ეს ვუთხარი:

— ბერდი, კარგი ვაეცაი ხარ, ცოდნა შენი მხარბეკი უდროვოდ დამიწდეს... მოდი, ნუ შემარცხვენ, დაივიწყე ამუქალი. კარგად იცი: ამუქალი რომ მომტაცა, ხევსურეთში აღარ მეცხოვრების, ფლასი დამეხურების თავზე... ნუ გინდა უწესო, კარგი ვაეცაი ხარ, ხელი ამალებინე შენს მოკვლაზე, ქალსაც მგონი უყვარხარ... დროებით მოშორდი სოფელს. ხევსურეთის წესი მაძლევს ამის ნებას: არ მოგიშვა სოფელში, ჩემ გვერდზე ცხოვრების ნება არ მოგცე...

— ზიძავ! — შეაწყვეტინა აღუას ლაპარაკი დავითმა: — მაშ ბერდი არ მახკალი? — თავათ შეეშინდა თავის ნათქმისა: აღუამ მწყარალად შეხედა და ამოიგმიანა. თავისი სასაუბრო განაგრძო:

— ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ... სალამო ეამს ძაღვის ვზას გავუდექით, ქისტების სოფელში ჩავედით და შერე აღარ ვიცი, სად წავიდა. ეს კია: ვაყრის ეამს მისი ღიდრონი თვალები ბრაზის ცეცხლში ლივლივებდნენ, დაჭრილი არწივივით მიშურდა, მაგრამ მოსისხლე იყო, მოსისხლე, ხევსურეთის ადაის ვერ გადაუხვევდა...

აღუამ შესწყვიტა საუბარი, კარგა ხანს იჯდა ჩაფიქრებული, უკუნ სივრცეს მისჩერებოდა, ეხში დანთებული ცეცხლის სინათლე სცემდა სახეზე, უფრო დაღვრემილი ჩნდა: დანაოკებულ შუბლზე ჩრდილი დასდგომოდა, წვერ-ულვაში აშლოდა...

თავათ დავითიც ჩაფიქრებული იყო, ამეამად მას ამუქალის ნაღვლიანი სახე ედგა თვალწინ, როდის ვნახავო, ნატრობდა.

აღუა ნაღვლიანად შეიშმულშა და ეს უთხრა აღუას:

— იმ ქალბნელის ცოდებაბრალი მოსვენებას არ მაძლევს, სანთელივით ჩამოღნა. ნამალევმა სიყვარულმა დასაჯა ცოდვილი... მე ვარ დამნაშავე, ამადაც ვიტანჯები ესდენ. მისი მიბნედილი თვალები გულს მიკლავენ, უპკრეტ და გულზე ეკალივით მხედება ამუქალის მშერა, მავიწყებს ყველას, მეტის ატანა ველარ შევსძელი... მიახვედრე, მიახვედრე ის ცოდვილი, რომ ბერდი საშვეოს დაიარების, ბერდი ხევსურეთში არ დაბრუნდების...

- ბიძავ!
- მაგრამ ფრთხილად, საიდუმლო შეინახე: ხალხმა არ გაიგოს! თავს ფლასი დაგვეხურების, საყვედური დამედების, ხევსურნი აუგს იტყვიან ჩემზე... მხოლოდ აშექალი მიახვედრე, სიტყვები გადაუქარ, სხვებთან გავუმდლო!
- იქნება ბერდი აღარ არის ცოცხალი?
- რა ვიცი...
- იქნება ბერდის მოსისხლე ქისტი შეხვდა გზაში?
- რა ვიცი...
- აქამდენ არ დაიგვიანებდა...
- არ ვიცი...
- დრო უნდა მიგეცა აღუავ!
- დროსად არ მამიცლავის...
- გული თუ არ გემორჩილებოდა?
- გულს ბრძოლა ეწადა, სისხლი სწყუროდა, დავით...
- დიდი მოგიტმენავის!
- გული გონებას დაეჩაგვრინე...
- ვაეკაცობა ჩაგიდენავის!
- იქნება ხევსურთ აუგი თქვან?
- კარგ საქმეზე აუგი არ ითქმის.
- მამკლავი გაუშვიო აღუას.
- ვაეკაცობა აუგსაც ჩაადენინებს ვაეკაცს.
- ნეტამც თუ ცოცხალია ბერდი? — გულიანად სთქვა დავითმა, — მისი ხილვა რადმე მწადიან.
- ნუ, ეგრე ნუ იტყვი, დავით: კაცი გაგიცინებენ; მოსისხლეს სიყვარულზე აუგს იტყვიან...
- კაციო! — უგემურად გაიღიმა დავითმა.
- ორივე გაჩუმდა: თავიანთ წადილის ზომეას შეუდგნენ. თავიანთ ფიქრებს მიეცნენ, წითელი ალი ავიზვიზდა ქაქეშზე, თითქოს ნანას ეუბნებოთ მონადირეთ.

- ქალო, აშექალო, წინგარდას გამოდი!
- დავითს სახელი მოულოცე, ქალო!
- ქალო, აშექალავ, დავითს ჯიხვი მოუკლავს!
- ჯიხვის ხსენებაზე აშექალს ხალისი მიეცემა, დავითის ნახვა მოენატრება, წინგარდას გამოდის, ნაძალადევად იღიმება, დავითს გზაში წაეგებება.
- კვლავ უკეთესი მოგვას, შინშო!
- სამშობარმ სიხალისე დაგილოცოს, ადავ!
- იქნება ამბავი რამ მაიტანე, დავით?
- ნადირი ბევრია კალხებში...
- ჯიხვ თუ მახკალ, შინშო?
- ჯიხვი დავთოფე, ჯიხვი...
- ჯიხვის რქები თუ მოიტანე?

- მანძილა ჯიხვის...
- ნადირო ბევრი თუ გხედებოდა?

— ჯიხვი მრავალია ჭაუხებში: ბერდი სანადიროდ აღარ დაიარების, შუნ-ჯიხვი მრავლდება...

- ბერდიო?!

ეჰ, რად ახსენებ ბერდის, დავით? აშექალის გული გამდნარია, აშექალის თვალები ცრემლით დაღლილი. აშექალი ფიქრით გადაჰყვა ვაქკაცს, ადამი დაარღვია მოსისხლეს გლოვით, გულის ტკივილს არ აკმარებ, ბერდის რაღად უხსენებ ნეტავ? სილაღე თუ გვონია ცრემლის ღერა, იღუმალი ტკივილი გულის...

- იქნება ბერდი ცოცხალია...

- ნუ, ნუ, დავით!..

რად იცინი მწარედ. აშექალო? არწივები მარად ჟამს ცის კიდურთ არ დანეარდობენ: ხანდიხან ჭაუხებში შეიბოინებენ, უცხო მხარეს გადაეარდებიან, მშვირი მგელი ცხრა მთას გადაივლის და კაცი... აბა, რა გაიგება: კაცი უცხო მხარეს მიდგ-მოდგება, ჯავრს გაიქარებს და მამის სახლს დაუბრუნდება.

- დავით მესხვარივები!

— ადგე, გაზაფხულია... გაზაფხულზე ჩიტები ახმაურდების, მტრედები დაილულუნებენ, მთების გულმკერდი ამწვანდების, ბუბულანი აყვავდება... კაცის გული ვალადდება, შუბლი გაიხსნების.

- შინშო, შენი თვალები უცხოს მეუბნებიან!

- ჯიხვის მოკვლა გულს გაახარებს...

- იქნება სხვა რა იცი, ფეხმარლო დავით?

- არც რა...

- იქნება ბერდის გერში იპოვნე სანადიროში?

- არ...

- იქნება ყორნების გამოხრულ ძვალს მოჰკარი თვალი?

- არა მინახავის...

- იქნება ბერდის მნახავი ქისტი შემოგხვდა, შინშო?

- არავინ მინახავს...

- მაშ რაღად იცინი, მშის საფიცარო დავით?

დავითმა ბევრი რამ იცის, აშექალო, ქვეყანას აზარი ყური აქვს, აზარზე მეთი თვალები, ამბავი ნიავეით მიდგ-მოდგება, ამბავს ამბავი დაემატება, ქვეყნად კაცის ბეჭი არ იმალება — კაცი უგერშ არ დაიკარგება, მაგრამ...

— ადგე, არწივი თავისუფალია, ცის კიდურს გასერავს, საჯიხვეებს გადაუვლის, უცხო მხარეს გაინავრდება, ლალი ლალად დაბრუნდება. იქნება ბერდი დაბრუნდეს, იქნებ...

— ეჰ, მტრის ხელით მოკლული მგონავის ბერდი, დაიკარგა, აღარ დაბრუნდებაო, ამტკიცებენ ჭადაგ-მკითხავნი... დაღნა აშექალის გული, ტიალი, დაღნა!

დავითს აშექალი შეეცოდა, ხალხს მიხედ-მოხედა: თავი გაიმართოვა, აშექალს აღუას ნაამბობი აუწყეს და ეს ჩაილაპარაკა:

— მგზავრი მიდგ-მოდგების, ჭალაზე ხედები გაითამაშებენ, ვაეები კვალინდებურად ითავაურებენ, მთაზე არწივები გამოჩნდებიან, ბერდი მაშინ დაბრუნდება, დაბრუნდება უეჭველად...

...აშექალი წინგარდას ზის: ცაზე გადამავალ არწივებს უპერეტს, ფრთებოლო თეთრ ორბს მინატრის: ნეტამც მაქციაო შენად, ჭაუხებმს გათვლიერება სწყურიან გულით. მზიარული დობილები შემოუსდებიან გარშემო, ნაჭრელას მკერავენ, იცინიან, წაწლებს გაიხსენებენ და დობილს დაჰხარაფრებენ.

— აშექალო, დავითმა რა ამბავი მოგიტანა?

— ქალო, დავითმა რა გიჩურჩულა?

— აშექალო, დავითმა რა ნახა სანადიროში?

— მას შემდეგ შენი გული მზის სხივებივით გათბა!

— შენი შუბლი გაიხსნა!

— შენი თვალები ყვავილივით გაბრწყინებულას!

გაზაფხული აღამიანს გაახარებს, დობილებო. ცის სილაყვარდეს შუბლს გაუხსნის, მტრედები ლულუნით დაგვატკობენ. აშექალი გაზაფხულით გაიხარებს. ეხლა სიმღერა სწადიან, გლოვა მოსწყინდა — ყველაფერს დრო ჰქლავს, წყევლებო, დრო!...

— გაიხარეთ, დობილებო!

— ილულუნეთ, მტრედებო!

— ინავარდეთ, არწივებო!

იყერნე, იყერნე, აშექალის ფრთეპრელო გარმონო, იმღერეთ დობილებო, ითავაურეთ ჭაბუკებო: წაწლობა და სიტკბო დაგილოცოთ ოქროს პერანგიანმა სამძიმარმა!...



შუადღე გადასულია. მთავორის ჩრდილები წამოხრილან ოდნავ, მთის ნიავი ბარისაკენ ისწრაფვის, წყაროთ ხმაურს უმატებია, აქა-იქ სიმღერა გაიხსნის: მწყემსები თუ დობილ-ძმობილები გაზაფხულის სილალეს წაუხალისებია.

აშექალი დობილებს ჩაპყლია წყაროზე, თიხის ჭურჭელს ავსებს და შორს, ცის კიდურისკენ იყურება:

რამდენი ხანია არწივი აღარ უნახავს აშექალს!

— დობილებო, სად გადაიკარგნენ არწივები?

— მონადირეთ თუ ჩაპყენენ სანადიროში.

— ზაფხულში მთის ყურეთ ყოფნა ურჩეენიათ.

საუბრის დროს აშექალს თვალში რალაცა გაუღვებეს, შემკრთალი ცის ნაპირს მიამტვრდება.

— ქალო, აშექალო, რა გემართების?

— ქალო, რა გაოცებს, შე სამიწვე?

— ნეტავ რა ნახე ცაში?

აშექალი ფეხზე წამოდგება, იცინის:

— ოი! არწივი, დობილებო, არწივი!..

არწივიო.

დობილები გაიხარებენ, ყველანი ფეხზე წამოიშლებიან. სახეები უღიმით, თვალები უბრწყინავთ, არწივის უნახველს ემსგავსებიან. არწივი შორს, შორს მოსჩანს, ნელნელა ახლოვდება...

უცნაური გაოცება.



ქართული

სამძიმარ ყელლილიანო, უშველე დობილებს!

სინამდვილეა თუ მოჩვენება?

არწივი წრეს აკეთებს, სივრცეს სერავს, დობილებსიკენ...
ნაური ხმაურით იელინთება მიდამო...

დობილები ადგილიდან ვერ იძვრიან. შემკრთალი პიროტყვი საშინლად
ღმუის და გაოცებული ცაში იყურება. შემდეგ გაფრთხება და გამწარებული
თავშესაფარს დაეძებს.

აშექალს გაოცება ათრობს.

— ჰოი, დობილებო, ნუმც მინატრებავის არწივი!..

— ეშმას თუ შებნეს მხარნი!

— ხახმატურო დაგვიხსენი წყენისაგან!

სოფელი ფეხზე დგება, სოფელს უცნაური ქრუანტელი შეუფიქრება: დედა-
კაცები მიწას ემხოზიან, ხუცესი ხატისაკენ გარბის — ზარს სცემს, არხოტის
ჯვარს სახთოს შეუთქვამს. ხატის კარზე ხეესურები მოგროვდებიან, თეთრ
კურეტს ჰკლავენ: არხოტის ჯვარს ევედრებიან.

არწივი თავისას არ იშლის: უფრო მეტი რისხვა გუფუნისა, სიახლოვე და
ქრუანტელი, უცნაური სუსხი და კანკალი მთებისა...

— ეს რა ფრინველი მოგვევლინა?

— იქნება მოჩვენებაიას?

— ხალხო, ეგება ფასკუნჯიას?

არხოტის ჯვარო, უშველე არხოტს! დიდებულო არხოტის ჯვარო, ავი
აშორე არხოტიენებს!

მარტო დარჩენილი აშექალი უცნაურ ფრინველს მისჩერებია, ადგილიდან
ვერ იძვრის, გული ცისკენ ესჯის, მაგრამ ხელფეხი რადმე უკანკალებს, კვი-
ლი სწყურიან. გაოცებისაგან ფერგამკრთალი, თმაგაშლილი დედა უახლოვდება:

— ქალო, რა გემართების? ქალო, ცის კიდურთ რას გასცქერი, შე სამიწვე?

— დედავ, გული უცნაურს მეუბნების!

— ქალო, ხატის კარზე წამოდი, ხატი ილოცე, ღმერთ გამწყრალო!

— ცაში მწაიდიან!

— ცამ დაგმეხოს ურწმუნო!

— დედავ, არწივი მეოცების!

— საოცარი დაგილიოს ხახმატურმა!

— გული ცისკენ მაწადინებს!

— მოსწყდი მიწას! ხატის სახელი ახსენე, ხატის კარ წაიდი, შე დასამეხო!

აშექალი ადგილიდან არ იძვრის: კვლავ ფრინველს მისჩერებია.

უცხო ფრინველი სოფელს უახლოვდება, ჰაერში შებოინდება: წრეს გაა-
კეთებს, დაყრავდება, თითქოს ჰაერის ტალღები გაუთავდაო...

შიში და ელვისებრ კვილი!

ის კი... გუფუნებს, ჰაერს ფლეროს, დინჯად დაიარება, ქაუხებს ჩაუვლის,
აშექალის კოშკის თავზე კამარას შეჰკრავს და გამწყრალივით გაბრუნდება
უკან... ხმაური ყრუდება; ფრინველი პატარავდება; სამხრეთის მხარეს გაჰ-
რება იისფერ მწვანურში...

— ხალხო, ეს რა ამბავია?

— არხოტო, ეს რა მოგვეკრძა?

— ხალხო, რა მოჩვენება გაფრინდა ცაზე?

ხუცესს თრთოლვა გაუვლის, გული გულის ალაგას ჩაუჯდება, ხალხს უბმობს, დარიგებას აძლევს: ხალხო, ქვეყანა იცვლება, ცა და დედამიწა შეტრიალდა, ურწმუნოთ დაღუპვის დრო ახლოვდება, ჯვარს ნუ დაივიწყებთ, არხოტივებთ, ფორი დააფორეთ, ლუდი მოხარშეთ და სახვთო გადაიხადეთ: არხოტის ჯვარს შველა სთხოვეთ!

— ჯვარს შველა შეუძლავის!

— სახვთოს ნუ დაიშურებთ!

— ჯვარის პატივისცემა არ იკარგების!

აშექალი ნაღვლიანად უსმენს ხევსურებს. უცნაური ხალისით აობდება, სიხარული წამოუვლის, მარტოობა მოენატრება: უნდა იცინოს. საღამოს ეამს ბანზე დაჯდება: ვარმონს აელერებს, იმღერის და სასენო ქართულს ესერის დობილებს, ღმერთგამწყრალი აშექალი.

— ქალო, აშექალო, რა გინახის?

— ქალო, რამ გავალაღა!

— უკლოობა თუ გელის უბედურო!



დღეები გადიოდნენ, ხან ხალისიანი, ხან ლეგანი და უგემურნი; თან მისდევდნენ აშექალის ფიჭვები, იცვლებოდნენ მარტის დღესავით, მაგრამ მთავარი ერთი იყო: მოლოდინი, დაუსრულებელი მოლოდინი ბერდისა...

უცნობი ფრინველი რამდენჯერმე გამოჩნდა ცის კიდურზე, ღინჯად გამოსერა პაერი, შესდგა არხოტის თავზე, იბოინა — წრე გააკეთა, ქაუხებს ჩაუარა და გაჭრა. პირუტყვი აღარ შემკრთალა, ხატში საკლავი აღარავის მოუყვანია, აშექალს უჭკერტია და უნატრებია ფრინველობა. ამნაირად დაიღია დღეები. ძველი ახალმა შესცვალა, წარსული გადაივიწყეს, აშექალის გული კი... ნელნელა ილეოდა — აშექალს ბერდის დაბრუნების იმედი უქარწყლდებოდა, დავითს სამდურავს ეუბნებოდა: მომატყუეო, შინშო, და თვალსრემლიანი დედას შესჩიოდა:

— უბედურ ეამს გაჭენილვარ, დედაე!

— უკუნ ღამეში დაიბადე, ქალბნელო...

— ღამე თუ იყო წვიმიანი?

— გველის მთური ქარი ჰჭრიდა, წვიმა მოჰქონდა, წვრილი წვიმა...

— მცენარენი ილასტებოდნენ, ალბათ!

— მცენარეთ წივილი მესმოდა: ვითამ ტირიანო...

— წყარონი თუ ხმაურობდნენ ველად?

— წყაროთ დუღუნი მესმოდა: ვითომ სამდურავს მეუბნებიანო.

— იმ ღამეს ცაზე ვარსკვლავი არ გინახავს?

— ცაზე შავი ღრუბელი ირეოდა, მეტყვიან.

— ის დღე, ალბათ დაგიწყველია, დედი?

— ქალის გაჩენას არ მოველოდი, ვაგი მინდოდა უვაეოს.

— დედის წყველა მოგრეგია, გულო!

— შენ დაბადების ეამს ბუს გადაუვლია თავზე.



- იქნება ფარავი დაღბერტყე, დედი?
- უბეთარავს სამდურავი უთხარი, შვილო: ვაგი მინდოდა გულით.
- ეხ, დედავ, დავოსდი, დავილაღე.
- კაცის გული ვატეხით არ გამაგრდების!
- ცრემლმა დამალა.
- ცრემლით საქმე არ გაკეთდების!
- ბერდი რად არ დაბრუნდა, დედი?
- ბერდი აღარ დაბრუნდების!
- ბერდის ჩემი გულიც ვაპყვების თან.
- ნუმც ვამიჩენიხარ!
- ცრემლი შემაშრა თვალეზე, ცრემლი აღარ მოდის.
- სატირელი სხვა გყავემ, ქალბნელო: სულთმოპრძავე დავითს შენი ნახვა სწადიან, შენ კი მოსისხლეს ვადაპყვეი. მიხედვ დავითს, ტკბილი ქართული უთხარ.

— წავალ, მაგრამ მწუხიარეს მწუხიარესთან აბა რა ეშველებსი?!

აშექალი დავითისკენ გაემართება, ნაზ ტანს მიარხვეს, თითქოს ალვის ხის ნერგი შეარზიო ნიავემა. დედა თვალს გააყოლებს, შვილი დაენანება, ხაბმატის ჯვარს შეავედრებს: უშველეო, სამძიმარ, აშექალს.

დავითი ბნელ ოთახში წევს, ოფლის ნამი ედება სახეზე, მწარე კენესას ჰკლავს საკუთარ გულში: ქრილობის ტკივილის გამო ზომ არ დაიკვნესებს ვაეკაცი. სიმაგრე და მოთმინება გადაარჩენს ავადმყოფს, მორჩება დავითი, უეჭველად მორჩება, გავა ველად და მტერს სამაგიეროს ვადაუხდის. აჰ, ნეტამც კი შეეძლოს ფეხზე წამოდგომა: მოენატრა ჯიხვების ხილვა...

აიწვევს დავითი, ადგომა სურს, მაგრამ ღონე არ ყოფნის. ამ დროს აშექალი შედის ოთახში.

დავითი ღიმილით შეეგებება აშექალს და მისვლის უმაღ ეკითხება:

- სად არისო ადუა?
- შენ მტერს დაეძებს, შინშო.
- ტყვიას ტყვიაზე თუ გაუცვლის?
- არ ვაპატიებო დავითის დაქრას.
- მომეტაცა ნეტამც ლამაზი ქალი, რა იქნებოდა?
- ეხ, დავით, ქალი კრული ყოფილა, კრული!
- ქალი სხივია მზისა, მაგრამ... დავითი ამ ბოლო დროს უღონობასა გრძნობს, მუხლები დაუსუსტდა, მკლავებს ძალა გამოეღია, თვალეშიც უბნე-ლდება მალმალ, ქრილობის ტკივილი დღედაღღე მატულობს.

— ექიმო მაინც იყოს, შინშო?

— ექიმს უგზოუკვლოდ საით მიევალების!

— ნეტამც დაანგრიო არხოტის ვადასასვლელი, მთები მუდამ ქარწვიმიანი! მგზავრი მიდგ-მოდგებოდა, ექიმს მოსვლა არ გაუძნელდებოდა, მაგრამ ვაეკაცს სიმაგრე უნდა, დავით!

— ტყვიას სიმწვავე სკოდნია.

— სიმწვავეს გაძლება უნდა!

— გაძლებით ყველასაც ვავეუძლებდი მეგონა, ეხლა...

— გატეხით მტერი ვალადდების.

ჰაი, ჰაი, აშექალო, დავითს მტრის ჯავრი უფრო ღლის, ვიდრე მატყვი-
არი, მაგრამ კრილობამ ხელი დაპრია, ფეხზე ადგომა უძნელდება, ჭკიფილის
ურუანტელი უელის მუდამ...

— შენი ლოგინიდან ადგომა მენახოს, დავით!

— შენი სიხარულით გამეხაროს, ადავ!

— ხახმატურმა ლხინის წამალი დაგაყაროს!

— სიტკბო დაგილოცოს სამძიმარმა!

შინშები ერთიმეორეს ეშშიდობებიან. აშექალს ბერდზე ფიჭვი დაუბრუნ-
დება, ხოლო დავითს წამოდგომისა და ჯიხვებზე ნადირობის წადილი.



არხოტის მიდამო სთვლემს. არხოტი ღამის სიბნელეშია გახვეული. სოფ-
ელს შემკრთალი ბუ გადაუვლის თავზე, მშვირი მგელი აედევნება არაგვის
ნაპირს: მგელი საკბილოს დაეძებს. შორს, მთის უბეზე, ცეცხლები ელაყენ.
ცეცხლი მგელს შეაკრთობს, გზად მიმავალ მგზავრს გადაუვლის წინ და უღრა-
ნებს ნიაშურებს.

მგზავრი თავისთვის მიდის შარაზე, ნელი ხმით მიიმღერის. აგერ, აიარა
სოფელი, შესდგა კოშკის წინ, ტანისამოსი შეისწორა, ხმა მოიკეთა და კარებს
გადააქრა ხელი — ნელი ხმა მისცა შინაურებს:

— ნანავ, გაიღვიძე, ქალო ნანავ!

შემკრთალი ნანა ქაზღალში დაბორიანებს, გამწყრალი თავისთვის ჩი-
ლაპარაკებს: შუალამისას კეთილები არ დაიარებიან, ძილს ნუ უფრთხობ ნანას,
ნანას დასვენება უნდა, გასკდით, გაიარეთ!

— ქალო ნანავ, ვერ თუ მიცანი?

ხახმატურო ჯვარო უშველე ნანას! იქნება სიზმარია?

— ქალო ნანავ, მე ვარ, გამიღე კარები, რა გემართება?

არა, ნანა ეგრე ადვილად არ ენდობა ადამიანებს: ხმა ხმას ემსგავსება,
ხმას მოიპარავენ... უცნობო, გასწი, გაიარე!

— ნანა, შე სამიწევ, ბერდი ვარ, ვერ თუ მიცანი?

ხახმატურო ჯვარო, ვითომ ფხიზელია ნანა?

— ბიჭო, ვინა ხარ, შე ღმერთგამწყრალო?

— მე ვარ, ნანო, შენი ძმობილი.

— ბიჭო, ბერდი! შემოდი, ბიჭო, სად იყავი, სად დაიკარგე?

სოფელი შენი გლოვით დაოსდა, დედამ ტირილით თვალები დაიშრო. ქა-
დაგ-შკითხავნი შეაჯგრა, დარდს გადააყვა... აშექალს მზე დაუბნელდა, აშექა-
ლის გარმონის თბეები დადგა, აშექალს თმა გაუშავდა, სოფელი გაუძვირდა.
ტანისამოსი გაუღვავდა და შენ კი... დასაწყევლო! ეს რა ტანისამოსი ვაცვია,
ბიჭო, ბერდი? ქალაქის სუნი ვიდის, ქალაქელი გამხდარხარ, გამოცვლილხარ,
შე დასამეხო!

მოიცა, ნანა, ქალო, მოიცა, ბერდის არხოტის ამბების გაგება სურს:

— ოჯახს რა დაემართა? დედა სად არის? სახლი რად დანგრეულა?
ლურჯა სად დაიკარგა? ხმალი რა იქნა? სთქვი, ხმა ამოიღე, ბერდი სტუმრად

მოსულა ამ სოფელში, ღამის სიბნელეში შემოიპარა, ღამე იფარა ფარად და ხვალ დილით, ცის პირის გაძვრის ეამს, წავა ისევ შორს, შორს, უცხო მხარეში...

— თულამ შენზე დარდი წაიღო საიქიოს. სიმწარე ვერ კარგავს სიმწარეში... რამ დაპყვა და ცეცხლი ჩაუქრა კერაზე... ხმალი ღაბახში აიტანეს მეთოფეებმა, ცხენი კი კლდეზე სადმე გადახტა ვახლებული. კაცთან არაფერი დადგების: შენ ცოცხალი ხარ: ხმალი დაგიბრუნდების, ცხენი გაიზრდების, დედა კი... მასაკვდავად გაეჩნდებით ყველა. შენ იერი გამოგეცვალა, ბერდი!

ნანა ახლოს მოუჯდება, უაღერსებს, სოფლის ამბავს ეტყვის, აშექალს გაახსენებს...

— რამდენი გიძია სოფელმა, რამდენი, სანადირონი გადავალეს, ქისტები შეაჯერეს, ამბავ-უკითხავი მგზავნი არ გაუშვიათ, პაერზე გადაშავალ არწივებს და ყორნებსაც კი ეკითხებოდნენ შენს ამბავს, მაგრამ... შენ უკვალოდ დიკარგე. ერთ წელს გიგვლია ქალ-რძალმა, ერთ წელს ეცვა შავი სოფელს, აშექალი ხომ... კაცთ პირად გავიდა შენი გულისთვის: მოსისხლე იგვლიაო, უძრაზოდნენ, გარეთ არ გამოგვალეზოდა, სიბნელეს ივდა, მარად ცრემლ-შეუშრობელი...

— ნეტავ ისეთი ღამაშია აშექალი?

— მზეს ედარებისავ, იტყვიან მნახველნი. მაგრამ ოქროსფერი თმა დაუღეგავდა, საყურ-ბეჭედი აიხსნა, არწივები გადაიკარგნენ, უცნაური რამ ფრინველი გადაუვლიდა თავს, შიშის ზარს შესდევდა სოფელს და გადაიკარგებოდა. მხოლოდ მტრედები დალულუნებდნენ აშექალის კოშკს; დობილები მოუსხდებოდნენ გარს და ტკბილი სიტყვებით ათირებდნენ აშექალს.

— ხვადები აღარ თუ თამაზობენ, ნანო, ვაჟკაცები აღარ თუ თავაურობენ, ახალუხალი აღარ თუ გროვდება აშექალის კოშკის კარზე?

— აშექალი შენ გელოდება, აშექალი შენზე ფიქრობს, შავს ღამეს თეთრად ტეხს ფიქრით. შენი ხილვა ენატრება, შენი, მაგრამ აღუას ეშინიან: აღუა მოსისხლეს არ დაინდობს...

— წყეული იყოს ეს ადათები, ნანო, წყეული!

ბერდი, შუბლი ნუ შეგეკრა, გული ნუ გიწუხს, ნანას ელრობა ხელად მოუღის: აშექალს იდუმლად მოიყვანს შენთან და მერე, მერე თქვენ იცით, თქვენ... მხოლოდ აღუას გაუფრთხილდით, ეხლა კი:

— პური არ მოგშივდა, ბერდი? ნაეალი კაცი იქანცების. ჭკუაზე გადავირიე, ვაჟა, ჭკუაზე, მასპინძლობა დამაცალე სიკვდილის დასაეიწყებელი!

გაბარებული ნანა ჯარასავით ტრიალებს, ბერდის თავს ევლება, ამბავს ჰკითხავს, ჩაცმულობას აკვირდება, გამოცვლილობას გაიოცებს და ნახულს გულის სიღრმეში ინახავს აშექალისთვის, დობილი გაახარებს დობილს: არხოტს დაუბრუნდაო ფეხმარდი ბერდი.



... სიბნელეში ორი ღამე მოსწყდება აღუას ბროლის კოშკს, კარზე ნაბამი მყეფარი ოდნავ წამოიყვებებს, ხვადი შეფრთხება — ტოტებით სკემს მიწას. ჭერბოში აღუას ტახტი აქრიალდება, აღუა ეშმაკია: ყინი ძილში მყოფს ჩიტის ფრენაც კი გააღვიძებს...

- ქალო, ფრთხილად, დობილო ნანავ!
- რად გეშინის აშექალო? ბევრი მახე გაუსხლეტია ნანას, ბევრჯერ შეეარღნილა ყინულზე, მაგრამ გაუციბია და ხელის ქნევით გაუფრთხილდა.
- ქალო, ნანავ, მამა გაიგებს...
- აშექალო, ბერდი გაიხსენე: ბერდის შენი ხილვა სწყურის!
- აღუასი მეშინიან...
- აღუა ვერას გაიგებს.
- ვაი თუ... თან ბერდის ნახვაც მენატრების.
- ბერდის შენი ნახვა გაეხარდების.
- გული უცნაურად მიცემს, დობილო.
- რად რიცრიცებ, აშექალო, წესზე გამოიარე!
- გული უცნაურად მიცემს, მუხლები მისუსტდების...
- ძნელია ნდობა!
- ლამის წავეიქე...
- თავად გამოვივლია სიყვარული... ღმერთმა დასწყევლოს რას არ აქნენებს ადამიანს! ეხლა ბერდი გამაიცვალა: ფართლის ტანისამოსი ჩაუცვამს, ქალაქის სუნი უღის...
- ნდობას მაინც თავისი გააქვს, დობილო, — ნალვლიანად სთქვა აშექალმა და ეს ჩაიკაფიავა:

ცეცხლისა წყლისა შუა ვარ
 ვაგზდი ორისავ ვნებასა...
 ცეცხლი მიპირებს დაწვასა
 წყალი თან ჩაყოლებასა!



— შენი თვალეები გამოცვლილა, აშექალო, შავი ჩრდილი ჩასდგომია გოგათ!

— ბევრი სიმწარე გამოვიარე, ბერდი, ბევრი... სისხლს შეესცოდე, სისხლი დავივიწყე. აღუასის თვალეები მუდამ დღე ბოროტად ენთებოდნენ, დედა საწყევლარს მეუბნებოდა, ხალხში მამაგებდნენ, ვიტანჯებოდი, ეხლა კი...

ეხლა შორს უნდა წახვიდე, აშექალო, შორს, ბერდი უშენოდ ვერ გაძლებს, ბერდის ხეესურეთში არ ეცხოვრება — ქალაქში სამსახური ელოდება: საბჭოეთის შვილია ბერდი, მფრინავი ჰქვია...

— ნეტავ რა იქნების მფრინავი?

იგი ბერდი იყო, აშექალო, უცხო ფრინველმა რომ გადაუარა არხოტს და უცნაური ფრუანტელი შეუჯდა მთავორო... ბერდის მოსწყურდა შენი ხილვა, არხოტის საჯიხვეების დათვლიერება და ხანდახან გაინავარდებდა ქალაქიდან უსაზღვრო ცაზე...

— ის არწივი, შენ თუ იყავი?

— დიახ, აშექალო!

— ღმერთო!.. როგორ გამოიცვალე, როგორ გამოაცე!

— შენ იყავი დამნაშავე, შენ აშექალო!

ბერდის გადაწყვეტილი ჰქონდა, აღუას აშექალი მეუღლედ გაეხადა, ხანმატურს შევლა სთხოვა, ჯიხვის რქებით აუჭრელა ბროლის კოშკები, ხალხი

შეაჯერა, თოფზე, ხმაოზე და ცხენზე გადააგო ცხოვრება... ბევრი, ბევრი ეწვალა აშექალის გულისთვის ბერდი, მაგრამ აშექალის გული ვერაით მოიგო, აშექალის მხერა ვერაით მოიტაცა. ბოლოს ჯიხვის თიკანს აჰყურს სანადიროში, წყეული ოჩოპინტეც გაუწყრა. თიკანი ვერ დაიჭირა. გადასწყვიტა ბერდომ, წასულიყო შორს, ბარის ქვეყანაში, კაცი გამზადარიყო და იქნება ამით მაინც მიეტყია აშექალის ყურადღება. ბევრი ეწვალა ბერდი, ბევრი (წყეული იყოს მისი გახსენება!). ბოლოს თბილისამდე მიადგო, წითელ არმიის შვეიდა მოხალისედ. ორი თვე იწვრთნებოდა ჯარში, შემდეგ „არწივობა“ აირჩია: შენ მარადეამს ცის კიდურთ გასცქეროდი, აშექალო, არწივებს დაეძებდი და ბერდი არწივების ბედს მინატროდა, ამად წავიდა იგი მფრინავების სასწავლებელში... და, აი, ეხლა მფრინავი ჰქვიან. ეს ტანისამოსიც მფრინავისა აცვია, ის „ლილბიცი“ იმის ხარისხს ნიშნავს. შენ არწივებს უმღეროდი, აშექალო, და ეხლა ბერდიც არწივია, ღრუბელთ სათავეს უვლის, ცას სცილდება მისი მხრები...

— რკინის გული თუ გაქვს, ბერდი?

— კაცი ვარ, რაც ვიყავ, ისა ვარ, ბერდი მქვიან.

— რა კარგი იქნებოდი, ხევსურის ტანისამოსს რომ ჩაიცვამდე.

— ტანისამოსით კაცი არ ფასდება, აშექალო.

— წაწლები გაიცინებენ, აუგს იტყვიან.

ეჰ, წავა ხვალ დილით ბერდი, წავა და მხოლოდ ცის კიდურიდან თუ გადმოხედავს არხოტის არემარეს, მხოლოდ შენთვის აშექალო. ბერდის არც მძაჰყავს არხოტში, არც დედა, საყვარელი დედა მიუბარებია სამარეს...

— თულას ორი ცრემლი მოსწყდა წამწამებიდან სიკვდილის ქაშს, შენი სახელი დააკვდა ბაგეთაზე, ბერდი. მე მივებარებოდი ლამე, ვათირებდი, შენ მკვდარი ვგონე, დარდით ჩამოხმა. შენი ლურჯა დარბოდა უბატრონოდ, ჭყივოდა, გახელებულ მიწას თხრიდა ტოტებით და კლდეზე გადაიჩნება, გაქრა უკვალოდ...

— დედის სიკვდილმა გულს მიკბინა, მაგრამ...

ბერდის საზრუნველი სხვაც ბევრი რამე აქვს, მისი ფიჭვები გასცდა ხევსურეთს, გადაუარა სანადიროს, გადალახა მთა-გორები და ეხლა სადარაჯოზე სდგას, საბჭოეთს დედად სთვლის...

— ნადირობა აღარ თუ მაგინდების?

— ხანდისან მომენატრების....

— ჯიხვებისკენ აღარ თუ დასწუბდები?

— ჯიხვნი ტიალნი... დავითი სად არის?

— ეჰ, ბერდი, ვაგაკო ბერდი, დავითი წევს: ნატყვიარი სჭირს. ექიმიც არ არის, ექიმი ტიალი. ბალახ-ბულახნი არას შველიან. ჩამოდნა, დაილივა დავითი, გულ-ლალი დავითი...

— მოსისხლეებმა თუ დასჭრეს?

— არა. დავითს გიგაურთ ნათულა შეუყვარდა, გიგაურები უარს ეუბნებოდნენ. ქალს უყვარდა დავითი, მოიტაცა, მღვევარმა სროლა აუტეხა, დასჭრეს... ერთი თვე წევს და ნატყვიარი უარესდების. საშველი არაიას, ნეტამც არ მოკვდებოდეს...

ბერდის დარდი რამ შემოაწვა, სახე დაეჩრდილა, ჩაფიქრებული იყო ერთხანს. აშექალს ნიჩქარებოდა, ბოლოს ეს უთხრა დინჯად:

— უდიდესი დანაშაული ჩაიდინე თქვენი გვარის წინაშე: სისხლი დაეღვარე. სისხლი ხელისგულის ოდენა მიწის გულისთვის, მთელი უცოდებლე გავიმწარე და შენ თავსაც დაეშორდი. დედას სიკვდილის სიკვდილზე არა ვყავდი. ჩემი გვარი კახეთში გადასახლდა ჩემი დანაშაულის გულისათვის. მეც გავშორდი არხოტს... ეხლა კი, ეხლა მე სხვა ვარ, აშექალო, ბევრი რამის გაცეთება შემძლიან. გამოვისყიდი დანაშაულს: დავითს სიციცხლეს დაუბრუნებ...

— ბერდი! მაშინ ცხრა შზე ამომიხდების ცაზედ, ადუა თავ სისხლს გაპატიეებს.

— მაგრამ...

აშექალი სიმღერას გეტყვის, შხეს გაუცინებს, არწივთან შეგაქებს და შენი ჰერეტიოტ დატკბება...

ეპ, აშექალო! ბერდის უშენოდ სიციცხლე უმწარდება, შენი მკლავზე დაწვენა უნდა, შენის გულისთვის ყველაფერს ჩაიდენს...

აშექალს მხოლოდ შენი სახელი უბხენებია გარმონზე, ბერდი, აშექალს სიზმარიც უნახავს და უტირნია ყინჩად...

მაშ ბერდისა უნდა გახდეს, აშექალო, ბერდისა, ბერდი უშენოდ არ წაეკლაქში...

ოო, ბერდი, რად აქნევენებ აშექალს უწესოს: მოსისხლე ხარ, რად არ დაუყვირდები, კარგო, რად არ გეფრთხილება სიკვდილისა...

აშექალო, შენთვის სიკვდილი ღზინი იქნება ბერდისთვის, ტკივილი საამოდ დაუწინდება, ომი ღზინად.

ნუ, ბერდი, საქმეს სიკეთით მოველებ, ეხლა კი... ადუა შენთვის ტყვიას არ დაიშურებს.

მაშ რაღა ქნას ბერდიმ? ერთი გზა მიეცო, აშექალო, ოთხი წელიწადია შენ გამო მოსვენება არ აქვს; ღამე არ გაუთენებია, რომ შენზე არ ეფიქროს, მზისთვის არ შეუხედნია, რომ შენი სახე არ გახსენებოდეს, ფრინველთ ხმა არ მოუსმენია, რომ შენი ხმის სიტკბო არ მონატრებოდეს, ისე არ გაღვიძებია, რომ ძილში შენ არ ენახო, რას ემართლები ნეტამც აშექალო, რას?..

ნუ, ბერდი, სიციცხლეს სადარო ბერდი, აშექალი ქალია, ქალს ეაქვაცთან რა შეუძლიან. აშექალსაც ბევრი უფიქრია შენზე და მხოლოდ წაწლად მონატრებიხარ... წაწალი იქნება შენი, მხოლოდ წაწალი...

•
•

— დობილებო, ფრთხილად!

— ბერდი, ნელად გამოიარე!

— აშექალო, კარები გააღე!

— მეეფარნო, გაჩუმდით!

უკუნი ღამე, დობილ-ძმობილები დავითს ესტუმრებიან. აშექალი დავითს საწოლთან დაიხრება და ნელის ხმით წაუჩურჩულებს:

— დავით, შინშო დავითო! ბიჭო, გონზე მოდი. სტუმარი მოვიდა! მოსისხლემ შენი სახლის ზღურბლი ვადმოლახა, შენი ნახვა სწყურიაან...

— დავით, ეს მე ვარ, ბერდი.

-- ბერდიო!..

--- დიახ, ბერდი ვარ, დავით.

- აქ რა გინდოდა, ბერდი?
- შენი ავადობა გავიგე, დავით, შენი ნახვა მომწყურდა.
- წესი დაგირღვევავის.
- შენი გულისთვის.
- შინშო, ბერდი შენ სანახავად მოვიდა.



- სიკეთე დაულოცოს, მაგრამ...
- შენი ამბის გაგება უნდა.
- მაგრამ...
- შენთან სტუმრობა ენატრება.
- აღუა გაიხსენე, ქალო!
- სახლში შემოსული სტუმარია...
- შენი ბრალია, აშექალო!

— სტუმრობით ყველა ეპატივების!

აშექალი სკამს მიუტანს ბერდის. დაბრძანდით, სთხოვს და ნაძალადევად უღიმის.

ბერდი დავითს მოუჯდება გვერდით, სახეს ყურადღებით ათვალიერებს, მაჯას უშინჯავს და საათს აკვირდება.

ირგვლივ სინუმე და გაოცება. ორი ადამიანი მისჩერებია მოსისხლეს. მზარბეჭიანი ვაჟკაცი ზის მათ წინაშე. მისი შავი, სანდომიანი თვალები უტეხ ნებებს გამოხატავენ და სევდა კვესდება ირგვლივ.

— შე უნდა ვიკისრო შენი ვადაჩენა, დავით, — ამბობს იგი მტკიცედ. დავითს სახეზე დამკინავე ღიმილი შეუთამაშდება, აშექალს სირცხვილის ალი ედება, იღუმლად უქვრეტს ბერდის.

— სამი დღის შემდეგ „არწივს“ უყურეთ ცაზე!

გაოცებული დავით აიწეეს:

— ნუ თუ?

— დიახ, — უპასუხებს მიხვედრილი აშექალი.

ბერდის ხანი არ დაუყოვნებია, დაფიქრებული გასცდა სოფელს:

— ერთი კოცნა მაინც, — ამბობდა იგი თავისთვის და ქალაქისკენ მიეჩქარებოდა. აშექალის სახე ედგა წინ, აშექალი ესურათხატებოდა და ტრფობით გახელებული ბილიკებზე მგელდებოდა.

• • •

— ქალო, აშექალო, რა დაგემართა?

— ქალო, გამაიცვალე!

— ქალო, შუბლი გაგეხსნა!

ღობილებო! სიმღერა მოსწყურდა აშექალს, ლბინი უნდა, მაგრამ ტიალი გარმონის ფრთენი დამდგარან. ხმა ამოიღე, ტიალო გარმონო, ხმა!...

— აშექალო, დავითი მწყუხარეა.

— დავითს მზე უმწარდების.

ქალო, დავითი არ თუ გეცოდების?

აშექალი ყურადღებას არავის არ აქცევს, შუა ბანზე დაჯდება, მზეს უცინის, სოფელს ხარხარით ავსებს, არწივს უმღერის, ცის პირს უქვრეტს და ბერდის ელოდება...

გაოცებული აღუა ქვიტყირის კარებთან შესდგება, შეიღოს სამღურავს
პტყვის:



- ქალო, რა დაგემართა?
- მამავ, გულის სილაღე მომენატრა!
- ქალო, გადაიჩიე!
- გული კას მეუბნების.
- დავითი მძიმედ ავადმყოფია, შე ღმერთგამწყრალო, ქალო! ხეესურეთი გააზარე: მოსისხლე ოგლოვე და ეხლა... რად არ გრცხვენია?
- ახალი ამბავი არ თუ იცი?
- ამბისა არა მეკითხების!
- ქალო, დედა მოვიდა თემშივით.
- დედა ახალს ამბავს არას მიიტანდა...
- მეკითხავი უნახავს: ორი ხარის შეწირვა ურჩევების: მთელი სოფელი უნდა შეხდასო ჯვარის კარს: დავითის სიმთელე სთხოვეთავ არხოტის ჯვარსავ... სოფელი ფეხზე დვას, სოფელი წუხს და შენ კი, აშექალო, ღმერთგამწყრალო აშექალო!..

— მამავ, არწივი გამოჩნდების ცაზე: იმის ყვილი გულს გამიხარებს.

რამდენი არწივი გამოჩნდა ცაზე, რამდენმა არწივმა გადაუარა არხეატს თავზე, რამდენჯერ მოუსმენია არხოტევენებს არწივის კივილი, რამდენი არწივის მხარი დაჰკიდა აღუამ ქერხოს კარებთან, მაგრამ ამით ავადმყოფს არა უშველა რა. ციხე იშლება, ქალო, ციხე. ჯვარის კარს ჩაიარე, ხატს დავითისთვის შეველა სთხოვე, შე ხატისავან წყეულო!..

წავა აშექალი, მაგრამ...

- ხატი ჩემის თქმით აბა რას უშველის!
- ქალო, ურწმუნოდ მეტევენები!
- ხატი ქალის სიტყვას არას ვაიგონებს...
- ეჰ, დაიწყველე, აშექალო! ქალო რა გემართება, გონს მოდი შე არ გასახარელო!

- ღმერთო! ღმერთო ძლიერო, უშველე დავითს!
 - ღმერთო ძლიერო, შეისმინე ვედრება ხალხის!
 - ღმერთო, ღმერთო წამალი დააყარე წყლულზე!
 - ღმერთო, შენი კაბის კალთა ჩააფარე დავითს!
- ერთხმად იძახის მლოცავი და იმედიანი ბრუნდება შინ.
ღამის ბინდი წვება, ბუს უხარინან: სოფლის სათავეს ჩამოჯდება და გულიანად ქვითინებს.

ღამე ლოღივით აწეება ავადმყოფს გულზე, ავადმყოფს ჰრილობა უფიცდება, ბაღღამი სდის და ტკივილს ტკივილი ემატება...

დაიკენესე, დავით, მხოლოდ ერთხელ დაიკენესე! რა მოხდება ვაეკაცო — კენესა და ცრემლი ადამიანის გულს ამშვიდებს...

- ადავ, კენესა რა საკადრისია!
 - ოფლის ნამი გედების, შინშო!
 - ძნელი ყოფილა ნატყვიარი, ძნელი...
 - არხოტის ჯვარი საწამლებს დაგაყრის, ძმისწულო!
- ავადმყოფი იკლავება: თითქოს ქაქეში დააყარესო წყლულს...



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

- შენი შუბლი სინასავით ხდების, დავით.
- გული რადმე მისუსტდების, ადავ.
- ბიძვე ძმისწული გეხვეწება: წამალი მოუტანე ძაუვით!
- არხოტის ჯვარი დაჯაყრის წამალს!
- ნუ, ეგრე ნუ მეუბნები, ადუავ, დავითს... დავითს არ ეშინიან, დავითის გული რკინასავით მაგარი იყო, მომრევი არ ეგონა, ეხლა კი... ძნელია მობრუნება. იქნება ადუამ ძაუგში ჩაიაროს, იქნება ადუამ წამალი ამოიტანოს...
- გეხვეწებით ადუავ!
- მანდილით გეხვეწება დავითის დედა!
- სოფელი ვთხოვეს, ადუავ, სოფელი: ჩაიარეო ძაუგში!
- ადუას სიარული არ ეხარება, მუხლები ჯერ არ დასდგომა, ერთი დღის სავალია ძაუგამდე, მაგრამ... არხოტის ჯვარს დაეცალოთ...
- ბიძვე, გეხვეწები: წამალი უნდა წყლოლს!
- თავს არ დაეზოვავ, წაველ, მაგრამ გული მეთალრების: ჯვართა მებათრების, — ეს სთქვა ადუამ და სამზადისს შეუდგა.
- ამ დროს აშექალი დაბრუნდა დობილებიდან, ადუას ძაუგში წასვლა გაუბარდა, და ასეთი საუბარი ჩამოუვარდათ:
- ძაუგში თუ წახვალ, მამავ?
- ძაუგში მივიდივარ, აშექალო.
- იქნება გარმონი მიყილო, ფრთეჭრელი გარმონი.
- გონს მოდი, ქალავ, რა გემართების?
- იქნება ჩუსტები მომიტანა!
- აშექალო, გადაიჩიე?
- წამალს ტკბილი შაქარი გამოაყოლე, კარგო.
- წყეულო ქალავ! ქალო, ხანმატის ჯვარს სთხოვე შეველა, გონზე მოდი, გული დაიშვიდე. დავითს მიხედე, ქალო, დავითს გვერდზე დაუჯექი, სიტყვა უთხარი, გული გაუმავრე...
- აშექალის საფიცარია დავითი, გულს არ დაიშურებს შინშის სიკეთისათვის, გვერდიდან არ მოშორდება, მრავალ სიმღერას ეტყვის, ოღონდ ადუავ, შენ გარმონი მოუტანე...
- აშექალი დობილებს მოუხმობს, — დავითს გვერდზე მოუსხდებიან. უმღერიან, ქალ-ვაყების ამბავს ეტყვიან, ბერდის გაიხსენებენ და დავითის კარგად ყოფნას დაინატრებენ: ბევრი სტუმარი მოდიოდა სოფელში, გვესტუმრებიანო ლამაზი ქალები, ჯიხვები გაბევერებულანო ქაუხებში და ოჩოპინტე უკრთისო მონადირეთ...
- ორი დღე ჩამოელია აშექალს ბერდის მოლოდინში. ყოველ წუთს ცის კიდურით გასცქეროდა: არწივის გამოჩენას ელოდებოდა.
- დავითი სუსტდებოდა — არხოტის ჯვარმა არა უშველა რა ვეყავს, ზოლო ადუა მეორე დღეს ვერ დაბრუნდა ძაუგიდან...
- გათენდა მესამე დღე, მზის ამოსვლის უმალ აშექალი წინგარდას იჯდა და სამხრეთის მხარეს ლურჯი ცის კიდურს გასცქეროდა. ამ ყოფით ჩამოილია ის დღეც, მაგრამ... ვხარეულ წეროსაც არ ვიდაუვლია იმ დღეს ცაზე.
- აშექალის საქციელი აოცებდათ მეზობლებს და ასე ეტყოდნენ:
- ქალო, აშექალო, თვალები რად დაილაღე?



- ნეტამც რას იქვრიტები ცის კიდურთ?
- ქალო, აშექალო, რა გემართების!
- დავითი სწუხს, დავითს ნატყვიარი კლავს და შენ აქაქობს აქაქობს და არწივებს დაეძებ... რად არ გრცხვენიან ნეტამც? აქაქობს აქაქობს
აქაქობს აქაქობს
- აშექალს ყურადღება არავისთვის მიუქცევია, მხოლოდ დავითის მისუსტებულმა ხმამ შეაკრთო: აშექალს უხმოზდა თავისთან — ვაჟკაცს წყალი სწყუროდა თურმე...
- ჩამოგშალა მიწამ, აშექალო!
- ქალო წყალი მიუტანე დავითს!
- აშექალი ნაღვლიანად უახლოვდება ავადმყოფს და მოხატობით ეკითხება:
- წყალს იკვლევდი დავით?
- წყალი მწყურის, აშექალო, წყალი!.. ქალო, არწივი არ თუ გამოჩნდა, რად დაიგვიანა ბერდიმ, რად?
- ბერდი ვაჟკაცია, დავით, შენ არ გესწავლება, აბა ბერდი რად მოიტყუების, ბერდი აუცილებლად მოვა, აუცილებლად...
- ერთი დღეც და... დავითის ვარსკვლავი ჩაჭრება ცაზე.
- დავით, მზეო დავით, ბიჭო ვაჟკაცი ხარ, გაიძელი, ბიჭო გაიძელი, ნატყვიარს სიმაგრე უნდა...
- ღონე მეცლების... გული მისუსტების... ძნელი ყოფილა ნატყვიარი, ძნელი...
- საცაა მზე გორის პირზე დაბრძანდების, მთავორები ღამის სამოსს მოიხბავენ... უი, სადა ხარ, ფეხმარდო ბერდი?!
- ქალაქი შორს არის, აშექალო, შორს. ძნელია მისვლა-მოსვლა, ბერდი დროზე ვერ დაბრუნდების. ადუას დაველოდათ, ადუას გზა დაულოცე.
- ადუასაო... ნეტამც ჩქარა არ დაბრუნდებოდეს ადუა: ბერდის შინ არ შემოუშვებს, შენი ნაბვის ნებას არ მისცემს, დავით, მოსისხლეა, სისხლს დაღვრის, შურს იძიებს.
- ეხ, აშექალო, აღარა გამიგია რა, ტყვიელმ ყველაფერი დამაცილი, ავადმყოფს რა თავისისხლის თავი აქვს...
- ბანზე თუ გავალ იქავ: არწივს დაველოდები...
- ნეტამც გამოჩნდებოდეს არწივი!
- გამოჩნდების, შინშო, უეშველად გამოჩნდების!
- ... მზე მთის წვერებს მიეჯარება, გრილოები წამოიხარნენ, ცხვარ-ძროხა დაიძრა შინისკენ. სოფელში ტყვიისფერი კვამლი დაიძაბა და მთის ნიავს ჩაჰყვა ქალებისაკენ...
- ბანზე მკდომ აშექალს იმედი გადაუწყდა: აღარ მოვაო ბერდი, ადგომა დააპირა და სწორედ ამ დროს უცნაური ჟრუანტელი შეუჯდა მთებს, თითქოს დედამიწა აბურბურდაო...
- აშექალი შეერთა, კვიელი ამოხდა: სამხრეთის მხარეს, ცის კიდურზე, წერტილს მოჰკრა თვალი. გუგუნნი და ის წერტილი იზრდებოდნენ. აი, არწივის ხელად დაუჩნდა აშექალს.
- ოო, ეს ბერდიას! ბერდი! — აშექალი სწრაფად შეირბენს შინ: — ბერდის არწივი გამოჩნდა, შინშო!
- ბერდი ვაჟკაცია, აშექალო.



საქართველოს
საბჭოთაო მემკვიდრეობა

— სიტყვა შეასრულა...

— გაუქვრიტე ბერდის!

აშექალი სარკმელს უახლოვდება და გახარებული წამოიძახებს:

— ბერდი კიუბების მაღლა ტრიალებს...

— ეხლა?

— ეხლა ჩვენ სოფელს გაუსწორდა, შინშო...

— ეხლა სად არის ბერდი?

— ეხლა ნელნელა ეშვება ძირს...

ეჰ, ნეტამც არენა დაეთოს უცნაური არწივი! — ნატრობს დაეთით, ღონე ეცლება, ოდნავ წამოწეული ლოგინში ჩაიკეცება...

სარკმელთან მდგომ აშექალს შემოესმის:

— სოფელო!

— ახიელავ!

— არხოტო!

— ეს რა ამბავია?

— არწივი! არწივი! უცნაური არწივი!

— უი! ძირს ეშვების!

— გვიშველე, ხახმატურო!

— დაგვიფარე, კაცთავამჩენო!

სოფელს ზირწუ შეუჯდება. ძაღლები ყმუიან. ძროხები შიშით მიწას ეკვირიან, დაშიშული ხარი ბლავის, ულაყები კიხვინით გარბიან, ბავშვები საჩაღეში იმაღლებიან...

გუგუნე, გუგუნე! ცახცახი მთებისა!

— არხოტის ჯვარო, უშველე არხოტს!

— ხახმატურო სამძიმარ, გადმოხედე დედათ!

— ლალო იაღსარო, დაიფარე ტახტის ყმანი!

დაეთით კვლავ აიწევს: „არწივის“ ხილვა ენატრება...

— დაისვენე, დაეთით! — გაუწყრება აშექალი.

— ადავ, ნახვა მენატრების!

— არწივის ნახვა გულს ახარებს, ბერდის მოსვლა შუბლს გახსნის, — ამბობს აშექალი და უცნაურდება: ადგილზე ველარ ჩერდება, მოუსვენრობა ეტყობა.

— ქალო, აშექალავ, რა დაგემართა?

— რათ გადაირიე, შე დასამეზო?

— ქალო, აშექალავ, რა გიხარის?

დედავ, გაჩუმიდი!

ღობილებო, მოშორდით აშექალს!

ღობილებო, არწივს უქვრიტეთ!

თვითმფრინავი მიწას უახლოვდება, დინჯად ტრიალებს ზოდამუნის თავზე: ეს ზოდამუნი ბერდის ცამეტჯერ მოუხნია, ცამეტჯერ დაუთესია, ცამეტჯერ მოუქცია. იცის... პატარა ქვის ნატეხიც კი იცის ამ მამულისა. ამ ზოდამუნისა გულისთვის დაღვარა სისხლი აღუას ბიძაშვილისა და ეხლა იმ მამულზე უნდა დაჯდეს ბერდის არწივი. აგერ, იგი შეეხო კიდევ მიწას, ბოლო გაჰკრა, შურდულის მიერ გასროლილ ქვასავით გაიქროლა ზოდამუნზე და ნელა შეჩერდა მამულის ბოლოს.

აშექალს კივილი ამოხდა: არწივები ჩამოვიდნენო ქვეყნად!

— ბერდი!

— არხოტივებო, ბერდი!

— ბერდი დაბრუნდა, ფეხმარდი ბერდი!

არხოტის ცაო ვაიხარე, დედამიწავე ყვავილი აისხი ოქროს შძივებად! წაწლებო, ვაიხარეთ, წაწლებო!

— კი, მაგრამ... არხოტში ჰაეროპლანს რა ესაქმების?

— რაისად ჩამოსხდეს?

— ვითამ რა გვინდაო?

სახე-ამრეზილი სოფელი ისერება ბრაზიანი ხმებით. ბანზე ვადმომდგარი ხეესურები გაოცებით უჭურეტენ ბერდის.

— ბიჭო, არწივი გამხდარხარ ბერდი!

— ჭაუხებს არწივობა შეშენის, არხოტივებო!

— ის უცხო ვინდაა, ბერდი?

ნეტავ რად მოჰყავს იგი დავითთან!

— აღუასი შიში აღარ თუ ახსოვს მოსისხლეს!

— ბერდიმ აღათი დაარღვია!

— არწივების ძმობილი არწივად მაინც გამხდარას!

აშექალი რად შეკრთა, ქალწელი?

— რა მოუსვენრობა ჩავიჯდა, ქალწავო, გულში!

— აშექალო, რა გეშართების? სახე რად გაგფითრებია?

სტუმრებს რად არ მიეგებები, ქალწავო, სტუმრებს? რად შერჩი ერთ აღვილს, რად გიკანკალებს ხელ-ფეხი?

დავითს ღონე ელევა. სთელემს დავითი.

— დავით, ბიჭო, გონს მოდი, ბერდი დაბრუნდა, ბერდი დგას შენს კარზე! დავითი ოდნავ შეიშუშნება, ბუნდოვნად ხედავს იქ მყოფთ.

— ბერდი! — ძლივს გასაგონის ხმით სთქვა მან და კელავ ბურანში გაეხვია.

— ექიმო! — ამბობს ბერდი.

შეკრთომა და ვაოცებაა ხალხის.

— ექიმო!

— ექიმო! — კაბასობენ დიაცები.

— ექიმი თავათ არხოტის ჯვარისა, ბერდი!

— ექიმს ჯვართან რა ესაქმების?

— საყვარელო ექიმო, ნახე ავადმყოფი! — ბერდიმ ამის გულისთვის სივრცე გადმოსერა, სახელმწიფოს ხარჯი მიაყენა, მოსისხლეს მოუხდა კარზე, მეტი გზა არ არის, ექიმო.

— ხატს ნუ ცოდავ ბერდი!

— არხოტის ჯვარისა გეშინოდეს, ვაეკაცო!

— აღუასი გაუფრთხილდი, ბერდი!

ბერდი იმეორებს თხოვნას. ექიმს ხანი აღარ დაუყოვნებია — ექიმური სიღინჯათ მიუახლოვდა ავადმყოფს, მაჯის ცემა გაუზომა...

სიჩუმე იყო ირგვლივ, მხოლოდ დავითის სუნთქვა ისმოდა. იღვა ექიმი, ჩაფიქრებული, ხმის ამოუღებლად.

- ექიმო! — სთქვა ბერდიმ და თვალეზში მიაშტერდა შემტრთალი...
- ოდნავ დავიგვიანეთ... — იყო ნაღვლიანი პასუხი.
- ნუ თუ?
- ჭრილობა მაინც უნდა გაისინჯოს...

ქართული
საბავშვო ჟურნალი

ტიალი დრო: საცაა დაბრუნდება აღუა, ხთის რისხვას დაატეხს თავზე, მაგრამ, ხალხო, დასტოვეთ მარტო ექიმი დავითსთან.

- ბერდი, ხვესურობას ნუ ივიწყებ!

ეჰ, არხოტივენებო, არხოტივენებო! გეყოფათ ხვესურობა, წყალმა წაიღოს მავნე ჩვევები! ექიმი უნდა არხვატს. იოდი, მალამო და ექიმი სჭირდება არხოტივენებს.

- ბიჭო, ბერდი გამოცვლილხარ!

- ბერდი აღარა ხარ, ის ბერდი!

- არხვატის ჯვარი დაგიცილებავის, შე ღმერთგამწყურალო!

— ხალხო, გამკვირებიხარ: ეხლა ბერდი თავით არის არხვატის ჯვარი: გაუკეთებს აკეთებს, სივრცეში დაფრინავს, არწივებს ეჯიბრების!

- მაინც სიფრთხილე გმართებს...

შუბლშეკრული ექიმი მოუხმობს ბერდის: ჩუმად რასმე ჩაუჩურჩულებს. ირგვლივ სირუშე და მწუხარება. ბერდის უსიამო იერი გადაჰკრავს, ცას ზომავს და დედამიწას უბრუნდება ჩაფიქრებული თვალეზით.

— ან სიკვდილი ან გამარჯვება! მფრინავისთვის სხვა სიტყვა არ არსებობს, ექიმო!

- ვერ აიტანს...

- ენახოთ...

ბერდი ბოსელში შედის, აშექალს მოუხმობს. შეხვედრა ფიციბი და შიშნულა.

- ცუდადაა საქმე, აშექალო...

- ვაყვაცო ბერდი!

- დავითი ქალაქში უნდა წავიდეს სიცოცხლისათვის!

— დავითს ქალაქში რა ესაქმების? ბერდი, ნუ, ნუ შეაშინებ აშექალს, დავითს ქალაქში რა ეშველების?

- შენც უნდა წამოხვიდე, აშექალო!

- უი, სიკვდილო, მომიტაცე აგრე!

- უწინ მე მოგიტაცებ!

ბიჭო, ბერდი, ხომ არ გადაირიე? ცოცხალს ხომ არ დამარხავ აშექალს... აქმარე ტანჯვა, შენი გულისთვის დაიტანჯა აშექალი ღღესნამდე და ეხლა გინდა უარესი დამართაო!...

— პირობა ხომ პირობაა: დავითის სიცოცხლეს დავუბრუნებ, კაცი კაცის მაგიერად და შენ... — ბერდის სიტყვა პირში გაუქრა: თვალეზი თვალეზს შეეფეთა: აშექალის თვალეზს ძველი სიმკაცრე დაბრუნებოდა, მრისხანედ უპკრეტდა ვაეს. ბერდი არ დაერიდა: ხელით შეეხო და მძლავრად მიიზიდა თავისკენ, აშექალი ათრთოლდა — შეხებამ დაათრო და ვერ გაიგო, როგორ მიუახლოვდა ვაეის სახეს, როგორ შეეხო ტუჩები ტუჩებს, და კოცნამ, სანეტარო კოცნამ შეაკრთო აშექალი, ხელიდან გასხლეტა სცადა, მაგრამ ვაეი არ უშვებდა: მაჩუქეო სიცოცხლე, — ეტყოდა ხვეწნით.

ქალი თრთოდა, შემკრთალი ადგილიდან ვერ იძვროდა, უხლოს იდგარებდა ბერდის, აფრთხილებდა, დაბრუნდებისო აღუა...

ბერდის იმედი ეძლეოდა: შუალამისას გადავიფრენო კავკასიის ქედებს — არწმუნებდა აშექალს გასაფრენად გავიცხებულლი...

ოი, ხახმატურო, უშველე აშექალს!.. რა უბედურება დაატყდა თავს... ნუმც მოსულხარ, ბერდი!

ამ ამბის დროს აღუა შინისკენ მოეჩქარებოდა, სოფლის ბოლოს შედგა იგი შემკრთალი: მიდამოს უცნაური გუფგუნი შეუჯდა...

— არხოტის ჯვარო! მოჩვენებაა!

აღუა სწრაფი ნაბიჯით მიეჩქარება შინისკენ. ბოთლებით და ბამბით სავსე გულა ჰკილია ზურგზე — წამალი მიაქვს დავითისთვის, მაგრამ... ეს ხმაური... თვითმფრინავი ნელნელა განშორდა დედამიწას, დინჯად შემოტრიალდა ჰაერში, ელნათურის წითელმა სინათლემ გაჰკვეთა სიბნელე, აღუას თვალები მხოლოდ მას შერჩა, დასაწყევლარს უგზავნიდა შწარედ.

— ღმერთო, ეს რა ჩაიძინე, ბერდი?.. — შემოესმა მას დედაკაცის ძახილი, და დაჭრილი მზეცივით გაცოფდა, სასოწარკვეთილი ხმით იკითხა სახლის კარებში შესვლისთანავე:

— დიაცო, რა ამბავიას?

გაშტერებული დედაკაცი ღამის სიბნელეს მისჩერებოდა და თავისთვის ბუტბუტებდა კვლავ:

— ბერდი, დაგშალა მიწამ! ეს რა ხქენი, შე სამიწვე?

— ქალო, შე ღმერთგამწყრალო, ვინ რა ქნა?

— ფალასი დაგხურეს თავზე, ფალასი, რად არ მოხკედები!

— იქნება აშექალი მოიტაცეს!

— უფრო მეტი...

— იქნება დავითს მოუსპეს სიცოცხლე!

— ორივე... ჩვენაც, ყველას, დაიწყევლან, ხახმატურმა აუტებას ქექა-ქუხილი! გმირო კობალავ! გააყოლე ლაბტი, ლალო, ლაბტიანო, ნუმც გაახარებ ბერდის, ნუმც!..

— სად არიან, შე წყეულო? მითხარი ჰმა ამოიღე!

— იქ!.. — გულნატყენმა დედაკაცმა აღუას უკუნეთ სივრცეში მიუთითა ცისკენ.

ლალად გუფუნებდა რკინის არწივი. ჭიუხების თავზე გადაიარა, და აღუამ ბრაზიანი მხერვა გააყოლა წითელ სინათლეს. დაეცა იგი ზღურბლზე და სიმწარით მიწა დახრა კბილით, თანაც ამბობდა:

— დავითგრები... დავითგრები თქვენი სისხლით, სად წამიხვალთ, სად?

•
•

ბერდის შურით გახელეზულ აღუას მეხვეწურნი შეუყარნა მეუღლემ — უფროსი მამაკაცები შოაგროვა და სთხოვეს: ნუ წახვალო ქალაქს!

— ქალაქ ჯადოს ღვავის!

— ქალაქში კაცს არ მაიხვლების!

— ქალაქში კაცის მამკლავი ციხეს ვერ ასცდების...

თავათაც ბევრი იფიქრა ამის შესახებ ადულამ და ერთმა რამემ შეაკრთო იგი: ვაი თუ შემოაკედეს ადუას ბერდი ქალაქში და... ადულამ დააბნალებენ... ციხე! ეს იყო საზარელი, წადილის დამთრუგველი.

ის ზამთარი ჩამოილია. ადუას სევდა გაუარესდა: ჯაერი მოსვენებას არ აღეცხდა: მოტეხა, გააყვითლა, გაამარტოვა. მართალია, ვაზაფხულმა ოდნავ შეანელა სევდა, მაგრამ ადუას შეტის ატანა აღარ შეეძლო და იგი ქალაქისკენ გაემართა.

ადუას გადაწყვეტილი ჰქონდა, მოეკლა ბერდი და აშექალიც თან მიეყოლებინა იმ შემთხვევაში, თუ იგი მამის წადილს არ შეასრულებდა, ხოლო დავითისთვის თავის სიცოცხლეში ხმა არ გაეცა, თანაც შოეშორებინა საჯაროდ...

და, აი, ერთ დილას ქალაქის ქუჩებს აპყვა ჯორიანი ხევსური. მტვერში ამოსვრილიყო, სახეზე აქა-იქ ლურჯი ლაქები აჩნდა, ხანჯლის ქარქაში დამტვროდა. მარცხენა ხელი სტკივოდა, — მოძრაობას არ ემორჩილებოდა, ოდნავ კოკლობდა. შემკრთალი ჯორი უკან-უკან იხევდა, დაფეთებული თვალებით აშტრდებოდა პატრონს. მათ ირგვლივ გადაიქიმა უცნობი ქუჩები, აირია უჩვეულოდ ჩაქმული ხალხი, მანქანები, ველოსიპედები, ტრამვაები და ხმაური, უცნაური ხმაური გაურკვეველ არსებათა, გაუგებარი ბგერებით.

ფრთხებოდა ჯორი, შედგებოდა ხევსური, შეუტურთხებდა, სახრეს გაარტყამდა და თავათაც შემკრთალი წინ გაუძღვებოდა. კაცი ვერ მიხვდებოდა, რომელი უფრო ფრთხებოდა: ჯორი თუ პატრონი. ილანდებოდა პატრონი. მაღლიმალ ხანჯალზე მიუდიოდა ხელი, მაგრამ ირგვლივ მილიცია, იქვე ციხე და ქალაქელების დამცინავე, ლევა სახეები გაბრწყინებული თვალებით. როგორც იყო მიადწია ერთ სადგომთან, ეუცხოვა: „ესეც გამაცვლილას“, — ჩაიფიქრა თავისთვის და მასპინძელი იკითხა. სქელი კაცი გამოგორდა პირველ სართულიდან, გაოცდა ხევსური: „ნუ თუ ეს ისიას!“

— დასწყველოს არხოტის ჯვარმა, ყველა გამაცვლილხართ, ყველა!

— რკინამ შეგეკვამა, ადუაჯან, რკინამ...

— მართლა რკინას შეუტყამიხართ, სიმონ! ქუჩაში გავლაიც აღარ შეიძლება...

— ეა, ეგ თაფლი და შაქარია, შენ სხვა რამე სთქვი! ყველაფერი ჩამომართვეს, ერთი პატარა ოთახილა შემჩრა... ის დუქნები, ეს ბაკი, სულ წაიღეს, სულ...

ადუა სიტყვით იცოდებდა სიმონას, გულში კი... რამდენჯერ მოუტყუებია „ჩოთქში ამ მუცელას“...

ნაცნობობა ნაცნობობაა — ერთი დახმარებაც სჭირდება ადუას სიმონასაგან: ბერდის მისამართის გაგება და ნახვა...

— ეა, ხათაა! შენ ისეთი გაწიწმადებული ხარ, ძმაოჯან, რომა შეხედვით შაშინებ, ხათაბალა რამეს ვადამკიდებ. ჯანი აღარა მაქ, აღარ!

არა, სიმონჯან, როგორ შეიძლება, ადუას მხოლოდ შეილის ნახვა უნდა, მეტი არაფერი.

— ქალი მოუტაცნია, ერთიც ენახოთ ხანჯალი იძრო, ხომ გული გამისქდა! ეგაც არ იყოს, ის მთავრობის სამსახურშია. ეა, ორივეს ციხეში გვიკრამენ თავს!

ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ სიმონამ ერთი დახმარება აღმოუჩინა ადუ-
ას: მეზობლის ბიჭი მოიხმო, სომხურად რალაცა უთხრა, ადუას ჩაბუტუნედი, ეო-
ზოდან ორი კილო აუწონა და გზის მაჩვენებლად გააყოლა „ჩაბუტუნედი, ეო-
ზოდან“...



აშექალი ეზოში გამოსულიყო, — პატარა ბავშვს ართობდა, თანაც მალლა
ციკენ უწვდიდა თითს: თბილისის თავზე თვითმფრინავი დანავარდობდა. მაგ-
რამ ბავშვის თვალებს ვერ მოეძებნა იგი, — ამაღაც სწუხდა, კიოდა, ბუზლუ-
ნობდა, ფუნთუშა ხელებს უაზროდ იწნევდა პაერში. უცბად შეერთა აშექალი
და იმავე წუთს ფეხზე წამოდგა: მან თვალი მოჰკრა ეზოში შემოსულ ადუას
და კანკალმა აიტანა — უნდოდა შინისკენ გაქცეულიყო, ან იქვე სადმე მიმალუ-
ლიყო, მაგრამ გვიან იყო: ადუასთვის მეზობელ ქალს დაენახებინა აშექალი და
ეხლა იგი პირდაპირ მისკენ მიდიოდა.

თავდახრილი აშექალი ერთ ადგილზე გახევდა. ეს კია, ბავშვი მაგრა ჩაიკ-
რა გულში — მომიკლავსო, შეეშინდა.

ადუას სახე შეშლოდა — კუნთები სიბრაზით უკრთოდნენ, ნერწყვი ჰქონდა
გამწრალი და გაცეცხლებულ თვალებს არ აცილებდა აშექალს. ხანჯლის ტარი
მაგრა ეჭირა ხელში.

ბავშვმა ვერ აიტანა დედის მკერდზე ჩახუტება, დაიჰყვილა, თავის განთა-
ვისუფლება სცადა, თეთრი ხელები მოუცაცუნა დედას სახეზე, შემოტრიალდა
და ადუას მიაშტერდა, თითქოს იმანაც შეამჩნიაო გამწარება, დასკვივლა. გაუ-
ცინა, ხელები გაუწოდა და საამოდ აღულუნდა. ადუა თანდათან უახლოვდებო-
და, მაგრამ ნაბიჯი რადმე შეანელა. ბავშვი უფრო აჰყვივდა, უფრო მალლა
გაიცინა, ადუასკენ გაიწა, უმანკო თვალები ჰქონდა, საამოდ მომზირალი, სახე
ფუნთუშა, სიცილი ტკბილი. თეთრ ტანისამოსში იყო გამოწყობილი, ახლად და-
ბანილი ოკროსფერი ხუჭუჭი თმა ოდნავ ბწყრილებდა მზის სხივებზე, იგი ერ-
თიორად ნაზი მოჩანდა, ფურ-ჯიხვივით დამფრთხალი დედის ხელში.

აი, მიუახლოვდა მათ ადუა, სამი ნაბიჯი კიდევ და... ვინ იცის, რა მოხდე-
ბა. ერთოდა, კანკალი სიცივის სუსტი მზისქვეშ, მაგრამ... ადუა უცნაურდება:
ბავშვს თვალებს ვერ აცილებს, ნელნელად ეშვება ხელი ხანჯლის ტარს. აი,
საცაა ხელს გაუწვდის, მაგრამ უცბად ბერდი გაახსენდება: ბავშვი ბერდის ჩა-
მოგავს, ბერდის ჯავრი კი... ამ დროს ბავშვი უფრო მალლა დაიჰყვივლებს, ხე-
ლებს გაუწვდის, თავისკენ თუ უხმობსო ადუას. თანაც აშექალის კენესა შემო-
ესმა: ნუ მომიკლავო ყმაწვილს.

ადუა იბნევა, უცბად ბავშვს მისწვდება, წუთით თვალებში ჩააშტერდება
და გულში ჩაიკრავს... ყრუდ, გულის სიღრმეში აღულუნდება...

აშექალი მიუალოვრეს, ჰკოცნის. ირგვლივ სიჩუმე! თითქოს ადუასი ეხათ-
რებათო. თავათ ადუა არღვევს სიწყნარეს:

— ის სად ას, ის?

აშექალი მიუხვდება კითხვას, ნელნელა ასწევს ათრთოლებულ ხელს და
ციკენ მიუთითებს:

ადუა მწყრალად შეაყოლებს თვალებს: მათ მალლა თვითმფრინავი ტრია-
ლებს, გამალებული ჰაერს ეჯახება, ჰკვეთს და გრიალებს...

ეჰ... რალა ჰქნას ადუამ, როგორ შესწვდას ჰაერში? ე. კ. მ. მ. მ. მ. მ.

— სირცხვილი!.. სირცხვილი!... სირცხვილი!.. — ეძახის მას გარდაცემული სირცხვილი და ცეცხლის ალში აყენებს, მაგრამ შეილიშვილი... რა საამოა მისი ალერსი. ხე-
ლების ცაცუნს ადუას სახეზე და ოდნავი შემკრთალობა, მისი მზერა, ტკბილი
და უმანკო...

ერთი ამბის გაგებაც სჭირდება ადუას და მერე წავა შორს, თავის ხევსუ-
რეთში, სადაც თავისუფლად შეიძლება ჯორზე ჯდომა, ბილიკებზე სიარული,
ხანჯლის ქნევა და წყევლა-მუჭარა, სადაც არ არის არც ციხეში ჩაჯდომის,
არც რკინის ცხოველების შიში...

— იქნება დავითის ნახვა გინდა? — მოხატრებით კითხვობს აშექალი და
შინისკენ გარბის, წუთიც და იგი ხელიხელ ჩაკიდებული მოდის ვიღაც ვაჟთან,
სამხედრო ტანისამოსი რომ უმშვენებს კულასავით ტანს...

— დავით!.. — უნებურად იძახის ადუა.

დიახ, იგი დავითია — მოხალისე წითელარმიელი.

დაიწყველეთ ქალ-ვაჟებო, დაიწყველეთ. უთქვენოდ რა გააძლებინებს
ადუას!..

კონსტანტინე გამსახურდია

ბ ე ლ ა დ ი¹

ტრილოგია

წიგნი პირველი

16. სიტყვა ჰმასაც ჰბამს...

მარტის შუე ატფობდა ძველ სასაფლოოს, გაზაფხულის სუნთქვა შესდგო-
მოდა ვარდის ბუჩქებს მივიწყებულ ლოდების კიდეებში ამოსულთ. ნეკერი
შესწითლებოდა აჭა-იქ ლერწებს. ცეცხლისფრად ლივლივებდნენ მანულის
კლერტოები. კიდეე ცოტა სიტფო და ნერგების შტოებზე თავს ამოჰყოფდნენ
სატირის ყურებივით კიდეწვეტიანი ფოთლები.

ყველგან ისმოდა გაზაფხულის ჩქამი, ღრუბლის სითეთრეში, ხის ქერქის
სილურჯეში, ციხის ბანებზე ამოსულ ჩირგვებში. ყველგან, ყველგან იყო გაზა-
ფხული, მაგრამ არსად სჩანდა.

კვირტები იცდიდნენ, ყორების, მესრების, ვალანების კიდეებთან, საკმა-
რისი იყო ცოცხა, სულ ცოტა სიტფო და ფოთლები გამოსჭვივებოდნენ ბუჩ-
ქებიდან, შტოებიდან, ნარტოალებიდან და გაულიმებდა ქვეყანას გაზაფხული.
მაგრამ ჯერ არა. ჯერ კიდეე ყველას ეშინოდა მატყუარა მარტის სუსხისა.

ამ სასაფლოადან მოსჩანდა ცარცისფერი კავკასიონი, საესებით ვალურ-
ჯებულ ცაზე.

მოხუცებული დარაჯი ჰადრის ქვეშ აქუჩებდა შარშანდელ ფოთლებს, ას-
ლების მოლოდინში სასაფლოაზედაც არ აყენებდნენ ძველებს. საფლავის ლოდ-
ზე ამოჭრილი იყო:

„პოლკოვნიკ კნიაზ ამილახოროვ-ჩუაე“

ამ ლოდს ჭირისუფლებივით ვარს მოსხდომოდნენ: სოსო, პეტა, ვაგა, პრი-
კუნა, კურკა და ძალღის მწერი, ვეზირიანობას თამაშობდნენ.

ლოდი წინებულად იყო პოლირებული, ამიტომაც ამოერჩიით ყმაწვილებს
ერეენის დაპყრობაში მონაწილე თავადის სამარხი. გრანიტი სლიპი იყო და
კრიალა, ჯოხის ნაბობები საუცხოვოდ სხდებოდნენ მასზედ.

შესაძლოა, თქვენთავანს რომელიმეს არც ეთამაშნოს ვეზირიანობა ოდეს-
მე. სრულად მარტივი, მაგრამ ფრიად ჰაზარტული თამაშია იგი, და ჩემმა
ნათხრობამ თაეი თუ არ შეგაწყინათ, თქვენ დაინახავთ, რამდენი ამბავი მოჰ-
ყვება მას, ჯერ კიდეე ამ წიგნში.

აიღებენ ნეკის სისხო წნელს, გოჯის ოდენას მოსკრიან, თანაბარ ნაწილად გააპობენ მერმე ამ რიკს.

შეატყუბებენ და კამათელივით ზეაგდებენ ორივეს. ფრეკტურა: განონის ძალით რიკის ნაჭრები პირქვე დასამზობად მოისწრაფიან მძრსკ, მსგვამ როგორც ყველაფერში, აქაც ხელმარჯვეობაა საჭირო, ხელმარჯვეობა და ოსტატობა.

ხელმარჯვეობა ვარჯიშობით უნდა მოიპოვოს კაცმა, ხოლო ოსტატობა? ოსტატობის გამო, რა მოგახსენოთ..

პო...

თუ ორივე ნაპობი გულაღმა დასვა მოთამაშემ, მაშინ იგი ვახდება ბრძანებელი. ხოლო უკეთუ ნაპობთაგანი პირქვე დაემხო ერთი, მაშინ ამის ჩამდენი „მორჩილი“ ვახდება. მას უბრძანებენ და ყოველივე უნდა შეასრულოს. ყველაზე ადრე ძაღლის მწერიმ ააგლო რიკები.

ცალი პირქვე დაემხო, ცალიც პირაღმა.

ახლა სოსომ ააგლო, ორივე გულაღმა დასვა.

სოსო დაჯდა „მბრძანებელად“.

სამართალი გააჩინა.

ძაღლის მწერი ოთურმის წესით გადაახტესო გაგა არაბულს.

ცალი მკლავი მუხლის თავზე დაიყრდნო გაგამ, ოდნავ მოიდრიკა წელში. წამოცუნცულდა ძაღლის მწერი. მხრებზე შეატა, მაგრამ ნახტომი ვერ მოუვიდა მარჯვე და ზედ შერჩა არაბულს.

იჯლანებოდა, თავში უშენდა წელში მოდრეკილს.

გაგას თავის ბრუალი დაუტოვა ყვევილმა, ტოლები გაფრთხილებული წყავდა: კრივისა და ბლაძუნის დროს სადაც გინდათ იქ დამკარით, თავში ნყო. ეს იყოდა ვაშალომიძემ, მაინც დაუშინა კეფაზე.

გაგა, როგორც ყოველი ძაღოსანი, ამტანი იყო. დიდხანს უთმინა ძაღლის მწერს, მერმე ისე, როგორც ოჩანი ცხენი დაიბლერტება ხოლმე უსიამო უნაგირის მოსაშორებლად, შეინჯღრა და მიწაზე დასცა ვაშალომიძე.

ძაღლის მწერი აჯიჯღინდა, გაგა გალანძლა, მერმე დაშოშმინდა და გვერდით მოუჯდა მასვე.

ახლა არაბულმა აისროლა რიკები.

ერთი პირქვე დაემხო, მეორე პირაღმა.

„მბრძანებელმა“ მიუსაჯა: ხევსურული ლექსი გვეთხრასო გაგა არაბულმა ერთი.

გაგა შეკოქმანდა, ბიჭები ჩააცვიდნენ და მერმე ის იყო დაიწყო:

ცაი-ნამსაო,
ნამი-მთასაო,
მთაი-თიეასაო,
თიეაი-ფურსაო,
ქარი-ბზესაო,
ბუს კვერცხები-აშლოყინესაო.

აშლოყინესაო?

„ვაჰა, ჰა...“ ასტეხეს ბიჭებმა ხარხარი.

სიტყვა უცნაურია, ბგერების შერჩევითაც ზოგი, ხანდახან სიტყვა არც სახიანია, არც აზრიანი, არც სარწმუნო და არც არსებული, მაინც გაგვინარჩებს, გვაწყენინებს, ან გაგვაციინებს.

მართლაც და რას არ ჰგავს სიტყვა? ყველა საგანს ამ ხმების კომბინაციებით ვხვდებით, რასაც კი თავით მისწვდება ხოლმე.

სიტყვა ქეიშასა ჰგავს ხანდახან, აიღებ და თითებს შორის შემოგადნება. ხან მიწასა ჰგავს სიტყვა, ანელის ორნატგავლებულს*.

თავპირველად მქისია, უსახო და უფერული, მაგრამ მის წიაღში ათასი ფერი სთვლემს და ათასი სახე რიალებს.

ხანაც ელვასა ჰგავს სიტყვა.

მთებში თუ დაგსწრებით ელვათა ტეხა. მიღიხარ, მიფათურობ ბილიკზე, ასე გგონია არც მთაა სადმე, არც ქარაფი, არც მწვერვალები, ცა და ხმელეთი სიბნელეში ადღებებილანო.

ღრუბლების თავანზე გაჰკრავენ ტალკეებს, ცა გამოჩნდება აღმოდებული და გადმოდგება ბროლებრ ნაკვეთ მყინვარწვერებზე, ლანდის სისწრაფით თვალმოკრული ერისიონი.

სიტყვა ზღვასა ჰგავს და წყლის ნამცერევსაც. წვეთავს და თინქლავს. წვეთავს და თინქლავს, სულ სათითოდ ეცემა კლდეზე.

როშკას მწვერვალის ფერხითით თუ ოდესმე გამოგივლია, იქ თუ გინახავს წყლის წვეთისაგან დაღწილი ქარაფები, რუხი კლდეები, დევების ნაპარტახალივით დაფშენილი ირგვლივ ხრამებსა და ღარტაფებში გადაცვნილი, ასე იტყობი უთუოდ: ქაოსს მიბრუნებიაო კვლავ, მწვერვალების, მტკიცე ბექთარი. (ასეთია ხანდახან სიტყვა, როცა იგი უკავშიროდ პურია ხოლმე ლექსიკონებში).

ზოგი სიტყვა სპეტაკია და პატოსანი როგორც ლოპოტის მარმარილო, მოქანდაკის სატეხის მონატრული, ნებისდაწყოლი.

ზოგი რომანტიულია და ცისფერი, როგორც თეძამის ქვა, ზოგი გელათის გრანიტივით ყრუა და უსახო, ზოგსაც ისეთი ხატოვანება დაყოლია გაჩენის დღიდან, როგორც ბოლნისის ტუფს ატყვია ხოლმე.

ნაზი, ნაზი ძარღვები, ბეწვზე უფრო წვრილი შტრიხები. ხან ველის პირის სწორი ხაზები, ხანაც მღელვარე ტეხილები, მობიბინე ჯეჯილებისა, ზღვისა და ღრუბლების მოხატულობაში რომ მოუცია ბუნებას.

სწორედ ასეთი.

ზოგი ლალივით გამსქვირვალეა, ზოგიც ეშმას ქვასავით მრუმე და გაბიდნული, ზოგი კუშტია და ფშუტე, როგორც ის თიხა-ფიქალი, რომლითაც ქოხებს იშენებენ ხოლმე ჩვენი ელი მეცხვარეები.

ზოგიც ჯიშმაგარია და მტკიცე როგორც ის ალისფერი ქვა, რომელიც წულრულაშენის აქურიან ჩუქურთმებისთვის უხმარია ამ ტაძრის ოსტატს.

ზოგიც... ზოგიც კაეის ნამსხვრევივით გლისპია ვარგენულად სლიბი და ცივი, მაგრამ ხანძრებით ორსულია იგიც და მასშიაც ცეცხლი სთვლემს გაუმხელელი:

ასეთი სიტყვა უცდის ხოლმე თავით დამკვესავს.

და ასე.

როცა ხარზარი შესწყდა, სიტყვა „აშლოყინე“

* ორნატი — პირველი ხელი.



აიფორიაქა ყმაწვილების ფანტაზია.

„ვის დაეარქვათ აშლოყინე?“

იკითხა პრაყუნამ.

„გლორჯიმეს?“.

„არა“.

„კაპანაძეს?“

„არა“.

„კეცხოველს?“

„არა და არა“

სოსომ მიმოხედა სწორებში.

„ჩვენ ყველასა გვაქვს თითო“.

ამბობს პრაყუნა.

„ვაშლომომეს ერთის ნაცვლად, ორი“.

ხითხითებს ჟურკა.

„მაშ ვის აკლია სახელი?“ იჯღანება ძაღლის მწერი, ენის წვეტზე უტრია-
ლებს „აშლოყინე“.

„იციტ ბიჭებო ვის დაეარქვათ?“.

„ვის?“

„ვის?“

„ვის?“

დაიხრიალეს ბიჭებმა.

„ღაეროვს დაეარქვათ „აშლოყინე“.

ამბობს სოსო და იცინის.

„ვაშა“.

შეჰყვირეს კვიმატებმა.

„ზედგამოჭრილია“.

ამბობს არაბული.

„სწორია“.

კვერი დაუკრა ძაღლის მწერმა.

გადასწყდა: ღაეროვს დარქმეოდა აშლოყინე, და სთქვეს: არავის გაემხილა
თუ ვინ შეარქვა ეს სახელი მას.

„იციტ ბიჭებო, სთქვა პრაყუნამ, გუშინ „სლოფო პოლკოვ იგოროვე“ აუხ-
სნია ღაეროვს. ჩვეულებისამებრ საგანს გადასცდენია და ასეთი რამეც მოურო-
შავს: მე ბევრი მივლიაო ამ ქვეყნად, ბევრიც მინახავსო, მაგრამ ორი რამ არ-
სად შემხედვრიაო, რქიანი ვირი და კქვიანი ქართველი“.

ესა სთქვა პრაყუნამ და რიკები ჯერისამებრ გავას გადასცა.

არაბულმა ისეე ააგდო რიკები.

ერთი პირალმა დასვა, მეორე პირქვე.

გაგა არაბულმა კოკარდიანი ქუდი მოპაროსო როგორმე ღაეროვს, სახე-
დარს დაახუროს და სკოლასთან ჩამოატაროსო.

ასე განსაჯა მზრძანებელმა.

მე აქ არ გამოუდგები თბრობას იმისას, თუ რამდენს ეცადა გაგა არაბუ-
ლი ღაეროვის კოკარდიანი, ლურჯი ქუდი როგორმე ჩაეგდო ხელში. იმ ღამეს
თოვლი მოვიდა, სამი დღე სთოვდა ზედიზედ.

ნაავადმყოფთა ლავროვს მომეტებულად ეწინააღმდეგებოდა ვაცივებისა, სასწავლებელშიაც არ იშორებდა ქუდს, საპირფარეოშიაც ქუდიანად დადიოდა. შემოვარდებოდა კლასში, თურნალს გვერდით დაიდგა, კათედრაზე ვაცივების მიწურულში, როგორც კი მოათავებდა შავრახმულ ქადაგებას, იტყობოდა წერას და მოწაფეების ლანძვას, დერეფანში გავარდებოდა მყისვე.

17. აზლოყინი

სუფსარქის მართლაც თან მოჰყვა საშინელი ქარი. სომხეთის ზეგანზე ადგა ანტიციკლონი. ბეზობდალი ვადმოლაბა, ბერდუჯის ხეობაში შემოიჭრა, ორფეს ციხეს ეძგერა, ქარაფებიდან ზევეები დასძრა, ორბეთის გოდოლის ნანგრევებს მიახვეტა, ბოლნისს გადაუარა, წულღულაშენის ტაძარს შეუტია, თავზე ნაშქერი გადააყარა დმანისს, მაშავერას ხეობაში გატრუნულ მკვდარ ქალაქს, ლორეს ციხე შებღერტა და მხედარ-დაკარგული ცხენით გაქენდა ტაშირის ხეობაში.

ტახების ჯოგები დააფრთხო ქციის ნაპირზე, სამხრეთისაკენ მიმფრინავ სარსარაკების ქარავენები გაფანტა, კალაგართან დაბორილდა, დაბორილდა, და ორ ფლანგად გაიყო, ერთი ფოკანისა და კლდეკარისაკენ გამოუდგა მშელის ჯოგს, თრიალეთს ფარი მიამსხვრია, სამხრეთისაკენ შებრუნდა, ბირთვის ისეთის ძალით ეძგერა, კინალამ ის კედლებიც დაანგრია რაც თემურ-ლენგს თავის დროზე გადარჩენია, უმარავი ყორნები წამოჰყარა ნანგრევებიდან, მელნის ლაქებივით შეაქცია ცას. კუმურღო გადალაბა, თმოგვს ეძგერა, მანდ შეყუყუელი არწივები დააფრთხო, ზეგანზე გადაყირავდა და ვარძიისაკენ გაქანდა ქშენით. ცალი ფლანგით სამშვილდეს შეუტია, ნარიყალას ეკვეთა, ისანში ქობაზები მიღწეა, ავქალაში ტელეგრაფის მათეულები დასწყვიტა და ღრიალით მიჰყვა მტკვრის ხეობას აღმა. ჯვარის მონასტერს მიეჭრა, ერთი მცხეთის ტაძარს შოუტლასუნა გუმბათზე ფრთა (მოსიყვარულე მხედარი დაჰკრავს ხოლმე მთარახს თავის ნებიერ ულავს). აქაც ორად გაიყო, ერთმა ღართის კარი გადაიარა, ხერკთან წყვილი ირემი უჟუჟქცია. მეორე ქსნის ციხეს ეძგერა გულდაფულ, გორიჯერის ტყეში ორი მუხა მიღწეა, გორისციხეს ეკვეთა გრიალით, შავრად შებღერტა საუკუნო ღუმლის უბეში მთელმარე. აქ ტანაჯორივით დატრიალდა, ერთი ტაშისკარისაკენ მიჰყვა ხეობას, მეორემ გორისციხის უბანში ყავრები გადააძრო ქობებს და ისე ააფრიალა ჰაერში, ორბს შურთხი გაებღვენას თითქოს.

მტკვრის ხიდზე მიმავალ ლავროვს კოკარდიანი ქუდი გადააძრო, დააბზრიალა, დააბზრიალა და მდინარეში გადაუძაბა, ხოლო თავათ, ქუშიანი ცხენით აქშენილი შევარდა ატენის ხეობაში ქარი.

კურკა და პრაკუნა უკან მიჰყვებოდნენ ლავროვს ამ დროს. კვირა დღე იყო, ისინიც წირვავზე მიდიოდნენ. ლავროვმა საფეთქლებთან აბურძნულ თმებში იტაცა ხელი, ხოლო ყმაწვილები იქედნურად იკლანებოდნენ, ხედავდნენ თუ როგორ გარბოდა თავმოტვლებილი ლავროვი შინისაკენ.

მეორე დღეს მთელმა სკოლამ გაიგო კოკარდიანი ქუდის ვატაცების ამბავი. „ხომ დამრჩი ხაზამშრალი, აბლა რა ჩემ ფეხებს მოაპარე ლავროვს?“. ქილიკობს ვაშალომიძე, ებღლაძენება არაბულს.



გაგამ ბლიკვი გაპკრა გაიარეო, ეუბნება.

„წადი შე წარმართო შენა!..“

„დამსგავსებხარ ნახევარ ქათამს, გაიარე თორე... ძაღლის მწერა... ეს უთხრა არაბულმა, პანლური უთავაზა ვაშალომიძეს.

„დედას გიტორებ შე წარმართო შენა!..“

დაექაღნა ვაშალომიძე და გაექცა არაბულის გრძელ მკლავებს.

მეორე დღეს ისევ დაიწყო თოვა, სწორედ ამ დღეს იპოვნა არაბულმა ლავროვი ქული.

ამ „სასწაულს“ ზოგი „წარმართი“ ზევსურის გრძნეულებას მიაწერდა, ზოგიც სუფსარქისის ძაღლას.

არსებითად ეს ასე მოხდა: დილა ადრიან სკოლაში მიდიოდა არაბული. თოვლის ფიფქი ისე მოცქრიალებდა პაერში, ატმისა და ვაშლის ყვავილების ბრეს აბნევესო ნიავეი.

მწითურ მენახშირეს ორი სახედარი დაეტვირთა ნამორებით, საწვავად მიჰქონდა ქალაქს გარედ. ვირები დაეფიფქა თოვლს, ფიფქით გაქარებოდა უღვაშები და წარბები მენახშირეს.

სოსოს ნაამბობი გაახსენდა გავას, ავურისფერი ჩოხისა და ბისტგადაკრული თვალის მეოხებით შეიციო იგი.

ეს რა მოგაქვსო ძია კაცო?

„მუხის ნამორები“.

„ნამორებს ვხედავ, მაგრამ ე ქული ვინ მოგცა?“

გახარებულმა გაგამ ხელში აიღო, კოკარდიანი ქული ოფლისაგან კიდეებთან საესებით გაზინთული.

„რაისთვი იკითხავ?“

„ჩვენი მასწავლებლის ქული ას“.

„მეტივეებს უპოვნიათ მტკვარჩი“.

„მაჩუქე რა, ძია კაცო ე ქული“.

„მიჩუქებია“.

გაგა ქულის წაღებას აპირებდა და სწორედ ამ დროს ჩამორჩა ქედანისფერი სახედარი, ზედ შუა ქულაზე შესდგა. მენახშირე წამოეწია, სახრე გადაუჭირა.

გაგამ მოისაზრა: ქამარი შეიხსნა, ყურებ შორის დააკრა კოკარდიანი ქული ქედანისფერ სახედარს.

მენახშირე იცინოდა, ვერ კი გაეგო რას ნიშნავდა ეს ყოველივე?

საუბარში გაერთინენ და მიჰყენენ გზას. ნამორებით დატვირთული სახედრები ძმურად და წყვილად მიჩაქჩაქებდნენ, ახალი თოვლი ქრიალებდა ფლოქვებს ქვეშ.

ტროტუარზე გამეღელნი შესდგებოდნენ, ერთს მიხედავდნენ ქედანისფერ სახედარს და მის უცნაურ თავსაბურავს. გაიღიმებოდნენ, განაგრძობდნენ გზას.

გაგა სცდილობდა საუბარით შეექცია მენახშირე როგორმე, მოშორებით უკან მიჰყოლოდნენ ვირებს. ხან გამეღელებს უთვალთვალებდა თანაც, ხან კოკარდოსან ყურებპანტურას.

საღმთვო სჯულის მასწავლებელს უძილობა სჭირდა იშვისის გამო, ამიტომაც ყველაზე ადრე მოდიოდა სკოლაში. გაგამ შორიდანვე შეიციო იგი. სახედრებმა გზა მისცეს წინ შემომხედარს.

ბერი შესდგა, შეხედა, გაიღიმა, ისევ შესდგა და თვალი გაუღო ქედანისფერ სახედარს. მანაც იცოდა ლაეროვის ქულის დაკარგვის ამბავი, რადგან ლაეროვი კურდღლის ტყავისას ატარებდა ბოლოხანს. სადმე უნდა ყველგან მას წაეღებელს არ უყვარდა ლაეროვი, რადგან თავათ უმიწებდა ჩვეულების გაკვეთილებს.

კიდევ მიხედა გრძელყურას, გაეცინა, წვერულვაშზე ჩამოისვა ხელი, რათა სიცილი მიეჩქმალა როგორმე (კოლეგიალობის ეტიკეტი მოითხოვდა, ასე ექნა, რადგან სკოლის წინ თავმოყრილი მოწაფეებიც ხარხარობდნენ, „თოქში, კაკარდიანო თოქშიო“, ყვიროდნენ).

ბერმა ცალკეად შერისხა ყმაწვილები, სკოლის ეზოში შერეკა და თავათაც უკან გაჰყუა ისე, როგორც კეთილი მწყემსი ბაქში შელალავს ხოლმე ცხვრებს და კარს გამოიგდებს ჩელტისას.

„მამა შენი სადღაა?“

შეეკითხა მენახშირე გაგას.

გაგას გაუკვირდა საიდან იცნობსო: „გუდამაყრელი მენახშირე“ მამას?!

„მამაი, მამაი“ (გაგას ენა დაებრკო, არ იცოდა რა ეპასუხნა) არ ვიცი სად ას: ზოგ ამბობს ყაჩაღად ასაო გასული. ზოგიც“...

მენახშირემ გაგას მკლავში წაავლო ხელი. ახლოს მისწია, ისევ მიანათა თავისი მშვენიერი, თეთრი კბილები, სიტყვა ბაგეზე მოადგა, დადუმდა, კიდევ ჩახედა თვალბში ვაქს და ეუბნება:

„კიდევ რას ამბობენ, ბალოო?“

„ზოგი იმას ამბობს დუშეთიჩაო მამაი“

„ეინ თქო, ბალოო?“

„მწყემსებ ამბობენ“.

„პაპა უფლისაი რაისა ამბობს?“

„პაპა უფლისაი არას მეუბნების“.

„სად არის ახლა უფლისაი, ბალოო?“.

„ცხვორჩია“.

„გორჩი ხომ არ აპირებს ჩამოსვლას?“

„მავა საე დღეს ხვალ“.

„ეინა თქო ეგე, ბალოო?“

„სესია მებაღემან“.

სახედარები უკვე ძლიერ დაწინაურებულნიყვნენ.

„მშვიდობით ძია კაცო“.

მიამახა გაგამ.

„მშვიდობა მაგცეს ლომისაის მადღმა“.

მენახშირემ ისევ მკლავში წაავლო ხელი ყმაწვილს. რალაც კინკები ამოილო უბიდან, დიდხანს ეძება, ბოლოს ერთადერთი ოქრო გამოილო ათასგვარად შეფუთული, და მარჯვენაში ჩაუღო გაგას. ეუბნება:

„ესეც შენა“.

გაგამ იუარა, ჩვეული არ იყო უცხოთავან ფულის მიღებას, მამლის ბიბილოსავით გაუხდა ყურები. ხელში შეაჩეჩა მენახშირეს ოქრო.

„ეს ფული მე შემართა განა? უფლოსაიმ მასესხა შარშანითი იქნო, ახლა ამის მეტი არა მამადია რა, გუშინ ჯამაგირი ავიღე, დანარჩენს კიდევ მაგცემ წვრილად“.

გაქონების
განხილვისათვის



მთელს სკოლას მოსდებოდა ახალი ამბავი:

ლავეროვის ქუდი გამოუჩნებრეკიათ, სახედრისათვის დაუხურავთ, სკოლის კართან ჩაუტარებიათო.

მასწავლებლებიც ჩუმჩუმად იცინოდნენ: ლავეროვმა ენერგიულად უარჰყო ეს ხმები, მე დიდხანს ვიდექი ხიდზე, ვხედავდი როგორ წაიღო ჩემი ქუდი წყალმა. სხვა ქუდი იქნებოდაო ეს. ალბათ, ტფილისიდან ჩამოატანინებდნენ მოწაფეები სხვა ქუდს, სკოლის ადმინისტრაციის გასაბამპულეზლად მოაწყობდნენო ამას.

ლავეროვი ცდილობდა პოლიტიკური საფანელი გამოეძებნა ამ საქმისათვის. „ტუზემცების“ ბუნტობენ, სკოლებშიაც დარტყინავსო ახალი თაობა.

მღელვარებისა და ბრახის დასაოკებლად საკმარისი ტაქტიკაც გააჩნდა მას. გაკვეთილის დროს ლავეროვი ჩვეულებრივად მერხებს შორის დადიოდა, ცალი თვალი მერხის თახჩებისაკენ ეჭირა, რათა ჭავჭავაძის, აკაკის და ყაზბეგის ჩუმად კითხვისას დაეჭირა მოწაფეები როგორმე.

იმ დღეს კი კათედრიდან გადმომდგარი ლაღადებდა, არც პათოსში შესვლისას დაურღვევია საპატიო მანძილი, დერეფანის პოეზიას უხსნიდა შეგირდებს. მერმე ერთბაშად „ტუზემცების“ „ლატაკ ენას“ გადასწვდა, არც თუ მთლად უნუგეშოდ დაუხატავს ამ „ველურების“ ბედი.

„ჩენი სკოლის საპატიო დანიშნულება ესაა, ქადაგება ლავეროვი, სულთი რუსებად აღზარდოთ და როგორც კარგი მებაღე აიღებს ხოლმე მაქალოს ნერგს, გადაგვარებულსა და უნაყოფოს, შამპანურ რენეტს დაამყნის ხოლმე ზედ, ისე უნდა დავამყნათ ველურს „ტუზემცებს“ კეთილშობილი სლავური კულტურა“.

„ეჰე, ეჰე“, დაახველა სოსომ.

„ეჰე, ეჰე, ეჰე“, ატყდა მთელ კლასში ხველა.

„რა მოგივიდათ, ყველას შეგეყარათ ხველა?“

„ქარია, ქარია, ბატონო, გავცივდით, გავცივდით“.

„ველური ქარია, ბატონო!“

მიიძახა მთელმა კლასმა. ლავეროვმა ისევ განაგრძო ქადაგება „სლავური რასის“ ისტორიული მისისისათვის.

როგორც გადასათვლელად ჩამწკრივებული ჯარისკაცები გადასძახებდნენ ხოლმე ერთმანეთს „პირველი“ „მეორე“-ს.

თანაც კისერს მოიგრებდნენ ჯერ იმისკენ ვინც პირველად „პირველი“ უთხრა, ხანაც იმისკენ ვინც კვლავ „პირველს“ გაიმეორებს. ასე დაიწყო გლურჯი-ძემ:

„ცაი-ნამსაო“ და კურკას შეხედა.

„ნამი-მთასაო“, გადასძახა კურკამ პრაქუნას.

„მთაი-თევასაო“,



წასტორჩულა ძაღლის მწერის პრაქუნამ,
 „თივიაი-ფურსაო“,
 მიაწოდა ვაშალომიძემ ციკრის კვერცხს.
 „ქარი-ბზესაო“, ეუბნება ციკრის კვერცხი გავას,
 „ბუს კვერცხები აშლოყინესაო“,
 წამოიყროტინა ხეპრედ გავა არაბულმა.
 „აშლოყინესაო?“

მთელმა კლასმა შექმნა სიცილი, ყველანი ლავროვს შეაჩერდნენ სახეში.
 ლავროვი კათედრიდან თვალს ადევნებდა თუ როგორ გადაიბრინა რაღაც
 ლექსმა მოწაფეების ბაგეზე, გავას მიერ წამოძახილი სტრიქონი გაიგონა მხო-
 ლოდ.

გაბრაზებული და იქვენული კათედრიდან ძირს ჩამოვიდა, გავა არაბულს
 მიეჭრა: „Ты, еще смеешь даже на моем уроке говорить на этом вар-
 варском языке?“¹ ადექიო შეჰყვირა. გავას ლოყები აელეწია, წამოღდა.

რუსულად გაიმეორეო ნათქვამი.

გავა გაჯიქდა.

„აბა, ვინ გადამითარგმნის?“

ვინ გადამითარგმნის?“

ღრიალებს ლავროვი.

„კლასს“.

კლასსი გაიტრუნა.

„ვაშალომიძე“, დაიძახა ლავროვმა.

წამოღდა ძაღლის მწერი, მასაც შეუფაკლდა ლოყები.

ცალკერძ ლავროვისა ეშინოდა, ცალკერძ ტოლებიას.

პირველი სიტყვა ვადაუთარგმნა, მეორეზე ენა დაება, თავათაც არ იცო-
 და რას ნიშნავდა „აშლოყინე“ ხეესურულად.

„აშლოყინე“... მხოლოდ ამის თქმა მოახერხა ვაშალომიძემ.

„Что такое Ашлокине?“²

ყვიროდა ლავროვი, ხან ერთ მოწაფეს ეძგერებოდა, ხან მეორეს, ხანაც
 მესამეს.

ლავროვის მიერ აშლოყინეს ხსენებამ მთლად გადარია კლასსი. ორმოცდა-
 ათი ყმაწვილი ხარხარებდა, მარტო ერთი გაფითრებული ლავროვი დარბოდა
 მერბებს შორის. სოსომ ასწია თითი.

„ჯულაშვილი“, წამოიყვირა ლავროვმა იმ იმედით, მუდამ სერიოზული,
 გაკვეთილზე მუდამ წესიერი ჯულაშვილი მომეშველებათ.

„Ашлокине — хевсурское слово, по-русски значит — рогатый
 ешак“³ სიტყვა ჯულაშვილმა.

„Разве рогатый ешак водится где либо?“⁴ ეკითხება ლავროვი.

„სარკეში ჩაიხედე და ნახავ“.

¹ „შენ გაკვეთილის დროსაც არ იშლი მაგ ბარბაროსულ ენაზე ლაპარაკს?.

² რა არის აშლოყინე?

³ აშლოყინე ხეესურული სიტყვაა, რუსულად რქიან ვიარს ეწოდება.

⁴ განა რქიანი ვიარი არსებობს სადმე?

მიუვო ქართულად სოსომ და ისევე სერიოზულად, გაუღიზებლად დაჯდა, როგორც საპასუხოვ წამოდგა წელან.

ლაეროვი უარესად გაცოფდა. იმ დილანდელი ბრაზი აღუტყდა მის გულში ახლა მიხვდა აშლოყინე ვილასთვისაც შეურქმევიათო მოწაფეებს.

არეებში დარბოდა, გახელებული ყვიროდა:

«Кто такой Ашлокина, скажите сейчас же!»¹.

კლასი კვლავ სდუმდა.

ლაეროვი ვაშლომიძეს მიეჭრა, კითხვა გაუმეორა. ძაღლის მწერმა იცოდა, სოსომ რომ შეარქვა აშლოყინე ლაეროვს, მაგრამ გააბრაბულზე ამრეზილი იყო, ამიტომაც ადგა და ეუბნება:

„ეს თქვენ დაგარქვაო გააბრაბულმა“.

ლაეროვი გაბრუნდა კათედრისაკენ. ამასობაში ზარიც დაირეკა. ლაეროვს ეწადა „სერიოზული მსვლელობა მიეცა საქმისათვის“, მაგრამ მიხვდა: ეს ამბავი უფრო გაახშიანებდა სკანდალს.

მასწავლებელთა შორის მტრებიც ჰყავდა, ერთი მათგანი ქართული გაზეთების კორესპონდენტიც ეგულემბოდა, ამიტომ „მცირე ზომები“ აკმარა დამნაშავეს.

მორივე იხმო, ეს მესამეჯერ დაჰკიდეს ქართული ლაპარაკისათვის შავი ფირფიტა არაბულს.

სოსომ და ლადო კეცხოველმა მოისაზრეს, „მცხეთური“ გაუკეთეს ძაღლის მწერს. მიებარნენ: ხელისგულეებით მიუსრისეს თავი.

ვამ დედაო, იყვირა ვაშლომიძემ, გამოიარა მორიგემ, არაბულს ჩამოხსნა შავი ფირფიტა, ძაღლის მწერს კობტად შეაბა კისერზე.

18. სიკვდილს უღიმიოს...

მთვარე ჯერაც არ იყო ამოსული, როცა ამილახვრიანთ ჭიშკართან ფარაჯიანი კაცი ჩამოხტა ცხენიდან და ურდულს წაებოტინა. მაგრად იყო დაგმანული კარი.

„სესია“.

დაიძახა ლანდმა.

მგზავრი ჯოკმანობდა: შესულიყო, თუ მოეცაღნა მცირე ხანს? ძაღლების ჩქამი არ ისმოდა.

„სესია, ჰაუ, სესია“.

დაიძახა ხელახლა მან.

მთვარე გამოვიდა ღრუბლის თექიდან და გაანათა მშვიდად მთვლემარე ეზო. შარის გაყოლებით დარგული თუთები თეთრი ქოლგებივით ჩამწკრივებულნიყვნენ, ელავდა ჭირხლი დათოვლილ ტოტებზე. უზარმაზარი ნაბადივით ეფინა ღამე ორასწლიან ცაცხვის ქვეშ, ბანჯგვლიან თათებივით მოხატულიყო შტოების ლანდი თოვლით მოგებულ მიწაზე.

ხეები ისე გარინდებული იდგნენ, თეთრი ფიქისაგან ჩამოუქნიაო ისინი ვილაცას.

¹ ვინ არის აშლოყინე, ეხლავე თქვითო.

ფარაჯიანმა დახველება გაიგონა, ცაცხვის ჩრდილიდან თაქაქინდრული კაცი გამოვიდა, ახველებდა ნელა, ახველებდა და მოდიოდა ვილაც. ჭიშკართან მორიალე ლანდს რა მიეახლა, თავი აიღო, ~~ბრძელდებოდა?~~ შესძახა.

„ვამეხი ვარ, ბეჩავო, ველარ მიცანი სესიაე?“ სესიამ ჭიშკარი გააღო, ცხენიანად შემოიყვანა ეზოში სტუმარი.

„მისდიხოდი ლა სადმე, სესიაე?“

„მოურავი მაგზავნის ვაგზალში“.

„ძაღლები დაბმულია?“

„ძაღლები დაბმულია, მაგრამ შენ ესა თქვი, უფლისაი რათ არ მოვიდა, უფლისაი იხმო კნიაზმა და შენ რალად გამოგზავნეს?“

„სულ ერთი არ არის განა?“

„სულ ერთი რად არის? აკი უფლისაია სარქალი?“

„უფლისაი აღარაა სარქალი, სარქალი მენა ვარ წლეურს“.

„რათაო ვითომ?“

„დავეიბერდა მამაი, მუხლებს იტკივებს“.

„ბატონი ვერაა გუნებაზე, მოურავმა გაახელა“.

სესია წასვლას დაადგა, მაგრამ ვამეხმა ხელი წააელო მაჯაში, ახლო მოსწია და ზედ ყურის ბიბილოსთნ ჩასძახა:

„მამუკაი თუ მოვიდა, სესიაე?“

„მამუკაი აქაა, მაგრამ შიშობს ძრიელა“.

„სამუშაო თუ აქუ რაიმე ბეჩავსა?“

„შენახზირედ ჩააყენა ბესომან“.

„გავაისათვის ხომ არ ვითქვამსო რაიმე?“

„გავაიმ არაფერი იცის, გულდამაყრელი ხიზანიაო, ასე დააჯერეს გავაი“.

„დღე ჩათვლით მუშაობს ლა?“

„არა, ყოველდღე, ხანაც ლამლაშობითაც, ამას წინად შამხედა მამუკაი, ცხვორჩი მინდაო; ცხვორი მომენატრაო, შემომჩივლა“.

სესია შესდგა, მიიხედ-მოიხედა და თითქოს ჩურჩულით ამბობს:

„კაცმა რომა თქვას, კაი უქნია უფლისაის თავათ რომ არ ჩამოვიდა, პოლიცია დაეძებსო ასე მამიკრამს ყური, მოურავისთვის უკითხამს ვეზნაჩანკსა, სადა დგასო ამილახვრიანთ ცხვარი?“

„მამას ჩემს რალა ერჩიან, მამუკაი ჩემი შვილია, თუ მოწიფული შვილისთვის მამაი უნდა დაისაჯოს, მე უნდა მამკიდოს კანონმა ხელი“.

„ეჰ, რა ჭკუასა ჰკითხამ შავათ სამართალს, ალბად უფლისაი უჩვენებია დამსმენელს, როგორც სარქალი, ახლა ასე ამბობენ ცხვარში იმალებაო მამუკაი“.

სესია დადუმდა, მცირე ხნის შემდეგ ვარსკვლავებს ახედა და ვამეხს ეუბნება:

„ახლა მე შეჩქარება, ვამეხ ჩემო, შენ წადი, ეცადე, მალე გაეცალო აქაობასა“.

ესა სთქვა სესიამ და ჭიშკარი გაიხურა.

ვამეხი წინ გაუძღვა ცხენს.

მოურავს ბატონი გაუხელებიაო?



ქართული
ხელნაწილის
სამეცნიერო ცენტრი

ცხვორს პეპელი გაუჩნდა, ჩენი რა ბრალია?
შესაძლოა წაგვართვან კიდევაც ცხვორი?
ფიქრობს ვამეხი და მიყვება შარას.
ძნელია მთელი სიცოცხლე ცხვარში დაღამო, მიწა არ გავაჩნდეს და მამული, სად უნდა წავიდეს მერმე, ცხვარში მოხუცებული კაცი?

ცამეტი ჭედლია, ას ორმოცი შაჭი, ოცი ნაშაქალი, ხუთი ყოჩი და ამდენივე თოხლი პეპელმა გაუწყვიტა არაბულებს. სენმა წაიღო ათი წლის ნამამგარი, სამი ვაეკაცის ნაჭირნახულევი საქონი.

ახლა უფლისაი თუ დაიჭირეს, ცხვარს ჩამოართმევენ არაბულებს, ოთხი ოჯახი დაიმშევა.

უფლისაი ძველი სარქალია, სახელგანთქმული მცნობი, უმისოდ ერთდღესაც არ დაიჭერს ამილახორი ქიტესასა და ვამებს.

ამ ფიქრებში გართულს ცაცხვის ძირამდის მიელწია. დასადავებული ცხენი წარამარა ოჩნობდა, მოზიდავდა ვამეხი სადავეს, ცხენი თავს ასწევდა უეტრად, შეატოკებდა ვამებს, მერმე ცოტახანს ისევ ნებას დაჰყვებოდა და ისევ გაოჩნდებოდა.

კაკლის ძირში მიადწიეს ამ ყოფით ცხენმა და მხედარმა. ძაღლებიც აჩქამდნენ, ცხენი უარესად გაოჩნდა.

„აჩუ შე სამგლე!“

შეებმულრა ვამეხი ცხენს. გამობრუნდა თუ არა, მყისვე შენიშნა რაღაც ბანჯგვლიანი ლანდი მობობლავდა ბნელში.

ვამეხმა დათვი იცნო. ალბად შინაურია და არას დამიშავებსო გაიფიქრა. სწორედ ამ დროს კვლავ გაოჩნდა ცხენი.

ვამეხი ისევ ცხენს მოუბრუნდა, ორივე ხელით დაითრია სადავე და გამობრუნებულს უკვე ფარაჯას კალთაზე მოებლამუნა დათვი.

ვამეხმა წიხლის კვრა მოასწრო, ცხენი დაუფრთხა, მხედარმა წონასწორობა დაკარგა, ვანზე გამბტარ ცხენის სადავეს გადაჰყვა და წაიქცა.

დათვი მუხლის თავზე ეცა.

ვამე დედაო.

შეჰყვირა ვამეხმა, ზეწამოიჭრა, სატეყარი გაიძრო და სიბრტყით შემოჰკრა ნადირს.

ამ ხმაურობაზე გამოსცვივდნენ სამზარეულოდან ბიჭები. დათვი გაიქცა, ვამეხმა იგრძნო ტფილი სისხლი ღვარივით ჩასდიოდა პაეიჭებში.

ორი ბიჭი შეუდგა მხრებში ვამებს, შუაცეცხლის წინ დააწეინეს მუხლგამოლადრული სტუმარი.

მოურავი წარბებშეყრილი შემოვიდა, ბიჭები დატუქსა რათ არ დაგიბამთო დათვი? ვერ გაივით ბელი რომ აღარაა, უკვე დათვიაო, დათვი.

მერმე ვამებს მიუბრუნდა. რად ჩამოსულხარო ასე გვიან? დოლის ამბავი აინტერესებდაო ბატონს, წუხელ ტფილისს წაბრძანდაო ცოლშვილიანად. მეც ამილამ უნდა წავიდეო.

თუ ჩამოსვლა იყო, უფლისაი რათ არ ჩამოეთრიაო?...

ვამეხმა უფლისაის ავადმყოფობა მოიმიზეზა, ავადმყოფობა და უსაშველო ნამჭრები, ახლაც ძლივს გამოვახწიეო სამუხლე თოვლში, ორგზის წამექცაო ცხენი.



მეორე დღეს გაგამ და სოსომ ვაიგეს ვამების ხიფათს, ეცადნენ მაგრამ საავადმყოფოში არ შეუშვეს ყმაწვილებს მხატვრული კუთხით იღებენო მნახველებს.

სასაწყარკვეთილი გაგა ცრემლებს ველარ იკავებდა.

სოსომ დატუქსა ერთ ორჯერ: სად ნახულაო ვაქვაციის ცრემლი?

განმარტოვდებოდა, მოძებნიდა ბნელ კუთხეს, იჯდა და ბალღივით ტიროდა გაგა არაბული.

მიხა და ცოქალა ამოდ ანუგეშებდნენ: მსუბუქად დაკბენილიაო ვამები, ყმაწვილი მაინც იკვნეულობდა, რაკი ავადმყოფი აღარ მაჩვენეს, ალბათ სულთმოზრძავი უნდა იყოსო.

გაგას მამისადმი სიყვარული არც განეცადა ოდესმე, ეს გრძნობა ვამებზე ჰქონდა გადატანილი.

თავით უტყვი, გულჩახვეული ვამები სტუმარივით იყო არაბულების ოჯახში.

ბოლოს პაპა უფლისასადმი სიყვარული ყველას ჩრდილავდა, მან პაპის გრძნობაც მიისაკუთრა ოჯახში, პაპისაც და პაპის მამისაც. (ისე როგორც მრავალწვერიან ოჯახებში ხდება ხოლმე მთაში).

გაგა გრძნობდა ვამები დაჩრდილული რომ იყო ოჯახში, იმიტომაც უფრო წაეკიდა მისდამი სიბრაღული ყმაწვილის გულს. ნანობდა კიდევაც გაგა იღუმალ, ვამებს, რომ არასოდეს მოფერებია იმ ტკბილი და ტფილი სიყვარულით, რომელსაც ყმაწვილი იჩენს ხოლმე პაპის მიმართ, ხოლო მამისადმი განკუთვნილ გრძნობას ფარავს ხოლმე შეძლებებისამებრ ვაჟი.

შესაძლოა აქ ვამების ისაკაც მოქძლოდა ბრაღი. იგი ადრე გახდა პაპა, მაგრამ პაპის ადგილი უკვე უფლისას დაეკავებინა ოჯახში.

სამ დღეში ხატის ცვილივით ჩამოდნა გაგა. მიხა ქილიფთარის ოჯახი უარესად დაამწუხრა ჭაბუკი ხევსურის ასეთმა გლოვამ.

ცოქალას მთელი ღამეები არ ეძინა, ესმოდა თუ როგორ ქვითინებდა ფარდის უკან ტახტზე მწოლარე გაგა. ესმოდა, მაგრამ ბუნებით მორიდებულ და სათნო ქალს ვერ მოეკრიფა გამბედაობა თავზე წამოდგომოდა მტრიალს და როგორმე ნუგეში ეცა.

ერთ საღამოს ცოქალა შინ ბრუნდებოდა ეკლესიიდან, ჭიშკართან გაგა შემოეფეთა.

მას ხევსურული ჩოხა გადაეცვა, თავზე ფაფახი ეხურა, ხმალი წელზე დაეკიდა, განზე სატყვარი, ფარი ცალხელში ეჭირა და მხედრული ნაბიჯით მიიჩქაროდა სადღაც.

„გაგა, პაუ, გაგა“.

შეეხმიანა ცოქალა.

გაგა თითქოს დაყრუვდაო, მიდის და არც კი მიხედა ცოქალას.

„გაგა, შეილო, გაგა“.

მიამახა ხმაწვეულად, მაგრამ გაგა უკვე მიეფარა თვალს.



ამილახვრიანთ სასახლეში ყველაფერი არია ბატონებისა და შოურაგის ტფილის გამგზავრებამ. რუსიკო ჩვეულებრივად შინ დასტოვეს. ქალბატონის ბრძანებისამებრ, მოხუცებული ვარდისახარ დააწვინეს რუსიკოს ოთახში. რადგან რუსიკო მთავარეული იყო და მარტო ველარ წვებოდა ღამე. თავგების ეშინოდა, თავგებსა და მარტის კატების კნავილს ველარ იტანდა რუსიკო.

გოგო-ბიჭებმა თავზე წამოიცივეს სასახლე.

ვარდისახარ ბრმა იყო, კეთილი რუსიკო ყველას უყვარდა, ამიტომაც არა-ვინ ებუებოდა მათ.

დამშეული ცხენები თავლაში ქიხინებდნენ, მოწყურებული ფურები და ხარები ბოსელში ბლიოდნენ, ვარდისახარს ეს ყოველივე ესმოდა შორიდან, დღე ნიადაგ ფანჯარასთან იჯდა, ჯოხს ურტყამდა ფანჯრის რაფაზე.

ეძახოდა: ხან სურათას, ხან გიორგას, ხან ლექსოს, ხან ცობოს, ხან ვანოს. გიორგა სურათას აეტოვლია, ბელელში, მარანში, საქათმეში, სადაც წაისწრებდა, ყველგან ჩქმეტდა და კოცნიდა. თავად სურათა მურაბებს იბარავდა, თავლისა და ერბოს ხალმებს უტრიალებდა. ანებივრებდა გულის მურაზს. ლექსომ იხვებზე ნადირობა დაიწყო. ცობო და ვანო საბძელში კოტრიალობდნენ დღეღამ.

ცხენები ქიხინებდნენ, კამეჩები ყოყინებდნენ, მტრედები გრუტუნებდნენ, დამლაშობითაც ზმუოდნენ ძროხები.

დედალი არწივი მოკვდა. ძუ შელა გალიიდან გაექცა კვების დროს ვანოს. დამშეული მტრედები უთენია აივანზე მოსჯარდებოდნენ, აბუზული შველი ულიაჯოდ იცოხნებოდა.

მტრედებს მაინც გადაეარჩენო ფიქრობდა რუსიკო, მთელი ღამეები არ ეძინა შიშისაგან, მაინც ადრე დგებოდა მტრედებს დააპურებდა, შველს ცოტაოდენ ცომს აქმევდა და განაგრობდა სენკევიჩის რომანების კითხვას.

სესია შეშას ჩეხავდა, ან არა და მხართემოზე წამოწვებოდა, იწვა შუა ცეცხლთან და არხენად აბოლებდა ყალიონს.

უსინათლო ვარდისახარი წოკობდა, დღენიადაგ ეძახდა ყველას სათითაოდ, მაგრამ ყველა იმის ცდაში იყო. „კენინას“ ჩამოსვლამდის მოეთავებინათ ქამა, ძილი, არშიყობა და ჩქმეტა.

მხოლოდ ვარდისახარს ეწვოდა ოჯახისათვის გული, რადგან ამილახვარის სასახლეში ჩაბერებული ნაყმევის ქალი იყო ვარდისახარ, განმკითხავი არაეინ გააჩნდა ქვეყანაზე, ბატონის გარდა.

მთელი დღე ფანჯარასთან იჯდა და შეძრწუნებული ფიქრობდა: რა ეშველებო ამილახვარის სასახლეს, ბატონები რომ დიდხანს დაყოვნდნენო ქალაქში?

ვამეხის დაკბენის შემდეგ საგანგებოდ დასჯილი ბელი უარესად გაავდამოურავს არაფრად ეპიტნაებოდა მაინც და მაინც იგი. მულამ ამას ამტკიცებდა მოურავი: იგი უკვე დათვია, დავკლათ, გავატყაოთ, ზორცი ბიჭებს ჩაეაცეცხლოთ, ტყავი სახლის დერეფანში დავაფინოთო ძუ დათვის გვერდით, მაგრამ ბატონები უარზე იდგნენ: თამაზს უყვარსო ბელი.

მართლაც დიდი აბეზარი ვინმე იყო იგი.

აუშვებდნენ, გოჭებსა და ბატკნებს იპარავდა, ქათმისა და ინდოტყოს სინსილა გააწყო, შინაურებს ებღლაძუნებოდა, მიმსვლელებს ერჩოდა, დაბამდნენ, აღრიოდებოდა, გაუშვებდნენ ისევე ამობღლებოდა.

ტფილისს წასვლის წინა დღეს ჩუმად უბრძანა მოურავეჭველსა, საკამეტე ჯაჭვით დააბიო დათვი, ჩემს ჩამოსვლამდის ნურას აქმევთ, გულში ასე ფიქრობდა: სული ამოხდებიაო ალბათ.

მარნის სვეტზე მიხმული დათვი მთელი დღე დაბობლავდა სვეტის გარშემო, ხან ჩაფიქრებული, თავჩალუნული დადიოდა დარდიანი, დაზაფრული კაცივით, დადიოდა, დადიოდა, დაათრევდა საკამეტე ჯაჭვს, როგორც გერის წმ. გიორგის მლოცველი საყდრის გარშემო ჩოკვით მხოხავი, თანაც ზეწამოდებოდა, დაბაჯბაჯებდა უკანა თათებით, საასპარეზოდ გამოსულ მოკრივესავით ასავსავებდა ჰაერში თათებს.

ნასადილევს ფანჯარასთან მიმჯდარიყო რუსიკო, თოვლის დანახვაც სძაგდა მას, ვასცქეროდა თეთრად შესუდრულ ზილნარს. ყორნები შემომსბდარიყენენ კაკლის ზეზე, ისდნენ, უცნაურად ყრანტალებდნენ.

დაბმული ძაღლები ყმოდნენ და ყეფდნენ, საქონელი საწყალობელად ზმტოდა ბოსელში, დათვის ბელი მარნის წინ დაწრიალებდა.

ტრიალებდა, ტრიალებდა, ხან ჯაჭვს ღრნიდა, ხან სვეტს ჯიჯგნიდა, ხანაც კედელს მიადგებოდა, დინგს მიადებდა და გალახული ბაღლივით ბლაოდა საწყალობლად.

რუსიკო გრძნობდა: მისტიროდა დათვი თავის გამწვარებულ სვეს, თეთრად მოსილ ფიქვნარებსა და დაკარგულ თავისუფლებას ნატრობდა.

რუსიკომ ველარ აიტანა ნადირის წუხილი, ადგა, უკანა აივანზე გამოვიდა, დიდნანს უძახა ბიჭებს, მაგრამ ყველანი გაკრეფილიყენენ სადღაც.

გამოიტანა შაქარი, მივიდა დათვთან, შეაძლია. დათვი დამშვიდდა, შაქარი რა დაინახა, ერთ წამში შესანსლა, მერმე გამოჰყო იისფერი ენა, ხელისგული დაულოკა ქალს. თანაც ნელა, სულ ნელა წამტუტუნებდა, რალაც უცნაურის საწყალობელი ხმით ევედრებოდა რუსიკოს.

„მოდი გაუშვებ, ალბათ აქვე დარჩება ეზოში, გაივლ-გამოივლის, მერმე ისევე დაბამს სესია“.

ეს გაიფიქრა რუსიკომ და ახსნა საყელურიდან ჯაჭვი.

ნანატრი თავისუფლება რა შეიცნო დათემა, ჯერ უკანა თათებით გაიარა კაცივით. მერმე წინა თათები დაკრა მიწას და ცაცხვის ძირისაკენ გაექანა; აქ ცოტახანს იკოტრიალა თოვლში, მერმე წამოდგა, გაიბღერტა, გაიბღერტა ბეწვი. თავი აიღო და ქიშკრისაკენ მოუსევა.

„სესია, სესია“, ასტეხა რუსიკომ ყვირილი.

სესია აღარსად სჩანდა. ახლა გიორგას უძახა რუსიკომ. გიორგას ნაცვლად სურათამ გამოჰყო ბეღლიდან თავი.

გიორგა წისქვილში წავიდაო. ესა სთქვა და ისევე გაიხურა კარი, რუსიკომ თვალი მოჰკრა თუ როგორ ისკუბა დათემა და გადაეგლო აგურის გალაენას.

უკან გამოდგომა უნდოდა, მაგრამ მოისახრა: პალტო და შარფი გამოეტანა სახლიდან.

გარბოდა რუსიკო თოვლში, ელვის უსწრაფესად ქიშკართან გაჩნდა. კარი გაიგლო და მიჰყვა დათვის ნაკვალევს.

კალთაჯრეფილი მირბოდა რუსიკო სამუხლე თოვლში. ქარი სველსა სახეში. თვალები სისველით ევსებოდა. თავათაც ველარ გაეგო (რემოლნი იყო ეს თუ სიცივისა და ქარისაგან მოსდიოდა?)

მირბოდა თავდავიწყებით. დასტერებოდა დათვის ნაკვალევს. ვხაჯვარედინზე ურმებსა და სახედრებს გადაეფარცხათ ნატკეპნი გზა.

სასოწარკვეთილი შესდგა.

ვინ დაუხვდება თამაზს ამის შემდეგ? კიდევ კარგი რომ არაინ ხედავდა თუ როგორ აუშვა რუსიკომ ბელი?

შესტამს თამაზი, ფრჩხილებით დაახრჩობს რუსიკოს.

ფიქრობს და გარბის, ტირის და გარბის. ახლა კი დანამდვილებით იცის, რომ თვალებისა და ლოყების სილამე არც ქარის ბრალია და არც სიცივისა.

შეჩერდა, დაფიქრდა: კიდევაც რომ ეპოვნა ბელი, ან როგორ წამოიყვანდა შინ, ასე უზომოდ გახელებულ პირუტყვს? მუხლი მოეჭრა ამგვარ აზრის გულში გამვლებელს. შარფის ფოჩით თვალი მოიწმინდა, დახედა გზას, კვალი დაეკარგა ისევ.

დააკვირდა, კიდევ და კიდევ დააკვირდა.

შენიშნა:განზე წაეიდა დათვის ნატერფალი.

მიჰყვა ნაკვალევს გულდაგულ, ამილახვრიანთ დიდ ვენახში ამოჰყო თავი. ვენახი სამი მხრით ეკლიანი მათეთლით იყო შემორაგული, ხოლო ცალკედს აგურის გალავანი მიჯნავდა მას მუნხარიდან. სწორედ ამ კუთხეში, სადაც აგურის კედელი და ეკლიანი ღობე იყრებოდნენ, ძველი საბძელი იდგა.

ამ საბძელამდის მიიყვანა დათვის კვალმა რუსიკო. შემოუარა მხარმარჯვნიდან საბძელს, დანახა ვიღაც ხევსურულად მორთული ყმაწვილი ებრძოდა დათვის. ცალხელში ფარი ეჭირა ხევსურს, ხელითაც ხმალს იქნევდა.

აიქორილი, ყალბზე შემდგარი დათვი ბრდღვინავდა გახელებული. ხან შეუტევდა ხმლიანს, ხან დაიყმუფლებდა უკუიქცეოდა, კედელს მიეცვროდა და ღრიალებდა.

შემოჰკრავდა ხევსური ხმალს, აიქორებოდა. თავს აარიდებდა დათვი. სჩანდა: ან ხმალი არ სჭრიდა, ან ხევსური ზოგავდა ნადირს.

რუსიკომ იკივლა და თვალი დაუბნელდა, როცა ისევ გონს მოვიდა: ზედ კეფაზე დაჰკრა ხევსურმა დათვს ხმალი.

გაბოროტებული ტყიური მივარდა ვაეს, ახლა ყმაწვილმა შეუტია მამაცურად, ისევ კედლისკენ მიავლო დათვი. მერმე ბევრი აღარ აცალა, გატეხილი ხმალი შერია ცალხელში ხევსურს, მაგრამ ფარი იფარა ჯერ, მერმე პირდაპირ ჩასჩარა დაღრენილ ნადირს ხახაში და წამოაქცია დათვი.

კარგა ხანს კოტრილობდნენ ორივენი თოვლში, რუსიკომ რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა, თოვლში ამოგინგლილი ხევსური ზეწამოდგა, სისხლით მოსვრილი სატევეარი ელავდა მის ხელში.

რუსიკომ ღონე მოიკრიფა, კუთხემდის მიირბინა, ყმაწვილმა მხოლოდ ახლა შენიშნა ქალი.

წელში გასწორდა ამაყად, თოვლი გაიბერტყა და არა უთხრა რა. რუსიკო ხედავდა, თუ რა ნელა უბრუნდებოდა მის ლოყებს სიწითლე.

ჩოხა შემოფხრეწოდა ბრძოლაში.

ირველივ დაჯევილ. ვასისხლიანებულ თოვლზე პირაღმა ეგდო დათვი, მხოლოდ უკანა ფეხები უტოკავდა, ფრჩხილებით ფხაქნიდა მიწას.

„რა ქენით ეს?“

ეკრძინებულა

შეპყვირა შეძრწუნებულმა ქალმა. ეუცნაურა მისი დიდბრძანა დასაქვანი, ცისფერი თვალები.

ყმაწვილმა თვალები დააფახულა, ქუთუთოები ძირს დაეშენენ, მიწას დააჩერდა და სთქვა:

„მა რაილ მექნ, პაპის ჩემის სისხლი ავილ“.

მერმე ისევ ახედა შეშფოთებულ ქალწულს, მის გათქვირულ მკერდს და ატმისფერ ლოყებს დაადგა თვალი.

„სად ნახეთ ეს ბელი თქვენ?“

შეეკითხა რუსიკო.

„ორი დღეი ას რაიცი კარჩი ვეზივარ!“

ორივენი დადუმდნენ.

ხევსური მივიდა მკედარ დათვთან, ცალი თათი მოსჭრა, ჯიბეში ჩაიღო და ჩოხის კალთით გასწმინდა სატევეარი.

რუსიკოს შოავონდა ეამებ არაბულის დაკბენის ამბავი, ყმაწვილის ნათქვამი ენიშნა და დადუმდა.

ისევ მიხედა დათვს.

მკერდგანგმირული ნადირი სისხლის გუბეში ეგდო. ოდნავ, ოდნავ გაპობილ ლაშებიდან თეთრი და წამახული კბილები უჩანდა.

ასე მოეჩვენა რუსიკოს: სიკვდილს უღიმისო ღაბთში.

19. შირსხლის ქამარი

აღარ ღრიალეზდა დათვი, ვართანა მოურავი ღამის მატარებელს ჩამოჰყვა, აღარც ცხენები ჭიხვინებდნენ, არც კამეჩები ყოყინებდნენ, არც ფარშავანგები კრიახობდნენ, მოურავის ჩამოსვლა და სასახლეში მყუდროების დამკვიდრება ერთი იყო, მაინც მოუსვენრად ეძინა რუსიკოს.

ბელის მოკვლის ამბავი რომ გაიგო, გაიბარა ვართანამ ფრიად, მაგრამ შრისხანე სახე მიიღო ანაგებად, საშინლად დატუქსა სესია და გიორგა.

იმუქრებოდა: თამაზი დღეს ხვალ ჩამოვა, შავ დღეს დააყენებსო დათვის მკვლელს. უეცრად დამყარებულ მდუმარებაში აჩქამდა რუსიკოს გულში დავანებული ძრწოლა.

გათენებისას წაეძინა: ის უცნაური ხევსური ესიზმრა, კლარტის პერანგი ეცვა წითელი, შუბლიდან სისხლი მოთქრიალებდა.

ზმანებამ უარესად შეაშფოთა, ახლა ნანობს რად ვერ გამოეკითხე ყმაწვილის გორში მტბოვრებია, თუ ცხერიდან ჩამოჰყოლია პაპას?

კაცმა რომ თქვას, მოფიქრების დროც აღარ იყო, ისე ანაზდად შეტრიოაღდა დათვის მკვლელი და მოულოდნელად გავიდა ვენახიდან, თავათაც არ შეუნიშნავს მოკლული ბელის გვერდით დავარდნილი ვერცხლის ქამარი თავისი. რუსიკოს შეებრაღა ყმაწვილი, შევეუნახავო იფიქრა ქამარს.

ერთხანს ასე ეგონა რუსიკოს, ქამარის მოსაკითხავად გამოივლისო. დღეები გადიოდა, ქამარის პატრონი აღარსად სჩანდა.

შესაძლებელია, არც კი ახსოვდეს, თუ სად დარჩა ქამარი? რუსიკომ ხელში აიღო იგი, უნდა გადაემალა სადმე თამაზის მოსკლამდის. ადამიანის ოფლის სუნი უდიოდა მას.

ქამრის ენასა, საქონეებსა და სამკაულებზე ვაზის ფონდებზე, ტყეში და პეკლები იყო შესანიშნავის ხელოვნებით ამოქრწევილი. გასაოცარი გულმოდგინებით მოგზატა ძველ ოსტატს სახმლე კაუჭი, სადენთე, საფულე და ორიც სამკაული, წეროს ნისკარტივით გრძელი და წაწვეტებული.

ქამრის ენაზე დედაბრული ხელით ეწერა:

„ვამეხ არაბულისა ვარ“

ჯერ კიდევ ტვილისს წასვლამდის ასე ამბობდა ვართანა, ვამეხი მსუბუქად ყოფილაო დაკოდილი. სამოთხ დღეში ლაზარეთიდან გამოეწერება და ცხვარში წაეაო, შესაძლოა წაივინა კიდევაც და შვილიშვილიც თან წაიყვანა. აღარ იცოდა რუსიკომ როგორ გაეგზავნა პატრონისათვის ქამარი?

გამოიჩინა იგი? დათვის მკვლელის ვინაობას გამოამჟღავნებდა.

მართლაც რა კარგი ვაჭაკია, როგორ მამაკურად შეება გააეებულ ნადირს! ჯგულისათ სოსო შოაგონდა და მისი საოცარი დუელი ბელთან.

ამ ხევესურის ამბავი ხომ მთლად უცნაურია, რომანებშიაც არ ამოუკითხავს რუსიკოს ესოდენ რომანტიული ამბავი.

ყმაწვილს რომ პაპის სისხლი დათვზე აელოს?

ეს უეჭველად ლამაზი ამბავია, ნეტავი დასწერდეს ასეთ რამეს ვინმე! წარმოსადგენია, როგორი შურისმგებელი იქნება ეს ხევესური!

დღეები თითებზე დაითვალა, უკვე შვიდი დღე იყო მას შემდეგ განვლილი.

გული ეტკინა რუსიკოს, როგორც კი შეიქნო, ვერასოდეს ენახაო ამ ცისფერთვალება ხევესურს.

კარი გაიღო, სურათა შემოვიდა გაფითრებული.

„უამე, უამე“, მოსტქემდა სურათა, ვინ გადაურჩება თამაზს, მეხიმც დაეყარე გიორგას, ასე უთქომ მოურავითვინა, რუსიკოს უნახამსო დათვის მკვლეელი ი ხევესურია, თუ ვილაც დოზანა, მოურავს ასე უთქომს უნდა გამოტყდესო ვინ მოკლაო თამაზის ბელი“.

რუსიკოს ყვრიმალეები გაუწითლდა.

„რას ამბობ სურათა, ბედშავო, არავინაც არ მინახავს მე. ვინ ხევესური, ვინ დათვის მკვლეელი?“

„მეხიც დაეყარე გიორგასა, მუხნარში შეშასა სჭრიდა თურმე იმ საღამოსა და იქიდან დაუნახავს, უამე, უამე, ჩემო კეთილო ქალბატონო, შენ რა გეშველება, ჩემო კეთილო ქალბატონო? ამაღამ კნიაზი და მისი ვაფი ჩამოვლენ, დედაშიწას დააქცევს თამაზი“...

რუსიკო დაღებდა, მოკუმულ ტუჩზე დაიდო ხელის გული. თვალი გაუშტერდა სიერცეში.

რა გაეწვობა, ყველაფერი განგების საქმეა, ეს კი ურყევად სჯერა რუსიკოს: სიკვდილის პირზედაც რომ მიაყენოს თამაზში, მაინც არ გასტქვამს თუ ვინ მოკლა ბელი?

ისიც უთქვამს თურმე ვართანას, მუხნარ-ბატონის ვაჟს — ზურაბს მარცხენა მკლავში დაუჭრიაო ქეიფის დროს თამაზი.

ცხადია, თამაზი არ დაუწყებდა მსუბუქ ქრილობას, ჩამოვა თუ არა გორში, ისევ დაიწყებს ქეიფს, ცხენის ქენებას ქალაქში, შესაძლოა სადმე წააწყდეს საცოდავ ხევსურის ბიჭს გორში.

„სურათა, შენ არა ჰკითხე გიორგას ბედშავო, თავად თუ იცნობს იმ ხევსურს?“

„მე კი არა, თვითონ მოურავი დაჰკითხავდა გიორგას. არ მინახამსო ასეთი ხევსური გორში“.

ამ ამბავმა ოდნავ დაამწვიდა რუსიკო.

გავიდა თუ არა სურათა, კარი ჩაიკეტა, შალი წამოიხსა ოდნავ შემცივნებულმა, ისევ ჩაწვა ლოგინში და კითხვა განაგრძო.

უშთავერესი ეს იყო, თამაზის ჩამოსვლამდის არ გადაპყროდა მოურავს, შესაძლოა გიორგის ნათქვამს არ დამყარებოდა მოურავი და არც ეთქვა რაიმე თამაზისათვის ხევსურის გამო.

გული ველარ დაუდვა სენკევიჩს, ნერვიულად დაუწყო ფურცვლა, ვანზე გადასდო რომანი. წამოდგა, ფეხშიშველა მივიდა ეტაეტრამდის. უდაგაცვეთილი წიგნი დაითრია ერთი. ერთ დღე დაინერწყვა თითი, ავტორის სახელსა და გვარს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვნა.

ეს იყო ფრანგული რაინდული რომანი ჯვაროსნული ომების დროიდან. კიდებზე ქართული მინაწერები უკეთებია ვილაცას. რუსიკომ სათითაოდ გადაათვალიერა ესენი, შემდეგ ამისა დაიწყო კითხვა.

მცირე ხანს ტოკავდნენ ასოები, ჩალისფრად გახუნებულ ფონზე, მერმე წიგნი ბელიდან გაუვარდა რუსიკოს. დაეცა იატაკზე და ილღუსტრაცია გამოჩნდა ერთი.

თორიან მამაკაცს თმებით მიეზიდა ქალი. უყურა რუსიკომ, უყურა სურათს, შეჰქანდა სურათი, თითქოს განსხეულდაო ფიგურა ჰაერში. ცნობა წაართვა ძილმა. მოურავის ღრიალმა გამოაღვიძა.

სესიას უყვიროდა ვართანა, ქერი მიეციო ცხენებს.

გამოძინებამ მხნეობა შეჰმატა რუსიკოს. უსმელ-უჭმელი იჯდა ფანჯარასთან და ხედავდა, თუ როგორ არხედა კიპაროზებს ქარი. ფანჯრის თვლიდან შემოდიოდა სიო, ფარდებს ატოკებდა, ლოყებზე ელამუნებოდა ქალს.

ეს იყო მოახლოვებული გაზაფხულის სუნთქვა, სადღაც მთებში ყინვა და მზე შებმოდნენ ურთიერთს.

მთებსა და გორმახებზე ამდგარიყო თოვლი. მხოლოდ ბრუტსაბძელი და მისი მიმყოლი მწვერვალები მოსჩანდნენ თეთრად. ხილნარში დავანებული მხურვალება ატფობდა წინა დღეების თოვლის მიერ დამზრალ კვირტებს ატმებისა და ვაშლებისას.

ხოლო ცა, ცა ისეთი ლურჯი იყო, როგორც შავი ზღვა წყნარ ამინდში.

ნელა, ნელა მიეშურებოდნენ ბრუტსაბძელისაკენ კიდელაფანჩული, თეთრი ქულები. შეუძსუბუქდა რუსიკოს დილით განცდილი სიმძიმელი.

მართლაც და ცა იყო ისეთი მაღალი, ღრუბელი ისეთი გამსჭვირავალი, მზე ისეთი ამო, ვინ დაიჯერებდა ამ დილით რომ ამ მშვენიერ მიწაზე ჰქმუნვარე ყოფილიყო ვინმე, მწვანეს სუსხი მორეოდეს, ან კაცის გულს დარდი?!

სულის უადრესს კუნჭულში შაინც რიალებდა ნატამალი სიხარულისა. თორიანი ხევსურის ცისფერი თვალები ხომ არ ანათებდნენ იქიდან?

რუსიკო შეერთა, ზედ წამოეგო ანაზღეულად.

გაოცდა თავათაც შემცნობი იმისა, რომ მასაც უხარია რალაც. არსებობდა ეს არ უნდა ყოფილიყო ასე.

არა, სულ სხვა რამეა აქ. რუსიკოს უხარია, ქუჩაში გასვლის საბაბი რომ მიეცა, ხევსურის საძებნელად კი არა, ისე უბრალოდ, გაზაფხულის პირზე გასიერნოს ქუჩაზე.

იმ ხევსურის საძებნელადაც რომ წავიდეს, მერმე რა არის ამაში ცული? ხომ უნდა გააფრთხილოს ყმაწვილი?

თამაზი გულმხეცია, კარგად შესწავლილი ჰყავს რუსიკოს იგი. შესაძლოა, დათვის ბელის გამო მოჰკლას ის ბედშავი კიდევაც.

არ შერჩება თუ?

შარშან კურდღლობის დროს შემოაკვდა სესიას ერთადერთი ვაჟი, ფორმალურად შეაყენეს ოქში, ვეც კარგად იცის რუსიკომ, ცოვიანოვმა დააბევიანა იგი. სესიას ერთი ძროხა აჩუქეს და ამით მიჩქმაღეს საქმე.

რუსიკომ ტანთ ჩაიცვა, მოეწონა თავისივე ანაგობა.

„მართლაც საოცარია ცხოვრება!

კაცმა რომ თქვას, იგი გაცილებით უფრო მეტად საინტერესოა, ვიდრე თვით უშესანიშნავესი რომანი, რადგან წინასწარ იცი, ყოველი რომანი სამწუხარო ფინალით უნდა დასრულდეს. ცხოვრებაში საბელის თავი ბელის გულზე გაქვს, ხოლო ბოლო მის უფსკრულშია ჩაყიდებული.

რომანებში მუდამ ასეა: ვთქვათ ქალწულს ვაჟი უყვარს მავანი და მავანი.

ეს რომანისტები გულბოროტი ხალხია, მაინც და მაინც ისე წაიყვანენ თბრობას, მთელი ქვეყანა ამხედრდება მიჯნურების წინააღმდეგ, ბოლოს იმდენს უხრიკებენ, უთუოდ გასათიშვენ ქალ-ვაჟს, ან არა და მესამე შეეჩრება ორთა სიყვარულს, ხანაც აეტორი ივაკაცებს და ქლექს შეპყრის მიჯნურთავანს ერთს.

აჰ, ნეტავ ვინმე დასწერდეს ისეთ რომანს, სადაც სიკეთე და სიყვარული იმარჯვებდეს, სადაც ბოროტის არსება არ იქნება გრძელი“.

ფიქრობს რუსიკო და მიჰყვება ქალაქისაკენ მიმავალ ბილიკს. ლიაზე იადიდებულა, ზუთივე კალაპოტი გაუფსია წყალს. მოაქვს დაშლილი ფაცერები, გარუჯული ფიცრები, ნაძვები, მორები, ვეება ფიქვები ძირიანად ამოუთხრია მიწიდან, რუსიკო შესდგა და დააკვირდა ამღვრეულ ტალღებს.

დამხრჩვალნი ვერძი მოჰქონდა წყალს, ისე მოკოტრილობდა ჩქერებზე ვერძი, თითქოს ოთურმას თამაშობსო ზვირთების თავებზე.

ფშანებში კამეჩები ჩაწოლილიყვნენ, თავები და რქები ზუჩანდათ მხოლოდ.

„საოცარია გაზაფხული, ყოველივე უნდა გადააცდინოს კალაპოტს“.

მოელალებოდნენ მწყემსები ღორხბოს, მოკუნტრულშებდნენ დეკეულები, გაზაფხულის მახარობელ ვალსს უვლიანო თითქოს. ისმოდა კამეჩების ყოყინი, დამტბარი ყოყინი ზაქების მონატრული დედებისა.

ნაზამთრალ ცხვარს მოელალებოდნენ მეცხეარეები, საქონლის ჯოგი ბრუნდებოდა დაბაში, გამოჰქანდებოდნენ ატეხილი მოზერები, მოახტებოდნენ ჯიქან დასივებულ ძროხებს.

ერთბაშად ცხენოსანი ჩაფრები შემოიჭრნენ ვიწრო ქუჩაში, ატყდა ალია-ქოთი, ტროტუარებისაკენ გაიწია საქონელმა. რუსიკოს შეეშინდა ხარებისა, მხარმარცხნით გადაუხვია ვიწრო, ბინძურ ქუჩაში.

სამიკიტნოდან ჩაქუჩების რააკარუჯი ისმოდა, სამიკიტნოდან შტორნის კიკინი და მთვრალების სიმღერა. რუსიკომ იგრძნო ცუდ უბანში მოხვდა, ამ დროს არასოდეს არ ყოფილა ამ ქუჩებში შარტოკა. სარდაფებიდან ღვინისა და ნესტის სუნი ამოდიოდა. უზარმაზარ რუმბების პირისპირ ხალიჩებზე ფეხმორთხმული ისხდნენ ლოყებლაქლაქა, რუმბებივით დასივებული სირაჯები და მათი სტუმრები.

ერთ სამიკიტნოდან ამოცვივდნენ მთვრალი კადეტები და გიმნაზიელები, რუსიკომ მზერა აარიდა მათ, შვიდი ყმაწვილი აეკრა აგურით შეთითხნილ კედელს, ისე გამოიფეხნენ, საპატიო ყარაულში დგანანო თითქოს.

რუსიკომ ისეთი სახე მიიღო, ვითომდაც ვერ ამჩნევსო მათ, თავი დახარა, მუხლები აუცახცახდა, ახლოს მხედველივით დაამტერდა ფილაქანს.

როგორც იქნა ვასცდა „საფრთხეს“, გაფაციკებით ყურს უფდებდა მაგრამ მათი ჩამიჩუმი არსად ისმოდა. თამაზი გაახსენდა რუსიკოს, იგიც ასე დაეხეტება გორში ჩამოსვლისას სამიკიტნოებში.

ასეთ სიმთვრალეში ხდება ყოველგვარი ხიფათი. მოაგონდა სურათის ნათქვამი: მუხრანბატონის ვაჟს, ზურაბს, მარცხენა მკლავში გაურტყამსო თამაზისათვის ტყვია. ეს ამბავი ერთი თვის შეგებულების საბაბად იქმარებს ალბათ.

ახლა ისევ დაიწყება შარშანდელი ამბები. ღამლამობით შრამელში შემოიპარება ის არამზადა და დაიწყება რუსიკოს წამება... უკანასკნელად სურათი წამოეშველა, ძლივს გაავდეს ოთახიდან მთვრალი თამაზი.

შუკა მოთავებული არა ჰქონდა რუსიკოს, როცა აჩქარებული ფეხის ხმა და ხითხითი მოესმა.

უკან მოიხვდა გაღეშილი კადეტები და გიმნაზისტები მოსდევდნენ. ფეხი აუჩქარა ქალმა. რა ეშმაკად ჩამოეხეტა სამიკიტნოების უბანში. აბა სად უნდა მოეკითხნა ის ხევსური, სასტუმროში ხომ არ დადგებოდა მეცხვარის ბიჭი? ალბად სამიკიტნოებში ათევსო ღამეს.

ასე ფიქრობდა რუსიკო.

ახლა ნანობდა, რად აეიტეხეო ეს ქირი?

აქამდისაც შენიშნული ჰქონდა რუსიკოს, მამაკაცები უცქერიან მას გორში, მაგრამ თვით გორელები გაცილებით უფრო დელიკატურად იქცევიან, ალბად იციან ამილახვრიანთ ოჯახის ქალი რომაა რუსიკო.

ერთი კადეტი წამოეწია რუსიკოს. ძლივს მობარბაცებს, აუჩქარა ნაბიჯს ქალმა, ეშინია, სადაცაა წამივლებსო ხელს.

„პაპ, პაპ, რა ღმერთივით ვოგოა!“

ღრიალებს სახედანახილი კადეტი.

წამოეწია ახმაზი გიმნაზიელი, კინწი ჰკრა კეფაში კადეტს.

„გაიარე, გა. მერე შენ რა, თავის პატრონისათვისაა, ყურუმსალო“.

რუსიკომ ისევ აუჩქარა ნაბიჯს, მთლად აეკრა ტალახით მოთხუნულ კედლებს.

მერმე ესმოდა რუსიკოს თუ რა უსირცხვილოდ აქებდნენ მთვრალი ყმაწვილები მისი ფეხების სისწორეს, ტუბუ-მეკრდის სისავსეს.

ვილაცამ დაიყოყნა:

„ქერაა ბიჭო, ალბათ რუსის გოგოა“.

„ხელი უშვი, ზალიკო, ჩაერია ქალური, წრიბინა ხმაე. ცეზნაფლენჯის ცოვიანოვის ქალი არ იყოს, თამაზ ამილახვარი ძვირად დაგმსგამს მხგასსკმეს, ტფილისში გვიამბობდა, ბევრი ვსრისეო გორის ციხეში“.

„აფსუს, რახრახებდა ბოხი ხმა. თამაზის წინაპრები თურქებისაგან იცადნენ გორისციხეს, თამაზი კი რუსის გომპიოების სრესით ტრაბახობს“.

„რას მიჰქარავთ, ვირიშვილებო? რომელი რუსიო, ეს ქალი ამილახვიანთ ნაშვილებია, თუმცა კარგად არ ვიცი, ნაშვილებია, თუ ბუში, გენერლის ბუში“

„ჰე, ჰე, ჰე“.

„გენერლის ბუში არ ვიცი როგორი იქნება, მაგრამ ებისკოპოსის ბუში კი ხოშიანად ვსრისე გორში“.

ტრაბახობს კუზიანი გიმნაზიელი.

„შენ ეი, ბრუტსაბძელო, აქ ტფილისი ხომ არ გგონია? გორია შვილო-სან, გორი, ჭკვით იყავი“.

სთქვა ახმახმა კადეტმა, ფერდში მჯილი ჰკრა კუზიანს, ტარაბუასავით დაატრიალა და ფილაქანიდან გადააგდო ყიამყრალი ტალახში.

რუსიკომ ცალი თვალით დაინახა თუ როგორ ამოფორთხდა კუზიანი ლაფიდან. კინალამ გაეცინა, მაგრამ თავი შეიკაფა და მხარმარჯვენისაკენ გადაუხვია. კუთხეში ორი ეტლი მოდიოდა.

მეტლემო, იყვირეს მთვრალეებმა მდღლარეში ჩავარდნილივით, შვიდი კაცი ორ ეტლში ჩახტა. რუსიკომ ამოიოხრა და მიჰყვა განიერ ქუჩას.

წამლის სუნე ეცა. აფთიაქის დანახეზე საავადმყოფო მოაგონდა. ახალმა აზრმა გაუეღვა: შესაძლოა საავადმყოფოს მახლობლად ჩალიჩობდესო ის ხეესური სადმე?

ქიშკარი დაგმანული დაუხვდა. მოხუცი მეფარნე აღიოდა კიბეზე. გამობრუნდა შუქიდან რუსიკო, ისევე პროსპექტზე გამოვიდა.

გორისჯვრიდან ზარების წკრიალი მოდიოდა, მოსახვევიდან ერიაშული მოისმა უცაბედი, უკან მიიხვდა რუსიკომ. ბრბო მოდიოდა დიდის ღრიანცელითა და ზეითით; დათვის ბელი მოჰყავდა კაცს, წითელი ბლუზა ეცვა, შავი წვერი ქამრამდის სცემდა.

რუსიკოსათვის გაუგებარ ენაზე ჯლაოდა შავწვერიანი, ტუქსავდა დათვს, ფეხშიშველა გოგონა დაირას უკრავდა და მღეროდა.

რუსიკო დააკვირდა ბელს, იგიც თაფლისფერი იყო, სუფთა თაფლისფერი, ზედმიწევნით მიაგავდა თამაზის ბელს.

„ფული რომ მქონდეს, ფიქრობდა რუსიკო, ახლაცე შევისყიდო ამ ბელს, იქვე დავაბამდი, სადაც თამაზისეული ება, ჯერკიდევ გუშინწინ“.

უცილოდ თავიდან აიცილენდა მოსალოდნელ სიმძიმის.

იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერავისზე შეჩერდა, ვინ გაიმეტებდა ამდენ ფულს მისთვის?

კიდევ ერთხელ შეიცნო რუსიკომ თავისი სრული მარტოობა ამ ქვეყანაზე.

როგორი ბედნიერებაა როცა ადამიანს დედა გყავს, მამა, ძმები, ნათესავი. გული აუჩქროლდა, თითქმის პირველად გაიგო რომ ამ მშვენიერებას არა-
ვინ გააჩნდა ნათესავი და ქომაგი.

ამ ფიქრში იყო რუსიკო და ცისფერმა თვალეზმა ^{ნარკინეშვილი} ~~გვაფუძვლეს~~ მარბოში. შეაბრუნა მხერა. ამ თვალეზის პატრონი სწორედ ისეთი მალალი იყო, რო-
გორც დათვის მკვლელი, მასავით ქერა, მასავით მხარბეჭიანი, ტლანქი და
მიზვრამოხვრაში მოუხეშავი ოდნავ. ეს იყო, თავისივე ბლუზა ეცვა მას
იდაყვებთან გამოხეული.

კიდევ შეხედა რუსიკომ.

ისევ და ისევ.

ცისფერთვალეზს გვერდით ტანმოორჩილი ყმაწვილი მოდიოდა, შავგვრე-
მანი, თეთრბლუზიანი. ალა მას დააკვირდა რუსიკო, მარცხენა ყურთან ხალი
ქქონდა ყმაწვილს.

ჯულანთ სოსო შეიცნო ქალმა.

ხალიანმა არც კი შემოხედა მას, ხოლო ცისფერთვალეზა მიხედა მას
უცქეროდნენ.

ეუცხოვა რუსიკოს, ეს დახეული ბლუზა რად აცვიაო ფარხმალიანსა და
ჩოხიან ხევისტოს?

თუშური ქუდი ეხურა. ტოტებდაცრეცილი, ლაფში ამოსვრილი შარვალი
ეცვა გაგა არაბულს. ქალის დანახვაზე თავისი ვერცხლის ქამარი გაახსენდა.

ეს გაიფიქრა: მოდი მივალ და გამოგვითხავ, ეგებ მას ენახოსო ჩემი
ქამარი?

თვალი აარიდა რუსიკომ ორივეს, ყურის ბიბილოები გაუწითლდა. ეს კი
გაიგონა, ცისფერთვალეზამ რაც უთხრა სოსოს:

ამ ქალს ჩემი ქამრის ამბავი უნდა ვკითხო სოსო, შენ მიხასას წადი, მე
მანდ მოვალო ახლავე.

რუსიკომ გაიგონა ხევესურულად მოქცევა სიტყვისა, დარწმუნდა ეს უნდა
ყოფილიყო დათვის მკვლელი, მაგრამ მორცხვობამ იძალა და მხარმარჯვისა-
კენ გადაუხვია.

გაგა არაბული ბრბოს გამოეყო და კვლადაკვალ მისდია რუსიკოს.

კოტახანს ორივენი მარტოკა მიდიოდნენ ცარიელ შუკაში, ერთიმეორის
ფეხისხმა ესმოდათ, ბოლოს გამბედლობა მოიკრიფა გაგამ, წამოეწია, ფილაქა-
ნიდან ჩამოვიდა და მოკრძალებულად შეეკითხა ქალს:

„უჟაცრავად ქალავ, ჩემი ქამარი ხომ არ გინახავთ იმ დღეს?“

რუსიკო შეაკრთო რატომღაც მისმა ხმამ.

თავი აიღო.

შეხედა.

საბრალოდ ეჩვენა ბლუზაშემოხეული ხევესური, რომელიც ჯერ კიდევ ამ
ორი დღის წინად საშუალო საუკუნის რაინდს მიაგავდა, გამორულ რომანებში
აღწერილს.

„თქვენი ქამარი? სად დაგრჩათ მერმე?“

ი ტიალი დათვი რომ შამამაკვდა, იმ დღეს დავკარგე, თქვენ მანდ დარ-
ჩით როცა მე წამოვედი და იმადაც გეკითხებითო.

გაგამ ვაიხარა, როცა გაიგო, მისი ქმარი საიმედო ხელში აღმოჩნდა. ბო-
დიშობდა: პაპაჩემის ნაჩუქარია, იმიტომაც შეგაწუხებთო.

„როგორაა პაპა თქვენი?“

ეკითხება ქალი.

„გამომგობინდა, ხვალ ზევ წავა ცხვარში“.

„მაშ ტყელი-უბრალოდ მოგიკლავთ თამაზის დათვი?“

„დათვი უნდა მამეკლა, აბა რა უნდა კაცთაშორის ტყიურს? სულ ერთია,
ვინმეს დასჭამდა უარესად“.

„იციდ, მე უნდა მენახეთ თქვენ, იმიტომაც გამოვედი ქუჩაში“.

„რაო, ჩემი ნახვაც თუ მონატრებია ვისმეს!“

„მონატრებისა რა მოგახსენიოთ და მე მინდოდა გამეფრთხილებინეთ
როგორმე“.

„გაგეფრთხილებინეო, ბიჭოს!“

„იმ ბელის პატრონი, თამაზ ამილახვარი ჩამოდის დღეს-ხვალ და“...

„თქვენი ძმა?“

„ჩემი ძმაო? მე სადა მყავს ძმაი“.

„განა თქვენი ძმა არაა ამილახვრიანთ თამაზი?“

რუსიკომ უარის ნიშნად გაიქნია თავი.

„მაშ თქვენ ძმაი არა გყავთ?“

„არა“.

„დედაი“.

„არც ეგ“

„მამაი?“

„არც მამა“.

„ნუთუ არაეინა გყავთ მახლობელი?“

„არაეინ“.

???

„საბრალო ქალავ“.

ქალმა გაიცინა, ეუცხოვა რომ მას იბრალებდა ეს ჩამოხეული, ბედშევი
ხვესურის ბიჭი:

„თქვენ ვინ გითხრათ ჩემი ძმა იყოს თითქოს თამაზი?“

„ცოქალამ, ჩემმა დედობილმა“.

„არა, თამაზი ჩემი ძმა არაა. მე ამილახვრიანთ გაზრდილი ვარ მხოლოდ“.

„მაშ ვინ იყო შენი დედ-მამა?“

„ალარც ეგ ვიცი“.

„მებრალეებით“.

რუსიკოს არ იამა მეორეჯერ ამ სიტყვის გაგონება, ნაძალადევედ გაილიმა
და ეუბნება:

„მე კიდევ თქვენ მებრალეებით“.

„ვაეკაცის შებრალეება არ იქნების“.

ქალი დადუმდა და გაგა შეეკითხა:

„რად გებრალეებით მაინც?“

„თქვენ ნუ ხუმრობთ, დღეს ხვალ თამაზი ჩამოვა, თუ როგორმე გაიგო
რომ ეს თქვენ მოკალით მისი საყვარელი ბელი, იცოდეთ ვერ გადაურჩებით“.

გაგამ გაიცინა და დაღღმდა.

„არა, მე არ გეხუმრებით“.

„არა, ნუ შემობრალებთ, თუ გნებავთ უთხარით, რომ მე მოვალე მისი ბელი“.



საბჭოთაო გამომცემლობა

საბჭოთაო გამომცემლობა

„მე ამას არ ვეტყვი, მაგრამ შეიძლება სხვამხრიდან გაიგოს და მაშინ? არა, მე ვირჩევთ წაჰყვეთ პაპათქვენს ცხვარში“.

„ცხვორშიო? ცხვორში რაი მინდა?“

„განა თქვენ მეცხვარე არა ხართ?“

„მემცხორე ვიყავი წინად“.

„ახლა?“

„მოსწავლე ვარ“.

რუსიკომ გაიცინა.

„განა ეს სასაცილოა რომ ხევსურიც სწავლობს?“

„არა, ვინა სთქვა ეგ? მე შიამა მზოლოდ“.

რუსიკომ მხარმარჯვენისკენ გაუხვია.

„თქვენ დარდი ნუ გაქვთ, ქაღილი ჯერ აღრეა, მაინც... თამაზ ამილახ-ვარი ჩვენთან ვერას ვახლებია. აქამდის უნდა გაგვებერტყა მაგ!...“

„რათაო?“

„მაგან შარშანწინ ბელი მიუსია ჩემს ნამშობს, ჯულაანთ სოსოსა. მე თუ ვაღამირჩა, სოსო ვაბერტყავს მას“.

„სოსო ჯულაშვილი? მაგ ხომ თამაზზე უმცროსია ბევრად?“

„უფროსობაზე რომ იყოს, პაპიჩემის მამაი, უფლისაი 80 წლისაა, მაშინ იგი იქნებოდა სარდათის კრიეში პირველი“.

ვილაც კოკარდოსანმა გაიარა, სალამი მისცა რუსიკოს, თავი აიღო ქალმა. ფოსტის უფროსი იცნო. რუსიკომ მის მხერაში ამოიკითხა:

„ამილახვრიანთ ოჯახის ქალი და სალამო ეამს ვეათან სეირნობა?“... მიუხედავად ამისა, რუსიკოს სიამოვნებას ჰგვრიდა ცისფერთვალემა ხევსურთან სელა.

ქუჩის დასასრულში გურის ციხე მოსჩანდა. მთვარის შუქზე მას კვლავ მოეგვება თავისი სიდიადე და სიამაყე. ციხის ვადაღმა ვარსკვლავებით მოქედილი ცარგვალი ელავდა, რუსიკოს უნდოდა ამ წუთში ქვეყნის კიდემდის ეარნა ცისფერთვალემა ხევსურის გვერდით, იგი ისეთი ძლიერი და ამაყი სჩანდა, როგორც ეს ციხე და რა თქმა უნდა მას სასაცილოდ მიაჩნდა ახლა, თამაზ ამილახვარის წინაშე შიში.

ისევ გაჩნდნენ ქუჩაზე მთვარალები. რომელიღაც სამიკიტნოდან სამი ჩოხიანი და ხუთი კოკარდინი ვაეკაცი ამობარბაცდა, ისინი გორის ციხეზე ვადმოსულ მთვარეს შესცქეროდნენ და ხმაჩახლჩილნი მღეროდნენ მრავალტამიერს.

უფრო მეტი, რუსიკოს ეს უნდოდა, თან წამოყოლოდა მას ეს ხევსური, რადგან იცოდა, ამაღამ თამაზი ჩამოვიდოდა და დაიწყებოდა რუსიკოს წამება. ამას ფიქრობდა რუსიკო, მიუხედავად ამისა ვაგას მიუბრუნდა და ეს უთხრა:

„ალბათ თქვენი ნამშობი გიცდით, მოდი დაბრუნდით“.

„თქვენ მარტოკა ვაგიშვათ? ვერა ხუდავთ რამდენი მთვარალი კაცი დაეხეტება ქუჩებში?“

ტანწორწებთა ჩოხიანი დაწინაურდა, ქორული მზერით ჩაჰხედა რუსიკოსს, მერმე ღიმილით გადახედა მის კავალერს და ჩაილიღინა.

მხარმარჯვენე მოუარეს ციხეს, რუსიკომ ამილახვრიანთ ქაქაქაქლეს გადახედა. კიფობდნენ ცეცხლები. მატარებელი მოსულია ალბათ, ~~ქაქაქაქლეს~~ დაძაბეს მოჰჭონდა უცნაური ძრწოლა.

უსიტყვოდ მისდევდა გაგა არაბული ქალს და ასე ფიქრობდა: ნეტავ შემეძლოს ამ ქალთან ვიარო დილამდის.

იცოდა გაგამ, იმ ალვის ხეებთან ამილახვრიანთ სასახლე იყო და იქ უნდა გაპყროდა რუსიკოსს, მერმე ეს ბნელი ვზა უნდა გამოეარნა მარტო.

მცირე ხანს მდუმარედ მიჰყევბოდნენ ორივენი ბილიკს.

მერმე ასეთი რამე უთხრა რუსიკოსს ხევსურმა.

„რად მოგიწყენია ქალავ?“

„აბა სასიხარულო რაღაა ამ ქვეყნად?“

„ჩემი სოსო ასე ამბობს: სასიხარულო უნდა გავხადოთო ცხოვრება“.

„ეინ ასწავლა მას ეს ამბავი?“

„ეინ ასწავლა? იგი თავით ასწავლის სხვას. სოსოი ასე უბნობს. უნდა გადაეკეთოთო ცხოვრება. თუ ვარსკვლავებს უხარიათ ცაზე, თუ ყვავილები ახარებენ მიწას, ადამიანმა რად არ უნდა გაიხაროსო? თუ კაცმა მოინდომა სიხარულს მოიყვანსო თავით“.

„რა გულუბრყვილო აზრია. განა ჩვენ ხელთაა სიხარული?“

„იგი ასე ამბობს ცხოვრება ჩვენ უნდა გავხადოთო სასიხარულო. რა ახარებს მამ ცაზე ვარსკვლავებს, ტყეში ფრინველებს, ან ყვავილებს რა ახარებთო მიწაზე?“

„რა და მზე“.

„სოსოი ასე უბნობს ჩვენ უნდა მოვიყვანოთო მზე“.

„თუ ბნელა?..“

„ჩვენ უნდა გავხედეთ სინათლის სათავე“.

რუსიკო გაოცდა, შესდგა და შემდეგ ამისა ეკითხებოდა გაგას:

„ღმერთი თუ სწამს შენს ნამბობს?“

„არა, ეგ ასე უბნობს: გვატყუებენო ხუცები“.

მთვარემ ცალი თვალი დაადგა გორის ციხეს. ჩაბნელებულ გოდოლებში ჩაჭრილიყო ჩქერალი ნათლისა და სიჩუმე დაგანებულიყო მუნ. მდუმარედ ჩაუარეს ციხეს და ალვის ხეებთან ღამე ნებისა უთხრა ორმა ლანდმა ერთმანეთს.

გაგა არაბული შესდგა, თავისი ქამარი გაახსენდა, მაგრამ ეუხერხულა შეეხსენებინა ქალისათვის ქამარი, რადგან იგი ვერცხლისა იყო. სამიოდე ნაბიჯი გადადგა გაგამ, რუსიკო გამობრუნდა და ჩურჩულით ეუბნება: მოიცადეთ, ამ წუთში ვამოგიტანთ თქვენს ქამარს.

როცა ქალმა ქამარი შეაჩეჩა ხელში, მან წელზე შემოირტყა პაპისეული ქამარი და ამ წუთში იგი მზად იყო, მთელს ქვეყანას შემბოდა, რადგან მთვარე მალლა იდგა, განშორებული ქალის ეშხი გულზე მოსდებოდა და სიქაბუჯე ზღუღდა ყმაწვილურ იოგებში.

20. „მუხრანბატონო გაბიხმის მარჯვნივ“.

ტფილისიდან ვორს მიმავალი მატარებლის გასვლას ათი წუთი უკვლად, როცა თავდაზნაურთა მარშალის თხოვნისამებრ გენერალ-მაიორი მკულ-ლითურთ ქალაქში დარჩნენ.

თამაზი და მისი სტუმარი ზურაბ მუხრანბატონი ცას ეწვიენ სიხარული-საგან, თავისუფლად ინავარდებდნენ ვორსში.

ზურაბს ფილტვების კატარი შეჰპყროდა პეტერბურგში, კორპუსიდან სამი თვის შვებულება მიეღო, გულრიპზის სანატორიუმში აქიმობის ნაცვლად ორ-თაქალის ბაღებში „მკურნალობდა“.

სწორედ აქ დასკრა ზურაბმა თამაზ ამილახვარი უეცარი ტყვიით.

ავი ენები ასე ამბობდნენ: ამ საქმეში ლიზა სუმბათაშვილის მშვენიერ თვალებს მეტი ბრალი მიუძღვოდაო, ვიდრე ბრმა შემთხვევას. ამ პატარა ინცი-დენტმა უფრო დაამეგობრა რაყიდები, ზურაბს ტფილისიდან გასვლა არ უნ-დოდა, მაგრამ თამაზის დაკრამ გეზი შეაცვლევინა.

უთენია ვორსში ჩამოსულნი სადგურიდან ტალახას სახაშეში მოხედნენ, ჩუტყერაანთ უბნის ბოლოში. ტალახას დიდად იამა როცა ახალგაზრდა ბატონ-ნიშვილები თავის დუქანში იხილა. ტარაბუხასავით დატრიალდა ფაფუკლიპიანი მიკიტანი.

ატენისა და მუხრანის ლეინოების გამო ატყდა ცილობა. ორიენი სხვადა-სხვა ბუნებისანი იყვნენ და სულ მცირე საბაბი კმაროდა აზრთა სხვაობის გა-სამყოფინებლად.

მუხრანბატონი, რა თქმა უნდა მუხრანულს აქებდა. ამილახვარი ატენურს. თავათ ტალახა მტკიცე ნოაბრალობას იცავდა.

„ფრივე კარგია თქვენმა მშემ, ძველად მუხრანულს მუხრანბატონები მი-ირთმევდნენ, ხოლო ამილახვრები ატენურს“.

მიზა ქილიფთარი დაიმოწმა ტალახამ, ლუარსაბ მეფეს ორი წელი უცხოე-რია ატენის ციხეში, როცა იგი შაჰ-აბაზს ებრძოდა თურმე. ამას წინად აღმო-უჩენია მიზას „მეთვარამეტე საუკუნის ლეინით სავეს ქვევრები“ იმ ციხეში.

„შენ გამოტყდი ტალახაჯან, მუხრანული არა გაქვს, მიზა ქილიფთარი აქ რა შუაშია?“

შენიშნა ზურაბმა.

ბოლოს გადაწყდა ატენურით დაეწყით სმა.

„სალამოს თუ მობრძანდებით, მუხრანულს დაგახვედრებთ“ პირდებოდა მოჭეიფეებს ტალახა.

მოზერის ყანწებით დაიწყეს, მერმე ქონიან ჯამებს მიადგნენ, მუხრანბა-ტონი მოწყურებული მოზვერივით სვამდა, თამაზი არც აქ ანებებდა პირე-ლობას ხნით უფროსს მეგობარს.

თამაზ ამილახვარს სამიკიტოშიაც ამაყად ეკირა თავი, შეხვეული და ბინტზე დაკიდული მკლავი „რომანტიულ“ იერს აძლევდა ამპარტავან კადეტს. ზურაბს უფრო ელეგანტური მუნდირი ეცვა, უფრო ლამაზი პორტუბეა ჰქონ-და ხმლის ვადაზე დაკიდული, სამაგიეროდ თამაზი სილამაზით იჯაბნებდა პეტერბურგელ კადეტს.

ტფილისის სადგურზე; პირველი კლასის ვაგონში, მოჩიტული ქალწუ-ლები შეყვარებულ მოზერას ესვროდნენ „დაპრილ“ კადეტს.

მოურავი სადგურზე დაუხვდა ბატონიშვილებს. თამაზმა განზე გაიხმო ვართანა.

დაანამუსა: „არაა საჭირო გორში იცოდნენ ჩემი უეცარი დატრის მიზეზი, შენ ასე სთქვი ვართანჯან, წინელის ჩეხვის დროს შეუტრფივალ მკვლავთა კავალერიის ესკადრონში, გესმის?“

ვართანამ თავი დახარა.

„რასა ბრძანებთ ბატონიშვილო, ვის რა ესაქმება ბატონიშვილის დატრის ამბავი, ენას როგორ დავსძრავ უთქვენოდ, რა ღმერთი გამიწყრება ბატონიშვილო“.

ესა სთქვა ვართანამ, ნამდვილად კი წინააღმდეგე თავად მოსდო მთელს გორს ასეთი ამბავი: „ქნიაზის“ ვაჟი მუხრანბატონს მოუყევია მაგრად, მერმე მკლავში დაუჭრიაო. ისიც დასძინა: ვიღაც ორთავაღელი როსკიპის გამო მოსვლიათო ცილობა.

თავით თამაზს დიხაც ეწადა იღუმალეების შარავანდით შემოსილიყო მისი დაკოდვის ამბავი გორში.

ატენის ღვინო ისე შემბარავია, როგორც ქართული ჯოჯის ძაღლი, წამოდგები თუ არა, მყისვე გეცემა ბარკლებში.

როგორც ნადეიკ კავალერისტებს სჩვევიათ ეს, ახლად წამოჩიტულმა კადეტებმა ცხენების გამო დაიწყეს საუბარი:

„მართლა წმინდა სისხლისაა შენი იაზონი?“

„ეკითხება ზურაბი თამაზს.“

„წმინდა, წმინდა სისხლისაა, დედა — დადიანის ცირასაგან მოდის, მამა — ბარონ რენენკაშფის კვიცია“.

„პერსეფონესი? ისემც რა გითხრა!“

„დედას გეფიცები“.

„თემური?“

„თემურ — ანგლო-არაბია“.

„ისემც რა გითხრა მე შენ“.

„თემურიც ძვირფასია, იაზონში 20 ათასი მანეთი გვაძლია გრაფმა უვაროვმა“.

ტალახამ არტალა მოართვა სტუმრებს. ახლა არტალას ქებას მოჰყვა მიკიტანი.

„შენ მუდამ შენი ცხენების ქებაში ხარ, ახლა ეს მითხარი, ლაკონტესს¹ ლიზას გულის ჯავრს ვისზე იყრი გორში?“

„On trouvera“².

„ფავლენიშვილის მანანა როგორა გყავს?“

„მანანა ჩემი კუზინაა“.

„მერმე რა?“

„დედას გეფიცები“.

„შენზე ამას ამბობენ შე წუწკო, ბიძაშვილებზე ვარჯიშობსო ჯერხნობით“.

¹ თეადის ქალი.

² მოიძებნება.

„ვინა სთქვა ასეთი ტყუილი?“

„როგორ? ვანა რუსიკო შენი კუზინა არაა?“

„სუ“ წარმოსთქვა ანაზდად თამაზმა, ტუჩთან ხელი მიუჭიქნა ზურაბს, ტალახასკენ ანიშნა თვალი.

„რომელი რუსიკო, ციციანთ ქალი?“

„არა, რუსიკო თქვენი რუსიკო, Elle a magnifique epaules, non seulement les epaules, mais aussi“...¹.

„Mais non...“².

„გარდა ამისა რუსიკო ჩემი კუზინა არაა“.

„მე ასე გამიგონია გორში“.

„შენ რად გაინტერესებს რუსიკო?“

„არა, ისე ვთქვი“.

თამაზმა კისერი წაიგრძელა, თითქოს ჩურჩულით ეუბნება ზურაბს:

„რუსიკო სამი თვისა შემოუვლიათ ჩვენს ეზოში, Vous savez la pitié chrétienne de ma maman“³. მერმე ის იყო შეიბრაღა და გაზარდა. გორში ამილახერიანთ ქალს ეძახიან ამიტომაც რუსიკოს.

ზურაბმა შენიშნა: თამაზს არ იამა რუსიკოს ხსენება, ისევ ცხენების ამბავს მისწვდა.

„რამდენი წლისაა მედეა?“

„მედეა?“...

თამაზს თვალი გაუშტერა უცებ გამოერკვა და სთქვა:

„ოთხი წლისაა მედეა“.

დღეებში ქალაქურად ჩაცმული მოქვიდეები შემოიჭრნენ. ლოყებგაბერილი მედუღუკეები უკრავდნენ საარს. ღიპიანი მედოლე ჩინელი ფონგლიორივით ათამაშებდა რიკებს.

სამი პიჯაკიანი, ერთიც რკინისგზელი ირანულ ყაიდაზე მღეროდნენ ქართულ ბაიათს. ეს იყო სრული კაკაფონია. არც ერთ მათგანს სმენა არა ჰქონდა, უშწოდ იჭაჭებოდნენ და ხაოდნენ.

რკინისგზელს გვერდზე მოქცეოდა ქული, დუფიანი ტუჩებით ჰკოცნიდა პინჯაკიანებს, სიყვარულს ეფიცებოდა.

„ვინც ერთმანეთს უღალატოს დედა შეერთოს ცოლად“...



ახალგაზრდა ბატონიშვილების ჩამოსვლამ ამილახერიანთ სასახლე ააფორიაქა. ვართანა მოურავი ქულისკოლოფი იყო, მან კარგად იცოდა გენერალ ამილახორს შაქრის ავადმყოფობა სჭირდა, დღეს თუ ხვალ თამაზი გახდებოდა მისი მზრძანებელი, ამიტომაც თვალეზში შესცივინებდა თამაზსა და მის სტუმარს.

¹ მის მშვენიერი მხრები აქვს, არა მარტო მხრები, არამედ...

² ნუ, ნუ...

³ თქვენ იცით ქრისტიანული გულმოწყალება დედა ჩემისა.

ზურაბ მუხრანბატონი დედისერთა იყო. კნენა ეფემიას უკვე დაწყებული ჰქონდა მამულების დაგირაგება. ვართანა ტფილისელ სომეხ ბანკირების კლდ-მალი აგენტი იყო, მილიონერის ფრიდონოვის მარჯვენა ხელეფი და ამ მხრით უკვე „ჭუქებს“ ისე შესცქეროდა, როგორც მადლიან, სამერმისო ლუკმას. ნამდვილი „გიე ვრაცებიო“.

როცა ახალგაზრდა „კნიაზებს“ ნასმურობა შეატყო, გონებაში გაელიმა.

„აბა, პირზე ხსენი არ შეშრობიათ და მამაპაპური ქეიფი დაუწყიათ. ახლავე იგეშებიან, ქალბზე ნადირობას სწავლობენ, პაპიროსის ბოლებასა და ლოთობას. შემდეგ?“

შემდეგ მათაც იგივე მოუვიათ, რაც სხვა კნიაზებს. წავლენ პეტერბურგს, დებეშებს დაუშენენ დედებს. ავითა ვარ, ფულეები მომაშეგლე. მერმე ვართანა უნდა დაფაცურდეს. ვიყვარდეს ტირიფონას, ალიანის, კარალეთისა და ოსიანურის მამულების გაყიდვა, ვართანას პროცენტები, ფრიდონოვს მტკერის მარჯვენა და მარცხენა მხარის მამულები, ტყეები და მთები.

ჯერ თავლა დაათვალიერეს ბატონიშვილებმა. ულაცი თემური მქლედ ეჩვენა თამაზს.

ქაკს მედეას თხემის რქაზე აჩნდა ნაკბენი.

„ვინა ჰქნა ეს?“

იყვირა თამაზმა.

ვართანა თავმოდრეკილად წინ წამოდგა, თითქოს მას დაეკბინოს ქაკი.

„გიორგას მტკეარზე ყოლია ცხენები. თემური გასულა მედეაზე და დაუკბენია, ბატონიშვილო“.

„შე არ ვითხარით, თემური არ გააკაროთ მეთქი მედეას?“

„არა, ბატონო, თქვენი რისხვა ნუ მომეცეს, დაგრილებით არ დაუგრილებია თემურს მედეა. ისე გასულა, ქაკს არ უცლია“...

„თუ დაგრილებია, იაზონი უნდა მიგეშვათ მედეაზე“.

ულაცი იაზონი ყურდაცქვეტილი იდგა, თითქოს გაიგონა კიდევაც საამბურ ამბებს რომ ჰპირდებოდა პატრონი.

„ცხენები მოუვლელია, ბრძანა თამაზმა, ახლავე გავზაენე სესია, გიორგა და ვანუა“.

„სესია ცხენზე ვერ ჯდება ბატონიშვილო“.

„რაო, რატო?“

„თიაქარი სჭირს ბატონიშვილო“.

„თოკით წაიყვანოს სესიამ მედეა, გიორგა და ვანუა ულაციებზე შესხდნენ“

მოურავმა დასწყვიტა ბიჭებს, „ზომაპარკისკენ“ მიმავალ ბატონიშვილებს თვალი გააყოლა თანაც. ზურაბს ფეხი ეშლებოდა, თამაზი ჯერაც არ იმჩნევდა სიმთვრალეს.

მელიების აქოთებულმა სუნმა უკუაქცია ქაბუკები.

„შე არ მიყვარს მელიები, შენი დათვი მაჩვენე“.

ამბობს ზურაბი.

თავისი მსუნაგი დინგი გამოჰყო გალიიდან მაჩემა, სალამო მშვიდობისა უსურვაო სტუმრებს.

თამაზის დანახვაზე მოქუჩდნენ მტრელები, მხრებზე ასხდებოდნენ პატრონს.

მტრედებიც დამშეული გყლიათ? სად იყო რუსიკო, რას მიკითვებდა?"

"რაც თქვენ წაბრძანდით, სულ მუდამ თავს იტკივებს, რუსიკო!"

"ქალის დაბადებაში ღმერთი არ გარევიდა, ეუბნება თამაზმა. ზურაბმა კათხოვების ყველი მოაღწევს თუ არა, თავი სტკივა, ვათხოვდება, თავი სტკივა, შვილოსნობას მოათავებს, თავი სტკივა".

"ბუნების წესია ბატონო, ამოღებული ღვინო უნდა დაილიოს, გასათხოვარი ვათხოვდეს და სასიკვდილო მოკვდეს".

"ყველაზე მეტად შენ ვაგვიანდება ვართანჯან?"

"ვათხოვება ბატონიშვილო?"

"არა, სიკვდილი, ვართანჯან".

იოხუნჯა თამაზმა. ვართანას ვაეხარდა კარგ ვუნებაზე ბრძანდებაო „ქინაში“. იოლად ჩაივლისო ბელის დაკარგვის ამბავი.

"ჩემი ბელი რა იქნა?"

წამოიყვირა თამაზმა.

ვართანას ენა ჩაუვარდა შიშისაგან მუცელში.

"მე, მე ქალაქში ვახლდით ბატონო, ჯაჭვი ვაუწყებთა და ვაქცეულა, მერმე ვილაც ხევსური გადაჰყრია და მათკლამს, ბატონიშვილო!"

"ვინ ხევსურია? ხევსურს რა უნდოდა გორში?"

"არ ვიცი თქვენმა მზემ".

თამაზი ვაბელდა.

"როგორ თუ არ იცი? მაშ რა ჩემი ფეხები იცი?"

"რუსიკომ იცისო, გიორგა ამბობდა ბატონიშვილო".

რუსიკო აქ მომგვარეო ახლავე. დაიქუხა თამაზმა. მოურავი რუსიკოს დასაძახებლად ვაიქცა სასახლისაკენ. კიბეზე სურათა შემოეფეთა.

ვართანა ვამობრუნდა.

თავი სტკივაო რუსიკოს დაადასტურა ხელახლა.

თამაზმა ხელი ჩაიქნია, ახლა აკვარიუმის დასათვალიერებლად წაიყვანა სტუმარი. საჯინბოსაკენ ვამობრუნდნენ თამაზი და ზურაბი, ბიჭებს ცხენები ვამოეყვანათ.

თემური მოუსვენრად ღეჭავდა ლაგამს, კიხვინებდა, მედეასკენ მიიწევდა. თავს აკანტურებდა, გიორგა თემურზე შეჯდა, სესიას ჭაკი, მედეა ვამოეყვანა, ეანუა იაზონზე შემჯდარიყო და ჭიშკრისაკენ მიჰყავდათ ცხენები.

კაკლის ქვეშ არ იყვნენ მიღწეული, როცა კვიცი თემური ყალბზე შედგა, საშინლად დაიქიხვინა, სადავე წაართვა გიორგის, წამოეწია მედეას, უკანას ფეხებზე აღიმართა, გიორგა ძირს დასცა და მიეახლა ჭაკს, მედეა დაფრთხა, სესიას დაეჭვებო და აყიროსავით დააპირქვაო იგი.

ვაქნდა ჭაკი, ხვიხვინებდა, ტლინკებს ჰყრიდა ვააფთრებული. თემური ვამოუღვა კვალდაკვალ, სადავეები ფეხებში ვაებლანდა, დასწყვიტა და წამოეწია მედეას.

ზურაბი ვახარებული შესცქეროდა ამ ამბავს, თანაც სასახლის ფანჯრებისაკენ აპარებდა მხერას. ენდროსფერი კაბა ელავდა მანდ, გულით ეწადი, ვამოეხენდა რუსიკოს და დაენახა ეს ყოველივე.

"გაზაფხულია, ამბობს ზურაბი, სიყვარული სწყურია ყველას".

"ძალით სიყვარული?"

„ერთი შენც მყავებარ აბრაამის ბატკანი რალა!“

„რაო ვითომ? შენ ჯერ ძალა არ ვიხმარია?“

თამაში გამოტყდა.

„მე არ მიყვარს როცა ქალი მნებდება, წინააღმდეგობა მიორკეცებს ვნებას“.

ზურაბმა ცხიერად გაიღიმა, თავისი ბიძაშვილი ლენა საგინაშვილი გაახსენდა, რომელსაც ნამუსი ახადა ვაგონში შარშან.

თამაშს არ უნდოდა, თემურს რომ დაეგრილებინა შედეგ.

„ვართანა, ვართანა“.

ასტეხა ყვირილი.

ვართანამ გიორგა შესვა იაზონზე, ჭენებით წამოეწია გიორგა ულაყს, ჭამანი დადაულო კისერზე, მერმე მიჰყვა კვალდაკვალ გაქცეულს და მაჯაგანით დააოკა ულაყი.

ცხენების მიერ ატეხილმა ალიაქოთმა მთელი ეზო ააფორიაქა. ფარშაევანგები დაფრთხენ, მშველი ვაოცებულნი დარბოდა ეზოში, ჯაჭვით დაბმული ძაღლები ვახელდნენ. დაშინებული ინდოურები მორბოდნენ შინისაკენ.

როცა აურხაური შესწყდა, მამალი ინდოური დაერია დედლებს, უცნაურად გაიფხორა, ბიბილოები დაუწითლდა, ლეკურებივით წამახულ ფრთებს უსვამდა მიწას და როზროხობდა ალელგებულნი.

ამ წუთში ზურაბმა თვალი მოჰკრა, შრამელის ფანჯრის გადაღმა რუსიკო იდგა ფარდებს მოფარებული და შესცქეროდა ამ სანახაობას. ასე მოეჩვენა მუხრანბატონს: გამიღიმაო ქალმა. ენდროსფერი კაბა შეენოდა რუსიკოს.



ამ „პიკანტურ“ სანახაობათ სმის განახლება მოჰყვა. სესიას ახალ ახალი ჭურები მოახდევინა ვართანამ, თავის ხელით მოჰქონდა ბატონებთან ცხელ-ცხელი ქაღები და ნაზუქები, ზღვისფერი ატენური ღვინო.

ზურაბი გაჭირვებულდა, ატყდა: ცხენები შეაკაზმინეთ მუხრანში განვაგროძოთო სმა. თამაშმა ვართანა დაანამუსა: ჯიხვი აძგერეთ სტუმარს.

ბოლოს მოურავმა ვერცხლით მოოჭვილი ჯიხვი გაავსო კიდემდის და მიართვა სტუმარს.

როცა მეხუთე ჯიხვი გამოსცალა ზურაბმა, მიწისფერი დაედო, თავბრულ დაეხევა და წამოდგა, ფეხზე ველარ დადგა და ვართანას ჩამოაწვა მხარზე.

მოურავმა ბალივით აიყვანა მთვრალი და აივანზე გამოათრია.

რიკულებს ჭვემოდ ძაღლები წაეკიდნენ ურთიერთს.

როცა ეს საქმე მოათავა მუხრანბატონმა, ხუმრობის გუნებაზე დადგა:

„შენს ბატონს კარგად ჰქონია მეურნეობა მოწყობილი“.

ელზნება იგი ვართანას.

„რათაო კნიაზჯან?...“

„ჯერ სტუმრებს დააპურებთ და მერმე ძაღლებს, არა?...“

„ჰი, ჰი,“, ხითხითებს ვართანა.

ზურაბს მკვდარივით დაეძინა შეზლონგზე.

თამაზი მოუსვენრად ბორგავდა საწოლზე, ღვინომ არ აწყინა, მაგრამ კოშმარი დასჩემდა.

თაველიდან ულაყების ჭიხვინი ესმოდა, მთვარე გამოსულსა და კარაქის ფერ ღრუბლის ბორცვიდან.

სთვლემდნენ სასახლის გვერდით აღმართული ასწლოვანი ცაცხვები, თამაზი ადგა. უკანა კიბიდან გავიდა.

ძაღვები შემოეგებნენ აღერსიანი წკმეტუნით.

შრამელის კარები დაკეტილი დაუხვდა.

ყური მიაღო საკლიტეს.

საშინელი ხვრინვა მოისმოდა დერეფნიდან, გარს შემოუარა შრამელს.

მოახლეებს ერთი ფანჯარა დარჩენოდათ ღია.

თამაზი შეატა ფანჯრის რაფას, მარცხენა ხელით მოეჭიდა, მაგრამ მარჯვენა ვერ მოიშველია და მიწაზე დაეცა.

იბორიალა, იბორიალა, ფიცარი გამოათრია მარნიდან და კიბესავით მიადგა ფანჯარას.

ოთახში შეძვრა ფეხაკრეფით.

დაშვებული ლამპა ხრჩოლავდა, ცობო ტახტზე იწვა ძუძუებამოყრილი, პირი ღია დარჩენოდა და ხერინავდა.

მოხუცი ვარდისაზარს სასთუმლიდან გადაეგდო თავი, სურათას ძონძები დაეხვია თავზე.

თამაზი ცობოს წაადგა თავზე. შიშველი ძუძუების დანახვამ ააღელვა, მაგრამ ოფლის სუნი ეცა, ძმრის სუნის მინავარი.

უკუიქცა და რუსიკოს ოთახისკენ წავიდა ფეხაკრეფით.

დაცდილი ჰქონდა, ფრთხილი ძილი იცოდა რუსიკომ. კარს ყური მიაღო თამაზმა. საკუთარი გულისცემა მოესმა.

ახლა დაფიქრდა თამაზი.

„რად არ გამოდიოდა რუსიკო დღეს? იცის ბატონები აქ არ არიან, ჩემი ეშინია ალბათ.“

ჩემი თუ ზურაბისა? იმიტომაც მოიმინეზა თავის ტკივილი?

თუ ეშინია, რად გაუღიმა ფანჯრიდან ზურაბს?

აჰა, მას ზურაბი მოსწონს ალბათ, ამიტომაც გამირბის და არ მნებდება“.

შარშანდელი აღდგომა გაახსენდა თამაზს. ლიტონიის დროს ზურაბი არ სცილდებოდა რუსიკოს, თუმცა იმ ღამეს უფრო ღამაზეები იყვნენ იქვე, ციციანთ ქალები, ფავლენიანთ გოგოები. ისიც მოაგონდა თამაზს, ლიტონიის შემდეგ ყველას აკოცა რუსიკომ, მამას, დედას ზურაბს და მას. თამაზს არ აკოცა.

წინა წლებში ყოველ აღდგომას ჰკოცნიდა რუსიკო თამაზს, წრეულს და ქალებს შეიცნო ალბათ და ამიტომაც...

რას ეჩხირება ეს ზურაბ მუხრანბატონი თამაზს? ლიზა სუმბათაშვილთან ზურაბი ეჩხირება, თამაზის თანდასწრებით ურცხვად განაცხადა ლიზამ: „Ce jeune prince est tres joli et gentille“¹.

¹ ეს ახალგაზრდა თავადი ზრდილი და ღამაში ვინმეა.

ახლა რუსიკოსკენ აცეკებს თვალებს. დღეს მთელი დღე რუსიკოს ეძებდა მზერით, როცა დათვრა, წარამარა კითხულობდა სად დაიკარგავო რუსიკო? თამაზმა ინანა: რად მოვათრევედიო მუხრანბატონს გორში? მაგრამ ტყეში რომ დარჩენილიყო, ღიზას სამუდამოდ დაჰკარგავდა თამაზი.

აფსუსს, ნანობს თამაზ ამილახვარი, რატ არ ვესროლე მუხრანბატონს სამაგიერო ტყვია?

ისევ მიაყურა რუსიკოს ოთახს.

კენესა შემოესმა იჭიდან. მართლა შემოესმა, თუ მოეჩვენა? კარი შეაღო თამაზმა ფრთხილად. ტიკტიკებდა კედლის საათი, მთვარის შუქით გავსილ ოთახში პირაღმა იწვა ქალი. სულგაკმენდილი ვაფი ცერებზე შევიდა საწოლში. დაიჭრიალა იატაკმა, ისევ შესდგა და მიაყურა. კვლავად მოესმა კენესა, სჩანდა ზმანებას ესიტყვებოდა მძინარე.

დაიჩოქა საწოლის წინ თამაზმა, ძუძუებზე მოუფითურა რუსიკოს ხელი. კიდევ დაიკენესა ქალმა და კედლისკენ შეიბრუნა პირი.

თამაზმა ყვრიმალში აჯოცა მძინარეს, უცნაურად ამო, დამათრობელი სუნი, ქალწულის სპეციფიური სუნი ეცა. ფრთხილად წაავლო ცალი ხელი თავზე, გადმოაბრუნა და აჯოცა ტუჩებში.

რომელი ხარო? იყვირა რუსიკომ და საწოლზე წამოჯდა.

„თამაზი ვარ, რისი გეშინია რუსიკო?“

„რა გინდა ამ შუალამეს ჩემგან?“

„შენი სიყვარული, სხვა არაფერი“.

„აქამდის ვერ გაიგე როგორ მძულხარ შე არამზადა?“

„გძულდე, გძულდე. ოღონდ შენი სხეული დამანებე“.

ეს უთხრა და ტუჩებზე მისწვდა ქალს.

ქალმა ხელი ჰკრა მკერდზე.

„იცოდე თამაზ, ახლავე გაეთორიე აქედან, თორემ ქრისტეს გეფიცები, დედაშენს ეუამბობ ყველაფერს“.

„რას ეტყვი მინც?“

„იმას რომ შენ არამზადა ხარ და სიკოცხლეს მიწამლავ ეს ერთი წელი“.

„რითი გიწამლავ სიკოცხლეს, სიყვარულით?“

„შენი სიყვარული სიკვდილია ჩემთვის“.

„მაშ ვინ გიყვარს, ზურაბი? ხომ ასე?“

„ორივენი არამზადები ხართ“.

„მაშ რად აჯოცე შარშან?“

„აღდგომას ყველას ჰკოცნიან“.

„მაშ მე რად არამაჯოცე?“

„შენ მასზე უარესი არამზადა ხარ და მიტომაე“.

ისევ მიეჭრა თამაზი და განმეორებით აჯოცა, ახლა თვალებში.

„თავი დამანებე თამაზ, თორემ ღიახვში დაეიხრჩობ თავს“.

„არ გაგიშვებ, შეგკოჭავ“.

რუსიკომ იძალა, ცალი ხელი წაართვა და საწოლიდან გადახტომა მოასწრო.

ისეც ეძგერა ვაეი, ძუძუებს უსრესდა, გახელებული ჰკოცნიდა თულებში, ტუჩებში, თმებზე, ყვრიმალეებსა და თმის ძირებს უკოცნიდა, სიყვარულს ეფიცებოდა, ემუქრებოდა ხანაც.

„დამნებდი რუსიკო თორემ“...

„ვერ მოვსწრები მაგას“.

ისეც წაიწია საკოცნელად მთვრალმა.

„გაიგე მძულხარ, არამზადა, ბილწო. რად დაგავიწყდა რომ მე არც დედა მყავს, არც მამა, დედი შენის გაზრდილი რომა ვარ?“

„მით უკეთესი“.

მაშინ ლეწა ვაჟს ყვრიმალში რუსიკომ.

თამაზმა ამ სილით იგრძნო, თუ როგორი სიძულვილი სდებოდა რუსიკოს გულში.

საწოლზე ჩამოჯდა. ეუბნება:

„დამშვიდდი, ახლა საქმეზე უნდა მოგელაპარაკო“.

„რა საქმეზე, შე მრუშო“.

„სიყვარული არც მაქვს შენი. მე იმისათვის მოვედი რომ მართალი ვათქმევი“.

„რა მართალი?“

„შენ უნდა მითხრა, ვინ მოჰკლა ჩემი დათვი?“

„მე რა ვიცი? თუ რამე გინდოდა გეკითხნა, დღეს რად არ მითხარი?“

„დღეს ჩაკეტილი იყავი მთელი დღე.“

გიორგას უთქვამს: რუსიკოს უნახავსო ვილაც ხეცსური“.

„არავეითარი ხეცსური არსად მინახავს. გიორგას ეგ თუ უთქვამს მიუჭარავს, მე არ ვიცი ვინ მოჰკლა შენი დათვი“.

ისეც ეძგერა თამაზი ქალს, საწოლზე წააქცია და უყვირა.

„სთქვი ვინ მოჰკლა ჩემი დათვი?“

რუსიკომ საწყალობელი ხავილი მორთო.

„მომეშვი და გეტყვი“.

თამაზმა ხელი უშვა და უკუდგა.

რუსიკო წამოდგა. ენდროსფერი კაბა ჩაიცვა და საწოლზე ჩამოჯდა, თმები გაისწორა: თავი ჩაჰქინდრა და სთქვა:

„მუხრანბატონო ვაგიხმეს მარჯვენა“.

„რატომ?“

„ტყვია რომ ავაცდინა, შიტომაც“.

თამაზი წაებოტინა ქალს. ელვის უსწრაფესად წამოდგა რუსიკო, ხელი ჰკრა მტკივნეულ მკლავზე. საწოლზე დასცა ვაეი.

ვარდისახარმა გაიღვიძა და ყვირილი მორთო. სურათის არაფერი გაუგია, როცა რუსიკო ღია ფანჯრიდან გადახტა, ვარდისახარის ხელმეორე კივილზე ცობო წამოიჭრა და რუსიკოს ოთახში შევარდა.

გაბოროტებული ვაეი ცობოს შიშველ ძუძუებს ეძგერა გახელებული და თავდავიწყებით დაუწყია კოცნა.

„რამ გადაგრიათ ბატონიშვილო?“

მოსაწრო წამოყვირება ცობომ, მაგრამ მარცხენა ხელით საწოლზე დასცა თამაზმა გოგო და პირი მოუკუნა აქლოშინებულს. ვიდრე სესია, გიორგა და

ვანუა, შრამელში შემოიბრუნდნენ, თამაზმა ფანჯრიდან გადახტომა მოასწრო. კობომ ასეთი ამბავი დაახვედრა ბიჭებს: რუსიკოს ვილაცა შემოუყვარდა კლამეჩემს შემოსვლამდის ფანჯრიდან გადაუყვანიოთ ვაჟს ქალი. გიგულჩოქისა თამაზი დედის საწოლში შეიბარა, ოდესკოლონით შეიწმინდა სახე.

21. კმირაძალი

ლიახვი უწყინარი მდინარე გევონებათ ზამთარში, უღიმღამოდ მოიბარება ლოდებით დახორცილ უზარმაზარ კალაპოტზე, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ მხარს უქცევს ლოდებს, მოდის, მოწანწკარებს, თითქოს თავს ავედრებდეს გამვლელებს: ერთი შემომხედეთ რა საწყალობელი ვინმე ვარო, შორისგზიდან მომავალი და დაშრეტილი. აშხელა კალაპოტი მოუცია არსთა უფალს, მე კი ჯანგამოლეული შემოვდივარო გორში.

დაიწყება თუ არა საგაზაფხულო დიდროაი, ამბობდებო, ამორგდება ლიახვი, გააფიფინებს თავის ვრცელ საწოლს, ფარხმალს აისხამს და წამოვა ზათქითა და გრგვინვით. თან მოაქვს ფესვებიანად მოთხრილი ნაძვები, გარუჯული მორები, ბალღებიანი აკვნები, დამხრჩვალი ცხვრები, და ურმების ნამუსრევი. მოდის მოგრიალებს ლიახვი, გოროზად თავს უტოლებს მტკვარს.

ეს ამბავი კვირაძალში მოხდა.

სწორედ იმ ადგილას, სადაც ლიახვი შეერთვის მტკვარს, ისხდნენ მეგობრები და კოჭაობდნენ: სოსო, პეტა, გაგა არაბული, კურკა, რაზმაძიანთ ბიჭი და ძაღლის მწერი — ვაშალომიძე.

დილიდანვე აიჩემა პეტამ: გორიჯვარზე ავიდეთ, სანთელი აეუნთოთ წმ. გიორგის, პირველობისათვის შევევედროთო. სოსომ და გაგამ მინც თავიანთი გაიტანეს, ჯერ ვიბანავოთ, მერმე ვილოცოთო.

სოსო ზედ მტკვრის პირად წამომჯდარიყო ლოდზე, ჩაფიჭრებული გასცქეროდა აზვავებული მდინარის დაუცხრომელ სრბოლას.

პეტა გაეცალა ყმაწვილებს, ფერხით მიუჯდა მეგობარს, მუხლზე ხელი დაადო და ეკითხება:

„რამ დაგაფიჭრა სოსოჯან?“

„წუხელი დარვინი გავათავე პეტა და იმაზე ვფიჭობ... იცი, პეტა, მართალი ყოფილა მიხა ქილიფთარი, ღმერთი არა ყოფილა და ჩვენ კი ამდენხანს გვატყუებდნენ თურმე“.

პეტა შეძრწუნდა, წარბები აიწკია.

„რას ამბობ სოსო, ღმერთი თუ არაა, მაშ ეგ მზე, ეგ მთვარე და ვარსკვლავები უპატრონო ცხვრებივით დაეხეტებიან ცაზე?“

„მავათაც თავიანთი კანონები ჰქონიათ თურმე პეტა“.

სოსო მცირე ხანს დადუმდა, გასცქეროდა ლანქერებისაგან გახლებულ მდინარეს, შემდეგ ამისა თავი აიღო და ამბობს:

„ვინ იცის რამდენ ათას წელს მოგზაურობს ეს ჩვენი მტკვარი, ამდენსავე ხანს ახსენებდნენ ღმერთს, იგი მართლაც რომ არსებობდეს, უეჭველად მიეშველებოდა საწყალ ხალხს. ესაა, ჩვენ იხტიბარს მინც არ ვიტყვით და გლახა ბეციასავეთ ვეკლანებით წარამარა“.

„დარვინი, ჰმ, დარვინი, ვანა დარვინი ამბობს ლმერთი არ არისო?“
 „დარვინი ამას არ ამბობს, მაგრამ იგულისხმება მისი ნაწერიდან“
 „აბა რითი სჯობია შენი დარვინი ამ ლექსს?“

ნაწერიდან
 ნაწერიდან
 ნაწერიდან

«Чем ночь темнее,
 Тем ярче звезды,
 Чем глубже скорь,
 Тем ближе бог».

„ეჰ სახარებაში ამაზე უკეთესი ადგილებიცაა პეტა, მაგრამ ეს ლამაზი სიტყვებია მხოლოდ“. ამის თქმა მოასწრო სოსომ და პეტა გველცემულივით შეწამოიჭრა, იყვირა:

„ლმერთო უშველე“.

„ხომ არ გაგიედი, პეტა, რა გაყვირებს?“

ეუბნება სოსო.

„გაღმა ქარაფიდან ქალი გადაეარდა ლიახვში, მე ვხედავდი აქიდან თუ როგორ გადაიწერა პირუგვარი და გადაეშვა“.

სოსომ ბლუზა გაიძრო საჩქაროდ. გავასა და ძაღლის მწერსაც შეემჩნიათ იგივე. გავა ჯერ რიყეზე იჯდა და ფეხზე იხდიდა, დანარჩენები შიშველნი იყვნენ, მაგრამ ვერა ბედავდნენ წყალში შესვლას.

ვიდრე გავა ნაპირამდის მიიღწევდა, სოსო უკვე წყალში შესულიყო, აუჩქარებლად მიდიოდა, ფეხით სინჯავდა ლოდებით დახორგილ ფსკერს და როცა წელამდის უწია წყალმა, ერთი შეხტა პაერში და მხარგაშლილი გადაეშვა ამღვრეულ მდინარეში.

გავამაც ასე იარა და როცა მზრისთავები დაუფარა წყალმა, მინებდა მდინარებას და ბაყაყური მოუსვა.

ჯერაც მდინარის შუალედამდის არ იყო მისული გავა, როცა მან თვალი მოჰკრა სოსოს. იგი გამძაფრებით ებრძოდა ტალღებს, მხარულით მიაპობდა აბობოქრებულ მდინარეს. თავით გავაც შეეცადა სწორი გეზით ეცურა იქითკენ, სადაც ენდროსფერი სამოსი ელავდა წყლის ზედაპირზე, მაგრამ ერთბაშად გრიალით წამოვიდნენ შუალედი ტალღები.

მხარი შეაქცევინეს არაბულს და სამხრეთისკენ გაიტაცეს იგი.

გავამ უტია ზვირთებს, ბაყაყურიდან მხარულზე გადავიდა და თავისი ძლიერი მკლავებით შეუტია აბობოქრებულ მდინარეს, მაგრამ ისევ შემოეშველნენ ტალღები, ეკვეთნენ საშინელის სისწრაფით არაბულის განიერ მკერდს, დაატრიალეს იგი და გაიტაცეს თან. მაგრამ ყვინთვით სელა არჩია მცირე მანძილზე და როცა მთლად გაღურჯებულმა თავკისური ამოჰყო, მან უკვე ველარც ენდროსფერი სამოსი დაინახა და ველარც სოსო.

ფიცრულზე გადავიდა, ერთბაშად დაფიქრდა.

ნუ თუ სოსო გაიტაცა წყალმა, ეგზომ გამოცდილი მოცურავე, რომელიც თვით უშესანიშნავესს, ბაყალ ბიწაქეს ტოლს უდებდა ხოლმე.

ღონე მოიკრიფა სასოწარკვეთილმა და შეუტია ხელახლა ლიახვს.

ერთბაშად რალაც უცნაური ხმა შემოესმა ვაგას, კამეჩი მოჰქონდა წყალს, მხოლოდ ბრჭყვილა დრუნჩი, ყურები და რქები მოუჩანდა პირუტყვს. მოცურავედა ქანცმილეული კამეჩი, ნაღვლიანად ყოყინებდა ეამიდანვე.

ერთი გაიფიქრა ქანცმილეულმა არაბულმა: წამოვეწავებო ჩემს ბელადს წაეველებ და დავისვენებო მცირეს, მაგრამ ნაპირიდან ყიფინი შემოესმა, თავისი ანგალი ტოლები მოაგონდა, დამცინებენო იფიქრა, ისევ ვაპკრა მხარული, უკანასკნელის ძალით მოუსვა.

კამეჩი ჩაატარა წყალმა და ვაგა არაბულმა თვალი მოჰკრა ნაპირისაკენ მიმცურავ სოსოს, დააკვირდა და ხედავს მარტო არ იყო იგი, ნაწნავებიძ დაეთრია ენდროსფერ სამოსიანი ქალი. მხნეობა შეემატა მოცურავეს, ძალოვნად ვაპკრა მხარული და წამოეწია მეგობარს. როცა ნაპირზე გამოათრის საესებით გაოგნებული ქალწული, ვაგა არაბულმა ამილაბერიანთ რუსიკო შეიქნო.

დასასრული შემდეგ ნომერში

მ. ი. ლეჩოხიძის

ს ა მ შ ო ბ ლ ო

მიყვარს სამშობლო, მაგრამ მიყვარს სხვა სიყვარულით,
იმას ვერ დაჟღევს ჩემი გონება.

არც ეს დიდება, ხალხთა სისხლით პირდაფარული,
არც მყუდროება, სივრცეებს რომ ებატონება,
არც წარსულიდან დარჩენილი თქმულება ძველი —
არ არის ჩემთვის სიხარულის, შვების მომგვრელი.

მაგრამ მე მიყვარს, — და ჩისთვის კი, თვითონ არ ვიცი, —
მისი ველების მღუმარება, სიცივით სავსე,
მის თვალწვედინელ ღრმა ტყეების შრიალი მტკიცე
და მდინარეთა ადიდება — ზღვებისა მსგავსი...
მიყვარს, როდესაც ჩემი ეტლი სოფლის გზით მიჰქრის,
მიარღვევს წყვილად, გაურკვეველს და სულთამხუთავს.
ღამის გასათევ ადგილს ვეტრფი დაღლილი ფიჭრით,
ირგვლივ მოწყენილ, ყრუ სოფლების სინათლე ბუჩუტავს.

მე მიყვარს კვამლი დამწვარ ნამკალის,
ველზე მოხეტე ურემი მძიმე,
ჯეჯილში, სადაც არ ჩანს ნამკალი,
ორი არყის ხე დგას მოციმციმე.

ბევრისთვის უცნობ სიამის გრძნობით
ვუცქერი პურით დატვირთულ კალოს,
ვხედავ ქოხების ფანჯარას ტრფობით,
სახურავების დასეტყვილ ჩალას.

მოდის საღამო, ვარსკვლავთ მომფენი...
მზად ვარ ვუცქირო მე საათობით,
ცეკვას, აღნიშნულს ბაკუნით, სტვენით,
და მთვრალ ვლენების მასლაათობით!

თარგმანი ვალ. ზაფრინდაშვილისა

მოგაკლავი გლადიატორი

ზეიმობს რომი გულსასტიკი. ტაშის ხმით გრგვინავს
ასპარეზის წრე, კელავ სამსხვერპლოდ გადაქცეული.
ის კი მახვილით განგმირული, ის მტვერში გმინავს
და სისხლით არის შეღებილი მისი სხეული.

ამაოდ ითხოვს შეცოდებას მღვრე თვალებით:

ამპარტავანი მედროვე და ცრუ სენატორი,
უცქერენ იმას უღარდელნი, შეუბრალები...

რა არის ბრბოსთვის წაქცეული გლადიატორი?

მხოლოდ მასხარა, სულს რომ ღაფავს მეტი წვალებით.

იგი იცლება სისხლისაგან და მის წინაშე
რალაც სინათლემ გაიელვა, როგორც მიწაში.

იმას ღუნაი მოდუღუნე უმღერის ნანას.

ის ხედავს მამულს, აყვავებულს თავის ქვეყანას

და თავის ოჯახს, ლაშქრობისთვის მან რომ დასტოვა.

წარმოდგება თავის მამის სიბერე მძიმე,

ხედავს მშობელის გამოშვერილ ხელებში გლოვას;

საკუთარ ბავშვებს ის შენატრის, ვით ძვირფას იმედს.

სჯერათ მის შეილებს, რომ ნადავლით ის უკან მოვა.

მეგრამ ამაოდ! ის წაიჭკა, როგორც ნადირი.

საბრალო მონა, არ იქნება ის დანატირი.

— გემშვიდობები შენ, მამულო, შენ, ბილწო რომო!

ნუ თუ შენც ასე, ევროპისა ძველო ქვეყანავ,

ვისაც მოძღვართა გეკუთვნოდა რწმენა და ნდობა,

შენც სამარცხეინო სამარისკენ ეშვები განა?

ვნებათა ცეცხლით და ეჭვებით გაწამებული,

ბავშვთა ტიკინა, იმედს, რწმენას ხარ მოკლებული.

და შენ დაგცინის მოზეიმე ბრბოთა კრებული.

თვით სიკვდილის წინ მიაპყარი შენ თვალთა ცქერა

ღრმა მწუბარებით, ღრმა დანანებით

ნორჩ სიკვამუტეს, რომ გიზიდავს, ვით ძალთა ბგერა;

დიდი ჭანია დაივიწყე შენ ყრმობის კერა,

რომ ფუფუნებას მისცემოდი ყალბი ზმანებით.

უკანასკნელი წამებანი ჩაიხშო გინდა:

შენ გაჯადოვებს შორს წარსულის სიმღერა წმინდა,

რაინდულ დროთა მოგონება გზიბლავს მღელვარე

და მიუწვდომელ ოცნებათა მზე მოელვარე!

მ. ი. ლინკოვსკი

რად არ გავჩნდი ქვეყანაზე
მოელვარე და ლურჯ ტალღად;
მთვარის ზუჭზე, ქარის ხმაზე
ფიქროლებდი ცის-ქვეშ ლაღად.
წაგვკოცნიდი მეტი ტრფობით
ოქროს ქვიშის, დაუწურავს,
შევხედავდი ზიზღის გრძნობით
ნავს, სიფრთხილით ზღვაში მცურავს.
რაც ავ კაცმა შექმნა დღემდე,
დავარბევდი, დავლეწავდი,
და ტანჯულებს ამის შემდეგ
ჩემს გრილ გულზე მივიკრავდი.
თვით ჯოჯოხეთს მშობელ ზღვაში
მე არ შევეუწინდებოდი,
სიგრილესი და ლტოლვასი
მე მარადის ვიქნებოდი.
არ მსურს ნისლითა შორი თალი —
წარდილოეთის ცივ მზარეში;
მე ვიქნები მუდამ ლაღი,
ზღვის სიღრმეში მოთარეშე.

თარგმანი ვალ. ბაზრინდაშვილისა.

მ. ლაჩოცხელი

პოეზი

ჩემი ხანგალი კრთის ოქროთი შემოჭედული.
პირი აქვს მტკიცე, უნაკლო, მკვეთრი.
იღუმალ წრთობით არის იგი გამობრძმედილი —
ხერხით მშფოთარე აღმოსაველეთის.

მეომარს მთებში ემსახურა წელი მრავალი,
არ უთხოვია მას საჩუქარი.
არა ერთ მკერდზე საშინელი გააფლო კვალი
და არა ერთი გაპკვეთა ფარი.

იყო, ვით მონა, განუყრელი ქორწი და ლხინში,
მტერს სცემდა თავზარს პასუხი მისი,
და იქნებოდა იმ ხანებში ოქროს ზარნიში
მისთვის სასირცხო და უვარგისი.

მამაც ყაზახმა თერგის იქით მიტოვებული
პოევა ის მოკლულ გმირის მახლობლად,
და შემდეგ დიდხანს ეგდო იგი დავიწყებული
სომხის სალაშქრო დუქანში ობლად.

დღეს მშობლიური და ნალეწი ომში ქარქაში
გმირის თანამგზავს არ ამკობს უკვე...
იგი კედელზე უწებელი ეხლა კაშკაშებს,
ვით სათამაშო ურგი და უქმი.

ახლა არავინ მოამაგე, მზრუნველი ხელით
მას არ ეხება — აღერისის ნაჩვენეს,
და მის წარწერას, როს მლოცველი განთიადს ელის,
არავინ კითხულობს და არავინ არჩევს.

შენც ხომ, პოეტო, ამ განცხრომის საუკუნეში
დანიშნულება დაჰკარგე შენი!
ოქროს ანაცვლე შენი ძალა, რომლის წინაშე
იღვა ქვეყანა განაბულ სმენით.

დრო იყო, მძლავრი შენი სიტყვა, სიმტკიცით სავესტ
 ცეცხლს უკიდებდა ვაეკაცს ბრძოლისთვის.
 საჭირო იყო იგი ბრბოსთვის, ვით ლზინში თასი, ეკაცნულნი
 ვით საკმეველი წმინდა ლოცვისთვის.



ბრბოს თავს დაჰქროდა შენი ლექსი ლეთაებრივ ძალით
 და დიად ფიქრთა გამომაბილი
 სქექდა ზალხისთვის, როგორც ვერეს კოშკიდან ზარი,
 ლზინის და ტანჯვის გამომსახველი.

მაგრამ მოგვეწყინდა შენი სიტყვა წრფელი, ძლიერი —
 ჩვენ პრჭყვიანობები და ტყუილი გვაღბენს.
 ძველი ქვეყანა, ისე როგორც ტურფა ზნიერი,
 ფერ-უმარილით იღებავს სახეს.

დასძლევ, ჭურუმო გაკიცხულო, ძილს, შენ რომ გტანჯავს!
 თუ, შურის მდომი, წინად დიდებულს
 ველარ ამოგლეჯ ჭარჭაშიდან მღელვარე ხანჯალს —
 დღეს უსახელოთ თანგმოკიდებულს?..

თარგმანი კოლაუ ნალირაძისა.

ა. ი. ლეჟინსკი.

გაქლივარ გზაზე

გავდივარ გზაზე და სიერტეს ვუცქერ:
ნათელი ნისლით გზა იბურება;
ღამეა. უფალს უდაბნო უსმენს,
ვარსკვლავი ვარსკვლავს ესაუბრება.

წყნარი ლაქვარდი მიწას აძინებს,
უცხო ზემით ანათებს ღამეს...
მე რაღა მტანჯავს, ან რა მამძიმებს?
იქნებ მოველი, ან ვნანობ რამეს?

ვიცი, ცხოვრება არაფერს შემძენს,
წარსულზე მეტქმის მე მხოლოდ ძვირი,
თავისუფლებას, სიმშვიდეს ვეძებ,
მსურს გარინდება და მყუდრო ძილი!

ხოლო სამარის ძილი კი არა...
მსურს საუკუნო სიზმარი ერთი,
რომ გულში თვლემდეს სიცოცხლის ძალა,
რომ ნელი სუნთქვით ტოკავდეს მკერდი.

რომ დღე და ღამე შეუშფოთები
მესმოდეს ტრფობის ხმათა წკრიალი,
ჩრდილებს მაფენდნენ მუხის ფოთლები,
სმენას მიტკობდეს მათი შრიალი.

მთარგმნელი მიქაელ კაბარიძე

8. ლირიკონობი

•
•

შენი თვალები ცასა ჰგავს მგზნებარს,
მისებრ ბრწყინაეს და შეენის,
კოცნის ხმასავით წკრიალებს, დნება
ხმა ყმაწვილური შენი;

შენს ერთ ჯადოსნურ სიტყვაში, ანდა
შემოხედვაში მარტო,
ბროზის მშვენიებას, ჩემს ქართულ ხანჯალს
მე სიხარულით დაეთმობ;

ისიც ხანდახან ბრწყინავა სრული,
ფლერაც ტკბილია მისი,
ამითროლდება იმ ხმაზე სული
და გულში მიღულს სისხლი...

მაგრამ მას აქეთ მშფოთეარე დღენი
ვერ მიტაცებენ ალით,
რაც გავიგონე ნაზი ხმა შენი, —
ვნახე ქუქუნა თვალი.

თარგმანი ა. სიძინავასი.

პავლი ინგოგოვსკა

ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა¹

მისამე პერიოდი ქართული მწერლობისა

აღკვეული ფოლკლორის ხანა

(მე-8 — 11 საუკუნეები)

თავი მეთექვსმეტი

სამართ. მხატვრული მწერლობა.

მე-8 — 11 საუკუნეთა ქართულს ლიტერატურაში, იმ ენარების გვერდით, რომლებიც სასულიერო-ქრისტიანულ ელფერს ატარებენ, არსებობდა ენარები საერო მხატვრული მწერლობისა.

საერო მხატვრული მწერლობა ამ ეპოქისა დასაყრდენს პოულობდა საერო ფოლკლორ საზოგადოებაში, იგი იყო უშუალო ამსახველი საერო ფოლკლორის გარემოსი, იდეებისა, მსოფლმხედველობისა.

ვიდრე გადავიდოდეთ საერო მხატვრული მწერლობის მიმოხილვაზე, აქ საჭიროა წინასწარ აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: ძველი ეპოქის ქართული საერო მხატვრული მწერლობა საერთოდ, და კერძოდ საერო მხატვრული მწერლობა მე-8 — 11 საუკუნეებისა, როგორც ირკვევა, უაღრესად ფრაგმენტარული სახით არის მოღწეული.

ამას, როგორც ეს გამორკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში, თავისი ისტორიული მიზეზები ჰქონდა. იმ არა-ერთგზისი ისტორიული კატასტროფების დროს, რომლებიც განიცადა საქართველომ წარსულში, და რამაც რამდენჯერმე გააპრუდა საქართველოს ისტორიული განვითარების ხაზი, — დაიღუპა წინა-ეპოქების კულტურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი; ხოლო პირველ რიგში და უმთავრესად დაიღუპა საერო მწერლობის ძეგლები. გადარჩა შედარებით უფრო დაცული სამონასტრო წიგნთსაცავები, (ისიც გადარჩა ნაწილობრივ, შეიძლება ითქვას — მრავლისაგან მხოლოდ უმცირეს შემთხვევებში), ხოლო სამონასტრო წიგნთსაცავებში საერო მწერლობის ძეგლებს იშვიათად თუ ჰქონდა

¹) იხ. მათობი № 1 (წერილი პირველი), № 2 და 4 (წერილი მეორე), № 9 (მესამე წერილის პირველი ხელი თავი).

ადგილი. ამის შედეგია, რომ საერო მწერლობის მემკვიდრეობა ასე ფრაგმენტარულად არის მოღწეული¹⁾.

მაგრამ ის ძეგლები, რომლებიც გადაურჩა ამ ისტორიულ კატასტროფებს და მოაღწია ჩვენ დრომდე, მაინც იძლევა საშუალებას ზოგადად წარმოადგინა შევადგინოთ ძველი ხანის საერო მხატვრული მწერლობის საერთო სურათის შესახებ.

პირველ რიგში აქ შევჩერდებით ისტორიულ-ეპიური ეპოსის ორ ნაწარმოებზე, რომელთა სახით ჩვენ გვაქვს ეპოქის მეტად საყურადღებო ლიტერატურული დოკუმენტები.

საისტორიო „ჰამბავნი“

ძველ-ქართულ მწერლობაში საისტორიო დარგის თხზულებას ჩვეულებრივ ეწოდება „ცხოვება“. ეს ტერმინი „ცხოვება“ („ცხოვრება“) აღნიშნავდა იმ ცნებას, რომელსაც ჩვენ გამოვხატავთ სიტყვით: „ისტორია“.

მაგრამ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მემკვიდრეობაში ორი ნაწარმოები წარმოადგენს ერთგვარს გამონაკლისს; მათ ეწოდება არა მხოლოდ „ცხოვება“, არამედ ამავე დროს მათ მიემართება მეორე სახელწოდება: „ჰ ა მ ბ ა ვ ი“.

ეს სახელწოდება „ჰ ა მ ბ ა ვ ი“, როგორც ირკვევა, სპეციფიური ლიტერატურული ტერმინია, იგი აღნიშნავს ამ ძეგლების გარკვეულს ეპიკურულ თავისებურებას.

პირველი ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს ამ ეპოსს, — ისტორიულ „ჰ ა მ ბ ა ვ ი თ ა“ დარგს, — ეს არის ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს თხზულება.

სახელწოდება ლეონტი მროველის თხზულებისა ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი:

პირველი სახელწოდება არის: „ც ხ ო რ ე ბ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ე თ ა და პ ი რ ვ ე ლ ი თ ვ ა ნ თ ა მ ა მ ა თ ა და ნ ა თ ე ს ა ვ თ ა“;

მეორე სახელწოდებაა: „ჰ ა მ ბ ა ვ ი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ე თ ა და პ ი რ ვ ე ლ ი თ ვ ა ნ თ ა მ ა მ ა თ ა და ნ ა თ ე ს ა ვ თ ა“; (ამ მეორე სახელწოდებიდან მომდინარეობს ამ ძეგლის შემოკლებული სახელი: „ჰ ა მ ბ ა ვ ი მ ე ფ ე თ ა“)²⁾.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში იმდენად საინტერესო არაა, თვით ავტორმა უწოდა თავის ნაწარმოებს „ჰამბავი“, თუ ამ ნაწარმოებს ეს სახელი „ჰამბავი“ შემდეგ მიაკუთვნეს. თუ სახელი „ჰამბავი“ შემდეგ არის მიკუთვნებული ამ ძეგლისათვის, რასაკვირველია ეს საქმეს არა სცვლის; შემდეგი ხანის ქართველი მწიგნობარნი სხანს კარგად არჩევდნენ, რომ თხზულება ლეონტი

¹⁾ იხ. ამ საგანზე უფრო დაწერილებით ჩვენი წერილი: „რუსთაველის ეპოქის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ („რუსთაველის კრებული“, ტფ. 1938 წ.).

²⁾ ასე, ძველი ქართველი ავტორის არსენის თხზულებაში ლეონტი მროველის ეს ნაწარმოები მოხსენებულია ამ შემოკლებული სახელით: „ჰამბავი მეფეთა“.

მროველისა ეს არის არა „ცხოვრება“, ე. ი. არა ისტორია ჩვეულებრივად გაგებით, არამედ „ჰამბავი“ — ისტორიულ-ეპიური ნაწარმოები¹⁾.

მეორე ნაწარმოები ამ ეპოქისა, რომელსაც აგრეთვე ეწოდებოდა „ცხოვრება“ ან „ცხოვრება“, არამედ „ჰამბავი“, — ეს არის საისტორიო-ეპიური თხზულება უჯარმელისა, შემდეგის სათაურით:

„ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა მშობელთა, და შემდგომად თვით მისი, დიდისა — მეფისა, რომელი უმეტესად სხვათა განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“²⁾.

ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით გავეცნობით ამ ძეგლებს.

ა.

ლეონტი მროველი.

„ჰამბავი (ცხოვრება) ქართველთა მეფეთა

და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“

ლეონტი მროველის თხზულებაში მოთხრობილია საქართველოს ისტორია — მითიური ხანიდან მოკიდებული.

მოთხრობა იწყება ზღაპრული ნებროთ გმირის ამბავით, რომელმაც ააშენა ბაბილონის გოდოლი, და რა დროსაც ვითომც მოხდა ენათა განყოფა და ერებად დანაწილება. ავტორი ებება კავკასიის ხალხთა („თარგამოსიანთა სახლის“) წარმოშობის საკითხს. ამას მისდევს ლეგენდარული თხრობა საქართველოს ისტორიის უძველესი ხანის შესახებ („ჰამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა“) — რომელიც მოყვანილია ნებროთ გმირის დროიდან ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე, მე-4 საუკუნემდე ჩვენი წელთ-აღრიცხვის უწინარეს.

აქ სრულდება ერთი ციკლი ლეონტი მროველის მოთხრობისა.

ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ ჩვენ გადმოვიდებით მითიური ხანიდან ისტორიულ ხანაში. ლეონტი მროველის თხზულების შემდეგს ნაწილებში მოთხრობილია საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბება ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ (მე-4—3 საუკუნეთა მიჯნაზე). ზოლო ამას მოსდევს მოთხრობა საქართველოს მომდევნო ისტორიის შესახებ შვიდ საუკუნე ნახევრის განმავლობაში.

მოთხრობა სრულდება მე-5 საუკუნის 20-იან წლებზე ჩვენი წელთ-აღრიცხვისა.

¹⁾ აღენიშნავთ ამასთან, რომ არ არის გამორიცხული, — ეს ორმაგი სახელწოდება „ცხოვრება“ და „ჰამბავი“ თვით ლეონტი მროველისაგან მომდინარეობდეს. ამას გვაფიქრებინებს ლეონტი მროველის თხზულების ტექსტი; პირველი თავი მროველის თხზულებისა სრულდება ასეთი დასკვნითი უწყებით:

„აქამომდე დაწერიეთ ჰამბავი ესე რვათავე ძმათა“.

მეორე თავი ლეონტი მროველის თხზულებისა იწყება ასეთი ზედწერილით:

„აქათგან ვიწყეთ და წარმოვთქვით ჰამბავი...“

²⁾ ამ მეორე ძეგლსაც ზოგ ზელნაწერებში ეწოდება „ცხოვრება“, ზოგში „ჰამბავი“.

თვით ლეონტი მროველი, როგორც ირკვევა, მე-8 საუკუნის მწერალია; მისი თხზულება (— ამის დადგენა შესაძლო ხდება სრულის ზედმიწევნალობით) — დაწერილია მე-8 საუკუნის ნახევარში¹⁾.

ლეონტი მროველის თხზულება ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. მისი თხზულების არა მარტო პირველ მითიურ ნაწილს, არამედ ისტორიულ ნაწილსაც, ე. ი. ხანას ალექსანდრე მაკედონელის დროიდან — ვიდრე მე-5 საუკუნემდე.

ლეონტი მროველს, როგორც ირკვევა, ხელთა ჰქონია უძველესი ქართული საისტორიო წყაროები, მაგრამ ლეონტი მროველის თხზულებაში შერჩენილია მხოლოდ ზოგადი ქარგა ისტორიისა, და მოთხრობა ისტორიულ პირთა შესახებ გახვეულია სხვადასხვა ლეგენდების საბურველში.

მაგრამ მთავარი დამახასიათებელი ხაზი ლეონტი მროველის თხზულებისა არის არა ის, რომ იგი ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. ლეგენდარული ხასიათის თხზულებანი ქართულს ლიტერატურაში არა ერთია და ორი.

მთავარი აქ ის არის, რომ ლეონტი მროველის თხზულება წარმოადგენს საერო მხატვრული მწერლობის სტილის ნაწარმოებს, ეპიურ ხაზებში ვაშლილს, საგმირო რომანის ელფერიით.

ლეონტი მროველის თხზულებას, და აგრეთვე ამავე ეპოქის მეორე ნაწარმოებს, უჯარმელის თხზულებას („პამბავე ებტანგ გორგასარისა“) — ცხადად ეტყობა გავლენა საგმირო რომანების ეპიკისა. როგორც ირკვევა, ქართულ საერო მწერლობას ადრეიდანვე შეუთვისებია ტრადიციები ძველი ფაქლათური საგმირო ეპოსისა. ირკვევა ამასთან, რომ ამ ეპოქაში, მე-8 — 9 საუკუნეებში, ქართულად სჩანს უკვე იწერებოდა საგმირო რომანები იმ ტიპისა, როგორც იყო მაგალითად შემდეგ-დროინდელი „ამირან-დარეჯანიანი“. მთელი რიგი ეპიზოდები ლეონტი მროველისა და უჯარმელის ისტორიულ-ეპიურ მოთხრობებში დამუშავებულია ასეთი საგმირო რომანების სპეციფიური სტილით.

ასე, ლეონტი მროველის თხზულებაში საგმირო რომანის ყაიდაზე არის აწერილი თარგამოსიანთა და ნებროთიანთა ომი; ისტორია ქართველი მეფის მირვანისა; ისტორია არბაქისა და აღორკისა; ისტორია აზორკის და ამაზაურის და სუმბატ ბივრატიანის ლაშქრობათა; თავგადასავალი ქართველი მეფეების ფარსმან ქველისა, მირდატისა და მხედართ-მთავრის ფარნავაზისა; ისტორია ამაზასპისა და სხვ.

რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს ლეონტი მროველის სპეციფიურ ეპიურ სტილზე, მოგვყავს აქ სანიმუშოდ ეპიზოდი, სადაც აწერილია ბრძოლა

¹⁾ ლეონტი მროველის თარგმანის საკითხი დეტალურად გვაქვს განხილული სპეციალურ მონოგრაფიაში, რომელიც დამატების სახით ერთვის ამ მესამე წერილს: „ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8 — 11 საუკუნეთა ძეგლები.“

აღნიშნავთ აქვე, რომ ლეონტი მროველის თხზულების იმ დედანში, რომელიც „ქართლის — ცხოვრების“ კრებულშია მოთავსებული, მე-8 საუკუნის ძირითად ტექსტთან ერთად მოიპოვება უფრო გვიანდელი დროის ჩანართი ნაწილი, რომელიც ეხება ტრისტან-ანზის ვაერცელებას საქართველოში (ნინოს და ანდრია მოციქულის შესახებ ტექსტები). ეს ჩანართი ნაწილი, როგორც ირკვევა, ეკუთვნის მე-11 საუკუნის ავტორს (იოანე დეკანოზს). ჩვენ აქ, ამ მიმოხილვაში, საუბარი გვაქვს ლეონტი მროველის ძირითად ტექსტზე, რომელიც მე-8 საუკუნით თარიღდება (ე. ი. აღნიშნული გვიანდელი ჩანართის გამოკლებით).

ქართველი მეფის არბაკისა და სამეფო ტახტის პრედენდენტის ადორკისა. ჩვენ აქ თითქო საგმირო რომანის ფურცელს ვკითხულობთ, ფეოდალური ხანის ტურნირის აღწერილობას:

„ითხოვა ბრძოლა არბაკ ადორკისა.

„ხოლო ადორკი სიხარულითა აღიჭურა საქურველითა შვენიერთა და აღჯდა ტიჟსა და ჰრქვა სპათა მისთა: „განმიმავრეთ ზურგი კერძი ჩემი და ნუ შესძრწუნდებით!“ განვიდა ეგრეთვე არბაკ, შეიჭურა და განვიდა განწყობილთა შორის.

„ალიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა, და მიეტევენეს ურთერთას. და იწყეს ორთავე გვერთა ჰოროლითა და ვერა ჰკვეთეს საქურველსა ერთმანერთისასა. და ბრძოლისა სიგრძესა შინა განუტყდა ჰოროლები, და აღმოიღეს ჩუგულუგები, და იწყეს ბრძოლა ჩუგულუგებითა. ოდეს უხეთქნიან ჩუგულუგები იგი საქურველსა ზედა მათსა, ჰგვანდის ხმა იგი ხმასა მას უროსა მკედლისასა, რომელი ეცემის გვრდემლსა; და ხმა ზახილისა მათისა მსგავსი იყო ქუხილისა.

„მაშინ ვერ სძლეს ურთიერთას, დაშერეს და უკუ-დგეს იმიერ და ამიერ. შელამდა დღე იგი და განისვენეს ორთავე.

„და დილას კვალად გამოვიდეს, და აღიღეს მშვილდები, და იწყეს რბევად და სრევად ერთმან-ერთისა. ჰკრა ადორკი ისარი მკერდსა არბაკისსა, და ვერლარა უფარა სიმაგრემან საქურველისამან, და განვარდა ზურგით, და ჩამოვარდა არბაკ ცხენისაგან“.

ან-და ავიღოთ მეორე ეპიზოდი ლეონტი მროველის თხზულებიდან. სადაც აწერილია ბუმბერაზობა ქართველთა მეფის ამაზასპისა, მისი ბრძოლა კავკასიის მთიელებთან (ოვსებთან). აქაც ჩვენ გვაქვს არა ისტორიული მოთხრობა (თვით მეფე ამაზასპ ლეგენდარული პიროვნებაა), არამედ საგმირო „ჰამბაეი“, საგმირო რომანების სპეციფიური სტილით:

„და იწყეს ბრძოლა ბუმბერაზთა.

„და განვიდა ამაზასპ (მეფე ქართველთა) მშვილდითა, და იწყო ბრძოლად გულითა ფიცხელითა, და მკლავითა ძლიერითა. ეზომ შორით ისროდა, რომელ დამართებთა მდგომთა ოვსთაგან არა შეიტყვებოდა; და არცა ინაზოდა სიშორითა, თუ ყოვლად აქვს მშვილდი. და მან ჰკრის ისარი, რომელსა ვერა დაუდგის სიმაგრემან საქურველისამან.

„და მას დღესა მოკლა ამაზასპ თაეთავე ბუმბერაზი ათხუთმეტი რჩეული, და ცხენი მრავალი. — და სხვათაცა ბუმბერაზთა ამაზასპისათა მოკლნეს ბუმბერაზნი მრავალნი ოვსთანი, და დასდევს დიდი ვნება ოვსთა ზედა.

„მას დღესა შემოვიდა ამაზასპ მხედრითა ქალაქად, ხოლო ჭვეითნი იგი დგეს ადგილსავე თვისსა კართა შინა...“¹⁾

„და ვითარ განთენდა, განვიდა შემდგომად ამაზასპ მუნვე და აღიზენა ჰოროლნი. და გამოვიდა ოვსთაგან კაცი ერთი სახელით ზუანხუა, ურჩიულესი სპათაგან ოვსთასა. აღიზახნეს ორთავე და მიეტევენეს ურთიერთას. და პირველ-

¹⁾ სიტყვები: „შემოვიდა ამაზასპ მხედრითა ქალაქად, ხოლო ჭვეითნი იგი დგეს ადგილსავე თვისსა კართა შინა“, — მეორდება მოთხრობაში რეფერენის სახით.

სავე მოსლვასა სენა ჰოროლნი ამაზას, განავლო ზურგით, და მოკლა იგი. და აღმოიხადა ხრმალი და მიეტევა სხვათაცა ბუმბერეზთი და მოკლა ორნი სხვანი ბუმბერეზნი.

„შემოქცა და შემოვიდა [ამაზას] ქალაქად ქვედრეჭოთუთ, [ხოლო] დგეს ქვეითნი იგი მუნვე, კართა შინა...“¹⁾.



განსაკუთრებით ტიპიურია ისტორია ფარსმან ქველისა, რომელიც შეტანილია ლეონტი მროველის თხზულებაში, და რომელიც ცალკე დამთავრებულს ეპიურ მოთხრობას წარმოადგენს, დაწერილს საგმირო რომანის კოლორიტული სტილით.

ეს მოთხრობა (რომელსაც, აღენიშნავეთ ამასთან, არაფერი აქვს საერთო — არსებულის სახით — ნამდვილ ისტორიასთან, და რომელიც ლეგენდარულ ასპექტშია მოცემული) — შემდეგს ქარგაზე არის აგებული:

საქართველოში მეფობენ ორნი მეფენი. ერთი მათგანი ზის მცხეთას, და მის სამფლობელოს შეადგენს მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა. ხოლო მეორე მეფის სატახტო ქალაქია არმაზი და მას უქირავს მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყნები.

არმაზელი და მცხეთელი მეფეები დიდს მეგობრობაში იყვნენ, ვიდრე არ გაეფედა მცხეთაში მირდატ, ხოლო არმაზში — ფარსმან ქველი. მცხეთის მეფე მირდატ, მოთხრობის სიტყვით, — „იყო კაცი ურვილი და მოსისხლე“. ფარსმან ქველი კი ნამდვილი რაინდი იყო და იგი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. „ხოლო ფარსმან ქველი, — ნათქვამია მოთხრობაში, — იყო კაცი კეთილი, უხვად მომნიჭებელი და შემნდობელი, ჰასაკითა შეენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო, ყოველითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა... ამისთვისცა უყვარდათ ესე მირდატის კერძოთაცა ქართველთა“.

მცხეთის მეფემ მირდატმა მოიყვანა ცოლი სპარსეთიდან, ნათესავი სპარსთა მეფისა. სპარსელების შთაგონებით მირდატ გადაემტერა ფარსმან არმაზელს და განიზრახა მისი ვერაგულად დაღუპვა. „განიზრახა მუხთლად სიკვდილი ფარსმან ქველისა არმაზელისა, და მოხადა (ე. ი. მოუწოდა) — სახლსა შინა თვისსა რეცა შეჯღიშად და განცხრომად“. ვინმე ერთგული წინადაწინვე გააფრთხილებს ფარსმანს განსაცდელის შესახებ, რომელიც მას ელის მეჯღიშის დროს. ფარსმან იღარ წაეა წვეულებაზე.

ამის შემდეგ მირდატსა და ფარსმანს შორის აშკარა მტრობა ჩამოვარდება. მირდატის ქვეშევრდომნი, შეუწყებულნი მათი მეფის მესისხლეობისა და გულ-ბოროტებისაგან, განუდგებიან მირდატს და მიემხრობიან ფარსმან ქველს; მირდატს გადაადგებენ ტახტიდან და იგი გადაიხვეწება სპარსეთში. ფარსმან გააერთიანებს ორსავე ქართულს სამეფოს, არმაზისას და მცხეთისას. მცხეთაში იგი გამგედ დასვაშს თავის „ძუძუს-მტე“-ს (ძიძი-შვილს) ფარნავაზს. ეს ფარნავაზი აგრეთვე დიდი რაინდია — „ეგრეთვე ქველი და გოლიათი, სარწმუნო და ერთგული“.

¹⁾ მეორდება ზემოთ-აღნიშნული რეფრენი მოთხრობისა: „შემოვიდა ქალაქად მუდრეხითუთ“ — „დგეს ქვეითნი იგი მუნვე კართა შინა“.

მირდატი გამოიყვანს სპარსეთიდან დიდს ლაშქარს და მოადგება საქართველოს. ფარსმან შეჰკრებს ქართულს ჯარს, შემოიერთებს სომხებსაც, და შეეგებება მტერს რკინის-ხევის ვიწროებში.

ბუმბერაზობა და ბრძოლები, რომლებიც იმართება ამ ფრეზის მტერის, აწერილია საგმირო რომანების ასეთი სპეციფიური სტილით:

„და იწყეს ბძოლა ბუმბერეზთა დღეთა მრავალთა.

„და რომელი გამოჩნდის ბუმბერეზი სპარსთა შორის მძლედ ბუმბერეზთა ზედა ქართლისათა და სომხითისათა, მას ზედა განვიდის თვით ფარსმან მეფე ანუ სპასპეტი მისი ფარნაეაზ, და ესრეთ აჯობიან და სძლიან. ხოლო მოკლა ფარსმან ათშვიდმეტი ბუმბერეზი სპარსთა, ხოლო სპასპეტმან ფარნაეაზ მოკლა ბუმბერეზი ოცდასამი.

„მაშინ იყო სპარსთა შორის კაცი ერთი გოლიათი, სახელით ჯუმბერ, რომელი ლომსა ხელითა შეიპყრობდა. და მან სთხოვა ბრძოლა მეფესა ფარსმანს.

„ხოლო ფარსმან ქველი სიხარულითა აღიჭურა, და განვიდა, და აღიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა, და მიეტევნეს ურთიერთას და იწყეს ბრძოლა ხრმლითა. და ზაჰმი ბრძოლისა მათისა ემსგავსა ზაჰმსა ქუხილისასა და [შეხის] ტენისასა. [და] აჯობა ფარსმან, ჩამოავდო და მოკლა. და მიიქცა სპისა მისისა კერძო, და ხმა უყო ხმითა დიდითა, და ჰრქვა: „აჰა, ლომო მძვინვეარენო, ცხოვარნი დასეტყულნი!“

სპარსთა ჯარი სასტიკად დამარცხდება, „აოტნეს, მოსწყვიდეს და ტყვეყვეს ურიცხენი“, და მირდატ ისევ გარდაიხვეწება სპარსეთში.

მაგრამ მირდატ არა ჰყრის ფარ-ხმალს. განელის ხანი და მირდატ ისევ შემოდის ქართლში სპარსთა დიდი ლაშქარით, „სპითა უძლიერესითა“. ფარსმანს თუმცა ნაკლები ჯარი ჰყავს, „არა ჰყვეს სპანი მირდატისა სპათა ოდენი“, მაგრამ მაინც მხნედ ხვდება მტერს.

იწყება ისევ ბრძოლები და ბუმბერაზობა, „ყოველთა დღეთა იბრძოლიან ბუმბერეზნი“.

ფარსმან ქველი კვლავ ამარცხებს სპარსთა ლაშქარს:

„სიფიცილითა გულისა თვისისაჲთა ფარსმან მეფემან ქველმან არლარა განაბა სიმრავლე სპარსთა, არამედ განვიდა ჟამსა განთიადისასა სპითა თვისითა, და დაესბა, და მოსცა სვემან მისმან ძლევა, აოტა ბანაკი მათი, და მოსწყვიდა ურიცხვი. და წარვიდა მირდატ მეოტი სპარსეთადვე“.

ამის შემდეგ ფარსმან ქველი და მისი მხედრობა შიშის ხარს დასცემს თვით სპარსეთსაც.

„და მიერთვან განითქვა სახელი ფარსმან ქველისა და სპასპეტისა მისისა ფარნაეაზისა, და წინამძღვარ ექმნა იგი სპათა ქართლისა და სომხითისათა და იწყო ბრძოლად სპარსთა, და შესლვად სპარსეთს, და გერღარა-ოდეს ვინ წინააღუდგა ფარსმან ქველსა“.

მაგრამ სპარსელები მუხანათურად შურს იძიებენ ფარსმანზე. ფარსმანს მოსწამლავს სპარსელების მიერ მოგზავნილი, მოსყიდული მზარეული.

ფარსმანის სიკვდილს ჰგლოვობს მთელი ერი.

„ყოველთა შინა ქალაქებითა და დაბნებთა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი, და იხსენებდიან სიქველესა და სიმხნესა,

და სიშვენიერესა და საზიერებასა ფარსმან ქველისასა, და იტყოდეს ისეთი:
 „ვამ ჩვენდა,
 რამ მოგვიჩინა სევმან ბოროტმან!
 და მეფე ჩენი, —
 რომლისგან ხსნილ-ვიყვენით — მონებისგან მტერთასა, —
 მოიკლა იგი —
 კაცთაგან მგრძნებელთაგან,
 და აწ მივეცენით
 ჩვენ წარტყვენვად ნათესავთა უცხოთა!“



ჩვენ ასე დაწვრილებით შევიჩრდით ლეონტი მროველის თხზულების ცალკეულ ეპიზოდებზე, რათა გავვეცნო ლეონტი მროველის „ჰამბავთა“ წიგნის, ქართული საერო მწერლობის ამ უძველესი ძეგლის, ეპიური სტილი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან შემდეგი.

ლეონტი მროველის თხზულების ეპიურ ეპიზოდებში ორმაგი გავლენა შეიმჩნევა:

ერთის მხრით აქ ჩვენ გვაქვს, როგორც აღვნიშნეთ, გავლენა საგმირო რომანებისა. ეს უმთავრესად.

მეორე ამის გვერდით ლეონტი მროველის თხზულებაში არის კვალი ძველ-ქართული ფოლკლორული პოეზიის, ხალხურ ეპოსის გავლენისა.

ხალხური ეპოსის გამოძახილი ჩვენ გვაქვს ნაწილობრივ იმ საგმირო მოთხრობაში ფარსმან ქველის შესახებ, რომელსაც ზევით შევვებით. (ფარსმან ქველი — ლეონტი მროველის მოთხრობისა, ეს არის ლეგენდარულ ასპექტში წარმოდგენილი იბერიის ცნობილი მეფე პირველის საუკუნისა ფარსმან, რომლის დროსაც, როგორც ეს კარგად ცნობილია კლასიკური ხანის საისტორიო წყაროებით, იბერია წარმატებით უწყვედა მეტოქეობას სპარსეთს, პართეველთა იმპერიას. ფარსმანის სახე გადასულა ლეგენდაში, და მის შესახებ, როგორც ირკვევა, ხალხური თქმულებანი არსებულა, რომელსაც რადესოდები, „მგოსანნი“ მოუთხრობდნენ¹⁾).

კიდევ უფრო მკვეთრად მოსჩანს ხალხური ფოლკლორული საგის გამოძახილი ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილში, სადაც ვაღმოცემულია პირველი ქართველი მეფის ფარნავაზის (ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელის) თავგადასავალი.

ასე, მაგალითად სიზმარი ფარნავაზისა:

„მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსლვა, და ვერ განვიდა;

„[და შემოვიდა] სარკმელსა მისსა შუქი მზისა, და მოერტყა წელთა მისთა ვაზიდინი, და გამოიყვანა სარკმელსა მას;

„[და] ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქვე მდაბლად; მიჰყო ხელი მისი, და მოჰმოცა ცვარი პირსა [მზ]ისასა, და იცხო პირსა მისსა.“

ამ თქმულებაში პირდაპირ შერჩენილია ძველი მითოსის ანარეკლი.

¹⁾ იხ. სქოლიო 6.

ფოლკლორიდან სიანს მომდინარეობს აგრეთვე თხრობა ფარნაევანს, ნადირობისა და განძის პოვნის შესახებ. ეს ამბავი ხალხური საგის სტილით არის მოთხრობილი, ზღაპრის კილოთი (— უძველესი ნიმუში ამ ზღაპრულ მოთხრობისა ქართულს ენაზე):

„ხოლო მას დღესა შინა განვიდა [ფარნაევან], და ნადირობდა მარტოდ, და დევნა უყო ირემთა ველსა დილომისასა; და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა;

„[და] მისდევდა ფარნაევან, სტყორცა ისარი, და ჰკრა ირემსა; და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა;

„მოვიდა ფარნაევან ირემსა ზედა, და დღე იგი მწუხრი გარდახდა; და დაჯდა ირემსა მას თანა, რათამცა დაჰყო მუნ ღამე, და დილეულმცა წარვიდა.

„ხოლო კლდისა მის ძირსა ქვაბი იყო, რომლისა კარი ამოქმნილ იყო ქვეითა ძველად, და სიძველითა შექმნოდა დარღვევა შენებულსა მას.

„მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი; ხოლო ფარნაევან აღმოიღო ჩუგლუფი, და გამოარღვია კარი ქვაბისა მის, რათა მუნ-შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან;

„და შევიდა ქვაბსა მას, და იხილა მუნ შინა განძი მიუხვდომელი, ოქრო და ვეცხლი მიუწვდომელი...“

ხალხური ეპოსის გავლენა მოსიანს არა მარტო თქმულებათა შინაარსში, არამედ ზოგჯერ თითონ გარეგან ფორმაში, არქაულობით აღბეჭდილ რიტმიულ წყობაში და ხალხური ეპოსისთვის დამახასიათებელ სახეების პარალელიზმში. ასეთია მაგალითად აღწერა იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებს მითიური მეფე მირვან, „ტანითა სრული, შვენიერი, ძლიერი, ქველი.“

მირვან გაილაშქრებს კავკასიის მთიანეთში, დურძუკეთში. ქართველთა და დურძუკთა ჯარი შეხვედებიან კავკასიონის უღელტეხილზე, მთის კართან. აღწერა ბრძოლისა მოცემულია შემდეგს არქაულს ეპიურ ფრაგმენტში, რომელიც რიტმიზებულ წყობას (რიტმიულს კადანსირებულ პროზას) შეიცავს დასახეების პარალელიზმზე არის აგებული:

„მაშინ მირვან გარდახდა ცხენისაგან,

[და] მივიდა ქვეითთა მისთა თანა;

და წარუძღვა წინა ქვეითთა,

[და] ზურგით შემოადგინნა მხედარნი;

და მივიდა კართა მათ შინა

— ვითარცა ჯიქი სიფიცხლითა,

[მივიდა] ვითარცა ვეფხვი სიმხნითა,

— ვითარცა ლომი ზახილითა...

ხოლო მირვანს ვერ ჰკვეთდა მახელი დურძუკთა

— ვითარცა კლდესა სიპსა,

და დგა [იგი] უძრავად

— ვითარცა კოშკი მტკიცედ“.

ხალხური ეპოსიდან მომდინარეობს აგრეთვე ერთი ეპიური ზრავმენტი, რომელშიაც აღწერილია თარგამოსიანთა და ნებროთიანთა მითური ბრძოლა¹. ამ უღარესად შესანიშნავი ეპიური ძეგლის შესახებ ზემოთხსენებულმა საუბარი პირველ წერილში.

მოგვყავს აქ ეს ეპიური ძეგლი სრულად აღდგენილი სახით:

„იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, — რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა;

„რამეთუ მტვერი ფერხისა მათისა, — ვითარცა ღრუბელი სქელი;

„ელვა აბჯრისა მათისა, — ვითარცა ელვა ცისა;

„ხმა პირისა მათისა, — ვითარცა ხმა ქუხილისა;

„სიმძლავრე ისრისა მათისა, — ვითარცა [ტეხა მეხისა];

„ტყორცა ქვისა მათისა, — ვითარცა სეტყვა ხშირი;

„და დათხვევა სისხლისა მათისა, — ვითარცა [წვიმისა] ღვარი“.

რომ ეს ეპიური ძეგლი უძველესი ხალხური ეპოსის ნაშთს წარმოადგენს, ამას უჩვენებს ჯერ მარტო მისი წყობა, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია სახეების პარალელიზმზე. ხოლო რაც მთავარია, ხალხურ ეპოსთან მას აკავშირებს თვით მითოლოგიური მისი შინაარსი. აქ გადმოცემულია — მითოსის ასპექტში — სურათი კეთილი და ბოროტი სულების ბრძოლისა ტაროსის შეცვლის დროს.

ეს სწანს ამ ტექსტის მეორე პარალელური მწკრივიდან, რომელშიაც აღბეჭდილია ტაროსის თანდათან შეცვლა. სურათი ტაროსის შეცვლისა აქ იშლება ასეთის თანდათანობით:

იწყება — „სასტიკება ჰაერისა“;

შემდეგ — „ღრუბელი სქელი“;

შემდეგ — „ელვა ცისა“;

შემდეგ — „ხმა ქუხილისა“;

შემდეგ — „ტეხა მეხისა“;

შემდეგ — „სეტყვა ხშირი“;

შემდეგ — „წვიმისა ღვარი“.

აქ არის, როგორც აღვნიშნავდით, შეხვედრა უძველეს ქართულ ეპიურ თქმულებასთან ამირანის შესახებ. ამირანს, ძველი ეპოსის ერთი ლექსი ადარებს საადროდ გამზადებულს ღრუბელს; ემსგავსაო —

„ამირან — შავსა ღრუბელსა,
საადროდ გამზადებულსა“.

ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ეპიური ძეგლი იძლევა გარკვეულს პარალელიზმს ამირანის ეპოსის იმ ეპიზოდთან, სადაც აწერილია ტაროსის ღვთაების („ღრუბელთა ბატონის“) ასულის კამარ-ჭალის მოტაცება ზეციური კოშკიდან ამირანის მიერ. ამირანს მოჰყავს მოტაცებული კამარ და

¹) ამ ტექსტს არავითარი კავშირი არა აქვს იმ შვიგნობრულ წყაროებთან, რომლის მიხედვითაც შედგენილია ლეონტი მროველის თხზულების სათანადო თავი ნებროთის შესახებ. (ეს ცხადია ძველი ქართული ხალხური ეპოსის ქვემოთ ნაწილები პარალელულებიდან).

მათ გზაში პირველად „წამოეწია ღრუბელი“; ქალი ამბობს: „ეს მამა-ჩემის ჯარი წამოვიდა და მისი ჩრდილია“. შემდეგ „წამოეწიათ წინკალი“; ქალი ამბობს: „მამა-ჩემის ჯარი ზღვას გამოვიდა, იმათი ფეხის ნაბეჭდი შემდეგ დაიწყება „კოკისპირული წვიმა“. იწყება ბრძოლა ამირანსა და კახაბერს შორის (ტაროსის ღვთაებას) შორის, და ებოსის სიტყვებით — „ამირანის ხმალი კამარის მამის მუზარადს რომ მოხედებოდა, ნაპერწკალის ცეცხლი ენთებოდა“.

ბ.

„ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“

მეორე თხზულება იტორიულ-ეპიური ეპოსისა, ჩვენ დრომდე მოღწეული ამავე ეპოქიდან, ეს არის „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“. სრული სახელწოდება ამ ძეგლისა, როგორც აღვნიშნეთ, შემდეგია:

„ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა მშობელთა, და შემდგომად თვით მისი, დიდისა — მეფისა, რომელი უმეტესად სხვათა განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“¹⁾.

თხზულება, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-9 საუკუნეში²⁾.

ავტორის ვინაობა მოხსენებული არაა. თვით ნაწარმოების ტექსტის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ავტორი უჯარმოს მხარიდან უნდა ყოფილიყო, და ამის გამო ავტორს ვუწოდებთ პირობითს სახელს: „უჯარმელი“.

თხზულება „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“ შეიცავს ცნობილი ისტორიული მოღვაწის, მე-5 საუკუნის საქართველოს მეფის ვახტანგ დიდის (გორგასარის) ლეგენდარულ ისტორიას. ავტორს, როგორც ირკვევა, ხელთა ჰქონია ძველი მატიანე ვახტანგ გორგასარის შესახები, მაგრამ მას ამ ძველი მატიანიდან აღუღია საერთო ჭარბა და ზოგიერთი დეტალები, და ამ ისტორიულ ჭარბაზე დაუწერია ისტორიულ-ეპიური რომანი.

ვახტანგ გორგასარი ძველი საქართველოს ისტორიის დიდი ფიგურაა, იგი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა შემდეგს თაობებში და ვახტანგის სახელის გარშემო საუკუნეთა მანძილზე შექმნილა ლეგენდარული თხრობანი, ეპიური საგა.

ამავე დროს „წარმართულ“ ხანის საქართველოში, არსებობდა მახდენური ღვთაების ვახტანგ-ვარათრავანის ებოსი, რომელსაც მოუთხოვრებდნენ ძველი ქართველი „მგოსნები“, რაფსოდები. და აი ვახტანგ მეფის შესახებს ეპიურ

¹⁾ ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების კრებულის მარიაშ დედოფლისეულ ხელნაწერში უქირავს 294—400 გვერდები.

²⁾ ამ ნაწარმოების თარიღის საკითხი დაწერილებით გვაქვს განზილული ცალკე ნარკვევში, რომელიც დამატების სახით ერთვის ამ შესამე წერის: „ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8 — 11 საუკუნეთა ძეგლები“. აქ აღვნიშნავთ, რომ „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“ დროის მიხედვით წინ უსწრებს ჯუანშერის მატიანეს, ხოლო ჯუანშერის მატიანე, როგორც ეს ზუსტად ირკვევა, დაწერილია 872 — 914 წლებს შორის.

სავაში მომხდარა შერწყმა ისტორიულ პირის ვახტანგისა და მისი თანამოსახელე ლეთაების ვახტანგ-ვარათრაგნისა; ვახტანგ მეფეზე გადაუტანიეთ მისი თანამოსახელე ლეთაების ვახტანგ-ვარათრაგნის ეპოსის ელემენტები.

უჯარმელი, — ვახტანგ გორგასარის ბუმბერაზული შერწყმის პროტოტიპის დიხატვის დროს, ხელმძღვანელობდა იმდენად არა ისტორიული წყაროებით, რამდენადაც ამ ეპიური საგით — ვახტანგ გორგასარის ეპოსით, რომელიც მას მწიგნობრულად გადაუმუშავებია საგმირო რომანის ფორმაში.

რომ უჯარმელის თხზულებაში ვახტანგ მეფის პიროვნებაზე გადატანილია ელემენტები ლეთაების ვახტანგ-ვარათრაგნისა, ამის შესახებ ჩვენ უკვე გვეჩვენა დაწვრილებითი საუბარი პირველ წერილში და აქ ამაზე აღარ ვავრძელებთ სიტყვას ¹⁾.

აქ დაგვჩენია მხოლოდ აღენიშნეთ, რომ უჯარმელის თხზულება „ჰამბავეი ვახტანგ გორგასარისა“ — შედარებით ლეონტი მროველის თხზულებასთან წარმოადგენს შემდეგს საფეხურს ისტორიულ-ეპიური ეპოსის განვითარებაში. თუ ლეონტი მროველის თხზულებაში საგმირო მოთხრობათა ეპიური სტილით დამუშავებულია მხოლოდ ცალკე ეპიზოდები, „ჰამბავეი ვახტანგ გორგასარისა“ მთლიანად წარმოადგენს ტიპურს ეპიურ-ისტორიულ რომანს. ვახტანგ გორგასარის ლაშქრობა კავკასიის მთიანეთში ნათლოსანი დის გამოსახსნელად, ვახტანგის, თარხანის და ბაყათარის ბუმბერაზობის ამბავი, ვახტანგის შესვლა საბერძნეთს, პირველი ომი სპარსეთთან, ვახტანგ მეფის ლაშქრობა ჯორჯანეთს, ინდოეთს, სინდეთს და აბაშეთს (სინდთა მეფისა და ვახტანგის იგავ-სიტყვაობის ეპიზოდით), და დასასრულ მეორე ომი სპარსეთთან, — რომლის დროსაც ვახტანგი ტრაგიკულად იღუპება, — მთელი სიუჟეტური რკალი თხზულებისა ტიპური საგმირო-სარაინდო რომანის ელფერით არის დამუშავებული.

რომანში — ძველი ისტორიის ფონზე — ასახულია ავტორის თანამედროვე საერო ფეოდალური გარემო, იდეალები, მსოფლმხედველობა.

ის დიდი პოპულარობა, რომელიც მოუპოვებია ადრეულ საშუალ-საუკუნეებში უჯარმელისა და ლეონტი მროველის თხზულებებს, აიხსნება სწორედ ამ გარემოებით, რომ აქ გამოხატულება პპოვა საერო ფეოდალური წრეების მსოფლმხედველობამ.

პოპულარობა ლეონტი მროველისა და უჯარმელის თხზულებათა იმდენად დიდი ყოფილა, რომ მათ დაუჩრდილავთ წინათ-არსებული საისტორიო ნაწარმოებნი, და როდესაც მე-10 საუკუნეში შედგენილ იქმნა საქართველოს ისტორიის განთქმული კრებული, „ქართლის ცხოვრების“ სახელით ცნობილი, აქ საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ შეუტანიათ არა ძველ ისტორიკოსთა მარტივი და შეუფერადებელი თხზულებანი, არამედ ლეონტი მროველისა და უჯარმელის ისტორიულ-ეპიურ ნაწარმოებთა ტექსტი.

¹⁾ იხ. მნათობი, № 1, გვ. 179 — 184.

2.

ლიტერატურული ურთიერთობა არაბულ მსოფლიოსთან,
თარგმანები არაბულთან.

აღნიშნულს ეპოქაში ქართული საერო მხატვრული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით — ინტერესს წარმოადგენს კერძოდ ლიტერატურული ურთიერთობა არაბულ მსოფლიოსთან.

საქართველო ამ ეპოქაში, როგორც ცნობილია, უახლოესად დაკავშირებული იყო პოლიტიკურად არაბულ ხალიფატთან. საქართველოს პროვინციები (უპირატესად აღმოსავლეთ-საქართველოს პროვინციები) კარგა ხნის მანძილზე უშუალოდ ხალიფატის ფარგლებში იყო მოქცეული. შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდა და თანდათან განმტკიცდა ცალკე ქართული ფეოდალური სამეფოები და სამთავროები, — დასავლეთ-საქართველოსი, მესხეთ-ქართლისა („ქართველ კურაპალატთა“, შემდეგ „ქართველ მეფეთა“ სახელმწიფო), კახეთისა და ჰერეთისა, — არაბთა პოლიტიკური გავლენა თუმცა შენედა თანდათან, მაგრამ არ გამქარა და იგი კიდევ იგრძნობოდა აღმოსავლეთ საქართველოში მე-10 საუკუნემდე. ხოლო საქართველოს ერთ პროვინციაში, სახელდობრ სამხრეთ ქართლში, კარგა ხნის მანძილზე, თვით მე-12 საუკუნის დასაწყისამდე, შერჩა ცალკე არაბული სამფლობელო (ტფილისის არაბული ემირატი).

ქართული წიგნები იმყოფებოდნენ ახლო ურთიერთობაში არაბულ მსოფლიოსთან ქართულ საზღვარ-გარეთულ კოლონიებშიაც, — პალესტინაში, სირიაში, სინას-მთაზე.

ამ მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ ცხადია თავისი კვალი დასტოვა ქართულს მწერლობაში.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მე-9 საუკუნის ქართველმა მწერალმა იოანე საბაწმიდელმა ისარგებლა ბუდდას ლეგენდის არაბული ვერსიით და დასწერა ქართულს ენაზე რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“ — რომელმაც მსოფლიო რეზონანსი მოიპოვა. მე-9 საუკუნეში ქართულად უთარგმნიათ არაბული ენიდან მნიშვნელოვანი საისტორიო ძეგლი, ანტიოქე სტრატეგის საისტორიო თხზულება. მე-9—10 საუკუნეებში, და შემდეგაც, ქართულად ითარგმნებოდა არაბული ენიდან ქრისტიანული მწერლობის ძეგლები (— არაბულ ენაზე, როგორც ცნობილია, ქრისტიანული მწერლობაც განვითარდა).

ცხადია ამავე ეპოქაში ქართულს ენაზე ითარგმნებოდა არაბულიდან სერო მხატვრული მწერლობის ძეგლებიც.

კერძოდ ამ ეპოქაში ქართულს ენაზე უთარგმნიათ არაბულიდან განთქმული დიდაქტიური ეპოსი „ქილილა და დამანა“, რომლის ექსცერპტი ჩვენ დრომდისაც გადაარჩენილა.

„ქილილა და დამანა“-ს, როგორც ცნობილია, რთული ლიტერატურული ისტორია ჰქონდა. მისი პროტოტიპი (ფანჩატანტრა) ინდოეთში ჩამოყალიბდა. აქედან მე-9 საუკუნეში წარმოიშვა ირანული (ფაჰლავური) რედაქცია „ქილილა და დამანა“-სი, ხოლო მე-8 საუკუნეში „ქილილა და დამანა“ ითარგმნა ფაჰლავრიდან არაბულ ენაზე.

რომ ქართულს ენაზე „ქილილა და დამანა“ არაბული ენიდან უთარგმნიათ, ამას ადასტურებს ქართულს ექსცერპტში დაცული ლექსიკური ნიშნები.

„ქილილა და დამანა“ უთარგმნიათ ქართულად მე-9 საუკუნეში, მას უკვე იცნობს მე-9 საუკუნის ქართველი ავტორი უჯარმელი, ავტორი „გახტანგ გორგასარის ჰამზავი“-სა.

გარდა პროზაული ძეგლებისა, ქართულს ენაზე არაბულადან სწავსითარგმნებოდა პოეტური თხზულებებიც. ქართულ-არაბულ ანსაკრ უკრთხეოთობას პოეზიის დარგში მოწმობს თვით ტერმინები „მოშაპირე“ (მოშიარე, პოეტი) და „შაპირი“ (შიირი, ლექსი), რომლებიც ამ დროიდან შემოდის ქართულს ლიტერატურაში და საყოველთაო გავრცელებას ღებულობს¹⁾.

3.

საერო პოეზიის ბავლენა სასულიერო-სამკლესიო პოეზიაზე.

ქართული საერო მხატვრული მწერლობის ისტორიასთან დაკავშირებით ცალკეა აღსანიშნავი ნაწარმოებნი ამ ეპოქისა, რომლებიც წარმოგვიდგენენ სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეერთებას, და რომლებშიაც მოსჩანს საერო პოეზიის გავლენის კვალი.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ჰავიოგრაფიული პოემა „აბუკურაჲ“, რომელიც მე-9 საუკუნეს ეკუთვნის; ამ პოემას საერო პოეზიასთან აკავშირებს ჯერ ერთი ფორმა (—იგი შეიცავს გართმულ ტექსტს), და ამას გარდა სიუჟეტის მხრითაც იგი წარმოადგენს სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეთავსებას (—აქ დამუშავებულია, სასულიერო ელფერის დაცვით, რომანიული ეპიზოდი).

საერო პოეზიას გავლენა მოუხდენია აგრეთვე ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიაზე, რომელსაც შეუთვისებია საერო პოეზიიდან საერო პოეზიის სპეციფიური მეტრები და რითმა (ჰიმნები ფილიპე ბეთლემელისა, სტეფანეს საგალობელი, იოანე-ზოსიმეს ანდერძი „იაღვარისა“).

თ ა ვ ი მ ი შ ი დ .

ისტორიოგრაფია

ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს, მე-8 — 11 საუკუნეებში, ქართული მწერლობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ისტორიოგრაფია.

ამ დარგის მრავალგვარობა, (და ამას გარდა ცალკეულ ძეგლთა რთული ლიტერატურული ისტორია), არ იძლევა საშუალებას ამ მოკლე ნარკვევში სათანადო სისრულით განვიხილოთ ძველ-ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლები, და იძულებული ვართ დავეკმაყოფილდეთ ზოგადი ხასიათის მიმოხილვით.

¹⁾ ტერმინები „შაპირი“, „მოშაპირე“ — იმდენად გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული ყოფილა ძველ-ქართულ მწერლობაში, რომ ეს არაბულიდან მომდინარე ტერმინოლოგია შესულა თვით ისეთ ქართულ ძეგლებშიაც კი, რომლებიც ბერძნულიდან არის თარგმნილი: Μισαχραβ; ὁ ἀγαπῶμενος — „მენანდროს მოშაპირე“, იხ. გიორგი მარტოლის თარგმანი ბერძნულიდან, შესრულებული მე-11 საუკუნეში არსენი იყალიოელის მიერ (გამოცემა პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა, ტფ. 1920, გვ. 225).

პირველ რიგში აქ ჩვენ შევეხებით ქართული საისტორიო ძეგლების დიდ კრებულს, რომელსაც ეწოდება „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“ ანუ მეორენაირად „ქართლის ცხოვრებასა საქართველოს ისტორია“).

1.

პართლის ცხოვრების კრებულის
პირველი ნაწილი.

ქართლის ცხოვრების კრებულის პირველი ნაწილი სრულდება კრებულის შემდგენელი რედაქტორის შემდეგის ბოლო-სიტყვებით:

„წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისაღმდე (ვახტანგ გორგასარამდე) აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისთჳან ვიდრე აქამომდე (— არჩილ მეფისაღმდე) აღწერა ჯუან-შერ... და ამიერითჳან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ეამჴან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ-განბრძობილსა“.

ქართლის ცხოვრების კრებულის ამ პირველ ნაწილში რედაქტორს შეუტანია სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებნი. რედაქტორს კრებულის ამ პირველი ნაწილის შედგენის დროს უპირატესობა მიუძღია არა ძველი წმინდა საისტორიო ხასიათის თხზულებებისათვის, არამედ უმთავრესად ისტორიულ-ეპიური ჟანრის ნაწარმოებთათვის, როგორცაა ლეონტი მროველისა და უჯარმელის თხზულებანი. ასეთს ისტორიულ-ეპიურ თხზულებებს, როგორც ირკვევა, განსაკუთრებული პოპულარობა ჰქონიათ მოპოვებული და მეტის ავტორიტეტით სარგებლობდენ, ვიდრე ძველი საისტორიო ნაწარმოებნი, რომლებიც საქართველოს წარსულის შესახებ მარტივსა და შეუფერადებელს მოთხრობას შეიცავდნენ.

ქართლის ცხოვრების კრებულის ამ პირველ ნაწილში სახელდობრ შეტანილია შემდეგ ავტორთა თხზულებანი¹⁾.

1. ლეონტი მროველი: „ცხოვრება (მამზავი) ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“.

ამ ძეგლის შესახებ, რომელიც მე-8 საუკუნეს ეკუთვნის, უკვე გვქონდა საუბარი.

2. იოანე დეკანოზი. ამ ავტორს ეკუთვნის შევსება ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილისა, რომელიც ეხებოდა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში.

¹⁾ „ქართლი“ აქ აღებულია ფართე მნიშვნელობით და აღნიშნავს ცნებას „იბერია“, ანუ უფრო ზოგადის მნიშვნელობით „საქართველო“ (შეად. განმარტება ცნებისა „ქართლი“ მე-10 საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერხტლის თხზულებაში). „ცხოვრება“ („ცხოვრება“) — ტექნიკური ტერმინია და აღნიშნავს ცნებას „ისტორია“.

²⁾ სპეციალური ხასიათის საკითხები ქართლის ცხოვრების კრებულის შესახებ (ცალკე ავტორთა ტექსტების მოკულობა, თარიღის საკითხები და სხვ.) განხილული გვაქვს სპეციალურ ნარკვევში, რომელიც დამატების სახით ერთვის ამ მესამე წერილს („ქართლის-ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8 — 11 საუკუნეთა ძეგლები“).

როგორც სჩანს, ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში, როგორადაც ეს გაშუქებული იყო მე-8 საუკუნის ძველში — ლეონტი მროველის ნაწარმოებში — არ ეთანხმებოდა ამა თუ იმ ხაზში, რომელიც მროველი თვალსაზრისს, რომელიც შემდეგ ეპოქაში გამომუშავდა და დატყვევდა ამის გამო „ახლად აღმოჩენის“ იოანე დეკანოზს გამოუშვია ლეონტი მროველის თხზულებიდან ის ნაწილი, რომელიც ქრისტიანობის გავრცელებას ეხებოდა, და მის ადგილას შეუტანია კანონიზირებული ტექსტი ნინოს ბიოგრაფიისა (რომელიც სხვა წყაროების მიხედვით შეუვსია), და აგრეთვე ჩაუმატებია ცნობა ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ საქართველოში.

იოანე დეკანოზი მე-11 საუკუნის მწერალია.

3. მესამე ძველი ქართლის ცხოვრების კრებულისა ეს არის უჯარმელის თხზულება: „შამხავი ვახტანგ გორგასარისა...“ ამ ძველის შესახებაც, რომელიც მე-9 საუკუნეს ეკუთვნის, უკვე გვქონდა საუბარი.

4. მეოთხე ძველი, რომელიც შეტანილია ქართლის ცხოვრების კრებულში, არის თხზულება:

„წიგნი ქართველთა ცხოვრებისა ვახტანგ მეფისითგან ვიდრე არჩილ მეფისამდე“¹⁾.

ავტორი ამ ნაწარმოებისა, როგორც ეს აღნიშნულია ანდერძში, არის ჯუანშერი.

ჯუანშერის ამ თხზულებაში მოთხრობილია საქართველოს ისტორია ორსაუკუნე ნახევრის მანძილზე, იწყება ვახტანგ გორგასარის გარდაცვალებიდან (502 წელს) და სრულდება არჩილ მეფის დროით (მე-8 საუკუნის 50-იანი წლები).

თვით ჯუანშერი მე-9 — 10 საუკუნის მწერალი ყოფილა. მისი თხზულება, როგორც ეს ირკვევა თვით ნაწარმოებში დატული რეალიებიდან, დაწერილია 872 — 914 წლებს შორის.

ქართული ისტორიოგრაფიისათვის ინტერესს წარმოადგენს ის პირველწყაროები, რომლითაც უსარგებლნია ჯუანშერს.

თავისი მატიანის შედგენის დროს ჯუანშერს ხელთა ჰქონია ორი ძველქართული საისტორიო თხზულება:

1. მატიანე მე-6 — 7 საუკუნეებისა (—საიდანაც ჯუანშერს ამოუღია მოთხრობა 502 წლიდან მოკიდებული ვიდრე მე-7 საუკუნის 40-იან წლებამდე); და

2. მატიანე მურვან-ყრუს ლაშქრობასა და არჩილის მეფობისა (საისტორიო მოთხრობა მე-8 საუკუნის 30-იანი წლებიდან — 50-იან წლებამდე). ეს მეორე საისტორიო თხზულება, როგორც ირკვევა, თანამედროვეს მიერ ყოფილა აღწერილი, მე-8 საუკუნის ისტორიკოსის მიერ. ეს ძველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ყოფილა; გადარჩენილი ექსცერპ-

¹⁾ ამ ძველს ქართლის ცხოვრების მარია დედოფლისეულ ხელნაწერში უპირავს გვერდები 400 — 432.

ტები შეიცავს მთელ რიგს ძვირფას ავთენტურ ცნობებს მე-8 საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ.

თვით ჯუანშერის მდარე ღირსების ისტორიკოსია. იგი ეძღვნება მის ხელში ქონებული ამ ორი ძველი საისტორიო თხზულების შექანველს. ცხადებს იმ რიგად, რომ არც კი ავსებს იმ 90 წლიან ხარვეზს, რომელიც ამ ორ საისტორიო წყაროს შუაში აკლდა (— მე-7 საუკუნის 40-იანი წლებიდან ვიდრე მე-8 საუკუნის 30-იან წლებამდე). სამაგიეროდ იგი უხვად ავსებს თავის კომპლექტურ ნაწარმოებს სხვადასხვა ლეგენდარული ხასიათის თხრობათა ჩართვით.

მნიშვნელობა ჯუანშერის ტექსტისა, როგორც საისტორიო წყაროსი, უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ მას დაუცავს, ამონაწერების სახით — თითქმის მთლიანად, მის ხელში ქონებული ზემოთ-დასახელებული ორი ძველ-ქართული საისტორიო თხზულება.

5. მეხუთე და უკანასკნელი ძველი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის პირველი ნაწილისა, ეს არის ტექსტი, რომელიც ატარებს სათაურს:

„წამება... არჩილისი, რომელი ესე იყო მეფე ქართველთა“¹⁾.

არჩილი იყო ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ძველი იბერიის („ქართლის“) დინასტიისა, რომელიც სიკვდილით დასაჯეს არაბებმა მე-8 საუკუნის 50-იან წლებში (859 წლის ახლო ხანებში), იმ დიდი და სისხლისმღვრელი ლაშქრობის დროს, რომელიც აწარმოეს არაბებმა კახეთში ხალიფის აბუ-ჯაფარის (მანსურის) მეფობაში²⁾.

არჩილის წამების ამბავი ქართლის ცხოვრების კრებულში თავდაპირველად მოკლე მოთხრობის „მოსახსენებლის“ სახით ყოფილა შეტანილი, რის შესახებაც დაცულია შემდეგი უწყება:

„წიგნი ესე წამებისა (არჩილისი) იპოვა ესრეთ სულ-მცირედ აღწერილი, რომელ ეამთა-შლილობით ჯერისაებრ გერავის აღწერა“.

არჩილის წამების ეს მოკლე მოსახსენებელი („სულ-მცირედ აღწერილი“) აღუწერია მე-8 საუკუნის ავტორს, ცნობილს **ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ს**, რომელიც მოსწრებია არჩილის მეფობის ხანას, და იმ „ეამთა-შლილობას“, რომლის დროსაც აწამეს არჩილი.

ბევრად უფრო გვიან, უკვე მე-11 საუკუნეში, როდესაც ქართლის ცხოვრების კრებული უკვე შედგენილი ყოფილა, ეს მოკლე „მოსახსენებელი“ არჩილის წამების შესახებ, რომელიც **ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ს** ეკუთვნოდა, განუახლებია და განუფრცია **ი ო ა ნ ე დ ე კ ა ნ ო ზ ს**, რის შესახებაც ხელნაწერებში დაცულია ასეთი ცნობა:

„ესე არჩილის წამება... **ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ მ ა ნ** აღწერა, და ახლად **ი ო ა ნ ე დ ე კ ა ნ ო ზ მ ა ნ** აღწერა“.

არჩილის წამების „განახლება“ შემდეგით იყო გამოწვეული. არჩილი საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად იყო აღიარებული, როგორც საქართველოსთვის წამებული, და ამის გამო შეუფერებლად დაუნახავთ, რომ არჩილის წამების ამბავი ქართლის ცხოვრებაში მოკლედ („სულ მცირედ“) იყო მოთხრობილი. ამით იყო ნაკარნახევი იოანე დეკანოზის ეს

¹⁾ ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერში უჭირავს გვერდები 432 — 437.

²⁾ არაბულ წყაროებში მოხსენებული ლაშქრობა სანარიელთა (წანარია) წინააღმდეგ.

ახალი შრომა. (იოანე დეკანოზი, როგორც ირკვევა, სპეციალურად იყო დაინტერესებული საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებით, და ვარდა „არჩილის წამებისა“, მას შეუდგენია აგრეთვე კომპილაცია საქართველოს გაჭრისტიანების შესახებ, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი).

იოანე დეკანოზს არჩილის წამების ამ „ახლად აღწერილს“ მომხრეებმა წინააღმდეგობა გააჩინეს. ახლად გამოუყენებია ლეონტი მროველის ძველი ტექსტი, რომელიც მას ახალი დანართებით შეუესია¹⁾.

ასეთია შედგენილობა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის პირველი ნაწილისა. ამ-რიგად კრებულის ამ პირველ ნაწილში შეტანილია სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ხასიათისა და საისტორიო მნიშვნელობის ნაწარმოებნი.

ქართულ მატრიანეთა ეს კრებული „ქართლის ცხოვრება“, როგორც ირკვევა, გაუერთიანებიათ ერთ წიგნად, ერთი კრებულის სახით, მე-10 საუკუნეში²⁾.

2.

ქართლის ცხოვრების კრებულის

მეორე ნაწილი.

ქართლის ცხოვრების კრებული მე-11 საუკუნის დასაწყისის შემდეგ თანდათან იკუმბოდა ახალი საისტორიო ძეგლების დართვით.

თუ პირველი ნაწილი ქართლის-ცხოვრების კრებულისა შეიცავს მეტ ნაწილად ისეთ ძეგლებს, რომლებშიაც ისტორიული გადმოცემა შეფერილია ლეგენდებით, ქართლის-ცხოვრების კრებულის შემდეგს ნაწილებში მოთავსებულია ნამდვილი საისტორიო თხზულებანი, რომლებიც როგორც საისტორიო წყარო წარმოადგენენ სავსებით სანდო დოკუმენტებს, აღბეჭდილს დიდის სიზუსტით. ეს საისტორიო ძეგლები, როგორც შინაარსით, ისე მეთოდით, ისტორიული კრიტიციზმით, და აგრეთვე თავისი ლიტერატურული ფორმითაც, მაჩვენებელია იმ მაღალი დონისა, რომლისთვისაც მიუღწევია ქართულ ისტორიოგრაფიას საშუალ საუკუნეებში.

ჩვენ აქ ჩამოვთვლით ქართლის ცხოვრების კრებულის მეორე ნაწილში მოთავსებულ თხზულებებს, რომლებიც მე-11 საუკუნეს ეკუთვნის.

1. მატრიანე ქართლისაჲ (წიგნი ქართველთა ცხოვრებისა არჩილ მეფისითჲან ბაგრატ III-მდე)³⁾.

ეს ნაწარმოები ეხება საქართველოს ისტორიას ორ-საუკუნე ნახევრის განმავლობაში, იწყება მე-8 საუკუნის 50-იანი წლებიდან და მოყვანილია 1014 წლამდე.

¹⁾ რომ იოანე დეკანოზის „განახლებულს“ თხზულებაში არის ძველი ფენი, მე-8 საუკუნის ძეგლიდან მომდინარე, ამას ადასტურებს, ჯერ ერთი, ძველ-ქართული საკალენდარო ტერმინოლოგია (თვეთა-აღრიცხვა, რომელიც მე-8 საუკუნეში იყო მიღებული და შემდეგ აღარ იხმარებოდა) და აგრეთვე ზოგიერთი ნიშანდობლივი ისტორიული რეალიები.

²⁾ რაც შეეხება მე-11 საუკუნის ავტორის იოანე დეკანოზის დამატებულ ადგილებს, ისინი ჩართულია მას შემდეგ, როდესაც ქართლის ცხოვრება უკვე კრებულის სახით ყოფილა გაერთიანებული.

³⁾ ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების კრებულის მარჯამ დედოფლისეულ ხელნაწერში უჭირავს გვერდები 438 — 473.

თხზულება დაწერილია მე-11 საუკუნის პირველ მესამედში, 1014 წლის ახლო ხანებში (არა უადრეს 1014 წლისა და არა უგვიანეს 1031 წლისა) ¹.

ავტორი კარგად არის ორიენტირებული საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მსვლელობის ამბებში, იგი გვაცნობს საქართველოს ფეოდალურ სამეფოებისა და სამთავროების პოლიტიკურ ვითარებას, რასაკვირველია შედგენა საქართველოს ყველა სამფლობელოთა მთლიანი ისტორიული მიმოხილვისა ორ საუკუნე ნახევრის მანძილზე ადვილი საქმე არ იყო იმ ხანაში, და უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ეს შრომა კარგად შეუსრულებია. ავტორი იჩენს ისტორიკოსის ნამდვილს კრიტიკულ აზრობას, მას დიდის შერჩევითა და გამოწველივით გამოუყენებია მის ხელში ქონებული საისტორიო მასალები. დეტალური ანალიზი ამ საისტორიო თხზულებისა, ჩატარებულ ეპოქის სხვა დოკუმენტებთან შედარების საფუძველზე, და აგრეთვე მისი შეფარდება უცხო ავტორების მიერ შემონახულ ცნობებთან, ცხად-ჰყოფს, რომ „მატიანე ქართლისაჲ“, როგორც საისტორიო წყარო—სრული ნდობის ღირსია და მასში გადმოცემული ფაქტები დიდის სიზუსტით არის აღბეჭდილი.

აღსანიშნავია, რომ ავტორი თუმცა იცავს მემატიანის ტრადიციულ ობიექტივობას, და მოვლენათა შეფასებისას დიდს სიტყვა-ძვირობას იჩენს, მაგრამ მის ნაწარმოებში მაინც მკვეთრად არის გამოვლენიებული ძირითადი მამოძრავებელი პოლიტიკური იდეა თავის ეპოქისა: ავტორის პოლიტიკური იდეალი არის გაერთიანებული საქართველო. მას საპიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ საქართველოს სისუსტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ „იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა“ (ე. ი. საქართველოსა). ისტორიკოსი იზიარებს იმ პროგრესიულ პოლიტიკურ ხაზს, რომლის შედეგადაც სწორედ მის ეპოქაში დაიწყო საქართველოს ფეოდალურ სამეფოთა და სამთავროთა კონსოლიდაცია გაერთიანებული სახელმწიფოს სახით. მემატიანე სათანადოდ აფასებს თავის დროის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის და ქართველი პატრიოტის იოანე მარუშისძის საქმიანობას, რომლითაც საფუძველი დაედო მესხეთის („ტაოს“), ქართლისა და დასავლეთ-საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ავტორი იზიარებს და ამართლებს ბაგრატ III-ის პოლიტიკას, რომელიც საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული.

ვინ იყო ავტორი ამ საისტორიო ძეგლისა? ამის შესახებ ცნობები არ შენახულა. (ავტორის ვინაობა ცხადია მოხსენებული იქნებოდა ისეთ ხელნაწერებში, რომლებშიაც ძეგლი წარმოდგენილი იყო ცალკე თხზულების სახით, მაგრამ ჩვენ დრომდე ასეთი ხელნაწერები არ მოღწეულა; დაცულია ამ ძეგლის მხოლოდ ის ტექსტი, რომელიც ქართლის ცხოვრების კრებულშია შეტანილი და ამ-რიგად სხვა მატრიანეებთან არის გაერთიანებულ-გადაბმული).

მაინც ავტორის ვინაობის შესახებ შესაძლოა გამოარკვეულ იქმნას ზოგი რამ თვით თხზულების ტექსტის რეალიების მიხედვით. ასე, ირკვევა შემდეგი:

¹) თარიღი ირკვევა შედარებითი ანალიზიდან შემდეგი სამი საისტორიო ძეგლისა: „მატიანე ქართლისაჲ“, სუმბატ დავითისძის მატრიანე, და „ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა“. (იხ. დასახელებული ნარკვევი: „ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8 — 11 საუკუნეთა ძეგლები“).



რომ ავტორი საერო პირი იყო;
იგი მომსწრე ყოფილა ბაგრატ III-ის მეფობისა;
იგი მოღვაწეობდა ქართლში და ყველა ნიშნებით იგი უფლებსცხის მხარედან იყო (რომელ მხარესაც იგი ახლო იცნობს და რომლის „შესახებაც“ იგი უფრო ნიშანდობლივ ცნობებს იძლევა; ამას გარდა ზოგიერთი ნიშნების მიხედვით ისიც საფიქრებელი ხდება, რომ ავტორი დაახლოებული პირი იყო ამ მხარის — უფლისციხის თემის — მფლობელ გვარეულობასთან).

რაკი ავტორის სახელი მოხსენებული არაა და უცნობი რჩება, ჩვენ მას პირობითად ვუწოდებთ სახელს: „უფლისციხელი“ (ან-და „უფლისციხელი მემბტიანე“).

2. ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა¹⁾.

ეს მეორე საისტორიო თხზულება შეიცავს საქართველოს ისტორიის მიმოხილვას მე-11 საუკუნის მანძილზე, საქართველოს მეფეების გიორგი I-ისა და მისი მემკვიდრის ბაგრატ IV-ის დროს. იგი მოიცავს 58-წლოვან პერიოდს, იწყება 1014 წლიდან და სრულდება 1072 წლით.

ავტორი ბაგრატ IV-ის კარის მემბტიანე ყოფილა, ბაგრატ IV-ის კარზე უცხოვრია.

პირველი ნაწილი თავისი თხზულებისა, რომელიც შეიცავს მოთხრობას 1031 წლამდე, ავტორს აღუწერია თავისი წინამორბედი ისტორიკოსის — სუმბატ დავითის-ძის „ბაგრატიონთა ისტორიის“ საფუძველზე, ხოლო მომდევნო ორმოც-წლოვანი პერიოდს ავტორს დაუწერია როგორც „თვითმიხილველსა და თანადამხდურ“ მემბტიანეს.

ავტორს თხზულების ცალკეული ნაწილები „უამითი-უამად“ უწერია, იგი ჰყრებდა და იწერდა მასალებს როგორც თანამედროვე მომხდარი ამბებისა. ხოლო თხზულება მთლიანის სახით დაუმუშავებია 1072—1073 წლებში.

ნაწარმოები შეიცავს უხვს ცნობებს მე-11 საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ, რომელიც დიდის გამოწველივით არის შეკრებილი და სიზუსტით აღბეჭდილი. ამ ძეგლის მიხედვით შესაძლო ხდება სათანადო სისრულით და ზედმიწევნით აღვადგინოთ საქართველოს პოლიტიკური ისტორია ამ ეპოქისა.

ისტორიკოსის პორიზონტი ფართეა. იგი კარგად არის ჩაბედული როგორც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მიმართებაში, ისე საერთაშორისო პოლიტიკურს ვითარებაში. მისი ისტორია საქართველოს ისტორიის ფარგლებით არის მოხაზული, მაგრამ ამასთან ირკვევა, რომ ავტორი კარგად იყო გაცნობილი ბიზანტიისა და აღმოსავლეთის საქმეთა მსველელობას.

აღსანიშნავია ამასთან ისტორიკოსის მოთხრობის ობიექტური ხასიათი. ავტორის იდეალია გაერთიანებული საქართველო, იგი გამოდის დამცველად იმ პოლიტიკური ზაზისა, რომელიც მიმართული იყო საქართველოს მთლიანობის განმტკიცებისაკენ; მაგრამ ამავე დროს ავტორი მემბტიანის მიუდგომლობითა და ობიექტურის ტონით აგვიწერს საქართველოს უძლიერესი ფეოდალის

¹⁾ ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების კრებულის მარამ დიდოფლისეულ ხელნაწერში უპირავს გვერდები 473 — 508.

ლიბარტი ორბელის საქმეს, რომელიც ერთხანად ქართლისა და მესხეთის პროვინციების უფვირგვინო მეფე გახდა, და „განხეთქა სამეფო“, ისტორიკოსის ობიექტივობის მაჩვენებელია თუნდ ის ფაქტი, რომ იგი აღნიშნავს მეფის (და სამეფო კარის) შემდარსა და წინდაუხედავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რამაც ერთის მხრით შეაფერხა ტფილისის შემოერთებისა და შემომტყეცების საქმე, და ამავე დროს გახდა მიზეზი ლიბარტის განდგომისა და „სამეფოს განხეთქისა“.

ის გარემოება, რომ ავტორი თანამედროვეა აღწერილი ამბებისა, ხშირად „თვითმხილველი და თანადამხდური“, — თხზულებას ანიჭებს განსაკუთრებულს სიცხოველეს. და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ისტორიკოსის თხზულება თავიდან ბოლომდე აღბეჭდილია საქმიანი ხასიათით. მოთხრობა იმდენად საფუძვლიანია და დატვირთული ფაქტიური ცნობებით, რომ შეუძლებელია თხზულებიდან გამოსვებულ იქმნას თუნდ ერთი ფრაზა.

ეინ იყო ავტორი ამ საისტორიო ძეგლისა, — არც იმის შესახებ შენახულა ცნობები. (ავტორის მოუხსენებლობა ამ შემთხვევაშიაც იმავე მიზეზით არის გამოწვეული, რა მიზეზითაც უცნობი ჩჩება ჩვენთვის მთელ რიგ სხვა ისტორიკოსთა სახელებიც. საქმე ის არის, რომ ჩვენ დრომდე არ მოღწეულა ისეთი ხელნაწერები, რომლებშიაც ეს ძეგლი ცალკე თხზულების სახით იყვეს დაცული, და რომლებშიაც ცხადია აღნიშნული იქნებოდა ავტორის ვინაობა, როგორც ამას მაგალითად „ბაგრატიონთა ისტორიის“ ავტორის სუმბატ დავითის-ძის მიმართ ვხედავთ. ჩვენ დრომდე შენახულა ამ ძეგლის მხოლოდ ის დედანი, რომელიც ქართლის ცხოვრებაშია შეტანილი, როგორც კრებულის ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი).

მაინც თხზულების ტექსტის მიხედვით შესაძლო ზდება იმისი დადგენა, რომ ავტორი იყო მესხეთის მხარიდან, თორა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი ს პ რ ო ვ ი ნ ც ი ი დ ა ნ. (ტექსტში ამის შესახებ მოიპოვება ნიშანდობლივი ჩვენებანი). ამის გამო ავტორს ჩვენ ვუწოდებთ სახელს: „თ ო რ ე ლ - ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ე ლ ი“ (ან და: „თ ო რ ე ლ - ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ე ლ ი მემატინე“).

აღნიშნავთ ამასთან, რომ ეს ისტორიკოსი, როგორც ირკვევა, საერო პირი ყოფილა. მატინეში არ შეინიშნება არავითარი კვალი კლერიკალური განწყობილებისა. ავტორის მხედველობის ცენტრში არის ქვეყნის პოლიტიკური ისტორია. თხზულება თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია საერო სულით.

3. ცხოვრება გიორგი II-ისა (1072 — 1089 წლ.)¹.

ამ ნაწარმოებიდან მხოლოდ ფრაგმენტი ვადაჩინილა, მაგრამ ვადაჩენილი ნაწილის მიხედვით მაინც შესაძლოა წარმოვიდგინოთ მისი ხასიათი. იგი იმავე ტიპის ნაწარმოებია, როგორც ზემოთგანხილული საისტორიო ძეგლი „ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა“. ეს ავტორი ავრთვე თანამედროვეა აღწერილი ამბებისა, მე-11 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მწერალი.

¹) ამ ძეგლს ქართლის ცხოვრების კრებულის მარია დედოფლის ხელნაწერში უჭირავს გვერდები 508 — 512. (ამას გარდა ერთი ნაწყვეტი შენახულია ქართლის-ცხოვრების „ეპიტაფისეული“ რედაქციის ხელნაწერებში).

ასეთია მოკლედ მე-11 საუკუნის ამ სამი საისტორიო ძეგლის მოკლელობა და ზოგადი ხასიათი.

ამ მიმოხილვის დასასრულს დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ქართული ისტორიოგრაფიის მართლაც განვითარებას ამ ეპოქაში. აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, ეს ძეგლები დამუშავებულია არა უბრალო მარტივი მატეიანისა, არამედ პრაკტიკული ისტორიის სახით. მათი ავტორები არის არა ჩვეულებრივი ტიპის მემატეიანეები, რომლებიც იძლეოდნენ ქრონოლოგიურის თანამიმდევრობით უბრალო აღწერას სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა მნიშვნელობის ამბებისას (რომელთაც ხშირად არაერთგვაროვანი კავშირი არ ჰქონდათ ერთმანეთთან), არამედ ნამდვილი ისტორიკოსები, რომლებიც ვადმოგვცემენ თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების გაშლილს მთლიანს სურათს.

საერთო სტილით მე-11 საუკუნის ეს საისტორიო ძეგლები უახლოვდება თანამედროვე ბიზანტიურ საისტორიო თხზულებებს და ღირსებით არ დაუეარდება ამ უკანასკნელთ.

3.

ს ა მ ბ რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ის ტ ო რ ი ი ს ს ხ ვ ა ძ ე ვ ლ ბ ი.

ქართული საისტორიო ძეგლების შეკრებამ „ქართლის ცხოვრების“ კრებულის სახით გადაარჩინა ჩვენ დრომდე ის ნაწარმოებნი, რომლებიც მოხვდა ამ კრებულში. მაგრამ ამავე დროს „ქართლის-ცხოვრების“ კრებულის შედგენამ ხელი შეუწყო დაკარგვას იმ ისტორიულ ნაწარმოებთა, რომლებიც კრებულში არ იყო მოთავსებული. ქართლის-ცხოვრების კრებულმა ადრევე მოიპოვა პოპულარობა, იგი ფართო საზოგადოებაში გავრცელებულ საკითხავ წიგნად გადაიქცა, და ამის შემდეგ ცალკე საისტორიო თხზულებები აღარ სარგებლობდნენ იმდენი ყურადღებით.

ზოლო ასეთ საისტორიო თხზულებანი, რომლებიც არ მოხვდა ქართლის ცხოვრების კრებულში, მრავლად ყოფილა. ქართლის ცხოვრების კრებული შედგენილი იყო გარკვეულის გეგმით: აქ თვითეული ეპოქის შესახებ შეტანილი იყო თითო ნაწარმოები (იმ რიგად, რომ მთელი კრებული ერთ გაბმულ მოთხრობას იძლეოდა ქრონოლოგიურის თანამიმდევრობით). ამ-რიგად კრებულს ვარეშე დარჩა სხვა საისტორიო თხზულებანი, რომლებიც პარალელურად იმავე ეპოქებს ეხებოდა.

ჩვენ აქ თავდაპირველად საუბარი გვექნება ისეთ საისტორიო თხზულებებზე, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური ისტორიას ეხება.

ასეთი ხასიათის მე-8 — 11 საუკუნეთა თხზულებებიდან, რომლებშიც არ შევიდა ქართლის ცხოვრების კრებულში, და რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა, ჩვენ დრომდე მთლიანი სახით მოღწეულა მხოლოდ სუმბატ დავითის-ძის თხზულება — ისტორია ბაგრატიონთა¹⁾. დანარჩენი ძეგლებიდან გადარჩენილია მხოლოდ ექსცერატები, ან-და უწყება მათ შესახებ.

¹⁾ სუმბატ დავითის-ძის თხზულება შეტანილია ქართლის ცხოვრების ერთ ხელნაწერში, მაგრამ დამატების სახით. იგი ორგანიზულად არ არის გადამხული კრებულის შემადგენლობასთან.

ა. სუმბატ დავითის-ძე. ისტორია ბაგრატიონთა.

ეს ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „უხორება და უწყება ბაგრატიონთა, ჩვენ ქართველთა მეფეთა“ საქართველოს ისტორიის მიმოხილვას მე-6 საუკუნიდან დაწყებული „წიგნი მე-11 საუკუნემდე“.

თხზულება დაწერილია 1031 წლის ახლო, რა თარიღზედაც სწყდება მოთხრობა.

ეს ნაწარმოები, რომელიც ამ-რიგად საკმაოდ ხანგრძლივს პერიოდს, ხუთი საუკუნის ისტორიულ მიმოხილვას მოიცავს, ცხადია დამყარებულია სხვადასხვა ხასიათის მასალებზე, და ამის გამო თვით ნაწარმოების ცალკე ნაწილები სხვადასხვა ხასიათს ატარებს.

პირველი ნაწილი ნაწარმოებისა, მე-6—8 საუკუნეთა შესახები, არ არის ორიგინალური და დამყარებულია უმთავრესად ძველ-ქართულ ქრონიკაზე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანზე და მის დამატებაზე.

ამას მოჰყვება საკმაოდ დაწვრილებითი მოთხრობა აშოტ დიდი კურაპალატის შესახებ, რომელმაც მე-9 საუკუნის დასაწყისში დააფუძნა მესხეთ-ქართლის ფეოდალური სამთავრო, შემდეგ „ქართველთა სამეფოს“ სახელით ცნობილი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა ამ ეპოქაში. ეს მეორე ნაწილი სუმბატ დავითის-ძის თხზულებისა სჩანს ამოღებულია რომელიღაც უცნობი ქართული საისტორიო ქრონიკიდან მე-9 საუკუნისა.

მესამე ნაწილი ნაწარმოებისა მე-9 საუკუნიდან—მე-11 საუკუნის დასაწყისამდე შეიცავს მშრალს მატრიანისებურს თხრობას მესხეთის ბაგრატიონთა შესახებ (გენეალოგია, თარიღები, მოკლე საისტორიო ცნობების დართვით). ეს მესამე ნაწილი ნაწარმოებისა ავტორს სჩანს შეუღღენია ბაგრატიონთა საგვარეულო არქივის მასალებზე დამყარებით.

მეოთხე და უკანასკნელი ნაწილი ნაწარმოებისა ავტორს აღუწერია როგორც „თვით-შვილველსა და თანადამხდურს“ თანამედროვეს. ეს მეოთხე ნაწილი უკვე ნამდვილი ფართოდ გაშლილი საისტორიო მოთხრობაა, რომელშიაც გადმოცემულია მე-11 საუკუნის პირველი მესამედის ამბები, დაწვრილებით აწერილია ომები ბიზანტიას იმპერიასა და საქართველოს შორის მე-11 საუკუნის 20-იან წლებში, რომელთა მონაწილე, საფიქრებელია, თვით ავტორი იყო.

სუმბატ დავითის-ძე ბაგრატიონთა კარის ისტორიკოსია. იგი სჩანს თვითაც ბაგრატიონთა გვარეულობას ეკუთვნოდა. ავტორი თავის ნაწარმოებში ლეგიტიმისტურს თვალსაზრისს ატარებს, და იმ ანტაგონიზმის გაშუქების დროს, რომელიც არსებობდა ფეოდალებსა და გაერთიანებული საქართველოს მეფეთა შორის, ავტორი სამეფო კარის პოლიტიკის დამცველად გამოდის.

სუმბატ დავითის-ძის ნაწარმოებში ცალკეა აღსანიშნავი ერთი მხარე, რაც ამ ძეგლს განსაკუთრებულს მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ ისტორიოგრაფიაში: იგი მდიდარია პრეციზული, ზუსტად აღნიშნული ქრონოლოგიური ცნობებით. მე-9—11 საუკუნეთა ქართული ისტორიის დაწვრილებითი ქრონოლოგიის დადგენა უმთავრესად ამ ძეგლის მიხედვით გახდა შესაძლებელი.



რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სხვა ძეგლებს, რომლებიც ჩვენ დრომდე არ შენახულა მთლიანი სახით, და რომლებიც მხოლოდ ექსცერპტულად არის დაცული, ჩვენ აქ მათ შესახებ დავაკმაყოფილებით მოკლე შენიშვნებით.

ბ. ორი ძეგლი: 1. მათიანე მე-6—7 საუკუნეებისა და 2. მათიანე მურვან-ყრუს ლაშქრობისა და არჩილის მეფობისა (8 საუკ.) — როგორც მოხსენებულნი გვქონდა, გამოყენებულია ჯუანშერის ქრონიკაში. როგორც ირკვევა ტექსტუალური ანალიზიდან, ეს ორი ძეგლი, ექსცერპტების სახით, მთლიანად არის გადმოწერილი ჯუანშერის კომპილაციურ თხზულებაში, და ამის გამო მათი აღდგენა შესაძლებელი ხდება.

პირველი მათიანე (რომელიც 6—7 საუკუნეებს ეხება) სჩანს დაწერილი ყოფილა მე-8—9 საუკუნეებში. ხოლო მეორე ძეგლი (მატიანე მურვან-ყრუს ლაშქრობისა და არჩილის მეფობისა), როგორც უკვე ვუჩვენეთ, მე-8 საუკუნის ძეგლია, სჩანს თანამედროვის მიერ აღწერილი, და იგი პირველხარისხოვან ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს, მეტად მნიშვნელოვანი საისტორიო ცნობების შემცველს¹⁾.

გ. კუთხური მათიანეები ქართლისა, მესხეთისა და კახეთ-შერეთისა—ხელთა ჰქონია მე-11 საუკუნის დასაწყისის ისტორიკოსს „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს. მაგრამ ეს კუთხური მათიანეები ამ საისტორიო თხზულებაში მოყვანილია არა კომპილაციის წესით, არამედ გამოყენებულია როგორც წყარო. ამის გამო ამ კუთხურ მათიანეთა ტექსტის აღდგენა შეუძლებელი ხდება; შესაძლოა აღნიშნულ იქმნას, მხოლოდ ზოგადად, ცალკეული მათიანეთა ფარგმენტები.

დ. ცხოვრება აფხაზთა მეფეთა. წყაროებიდან ირკვევა, რომ მე-10 საუკუნეში არსებულა ცალკე საისტორიო კრებული დასავლეთ-საქართველოს, ანუ იმ-დროინდელი ტერმინოლოგიით აფხაზეთის შესახებ: „ცხოვრება აფხაზთა მეფეთა“. ეს საისტორიო ძეგლიც დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის. „ცხოვრება აფხაზთა მეფეთა“ გამოუყენებია როგორც ერთ-ერთი წყარო იმავე „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს. აქედან აქვს მას ამოღებული ცნობები დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ²⁾. როგორც სჩანს „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტში შემონახული ექსცერპტებიდან, საისტორიო კრებული „ცხოვრება აფხაზთა მეფეთა“ მეტად საყურადღებო და შინაარსიანი საისტორიო თხზულება ყოფილა.

¹⁾ აღდგენილი დედანი ამ მეორე ძეგლისა მოგვყავს ნარკვევში: „ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8—11 საუკუნეთა ძეგლები“.

²⁾ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი ერთ შემთხვევაში პირდაპირ აცოტირებს ამ ძეგლს (იხ. გვ. 451/228, — უწყება გიორგი I-ისა და ბაგრატ უფლისწულის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ დაწერილებითი მოთხრობა მათ შესახებ წარმოდგენილი არის „ცხოვრებასა მათსა“, ე. ი. ცხოვრებასა აფხაზთა მეფეთას).

დაკავშირებით ამ უკანასკნელ საისტორიო თხზულებასთან „ცხოვრება აფხაზთა მეფეთა“ — აქ შეეხებოდა ერთ საისტორიო დოკუმენტსაც, რომელსაც ეწოდება: „საქაიანი მეფეთა“.

ეს ძველი გამოუქვეყნებია საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ქვეყნულმწიფო მოღვაწის, საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის (978 — 1014 წ.).

„მეფეთა დივანი“, მოყვანილია სია დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მფლობელთა ოთხი საუკუნის განმავლობაში, მე-7 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-10 საუკუნემდე, ბაგრატ III-ის დრომდე. სია თავდება შემდეგი განცხადებით:

„და ამითა შემდგომად ინება ღმერთიან და დეიპყარ მე ქვეყანა აფხაზეთისა, დედული ჩემი, ბაგრატ ბაგრატიონიან, ძემან სულეურთხეულისა გურგენისიან და ასულის-წულმან გიორგი აფხაზთა მეფისიან“.

ბაგრატ III გამეფდა დასავლეთ საქართველოში („აფხაზეთში“) 978 წელს.

რას წარმოადგენს ეს ძველი „დივანი მეფეთა“?

ამის ვასაგებად საჭიროა გაეთვალისწინოთ შემდეგი:

ბაგრატის გამეფება დასავლეთ-საქართველოში ნიშნავდა ძველი დინასტიის შეცვლას აქ და ახალი დინასტიის დამკვიდრებას. (ბაგრატ წარმოშობით ბაგრატიონი იყო, წარმომადგენელი შესებთ-ქართლის, ანუ როგორც იმ დროს ეწოდებოდა „ქართველთა სამეფოს“ დინასტიისა; ხოლო დასავლეთ-საქართველოს „აფხაზეთის“ ძველ დინასტიასთან იგი დაკავშირებული იყო დედის მხრით).

აი ამ გარემოებასთან, ძველი დინასტიის შეცვლასა და ახალი დინასტიის გამეფებასთან უნდა იყვეს დაკავშირებული „მეფეთა დივანის“ გამოქვეყნება. „მეფეთა დივანი“ სწინა წარმოადგენს არა უბრალო საისტორიო მოსახსენებელს, არამედ აქტს, ერთგვარ მანიფესტს, რომლითაც ახლად გამეფებული მეფე, ახალი დინასტიის წარმომადგენელი, აღნიშნავს თავისი უღლების კანონიერებას, ნათესაობას ძველ დინასტიასთან, და ამასთან დაკავშირებით მოჰყავს თავის წინამოადგილეთა სია. (ასეთი შეხედულება გამოსთქვა ამ საგანზე ძველის აღმოჩენმა და პირველმა გამოქვეყნებმა, და ეს შეხედულება სწორი უნდა იყვეს).

მაგრამ დამოუკიდებლად იმისგან, თუ რას წარმოადგენს ეს ძველი, — არის იგი ჩვეულებრივი ტიპის საისტორიო მოსახსენებელი, თუ აქ ჩვენ გვაქვს აქტი-მანიფესტი, — ყოველ შემთხვევაში იგი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საისტორიო დოკუმენტს, სადაც მოყვანილია სია დასავლეთ საქართველოს დინასტიებისა ოთხი საუკუნის მანძილზე (რომელ-შაიც, მე-8 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული, ნაჩვენებია მეფეთა ინდიკატიონებიც. შათი მეფეობის წლები).

საკითხავია, საიდან აუღია ეს ცნობები ბაგრატ III-ის? ყველა ნიშნებით იმავე საისტორიო კრებიდან „აფხაზთა მეფეთა ცხოვრებიდან“, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, და რომელიც, როგორც ირკვევა, ბაგრატ III-ის დროს უკვე არსებულია.

4.

საეკლესიო ისტორიის ძეგლები.

ამავე ეპოქიდან — მე-8 — 11 საუკუნეებიდან — ჩვენ დრომდე მოღწეულა საისტორიო ხასიათის ნაწარმოებნი, რომლებიც სპეციალურად საქართველოს და მეზობელი ქვეყნების ეკლესიის ისტორიის საკითხებს ეხება.

ამათ რიცხვს ეკუთვნის არსენი საფარელი (კათოლიკოსის) საისტორიო თხზულება:

„განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“.

საგანი ამ თხზულებისა არის ისტორია საქართველოს და სომხეთის ეკლესიათა განხეთქილებისა, რამაც ერთის მხრით საქართველო მიიყვანა დასავლეთის ელინურ-რომაულ მსოფლიოსთან დაახლოვებამდე, ხოლო სომხეთი დააშორა ეკლესიურად ელინურ-რომაულ მსოფლიოს და აღმოსავლეთს დაუკავშირა.

ავტორი იძლევა სომხეთის, საბერძნეთის და საქართველოს საეკლესიო ურთიერთობათა ისტორიულ მიმოხილვას მე-4 საუკუნიდან ვიდრე მე-8 საუკუნის 20-იან წლებამდე (726 წლამდე).

ეპიკონენული

ისტორიკოსის მიერ წარმოდგენილი ანალიზი საქმეებს უკმაყოფილებს იმ მხრით არის საყურადღებო, რომ იგი ხაზს უსვამს საკითხის პოლიტიკურ მხარეს; ავტორის გაშუქებით საეკლესიო განხეთქილება — „განყოფაა სომეხთა ქართლისაგან“ — ეს იყო იმდენად არა დოღმატიურ-რელიგიური უთანხმოებით გამოწვეული, არამედ ამას ედგა პოლიტიკური სარჩული, და საკითხს სწყვეტდა პრო-ირანული (აღმოსავლური) და პრო-რომაული (დასავლური) პოლიტიკური ორიენტაცია გარკვეული წრეებისა.

არსენი საფარელის თხზულება დაწერილია მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში (726 წლის ახლო ხანებში, რა თარიღზედაც სრულდება ისტორიული მიმოხილვა) ¹.

ამ ეპოქის საქართველოს საეკლესიო ისტორიის ძველთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე მეორე ძველი: ისტორია საეკლესიო კრებათა და პაექრობათა.

ეს თხზულება ჩვენს დრომდე მთლიანად არ მოღწეულა. გადაჩენილა ამ თხზულების ერთი ნაწილი, — სახელდობრ აღწერა პაექრობისა, რომელიც გაიმართა ღრტილას კრებაზე 1046 წელს (ქართველ მოღვაწე ეფთიმე იერუსალიმელსა და სომეხთა წარმომადგენელს სოსთენს შორის).

თხზულება არ არის მოკლებული ლიტერატურულ ინტერესს. პაექრობა ცხოვლად არის აღწერილი. აღწერილობა შეზავებულია ყოფა-ცხოვრების დეტალებით.

ავტორი მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის მწერალია.

5.

ისტორიული და ისტორიულ-ჰაბიტობრაფიული ძეგლები:

ა. წიგნი „ქართლისა მოქცევისა“

ბ. მიმოსლვა ანდრეასი.

საშუალ-საუკუნეებში საქართველოს ისტორიის საკითხებიდან სპეციალური ინტერესის საგანს წარმოადგენდა ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში.

ამ საკითხის გარშემო ქართულს ენაზე არსებულა მთელი წყება ისტორიული და ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ძეგლებისა.

ძველთა ერთი წყება ეხებოდა მოღვაწე-ქალის ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგებას იბერიაში („ქართლში“), რის შედეგად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქმნა აღიარებული იბერიაში მე-4 საუკუნეში.

ამას გარდა ქართულ ენაზე შენახულა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი, რომლებიც შეიცავს თხრობას ანდრეა მოციქულის ქადაგების შესახებ საქართველოში 1 საუკუნეში.

ჩვენ ჯერ პირველი წყების ძეგლებზე შევჩერდებით.

¹) იხ. სქოლიო 7.

ა.

წიგნები „ქართლისა მოქცევისა“ — „ცხოვრება ნინოსისი“.

ნინოს მოღვაწეობა და ისტორია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა მე-4 საუკუნეში — უძველეს ხანაშივე ყოფილა აღწერილი ქართულ წიგნებში.

უფრო გვიან, საუკუნეთა განმავლობაში, ნინოს სახელის გარშემო შეიქმნა ლეგენდები. ამასთან, ქრისტიანობის გავრცელების ისტორია წარმოადგენდა არა მარტოოდენ თეორეტიული ინტერესის საგანს, არამედ ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას უკავშირებდნენ ეკლესიის პოლიტიკის მიმართულებას ამა-თუ-იმ ეპოქაში. ამის გამო ნინოს შესახებში გადმოცემა რამდენჯერმე იყო გადამუშავებული და შეცვლილი.

ძეგლები, რომლებიც ეხებიან ნინოს მოღვაწეობასა და „ქართლის“ (იბერიის) გაქრისტიანების ისტორიას, ე. ი. „ქართლის მოქცევა“-ს, — შესაძლოა ორ ჯგუფად გავყოთ: პირველი ჯგუფი ეკუთვნის ხანას მე-7 საუკუნემდე, მეორე ჯგუფი ეკუთვნის ხანას მე-8 საუკუნიდან მოკიდებული.

პირველი ჯგუფი, ე. ი. ძეგლები მე-7 საუკუნემდე, ძირითადად ისტორიული ხასიათის თხზულებებია. ამ ძეგლებში მოთხრობა ნინოს მოღვაწეობის შესახებ თუმცა თანდათან ივსებოდა ლეგენდარული ხაზებით, და ცალკეული მომენტები თუმცა გაშუქებული იყო შეფარდებით საქართველოს ეკლესიის იმ ოფიციალურ პოლიტიკურ ხაზთან, რომელიც ამა-თუ-იმ ხანაში იყო მიღებული, მაგრამ მაინც ეს ძეგლები წარმოადგენს უპირატესად საისტორიო თხზულებებს და არა ლეგენდარულ თხრობას. ლეგენდარულია აქ უმთავრესად აქსესუარები, ხოლო ძირითადი თხრობა ისტორიის ჩარჩოებს არ სცილდება.

სულ სხვა სურათი გვაქვს მეორე ჯგუფში, გვიანდელ ძეგლებში, მე-8 საუკუნიდან მოკიდებული. ამ გვიანდელ ძეგლებში ნამდვილი ისტორიიდან შერჩენილია მხოლოდ ზოგადი ქარგა, ხოლო ლეგენდარული მომენტები აქ ძალზე სქარბობს და სავსებით ჩრდილავს ნამდვილს ისტორიას.

ჩვენ ჯერ აქ ჩამოვთვლით პირველი ჯგუფის ძეგლებს, ე. ი. ისტორიულ თხზულებებს, რომლებიც ეკუთვნიან ხანას მე-7 საუკუნემდე.

1. უძველესი ხანის მე-4 — 5 საუკუნეთა ქართული ისტორიული პირველ-წყაროები თუმცა არ მოღწეულა ჩვენ დრომდე მთლიანი და პირვანდელის სახით, მაგრამ ისინი ექსცერპტულად მაინც არის გადარჩენილი. კერძოდ ერთი ტექსტი, რომელიც აგვიწერს ნინოს მსვლელობას და ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას ქართლის მთიანეთში, კახეთსა და კუხეთში (და რომელიც შეტანილია მე-7 საუკუნის ცნობილს საისტორიო თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანში), როგორც ირკვევა, უცვლელად არის გადმოღებული ძირითად ნაწილში მე-4 — 5 საუკუნის ქართული საისტორიო ქრონიკიდან. ეს ტექსტი აღბეჭდილია დოკუმენტალური ხასიათით და იმდენად ნიშანდობლივია და ზუსტი, რომ იგი სჩანს ეკუთვნის უახლოესი დროის ისტორიკოსს^{*)}.

*) იხ. სქოლიო 8.

2. ნინოს მოღვაწეობა და ქართლის მოქცევის ამბავი აღწერილია ძველ ქართველ მემბტიანეს გრიგოლ დიაკონს, რომლის თხზულება მოხსენება სახელწოდებით „მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლის მოქცევისა“. (ამ საისტორიო ძეგლიდან ექსცერპტის სახელია „გადაწერილია ნაწყვეტი, რომელშიაც გადმოცემულია ერთი ეპიზოდი ნინოს მოღვაწეობიდან, — აღმართვა მცხეთის ჯვარისა, რომელიც განსაკუთრებული კულტის საგანი გახდა საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების დროიდან).

3. ძველ ხანას ეკუთვნოდა აგრეთვე მატიანე, რომელიც მიეწერებოდა აბიათარს, და რომელიც ატარებდა სახელწოდებას: „ცხოვრება და მოქცევა ქართლისა, და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქეციით და მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა... აღწერილი აბიათარისი“. ეს თხზულება, როგორც ირკვევა, უფრო ადრინდელი ძეგლი ყოფილა, ვიდრე „მატბერდულ-ჭელიშურ ხელნაწერებში დატული „მოქცევა ქართლისა“-ს მატიანე, და ამის მიხედვით იგი მე-7 საუკუნეზე უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნოდა¹⁾.

4. ზუსტად შეიძლება დათარიღდეს ნინოს ცხოვრების ის ტექსტი, რომელიც უთარგმნიათ ქართულიდან სომხურად და შეტანილი ყოფილა ავათანგელოსის სახელით ცნობილს თხზულებაში²⁾. ეს ტექსტი წარმოადგენს უკვე მეორად საფეხურს ნინოს შესახებ გადმოცემის დამუშავებისა, და ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც საქართველოს ეკლესია მონოფიზიტობას მიემხრო და განმტკიცდა ახლო კავშირი აღმოსავლეთის ეკლესიურ მსოფლიოსთან. ამის მიხედვით ეს ტექსტი მე-7 საუკუნით თარიღდება.

5. შემდეგი მესამე საფეხური ნინოს შესახებ გადმოცემის დამუშავებისა წარმოადგენილია ცნობილს საისტორიო თხზულებაში, რომელიც ქართულს ისტორიოგრაფიაში ცნობილია სახელწოდებით: „მოქცევა ქართლისა“-ს მატიანე. ეს ძეგლი, პირველადი დედანი, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-7 საუკუნეში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს თხზულება ეხება არა მხოლოდ „ქართლის მოქცევის“ (ე. ი. იბერიის გაქრისტიანების) ისტორიას, არამედ შეიცავს იბერიის ისტორიის მთლიანს მიმოხილვას ათი საუკუნის განმავლობაში (იწყება მე-4 საუკუნის დასასრულიდან ჩვენს ერამდე და მოყვანილია მე-7 საუკუნის შუა წლებამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა). მაგრამ რაკი ამ მატიანეში ცენტრალური ადგილი უჭირავს „ქართლის მოქცევის“ ე. ი. იბერიის გაქრისტიანების ისტორიას, ამის გამო მთელი ძეგლისათვის უწოდებიათ ეს სახელი: „მოქცევა ქართლისა“.

კერძოდ რაც შეეხება ნინოს ცხოვრების ტექსტს, რომელიც შეტანილია ამ თხზულებაში, იგი ეკუთვნის ქართული ეკლესიის ისტორიის მესამე პერი-

¹⁾ იხ. წერილი მეორე — (შნათობი, № 4 გვ. 108, 115 — 116, 137 — 138).

²⁾ იხ. მოსე ხორენელი, წიგნი II, თავი 86.

ოდს, — ელინოფილურ ქალკედონურ ხანას (რომელიც საბოლოოდ მტკიცდება მე-6 საუკუნის უკანასკნელ შესამედსა და მე-7 საუკუნეში). მაგრამ ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლში ჩვენ გვაქვს ორგვარი ხასიაფის ვადანაშთი წინა-ეპოქებისა: ერთის მხრით აქ გამოყენებულია უძველესი მკურნალობის საუკუნის ქართული წყაროები ნინოს მოღვაწეობის შესახებ; ამავე დროს აქ არის გავლენა ნინოს ცხოვრების შემდეგ-დროინდელი მე-6 საუკუნის ვერსიებისა, რომლებიც დამუშავდა მეორე პერიოდში, აღმოსავლეთის ეკლესიურ მსოფლიოსთან ერთობის დროს, მონოფიზიტთა ბატონობის ხანაში¹.

ასეთია ეს უძველესი ძეგლები, რომლებიც ეხებიან „ქართლის მოქცევის“ ე. ი. იბერიის გაქრისტიანების ისტორიას, და რომლებიც ეკუთვნიან ხანას მე-7 საუკუნემდე.

აქ დასახელებულ ძეგლებში, როგორც აღვნიშნეთ, მოთხრობა ნინოს მოღვაწეობის შესახებ თუმცა თანდათან ივსებოდა ლეგენდარული ხაზებით, და ამას გარდა ცალკეული მომენტების გაშუქება აქ შეფარდებული იყო ქართული ეკლესიის იმ ოფიციალურ პოლიტიკურ ხაზთან, რომელიც ამა-თუ-იმ ეპოქაში იყო მიღებული, მაგრამ მაინც ეს ძეგლები ძირითადად წარმოადგენდნენ ისტორიულ თხზულებებს, მხოლოდ ნაწილობრივ შეფერილს ლეგენდით.



უფრო გვიან, მე-8 საუკუნეში, ქართულს ენაზე იწერება ნინოს განახლებული ცხოვრება, რომელიც წმინდა ლეგენდარული ხასიათის პაგიოგრაფიულ მოთხრობას წარმოადგენს. ამ ძეგლში ისტორიიდან შერჩენილია მხოლოდ საერთო აბრისი, ისტორიული თხრობა აქ სავსებით გახვეულია ლეგენდების საბურველში.

ამ პაგიოგრაფიულ თხზულებას, რომელიც შენახულა შატბერდისა და ქელიშის ხელნაწერებში, მიემართება შემდეგი ორმაგი სახელწოდება:

„ცხოვრება ნინოასი“ ანუ „წიგნი ქართლისა მოქცევისა“.

ჭვემოთ, რათა გავარჩიოთ ეს თხზულება სხვა ნაწარმოებთაგან, რომლებიც ანალოგიურ სახელწოდებას ატარებენ, ჩვენ მას ვუწოდებთ: „შატბერდულ-ქელიშური ნინოს ცხოვრება“ ან-და „ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება“. (ეს ძეგლი, როგორც ჭვემოთ დავინახავთ, ფსევდო-ეპიგრაფიული ნაწარმოებია, ე. ი. მოვონილი ავტორებისადმი მიწერილი).

ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ამ უკანასკნელ ძეგლზე, რადგან ამ ნაწარმოებმა ერთგვარი კანონიზაცია მიიღო საშუალ-საუკუნეთა საქართველოში. ამასთან ეს ნაწარმოები ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ როგორც ისტორიული დოკუმენტი, ამსახველი გარკვეული ეპოქის თვალსაზრისისა, არამედ როგორც წმინდა ლიტერატურული ძეგლი — თავისი შინაარსით და თავისი ფორმითაც.

ნაწარმოები ეკუთვნის ხანას, როდესაც, აღმოსავლეთის საეკლესიო ტრადიციასთან საბოლოოდ კავშირის გაწყვეტის შემდეგ, ქართულ ეკლესიაში

¹) ასე, მონოფიზიტობის ხანის ვადანაშთია—დაკავშირება ნინოს ბიოგრაფიასთან რიფ-ნიშანთა თავგადასავლისა.

მტკიცდებოდა ახალი მიმართულება საქართველოს ეკლესიის თვითმკვიდრობისა და დასავლეთის ეკლესიასთან ერთობის ნიშნის ქვეშ.

ამ ნაწარმოების ავტორს (თუ ავტორთა კოლექციას) თავისი ვინაობა დაუმალავს და თბულება გამოუქვეყნებია როგორც ფსევდონიმით, ანუ ნაწარმოები: ძველი შედგენილია იმ სახით, თითქო იგი წარმოადგენს მე-4 საუკუნის თვით ნინოს-დროინდელი დოკუმენტების კრებულს.

გასაგებია, თუ რად მოქცეულა ავტორი ამრიგად. მას უხდებოდა ძველი ტრადიციების შეცვლა და ახალ შეხედულებათა განმტკიცება. მაგრამ ძველი ტრადიცია აღბეჭდილი იყო წინა-დროინდელ საინსტორიო თბულებებში, და იმ მიზნით, რათა ახალ შეხედულებებს ავტორიტეტი მოუპოვებია ფართო წრეებში, ავტორს ნინოს ეს განახლებული ბიოგრაფია გამოუცხადებია უძველესი ხანის, თვით თანამედროვეთა მიერ აღწერილი დოკუმენტების კრებულად.

ძველს ბოლოსიტყვაობის სახით დართული აქვს ასეთი უწყება:

„წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინა, დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამობრწყინებისაჲ... ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული, — შემდგომად მრავალთა ქამთა და წელთა ეპოვეთ“.

ამ-რიგად, ამ ბოლოსიტყვაობაში ავტორი აუწყებს მკითხველს, რომ ეს ძველი დროთა განმავლობაში დაიკარგა (იყო „ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული“) და ვითომც ეს ძველი ახლად იქმნა აღმოჩენილი: „შემდგომად მრავალთა ქამთა და წელთა ეპოვეთ“ იგით.

თბულება შესდგება შესავალისა და ხუთი ნაწილისაგან, რომელთაგან თვითთული ნაწილი სხვადასხვა ავტორისაგან აღწერილად არის გამოცხადებული.

შესავალში მოთხრობილია, რომ როდესაც ნინომ დაასრულა ქართლის ქვეყნების მოვლა და ქრისტიანობის გავრცელება, „მოიწია ქვეყანასა კოხეთისასა, დაბასა ბუდს, დასნულდა სნეულებითა მით, რომლითაცა მოცაკედა“.

მომაკედავი ნინოს სარეცელთან შეიკრიბნენ „მეფენი ქვეყანისანი და მთავარნი დედებითურთ და სიმრავლე ერთა ძლიერთაჲ, რამეთუ ჰხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოასსა, ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა“.

შემოკრებილი ვრი მწუხარებითა და ტირილით ეთხოვება ნინოს. ამ დროს მეფის შემკვიდრის მეუღლე სალომე უყარმელი და მასთან სხვებიც მიმართავენ ნინოს ვედრებით — უამბოს მათ მისი თავგადასავალი, „ვინაჲ ანუ ვითარ მოშვერ შენ ქვეყანასა ჩვენსა მაცხოვრად ჩვენდა, ანუ სადამე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო, მაუწყე ჩვენ საქმე შენი“.

ნინომ აუსრულა ეს სათხოვარი თავის მოწაფეებს. „მაშინ იწყო სიტყვად ნინო და თქვა: ასულნო სარწმუნოებისანო... გინებს გზათა ჩემთა ცნობაჲ, გლახაკისა მხველისა თქვენისათა, და გაუწყოცა; ესერა მოსრულა სული ჩემი ხორხსა ჩემსა და მეძინებთან ძილითა მით დედისა ჩემისაჲთა საუკუნოდ. არამედ მოიხვენით აღსაწერენი წიგნისანი და დაწერეთ სიგლახაკე ჩემი და უდები ცხობრებაჲ ჩემი, რათა უწყოდიან შვილთაცა თქვენთა სარწმუნოებაჲ თქვენი“...

ამას მოსდევს პირველი ნაწილი თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „ანდერძი“ ნინოასი, რომელიც ვითომც თვით ნინოს ნაამბობს წარმოადგენს, ჩაწერილს ქალების — სალომე უეარმელისა და პეროკავრი სიენეელეს მიერ.

„ანდერძში“ ჯერ მოთხრობილია ნინოს „მშობელთა საქმეჲს“ შემდეგ ნინოს აღზრდა, მოღვაწეობა და ცხოვრების გზა ვიდრე ქართლში მოსვლამდე. ქართლში მოსვლის ამბავით სრულდება ნინოს ეს მოთხრობა.

ნინოს შემდგომი მოღვაწეობა და ქართლის გაჭირვებულების ისტორია წარმოდგენილია კრებულის მომდევნო ნაწილებში — ნინოს მოწაფეთა და თანამოღვაწეთა მოთხრობის სახით, თანამედროვეთა ერთგვარი „მემუარების“ სახით.

კრებულის კომპოზიცია ასეთია: პირველ ნაწილში — ნინოს ანდერძში — თვით ნინოს პირით მოთხრობილია ნინოს მშობელთა ამბავი და პირველი პერიოდი ნინოს ცხოვრებისა, ვიდრე ნინო ქართლში ჩამოვიდოდა და მცხეთაში დამკვიდრდებოდა; ხოლო ამის შემდეგ ცხადია აღარ იყო საჭირო ნინოს არდილის შეწუხება: მომდევნო ამბავი უკვე იკოდნენ ნინოს მოწაფეებმა და თვითმიხილველებმა, რომელთაც ვითომც აღწერეს მათ მიერ ნახული ამბავი.

ეს შემდგომი ნაწილები კრებულისა მიეწერება შემდეგ ავტორებს:

ნაწილი მეორე: „აღწერა დედაკაცმან სიდონია“.

ნაწილი მესამე: აღწერილი აბიათარისა.

ნაწილი მეოთხე: აღწერილი იაკობ მდდელისა.

ნაწილი მეხუთე: ანდერძნი მირიან მეფისა.

მთელი ძეგლი შედგენილია გარკვეულის ტენდენციით; მასალები შერჩეულია და გადამუშავებული იმრიგად, რათა განამტკიცოს იდეა ქართული ეკლესიის თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობისა, და ამავე დროს დასავლეთის მსოფლიოსთან კულტურული ნათესაობისა¹.

მოთხრობაში ნინოს პოეტური სახე ლეგენდების შარავანდედით არის შემოსილი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლში მოთხრობა ნინოს შესახებ გაშლილია პაეოგრაფიული რომანის ხაზებში. იგი არაა მოკლებული ერთგვარ მხატვრობას.

მოგვყავს ამ ძეგლის მხატვრული თხრობის საერთო სტილის გასაცნობად აღწერილობა კერპთა დამზობისა, რომელიც ვითომც მოხდა ნინოს ლოცვით ნინოს მცხეთაში მოსვლისას:

„ხელისაგან იყო ხმაჲ ოხრისაჲ და საყვირისაჲ, და გამოვიდოდა ერი ურიცხვი ვითარცა ყვავილოსანნი...“

¹) აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლშიაც (ისევე, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს უფრო ადრინდელს მე-7 საუკუნის მატინეშიც) შერჩენილია ზოგიერთი გადანაშთი, შეტანილი ნინოს მოღვაწეობის აღწერილობაში იმ დროიდან, როდესაც ქართული ეკლესია აღმოსავლეთის ეკლესიის მსოფლიოსთან ერთობაში იმყოფებოდა; მაგრამ ასეთი გადანაშთების არსებობა იმით აიხსნება, რომ იგი განმტკიცებულ იყო ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციით და მისი კვალის მთლიანად მოსპობა სწამს აღარ იყო ისე მარტივად მოსახერხებელი.

„გამო-სადმე-ვიდოდა ნანა დეუფალი... და შეამკვეს ფოლოცა (მუკა) ყოველი სამოსლითა თითო პირითა და ფურცლითა. და იყო ყოველმან კრმან ქებად მეფისა, და მაშინ გამოვიდა მირეან მეფე თვალთ-შეუღწევიან ზღუ-ვითა...“

„ხოლო მე წარვედ ხილვად არმაზისა, და აღივსნეს მთანი იგი დროშითა და ერითა, ვითარცა ყვავილითა. ხოლო მე შეუსწრვე ციხედ არმაზდ, და დაედევ აბლოს კერპისა მის ნაპარალსა ზღუდისასა, და ვხედვედი საკვირველ-ბათა...“

„ვიბილე, და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ, და ტანსა მისსა ეცვა ჯაჭ-ვი ოქროასაჲ, და ჩაფხუტი ოქროასაჲ, და სამხარნი ესხნეს ფრცხილი და ბიერ-რიტი, და ხელსა მისსა აქენდა ხრმალი ლესული, რომელი ბრწყინვიდა და იქ-ცოდა ხელსა შინა, რეცა თუ რომელი შეეხებინ — თავი თვისი სიკვდიდ განიწირის...“

„და მარჯულ მისა დგა კერპი ოქროასაჲ და სახელი მისი გაცი, და მარცხლ მისა კერპი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გაცაჲ, რომელნი იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქვენთა არიან ქართლით.“

„მაშინ ვტიროდევ და სულთ-ვითქვემდ ღმრთისა მიმართ ცთომათა მათ-თვის ქვეყნისა ჩრდილოასათა, დაფარვასა ნათლისასა და დაპყრობასა ბნე-ლისასა...“

ნინო ილოცავს ერის ცთომათა განქარვებისა და კერპთა დამხოზისათვის.

„და ვითარცა წამის-ყოფაჲ თვალისაჲ იყო, დასავლით ჰაერნი და ქარნი შეიძრნეს, და ხმა სცეს ქუხილთა ხმითა საზარელითა,“

„და აჩნდა ღრუბელი მოსწრაფე ნიშან-საშინელი, და მოილო ნიავმან მხის დასავლისამან სული გერკვეალი...“

„მაშინ ივლტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად, და ეცა მათ დროჲ, რათა შეიქრნენ კაცნი საყოფლად.“

„და მეყს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი, და მოილო სეტყვაჲ ლიტრისა სწორი მას ადგილსა ოდენ, და დაღეწნა კერპნი იგი, და დაფქვნა, და დააწე-ლილნა, და დაარღვივნა ზღუდენი იგი ქარმან სასტიკმან, და შთაყარა კლდესა...“

კერპთა დამხოზის შემდეგ ნინო დამკვიდრდება მცხეთის ქალაქის განაპი-რას, მეფის ბაღში, ანუ როგორც ძველ-ქართულად ითქმოდა „მეფის სამოთხე-ში“ („სამოთხე“ ბაღს ნიშნავს).

ნინო აქ ლოცვის დროს იხილავს ჩვენებას:

„ვიბილე ჩვენებასა შინა, მცირედსა მას მირულებასა ჩემსა მუხლთა ზედა:“

„მოვიდიან ფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანიან, და მო-ვიდიან სამოთხესა მას, და ბაბილოსა მას მოისთვლებდიან, და ყვავილსა მას ძოდვიან, და მოწლედ ჩემდამო ღალადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხე იგი.“

„გარე მომადვიან ღლავილით, და ხმობედ ჩემდა მომართ მრავალ-ფერად, და შეენიერად იყო ხილვაჲ იგი მათი...“



დასასრულ, არაა ინტერეს მოკლებული აღენიშნოთ აქ ერთი პრინციპუ-ლი ღებულება, რომელსაც ავტორი აყენებს: ავტორი აღიარებს მამაკაცისა და

დედაკაცის თანასწორობას. ნინოს განახლებულ ბიოგრაფიაში ასეთი ტექსტული ბაზა წარმოდგენილი, მცენების სახით:

„არცა მამაკაცებაჲ, არცა დედაკაცებაჲ, არამედ თქვენ ყოველნი სწორნი ხართ“.

ავტორი, როცა ამას სწერდა, ცხადია ის მიზანი ჰქონდა, რომ უნდოდა ამით შთაეგონებია მკითხველისათვის: ქართველები მოაქცია ქრისტიანობაზე — ქალმა, ნინომ, მაგრამ ამის გამო ქართული ქრისტიანობა არაფრით ნაკლები არ არის სხვა ერების ქრისტიანობასთან შედარებით, რადგან ქალი და მამაკაცი სწორნი არიანო.

მაგრამ დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა მოსაზრებიდან გამოდიოდა ავტორი, ყოველ შემთხვევაში ეს დებულება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ, წამოყენებული ასე გარკვევით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, იშვიათი შემთხვევაა ადრეულ საშუალ-საუკუნეთა მწერლობაში.

დაგვიჩენია შევებით ამ ძეგლის თარიღის საკითხს. თხზულება, როგორც ვნახეთ, თუმცა გამოცხადებულია მე-4 საუკუნის ნაწარმოებად, მე-4 საუკუნის დოკუმენტების კრებულად, მაგრამ ტექსტის ანალიზი და ისტორიული კრიტიკა ჩვენ გვაძლევს საშუალებას საკმაოდ ზუსტად გავარკვეოთ დრო, თუ როდის იქმნა ეს ძეგლი შედგენილი. ისტორიული რეალები, დაცული ძეგლში, და კერძოდ საკალენდარო ხასიათის ჩვენებანი, რომლებიც ჩვენ ტექსტში გვხვდება, იძლევა საშუალებას საკმაოდ ზუსტად განვსაზღვროთ, რომ ძეგლი შედგენილი ყოფილა მე-8 საუკუნის შუა წლებში¹⁾.



დამატებით, მიმოხილვის სისრულისათვის, ჩამდენიმე შენიშვნა მე-8—11 საუკუნეთა დანარჩენ ძეგლთა შესახებაც, რომლებიც ნინოს მოღვაწეობას ეხებიან.

დამუშავება ნინოს შესახებ გადმოცემისა არ დასრულებულა ზემოთ-განხილული ძეგლით, ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრებით.

როგორც მოხსენებული გვქონდა, ცნობილს ქართველ მწერალს ლეონტი მროველს, თავის თხზულებაში — „ცხოვრება (პამაგი) ქართველთა მეფეთა და პირველით-განთა მამათა და ნათესავთა“, იმ ნაწილში — რომელიც მე-4 საუკუნეს ეხებოდა, — აღწერია ცალკე თავის სახით ნინოს მოღვაწეობა და ქართლის გაქრისტიანების ისტორია.

ლეონტი მროველმა თავისი თხზულება გამოაქვეყნა მე-8 საუკუნის ნახევარში, ე. ი. იმავე ხანებში, როდესაც დაიწერა ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება, ან ცოტათი ოდნავ ადრე. ყოველ შემთხვევაში ლეონტი მროველი სჩანს არ იცნობდა ფსევდო-ეპიგრაფიულ ნინოს ცხოვრების ტექსტს, და ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში აღწერილი ყოფილა უფრო ადრინდელი მსალების მიხედვით.

ამით აიხსნება ის ზედი, რომელიც სწვევია ლეონტი მროველის თხზულების სათანადო ნაწილს. მას შემდეგ, რაც განახლებული ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება გამოქვეყნდა და მან თანდათან საყოველთაო ცნობა და ერთგვარი კანონიზაცია მიიღო, ლეონტი მროველის მიერ აღწერილი ნინოს ცხოვრება ცხადია მიუღებელად ჩაუთვლიათ, როგორც დაშორებული ახალს, ოფიციალურად მიღებულ თვალსაზრისს.

ამიტომაც უფრო გვიანი დროის მწერალს იოანე დეკანოზს მოუბღენია ლეონტი მროველის თხზულებას „განახლება“. სახელდობრ, როგორც მოხსენებული გვქონდა, იოანე დეკანოზს აშოუღია ლეონტი მროველის თხზულებიდან ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ქრის-

¹⁾ იხ. სქოლიო 9.

ტრანზიბის გაგრძელებას საქართველოში, და მის მივიერ ჩაღმატებია ახალი ტექტი, დამ-
ყარებული ნინოს ფსევდო-ეპიგრაფიულ ცხოვრებაზე.

იოანე დეკანოზის ამ დამატებას ეწოდება:

„მოქცევა მირიან მეფისა და მისთა აჯოღისა ქართლისა... ნინო მარტირისა“.

იოანე დეკანოზის ეს დამატება კომპილაციას წარმოადგენს. სახელწოდება „საქართველო-
ციის წესით გამოყენებულია შემდეგი წყაროები: 1) ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრ-
ება (ეს ძირითადი წყაროა); 2) „მოქცევა ქართლისა“¹⁾-ს მატანე; 3) რიფსიმეანთა მარტვი-
ლობა; 4) ბერძნული — გელასი კესარიელის მოთხრობიდან მიმდინარე ტექსტი; 5) ზოგი-
ერთი ნაწილები ლეონტი მროველის ძველი ტექსტისა. (ამას გარდა იოანე დეკანოზს
პირველი საუკუნის შესახებ მოთხრობაში, ჩაღმატებია ცნობა ანდრია მოციქულის შესახებ).
იოანე დეკანოზი მე-11 საუკუნის მწერალია.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ იოანე დეკანოზის ეს კომპილაციური დამატება
საკმაოდ უხერხულად არის შედგენილი და ჩართული ლეონტი მროველის თხზულებაში.
ძირითადი პირველწყარო იოანე დეკანოზისა — ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება არ
არის მოკლებული კომპილაციურ მთლიანობას, როგორც კრებული „მემორიული“ ტიპის
თხრობათა. ზოლო იოანე დეკანოზის კომპილაციაში ჯერ ერთი სრულიად გადაუმუშავებ-
ლად არის შერწყმული სხვადასხვა ხასიათის ტექსტები, რის გამო თხრობის წესი იშლება,
და ამის გარდა იგი შექანიკურად არის ჩაკერებული ლეონტი მროველის თხზულებაში იმ
რავად, რომ არღვევს ლეონტი მროველის თხზულების მკაფიოდ ჩამოყალიბებულს კომპო-
ზიციურ აღნაგობას. ეს შეუშინველად არ დარჩენიათ ძველ-ქართულ მწერლებს; ასე, ერთი
ძველი ქართული ავტორი სამართლიანად შენიშნავედა, რომ ეს დამატება „კამბავსა შეფე-
თასა თანა (ე. ი. ლეონტი მროველის თხზულებასთან) აღრუელად სწერია“²⁾.

ამავე ეპოქიდან, მე-8 საუკუნიდან ვიდრე მე-11 საუკუნის პირველ ნახევარამდე, სხვა
თხზულებებიც მიღწეულია, რომლებიც ნინოს მოღვაწეობას ეხება. ასეთებია:

1. სვინაქსარი (მოკლე მოსახსენებელი) ნინოს შესახებ, რომლებიც დაცულია სინას
მთის ხელნაწერებში და კელიშტარ ხელნაწერში. ამ სვინაქსარებში ჩვენ გვაქვს როგორც
ძველი ტექსტების გადანაშთ³⁾, ისე უფრო გვიანდელი წარმოშობის ლეგენდარული
თხრობა, ასე — ლევენდა, რომ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს ღ ე თ ი ს -
მ შ ო ბ ლ ი ს წ ი ლ ზ დ ო მ ი ლ ქ ე ე ყ ა ნ ა ს.

2. თხრობა „აღმართებამა პატრიონისა ივარისა მცხეთისა და მერმე კვალად გამო-
ჩინებამა მისი“.

3. თხრობა სუჯი დედოფლის შესახებ.

ეს ორი ტექსტი (მე-2 და მე-3) შეიცავს ნინოს ლეგენდის შემდგომს განვითარებას⁴⁾.
ცალკე აღსანიშნავია საგალობლები (ჰიმნები) ნინოს შესახებ, რომლებიც მე-9 — 10 სა-
უკუნეებს ეკუთვნის. მოღწეულია ორი წყება საგალობელთა: პირველი წყება დაცულია კე-
ლიშტარ ხელნაწერში და წვირმის მეთავე საუკუნის ხელნაწერში, მეორე წყება საგალობ-
ელთა მოპოვება სინას მთის მეთავე საუკუნის ხელნაწერებში (№ 59 და 64). საგალობ-
ლები დაწერილია ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრების პარავზე, ზოგიერთი ახალი
ლეგენდარული დეტალის შერთვით.



მომდევნო ხანაში, მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან — მე-13 საუკუნემდე, ნინოს
მოღვაწეობას და საქართველოს გაქრისტიანების ისტორიას ეხებთან შემდეგი ავტორები:

1. ე ფ რ ე მ მ ე რ ე — თხზულებაში: „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისა, თუ
რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“. ეს თხზულება, რომელიც მე-11 საუკუნის მეორე ნა-
ხევარშია დაწერილი, წმინდა სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევას წარმოადგენს და ძველი
ქართული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის.

¹⁾ ასე, ძველი ტექსტების გადანაშთს უნდა წარმოადგენდეს უწყება, რომ ნინომ და-
ითმინა „მრავალ გზის შეშენანი მირიან ხელმწიფისაგან“.

²⁾ იხ. სქოლიო 10.

2. ნიკოლოზ გულაბერიძე — „საკითხავი სვეტიას ცხოველისა“... ეს მეორე თხზულება დაწერილია მე-12 საუკუნეში, თამარ მეფის ეპოქაში. იგი საყვარელებო ძეგლია თავისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კონცეპციით. (ავტორი ნიკოლოზ გულაბერიძე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია მე-12 საუკუნის ქართულ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ სკოლისა).

3. არსენი: „ცხორება და მოქალაქობა და ღვაწლი... ნინოსი, რომელმან ქადაგა... ქვეყანასა ჩრდილოეთისასა და განანათლა ნათესავი (ერა) ქართველთა“. თხზულება დაწერილია მე-13 საუკუნეში.

ამ უკანასკნელი სამი ავტორის თხზულებათა შესახებ, რომლებიც ქართული მწერლობის შემდეგს პერიოდებს ეკუთვნის, უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი ამ მიმოხილვის შემდეგ ნაწილებში, როდესაც მე-11 — 13 საუკუნეთა ქართული მწერლობის ძეგლებს განვიხილავთ.

ბ.

მიმოსვლა ანდრეასი.

ქართულ ორთოდოქსალურ წრეებს აინტერესებდა არა მხოლოდ გაშუქება გარკვეულის თეალსაზრისით ნინოს მოღვაწეობისა და ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისა მე-4 საუკუნეში; ამასთან ერთად გარკვეულ დროიდან დაისვა აგრეთვე საკითხი ქართული ქრისტიანობის ამათუ-იმ სახით დაკავშირებისა თვით მოციქულების მისიონერულ მოღვაწეობასთან. ამ უკანასკნელ გარემოებას მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით იმ ხანაში, როდესაც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შემოტევას აწარმოებდა ბერძნული ეკლესია.

ცდა საქართველოს ქრისტიანობის დაკავშირებისა ამათუ-იმ მოციქულის მოღვაწეობასთან სპორადიულად ჩვენ გვხვდება მე-11 საუკუნეზე ადრეც. ხოლო მე-11 საუკუნის დასაწყისში ამ საგანს სპეციალური შრომა უძღვნა განთქმულმა ქართველმა მწერალმა ეფთიმე იბერიელმა, რომელმაც საბოლოოდ განამტკიცა და ერთგვარი კანონიზაცია მიანიჭა იმ დებულებას, რომ ქართული ქრისტიანობა თავისი წარმოშობით დაკავშირებულია მოციქულების ხანასთან. ეფთიმე იბერიელის ამ შრომას ეწოდება: „მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი“. იგი მოგვითხრობს ანდრია მოციქულისა და მისი თანამოღვაწის სიმონ კანანელის ქადაგების შესახებ საქართველოში 1 საუკუნეში.

ეფთიმე იბერიელს ამ შრომის შედგენის დროს გამოუყენებია ლეგენდარული ხასიათის თხრობანი, რომლებიც მოიპოვებოდა მოციქულთა მისიონერულ მოღვაწეობაზე ბერძნულ წყაროებში (ძირითადი წყაროებია — აპოკრიფული ტექსტები ებიფანესი და ნიკიტა პაფლაგონელისა, ფილოსოფოსად წოდებულისა).

თხზულება როგორც საისტორიო წყარო მოკლებულია მნიშვნელობას (საერთოდ მოციქულთა შესახებ გადმოცემები, როგორც ცნობილია, გვიანდელი წარმოშობის ლეგენდებს წარმოადგენს). მაგრამ ეფთიმე იბერიელის ეს შრომა თავისი ეპოქისათვის წარმოადგენდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს, და მისი დებულებანი არა ერთგვის ყოფილა გამოყენებული ბერძნული ეკლესიის პრეტენზიების გასაბათილებლად, როდესაც ბერძნული

წრეები ილაშქრებდნენ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ანდრია მოციქულის შესახები გამოცემის დამუშავება ქართულ ენაზე დასრულდა ბულა ეფთიმე იბერიელის ამ თხზულებით.

უფრო გვიან, მე-13—15 საუკუნეებში (თარიღის ზუსტად დადგენა არ ხერხდება), ანონიმი ქართველი მწერალი, რომელსაც ჩვენ აწყურელ პაგიოგრაფს ვუწოდებთ (მისი თხზულება დაწერილია აწყურში და აქედან არის ნაწარმოები ეს სახელი: აწყურელი პაგიოგრაფი) — აქვეყნებს ახალს თხზულებას ანდრეას მიმოსვლათა შესახებ. აწყურელი პაგიოგრაფის ამ ნაწარმოებში დაწვრილებით არის მოთხრობილი ანდრეას მოსონერული მოღვაწეობა მესხეთის თემებში. თხზულება დამუშავებულია გარკვეულის პოლიტიკური ტენდენციით. ამ ძეგლს, რომელიც ინტერესს წარმოადგენს თავისი ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის გასათვალისწინებლად, ვეხებით ჩვენი წერილების სათანადო განყოფილებაში (13—15 საუკუნეები).

6.

მეორალთა ბიოგრაფიები.

თხზულებაში

ბიოგრაფი მთაწმიდელისა და ბიოგრაფი მცირისა.

ქართული ისტორიოგრაფიის მიმოხილვის¹ დასასრულს ჩვენ შევეხებით ორს ეპოქალურს ძეგლს ქართული საისტორიო მწერლობისა, რომლებიც შეიცავენ ქართველ მწერალთა ბიოგრაფიებს.

1. პირველი ძეგლია: ბიოგრაფია მე-10—11 საუკუნეების მოღვაწეთა იოანე და ეფთიმე მთაწმიდელთა (იბერიელთა). ავტორი ამ თხზულებისა არის გამოჩენილი ქართველი მწერალი მე-11 საუკუნისა გიორგი მთაწმიდელი (1009—1065 წ.). დაწერილია ეს თხზულება 1042—1044 წლებში.

2. მეორე ძეგლი არის ბიოგრაფია თვით გიორგი მთაწმიდელისა. ავტორი ამ მეორე ძეგლისა არის გიორგი მთაწმიდელის მოწაფე გიორგი მცირე. თხზულება დაწერილია გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ უახლოეს წლებში, 1065 წლის ახლად.

ეს ორი ძეგლი — ნამდვილი სამკაულია მე-11 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიისა.

თუ ისეთი საისტორიო თხზულებანი, როგორცაა „მატიანე ქართლისაჲ“, „ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა“, ან-და სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატთანთა“ — წარმოადგენენ ფასდაუდებელ წყაროს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გასათვალისწინებლად ამ ეპოქაში, ეს ორი ძეგლი — მწერალთა ბიოგრაფიები — იძლევა საქართველოს კულტურული ისტორიის სურათს.

აქ მოკლედ შევეჩერდებით ამ ძეგლებზე.

პირველი ძეგლის — გიორგი მთაწმიდელის თხზულების საგანია გავაცნოს საქმე ეფთიმე იბერიელისა და მისი თანამოღვაწეებისა, რომელთაც — ავტორის სიტყვით — „შეამკვეს და ალაყვავეს ენაჲ ჩვენი და ქვეყანაჲ“.

ისტორიკოსის ზედმიწევნობით აგვიწერს ავტორი ათონის სიღრტერატურო სკოლის მეთაურის ეფთიმე იბერიელის მოღვაწეობას.

ჩვენ აქ არ შევეუდგებით გიორგი მთაწმიდელის თხზულებებს, შინაარსის გადმოცემას, რადგან ეფთიმე იბერიელის საქმესა და ათონის სკოლის მოღვაწეობას უკვე იცნობს მკითხველი.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ავტორი არ კმაყოფილდება მარტოდენ ეფთიმე იბერიელისა და მის თანამოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გადმოცემით, არამედ ამის გვერდით იგი იძლევა ეპოქის სურათს, დაწვრილებით მოგვითხრობს ათონის ქართული კოლონიის ისტორიას, ეხება თანამედროვე საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ისტორიის ამბებსაც და სხვ.

გიორგი მთაწმიდელის ნაწარმოები — ეს არის არა მარტო საისტორიო თხზულება, აღბეჭდილი ნამდვილი ისტორიული ძეგლის დოკუმენტალური სიზუსტითა და ზედმიწევნობით, არამედ ამასთან ერთად მაღალი რანგის ლიტერატურული ნაწარმოები. გიორგი მთაწმიდელი არის არა მხოლოდ მემატია-ნე, გადასულ ამბავთა ზუსტად მომთხრობელი, არამედ ამავე დროს მწერალი, რომლის ნაწარმოებში ცოცხლდება ეპოქა.

გიორგი მთაწმიდელი ქართულს ისტორიოგრაფიაში ეკუთვნის საუკეთესო პორტრეტისტების რიცხვს. მისი თხზულების ფურცლებიდან დგება მონუმენტალური ფიგურა ეფთიმე იბერიელისა, დახატული დიდი სინამდვილით, ყოველგვარი შეფერადების გარეშე, ამავე დროს მკვეთრად, ნამდვილი პორტრეტისტის ხელით. ასევე თხზულებაში მოცემულია ბრწყინვალე დასრულებული პორტრეტი იოანე იბერიელისა, დიდი ქართველი პატრიოტისა, რომლის მუდამი საზრუნავია ქართული საქმე და პირველ რიგში ქართული მწერლობის წარმატებისათვის ზრუნვა.

ისტორიკოსის მიერ დახატულ პორტრეტებში ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ მოღვაწეს, არამედ უახლოესად ვგრძნობთ ადამიანს, მის მორალურ სახეს. პორტრეტი ზოგჯერ გაცოცხლებულია ერთი-ორი ხაზმოსმით.

ასე მაგალითად პორტრეტი თორნიკესი, საქართველოს განთქმული მხედართმთავრისა, რომელმაც, უკვე ბერად შემდგარმა, დასტოვა მონასტრის კედლები, ქართულის ჯარით დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და იხსნა კონსტანტინეპოლი, რის შედეგად საქართველოს ტერიტორია საგრძნობლად გაფართოებულ იქმნა ახალი პროვინციების შემოერთებით; თორნიკე ღრმა მოხუცებაში მყოფი ისევ მონასტერში ბრუნდება და საშუალ-საუკუნეთა ჩვეულებების თანახმად მონასტერში ატარებს უკანასკნელ წლებს და „მომავალი ცხოვრებისათვის“ საიქიოსთვის ემზადება. გიორგი მთაწმიდელი თორნიკეს პორტრეტის დახატვის დროს ხაზს უსვამს მაგალითად ასეთს შტრიხს და ამით ცოცხლად გეავგრძობინებს ომებში დაბერებული მეომრის სახეს; იგი მოგვითხრობს: „ხოლო ვინამთვან დიდი თორნიკ ბრძოლათა შინა აღზრდილი იყო და საღაშქრო საქმეთა, ესევეთართა საქმეთათვის უბნობაჲ და ჰამბავი უყვარდა“; და როდესაც მასთან მონასტერში სტუმრად შეიკრიბებოდნენ მოხუცნი „კაცნი წარჩინებულნი და პატიოსანი“, თორნიკე ომის ამბებზე, გადახდილ საღაშქრობათა შესახებ გაბამდა საუბარს. მოძღვარი ხედავს, რომ ასეთი საუბარი ყველაზე ნაკლებ შეეფერება სამონასტრო წესებს, მაგრამ ერიდება თორნიკეს, ხედავს მოხუცის „სიწირფობასა“ და უნებლიე გულწრფელ გატაცებას,

„და არა უნდა, რათამცა ამხილა მას, და არა მოწყლას გონებაა მისი“ მაგრამ ბოლოს მოძღვარი მაინც იძულებულია შენიშვნა მისცეს მას, და დიდის ტაქტიითა და მოკრძალებით სთხოვს მოხუცებულ მხედართმთავარს, ანაიჩი საუბარს ყველასთან ნუ გამართავ, ესაუბრო მხოლოდ ძმობის [სვერის] ვაჭრეებს. (ხოლო ვაჭრეელ „ესევეთარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოა სიტყვაა არა გამოვიდოდა“). თორნიკე მხოლოდ ეხლა გამოერკვევა, ბებერი მხედართმთავარი მხოლოდ ეხლა იგრძნობს, რომ იგი სულ სხვა ქვეყანაშია მოხვედრილი, და არა სამხედრო ბანაკში, სადაც იგი აღიზარდა. თორნიკე შეერდომით და თავმდაბლად ითხოვს პატიებას თავისი უნებლიე გატაცებისათვის. მხატვარი აქ ერთი ფუნჯის მოსმით აცოცხლებს ომებში დაბერებული მეომრის პორტრეტს, იძლევა სურათს, რომელიც ძნელად თუ დაგავიწყდებათ.

გიორგი მთაწმიდელის ნაწარმოები შესრულებულია მონუმენტალური სტილით. პროზა გიორგი მთაწმიდელისა ეს არის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი დოკუმენტალური პროზისა ძველ-ქართულ მწერლობაში. გიორგი მთაწმიდელის პროზა აღბეჭდილია დიადი უბრალოებით, საქმიანი იერით, სიზუსტით და მკვეთრი კედით. იგი არ იშვნიცებს ორნამენტალურ სამკაულს. სტლი იმდენად ნათელია, რომ ჩვენ თითქოს გვესმის თვით მწერლის ბუნებრივი ხმა.



მეორე ძეგლი, გიორგი მცირის თხზულება, რომელშიაც აღწერილია თვით გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფია, ბევრის მხრით წარმოადგენს pendant-ს შემოთავანხილული ძეგლისა.

ავტორი ნამდვილი ისტორიკოსის საფუძვლიანობით წარმოგვიდგენს მწერლის ბიოგრაფიას, მისი სალიტერატურო საქმისა და საზოგადო მოღვაწეობის დახასიათებას.

განსხვავებაა ამ ორი მწერლის სტილში. იმ დროს როდესაც გიორგი მთაწმიდელის სტილი აღბეჭდილია მკაცრი უბრალოების სიდიადით, გიორგი მცირის პროზა უფრო ყვავილოვანია, ორნამენტალური. მაგრამ ოდნავე რიტორიული ელფერი, რომელიც გადაჰკრავს გიორგი მცირის თხზულებას, არ ჩრდილავს ამ ნაწარმოების ღირსებას, რადგან მწერლის პათეტიური სტილი არ არის მოგონილი და მანერული, არამედ გამთბარია ნამდვილი გრძნობით, და ამასთან არ არის მოკლებული შინაგან მხატვრულ გამიზნულობას და პოეტურ სიღრმეს.

ამასთან გიორგი მცირის თხზულებაში პათეტიურის ელფერით აღბეჭდილია უმთავრესად დრამატიული ეპიზოდები, როგორც მაგალითად გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების ამბავის აღწერილობა, ან და მწერლის „წიალსლენანი“. ხოლო ისტორიული ფაქტების, მწერლის ბიოგრაფიის ვადმოცემის დროს, ავტორი იჩენს ისტორიკოსის ნამდვილს სიზუსტეს, ზედმიწევნილობას და მიუღვამელობას.

გიორგი მცირე — ფართე მსოფლმხედველობის მწერალია. ავტორი, გიორგი მთაწმიდელის სალიტერატურო მოღვაწეობის დახასიათებასთან ერთად იძლევა საყურადღებო გაშუქებას იმ რეფორმატორული მნიშვნელობის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, რომელიც ჩაატარა საქართველოში გიორგი მთა-

წმიდელმა დემოკრატიული მიმართულების განმტკიცების ხაზით საეკლესიო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ დასასრულ ისიც, რომ ორივე მწერლს — გიორგი მთაწმიდელისა და გიორგი მცირის თხზულებანი აღბეჭდილია დიდესი კრებულ-ტიზმით. მაგრამ ეს არ არის პატრიოტიზმი, რომელიც წარსულისაკენ იხედება, პატრიოტიზმი ვიწრო ნაუქში ჩაქედული, არამედ პატრიოტიზმი შემოქმედებითი, რომელიც მომავალს უსწორებს თვალს. გიორგი მთაწმიდელი და გიორგი მცირე ხედავენ, რომ ქართველობა ჩამორჩენილია ბევრ დარგში, და მათი მიზანია, რომ ქართველობა გახდეს „ყოველითურთ სწორ ბერძენთა“. აქეთკენ არის მიმართული მთელი მათი სალიტერატურო საქმე და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

მაგრამ ელინოფილობა გიორგი მთაწმიდელისა და გიორგი მცირისა შორს არის იმისაგან, რომ მათ ქედი მოიხარონ ბერძენთა წინაშე.

ასე მავალითად, როდესაც ანტიოქიაში საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე ირჩეოდა საკითხი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა, და ბერძნულ-მა წრეებმა განაცხადეს, რომ ქართველებმა „თვითრჩულობით“ მოიპოვეს დამოუკიდებლობა, და რომ ქართველები უნდა დაემორჩილნენო ანტიოქიის ბერძნულ პატრიარქატს, — გიორგი მთაწმიდელი ღირსეულად იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას. გიორგი მთაწმიდელი კრებაზე შემდეგის სიტყვებით მიმართავს პატრიარქს:

„რამასათვის-მე ესრეთ ადვილად ხელ-ჰყოფ დიდისა ამის და მალლისა მოგონებად და აღსრულებად! ვინ არიან უგუნურნი განმზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხეს ნათესავი (ერი) ქართველთაჲ, წრფელი და უმანკო! აჰა ესერა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა, მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი“.

გიორგი მთაწმიდელი დიდის ღირსებით და ამასთან დიდის პოლიტიკური ტაქტით ჩაატარებს კრებას და დაიცავს საქართველოს უფლებებს.

გიორგი მთაწმიდელის გამოსვლას ანტიოქიის კრებაზე მისი ბიოგრაფი გიორგი მცირე აშუქებს საქართველოსა და საბერძნეთის სწორ-უფლებიანობის ნიშნის ქვეშ, საქართველოს დამოუკიდებლობის, ანუ როგორც თვით ავტორი ამბობს — „ფრიად დიდი და მალალი საქმის“ მთელი სიდიადის შეგნებით.

თავი მარჯვ.

მეცნიერება.

სამართალის ძეგლები.

მე-8—11 საუკუნეთა ქართული მწერლობის დანარჩენ დარგთა შესახებ, — სამართლის ძეგლები, მეცნიერული ხასიათის ტექსტები და სხვა, — აქ შესაძლოა დავეყვადოთ მოკლე შენიშვნებით, რამდენადაც ეს დარგები განეკუთვნებიან ზოგადად მწერლობის ისტორიის ფართე ვაგებით და არ წარმოადგენს უშუალო ლიტერატურულ ინტერესს.



ამ ეპოქის სამეცნიერო ძეგლთაგან აღსანიშნავია ფილოლოგიურ-ეგზეგეტიური ხასიათის ნარკვევი: „გ ა ნ წ ე ს ე ბ ა მ“ ფსალმუნთა წიგნის მედგენილობის შესახებ. („განწესება“ დართული აქვს ფსალმუნთა წიგნის სამეცნიერო გამოცემას, რომელიც გადაწერილია 870 — 904 წლებში)¹. „განწესება“-ში ავტორი ისახავს მიზნად—რათა აღმოკითხვითა ამისითა ადვილად შემძლებელ იქმნენ ზედამიწეენად და ცნობად ფსალმუნად-ფსალმუნადისაჲ, —ვისი თქმული იყოს, რომელი ფსალმუნი და რადენი ვის უთქვამს, გინა რამათვის თქმულ არს, და რიცხვი მუხლისაჲ რადენი აქვს ფსალმუნსა... ქართველთა ენასა“. ნარკვევში წარმოდგენილია ფსალმუნთა წიგნის განრიგება შინაარსის მიხედვით (ეგზეგეტიკური ინტერპრეტაცია). ამას გარდა თვით ფსალმუნთა ტექსტში აღნიშნულია, თუ რაში მდგომარეობს სხვაობა ფსალმუნთა წიგნის კანონისა „ბერძნული“ (ბიზანტიური), „იერუსალიმური“ (პალესტინური) და ქართული ვერსიების მიხედვით. ნარკვევს დართულ აქვს საძიებელი-ტაბულები. ეს ძველი ქართველი ფილოლოგოსი სჩანს განათლებული მწერალი ყოფილა, ტექსტების კარგი მცოდნე.

ქართულ მწერლობის ამავე მესამე პერიოდს ეკუთვნის ძველი, რომელიც ცნობილია „შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი“-ს სახელით, და რომელიც შედგენილია ქართულად ბერძნული მასალების საფუძველზე (ძირითადადში ეპიფანე კვიპრელის Περὶ μάρτυρων καὶ ὁμολογιῶν-ის მიხედვით). იგი ინტერესს წარმოადგენს კერძოდ იმ მხრივ, რომ მის შემდგენელს ქართველ მწერალს საჭიროდ დაუნახავს შეეტანა ამ ძველში უწყება ბერძნული ანბანის წარმოშობისა და ჰომიროსის ეპოპეათა „ცლიადომასა“ და „ოდსეისის“ (ილიადისა და ოდისეის) შესახებ. ეს უწყება ქართველ მწერალს ამოუღია ბიზანტიელი მწერლის დიომედის კომენტარ-სქოლიებიდან, რომელიც დართულია ჰქონდა დიონისო თრაკიელის ცნობილს თხზულებას, სახელმძღვანელოს სახით დაწერილს Τέχνη γραμματικῆς.

ამავე შატბერდის კრებულში, „სასწავლო წიგნის“ ბოლოში მოთავსებულია ქრონოლოგიური ტაბულები ებრაელთა, ეგვიპტელთა (პტოლომეანთა), ირანელთა და რომ-ბიზანტიის მეფეთა. ტაბულები თავდაპირველ დედანში მოყვანილი ყოფილა თევდოსი კეისრამდე (716 — 717 წ.) და ამის მიხედვით ეს ტაბულები მე-8 საუკუნის დასაწყისში, 717 წლის ახლო ხანებში უნდა იყვეს შედგენილი. (სადიქრებელია ამავე დროსვე ეკუთვნის თვით „სასწავლო წიგნის“ ქართული ტექსტიც, რომელსაც შატბერდის ხელნაწერში უშუალოდ მოსდევს, დამატების სახით, აღნიშნული ქრონოლოგიური ტაბულები).

ქართული მწერლობის ამავე მესამე პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე ახალი ვერსიები ქრონოლოგიური ტრაქტატისა, რომელიც ატარებს სათაურს:

„ცნობისათვის და უწყებისათვის ჭეშმარიტად, რომელი მოგვეთხრა ჩვენ მოძღვართა მიერ განსაზღვრებულნი, გამოძიებისათვის უამთა და წელთა, თვეთა და დღეთა, მცხრალისათვის და დღის-საძიებელისა, შეიდეულისათვის და ნაკისა, და მთოვარისა ზედანადებისა, და ზუთუელისათვის და ექვსეულისათვის“.

¹) ხელნაწერი საქ. მუზეუმისა A-38.

ძველი ქართული მწერლობის ამ მეტად საყურადღებო ძეგლს რთული ისტორია აქვს. ეს ქრონოლოგიური ტრაქტატი, რომელშიაც ნაწილობრივ გამოყენებულია უძველესი ხანიდან — წარმართული ქართული ეპოქებიდან მომდინარე ელემენტები, — დაუმუშავებიათ და სისტემაში მოუყვანიათ მე-6—7 საუკუნეებში, როდესაც საქართველოში რომაული კალენდარის ხმარება დამკვიდრდა; ამ დროს ძველი ქრონოლოგიური აღრიცხვის ელემენტები გამოყენებით და შეუფარდებით ახლად მიღებულ რომაულ საკალენდარო-ქრონოლოგიურ აღრიცხვასთან.

მას შემდეგ ეს ძეგლი რამდენჯერმე გადაუმუშავებიათ და შეუესიათ. სულ ჩვენ გვაქვს ცნობები ამ ძეგლის ხუთი რედაქციის შესახებ:

1. პირველი რედაქცია, როგორც მოვიხსენიეთ, მე-6—7 საუკუნეებს ეკუთვნის;

2. მეორე რედაქცია დამუშავებულია მე-9 საუკუნის ნახევარში, არაბთა ხალიფის ჯაფარ მუთაჟილის მეფობის ხანაში (847—861 წ. წ.).

3—4. მესამე და მეოთხე რედაქციები მე-9—10 საუკუნეებით თარიღდება.

5. მეხუთე რედაქცია დამუშავებულია 962 წელს და ეკუთვნის მე-10 საუკუნის ცნობილ ქართველ მწერალს იოანე-ზოსიმე საბაწმიდეელს.



აქ რამდენიმე სიტყვა ამ მწერლის იოანე-ზოსიმეს შესახებ, რომელსაც ეკუთვნის მეხუთე რედაქცია დასახელებული ქრონოლოგიური ტრაქტატისა. იგი საინტერესო ფიგურაა ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. იოანე-ზოსიმე არის გამოჩენილ პოეტი-ჰიმნოგრაფი. ამავე დროს მისთვის არც მეცნიერული ინტერესები ყოფილა უცხო.

ბიოგრაფია ამ მწერლისა ასეთია.

იოანე-ზოსიმე დაიბადა მე-10 საუკუნის დასაწყისში — ათიან წლებში. იოანე, როგორც ირკვევა მისი ერთი ანდერძიდან, ჯერ საქართველოში მოღვაწეობდა, კლარჯეთში, გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ შატბერდის საეპარქიაში. შემდეგ, მე-10 საუკუნის 40-იან წლებში, არა უგვიანეს 949 წლისა, იოანე-ზოსიმე პალესტინაში წასულა და დამკვიდრებულა საბაწმიდის ქართულ კოლონიაში, რომელიც ამ ეპოქაში ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. საბაწმიდაში იოანეს დაუყვია დაახლოებით ოცი—ოცდაათი წელი (ჩვენ დრომდე მოღწეულა იოანეს მიერ საბაწმიდაში გადაწერილი ხელნაწერები, რომლებიც ეკუთვნის 949, 954, 956, 962 და 965 წლებს).

მე-10 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ან 70-იანი წლების დასაწყისში (არა უადრეს 965 წლისა და არა უგვიანეს 974-ისა) იოანეს დაუტოვებია საბაწმიდა და წასულა სინას მთაზე, სადაც ამ დროს ქართული მონასტერი არსებობდა. იოანეს სინას მთაზე დამკვიდრების შემდეგ ეს პუნქტი ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. იოანეს დროს, იოანეს უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, აქ დამზადდა და

გადაიწერა მთელი კოლექცია ქართული ხელნაწერებისა, რომელთა მანძილი ჩვენ დრომდისაც ვადარჩენილა და დღემდე დაცულია სინას მთაზე.

იოანე გარდაიცვალა ღრმა მოხუცებაში მყოფი, არა მარტო 987 წლისა. უკანასკნელი ხელნაწერი, გადაწერილი იოანეს მიერ სინას მთაზე, დათარიღებულია 987 წლით.

იოანე-ზოსიმეს ლიტერატურული ინტერესები მრავალმხრივია.

ასე, იოანე-ზოსიმე, როგორც აღენიშნეთ, გამოჩენილი პოეტი-ჰიმნოგრაფი იყო. ჩვენ დრომდე მოღწეულა რამდენიმე ტომი ჰიმნოგრაფიული კრებულებისა, გადაწერილი იოანე-ზოსიმეს მიერ. ამ კრებულებში შესულია როგორც ძველი და თანამედროვე ჰიმნები სხვა ავტორებისა (ორიგინალურნი და თარგმნილნი ბერძნულიდან), ისე იოანეს ორიგინალური ჰიმნები¹⁾.

ერთ-ერთი ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“ სრულდება იოანეს ანდერძით, რომელიც დაწერილია საერო პოეზიის ტრადიციული მეტრის გავლენით, ოთხმარცვლელი მუხლის დაცვით. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ იოანესთვის საერო პოეზიის ტრადიციებიც არ ყოფილა უცხო.

იოანე ამავე დროს, სჩანს, მუსიკოსიც ყოფილა. სინას მთის ხელნაწერთა კოლექციაში მოიპოვება საგალობელთა ერთი კრებული, გადაწერილი იოანეს მიერ, სადაც ჰიმნების ტექსტთან ერთად ნაჩვენებია მათი საგალობელი ხმები, აღნიშნული თავისებური სანოტო ნიშნებით (ეგრეთწოდებული ნევმებით). ჰიმნების მეორე კრებულის „იადგარი“-ს ანდერძში იოანე საგანგებოდ აღნიშნავს კიდევ, რომ ჰიმნების დანიშნულებაა სიტყვებისა და მუსიკის—„გალობისა ხმებისა“ შერთვა —

„რათა ჩვენც ვიხარებდეთ — შევნიერად დატკობილნი ხმათა მითა სიზრავლითა, ვალობითა ბრწყინვალითა...“

გარდა იმისა, რომ იოანე პოეტი-ჰიმნოგრაფი ყოფილა, იგი ამავე დროს მეცნიერული ინტერესებით აღჭურვილი მწერალიცაა.

აღსანიშნავია ის წმინდა სამეცნიერო ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესი, რომელსაც იოანე იჩენს ძველ ქართულ მწერლობის ძეგლებისადმი. ასე, ჰიმნების ერთ კრებულში, რომელიც იოანეს დაუმზადებია „მეცნიერისა კაცისათვის“, ჰიმნების თანამედროვე რედაქციასთან ერთად იოანეს მოჰყავს „ძელი“ უკვე ხმარებიდან გამოსული რედაქციები ჰიმნებისა. იოანე მის მიერ გადაწერილ ძველ სალიტერატურო ძეგლებს ურთავს ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნებს და სხვ.

იოანეს გადაუმუშავებია შ ა ტ ბ ე რ დ უ ლ ი ჰიმნების კრებული, რომელიც მას ახალი ფსალმუნებით შეუვსია. ანდერძში იოანეს დაწერილებით, ფილოლოგიური სიზუსტით აღნიშნული აქვს, თუ რა ტექსტები დასტოვა მან უცვლელად ძველი კრებილიდან, რომელი ტექსტები გადაამუშავა, და აგრეთვე რა ახალი ჰიმნები დაურთო ამ კრებულს. (ძველი გადაუმუშავებული ტექსტების მიმართ იოანეს ისიც კი აღუნიშნავს, საგანგებო ნიშნებით, თუ რა სიტყვები დააკლო ან დაუმატა ძველს ტექსტებს; ეს გვიჩვენებს, თუ რაოდენად მკაცრად ეკიდებოდა სიტყვას ქართული ენის ეს ოსტატი).

¹⁾ ნუსხა ჰიმნოგრაფიული კრებულებისა, იხ. სქოლიო 10.

იოანეს ეკუთვნის ფილოლოგიური ნარკვევი: „უწყებამ და მისწავებამ დავითის ფსალმუნთათვის, ვითარ პოენილ არიან, გინა ვითარ შეერთებულ, და ვითარ არს განგებამ, და განკარგვამ, და განწესებამ მათამა. მანვე ეკუთვნის ნარკვევი ბიბლიის სტრიქომეტრიისა და კანონის შესახებ.

ცალკეა აღსანიშნავი იოანე-ზოსიმეს სვინაქსარი (კალენდარი) „კრებამ თთუეთა წელიწდისათამ“. ამ თხზულების შესახებ იოანე სწერს: „ესე კრებანი ოთხითა დედითა დამიწერიან, თავად კანონისა მათა, და საბერძნეთისა მათა, და იერუსალიემისა მათა, და საბაწმიდისა მათა“. იოანეს ხელთა ჰქონია და გამოუყენებია ოთხი წყარო: სვინაქსარი-კალენდარი კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა, საბაწმიდისა, და „კანონი“ — რომელიც საქართველოში იყო მიღებული. იოანეს მიერ დამუშავებული სვინაქსარ-კალენდარი წარმოადგენს დიდს ისტორიულ-არქეოლოგიურ ინტერესს. აქ მოცემულია ცნობები პალესტინის ისტორიულ ძეგლთა ტოპოგრაფიის შესახებ, ცნობები მონასტრების კტიტორთა, აღმაშენებელთა და მამასახლისთა შესახებ, სალიტერატურო ხასიათის ცნობები ჰაგიოგრაფიიდან და სხვ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. მარჩი, ყველა იმ კალენდარ-სვინაქსართა შორის, რომელნიც დღემდე ცნობილია მეცნიერებაში, იოანეს კალენდარს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

დასასრულ, როგორც აღვნიშნეთ, იოანეს ეკუთვნის ახალი რედაქცია ქრონოლოგიური ტრაქტატისა „გამოძიებისათვის ეამთა და წელთა“.

*

დასასრულ სამართალის ძეგლთა შესახებ.

მე-8 — 11 საუკუნეებში, როგორც ირკვევა, კანონმდებლობის მოწესრიგების საქმემ და იურიდიული მეცნიერების დარგმა საკმაოდ მაღალ დონემდე მიაღწია საქართველოში.

ქართული სამართალის მაღალი განვითარების მაჩვენებელი არის თუნდ ის ფაქტი, რომ იმ ეპოქაში მოიხსენებიან პროფესიული იურისტები „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, რომელთაც იწვევდნენ ხოლმე სახელმწიფო დარბაზის სხდომებზე რთული იურიდიული საკითხების განხილვის დროს.

სამწუხაროდ ამ ეპოქის ქართული სამართალის ძეგლების უმრავლესობა, როგორც ირკვევა, დაღუპულია და ჩვენ დრომდე არ მოღწეულა. მაგრამ გადარჩენილი ტექსტები, და აგრეთვე ის ცნობები, რომლებიც მოგვეპოვება არმოღწეულ ძეგლთა შესახებ, მაინც იძლევა საშუალებას ზოგადი წარმოდგენა შევადგინოთ ქართული სამართალის მდგომარეობის შესახებ მე-8 — 11 საუკუნეებში.

სახელმწიფო კანონმდებლობა.

წყაროებში დატული ჩვენებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობის დარგში სწანს მნიშვნელოვანი მუშაობა ყოფილა ჩატარებული მე-9 საუკუნის მოღვაწის ბაგრატ I კურაპალატის დროს (826 — 876 წ.). მაგრამ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას სათანადო სისრულით გავითვალისწინოთ ბაგრატ I-ის დროინდელი კანონმდებლობითი მუშაობა, რადგან ჩვენება მის

შესახებ ფრაგმენტარული ხასიათისაა. მე-10 საუკუნის ძველში გიორგი მერჩულის თხზულებაში აღნიშნულია, რომ ბაგრატ I-ის ღვაწლად ითვლებოდა „ყოვლისა ერისა სამართლით განკითხვაჲ“; ამასთან იმავე ფრაგმენტარული თხზულებაში მოხსენებულია ერთი მომენტი ბაგრატ I-ის კანონმდებლობიდან: სახელდობრ ბაგრატ I-ის დროს ყოფილა განწესებული სახელმწიფო საქველმოქმედო თანხა, რომელსაც „გ ლ ა ხ ა კ თ ა ნ ა წ ი ლ ი“ ერქვა. (ამ საქველმოქმედო თანხაში, მეორე მწერლის — ისტორიკოს ბასილის ცნობით, შედიოდა მეთაღი („ნათალი“) სახელმწიფოს ყოველგვარი შემოსავლისა „რაცა იყო შინად თუ გარეთ“, „დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცვლამდე“).

უფრო გვიან, მე-10—11 საუკუნეთა საზღვარზე, ბაგრატ მე-III-ს (978 — 1014 წ.) გამოუქვეყნებია სამართლის წიგნი. ეს ძველი საგანგებო საკანონმდებლო კრების მიერ ყოფილა დამუშავებული, ბაგრატ მეფის ბრძანებით შეკრებილი „ეპისკოპოსთა, დიდებულთა, და აზნაურთა, და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე გაჩენილი“ ყოფილა.

ეს ძველი ჩვენ დრომდე მოღწეულა ექსცერპტულად¹. ძველი ინტერეს წარმოადგენს ქართული სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, რამდენადაც ამ ძველის სახით ჩვენ გვაქვს სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის განრიგების უძველესი კანონმდებლობითი დოკუმენტი.

მე-8 — 11 საუკუნეთა ქართული სამართლის დარგიდან, გარდა სახელმწიფო კანონმდებლობის ძველებისა, რომლებიც აწესრიგებდენ სახელმწიფო სამართალს, სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროებს, — ცალკეა აღანიშნავი საკორპორაციო სამართლის ძველები.

საკორპორაციო სამართლის დარგიდან ჩვენ უფრო დაწვრილებითი ცნობები გვაქვს სამი წყების ძველთა შესახებ.

პირველი ამთავანია „წესი და განგებაჲ“ ხანძთის ძმობისა. ეს „წესი და განგებაჲ“ შეუდგენია ცნობილს მოღვაწეს გრიგოლ ხანძთელს, მე-9 საუკუნის დასაწყისში, 826 წლის ახლო ხანებში.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერილობაში (რომელიც ეკუთვნის მის ბიოგრაფს გიორგი მერჩულს) დაწვრილებით არის მოთხრობილი ამ ძველის შედგენის ისტორია და არ იქნება ზედმეტი გავეცნოთ მას.

გრიგოლ ხანძთელს, რათა წესი და განგებაჲ, რომლის შემოღებასაც იგი ამირებდა, ყოფილიყო სათანადოდ დამუშავებული, „სიბრძნით განსაზღვრებულ“ და „ბრძანთაგან განუკითხველი“, განუზრახავს ახლო გასცნობოდა წინასწარ სხვა მოწინავე ქვეყნების მაგალითს, საბერძნეთში არსებულ წესებს, და აგრეთვე პალესტინაში მიღებულ წესებსაც. ამ მიზნით გრიგოლ ხანძთელი, ვიდრე ძველის დამუშავებას შეუდგებოდა, გამაზავრებულა საბერძნეთში, ხოლო თავისი მეგობრისათვის, რომელიც პალესტინაში მიემგზავრებოდა, დაუვალებია

¹) ექსცერპტი ამ ძველისა შეტანილია ძველ-ქართული კანონების ცნობილს ვახტანგისეულ კოდიკსში (ბეჭა-აღბულას სამართლის წიგნის დამატების სახით, აღნიშნავთ ამასთან, რომ ტექსტი ექსცერპტისა ენობრივად განახლებული სჩანს).

პალესტინის განთქმული სავანის საბაწმინდის „წესისა დაწერაჲს“ გრიგოლ ჯერ ჩასულა კონსტანტინეპოლში, ხოლო აქედან გამგზავრებულია „მოკელთა საჩინოთა საბერძნეთისა“ ადგილთა მოხილვად, „რამეთუ მრეველთა ენათა წურთილ იყო იგი და მრავალ-მოსწავლელ“. ამ მოგზაურობის დროს გადამოგვცემს ბიოგრაფი, გრიგოლს „რომელიმე სახილავი მოძღვარ კეთილის ექმნის და რომელიმე განსაკრძალველ ბოროტისათვის, და ესრეთ აღმოივსო გული მისი სიმდიდრისაგან“. გრიგოლ ხანძთელი ჩამობრუნდა საბერძნეთიდან საქართველოში 826 წელს. ამავე დროს პალესტინიდან დაბრუნდა გრიგოლის მეგობარიც, „რომელმან მოართვა საბაწმინდისა განგებაჲ და წერილი“. ამის შემდეგ, ვადმოგვცემს ბიოგრაფი, გრიგოლმა „განაწესა წესი“ ხანძთის ძმობისა „სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასე დაუღვენელთა კეთილთაჲ“.

სამწუხაროდ ეს ძეგლი, აღწერილი გრიგოლ ხანძთელის მიერ, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის. მაგრამ ზოგიერთი მოკლე გამონაკრები ამ ძეგლიდან დაცული არის გიორგი მერჩულის მიერ აღწერილს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში¹.

მეორე წყების ძეგლები კორპორატიული სამართალისა, რომელთა შესახებ ცნობები მოგვეპოვება, ეს არის კორპორატიული სამართალის განრიგება ათონის ქართული კოლონიისა.

მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ათონის კოლონიის წესწყობილება შემდგომით იყო განსაზღვრული:

- ა) „ანდერძი“, რომელიც „აღწერით დაუტევა“ კოლონიის დამაარსებელმა და პირველმა ორგანიზატორმა იოანე მთაწმიდელმა (1005 წ.).
- ბ) წესნი და განგებანი, რომელნი „დაეხსნეს“ იოანეს მემკვიდრეს განთქმულ ქართველ მწერალსა და მოღვაწეს ეფთიმე იბერიელს (1005 — 1019 წ.წ.).

ამონაკრები იოანეს ანდერძიდან და დაწერილებითი ვადმოცემა ეფთიმეს მიერ „დასხმულ“ წესთა და განგებათა მოყვანილია გიორგი მთაწმიდელის ცნობილს საისტორიო შრომაში, რომელშიაც აღწერილია ათონის კოლონიის ისტორია. გიორგი მთაწმიდელის ამ შრომაში წარმოდგენილი აღწერა ათონის კოლონიის წესწყობილებისა და ვადმოცემა კორპორატიული სამართალისა — უადრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია საშუალ-საუკუნეთა კორპორატიული სამართალის შესასწავლად.

ამავე ეპოქიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა აგრეთვე საყურადღებო იურიდიული დოკუმენტი — „მოსახსენებელი“, კორპორატიული დადგენილება ათონის კოლონიისა, მიღებული საერთო კრებაზე 1042 წელს. დოკუმენტის შედგენა გამოწვეული იყო ბერძნების შემოტევით ათონის ქართულ კოლონიაზე. დოკუმენტი იწყება შესავალით:

¹) იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. კ — ებ. (ძეგლი, როგორც იხვევა, ორ დარგს მოიცავდა, ერთ ნაწილში მოცემული იყო ტიპიკონური განწესება, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავდა კორპორატიული სამართალის განრიგებას.

„ამის პირისათვის, რათა ესევეთარი ესე ბოროტი, რომელი მოაწეს ჩვენ-ზედა ბერძენთა, არა დაეიწყებულ იქმნას, და კვალად შემდგომად ჩვენსა მომავალნი ესევეთარსავე ჭირსა შთაცვიენ, — ამისათვის ზოგადიყოფე გფხრებეთა ყოველნი ძმანი ერთად შევეკრებით და ერთითა განზრახვეთა ესევეთარილი მოსახსენებელი დაეწერეთ ამით პირითა და სახითა... და ესრეთ ვიტყვით“.

ამას მოსდევს მოკლე ისტორიული მიმოხილვა ათონის კოლონიის დაარსებისა, ათონელ ქართველ მოღვაწეთა ღვაწლისა, და ბერძენ-ქართველთა ცილობის შესახებ. დოკუმენტი სრულდება განჩინებით, რომელიც მიმართულია ქართველთა უფლებების დაცვისა და განმტკიცებისაკენ ათონის კოლონიაში.

ამ დოკუმენტის ტექსტი სრულად არის ჩვენ დრომდე მოღწეული და მოყვანილია გიორგი მთაწმიდელის აღნიშნულს შრომაში (გვ. 61—67/115—128).

უფრო გვიან, 1083 წელს, შედგენილი არის წესი და განგება პეტრიწონისა, რომელსაც ათონის ქართულ კოლონიასთან ერთად ასეთი დიდი ღვაწლი მიუძღოდა ქართული განათლების ისტორიაში საშუალ-საუწყუნებში.

პეტრიწონის წესი და განგება ორი დედნის სახით ყოფილა შედგენილი, ქართულად და ბერძნულად. (ბერძნული დედანის არსებობა იმით იყო გამოწვეული, რომ პეტრიწონი ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში მდებარეობდა)¹.

პეტრიწონის წესსა და განგებაში სხვათა შორის განსაზღვრულია, რომ პეტრიწონში მიიღებიან მხოლოდ ქართველნი, პირნი „რომელთაც იციან ქართული მწიგნობრობა და ენა“.

პეტრიწონის წესი და განგება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კერძოდ იმ მხრივ, რომ ამ ძეგლში შეტანილია ცალკე ნაწილის სახით წესდება განთქმული ქართული სასწავლებლისა — სემინარიისა, რომელიც პეტრიწონში არსებობდა. მკვლევარი Louis Petit, რომელმაც გამოისცა პეტრიწონის წესი და განგება, შენიშნავს ამ სემინარიის წესდების გამო, რომ პეტრიწონის სემინარიის სახით „ჩვენ გვაქვს თუ ერთად-ერთი არა, ყოველ შემთხვევაში მეტად იშვიათი მაგალითი იმისა, რომ ბიზანტიაში არსებულა სემინარია, ამ სიტყვის უახლესი (თანამედროვე) მნიშვნელობით“.

პეტრიწონის სემინარიაში, როგორც ირკვევა, სწავლება საგნებისა სწარმოებდა ქართულს ენაზე.

ამ სასწავლებლის პროფესორთა შორის ჩვენ ვხვდებით იოანე პეტრიწს, ცნობილს ქართველ ფილოსოფოსს. (იოანე პეტრიწის შესახებ დაწერილებითი საუბარი გვექნება შემდგეს წერილში, რამდენადაც იოანე პეტრიწის მოღვაწეობა ქართული მწერლობის უკვე მომდევნო ხანას ეკუთვნის).



ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარების შესახებ მე-10 — 11 საუკუნეებში წარმოდგენას იძლევა ეფთიმე იბერიელის „სჯულის-კანონი“.

¹) ჯერჯერობით აღმოჩენილია ბერძნული დედანი ამ განგებისა. რაც შეეხება ქართულ დედანს, ისიც საფიქრებელია არ არის დაკარგული და უნდა ინახებოდეს პეტრიწონის წიგნთსაცავში.

ეფთიმე იბერიელის ეს შრომა დამყარებულია ბერძნულ წყაროებზე, მაგრამ წარმოადგენს არა თარგმანს, არამედ ბერძნული კანონიკური ტექსტების თავისუფალ გადაშუშავებას, რომელსაც დართული აქვს ეფთიმე ბერძნულის ორიგინალური კომენტარიები. ეფთიმეს „სჯულის კანონი“ *Κανόνες* შეიცავს ორ ძეგლს — „სჯულის კანონი მეექვსისა კრებისა“ და „კანონი შეცოდებულთანი“, მაგრამ ამას გარდა აქ გამოყენებულია საშუალ-საუკუნეთა სხვა კანონიკური ტექსტები. ამ-რიგად ეფთიმე იბერიელის ეს შრომა, როგორც აღნიშნულია თვით ანდერშში, წარმოადგენს ერთგვარს იურიდიულ კომპენდიუმს, რომელშიაც „ყოველი პირი და სახე“ საშუალ-საუკუნეთა კანონიკური ტექსტებისა „შემოკრებულ არს და კეთილად განმარტებულ“. ეს შრომა ქართველ მეცნიერს დაუშუშავებია „სასწავლელად“, რათა „იკითხვიდენ წინამძღვარნი და მოძღვარნი“.

იურიდიული კომენტარიები ეფთიმე იბერიელისა, რომელიც წარმოადგენილია ამ შრომაში, დიდ თეორეტიულ სიმაღლემდე არის აყვანილი, ინტერპრეტაცია იურიდიულ მოვლენათა ბუნებისა აღბეჭდილია დიდის სიღრმით. (განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგადი მოძღვრება გარდამავლობითი მოქმედებისა და დანაშაულობათა ბუნებისა და ხასიათის შესახებ). საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეფთიმე იბერიელის ეს შრომა ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ ქართული სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ თავისი ახალი იდეებით იგი საერთოდ ახალს საფეხურს აღნიშნავს საშუალ-საუკუნეთა იურიდიული აზროვნების ისტორიაში.

(დასასრული მესამე წერილისა).

სამსიალური შენიშვნები



„ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვის“

მისამე წიკილინა.

შინჯლიჩოთიქა

მე-8 — 11 საუკუნეთა ქართული მწერლობის ისტორიის სპეციალური საკითხებიდან განსაკუთრებით რთულს ფილოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს „ქართული ს-ც ხოვრების“ კრებულის შედგენილობის საკითხი (—კრებულში მოთავსებულ ცალკე ნაწარმოებთა ფარგლები, ტექსტების დათარიღება, ავტორების ვინაობა და სხვ.). ეს საგანი დაწვრილებითს საგანგებო განხილვას საჭიროებს; ჩვენ მას ვეხებით სპეციალურ მონოგრაფიაში („ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენილობა. მე-8—11 საუკუნეთა ძეგლები“) — რომელსაც ცალკე ვაჭვეყნებთ¹⁾.

აქ კი ვურთავეთ ზოგიერთს მოკლე შენიშვნას დანარჩენ სპეციალურ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა გამო.

1

ქართული და ბერძნული ვერსიები რომანისა „სიზაქნე ბალაპვარისა“

(სქოლიო 1, გვ. 106, მნათობი № 9).

საშუალ-საუკუნეთა მწერლობის ამ განთქმული ძეგლის მიმართ ორი ძირითადი საკითხი ითვლება საკამათოდ:

1. რა წარმოშობისაა და რა დროს ეკუთვნის ძველ-ქართული ვერსია „ბალაპვარ“-სა?
2. რა წარმოშობისაა ამ ძეგლის ბერძნული ვერსია და ვინ არის ბერძნული ვერსიის ავტორი?

ჯერ პირველი საკითხის, — ბალაპვარის ძველ-ქართული ვერსიის შესახებ.

*

ბალაპვარის ძველ-ქართული ვერსიის მიმართ უდავო დებულებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოება: ძველ-ქართული ვერსია ბალაპვარისა წარმოადგენს პირველადს და მუშავებას ბუდდას რომანისას საშუალ-საუკუნეთა ქრისტიანულს ლიტერატურაში. არც ერთს სხვა ქრისტიანულ მწერლობაში, გარდა ქართლისა, არ მოიპოვება ამ რომანის ასეთი არქაული ტიპის ვერსია. ყველა სხვა ქრისტიანულ ლიტერატურებში არსებული ვერსიები ამ რომანისა უფრო გვიანდელია, და მომდინარეობენ — უშუალოდ ან მეშვეობით — შემდეგს ხანაში წარმოშობილი ბერძნული ვერსიიდან.

რა ლიტერატურული წყარო დაედვა საფუძვლად ბალაპვარის ძველ-ქართულ ვერსიას და როდის დაიწერა იგი?

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო დროს გამოითქვა აზრი, თითქოს ბუდდა ლეგენდა ზეპირის გზით იქმნა შეთვისებული ქართულს წრე-

¹⁾ დაიბეჭდება „მნათობი“-ს მორიგ ნომრებში.

ებში უშუალოდ ინდოეთიდან და თითქო ამ ზეპირის გადმოცემის საფუძველზე იქმნა დაწერილი ქართულად ბალაქვარის რომანი მე-7 საუკუნეში¹⁾.

მაგრამ ეს შეხედულება არ შეეფერება სინამდვილეს. ბალაქვარის რომანის ბევრად უფრო რთული ისტორია ჰქონდა და მან გაიარა ლიტერატურული დამუშავების რამდენიმე საფეხური, ვიდრე იგი ქართული რომანის სახით დაიწერებოდა.

ლიტერატურული წყაროების ანალიზი იძლევა საშუალებას აღვადგინოთ ამ სიუჟეტის თანდათან გადამუშავების გზა: 1 კინდური ტექსტება — 2 ფაბლაური ვერსია — 3 არაბული ვერსია — 4 ქართული რომანი.

ქართული რომანი დამოკიდებულია იმ არაბული ვერსიიდან, რომელსაც ეწოდება „ბალაქვარი და ბუდასაფი“. ქართული რომანის პროტოტიპი რომ სწორედ ეს არაბული ვერსია იყო, ამას ადასტურებს როგორც შეხვედრა სიუჟეტური მხარისა, ისე კერძოდ თვით სახელის დაწერილობანი: „ბუდასაფი“ არაბული ტექსტისა და „იოდასაფი“ ქართული ტექსტისა²⁾.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ქართულ რომანს ჰქონდა ლიტერატურული პროტოტიპი.

მაგრამ ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: ქართული რომანი არ წარმოადგენს თარგმანს არაბულიდან, არამედ ქართველ მწერალს არაბული ვერსია ბუდასაფისა ლეგენდისა გამოუყენებია მასალის სახით. როგორც აღნიშნული გეგონდა მიმოხილვაში, ქართველ მწერალს არაბული გადმოცემა ბუდასაფისა არსებითად გადაუმუშავებია, შეუფარდებია იგი ქრისტიანობასთან, მიუცია მისთვის სრულებით ახალი ელფერი, ახალი იდეური შინაარსი, მოთხრობის ვაშლა სხვაობად წარუმართავს, და ამ რიგად რომანის „სიბრძნე ბალაქვარისა“³⁾-ს სახით ქართველ მწერალს ახალი ნაწარმოები შეუქმნია. ამდენად ქართული რომანი „სიბრძნე ბალაქვარისა“ თავისი კონცეპციით, სოფლავაგებით, მოთხრობის აღნაგობით, ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს.



როდის არის დაწერილი ქართული რომანი?

ამის დასადგენად ჩვენ გვაქვს ორი მსაზღვრელი თარიღი. ერთის მხრით არაბული „ბალაქვარი და ბუდასაფი“, როგორც ცნობილია, ეკუთვნის მე-8 საუკუნეს. ხოლო მეორე მხრით ირკვევა, რომ მე-10 — 11 საუკუნეთა საზღვარზე ქართველმა მწერალმა ეფთიმე იბერიელმა გამოიყენა რომანის ქართული ტექსტი და გამოაქვეყნა ახალი ვერსია რომანისა ბერძნულ ენაზე, „ვარლამისა და იოსაფის“ წიგნის სახელით ცნობილი.

1) იხ. სიბრძნე ბალაქვარისა, 1937 წლის გამოცემა, შესავალი წერილი, გვ. 7 — 10.

2) პირვანდელი ფორმა სახელისა არის „ბუდასაფი“ ანუ „ბოდასაფი“ (იგივე ბუდა, ბოდისატვა). რაც შეეხება ქართულ ტექსტში დაცულს დაწერილობას ამ სახელისას „იოდასაფი“, იგი არაბული პალეოგრაფიის ნიადაგზე პპოულობს ახსნას. საქმე ის არის, რომ არაბულს დამწერლობაში „ბუდასაფი“ („ბოდასაფი“) — შესაძლოა წაკითხულ იქმნას როგორც „იოდასაფი“ (თავ-ასოების მსგავსების გამო) და იმ ამ გზით წარმომდგარა ქართული ტექსტის სახე-შეცვლილი ფორმა ამ სახელისა: „იოდასაფი“.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ ძველ-ქართული ვერსია ბალაპეარის რომანისა ამ ორ სათარიღო მიჯნას შორის ყოფილა დაწერილი, ე. ი. მე-9—10 საუკუნეებში.

მაგრამ ეს თარიღი შესაძლოა კიდევ უფრო დაზუსტდეს. ქართული რომანი სობრძნე ბალაპეარისა სჩანს დაწერილია მე-9 საუკუნეში, არა უგვიანეს ამ საუკუნისა.

ამას გვაფიქრებინებს ჩვენ დრომდე მოღწეული ერთი ძველ-ქართული ტექსტი: ექსცერპტი კლარჯული (მესხური) სვინაქსარისა.

რადგან ბალაპეარის რომანი ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლია, ნაწარმოები, რომელმაც ნამდვილი მსოფლიო რეზონანსი მოიპოვა საშუალ-საუკუნეებში, ამის გამო ყოველი ახალი დეტალი, რაც შეუქა პვენს ამ ძეგლის თარიღის კითხვას, ყურადღების ღირსია. ამიტომაც ჩვენ აქ შევჩერდებით ამ ტექსტზე კლარჯული სვინაქსარის ექსცერპტზე, მით უფრო რომ ეს ტექსტი დღემდე არ ყოფილა სათანადოდ შესწავლილი და მისი ცნობები გამოყენებული არ ყოფილა.

ექსცერპტი კლარჯული სვინაქსარისა შეტანილია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში A-97.

ხელნაწერი გადაწერილია კლარჯეთში მე-11 საუკუნის უკანასკნელ მე-სამედში. (ხელნაწერის გადაწერის ინიციატორი სჩანს იყო ეგნატე კავკასისძე წყაროსთაველი, რომელმაც მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში გადააწერინა კლარჯეთში მთელი წყება ქართული ხელნაწერებისა)¹.

ხელნაწერის ძირითადი ტექსტი შეიცავს ათონურ სვინაქსარს (გიორგი მთაწმიდელისა). სვინაქსარში, როგორც ცნობილია, ათავსებდნენ მოსახსენებელს იმ მოღვაწეთა შესახებ, რომელთაც იოგნებდა ეკლესია გარკვეულ თარიღებში.

ათონურ სვინაქსარში, როგორც ცნობილია არაა შეტანილი ლოკალური ქართული ხსენებანი. ამის გამო ხელნაწერის რედაქტორს უსარგებლნია მეორე სვინაქსარული ტექსტით, კლარჯეთში მიღებული სვინაქსარ-

¹ ეგნატე წყაროსთაველი არის ძმა პეტრიკ კავკასისძისა (იგივე პეტრე პატრიკი, შემდეგ ვესტი და მწიგნობართ-უხუცესი) და იოვანე ჭყონდიდელისა. წყარობიდან ირკვევა, რომ სამივე ძმა დაახლოვებულნი პირნი იყვნენ გიორგი მთაწმიდელისა. ჩვენი ხელნაწერის წარმოშობის ვასთავალისწინებლად აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ხელნაწერში შეტანილია მოსახსენებელი ეგნატეს ძმის იოვანე ჭყონდიდელისა, რომელიც ხელნაწერის გადაწერის დროს უკვე გარდაცვლილი ყოფილა; ხელნაწერში 3 იანერის თარიღს ქვეშ აღნიშნულია: „ამასვე დღესა გარდაიცვალა სულკურთხეული მოავარებისკომპოსი იოვანე ჭყონდიდელი. დიდებულ ყავნ ღმერთმან სული მისი და ძმათა მისთაჲ“. (ხელნაწერში აღნიშნულია ივრეთვე გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების თარიღიც, 29 ივნისს). რომ ხელნაწერი გადაწერილია კლარჯეთში, ამას ადასტურებს მინაწერები.

ეგნატე წყაროსთაველის მოღვაწეობის შესახებ ხელნაწერთა გადაწერისათვის კლარჯეთის სავანეთათვის იხ. ანდერძნი კლარჯეთში გადაწერილ ხელნაწერთა: 1085 წლისა (ხელნაწერი საქ. მუზეუმისა H—1350) და 1089 წლის ახლო დროისა (ხელნაწერი საქ. მუზეუმისა A—136, და მისი ნაწილები 252, 253, 372, 614).

რით, და ამოვლია აქედან ცნობები იმ მოღვაწეთა შესახებ, რომელთაც ათონურ სენაქსარს აკლდა¹.

ექსცერპტი ამ მეორე სენაქსარული ტექსტისა—კლარჯული სენაქსარი-სა—სულ შეიცავს 18 ხსენებას. აქ ჩამოთვლილია როგორც ადგილობრივი მოღვაწენი, რომელთა მოღვაწეობა უშუალოდ საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ისე უცხოელი მოღვაწენი, რომელთა ხსენება მიღებული ყოფილა საქართველოში, კერძოდ კლარჯეთში.

მოგვყავს აქ ტექსტი ამ ძეგლისა, კლარჯული სენაქსარის ექსცერპტისა:

1. 7 იანვარს: „აბოასი, რომელი იწამა ტფილისს სარკინოზთაგან“.
2. 12 თებერვალს: „ეხრათა ყრმათა კოლაელთაგან“.
3. 23 თებერვალს: „დავითისი, რომელი იწამა დენს სარკინოზთაგან“.
4. 15 აპრილს: „მესუკაველთაგან, სუქიასი და მოყუსთა მისთაგან“.
5. 13 მაისს: „ორთა ძმათა დავითისა და ტირიქანისი, რომელნი იყვნენ სომხითი და იწამეს ტაოს“.
6. 19 მაისს: „ნეტარისა იოდასაჲ ჰინდოთა მეფისაგან“.
7. 1 ივლისს: „ნერსე მთავარეპისკოპოსისა სომხითისაგან“.
8. 8 ივლისს: „მამისა ლამპარისი“.
9. 26 ივლისს: „იოვანე პალავრელისაგან“.
10. 28 ივლისს: „იზიტბოზიტისი, რომელი იყო ნათესავით სპარსი და იწამა სპარსთა მიერ ცეცხლის-მსახურთა“.
11. 29 ივლისს: „ეესტათი მცხეთელისაგან, რომელი იყო ნათესავით სპარსი და იწამა ტფილისს ცეცხლის-მსახურთა მიერ“.
12. 3 აგვისტოს: „რაფდენისი, რომელი იყო სპარსი და იქმნა ქრისტეანე და იწამა ქართლს ცეცხლის-მსახურთა მიერ სოფელსა წრომს“.
13. 21 აგვისტოს: „შუშანიკისი, რომელი იწამა ქართლს ჭრისა მისისა ვასქენისაგან“.
14. 23 აგვისტოს: „კორდოვ ეპისკოპოსისაგან და... ირინეოს, და ორ, და ოროფსისი“.
15. 5 ოქტომბერს: „მამისა ზუნისა გრიგოლ ბანცთელისაგან“.
16. 10 ნოემბერს: „კონსტანტი კახასაგან. ესე იყო ქართველი აზნაური დიდებული და იწამა სარკინოზთა მიერ სპარსეთს“.
17. 12 ნოემბერს: „აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაგან, რომელი იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს“.
18. 30 დეკემბერს: „ბოასი, რომელი იწამა იერაპოლისს“.

¹) ეს ექსცერპტი კლარჯული სენაქსარიდან მიწერილია ზელნაწერის არშიებზე დედნის ხელით.

აქ საჭიროა აღნიშნოთ აგრეთვე შემდეგიც:

რომ ეს ექსცერპტი აღებულია ლოკალური წარმოშობის კლარჯული სენაქსარიდან და არა იმ სენაქსარიდან, რომელსაც „კანონი“ ეწოდებოდა, ამას ადასტურებს ორი რამ: ა) „კანონში“ და ამ ექსცერპტში ხსენებათა წრე სხვადასხვა მოცულობისა; ბ) იმ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც „კანონში“ და ექსცერპტში ერთი და იგივე ხსენება აღნიშნული, დაიკლებულია მათი თარიღები, სახელდობრ:

ა) ხსენება რაფდენისი „კანონში“ აღნიშნულია 25 ივნისს, ხოლო ექსცერპტში 3 აგვისტოს;

ბ) ხსენება აბიბოს ნეკრესელისა „კანონში“ აღნიშნულია 6 ივლისს, ექსცერპტში 12 ნოემბერს;

გ) ხსენება შუშანიკისი „კანონში“ აღნიშნულია 17 ოქტომბერს, ექსცერპტში 21 აგვისტოს;

დ) ხსენება ეესტათი მცხეთელისა „კანონში“ აღნიშნულია 20 დეკემბერს, ექსცერპტში 29 ივლისს.

ამ ტექსტში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ არ არის არც ერთი ხსენება, რომელიც ეკუთვნოდეს მე-9 საუკუნეზე გვიან დროს.

ყველაზე გვიანდელი ხსენება სამი:

მე-5: და ვ ი თ და ტ ი რ ი კ ა ნ ი ს ი. და ვ ი თ და ტ ი რ ი კ ა ნ ი ს ი (რომლის შესახებ მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო როგორც ირკვევა მათი კანონი-წაცია ქართული ეკლესიის მიერ და ხსენების განწესება მოხდა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწის საბან იშხნელის დროს. (ამ დროს არის დაწერილი და ვ ი თ და ტ ი რ ი კ ა ნ ი ს ი მარტვილობის ქართული ტექსტი).

მე-16 ხსენება: კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი კ ა ხ ა მ ს ა. კონსტანტი კახამ აწამეს 853 წელს.

მე-15 ხსენება: გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს ა. გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 860 წელს.

თარიღის საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება:

ექსცერპტში, მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ, არ არის შეტანილი ხსენება არათუ გარეშე მოღვაწეთა, არამედ თვით მესხეთის ადგილობრივი მოღვაწეებისაც გრიგოლ ხანძთელის მომდევნო ხანისა. ასე, აქ არ არის შეტანილი ხსენება მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის მიქელ პარეხელისა (რომლის ბიოგრაფია აღწერა მისმა მოწაფემ ილარიონ პარეხელმა), მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის სერაპიონ ზარზმელისა (რომლის ბიოგრაფია აღწერა ბასილი ზარზმელმა 886 წლის ახლო ხანებში), მე-10 საუკუნის დასაწყისის მოღვაწის გობრონიისი (რომლის ბიოგრაფია აღწერა 914—918 წლებში სტეფანე მტბევერმა).

ეს გარემოება, რომ აქ ერთის მხრით არის ხსენება გრიგოლ ხანძთელისა, რომელიც გარდაიცვალა 860 წელს, და ამავე დროს აქ არ მოიპოვება ხსენება სხვა ადგილობრივი მესხური მოღვაწეებისა, რომელნიც მოღვაწეობდნენ გრიგოლის შემდეგ, მე-9 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-10 საუკუნის დასაწყისში, გვიჩვენებს, რომ ეს ექსცერპტი დამოკიდებულია მე-9 საუკუნის მეორე ნახევრის დედნიდან.

კერძოდ ჩვენი საკითხისათვის — ბალაპვარის მოთხრობის დათარიღებისათვის — ეს ტექსტი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ აქ უკვე შეტანილია ხსენება, მომდინარე ბალაპვარის მოთხრობიდან. სახელდობრ მე-6 ხსენებად, 19 მაისის თარიღით, აქ აღნიშნულია ხსენება „ნეტარისა იოდასაჲ პინდოთა მეფისაჲ“.

ამ-რიგად, ამ დროს არათუ არსებულა ქართულად ბალაპვარის მოთხრობა, არამედ უკვე მომხდარა ამ მოთხრობის პერსონაჟის იოდასაჲის კანონი-წაცია.

*

მეორე საკითხი, — თუ რა წარმოშობისაა ბალაპვარის მოთხრობის ბერძნული ვერსია და ვინ იყო ბერძნული ვერსიის ავტორი, უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს საკამათოდ, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც აღმოჩნდა ახალი დამატებითი მასალები. ამიტომაც ამ საგანზე აქ აღარ ვავაგრძელებთ სიტყვას.

არსებული მასალების მიხედვით უცილობელი ხდება, რომ ბერძნული ვერსიის ავტორი არის ქართველი მწერალი ეფთიმე იბერიელი (958—1028 წ.), რომელსაც გამოუყენებია ბალაქარის ძველ-ქართული ვერსია და „ჩინის წიგნის“ ველზე დაუმუშავებია ახალი რედაქცია ბალაქარის რომანი „საქსისა და იოსაფის“ წიგნის სახელით ცნობილი.

ამას ადასტურებს ერთხმივე ჩვენება სრულებით სხვადასხვა ხასიათის წყაროებისა:

1. ბერძნული ხელნაწერების ჩვენება. ავტორობა ეფთიმე იბერიელისა როგორც ცნობილია აღნიშნულია ბერძნულ ხელნაწერებში. დღემდე ცნობილი იყო ორი ასეთი ხელნაწერი (მათ შორის უძველესი, მე-11 საუკუნის ხელნაწერი ამ ძველისა). ამ ბოლო დროს ორიენტალისტმა რ. ბლეიკმა აღმოაჩინა მესამე ხელნაწერი, რომელიც შეიცავს იმავე ცნობას ეფთიმე იბერიელის ავტორობის შესახებ.

2. ქართული წყაროს ჩვენება. ეფთიმე იბერიელის ავტორობას ადასტურებს ისეთი ავტორიტეტული ძველ-ქართული წყარო, როგორიც არის ბიოგრაფია ეფთიმე იბერიელისა, დაწერილი ამავე ეპოქაში, მე-11 საუკუნეში, 1042—1044 წლებში, ეფთიმეს ლიტერატურული მემკვიდრის, ქართველი მეცნიერის გიორგი მთაწმიდელის მიერ.

3. ლათინური წყაროს ჩვენება. დასასრულ, რომ ეფთიმე იბერიელი არის ავტორი ბერძნული ვერსიისა, ეს აღნიშნულია „ვარლამის და იოსაფის“ წიგნის ძველ ლათინურ თარგმანშიაც, რომლის ტექსტი, ბიბლიოგრაფიულის შენიშვნით ეფთიმე იბერიელის შესახებ, აღმოაჩინა ორიენტალისტმა P. Peeters-მა, და რომელიც ამავე ეპოქას, მე-11 საუკუნეს, 1048 წელს ეკუთვნის.

ამრიგად აქ ჩვენ გვაქვს სრული შეხვედრა სრულებით სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა ხასიათის ძეგლებისა, რომლებიც თანხმობით ადასტურებენ ეფთიმე იბერიელის ავტორობას.

2

მოთხრობა აბუჰარაასი მიქაელისთვის საბაწმიდელისა

ანუ «აბუჰარაა».

(სქოლიო 2, გვ. 119, მნათობი № 9).

მე-10 საუკუნეში გადაწერილს ერთს ხელნაწერ კრებულში „მოწამეთაჲ“ (ათონური ხელნაწერი № 57) მოთავსებულია ტექსტი, რომელიც ატარებს ხათათურს:

„თთუესა მარტა 20-სა წამებაჲ... მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა დიდსა... მამისა ჩუენისა საბაჲსა“.¹

¹) ფრაგმენტი ამ ტექსტისა მოიპოვება აგრეთვე საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში A-382.

სათაური არსებულის სახით ეყუთენის იმ დროს, როდესაც ეს ტექსტი შეუტანიათ კრებულში „მოწამეთა“. უნდა ვიცოდეთ, რომ ამგვარ კრებულში („მოწამეთა“) თხზულებათა სათაურები ერთგვარ გაუპიროვნებას განიცდიან ხოლმე და ერთი და იმავე ტრაფარეტის მიხედვით არის შეკეთებული, ე. ი. აღნიშნულია თარიღი და მოწამის სახელი.

სინამდვილეში ამ სათაურის ქვეშ გაერთიანებულია ორი თხზულება: პირველ თხზულებას, შინაარსის მიხედვით უნდა მიეკუთვნოს შემდეგი სათაური:

მოთხრობა აბუკურაასი მიქაელისთვის საბაწმიდელისა.

მეორე თხზულება არის: „ქება საბაწმიდისა და საბაწმიდელთა“.

მეორე თხზულების ავტორია ამა ბასილი საბაწმიდელი. ხოლო პირველი თხზულების ავტორია არა ბასილი, არამედ ბასილის მოწაფე. (ამასთან ეს ორი ძველი დაწერილია სხვადასხვა დროს და დაცილებულია ისინი ერთმანეთს დაახლოებით 10 წლის მანძილით).

ჩვენ აქ საუბარი გვექნება პირველი ძეგლის შესახებ.



თხზულება — მოთხრობა აბუკურაასი მიქაელისთვის საბაწმიდელისა, როგორც ირკვევა ტექსტის რეალებიდან, დაწერილია მე-9 საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 813 — 820 წლებში¹.

ამ თხზულების ორი ვერსია არსებულა: ქართული და არაბული.

ქართული ვერსია წარმოგვიდგენს ამ თხზულების პირველადს გაურთულებელ სახეს და იგი დამოუკიდებელი მოთხრობის სახით შენახულა.

არაბული ვერსია არ მოღწეულა დამოუკიდებლად, არამედ შეტანილია ცალკე ეპიზოდის სახით ერთს ნაგვიანეს აპოკრიფულს ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება თეოდორე ედესელის ცხორება. ეს აპოკრიფი, თეოდორე ედესელის ცხორება, როგორც ირკვევა, შედგენილია არაბულად მე-10 საუკუნის ბოლოს, და მის ავტორს ხელთა ჰქონია „მოთხრობა აბუკურაასი“, რომელიც მას ამ აპოკრიფის შედგენის დროს გამოუყენებია, და ჩაუკერებია აპოკრიფში როგორც ცალკე ეპიზოდი.

ამრიგად, პირველადი ტექსტი „მოთხრობა აბუკურაასი“ არაბულად ცალკე მოთხრობის სახით აღარ შენახულა. მაგრამ თავის-თავად ის ფაქტი, რომ „მოთხრობა აბუკურაასი“ შემდეგ შეუტანიათ გვიანი დროის აპოკრიფში, გვიჩვენებს, რომ არაბულ ენაზე ამაზე წინ არსებულა იგი დამოუკიდებელი მოთხრობის სახითაც, როგორც ამას ქართულში ვხედავთ.

აქ იბადება საკითხი, თუ რომელი ვერსია იყო პირველადი, ქართული თუ არაბული?

ვიდრე პასუხს გავსცემდეთ ამ კითხვაზე, აქ საჭიროა ჯერ გავითვალისწინოთ საბაწმიდაში არსებული ლიტერატურული გარემო.

¹) აღნიშნავთ ამასთან, რომ მოღწეული ტექსტი შეიცავს პაემეტობის გადანაწილს, რაც თავის მხრივ ეთანხმება ამ დათარიღებას და ადასტურებს, რომ ძეგლი მე-9 საუკუნის დასაწყისზე გვიანი არ არის.

საბაწმიდის წრე, როგორც ცნობილია, ინტერნაციონალური შემადგენლობისა იყო. აქ ქართველებთან ერთად მკვიდრობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, სომხები და სხვ. ყველა ამ ენებზე აქ სწავრობდა, ლიტერატურული მუშაობა და ბუნებრივია, რომ თხზულებანი ერთი ენაზე მწერრზე ითარგმნებოდა, და ზოგჯერ ერთი და იგივე თხზულება ერთდროულად რამდენსავე ენაზე ქვეყნდებოდა.

კერძოდ ქართული კოლონია საბაწმიდისა დიდი ლიტერატურული ტრადიციების მქონე იყო. ლიტერატურული მუშაობა ქართულს ენაზე საბაწმიდაში იწყება ჯერ კიდევ მე-5 საუკუნის დასასრულიდან და გრძელდება ვიდრე მე-11 საუკუნემდე. საუკუნეთა მანძილზე საბაწმიდის ქართული კოლონია გადაიქცა ქართული ლიტერატურული საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად, ქართული მწიგნობრობისა და განათლების ნამდვილ კერად.

საბაწმიდაში ქართულ სალიტერატურო წრეებს არა ერთი და ორი თხზულება უთარგმნიათ ქართულს ენაზე ბერძულიდან, არაბულიდან (ქრისტიანულ-არაბული მწერლობის ძეგლები) და სხვა.

ამავე დროს ქართულიდანაც ითარგმნებოდა ძეგლები სხვა ენებზე. ასე, სწორედ იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს, ე. ი. მე-9 საუკუნეში, 880 წელს, ქართულიდან უთარგმნიათ სომხურად დიონისი არეოპაგელის სახელით ცნობილი ორი ტექსტი.

ქართულ მწიგნობრობას რომ დიდი ტრადიცია ჰქონდა საბაწმიდაში, ამას, სხვას რომ თავი დაეანებოთ, ისიც გვიჩვენებს, რომ სწორედ საბაწმიდაში დაიწერა მე-9 საუკუნეში „ქებაა ქართულისა ენისაჲ“, სადაც ქართული ენა აღიარებულია რჩეულ ენად, რომელშიაც დამარბულია ყოველი საიდუმლო.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ ჩვენს ძეგლს — „აბუკურა“-ს.

როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ საბაწმიდაში არსებულს ლიტერატურულს გარემოს, ამ ძეგლის წარმოშობის შესახებ შესაძლოა დავუშვათ სამი შესაძლებლობა:

1. თხზულება თავდაპირველად დაიწერა ქართულად და შემდეგ ითარგმნა არაბულად;

2. თხზულება თავდაპირველად დაიწერა ქართულად, და ამავე დროს ქართველმა ავტორმა იგი ერთდროულად გამოაჭევეცნა არაბულ ენაზედაც, რომელიც ამ ეპოქაში, მე-9 საუკუნეში, საერთაშორისო ენად ითვლებოდა პალესტინაში და კერძოდ გავრცელებით სარგებლობდა საბაწმიდაში.

3. თხზულება თავდაპირველად დაიწერა არაბულად არაბი მწერლის მიერ და შემდეგ ითარგმნა იგი ქართულად.

გავეცნოთ ამის შემდეგ თვით თხზულების ტექსტს, თუ რა ჩვენებას იძლევა იგი აღძრული საკითხის გამო.

თხზულების ტექსტის რეალების მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ავტორი სხანს ქართველი იყო და არა არაბი.

ამას გვაფიქრებინებს მთელი რიგი ნიშნები.

1. ჯერ ერთი, მოთხრობაში ყურადღებას იქცევს ერთი ანაქრონისტული ხასიათის ცნობა. სახელდობრ მოთხრობაში 700-იანი წლებისათვის არაბული ხალიფატის სატახტო ქალაქად იგულისხმება ბაღდადი (ბაბილონი). სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, არაბული ხალიფატის სატახტო ქალაქი

ამ დროს იყო არა ბაღდადი, არამედ დამასკო. (სატახტო ქალაქი ხალიფატისა ვადმოტანილ იქნა ბაღდადში უფრო გვიან, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში).

ასეთი ანაქრონისტული ცნობა არაბული მწერლის თხზულებაში წარმოსადგენი არაა. არაბული ხალიფატის ცენტრის ვადმოტანა დამასკოდან ბაღდადში მხოლოდ 50 წლის მანძილით იყო დაშორებული ჩვენი თხზულების დაწერის დროიდან, და არაბ მწერალს, მით უფრო სირიელ-პალესტინელ არაბს, ეს კარგად უნდა სცოდნოდა. ზოლო ქართველ მწერალს რომ არ სცოდნა ეს ფაქტობრივობა, აქ რასაკვირველია მოულოდნელი არაფერია. რაკი თხზულების დაწერის დროს სატახტო ქალაქი არაბული ხალიფატისა იყო ბაღდადი, ქართველი მწერალი არ შესდგომია იმის ძიებას, თუ რა დროიდან მოხდა ეს, მას სწანს ეპეიკ არ შესდიოდა იმაში, რომ წინათ სხვა მდგომარეობა იყო, და ძველი დროისათვისაც არაბული ხალიფატის სატახტო ქალაქად ისევ იგივე ბაღდადი მიუჩნევია.

ანალოგიური ანაქრონისტული ცნობა, როგორც ცნობილია, ჩვენ სხვაგანაც გვხვდება ქართულს წყაროებში. საისტორიო ძეგლებში.

2. რომ ძველი ქართული წარმოშობისაა, ამის მაჩვენებელია ქართული პატრიოტული ტენდენცია, რომელიც გამოსჭვივის თხზულებაში. აქ ადგილი აქვს საქართველოს ერთგვარ განდიდებას. სახელდობრ დასავლეთი საქართველო, ანუ იმ-დროინდელი ტერმინოლოგიით „აფხაზეთი“, რომელიც ამ ეპოქაში, მე-8 — 9 საუკუნეთა საზღვარზე, მთავარ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა ქართულ ფეოდალურ სამფლობელოთა შორის, ავტორის წარმოდგენილი აქვს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ერთეულად და ჩათვლილი აქვს თორმეტ მთავარ ქვეყანათა შორის, რომელზედაც — ავტორის შეხედულებით — ნაწილდება მსოფლიო. ამ 12 ქვეყანას ანუ „ზღუის-კიდებს“, და მათ შორის დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთს“), ავტორი მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე არაბეთს (სარკინოზეთს), რომელიც ავტორის სიტყვით მხოლოდ ერთს პატარა მხარეს ნახევარ-კუნძულს („ხერთვისს“) შეიცავს.

რასაკვირველია ასეთი კონცეპცია, დამამცირებელი არაბული ეროვნული თავმოყვარეობისათვის, წარმოუდგენელია არაბი მწერლის თხზულებაში და გასაგებია ქართველი ავტორის ნაწარმოებში¹⁾.

ჩვენ ამ-გზის ამაზე დავასრულებთ ქართული და არაბული ევრსიების ურთიერთობის საკითხის განხილვას. არის აგრეთვე სხვა ნიშნულობაც, რაც მიუთითებს, რომ ძველი ქართული წარმოშობისაა, მაგრამ ამ საგანზე უფრო დაწერილებით საუბარი გვაქვს სპეციალური მონოგრაფიაში.

ჩვენი დასკვნა ასეთია:

თხზულება დაწერილია ქართულად მე-9 საუკუნის დასაწყისში. იმავე მე-9 საუკუნეში იგი უთარგმნიათ არაბულ ენაზე. აღნიშნავთ ამასთან, რომ არაა გამორიცხული, რომ არაბული თარგმანის გამოშვება თვით ქართველი ავ-

¹⁾ აღსანიშნავია, რომ თეოდორე ედესელის აპოკრიფის ტექსტში, რომელიც არაბული ევრსიიდან არის დამოკიდებული, მთელი ეს ადგილი 12 მთავარი ქვეყნის შესახებ — გამოშვებულია. ცხადია იგი გამოუშვია ან არაბულად მთარგმნელს, ან არაბული ტექსტის შემდგომ-დროინდელს ვადამწერლებს, რომელთაც ეს ადგილი არაბული ეროვნული თავმოყვარეობისათვის დამამცირებლად მიუჩნევიათ.

ტორის მიერ იყოს შესრულებული. ან მისი მონაწილეობით. არაბულ ენა ამ ეპოქაში, როგორც მოვიხსენეთ, ძირითადი საერთაშორისო ენა იყო პალეოქრინაში. კერძოდ ქართულ კოლონიაში არაბული ენა, როგორც ირკვევა, ფართო გავრცელებით სარგებლობდა; ძველ ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც პალეოქრინაში და სინაზე არის გადაწერილი, დართული აქვს ხოლმე არაბული მნიშვნურები, ქართველ გადაწერთა მიერ შესრულებული. ძველის გამოკვეთებას არაბულ ენაზედაც ქართულის გვერდით ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამგვართ თხზულება მისაწვდომი ხდებოდა საბაწმინდაში მოღვაწე არა-ქართული წრეებისათვის.



აქ საჭიროა შევეხოთ ამ ძველის შემდგომ ლიტერატურულ ისტორიასაც. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ქართველმა მწერალმა ეფთიმე იბერიელმა გააცნო დასავლეთის მსოფლიოს, ბერძნულ ენაზე თარგმანებისა და გადაკეთებული ვერსიების სახით, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები. მათ რიცხვში ყოფილა „აბუჯურაა“. ეფთიმე იბერიელის ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ ეფთიმეს „ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტყობოებაა გარკა ნესტევი (საყვირი) ოქროსაა ხმამალალი ოხრის (ლაღადებს) ყოველსა ქვეყანასა, არა ხოლო ქართლისა-სა (საქართველომასა), არამედ საბერძნეთისაცა, რამეთუ ბალაჰვარი და აბუჯურაა და სხვანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“.

(თავისთავად ეს გარემოებაც, რომ ეფთიმე იბერიელმა საჭიროდ დაინახა თარგმნა ბერძნულად, ქართული მწერლობის სხვა საჩინო ძეგლებთან ერთად, აგრეთვე „აბუჯურაა“-ც, იმისი მაჩვენებელია, რომ „აბუჯურაა“ ქართულ წარმოშობის ძველი იყო).

რაც შეეხება „აბუჯურაა“-ს არაბული ვერსიას, მისი შემდგომი ისტორია ასეთი იყო:

1. როგორც მოხსენებული გვქონდა, მე-10 საუკუნის დასასრულს (როგორც ირკვევა ქალაქ ედესაში) არაბულ ენაზე შეუდგენიათ აპოკრიფული ჰაგიოგრაფიული თხზულება—თეოდორე ედესელის ცხოვრება; ამ აპოკრიფის შედგენისას გამოუყენებიათ ჩვენი ძველი „მოთხრობაა აბუჯურაასი“, რომელიც აპოკრიფის ავტორს ცალკე ეპიზოდის სახით ჩაურთავს თეოდორე ედესელის ცხოვრებაში.
2. მას შემდეგ, მე-11 საუკუნეში, ეს აპოკრიფი — თეოდორე ედესელის ცხოვრება — უთარგმნიათ არაბულიდან ბერძნულად.
3. უფრო გვიან, მე-11 — 12 საუკუნეებში, თეოდორე ედესელის აპოკრიფი უთარგმნიათ ბერძნული ენიდან ქართულს ენაზედაც.

ასეთია მოკლედ ლიტერატურული ისტორია ამ ძველისა „მოთხრობაა აბუჯურაასი. ჩვენ აქ შევეხეთ საკითხის მხოლოდ ზოგიერთს მხარეს, ისიც ზოგადად. „აბუჯურაა“-ს ქართული ტექსტის წარმოშობის საკითხი და შემ-

დგომი ლიტერატურული ისტორია განხილული გვაქვს მთელის მოცულობით სპეციალურს მონოგრაფიაში, რომელიც დამზადებულია გამოსაცემად¹⁾.

3.

მე-8 საუკუნის მოღვაწეთა შესახებ ძველი ბიოგრაფიული ძეგლების შესწავლა და გადაყვანის პირები.

(სქოლიო 3, გვ. 124, მნათობი № 9).

1. ბიოგრაფია მე-8 საუკუნის მოღვაწის იოანე კათოლიკოსისა (750 — 760 წწ.) არ მოღწეულა ჩვენ დრომდე, მაგრამ ირკვევა, რომ ეს ძველი ხელთა ჰქონია მე-11 საუკუნის ქართველ მწერალს ბასილი კათოლიკოსს (ვაჩეს-ძეს), როდესაც იგი სწერდა თხზულებას, ცნობილს შემდეგი სათაურით: „თხოვბაა სასწაულთათვის... შიოასთა, რომელი ესე, სხვათა მიერ აღწერილი აღგილ-აღგილ, ერთად შემოპყრიბა ბასილი კათოლიკოსმან, ძემან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან“.

ბასილი ვაჩეს-ძის ამ თხზულების ერთ თავში (მეათეში) მოთხოვნილია იოანე კათოლიკოსის შობის ამბავი, მისი მონათვლა შიო-მღვიმეში ელია მღვიმელის მიერ, და შემდეგ ათი წლის ყრმის იოანესი მიბარება შიო-მღვიმეში. ბასილი ვაჩეს-ძე ამაზე ამთავრებს მოთხოვბას, რადგან ბასილი ვაჩეს-ძეს, თანახმად მისი თხზულების გეგმისა, შეჰქონდა თავის თხზულებაში მხოლოდ ის ამბები, რაც შიო-მღვიმესთან იყო დაკავშირებული. ამ თავს იოანე კათოლიკოსის შესახებ ბასილი ვაჩეს-ძე ამთავრებს შემდეგის შენიშვნით: „ესე ყრმაა არს იოანე ქართლისა კათოლიკოსი, რომელი ყოვლითურთ სწორ იქმნა იოანე ოქრობირისა, რომლისა სათნობანი და საქმენი უკუეთუ ვისმე უნდეს ცნობად, მიიღეთ კელად მისთვის აღწერილი წიგნი და მუნით სცნობდინ“.

ამ-რიგად ბასილი ვაჩეს-ძე, თავისი თხზულების გეგმასთან შეფარდებით, თუმცა მხოლოდ ეპიზოდურად ეხება იოანე კათოლიკოსს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს მკითხველს ცალკე წიგნზე, რომელშიაც აღწერილი ყოფილა იოანე კათოლიკოსის „საქმენი“, და საიდანაც მკითხველს შეეძლო სრულად გაეცნო ამ გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრება.

2. სარმეან კათოლიკოსის ბიოგრაფია. სარმეან ქართლისა კათოლიკოსი (კათოლიკაზად იყო მე-8 საუკუნის 70-იან წლებში) კანონიზირებული იყო ქართული ეკლესიის მიერ, როგორც ეს აღნიშნულია ძველ-ქართულ „კანონ“-ში²⁾. ამის გამო საფიქრებელი იყო, რომ არსებობდა სარმე-

¹⁾ წაკითხული იყო მოხსენებად რუსთაველის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1934 წელს. მონოგრაფიასთან ერთად დამზადებულია გამოსაცემად კრიტიკულად დადგენილი ტექსტები: „აბუჯურაა“ და „ჭებაა საბაწმიდისა და საბაწმიდელთაა“.

აღნიშნავთ ამასთან ერთს მძიმე შეცდომას, რომელიც ამ ტექსტების შესახებ პატივეცემულს პროფ. კ. კეკელიძეს მოსვლია. პროფ. კ. კეკელიძეს დაბეძული აქვს ეს ტექსტები (გაერთიანებულად) Keimena-ში, გვ. 165 — 173, მაგრამ კ. კეკელიძეს ვერცა შეუძნევი, რომ როგორც „აბუჯურაა“, ისე „ჭებაა“ გარიტმულია, და გაბმული პროზაული ტექსტის სახით დაუბეჭდავს.

²⁾ იხ. „კანონის“ პარიზული ხელნაწერი (პროფ. გუსენის გამოცემა, München-Gladbach, 1923. ფოტო-პირები „კანონის“ პარიზული ხელნაწერისა მოიპოვება საქ. მე-ზეუმში, Q-580).

ანის ბიოგრაფია („ცხოვრება“). და მართლაც ბასილი ვაჩეს-ძის ზემოთაღსახელებულ თხზულებაში მოთხრობილია ერთი ეპიზოდი სარმეანის ცხოვრებიდან, შიო-მღვიმესთან დაკავშირებული. (ბასილი ვაჩეს-ძე ამ შემთხვევაშია ცხმო-ყოფილდება მხოლოდ ამ ერთი ეპიზოდის გადმოცემით, რადგან კვლევის ერთგორც აღენიშნეთ, მხოლოდ ისეთს ამბებს ეხება, რასაც კავშირი ჰქონდა შიო-მღვიმესთან). რაკი ბასილი ვაჩეს-ძე თავის თხზულებაში ემყარება წერილობითს წყაროებს (მან შემოპკრიბა, როგორც აღნიშნულია ზედწერილში, „სხვათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ“), ამის გამო საფიქრებელია, რომ ეს ეპიზოდი სარმეანის ცხოვრებიდან ბასილი ვაჩეს-ძეს სჩანს აღუწერია სარმეანის ძველი ბიოგრაფიის საფუძველზე.

3. მე-8 საუკუნის მოღვაწის არჩილ მეფის წამების ამბავი რამდენჯერმე ყოფილა აღწერილი:

ა. პირველად, მოკლე მოსახსენებელის სახით, არჩილის წამება აღუწერია მე-8 საუკუნის ქართველ მწერალს ლეონტი მროველს. ეს ტექსტი ჩვენ დრომდე პირვანდელის სახით არ შენახულა.

ბ. მას შემდეგ, მე-11 საუკუნეში, ლეონტი მროველის ძველი ტექსტი გადუმუშავებია და შეუვსია მე-11 საუკუნის მწერალს იოანე დეკანოზს. იოანე დეკანოზის მიერ გადამუშავებული ტექსტი არჩილის წამებისა დაცულია ქართლს-ცხოვრების კრებულში (იხ. ზემოთ, გვ. 213 — 214).

გ. უფრო გვიან, მე-12 საუკუნეში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს მე-13 საუკუნის დასაწყისისა, უცნობ ქართველ ჰაგიოგრაფს დაუწერია ვრცელი „მეტაფრასული“ მოთხრობა არჩილის წამების შესახებ. ეს ტექსტიც აზოეთვე მოღწეულა ჩვენ დრომდე.

4. მე-8 საუკუნის მოღვაწეთა დავით და კონსტანტინეს წამების ამბავი აღწერილია ძველში, რომელიც ატარებს სათაურს: „წამება და ღვაწლი... დავით და კონსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქვეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგვეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად დიდისა მის და მადლისა მეფისა მიცვალებისა ვახტანგ გორგასლისა, რომელმან შეფობადა ყოვლისა ქვეყანისაჲ საფლავად შთაიტანა, უღმრთოჲსა მის და მძლავრისა სპარსთა მეფისა მურვან აბულ კასიმისაგან, რომელსა იგი სახელწინართულად ერქვა ყრუ, დისწული მუჰმედ ყოვლად საძაგელისა მოციქულისაჲ“.

ეს ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც შენახულა ჩვენ დრომდე, დაწერილია მე-11 საუკუნეში, მაგრამ დავით და კონსტანტინეს წამების ამბავი, როგორც ირკვევა, ამაზე ადრეც ყოფილა აღწერილი. მე-11 საუკუნის აეტორს აღნიშნული აქვს, რომ მას თავისი ჰაგიოგრაფიული თხზულების შედგენის დროს ზელთა ჰქონდა დავით და კონსტანტინეს შესახები ძველი ტექსტი ანუ „ძველნი უწყებანი“.

4.

ქებაჲ მართულისა მისისაჲ.

(სქოლიო 4. გვ. 139, პნათობი № 9).



უძველესი ჩვენ დრომდე მოღწეული დედანი ამ ძეგლისა — „ქებაჲ ქართლისა ენისაჲ“ — გადაწერილია საბაწმიდაში 962 წელს, ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფის და მეცნიერი ბიბლიოფილის იოანე-ზოსიმეს მიერ¹⁾.

იოანე-ზოსიმე სჩანს დიდის ინტერესით ეკიდებოდა ამ მართლაც მრავალგვარად შესანიშნავს ნაწარმოებს, და გარდა 962 წელს გადაწერილი პირისა მას ამის შემდეგ სამჯერ გადაუწერია ეს ნაწარმოები 979, 981 და 981-2 წლებში²⁾.

რაკი ეს ძეგლი მოღწეულა იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი პირების სახით, არსებობს შეხედულება, რომ ავტორი ამ ძეგლისა იყო თვით იოანე-ზოსიმე. მავრამ ტექსტის მონაცემები და ამას გარდა თვით ხელნაწერთა შესწავლა არ ამართლებს ასეთ აზრს.

ჯერ ერთი, იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ პირებში მოიპოვება ისეთი ხასიათის შეცდომები, რაც სრულებით ამახინჯებს აზრს; ავტორის მიერ გადაწერილ ნუსხაში ყოვლად წარმოუდგენელია ადგილი ჰქონოდა ამგვარს შეცდომებს³⁾. ცხადია ეს თხზულება დაწერილი ყოფილა ბევრად ადრე და იოანე-ზოსიმეს ხელთა ჰქონია ისეთი დედნები ამ ძეგლისა, სადაც ტექსტი უკვე დაზიანებული ყოფილა მრავალგზისი გადაწერის პროცესში.

ამას გარდა, რომ იოანე-ზოსიმე არ არის ავტორი ამ ძეგლისა, ეს სრულიად უდავოდ ირკვევა შემდეგის მიხედვით:

„ქებაჲ“-ს ავტორი სხვათა შორის ჩერდება ქართული წელთაღრიცხვის ერთ თავისებურებაზე, სახელდობრ წლების ზედმეტობაზე, და ამაში „ქებაჲ“-ს ავტორი ხედავს პროვიდენციალურს მოვლენას; იგი ამას სთვლის „სასწაულად“, ღვთაებრივ ქეშმარიტებად, საიდანაც მტკიცდება რომ ქართული ენა არის რჩეული ენა, უპირატესი სხვა ენებზე.

ხოლო იოანე-ზოსიმეს წლების ზედმეტობა ქართულ წელთაღრიცხვაში არათუ არ მიანიხა პროვიდენციალურ მოვლენად, არამედ პირიქით იგი მას სთვლის შეცდომად, „მოცთუნებად“. ქრონოლოგიურს ტრაქტატში „გამოძიებისათვის ეამთა და წელთა“ იოანე-ზოსიმე სავანგებოდ აღნიშნავს: „ას-და-ათორმეტითა წლითა წინაჲთ თვალვენ ქართველნი ქრონიკონისა თავისა დაწყებასა ვ ი ს ი ს ა გ ა ნ მ ე მ ო ც თ უ ნ ე ბ ი თ ა“.

ამ-რიგად ცხადია, რომ ავტორი ამ ძეგლისა არ არის იოანე-ზოსიმე; იოანე-ზოსიმეს მხოლოდ გადაუწერია ძველი წარმოშობის ქართული ტექსტი.

¹⁾ ეს დედანი დაცულია ტიშენდორფისეული პალიმფსესტების კოლექციაში (ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავი, Gr — VIII).

²⁾ უკანასკნელი სამი პირი იოანე-ზოსიმეს გადაუწერია მას შემდეგ, რაც იგი საბაწმიდიდან გადავიდა სინას მთაზე. ეს უკანასკნელი სამი პირი დაცულია სინას შიის ხელნაწერებში №№ 12/38, 83/32 — 33 და 71/6.

³⁾ ასე მაგალითად: უნდა იყოს „მესიისა“, სწერია „მისისა“; უნდა იყოს „წილი“, სწერია „წერილი“; უნდა იყოს „ას-ათონი“, სწერია ერთ შემთხვევაში „ასი“, მეორე შემთხვევაში „ოთხმოცდაათონმეტი“; და სხვა. (ამას გარდა ერთ ადგილას არეულია ტაქთა რიგი).



დაკავშირებით ამ ძეგლთან „ქებაჲ ქართლისა ენისაჲ“ — აღნიშნავთ აქ ერთ ბიბლიოგრაფიულ ცნობასაც მეორე ანალოგიური შინაარსის ტექსტის შესახებ.

ძველი ქართული ძეგლების ერთს სიაში, რომელიც შეტყობინებულია იოანე-ზოსიმეს¹, სხვა ნაწარმოებთა შორის მოხსენებულია:

„ქებაჲ საბაწმიდისა და საბაწმიდელოთაჲ,
და ქართველოთაჲ,
და ქართულისა ენისაჲ“.

აქედან პირველი ძეგლი „ქებაჲ საბაწმინდისაჲ და საბაწმიდელოთაჲ“ — ჩვენ დრომდე მოღწეულა: მისი ავტორია ამაჲ ბასილი საბაწმიდელი. (დაწერილია იგი 796-807 წლებს შორის და დართული აქვს, დამატების სახით, თხზულებას: «მოთხრობაჲ აბუკურაბისი»).

მესამე სათაურის ქვეშ ივულისხმება ჩვენი ძეგლი: „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

ხოლო რაც შეეხება მეორე ტექსტს „ქებაჲ ქართველოთაჲ“ — იგი ჩვენ დრომდე არ მოღწეულა.

პირველი ძეგლის ანალოგიის მიხედვით („ქებაჲ საბაწმიდისა და საბაწმიდელოთაჲ“), რომელიც შეიცავს საბაწმიდის მოღვაწეთა „ქება-ს“ (— ბერძნებისას, სირიელებისას და ქრისტიან არაბებისას), ეს მეორე ტექსტი „ქებაჲ ქართველოთაჲ“ სიანს შეიცავდა ქართველ მოღვაწეთა „ქებას“.

საფიქრებელია, რომ ეს ტექსტიც „ქებაჲ ქართველოთაჲ“ ეკუთვნოდ იმავე ავტორს, რომელმაც დასწერა „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“. არაა გამორიცხული, რომ იგი შეადგენდა ამ ძეგლის პირველ ნაწილს.

5.

იოანე ბოლნელის თხზულებანი.

როდის ცხოვრობდა იოანე ბოლნელი.

(სქოლიო 5, გვ. 140, მნათობი № 9).

იოანე ბოლნელის ნაწარმოებნი დაცულია შემდეგს ძველ-ქართულ ხელნაწერებში:

- A = მარხალური მრავალთავი. გადაწერილია მე-10 საუკუნეში მესხეთში, პარხალში. (ხელნაწერი საქ. მუზ. A—95).
- B = ხაკავეკასიძოს მრავალთავი. გადაწერილია მე-10 საუკუნეში მესხეთში, საკავასიძოს თემში. (ხელნაწერი საქ. მუზ. A—144).
- C = ათონური მრავალთავი. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს ქართლში, შიომღვიმეში (მინაწერში მოიხსენება ნიკოლა მღვიმელი), ხოლო შემდეგ ვაუტანაით ათონზე და დაცულია ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (№ 80). ხელნაწერთ სიანს არ არის მე-10 საუკუნეზე გვიანდელი, რადგან ამ ერცელს კრებულში არ არის მოხვედრილი მოაწმიდელოთა სკოლის არც ერთი ტექსტი.

¹) ეს სია აღმოჩნდა ტომენდორფისეული პალიმფსტეგტების კოლექციაში, რომელიც ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავში არის დაცული.

D = სინური კრებული. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყვეს კახეთში (მინაწერში მოიხსენება ერისთავთ-ერისთავი გოდერძი), ხოლო შემდეგ გაუტანით სინას მთაზე და დაცულია სინას ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (№ 79 — პოლ. ა. ცაგარელის კატალოგით). ხელნაწერი სინას მე-10 საუკუნეზე გვიანდელია (ხელნაწერთა ასომთავრულით).

E = კრებული, ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა ^{სინას მთაზე} A-70. გადაწერილია მე-13 საუკუნეში.

დასახელებულ ხელნაწერებში შენახულია იოანე ბოლნელის 15 ნაწარმოები:

1. ფარისეველისა მისთვის, და დედაკაცისა მისთვის ცოდვილისა, რომელმან სცხო ნელსაცხებელი უფალსა. (ხელნაწერებში ACD).
2. ეკრძალენით ქველის-საქმესა თქვენსა, რათა არა ჰყოფდეთ წინაშე კაცთა, სახილველად მათა. (ხელნაწერებში ABCD).
3. ასთა მათ ცხოვართა იგავისათვის. (ხელნაწერებში ABCD).
4. ორთა მათ ძეთათვის. (ხელნაწერებში CD).
5. ფარისეველისა მისთვის და მეზურისა. (ხელნაწერებში ABCD).
6. კაცისა მისთვის, რომელი შევარდა ხელსა ავაზაკთასა და იწყლა. (ხელნაწერებში ABCD).
7. მდიდრისა და ღაზარსთვის. (ხელნაწერებში ABCD).
8. ღაზარსთვის, და დაჯდომისათვის უფლისა კაცსა ზედა, და შესღვისათვის იერუსალმად და შესხმისათვის ყრმათამასა. (ხელნაწერებში ACD).
9. ახალკურაკისათვის, თომამს ურწმუნოებისათვის და მერმე კუალად სარწმუნოებისათვის. (ხელნაწერებში BC).
10. საკითხავი მოციქულთაჲ. (ხელნაწერში B) ¹.
11. რაჲმს ორ ჩინან ფერი იყალა ზედა მათსა წასა თაბორსა. (ხელნაწერში C).
12. სატფურებისათვის წათა გუქუნიათასა, რომელსა ჰყოფენ იერუსალმსა. (ხელნაწერში C).
13. მღდელთმოდღარათვის. (ხელნაწერში A).
14. მარხეთა განწესებისათვის. (ხელნაწერში E).
15. ღვინის მუშეულთათვის და მომორთველთათვის. (ხელნაწერში E).



როდის ცხოვრობდა იოანე ბოლნელი?

პლატონ იოსელიანის მიერ თავის დროზე გამოთქმული იყო მოსაზრება (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე), თითქო იოანე ბოლნელი მოღვაწეობდა მე-10 — 11 საუკუნეთა საზღვარზე. ამ შეხედულებას მას შემდეგ უკრიტიკოდ იმეორებენ სხვებიც (მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე და სხვ.). მაგრამ ასეთი შეხედულება არაერთიარს რეალურს ავთენტურ საბუთს არ ემყარება და მოკლებულია საფუძველს.

ხელნაწერების გაცნობა და იოანე ბოლნელის ტექსტის შესწავლა ცხადჰყოფს, რომ იოანე ბოლნელი უფრო ადრინდელი ხანის მწერალია.

ჯერ ერთი, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იოანე ბოლნელის თხზულებანი დაცულია მთელ რიგ ხელნაწერებში, რომლებიც როგორც პალეო-

¹) ეს ახლად აღმოჩენილი ტექსტი დამზადებული გვაქვს გამოსაცემად.

ვგრაფიული ნიშნების მიხედვით, ისე შემადგენლობის მიხედვითაც, მე-10 საუკუნეზე გვიან დროს ვერ მიეკუთვნება¹⁾.

ხოლო რაც მთავარია, მე-10 საუკუნის ხელნაწერებში ვერაფერზე ბოლნელის თხზულებათა ტექსტი წარმოდგენილია ისეთის ვარიანტებით, ~~ქელნიწერიწა-~~ კითხვა მთელ რიგ შემთხვევებში ისე მნიშვნელოვნად არის დაცილებული ერთმანერთს, რომ იოანე ბოლნელის თხზულებანი სჩანს მრავალგზის გადაწერილია, ვიდრე ისინი მე-10 საუკუნის ამ ხელნაწერებში მოხვედებოდნენ.

ამის მიხედვით იოანე ბოლნელის ცხოვრების თარიღი ვერ გადმოსცილება მე-9 საუკუნეს, ყოველ შემთხვევაში მე-9 — 10 საუკუნეთა მიჯნას.

ეს რაც შეეხება ხელნაწერთა ჩვენებას თარიღის საკითხის გამო.

იოანე ბოლნელის ცხოვრების დროის უფრო ზუსტად განსაზღვრისათვის ცნობებს იძლევა ეპიგრაფიული მასალები, აღმოჩენილი ბოლნისში, სადაც მოღვაწეობდა იოანე ბოლნელი.

ბოლნისში გათხრების დროს აღმოჩენილ იქმნა იოანე ბოლნელის საფლავის ქვა, წარწერით.

ამას გარდა ბოლნისში მოიპოვება მეორე წარწერა, რომელიც პალეოგრაფიულის მხრით სავსებით იდენტიურია იოანე ბოლნელის საფლავის ქვის წარწერასთან და რომელშიაც მოიხსენება გურგენ ერისთავთა-ეროთისთავი²⁾.

რა დროს ეკუთვნის ეს წარწერები?

წარწერები უთარილოა. წარწერების გამომცემელი ლ. მუსხელიშვილი, ანგარიშს უწევდა რა იოანე ბოლნელის ცხოვრების დღემდე მიღებულს ქრონოლოგიას, ამ უთარილო წარწერებს მიაკუთვნებდა მე-10 საუკუნეს.

მაგრამ ეს წარწერები, როგორც ირკვევა, უფრო ადრინდელია.

1. ჯერ ერთი, იოანე ბოლნელის საფლავის ქვის წარწერაში აღსანიშნავია კერძოდ ერთი პალეოგრაფიული თავისებურება, „ვ“-ს თავშეკრული დამწერლობა, რაც უჩვენებს, რომ წარწერა მე-9 საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

2. მეორე წარწერაში, როგორც აღვნიშნეთ, მოიხსენება გურგენ ერისთავთა-ერისთავი. ვინ არის ეს პირი?

მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში თრიალეთი და ტაშირის ქვეყნები (და კერძოდ ბოლნისის მხარე) — შედიოდა მესხეთის ბაგრატიონთა სამფლობელოში.

¹⁾ ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას A-ხელნაწერზე, რომელიც მე-10 საუკუნის ტიპური ნუსხურით არის გადაწერილი, ასევე D-ხელნაწერზე, რომელიც ასომთავრულით არის ნაწერი. (ასომთავრულით მე-10 საუკუნის შემდეგ იწერებოდა საბარბისა და „სალმართო წერილის“ ტექსტები, ისიც არა ყოველთვის, — ასე ათონური ბიბლია 978 წლის უკვე ნუსხურით არის ნაწერი, — ხოლო სხვა ტექსტების გადაწერისას ასომთავრული მე-10 საუკუნის შემდეგ აღარ იყო ხმარებაში და ჩვეულებრივ ნუსხური იყო მიღებული). აღსანიშნავია ამასთან, რომ მრავალთავეებში, რომლებშიაც შეტანილია იოანე ბოლნელის თხზულებანი, არ მოიპოვება არც ერთი ტექსტი ათონელთა სკოლისა, რაც აგრეთვე გვიჩვენებს, რომ ეს მრავალთავეები მე-10 საუკუნეზე გვიანდელი არ არის.

²⁾ ეს წარწერები, ფოტოპირების დართვით, გამოცემული აქვს ლ. მუსხელიშვილს წერილში „ბოლნისი“ (აკად. ნ. მარჩის სახელობის ენისა, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შიამბე, III, ტფ. 1938 წ., გვ. 337 — 339 და 341 — 342).

876 — 891 წლების მანძილზე, მესხეთის ბაგრატიონთა სახელში, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა მეტოქეობას სამ შტოს შორის, რომელიც წარმომადგენელი იყენენ: დავით კურაპალატი (ბაგრატის ძე), ნასრ ერისთავ-ერისთავი (გვარამის ძე)¹, და გურგენ ერისთავ-ერისთავი (ადარნასეძის ძე)². თრიალეთისა და ტაშირის ქვეყნები უპირატესად მოქცეული იყო ნასრის გავლენის სფეროში. მაგრამ ამასთან გურგენ ერისთავ-ერისთავი, როგორც ირკვევა, ნასრის თანამფლობელი ყოფილა ამ პროვინციებში. ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისაჲ“-ში აღნიშნულია, რომ როდესაც დავით კურაპალატსა და ნასრს შორის სწარმოებდა ბრძოლა თრიალეთის პროვინციის გამო, და საერთოდ ქართლში უპირატესობის მოპოვებისათვის, დავითის საწინააღმდეგო კოალიციაში ერთად მოქმედებდნენ „ნასრ, ბიძის-ძე ამა დავით კურაპალატისა და გურგენ“³). ამას ადგილი ჰქონდა 876 — 881 წლებში.

შემდგომი ისტორია ამ მეტოქეობისა ჩვენთვის ამ-ჟამად საინტერესო არ არის და ამაზე აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ზემოთ-დასახელებული წარწერა, რომელშიაც მოიხსენება გურგენ ერისთავ-ერისთავი, სჩანს ამოჭრილია მე-9 საუკუნის 70-იან წლებში, 881 წლამდე, რომ წარწერა არაა უგვიანესი 881 წლისა, ეს სჩანს იმის მიხედვით, რომ გურგენს აქ მიემართება ტიტული „ერისთავ-ერისთავისა“ (ხოლო 881 წელს გურგენმა უკვე მიიღო ტიტული „კურაპალატისა“. გურგენ კურაპალატად იყო 881 — 891 წლებში და დაიღუპა ბრძოლაში 891 წელს).

როგორც ვხედავთ, ამ ეპიგრაფიული ძეგლის თარიღი უდგება იოანე ბოლნელის ცხოვრების იმ თარიღს, რომელიც ჩვენ ზოგადად დავადგინეთ ხელნაწერთა ჩვენების საფუძველზე.

ამ-რიგად იოანე ბოლნელი, როგორ ირკვევა, მოღვაწეობდა მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბოლნისის მხარე მესხეთის ბაგრატიონთა სამფლობელოში შედიოდა. (შემდგომი ისტორია ამ მხარისა, როგორც ცნობილია, ასეთი იყო: მე-9 საუკუნის დასასრულში მესხეთის ბაგრატიონები ჰკარგავენ ტაშირის ქვეყნებს, და მას შემდეგ, მე-10 — 11 საუკუნეებში ეს მხარე სომხების გავლენის ზონაში მოექცა. ამ დროს ბოლნისი, საფიქრებელია, უკვე აღარ წარმოადგენდა ქართული კულტურის ისეთს მნიშვნელოვანს ცენტრს, როგორც იოანე ბოლნელის დროს ყოფილა).

რაკი ირკვევა, რომ იოანე ბოლნელი მოღვაწეობდა მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში, სწორედ იმ ხანაში, როდესაც ბოლნისის მხარე მესხეთთან იყო დაცვირებული, ვასაგები ხდება ის დიდი პოპულარობა, რომელიც მოუპოვებია იოანე ბოლნელს კერძოდ მესხეთში. იოანე ბოლნელის ქადაგებანი ვრცელდება მესხეთში, მისი თხზულებანი შეაქვთ მესხეთში შედგენილს „მრავალთავებში“⁴. (იოანე ბოლნელის პოპულარობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ იოანე ბოლნელის თხზულებანი შეუტანიათ „მრავალთავებში“ ნაცვლად

¹) ნასრ, შემკვიდრე გვარამისა, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, მამის მოხუცებულობის დროს, ხდება ფაქტიური მფლობელი და აქტიურ პოლიტიკას აწარმოებს (იხ. „მატიანე ქართლისაჲ“ და სუმბატ დავითის-ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“).

²) იხ. ქართლის-ცხოვრება გვ. 224 და შენიშვნა 6 (ე. თ.-ს გამოცემა).

იოანე ოქროპირის თხზულებათა; „მრავალთაჲსი“ ერთ-ერთ განყოფილებაში, სადაც წინაჲდ ოქროპირის ტექსტებს ათავსებდნენ, ოქროპირის მაგიერ მოათავსებულია იოანე ბოლნელის თხზულებანი).

ქართული
მწერლობის

6.

**ეპიური მოთხრობა ფარსმან ქველის შესახებ
ლეონტი მროველის თხზულებაში.**

(სქოლიო 6, გვ. 204).

ლეონტი მროველის ეპიური მოთხრობა ფარსმან ქველის შესახებ განსაკუთრებულს ინტერესს წარმოადგენს იმ მხრივ, რომ იგი შეიცავს გადანაშთს უძველესი ხანის ქართული ფოლკლორული საისტორიო ეპოსიდან, რომელიც შექმნილა ძველი იბერიის განთქმული მეფის ფარსმან I-ის შესახებ, რომელიც მეფობდა პირველ საუკუნეში (30-იანი — 60-იანი წლები), და რომლის დროსაც იბერია წარმატებით უწყევდა მეტოქეობას ირანის იმპერიას.¹

ფარსმანის ეპოსს, როგორც ეს სჩანს თვით ლეონტი მროველის სიტყვებიდან, მოუთხოვრებდნენ სახალხო რაფსოდები, „მგოსანნი“.

ბევრნაირად საგულისხმოა შედარება ლეონტი მროველის ეპიური მოთხრობისა ფარსმან ქველის შესახებ, და რომელიც ისტორიკოსის ტაციტის მოთხრობისა ფარსმან I-ის შესახებ.

ამ შედარებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ძველ-ქართულს ხალხურს საისტორიო ეპოსში, რომელიც გამოუყენებია ლეონტი მროველს, საკმაო სისრულითა და სინამდვილით ყოფილა ასახული იბერიის ძველი ნაციონალური გმირის ფარსმანის სახე.

ეპიური მოთხრობა ლეონტი მროველისა ხედება ისტორიკოსის მოთხრობას არა მხოლოდ ზოგადი სურათის გადმოცემისას, არამედ ზოგჯერ დეტალებშიაც კი.

ასე, ტაციტი მოგვითხრობს, რომ როდესაც იბერიისა და მოკავშირეთა ჯარი ფარსმანის მოთავეობით შეხვდა პართეველთა (ირანელთა) ჯარს გადამწყვეტს ბრძოლაში, რომელი ბრძოლაც იბერიელთა გამარჯვებით დასრულდა, — ფარსმანმა ომის დაწყებისას სიტყვით მიმართა იბერიელთა ლაშქარს. „ფარსმანი, — გადმოგვცემს ტაციტი, — მიუთითებდა თავისიანებს იმაზე, რომ ისინი (იბერიელნი) არასოდეს არ ყოფილან პართეველთა ბატონობს ქვეშ; რომ რაც უფრო მეტი იქნება მათი (იბერიელთა) გულმოდგინება, მით უფრო მეტს დიდებას მოიპოვებენ ისინი გამარჯვების შემთხვევაში; ხოლო მით უფრო მეტი შერცხვენა იქნება, და ზიფათშიაც ჩავარდებიან, თუკი ზურგს უჩვენებენ მტერს. ამასთან ფარსმანმა, მიუთითა რა თავის ლაშქარის მრისხანე სიმწყობრეზე, და ამავე დროს მიდიელთა (ირანელთა) ჯარზე—რომელიც ოქრომკედლით ნაჭარვ ტანისამოსით ბრწყინავდა, წარმოსთქვა: „აქ ვატყავებია, იქ კი დავლა!“

¹ აღვნიშნავთ ამასთან, რომ ფარსმან ქველი ქართული მატანეებისა ქრონოლოგიურად თუშცა უდგება ფარსმან II-ის (რომელიც კლასიკურ წყაროებში მკორე საუკუნის პირველ ნახევარში მოიხსენება), მაგრამ კერძოდ ჩვენი ავტორის ლეონტი მროველის თხზულებაში, როგორც ეს დასტურდება მოთხრობის ანალიზიდან, ფარსმან ქველი იდენტაფიკურებულია ფარსმან I-თან, ფარსმან ქველზე გადატანილია უმთავრესად ის თქმულებანი, რომელიც შექმნილა ფარსმან I-ის სახელის გარშემო.

ასევე ლეონტი მროველის მოთხრობის მიხედვითაც, როდესაც ქართველთა და მოკავშირეთა ჯარი შეხედებინან ირანელთა ჯარს გადამწყვეტს ბრძოლაში, ფარსმან, ვიდრე ბრძოლა გაიშლებოდეს, დასცემს მარტობრძოლვამს, ეწარსთა ბუმბერაზს და მიმართავს ქართველთა ლაშქარს: „მიიქცა სანისა შისისა კერძო (ფარსმან ქველი) და ჰრქვა: „აჰა, ლომნო მძვინვარენო, ცხოვარნი დასეტყულნი!“

ამის შემდეგ იმართება გადამწყვეტი ბრძოლა, რაც ირანელთა დამარცხებით დასრულდება.

აქ ერთი-მეორეს ზედება ისტორიკოსის მოთხრობა (ტაციტისა) და ებიური თხრობა (ლეონტი მროველისა) არა მხოლოდ საერთო სურათის გადმოცემისას, არამედ თვით იმ სიტყვებშიაც კი, რომლითაც ფარსმან მიმართავს თავის ჯარს (ტაციტით: „აქ ვაჟაკებია, იქ კი დაეღა!“ ებოსით: „აჰა, ლომნო მძვინვარენო, ცხოვარნი დასეტყულნი!“).

რასაკვირველია სრულებით გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ ლეონტი მროველი იცნობდა ტაციტის ტექსტს. (ამ ეპოქაში ტაციტი არ იყო ცნობილი არათუ საქართველოში, არამედ ბიზანტიაშიც კი) ¹.

ამის გამო შეხვედრა ძველი რომაელი ისტორიკოსის მოთხრობისა და ლეონტი მროველის ებიური თხრობისა (შეხვედრა თუმცა ზოგადი, მაგრამ ბევრნაირად ნიშანდობლივი) იმისი მაჩვენებელია, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილი თქმულება ფარსმან ქველის შესახებ არაა შვიგნობრულად შეთხზული, არამედ ძირითად ხაზებში სწანს მართლაც ემყარება ხალხურ საისტორიო ებოსს ფარსმანის შესახებ, რომელშიაც ამ ძველი ნაციონალური გმირის სახე საკმაო სისრულითა და სინამდვილით ყოფილა ასახული. ლეონტი მროველის მხრით, როგორცა სწანს არ არის ლიტონი განცხადება, როდესაც იგი სწერს, რომ „ყოველთა შინა ქალაქებთა და დაბნებთა დასხდინან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი, და იხსენებდინან სიქველესა და სიმხნესა, და სიშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა...“ ძველი ფოლკლორული საისტორიო ებოსი ფარსმანის შესახებ, რომელსაც მოუთხრობდნენ მგოსანნი, სწანს მართლაც არსებულა, და იგი გამოუყენებია ლეონტი მროველს, როდესაც მან თავის თხზულებაში ფარსმან ქველის სახე დაგვიხატა.



დამატებით, აღენიშნავთ აქ კიდევ ერთს ისტორიულ რეალას, რომელიც შემოუნახავს ებოსს ფარსმან ქველის შესახებ.

ისტორიულს ფარსმან I-ს, იბერიის მეფეს პირველი საუკუნისას, როგორც ეს კარგად ცნობილია ტაციტის ანალებიდან, ჰყავდა ვაჟი, რომელსა ერქვა: რადამისი (Radamist, * Rhadamis). ხოლო ებოსითაც ფარსმან ქველს აგრეთვე ჰყავდა ვაჟი, რომელსაც ერქვა: ლადამი.

მაგრამ სახელების შეხვედრა კიდევ უფრო შორს მიდის. ებოსის გადმოცემით ლადამის დედასა და შვილს მსგავსი სახელები ერქვა: დედას „ლადანა“ და შვილს „ლადამი“.

¹) ლეონტი მროველი რომ არ იცნობდა ტაციტს, ეს იმდენად უდავო დებულებაა, რომ ამაზე სიტყვის გაერკალება ზედმეტად მიგვიანია. (ასადა სხვაგან ლეონტი მროველის თხზულებაში არა ვგაქვს ტაციტის გავლენის რაიმე კვალი, ხოლო ლეონტი მროველს თუკი სცნობდა ტაციტის თხზულება, იგი ცხადია გამოუყენებელს არ დასტოვებდა იმ უზეს ცნობებს, რაც ტაციტს მოეპოვება).

ასევე სახელი ისტორიული რაჭდამისისა სჩანს აგრეთვე დედის სახელთან არის დაკავშირებული: დედის სახელი — „რკადამი“, შეიღისა „რკადამ-ისი“.

თავდადასავალი ისტორიული რაჭდამისისა და ეპოსის ლადამისა — ~~განმარტებული~~ მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია ჯერ მარტო თვით ეს ფაქტი, რომ ~~ფაქტურა~~ ეპოსის სინამდვილეთ დაუცავს ისტორიულ პირთა სახელები. ამ-რიგად ამ შემთხვევაშიაც ჩვენ გვაქვს დადასტურება იმისა, რომ ფარსმანის ფოლკლორულ ეპოსში ასახული არის ისტორიული ფარსმან I იბერიელი.

7.

არსენი საფარელის თხზულების დათარიღებისათვის

(სქოლიო 7, გვ. 222).

როდის არის დაწერილი ძველ-ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი ძეგლი — „გ ა ნ ყ ო ფ ო ს ა თ ვ ი ს ქ ა რ თ ლ ი ს ა და ს ო მ ხ ი თ ი ს ა“, რომელიც ეკუთვნის მწერალს არსენი საფარელს (კათოლიკოსს), — ეს კითხვა გამორკვეულად ვერ ჩაითვლება.

ამ ნაწარმოების თარიღი დაზუსტებას საჭიროებს, რადგან ამ ძეგლის თარიღის საკითხთან ნაწილობრივ დაკავშირებულია ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთ სხვა ნაწარმოებთა დათარიღებაც.

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართულს წყაროებში მე-10 საუკუნემდე მოიხსენება ორი კათოლიკოსი, რომელნიც არსენის სახელს ატარებდნენ. ორივე ისინი მწერლები იყვნენ.

არსენი, რომელსაც მიემართება სახელწოდება „დიდი“, და რომელიც იყო მოწაფე გრიგოლ ხანძთელისა, კათოლიკოსად იყო მე-9 საუკუნეში (დაახლ. 845 — 877 წ. წ.). იგი არის ავტორი თხზულებისა, რომელიც ატარებს სათაურს:

„შესხმა და მოსაკენებელი წამებისა... აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს, თქმული არსენი დიდი, ქართლისა კათოლიკოსისა“.

მეორე არსენი კათოლიკოსად იყო მე-10 საუკუნეში (დაახლ. 955 — 980 წ. წ.). იგი არის ავტორი თხზულებისა, რომელიც შემდეგს სათაურს ატარებს:

„ცხოვრება და მოქალაქობა იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა, რომელთა ვანანათლეს ქუეყანა ესე ჩრდილოეთისა, ზოლო აღწერა არსენი ქართლისა კათოლიკოსმან, სარგებელად რომელნი ისმენენ“.

ზოლო ის ძეგლი, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ატარებს ასეთს სათაურს:

„თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა არსენისა, მცხეთელ კათოლიკოსისა, რომელი იყო სანახებთაგან სამცხისთა—საფარით, განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“.

ვინ იყო ეს მესამე არსენი და როდის ცხოვრობდა იგი? არის იგი ერთ-ერთი არსენი, რომელიც ზემოთ დავასახელეთ?

აკად. ივ. ჯავახიშვილის და პროფ. ლ. მელიქიშვილის მიერ (1921 წ.) გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ არსენი საფარელი, ავტორი ამ ძეგლისა, არის იგივე არსენი დიდი, ე. ი. მე-9 საუკუნის მწერალი.

მას შემდეგ პროფ. ს. კაკაბაძემ¹ გამოსთქვა მოსაზრება, რომ არსენი საფარელი მე-7 საუკუნის მწერალია, და რომ მისი თხზულება დაწერილია მე-7 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

პროფ. ს. კაკაბაძის დასკვნა არ არის მისაღები. არსენი საფარელის თხზულება ცხადია არ შეიძლება დაწერილი იყვეს მე-7 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, რადგან თხზულებაში მოხსენებულია მე-8 საუკუნის ისტორიული ამბები და მოღვაწენი: მანასკერტის კრება, რომელიც 726 წელს შესდგა, და სომეხთა კათოლიკოზი იოანე ოძუნელი (718 — 729 წწ.).

რაც შეეხება აკად. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. ლ. მელიქსეთბეგის მიერ გამოთქმულ შეხედულებას, რომ არსენი საფარელი არის იგივე არსენი დიდი, ეს შეხედულება ძირითადად ორ მოსაზრებას ემყარება:

1. წყაროებში არსენი დიდის უწინარეს არ არის მოხსენებული სხვა კათოლიკოზი არსენის სახელწოდებით. მაგრამ აქ საკუროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეს მოსაზრება ვადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენებად ვერ ჩაითვლება. საქმე ის არის, რომ ქართლის კათოლიკოზთა ცოტად თუ ბევრად სრული და ზუსტი სია ჩვენ გვაქვს მხოლოდ 736 წლის ახლო დროიდან (კათოლიკოზ მამამას ხანიდან). ხოლო ამაზე ადრინდელი სიები ქართლის კათოლიკოზთა, როგორც ეს გამორკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში, ძალზე ნაკლებიანია, აშკარა ხარვეზების შემცველი.

2. მეორე მოსაზრება, რომელიც მოჰყავთ ამ დებულების შესამაგრებლად, რომ არსენი საფარელი და არსენი დიდი ერთი და იგივე პირია, არის ის, რომ როგორც არსენი საფარელი, ისე არსენი დიდი მესხეთიდან იყვნენ. მაგრამ ეს გარემოებაც ცხადია ვერ ჩაითვლება მათი იგივეობის დამამტკიცებელ საბუთად. მესხეთიდან არა ერთი და არა ორი, არამედ მრავალნი კათოლიკოზნი იყვნენ. ხოლო რაც მთავარია, წყაროების მიხედვით უფრო ის არის საფიქრებელი, რომ არსენი საფარელი და არსენი დიდი სხვადასხვა პირნი იყვნენ.

სახელწოდება ჩვენი მწერლისა — საფარელი — აღნიშნავს ან იმას, რომ არსენი საფარიდან იყო წარმოშობით, ან იმას, რომ არსენი დაკავშირებული იყო საფარასთან მოღვაწეობით. (ეს უკანასკნელი უფროა საფიქრებელი, რადგან საფარა მონასტერს წარმოადგენდა. ამას ემთხვევა ისიც, რომ სასულიერო პირნი სახელწოდებას ღებულობდნენ მათი მოღვაწეობის ადგილის მიხედვით).

ხოლო რაც შეეხება არსენი დიდს, არსაიდან არა სჩანს, რომ იგი ან საფარიდან ყოფილიყვეს წარმოშობით, ან საფარში ემოღვაწა. უფრო საფიქრებელია, რომ არსენი დიდი წარმოშობით იყო არა საფარიდან, არამედ ვალედან²). ხოლო ვიდრე კათოლიკოზად აირჩეოდნენ, არსენი დიდი, მოწაფე გრიგოლ ხანძთელისა, აღიზარდა და მოღვაწეობდა არა საფარში, არამედ ხანძთაში. ამის მიხედვით მას უნდა რქმეოდა ხანძთელი და არა საფარელი.

¹) მოხსენებაში, რომელიც წაითხული იყო საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 1923 წელს.

²) იხ. ვალეს ძეგლის წარწერა, რომელშიაც მოხსენება კ რ ა ე ა მ. (წარწერა გამოცემულია ე. თ. აბ, III, გვ. 71 — 72). კ რ ა ე ა მ ერქვა არსენი დიდის დედის (იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. კე). რომ ვალეს ძეგლში მოხსენებული კრავაა სჩანს არის შეუღ-

ამ-რიგად მოსაზრება, თითქო არსენი საფარელი და არსენი დიდი/ერთი და იგივე პირი იყვეს, არ არის დადასტურებული.

მიემართოთ ამის შემდეგ თარიღის გამოსარკვევად თვეთუ, არსენი საფარელის თხზულებების ტექსტს.

1. არსენი საფარელის საისტორიო თხზულების თარიღის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგს ფაქტს: ამ ძეგლში წარმოდგენილი საისტორიო მიმოხილვა არ სცილდება მე-8 საუკუნის 20-იან წლებს. (ყველაზე გვიანდელი ისტორიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული აქვს ავტორს, და რომელზედაც იგი დაწვრილებით ჩერდება, ეს არის მანასკერტის კრება, რომელიც 726 წელს შესდგა). აღსანიშნავია ამასთან, რომ ავტორი რამდენიმეგზის სხვადასხვა ხაზითა და თვალსაზრისით იძლევა ისტორიულ მოვლენათა მიმოხილვას და ყველა შემთხვევაში მას მიმოხილვა მოჰყავს ამ სათარიღო მიჯნამდე: მე-7 საუკუნე — მე-8 საუკუნის 20-იანი წლები.

თუკი არსენი საფარელი იყვეს იგივე არსენი დიდი, ე. ი. მე-9 საუკუნის მწერალი, იგი ცხადია უგულებელს არ დასტოვებდა შემდეგი ეპოქის ამბებს. ამას მოითხოვდა ავტორის მიერ დასახული გეგმა და მისი ნაწარმოების მიზანდასახულობა. ეს შემდეგი ეპოქის ამბები (განსაკუთრებით კი აბუყურას პაექრობის ამბავი) უშუალო ინტერესის საგანი უნდა გამხდარიყო ავტორისათვის, მით უფრო რომ ეს ამბები უფრო აბლო დროს ეკუთვნოდა და უფრო აქტუალური იყო.

2. ძეგლის თარიღისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ფაქტსაც, რომ ამ ნაწარმოებში არ არის გამოყენებული არც ერთი ლიტერატურული წყარო, რომელიც ეკუთვნოდას მე-7 საუკუნის დასასრულსა და მე-8 საუკუნის დასაწყისზე უფრო გვიან დროს¹⁾.

ლე მირიანისა და დედა არსენი დიდისა, ამას გვაფიქრებინებს როგორც შეხვედრა ეპოქისა, ისე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში აღწერილი მარშრუტი, რომლის მიხედვითაც მირიანის (არსენის მამის) სამკვიდრო საფარადთა სწორედ ვაღეს სექტორში. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში აღწერილია ასეთი მარშრუტი: კლარჯეთი, აქედან გზა [ყველის-ციხის გადასავალი] სამცხეში, დაბაზე — სადაც მკვიდრობდა მირიან, ხოლო მირიანის სამკვიდროდან გზა ვადადიოდა დასავლეთ საქართველოში [აფხაზთა მეფის რეზიდენციაში ქუთაისში], ცხადია ზეკარის უღელტეხილით. (შეიძლება ამას აგრეთვე დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში აღწერილი მარშრუტი სამცხიდან დასავლეთ საქართველოში, ამავე ზეკარის უღელტეხილით). ამის მიხედვით მირიანის (არსენ დიდის მამის) სამკვიდრო ყოფილა ვაღეს სექტორი, რომელზედაც ვაუღელით კლარჯეთიდან ზეკარის უღელტეხილით დასავლეთ საქართველოში მიმავალ მგზავრებს, და სადაც დაეუღლია ძეგლი კრავასა. ამ-რიგად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში აღწერილი მარშრუტი უდგება ვაღეს და არა საფარას.

¹⁾ ძირითადი წყარო, ისავე კათოლიკოსის სახელით წარწერილი ტექსტი, არაა უგვიანესი მე-7 საუკუნის დასასრულისა ან მე-8 საუკუნის დასაწყისისა. დანარჩენი წყაროებიც ამ თარიღზე გვიანდელი არაა.

(აღნიშნავთ ამასთან, რომ არსენის თხზულებაში არის მითითება მოსე ხორენელზე: „თვთ მოსე ქარდულმან მიუთხრა წარწყმედა მათი და არცა მისი ისმინეს“. აქ იველის-ხმება მოსე ხორენელის ისტორიის ეპილოგი: „ტირილი აღზოცისათვის სომეხთა მეფობისა...“ ამ-რიგად არსენის თხზულებაში დაცულია უძველესი ლიტერატურული ცნობა მოსე ხორენელის სახელით წარწერილი ნაწარმოების შესახებ. არსენის ეს დიდად საყურადღებო უწყება ანგარიშგასაწევეია ძველი სომხური მწერლობის ამ უბრწყინველესი ძეგლის საცილობელი თარიღის დაზუსტებისათვის).

3. არქაულ ხანას მიუთითებს აგრეთვე ქართული ქრისტიანობის წარმოშობის გაშუქება არსენი საფარელის თხზულებაში. აქ განმეორებულია ის კონცეპცია, რომელიც მიღებული იყო მე-7 საუკუნეში, და რაც დამოწმებულია კირონ ქართლის კათოლიკოსისა და სომეხ მოღვაწეთა ცნობილ პაპობაში (მე-7 საუკუნის დასაწყისისა). ეს კონცეპცია, რომელიც შემუშავდა მონოფიზიტობის ბატონობის ხანაში, ქართული და სომხური ეკლესიების ერთობის დროს, შემდეგ უარყოფილ იქმნა ქართული საეკლესიო წრეების მიერ, და ძლიერ საეჭვოა, რომ ამ კონცეპციას გამოძახილი ჰქონოდა საქართველოში მე-8 საუკუნის პირველ ნახევარზე უფრო გვიან დროს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში ისახება ტენდენცია ამ კონცეპციის სწინააღმდეგოდ (ამას ცხად-ჰყოფს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთან, სადაც განახლებულია პირველადი ტრადიცია ნინოს შესახებ, გრიგოლის სახელთან დაუკავშირებლად). ხოლო მე-8 საუკუნეში დაიწერა ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება, რომელმაც კანონიზაცია მიიღო, და რომლის შემდეგ მონოფიზიტობის დროიდან შერჩენილი კონცეპცია საბოლოოდ იქმნა უარყოფილი. არსენი საფარელის თხზულებაში სწინა დაწერილია უფრო ადრე, ვიდრე გამოქვეყნდებოდა ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება; ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება კი გარკვევით თარიღდება მე-8 საუკუნის შუა წლებით. (იხ. ამის შესახებ ქვემოთ, სქოლიო 9, გვ. 269 — 271).

4. რომ არსენი საფარელი და არსენი დიდი სხვადასხვა პირია, ამის მაჩვენებელია აგრეთვე ისიც, რომ არსენი საფარელის თხზულება (ვანყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა) და არსენი დიდის თხზულება (აბიბოს ნეკრესელის მოსახსენებელი) — გარკვეულად სხვადასხვა ლიტერატურულ სტილს წარმოგიდგენს.

5. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ მე-9 საუკუნის არსენის მიემართება ზედწოდება: „დიდი“. (ასე უწოდებს მას გიორგი მერჩული; ამავე ზედწოდებით არის იგი დასახელებული აბიბოს ნეკრესელის მოსახსენებელის ზედწერილშიაც. როგორც სწინა ეს ზედწოდება „დიდი“ საყოველთაოდ ყოფილა განმტკიცებული და არსენის სახელს ჩვეულებრივ უმატებდნენ ხოლმე ამ ეპითეტს „დიდი“ — გასაჩრევად სხვა თანამოსახელე კათოლიკოსთაგან). ხოლო არსენი საფარელს არ ეწოდება დიდი, არამედ მარტივად: „არსენი — მცხეთელი კათოლიკოსი“.

6. თავის-თავად საინტერესოა თვით ეს ტიტულატურაც არსენი საფარელისა: „მცხეთელი კათოლიკოსი“, რაც აგრეთვე არქაულ ხანაზე მიუთითებს. მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეკლესიის მეთაურის მიმართ საბოლოოდ განმტკიცდა (წინადაც არსებული) ტიტული „ქართლისა კათოლიკოსი“. ხოლო ეს იშვიათი ფორმა „მცხეთელი კათოლიკოსი“ სწინა წარმოადგენს ტიტულატურის ერთერთ ძველ სახეობას.

ასეთია, მოკლედ, ის მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსენი საფარელი და არსენი დიდი სხვადასხვა პირია, და რომ არსენი საფარელის სამწერლო მოღვაწეობა მე-8 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის.

არსენი საფარელის თხზულება სწინა დაწერილია 726 წლის ახლო ხანებში, რა სათარიღო მიჯნაზედაც სწყდება მის თხზულებაში წარმოდგენილი საისტორიო მიმობილება.

უფრო მიახლოებით, არსენის კათოლიკოზობის და თხზულების დაწერის დრო უნდა განისაზღვროს 726 — 736 წლებით.

როგორც ცნობილია, ჩვენ დრომდე მოღწეულა სამი სია კათოლიკოზობის შესახებ, ვერც ერთი ორი სია, რომელიც მოიცავს ხანას მე-7 — 8 საუკუნეებში, როგორც ეს გამოჩევილია სპეციალურ ლიტერატურაში, ძალზე ნაკლებეანია, მრავალი ხარვეზების შემცველი. ცოტად თუ ბევრად სრული და ზუსტი სია კათოლიკოზთა ჩვენ გვაქვს მხოლოდ 736 წლიდან (კათოლიკოზ მამას დროიდან). ეს არის ეგვრეთწოდებული მესამე სია შატბერდული ხელნაწერისა. მოგვყავს ეს მესამე სია და მისი მიახლოებითი ქრონოლოგიაცაა:

1. მამა (ზედაზნელი) ¹	736 — 750 წ.
2. იოანე ²	750 — 760 წ.
3. გრიგოლ	} 760 — 780 წ.
4. კლემენტოს ³	
5. სარმეან ⁴	
6. თაღეულე	
7. სამოველ ⁵	780 — 790 წ.
8. კვრილე	} 790 — 835 წ.
9. გრიგოლ	
10. სამოველ	
11. გეორგი	
12. გაბრიელ	
13. ილარიონ (წყაროასთაველი) ⁶	835 — 845 წ.
14. არსენი (დიდი) ⁷	845 — 877 წ.
15. ევსუქი	} 877 — 951 წ.
16. ბასილი	
17. მიქაელ ⁸	
18. დავით	951 — 955 წ.
19. არსენი ⁹	955 — 980 წ.

¹) მამა კათოლიკოზად იყო 14 წელი (იხ. ქრონოლოგიური სია ზედაზნის მამასახლისთა, ქრონიკები, I, 74). მამა მოიხსენება აგრეთვე „დიდ კანონ“-ში.

²) იოანე კათოლიკოზად დადგენილ იქნა თეოფილაქტე ანტიოქიის პატრიარქის დროს (744 — 751 წ.). მას შემდეგ იგი მოიხსენება 758 — 760 წლებში (ამ დროს აქრობა მან მცხეთაში ტავრიდის გუთების ეპისკოპოსი იოანე). იოანე კათოლიკოზი გამოჩენილი მოღვაწე ყოფილა, და როგორც წყაროებიდან ირკვევა, არსებულა ცალკე წიგნად აღწერილი იოანეს ბიოგრაფია, რომელიც მოხსენებული აქვს მწერალს ბასილი ვარეს-ძეს (იხ. ზემოთ, გვ. 254).

³) მოიხსენება იოანე ზედაზნელის ცხორებაში (იხ. არსენისეული ტექსტი ცხორებისა, მე-10 საუკუნისა, ხელნაწერი საქ. მუზეუმისა A—199, გვ. 40).

⁴) მოიხსენება „დიდ კანონ“-ში და ბასილი ვარეს-ძის წერილში. არსებულა სარმეანის ბიოგრაფია (იხ. ზემოთ, გვ. 254 — 255).

⁵) მოიხსენება 786 წელს (იხ. იოანე საბანის-ძე, ბიოგრაფია ჰუმბასი).

⁶) მოიხსენება გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში (გვ. ლა).

⁷) არსენი დიდი კათოლიკოზად იყო 27 წელი (იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხორება, გვ. ლა).

⁸) მოიხსენება გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში 950 წელს (გვ. პ).

⁹) ამ უკანასკნელი არსენის შესახებ ორი სათარიღო ჩვენება მოიპოვება: ა) არსენის აღწერა იოანე ზედაზნელისა და მოწადეთა ცხორება იოანეს გარდაცვალებიდან 404 წლის შემდეგ (ასეა ეს თარიღი წარმოდგენილი ხელნაწერთა უმრავლესობაში). ამ თარიღის შეფარდებიდან ზედაზნის მამასახლისთა ქრონოლოგიურ სისათამ შესაძლო ხდება იმისი დადგენა, რომ არსენის აღწერა იოანე ზედაზნელის ცხორება მე-10 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს (დაახლოებით 958 წელს). ბ) არსენი ცოცხალი ყოფილა მე-10 საუკუნის 70-იან წლებშიაც, რა დროსაც არის გადაწერილი შატბერდის კრებული.

ამ მესამე სიის წინ ჩვენ გვაქვს, როგორც აღენიშნეთ, ხარვეზი. ამის მიუხედავად არსენის კათოლიკოზობა სავარაუდოდ არის დაახლოებით 726 — 736 წლების განმავლობაში (პირველი თარიღი — 726 წელი — აღნიშნავს დროს, რომელზედაც სრულდებოდა ვიქტორის ტახტზე ასვლა; მეორე თარიღი — 736 წელი — აღნიშნავს მამას კათოლიკოზობის დასაწყისს).

8.

**უძველესი მასშტაბი ნინოს მოღვაწეობის შესახებ
დაცული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში.**

(სქოლიო 8, გვ. 223).

მოგვყავს აქ ტექსტი უძველესი ექსცერპტისა ნინოს მოღვაწეობის შესახებ, რომელიც დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში, და რომელშიაც აღწერილია ნინოს მსვლელობა ქართლის მთიანეთში, კახეთსა და კუხეთში:

„წაივიდა და დადგა წობენს, და მოუწოდა მთელთა: ქართალელთა, და ფხოველთა, და წილქანელთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტიანისი. ხოლო მათ განუყარეს თავი. და ერისთავმან მცირედ წარქმართა მახლი, და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალევად.“

„და გარდავიდა ერწულ, და დადგა ქალეთს, დაბასა ედემს, და ნათელსა ერწულთიანელთა.“

„და ყუარელთა ესმა ესე, და გარდაკრბეს თოშეთი, რომელნი უკანამსკნელ იპონეს ორადტ მეფემან, მოიყვანა და მონათლნა.“

„და ნინო შთავიდა კხოეთი, და დადგა კაწარეთს, და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერთიერთ მათით.“

„და გარდავიდა კახეთი, და დადგა ქცელ-დაბას, და მოიყვანა კახნი მთავარნი, ამათვე მეფეთა ნათესავნი, და მონათლნა.“

„და დასწულდა და წარმოემართა მცხეთად. და ვითარცა მოიწია კხოეთას, დაბასა რომელსა პრქვან ბოღინი, ვერღარა ეძლო სლვად... და შეკვედრა სული თვის კელთა ღმრთისათა...“

„მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი მცხეთაჲ და უჯარმაჲ და ყოველი ქართლი სიკუდილისა მისისათვის, და მოვიდეს და დაპარბეს ძლევით-შემოსილი გუამი მისი ადვილსავე ზედა ბუდს, დაბასა კხოეთისაჲ.“

ტექსტი აღბეჭდილია დოკუმენტალური ხასიათით, როგორც აღენიშნავედით, იგი სჩანს მომდინარეობს უძველესი ხანის მე-4 — 5 საუკუნის ქართული საისტორიო ქრონიკიდან.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში, როგორც ცნობილია, დასახელებულია ერთი ძველი პირველწყარო: „მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ, გრიგოლ დიაკონისა მიერ აღწერილი“. გრიგოლ დიაკონის ამ ძველი თხზულებიდან ამოულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს ერთი ეპიზოდი — მცხეთის ჯვარის აღმართვის შესახებ. ხოლო საიდან მომდინარეობს აქ მოყვანილი ექსცერპტი ნინოს მსვლელობის შესახებ ქართლის მთიანეთში, კახეთსა და კუხეთში, გამოურკვეველი რჩება. არაა გამორიცხული, რომ ეს ექსცერპტიც იმავე გრიგოლ დიაკონის მატიანიდან იყოს ამოღებული (თუმცა ამის შესახებ უშუალო პირდაპირი ჩვენება არ მოიპოვება).

9.

ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრების თარიღი.

(სქოლიო 9, გვ. 229).



ვიდრე ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრების თარიღის განხილვას შევუდგებით, აქ საჭიროა რამდენიმე შენიშვნა ამ ძეგლის ორი დამატების შესახებ.

ფსევდო-ეპიგრაფიულ ნინოს ცხოვრებაში მოიპოვება ორი გვიანდელი დროის დამატება:

პირველი დამატება ატარებს შემდეგს ზეწერილს: „და იყო მათვე ეამთა შინა მირიან მეფისთა, რაჲჟამს მოინათლა სოჯი დედოფალი და მის თანა მთავარნი მრავალნი კელსა შინა ნინოჲსსა ბოდს შინა“.

მეორე დამატება ატარებს შემდეგს სათაურს: „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ მისი“.

რომ ეს ორი თავი შემდეგ არის ჩამატებული ფსევდო-ეპიგრაფიულ ნინოს ცხოვრებაში, ეს დასტურდება, ჯერ ერთი, შინაგანი ნიშნების მიხედვით, მათი შინაარსის განსხვავებული რეალიებიდან და თვით თხრობის განსხვავებული ხასიათიდან. ამას გარდა, ამ ორი თავის გვიანდელს წარმოშობას დოკუმენტალურად ადასტურებს ხელნაწერების ჩვენება: საქმე ის არის, რომ ეს ორი თავი არ ყოფილა შატბერდულ-ქელიშური ხელნაწერების არქტიპში. (პირველი დამატება არ მოიპოვება შატბერდულ ხელნაწერში, მეორე დამატება არ არის ქელიშურ ხელნაწერში).

ჩვენთვის ამ-ეჲმად ინტერესს წარმოადგენს მეორე დამატება: „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ მისი“.

ამ გვიანდელს დამატებაში ერთის მხრით, ხოლო ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრების ძირითად ტექსტში მეორეს მხრით, სრულებით სხვადასხვანაირად არის აღნიშნული კალენდარული ციკლი მცხეთის ჯვარის აღმართებისა და მასთან დაკავშირებულ დღესასწაულთა წრე. ეს კი იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ, თუ როდის არის შედგენილი ეს ორი ძეგლი.

ძირითად ტექსტში მცხეთის ჯვარის დღესასწაულთა კალენდარული წრე განსაზღვრულია უძრავი კალენდართ (25 მარტიდან — 7 მაისამდე), ხოლო გვიანდელს დამატებაში ეს კალენდარული წრე დაწესებულია მოძრავი კალენდართ (აღდგომის მესამე შაბათიდან — მარტიკილის შემდგომ ოთხშაბათამდე). სახელდობრ:

ძირითადი ტექსტი:

- | | |
|-----------------------------|----------|
| 1. ჯვარის ხის მოკვეთა | 25 მარტს |
| 2. ჯვარის შექმნა | 1 მაისს |
| 3. ჯვარის აღმართვა | 7 მაისს |
| 4. ჯვარის მეორედ გამოჩინება | — |

დამატებით:

- | | |
|---|---------------------------------------|
| } | აღდგომის მესამე შაბათს ¹ . |
| | აღდგომის მესამე კვირას ¹ . |
| | მარტიკილის შემდგომ ოთხშაბათს. |

¹) მოთხრობაში აღნიშნულია, რომ ჯვარის აღმართვა მოხდა „აღვსებისა ზატიკისა ზატიკისა“ (ე. ი. აღდგომის მესამე კვირას). ამასთან მოთხრობის მიმდინარეობიდან არკვევა, რომ ჯვარის ხის მოკვეთა და ჯვარის შექმნა მომხდარა ერთი დღით უწინარეს, ე. ი. „მე-სამესა ზატიკისა შაბათსა“ (აღდგომის მესამე შაბათს).

ირკვევა, რომ ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხორება შედგენილი ყოფილა იმ დროს, როდესაც ქართული ეკლესია დღესასწაულობდა მცხეთის ჯვარის ციკლს უძრავი კალენდარით (25 მარტიდან — 7 მაისამდე).

ხოლო შემდეგ ეს წესი შეცვლილა და დაუწესებიათ ქრისტიანულობა მცხეთის ჯვარის ციკლისა მოძრავი კალენდარით (აღდგომის შემდეგ შაბათიდან — მარტვილის შემდგომ ოთხშაბათამდე). ამის შემდეგ არის შედგენილი ზემოთ-დასახელებული დამატება. ამ დამატების ავტორს უკვე ალარკი ახსოვს, რომ ძველად ქართული ეკლესია დღესასწაულობდა მცხეთის ჯვარის ციკლს უძრავი კალენდარის მიხედვით, და ეს ახალი წესი, მოძრავი კალენდარით დღესასწაულობა, მას მიაჩნია დაწესებულად უძველეს ხანაში.

ამ-რიგად, თუკი ჩვენ გამოვარკვევთ, როდის მოხდა საკალენდარო ციკლების ეს შეცვლა, ამით ჩვენ მივიღებთ გარკვეულ სათარიღო მიჯნას, რომლის უგვიანეს არ არის შედგენილი ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხორება.

ხოლო ძველ-ქართული კალენდარული ტექსტების მიხედვით ამის დადგენა შესაძლებელი ხდება.

სახელდობრ ირკვევა, რომ მცხეთის ჯვარის დღესასწაულთა ციკლი გადაუტანიათ მოძრავი კალენდარის წრეზე იმ ხანაში, როდესაც ქართულმა ეკლესიამ შემოიღო ეგრეთწოდებული „დიდი კანონი“. ხოლო „დიდი კანონი“-ს შემოღება ეკუთვნის მე-8 საუკუნის მეორე ნახევარს (ხანას, როდესაც მოხდა საქართველოს ეკლესიის გამოყოფა ანტიოქიის პატრიარქატისაგან).

რომ მცხეთის ჯვარის კალენდარული ციკლი გადაუტანიათ უძრავი კალენდარიდან მოძრავ კალენდარზე სწორედ იმ ხანაში, როდესაც საქართველოში „დიდი კანონი“ იქმნა შემოღებული, ეს დასტურდება „დიდი კანონის“ ხელნაწერებიდან.

ასე, „დიდი კანონი“-ს ლატალურ ხელნაწერში, და აგრეთვე ოიანე-ზოსიმეს კალენდარში (რომელშიაც ქართული ხსენებანი შეტანილია „დიდი კანონი“-დან) დღესასწაულნი მცხეთის ჯვარისა უკვე აღნიშნულია მოძრავი კალენდარით: „კვრიაკესა მესამე ზატიკთა“ (ე. ი. აღდგომის მესამე კვირას) და „შემდგომად მარტვილისა დღესა ოთხშაბათისა“, „დიდი კანონი“-ს პარიზული ხელნაწერის განწესებაში იმავე მოძრავ კალენდართან არის დაცემ-შირებული აგრეთვე ნინოს ხსენება — „მესამესა ზატიკა შაბათისა“ (ე. ი. აღდგომის მესამე შაბათს).

ამ-რიგად სამივე თარიღი მოძრავი კალენდარისა დამოწმებულია „დიდი კანონი“-ს ხელნაწერებით.

ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხორება დაწერილი რომ არის უფრო ადრე, ვიდრე შემოღებულ იქნებოდა „დიდი კანონი“, ამას სხვა საკალენდარო ნიშნებიც ადასტურებს. (ასე, ნინოს ცხორებაში წლის დასაწყისი აღინიშნება არა იმ თარიღიდან, რაც „დიდი კანონი“-თ არის დადებული, არამედ აქ უფრო არქაული აღრიცხვა არის მიღებული).

ყოველივე ამის მიხედვით ჩვენ ვღებულობთ გარკვეულ სათარიღო ჩვენებას: ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხორება დაწერილი ყოფილა მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის უწინარეს, ხოლო დამატება მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ (რამდენადაც პირველი წინ უსწრებს „დიდი კანონს“, ხოლო მეორე „დიდი კანონს“ მისდევს).

ეს რაც შეეხება დროს, რომლის უგვიანეს არ არის დაწერილი ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება.

ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება არ არის დაწერილი მე-8 საუკუნის შუა წლების უადრეს შემთხვევაში. მარტო კალენდარულ ნიშნებზე შევიჩრდეთ, აღენიშნავთ, რომ ნინოს ფსევდო-ეპიგრაფიულ ცხოვრებაში მოხსენებულია დღესასწაული ფერისცვალებისა, რაც უჩვენებს რომ ძველი მე-8 საუკუნეზე ადრინდელი არ არის. (ამასთან ფსევდო-ეპიგრაფიულ ნინოს ცხოვრებაში არ მოიპოვება არავითარი გადანაშთი ძველ-ქართული წარმართული კალენდარისა, რაც აგრეთვე არ მოწმობს ამ ძველის სიძველეს) ¹⁾.

ასეთია ის რეალები, რომელთა მიხედვით ეს ძველი, ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრება, საკმაო მიზნოვებით თარიღდება მე-8 საუკუნის შუა წლებით.

ჩვენ აქ შევხებით, ისიც ზოგადად, მარტოოდენ საკალენდარო ხასიათის ნიშნებს, რაც ზუსტ დამათარიღებელ მაჩვენებლებს იძლევა. ფსევდო-ეპიგრაფიული ნინოს ცხოვრების თარიღის კითხვა და ამ ძველთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები სრულის მოცულობით განხილული გვაქვს სპეციალურ ნარკვევში, რომელიც დამზადებულია გამოსაცემად.

10.

ჰიმნოგრაფიული ქაბაზღები.

გადაწერილი მე-10 საუკუნის პომე-ჰიმნოგრაფის
იოანე-ზოსიმეს მიერ.

(სტოლიო 10, გვ. 238).

მოგვყავს საა იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი ჰიმნოგრაფიული კრებულებისა:

- A = „იადგარი“ (ჰიმნების კრება), გადაწერილი 954 წელს. (ხელნაწერი დაცულია სინას მთაზე, № 61/26).
- B = „საგალობელი იადგარნი“ და „ჟამნი“ გადაწერილი 956 წელს. ჩართულია კრებულში, რომელიც დამზადებულია „მეცნიერისა კაცისათვის“. (სინას მთის ხელნაწერი № 19/34).
- C = „ჟამნი“. (ჰიმნების ეს კრებული, რომელიც მიღებული უფილა შატბერდში, იოანე-ზოსიმეს გადაუმუშავებია და შეუღესია ახალი ფსალმუნებით. დრამგმენტი დაცულია ტრშენდორფისეული პალიმფსესტების კოლექციაში ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავისა. იგივე ძველი სწანს სრულად შენახულა 956 წლის ზემოთ-დასახელებულ ხელნაწერში).
- D = „იადგარი ღამისაჲ“. გადაწერილია 965 წელს. (დრამგმენტი ხელნაწერისა დაცულია ტრშენდორფისეულ ხელნაწერთა კოლექციაში).
- E = „იადგარი“ — სანოტო ნიშნებით. (სინას მთის ხელნაწერი № 1).
- F = „იადგარი“. (სინას მთის ხელნაწერი № 45/59).
- G = „იადგარი“. ორ წიგნად. (სინას მთის ხელნაწერები №№ 42/64 და 44/65).
- H = „ქლისპირნი და დასდებულნი“ გადაწერილია 987 წელს. (სინას მთის ხელნაწერი № 64/20).

¹⁾ რომ ძველი არ არის უადრესი მე-8 საუკუნის შუა წლებისა, ამას გარდა კალენდარული ხასიათის ჩვენებისა ადასტურებს აგრეთვე სხვა ფაქტებიც, ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათისა.

ამ კრებულებში, ძველ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებთან ერთად, როგორც ირკვევა შესულია თვით იოანეს ორიგინალური ჰიმნები. ამას აღსანიშნავს ანდრეძი, რომელიც დართული აქვს „საგალობელთა იადგართა“ კრებულს (ხელნაწერი B), აგრეთვე განსაკუთრებით საყურადღებო ანდრეძის შატბერდული ჰიმნების კრებულისა (ხელნაწერი C).

იოანე-ზოსიმე იმდენად ავტორიტეტით მოსილი მწერალი ყოფილა, რომ მას შეუბედავს შეეცვალა ძველი ფსალმუნები, რომლებიც შატბერდში იყო მიღებული და რომლებიც საუკუნოვანი ტრადიციით იყო კანონიზირებული, გადაუმუშავებია ძველ ფსალმუნთა კრება და შეუვსია ახალი ჰიმნებით.

სამწუხაროდ ჰიმნოგრაფიული კრებულები, რომლებიც დაცულია სინას მთაზე, მიუწვდომელია ამ-ჟამად, და ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას სათანადო სისრულით გავითვალისწინოთ ძველი ეპოქის ამ დიდად საინტერესო პოეტ-ჰიმნოგრაფის მთელი პოეტური მემკვიდრეობა.

თელო სახოკია

ციმბირში

VII

ციმბირი და შიხი წარსული. — სხვადასხვა სახე სასაჯელისა — სახალისი და იოსებ ლალიაშვილი. — გაციმბირებულნი ძველად. — ნ. ჩერნიშევსკი. — გ. ზდანოვიჩი და სხვა ქართველები ციმბირში. — აღმინისტრაციული წესით დსსჯა. — საეტაოდ გა-
მოწყობა. — ყინულის უდაბნო. — „კონვოი“. — ძველებური ტანჯვა შემდეგ დროინ-
დელთან შედარებით.

ორ-სამ დღეში უკვე უნდა გაგვიყვანონ საავადმყოფოდან და გაგვიყვანონ მარხილებით ჩვენს დასასახლებელ ადგილისაკენ მიმავალ გზას. თითქმის ნახევ-
რად თავისუფლებმა უნდა ვუცქიროთ ციმბირს პირისპირ, თვალი თვალში გა-
ვუყაროთ იმ მხარეს, რომლის მარტო ერთი სახელის გაგონება ტანში ქრუან-
ტელს ჰგვრიდა ძველად ყველას.

სანამ გზას დავადგებოდეთ, გაკერით მოვიგონებ ციმბირის წარსულს და იმას, თუ რას წარმოადგენდა იგივე ციმბირი მერე, 30-40 წლის შემდეგ.

როგორც მოგესხენებათ, ციმბირი ამ სამასი წლის წინათ დაიპყრეს რუსთ
ხელმწიფის თავზებულალებულმა ყაზახ რუსებმა ერმაკის მეთაურობით. მხარე
იყო ბუნებით მდიდარი. დასასახლებლად ვარგისი ადგილი აუარებელი მოიპო-
ვებოდა, მაგრამ მცხოვრებთა ჭკაუნება არსად იყო, გარდა ველურებისა, რომ-
ლებიც აზიის შორეულ სანაპიროზე სცხოვრობდნენ.

რაკი ციმბირში თავის ნებით არაეინ მიდიოდა, მთავრობამაც ძალადობას
მიჰმართა და ყველა დამნაშავეს და ურჩს ციმბირში ჰგზავნიდა დასასახლებლად.
ეს ამბავი იწყება XVII საუკუნიდან. XVIII და XIX საუკუნეებში სისტემად გა-
დაიქცა ციმბირში „დასასახლებელი“ „მასალის“ გზავნა. დეებით მიდიოდნენ
ვადასახლებულნი ცოლშვილიანად. უნდა ეარნათ 8-9 ათასი კილომეტრის მან-
ძილი. რამდენსამე წელიწადს ანდომებდნენ ამ გზავრობას. გზაში ბუზებივით
ეხოცებოდნენ სიცივისა, შიმშილისა, დაღლილობისა და ათასგვარ გაჭირვებისა-

1) ეს თავები ნაწილია ჩვენი მოგონებისა — „ციმბირში“, რომელშიაც აწერილია 1905
წელს რევოლუციაში მონაწილეობის მიღებისა და საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანისა-
თვის გაციმბირება, ციმბირში მიმავალი გზა, იქაური ცხოვრება, გ. ზდანოვიჩისა და მასთან
მყოფ ქართველების ცხოვრება ციმბირში, ლტოლვა ციმბირიდან და საზღვარგარეთ გა-
დასვლა.

ამ მოგონებათა დედანი ინახება საქართველოს საბჭოთა მწერლების მუზეუმის არ-
ქივში.

თ. ს.

გან: მაგრამ ასში ოცს რომ ჩაეღწია და შესდგომოდა აქაურ ველურ ბუნებასთან და პირობებთან ბრძოლას, ისიც პლუსად ითვლებოდა აქაურობის დასახლების თვალსაზრისით. შემდეგში ციმბირი თავის შესაფარებელ ადგილად გადაიჩქა ყველა კაცისმკვლელისა, ქურდისა და ავაზაკისათვის, ვისაც სასჯელისა ეწინოდა და შინ არ ედგომებოდა. მირბოდნენ ციმბირისაკენ ყმებიც, ვინც ბატონს ვაანაწყენებდა და სხვა გზა აღარ დარჩებოდა, თუ არ აქეთკენ ღტოლვა. XIX საუკუნის დასაწყისში წელიწადში 7-8 ათასი კაცი იგზავნებოდა ციმბირში ევროპის რუსეთიდან. ზოლო ამავე საუკუნის დასასრულს ეს რიცხვი წლიურად 200.000 კაცამდე ავიდა.

სისხლის სამართლის დამნაშავეთ, რომელთაც ციმბირში ჰგზავნიდნენ სასჯელის მოსახდელად, XIX საუკუნის დასაწყისიდან მიემატნენ პოლიტიკური დამნაშავენი ანუ პოლიტიკურ საქმეთა გამო დასჯილნი. ციმბირის გადაკარგულ მხარეებში მათს გზავნასაც აზრად ციმბირის დასახლება ჰქონდა. პოლონეთის 1831 და 1863 წლების აჯანყების დროს რუსეთის მთავრობამ ათი-ათასობით გაგზავნა მარტო პოლონელები და ჩამარხა ციმბირის ტაიგებსა და ტუნდრებში. ციმბირისავე გზას გაუყენეს სამეგრელოში 1854 წელს ბატონების წინააღმდეგ აჯანყებული ყმანი, ციმბირშივე გაგზავნეს კახეთისა და სხვა აჯანყების მონაწილენი...

ციმბირში ჰგზავნიდნენ იმისათვისაც, რომ მუშა-ხელი მიეწოდებინათ საკატორლო (იძულებითი) სამუშაოებისათვის კარასა და ირკუტსკის გუბერნიაში (კირენსკის მაზრაში, ბოდაიბოში) მდებარე ოქროს მადნებზე. იქ იძულებით ამუშაებდნენ როგორც პოლიტიკურებს, ისე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის კატორლა-მისჯილებს. ამ ორი კატეგორიის ტუსალებს თითქმის მუქთად ამუშაებდნენ. მათი ბედობალი გაუნათლებელ და გამხეცებულ მეთვალყურეების ხელში იყო, რომელთაც ყოველივე ადამიანური ვრძნობა და სიბრალული ვულიდან ამოგლეჯილი ჰქონდათ, მათს ხელში ჩაცვივებული ტუსალები განიციდნენ ყოველგვარ დამცირებას, როგორც ფიზიკურს, ისე ზეობრივს. იმდროს ზშირად მიჰმართავდნენ ურჩი ტუსალების დასჯის ერთგვარ სახეს — გაწყველას: დაწვედნენ ადამიანს, ჩაბდიდნენ და საჯდომზე მანამდე სკემდნენ, სანამ ზედამხედველი საკმაოდ არა სცნობდა. ზოგი იქვე კვდებოდა. ზშირი იყო ასეთი ოპერაციის შემდეგ ვაგიცება, თავის მოკვლა. ასეთის ამბებით სავსეა იმ დროის ციმბირული სასჯელის მსხვერპლთა მატეიანები.

როდესაც დამნაშავენი სასამართლოს მიერ მისჯილ საკატორლო სასჯელის ედას მოიხდიდნენ, უშვებდნენ ციმბირში დასახლებლად. კატორლაში ყოფნით განაწამებ ადამიანს, უსალსროს, უიარალოს, უნდა აეშენებინა ციმბირის ტაიგაში სახლი და ეცხოვრა თავისი შრომით ისევე, როგორც იმაზე წინ იქ მისული და დაბინავებული გლეხი სცხოვრობდა.

XIX საუკუნეში, სამოკდათიან წლებში, კოლონიზაციის აზრით, რუსეთის მთავრობამ დაიწყო კატორლა-მისჯილების გზავნა კუნძულ სახალინზე, სადაც ბუნების სიმკაცრის გამო ყოველად შეუძლებელი იყო კოლონიზაციის მოწყობა ფართო მასშტაბით. ხალხი იხოცებოდა, მაგრამ მთავრობა თავის ექსპერიმენტებისათვის აბა რაში დაზოგავდა ხალხსა! 1886 წელს იქ გაგზავნეს, სხვათა შორის, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, ტფილისის სასულიერო

სემინარიის ნამოწაფარი იოსებ ლალიაშვილი, მკვლელი ამვე სემინარიის რექტორის, დეკანოზ პავლე ჩუღდუცისა. ი. ლალიაშვილს იმდენად გულსაქვლის პირობებში უხდებოდა სასჯელის მოხდა, რომ გადაეწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გაქცეულიყო სახალიხიდან. მართლაც-და მოუხერხებია გაქცევა, მისულა ზღვის პირას, სადაც უნახავს სულ პაწია ნაეი, რომელშიც თავგანწირულის შეტი არავინ არ ჩაჯდებოდა თურმე. ლალიაშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა ბედი ეცაღნა: ჩამჯდარიყო ნაეში და ზღვა თუ სადმე საიადამიანო ქვეყანაში გაპრიყავდა, ხომ რა კარგი, თუ არა-და დაბრძობა ერჩივნა სახალიხზე ტანჯვას. როგორც ვიცით, ბევრის წვალების შემდეგ, იაბონიაში გასულა, იქიდან ამერიკაში ამოუყვია თავი, სადაც 1913 გადაიკვალა.

გაციმბირებულთ ძველად თავზე თმას ნახევარ მხარეზე გადაუბარსავდნენ. ტანთ ნაცრისფერი მახარები ემოსათ, ზურგზე სათამაშო ბანქოს კიკო ჰქონდათ ამოჭრილი ყვითელის ფერისა, ზოლო ფეხებზე ჩუსტები (КОТЫ) ეცვათ. ყოველ კატორღელს ფეხებზე რკინის ბორკილი ჰქონდა გაყრილი, კოჭებს ზემოდან დაქედილი: შუა წელი ბორკილისა აწეული იყო ზევით, ლაჯებში. გამოდიოდა სამკუთხედი, რომლის წვერიც ქამარზე იყო დამაგრებული თასმით. ასე დაბორკილი შვიდი-რვა ერთმანეთზე გადაბმული მიჰყავდათ. თუ რომელიმე მათგანმა ან წაიფორხილა, ან განზე გაიწია, წონასწორობა დაირღვევა, რასაც დანარჩენი ტუსალები მაშინვე იგრძნობენ, რადგან უშველად ტკივილი უნდა განიცადონ. უფრო ღონიერი უფრო სუსტს (ან სუსტებს) მიითრევს, სანამ თვითონაც არ დასუსტდება და, მიუხედავად ნერვებაშლილი და აღრენილი „კონჯოს“ თოფის კონდახებით წაქეზებისა, არ დაეარდება. ასეთი „მოგზაურობა“ გრძელდებოდა წლობით, 10-15 ათას კილომეტრის მანძილზე, როგორც ზაფხულის სიცხეში, ისე ზამთრის სიცივეში, დარსა თუ აედარში, წვიმასა და თოვლ ქვეშ. „არ შემიძლიან“, „დამასვენეთ“, „ცოტა დავიცადოთ“-ის თქმა არ შეიძლებოდა. გამხეცებული ჯარისკაცები თოფის კონდახებით მოაკრეფინებდნენ ზოლმე ტუსალებს უკანასკნელ ძალ-ღონეს. ბედნიერი (ანუ უკეთ — უბედური) თუ გადაურჩებოდა ამ „ეტაპს“. გაციმბირებულისათვის სასჯელის მთავარი ნაწილი ეს „მგზავრობა“ იყო. ვინც ამას გადაურჩებოდა, ზნეობრივად მიწასთან გასწორებული და ფიზიკურად დაუძლურებული, თითქმის ლეშად ქცეული შეუდგებოდა სასჯელის მოხდას.

რუსეთის დესპოტიამ აი ამ ციმბირში აამარხა თავისი საუკეთესო შვილი, 60-ან წლებში მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავის იდეალებზე აღმზრდელი რუსეთის ახალგაზრდობისა, ბუმბერაზი აზროვნობისა, ზინთი სიბრძნისა, რაინდი კეთილშობილებისა, მოციქული საზოგადოების გარდაქმნის იდეებისა — ნოკოლოზ ჩერნიშევსკი. სასამართლომ მიუსაჯა 7 წლის საკატორღო სამუშაო. ეს სასჯელი ნ. ჩერნიშევსკის ციხეში მოახდევინეს. მერე თავისუფლად უნდა გაეშვათ იმავე ციმბირში, დაესახლებინათ ისეთს ალაგას, საცა ადამიანს ეცხოვრებოდა. მაგრამ ხელმწიფის სატრაპებმა ესეც ვერ გაიმეტეს მისთვის, რადგან მეტად საშიშო კაცად, სახელმწიფოს ძირის გამოთხრელად სოვლიდნენ, და ისედაც ჯანგატეხილი მწერალი იმის მაგიერ, რომ ირკუტსკის გუბერნიის რომელიმე პატარა სოფელში დაესახლებინათ, გადასტყორცნეს იაკუტსკის იქით 750 კილომეტრის მანძილზე, ტყეებსა და ჭაობებში და ცოცხლივ დამარხეს პაწაწინა ქალაქ ვილუსკში. იქ ორ-ორი ეანდარმი სცხოვრობ-

და იმასთან ერთად ქობში, რომ თვალყური ედევნებინათ მისი ყველი ნახაჯისათვის და მოეგნათ გაქცევის ყოველი საშუალება. ამგვარად გაატარა ათეული წლები მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილმა ნ. ჩერნიშევსკიმ. აქნაწერად დამარბეს „Что делать?“-ის ავტორის უზარმაზარი, შემრწმუნდებითი მწივი, რომელსაც, ვინ იცის, კიდევ რა გონებრივი საზრდოს მიწოდება შეეძლო თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის! ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი დიდი ნიჭი დაიმარბა ციმბირის ტუნდრებსა და ტაიგებში, რამდენმა კეთილშობილმა ადამიანმა მიიტანა ხალხის სამსახურის სამსხვერპლოზე მთელი თავისი გონებრივი ძალა, ფიზიკური არსებობა, რამდენმა მოწამებრივის სიკვდილით გაათავა თავისი დღენი! მეტად გრძელია მათი მარტიროლოგი...

70-ან წლებში იმავე ციმბირში გაატარეს თავიანთი ახალგაზრდობის საუკეთესო დღენი, საკატორლო ციხეებში ყოფნის შემდეგ, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის კორიფეებმა და მშვენებამ (ცნობილი 50-ის პროცესიდანა: გიორგი ზდანოვიჩმა (გ. მაიაშვილმა), ალექსანდრე ციციშვილმა, ანთიმოზ გამყრელიძემ, მიხეილ ჩიკოიძემ, ივანე ჯაბაძარმა.

ამათ მოჰყვნენ: ალექსანდრე ნანეიშვილი, მიხეილ ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი. ცოტა უფრო გვიან — გიორგი ლასხიშვილი და კონსტ. მესხი. ეს უკანასკნელი გაგზავნეს ჯერ აკმოლინსკის ოლქში, ქალაქ კოკჩეტავში და მერე ბეტროპავლოვსკში 5 წლით, ხოლო გ. ლასხიშვილი სემიპალატინსკის ოლქში, ქალ. უსტკამენოვოვსკში. ორივე გაგზავნეს 1889 წ. სენატის განსაკუთრებულ საბჭოს დადგენილებით, 5 წლით.

ეს ამბები XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. მას შემდეგ ციმბირში ბევრი რამ გამოიკვალა, ჯერ ერთი და უმთავრესი: გაიყვანეს მთელ ციმბირზე ურალიდან ვლადივოსტოკამდე — რკინის გზა, ასე რომ მოისპო ფეხით ტარება გაციმბირებულთა და საკატორლო ხალხისა. შესაძლებელი გახდა, მთავარი გზა, ურალიდან მოკიდებული, ტუსალებს რკინის გზით გაეარათ და უფრო ჩქარის ტემპითაც. მეტი სისწრაფე რაღა ვნებათ: მანძილი ქუთაისიდან ირკუტსკამდე — 9000 კილომეტრი, რასაც ძველად რამდენსამე წელიწადს (ღიაზ, წელიწადს!) ანდომებდნენ, ჩვენ გავიარეთ 25 დღეში! წინსვლა და მერე როგორი!

მაგრამ რომანოვების აგენტებმა წინსვლა კიდევ სხვა საქმეშიაც გამოიჩინეს. ადმინისტრაციას წინათ უფლება ჰქონდა მხარში ამოსდგომოდა სახელმწიფო სასამართლოს და იქ, სადაც ეს სასამართლო უძლური იყო — დამნაშავე პასუხისგებაში მიეცა, დანაშაულის დამამტკიცებელი აშკარა საბუთების უქონლობის გამო, სკენაზე გამოდიოდა ადმინისტრაციის თვითნებობა: ადმინისტრაცია გვერდს უვლიდა სასამართლოს პროცედურას და „თავის შეხედულებით“ თავიდან იშორებდა საზოგადოების „არასასურველ ელემენტებს“, რომელნიც, თუნდაც კანონიერების ფარგლებში, მათ ურჩობას უწყევდნენ. საკმარისი იყო პროვინციაში მცხოვრებ მამასახლისს თვალში არ მოსელოდით და ბოქაულთან დაებეზლებინეთ, ბოქაულს — მაზრის უფროსთან, მაზრის უფროსს — გუბერნატორთან, რომელიც სულ ადვილად გავისტუმრებდათ იმ ეტაპით, რა ეტაპით ჩვეულებრივი ტუსალები მიჰყავდათ ხოლმე, ციმბირის უშორეს კუთხეში, მაგალითად, ტურუხანსკის მხარეში, იაკუტსკში და უფრო შორსაც. მერე, მე თქვენ მოგაბსენებთ, ერთი წლით! არა, სამი, ოთხი და ხუთი წლითაც

ნუ გეშურებოდათ. ადმინისტრაციული წესით XIX საუკუნეში საქართველოდან, შავალითად, უფრო რუსეთის შიდა გუბერნიებში იგზავნებოდა ხალხი და არც ისე ბითუმად, ევროპის რუსეთიდან კი — ციმბირში. მაგრამ 1905 წლის რევოლუციიდან მოკიდებული ადმინისტრაციის თარეშმა და თავდასუსტობამ, ყოველ საზღვარს გადააცილა.

რეაქციის გაძლიერებისათანავე ასობით და ორასობით, ხშირად მთელი სოფლების მოსახლეობას მოსწყვეტდა თავწასული ადმინისტრაცია და ბრალიანსა თუ უბრალოს, მოხეტსა თუ ახალგაზრდას, ქალსა თუ კაცს განუკითხავად გაუყენებდა ციმბირის გზას ყოველგვარ იწროებასთან და ბუნების სიმძაფრესთან საბრძოლველად. და ივსებოდა ციმბირის შორეული ადგილები ადმინისტრაციის მსხვერპლებით, უმწურობით, უსასხროდ შთენილებით, არსებობის საშუალებას მოკლებულებით...

და, აჰა, ჩვენც ორ-სამ დღეში უნდა გამოვეშვიტ ამ სულთქმისა, ურვისა, ცრემლისა და დაუსრულებელი მწუხარების მხარეში. მართალია, წარსული ამ ქვეყნისა შავბნელი მოგონებებით იყო სავსე, აწმყო და მომავალი მისი იმას გვიმზადებდა, რაც ორივე ხელით უძღვევია ჩვენი წინამოადგილეთათვის, მაგრამ მაინც გვიხაროდა თავისუფალ, თუნდ პირქუშ ბუნებაზე გამოსვლა, გვიხაროდა, რომ ბოლოს გადავრჩებოდით ზიშტიან ჯარისკაცთა ყურებას, სულთამხუთავით თავს რომ გვადგა, ყოველს ჩვენს ნაბიჯს კონტროლს რომ უწყევდა.

თებერვლის 20-ს (ეს რიცხვი კარგად, სულ კარგად მახსოვს და დაუვიწყარიც იქნება ჩემთვის) ნასადილეც გამოგვიძახეს საავადმყოფოში მე და ზოსიმე ხუბუას: უნდა გადავეყვანეთ სატუსაღოს იმ კამერაში, სადაც ტუსალებს ამზადებდნენ საეტაპოდ. გამოვეთხოვეთ პან სიგიზმუნდს და მადლობა შევწირეთ, რომ ჩვენზე არ დასჭირდა თავისი „დამამშვიდებლის“ ძალის გამოჩენა. გამოვეთხოვეთ კირილე კორშიასაც, რომელიც საავადმყოფოში დარჩა და ჩვენს შემდეგ რამდენსამე თვესაც არ გაუვლია, რომ გადაიცვალა.

საეტაპო კამერაში ყველას დაგვირიგეს ტყაპუქები და მოთელილი ნაბღის წაღები, როგორც პოლიტიკურებს, ისე არაპოლიტიკურებს. ჩვენს ეტაპში სულ 20 კაცი იყო: 5 პოლიტიკური, დანარჩენნი მცირე დანაშაულის ხალხი. ესენი გამოქცეულან იმ სოფლებიდან, სადაც საცხოვრებლად იყვნენ დასახლებულნი, ირკუტსკში თავი დაუჭირებიათ იმისათვის, რომ ზამთრის სიცივეში ერთხანს თავშესაფარი და საკმელი ჰქონოდათ და მერე, ეტაპით წაყვანის დროს, ტყაპუქები და ნაბღის წაღები პრგებოდათ. ეს ნივთები ხელთ იგდეს თუ არა, გააჩაღეს ბანქოს თამაში და თითქმის ყველამ იმ ღამესვე წააგო, რაც დაურიგეს, ალბათ, უიმისოდ სიარულისა არ ეშინოდათ. ამ ნივთებს ვარდა, ციხეში შემომიგზავნეს საზამთრო პალტო, საბანი და ერთი ხელი კოსტიუმი. ესენი მთელი გზა ზეწარში გამოკრული მომქონდა, რათგან სანამ მათ ხელში ვიჭნებოდი, ტუსაღის ტანისამოსი უნდა მცმოდა.

მეორე დილას ადრიაანა ვაგვიყვანეს ეზოში, ხელებში ბორკილები გაგვიყარეს (პოლიტიკურებს), ათმა თოფიანმა ჯარისკაცმა შუაში მოგვაქცია და ვაგვიყენა გზას. თან მოგვდევს მარხილი, რომელსაც მოაქვს ჩვენი ბარგი და ვაჭირების დროს უნდა წამოიყვანოს მგზავრობისაგან დეპარდნილი ტუსაღი.

უკვე ნახევრად თავისუფლად მიგვაჩნია თავი, რვა დღეს ვაგრძელებდით ჩვენი ნახევრად თავისუფალი მგზავრობა და მერე ვაგვიშვებდა იმ ვოლოსტში,

საცა მიწერილები ვართ. მზე მორცხვად, გაუბედავად გამოიყურება, მაგრამ მისი სახე მაინც დასანახავია და სითბოს მსგავსს რასმე ვგრძნობთ კიდევ. მიწაზე მტკაველის სიღრმეზე მოსული (შემოდგომაზე) თოვლი ქვასებრ გვიჩვენებდა. და მინდორ-ველი, სადაც ჩვენი გზა მიდის, წარმოადგენს მფეფქვანე კანქელის უდაბნოს. ათასი ერთხელ შემოგვხვდება მარხილები, ზოგჯერ ციციკოსა, ზოგჯერ საჯდომი, მოჩუქურთმებულ-ზურგინები. ეტყობა, მარხილი აქაურების ცხოვრებაში, ვადასვლა-ვადამოსვლისა და ურთიერთობის საქმეში, დიდს როლს თამაშობს, რადგან წელიწადის უმეტესი ხანი ზამთარია და გზები სამარხილეა. კიდევ ამიტომაც, რომ ასე ზრუნავენ მის გარეგნობისათვის: თვით შეძლებულება აქაურის გლეხისა მარხილის მდიდრული ჩუქურთმიანობით და შიგ შებმული კარგის ცხენებით განიზომება. მარხილში აბია დაბალი, გრძელფაფარა ციმბირული ცხენი. დღეში აქაურ ცხენს თამამად შეუძლია 100-140 კილომეტრის გავლა. აქაურ 35-50 გრადუსიან სიცივეს თავისუფლად უძლებს, მთელი ზამთარი გარეთ აბია, თავლა რა არის, არ იცის. წარმოიდგინეთ, ძროხა-ცი ბოსელში არ უყენიათ აქაურებს.

მწკრივში ორ-ორი მოვდივართ. სუფთა, თავისუფალი ჰაერი პირში რომ ჩავვდის, ისე ვგრძნობთ, თითქოს საქმელს რასმე ვსჯამთო. თან მომავალი სრული განთავისუფლების მოლოდინი მხნეობას გვმატებს, გულს სიხარულით გვივსებს. დღეში გასავლელი გვაქვს 25-35 კილომეტრი. პირველი დღის ეტაპი 35 კილომეტრიანია და ფეხითა გვაქვს გასავლელი. პირველში ყველანი ყოჩაღად მივდივართ. პირადად მე ერთ დროს კარგ მოსიარულედ ვითვლებოდი, საათში 6 კილომეტრის გავლა თავისუფლად შემეძლო. ამიტომ ჩემი თავის იმედი მქონდა, სხვებს თუ არ გავუსწრებ, უკან მაინც არ ჩამოვარები-მეთქი. ის-კი დამაიწყდა, რომ ოთხ კედელ შუა ხანგრძლივი ჯდომით შეიძლებოდა სიარულს გადავჩვეოდი. დასუსტებულვიყავ კიდევ და მუხლებს ეღალატნათ. უკან ჩამორჩენა რომ დავაპირე, ხმალამოლებულმა ჯარისკაცმა თავისებურათ შემომიქურთხა და პირველად ამით წამაქეზა. განმეორება რომ მოვინდომე, დამემუქრა. რო ძალიან გამიპირდა, „კონვოის“ უფროსსა ვსთხოვე, ნება მოეცა ჩვენის ბარგის წამომღებ მარხილზე დაჯდომისა. „Еще чаво захотел с... сьми!“ — შემომიტია და მანიშნა, სანამ თოფის კონდახი არ მოგხვედრია, გირჩენია ჭკუით იყვე, სხვებს ააყოლო ფეხებით. სხვები კი, განსაკუთრებით კონვოის ჯარისკაცები, სრულის სიჩქარით მიდიოდნენ. ვადამაიწყდა ბუნების ჭკრეტა, მშვენიერი, პოეტური სურათების ხატვა ჩემს გონებაში. უკანასკნელ ღონეს ვიკრეფდი, რომ უკანასკნელ მომენტში ამდენს ტანჯვას ფუქად არ ჩაველო. ამ ჯახირში ნახევარი საათით შეგვასვენეს და საუზმის ნება მოგვცეს იქვე, გზის პირას, ფიჭვების ქვეშ.

მუცელი მოვატყუეთ, დაღლილ მუხლებს ცოტათი ჭარი ამოვალბინეთ და „კონვოის“ უფროსის უნტერ-ოფიცერის შემოძახებაზე წამოვიშალენით და გავფუდექით გზას. „კონვოი“ იმიტომ გვიტატანებდა და იმიტომ მიგვარბენინებდა, რომ თვითონაც უკან, ირკუტსკში, მზიურ უნდა დაბრუნებულყო. გვიშტრიალებდნენ, რუსულად ჩვენი მიცვალბულების სულებს ლოცვა-კურთხევას უთვლიდნენ. მომაგონდა ჩვენი წინამორბედი, ვისაც ამავე გზით უვლია, მომაგონდა, თუ რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ, როცა ფეხით რაღაც 35 კილომეტრი კი არა ჰქონდათ გასავლელი, არამედ 4 და 5 ათასი კილომეტრი — ფეხებ-

შებორკილებს, ერთმანეთზე გადაჯაჭვულებს, წვიმასა, აედარსა, თოვტში, უგზოობის გზით, როცა ამ გზაზე მოსახლეობა თითქმის არ იყო და, მასხლადამე, საქმელ-სასმელის შოენა ძალზე სჭირდა და როცა ჯარისკაცებიც ბევრად ჩამორჩებოდნენ ახლანდელებს შეგნებით და ადამიანთა სიბრავედით და მაშინ გავეითავალისწინე ნათლად, თუ რა რიგ იტანჯებოდა ხალხი შეველად ან რა მკირე იყო ჩვენი დღევანდელი ტანჯვა მის ტანჯვასთან შედარებით...

VIII

აღთქმის ქვეყანა — უსტ-ორდინსკი. — პირველი ღამე თავისუფლად — სახელდახელო სასტუმრო. — ბრეშკო-ბრეშკოვსკაია. — მოგზაურობის მეორე დღე — გზა — ჩვენი გამყოფი. — ციმბირის ველი. — ყინვა. უქარაბა. მოსახლეობა. — უთანხმოების ჩამოვარდნა პოლიტიკურებსა და არაპოლიტიკურებს შორის — ჩხედი. — არაპოლიტიკურთ მიერ ჩვენი სასიკვდილოდ გამეტება. — ბაიანდაი და ტუსალ ყირგიზის მიერ ჩვენი, როგორც ქართველების, გამოქომაგება. — რამდენიმე საეტაპო შენობაში მშვიდობით გადარჩენა. — კაჩუვა. — ვერხოლენსკამდე.

საათის ოთხზე, როგორც იყო, მივატანეთ აღთქმის ქვეყანას, ჩვენ პირველ საეტაპო გასაჩერებელსა — უსტ-ორდინსკს. ეტაპის მისვლა ერთგვარი მოვლენა იყო აქაური ნირშეუტყველ ცხოვერებისათვის. მთელი სოფელი ჩვენს საყურებლად გამოიშალა. დაგვიხვდა ადგილობრივი წარმომადგენელი მთავრობისა. ჩვენს საგზაო საბუთებთან ერთად ჩვენი თავიც მას გადააბარა „კონვოის“ უფროსმა, ხელბორკილები ვისაცა გვეჭონდა, აგვხსნეს და უკანვე წაიღეს ირკუტსკში, რომ ცოტა ხანს შემდეგ ჩვენს მომდევნო ტუსალებისათვის გამოსადგომოდათ. მამასახლისმა გამოგვიცხადა — არსად წახვიდეთ, აქვე გლეხების სახლებში გაჩერდით ამაღამ და ხვალ გზას გაგიყენებთ.

ჩვენს ყურებს არ ეუჯეროდით, რაც გვესმოდა: ნუ თუ საპატიმროს ოთხ კედელ შუა არა ვართ და გარედან თოფიანი ჯარისკაცები აღარ გვეყარაულობენ? პოლიტიკურებმა გადავწყვიტეთ. ცალკე მოგვეძებნა ბინა — ღამის გასათევი. მალეც ვიპოვეთ. ჩვენს ბინას არც ერთი ხარისხოვანი სასტუმროს პრეტენზიები არა ჰქონდა არც გარეგნულად, აღარც არსებითად. მაგრამ ჩვენთვის იმას ვერ შეედრებოდა ვერც ერთი სატახტო ქალაქის პირველი კლასის სასტუმროს ნომერი. ჩვენი მასპინძელი გლეხი იყო აქაური ანუ, როგორც აქ ეძახიან, ჩელდონი. მრგვალი ძელებისაგან შეკრული ერთთვალიანი სახლი ედგა. ძელსა და ძელს შუა დარჩენილი არეები ხავსით ამოეჩურთნა და ზედაც ძროხის ფუნე წაეგლისა. ეს სახლი დღისით საცხოვრებელი და სასტუმრო იყო, ხოლო ღამით საწოლ ოთახად იქცეოდა როგორც ჩვენისთანა სტუმრებისათვის, ისე მასპინძლის ჯალაბისათვის. შუაში იდგა ცულით გამოჩენილი მაგიდა და ზედაც სამოვარი, აუცილებელი სამკაული და კუთვნილება აქაურის სახლისა და რამდენიმე მერხი. ოთახის აღმოსავლეთ მხარეს ხატები ჰყილია, წინ გაუქრობელ ბაშმაკიანი. და შემსვლელი, სანამ შინაურებს მიესალმებოდეს, ქუდმობდილი სამჯერ პირჯვარს გადაისახავს ხატის წინაშე, სამჯერვე თავს დაუკრავს ხატს და მხოლოდ მერე მიესალმება და მოიკითხავს მასპინძელს. მე ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიყავი რუსის გლეხის ქობში. მე და ჩემთან ერთად ჩემმა ამხანაგებმა, როგორც ხამებმა, პირველად, ცოტა არ იყოს, წავიბოროძიკეთ ამ სავალდებულო და აქაურებისათვის ელემენტარული წესის ასრულებაში. სამაგიეროდ შემდეგში სირცხვილი არსად გვიკაშია.

მასპინძელი სულზე თითო შაურს გვახდევინებდა ღამის გასათევს. ზელად დაგვიდგა სამოვარი, ხოლო დანარჩენისათვის, რაც ჩაის უნდოდა, ჩვერ ვერაფრით ვიშოვეთ პური, ძეხვი, შაქარი, ვაგაჩინეთ არაყი. სანამ ინახად დაგსდებოდით, ყოველადის ერთგულებით დაეიბანეთ საპნით ზელქონი, ანუ შეწული იყო სიამოვნება, რომელიც ვიგრძენით, როცა საპნით განვიბახებნით და ვახვიწმინდებით ორგანიზმისათვის იმ ზედმეტის ნივთიერებისაგან, რომელსაც რუსეთის ციხის პანსიონერი უტყვევლად მიიკრობს ხოლმე სხეულზე და რომელსაც მდამიურად ტუტყს უხმობენ. თან ჩაისა ვსვამთ და თან ერთმანეთს ვულოცავთ ციმბირის თავისუფალ მოქალაქედ ვახდომას. ამასობაში დაღლილთ ძილი მოგვეკიოდა და ჩვენი სასადილო ზელად იმპროვიზებულ საწოლ ოთახად გადაიქცა. მასპინძელს, რა თქმა უნდა ბოდიშიც კი არ მოუხდია, რომ სტუმრებს ცარიელი საწოლები მიანიც არ შემოგვთავაზა. მაგრამ შემდეგშიაც, საცა კი მომიხდა ყოფნა, სპეციალური საწოლი დასაძინებლად არსად შემხვედრია. აღარც ჩვენებური საბან-ლეიბი მინახავს სადმე. აქაურები პირდაპირ იატაკზე ვაიშლიან ხოლმე ტყავებს, ზევიდანაც ტყავებსვე გაღიბურავენ საბნების მაგიერ და მორჩა. ჩვენც ჩვენი ტყაპუკები ძირს ვავიშალავით, ბალიშების მაგიერ ჩვენი საგზაო ჩანთები ამოვიდევით თავით, ზევიდანაც ფარაჯები წავიხურეთ და საკმიოდ ვახურებულ ოთახში თავის მიდება და ძილი ერთი იყო. ოღონდაც რომ მართალი უთქვამსთ: ძილმა სასთუნალი არ იცის და შიმშილმა — სანუკვარიო

ჩვენი პირველი გასაჩერებელი სოფელი, როგორც მერე ვავიგევი, ისტორიული სოფელი გამოდგა. როგორც მოგეხსენებათ, ეგრეთ წოდებული „ბებია“ რუსეთის რევოლუციისა — ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, რომელიც რამდენჯერმე გამოიქცა ციმბირიდან, ერთხელ სწორეთ უსტ-ორდინსკიდან გამოქცეულა. ირკუტსკიდან ჩვენსებ აქ რომ ჩამოუყვანიათ, ჯარისკაცების მეთვალყურეობისაგან განთავისუფლებულა თუ არა, თავისთვის უშველნია. რა თქმა უნდა, მეგობრებს წინდაწინვე ყველაფერი გამოწყობილი დაუხვედრებიათ ამ დაულალავი, ძველის ტიპის განმსახიერებელ რევოლუციონერ ქალისათვის. პოდა, აქედან ლტოლვის განძრახვა ჩვენც ამ სოფელში ჩაგვესახა: როგორც კი მოგვხვდა სიო თავისუფლად ყოფნისა, საღერღელი აგვეშალა და დღითი-დღე იზრდებოდა ეს აზრი, ვკრეფდით ცნობებს, ვაკვირდებოდით გეოგრაფიულ რუკას, ვეცნობოდით გზებს.

მაგრამ წინ ნულარ გავუსწრებთ ჩვენი თავგადასავლის თხრობას.

22 თებერვალია. გათენდა დილა და ფეხზე ვდგევართ. ათ-ხუთმეტ მოსახლისაგან შემდგარ სოფლის შუაგულში სდგას სამი მარბილი, ჩვენს წასაყვანად განმზადებული. იქვე დგას ხელისუფლების წარმომადგენელი — გზირი, ქურქში გახვეული და მხარზე ჩანთა გადაკიდებული. აღარც თოფი ჰკიდა, აღარც სხვა რამე ნიშანი ხელისუფლებისა, თვინიერ ერთის ჯოხისა. ღმერთო, რა კონტრასტია გუშინდელ საშიშარ, თოფებიან ჯარისკაცებსა და ამ უთიარლო, მშვიდობიან კაცს შორის! ჩანთაში ულაგია ჩვენი საგზაო მოწმობები. თვლით ჩაიბარა 19 კაცი (ჩვენც შათ შორის) და გვიბრძანა ჩასხდომა მარბილებში, რომლებიც ალბათ, ბეგრისები უნდა ყოფილიყვნენ, გლტების მიერ უფასოდ მოყვანილი. თითოეულს ორ-ორი ცხენი ება. პოლიტიკურები ცალკე მარბილში ჩავსხედით. დანარჩენები და მათთან ერთად გზირიც სხვა ორ მარბილში მოთავსდნენ, და გაესწიეთ.

მისრიალებენ შარხილები. სიცივე იკბინება, ყინვა ასე 30 გრადუსი თუ იქნება. ერთიბერწო ნიავე არსაიდან ჰქრის. მარხილის ძირში თვეა გვერდი და შიგა გვაქვს ნაბდის წაღებიანი ფეხები წაყოფილი. ტანზე ტყაბუქები, თავზე ირკუტსკაში დარიგებული ციმბირული ქუდები, რომლებიც გვიფარავენ თავის ყველა ნაწილს, ოდნავ ცხვირი გამოგვეყვია და თვალები გვიჩანს მხარტკუ-რები ასე თუ ისე გამოწყობილები ვართ სიცივესთან საბრძოლველად. მაგრამ თქვენ ისა ბრძანეთ, რა დღეში არიან ჩვეულებრივი ტყვეები, რომელთაც ირ-კუტსკიდან გამოსვლის წინაღამეს ახლად დარიგებული ტანისამოსი ზოგი ქა-ლალში წააგეს და ზოგიც ნახევარ ფასში გაჰყიდეს მეორე დღეს არყის შე-საძენად. ზოგს ნასაზი ემოსა ტანისამოსისა. მაგრამ ბედს მაინც არ ემდურვო-დნენ. ბუნებაც როგორღაც მოწყალე თვალთ ეყარობოდა ამ ყველასაგან მო-ჭლებულ ადამიანებს. ეტყობოდათ, ხამები არ იყვნენ აქაურობისა, აქაური ჰაერისა, მასპინძლებივით მიდიოდნენ...

ჩვენი მარხილები მისრიალებენ ტრიალ მინდერებს შორის. არსად ხე, არსად მცენარე რამ. მივდივართ უდაბნოში, სადაც ქვიშის მაგივრად გაყინული თოვ-ლია. ეს არის აუზი აღმოსავლეთ ციმბირის ერთი უდიდესი მდინარის — ლენი-სა, რომელიც ბაიკალის მთების ჩრდ-დასავლეთ ქედიდან გამოდის და ერთხანს თითქმის პარალელად მიდის ბაიკალის ტბიდან გამოშვალ მდინარე ანგარასთან. მერე ლენა ჩრდ-აღმოსავლეთ მიმართულებას ღებულობს, გაივლის მთელ ირ-კუტსკის გუბერნიას და კირენსკის ქვემოთ ერთი კილომეტრის სიგანე ეძლევა. შემდეგ გადადის იაკუტსკის მხარეში. იაკუტსკთან შვიდი კილომეტრის სიგანე მდინარედ იქცევა. აქედან უზარმაზარი მდინარე ჩრდილოეთისკენ მიაგორებს თავისს ტალღებს, სანამ არ შეერთვის ჩრდილოეთის ყინულოვანს ოკეანეს. ია-კუტსკის მხარე ამოწყდებოდა, ლენა რომ არ ყოფილიყო. ხმელეთის გზა არ არის. ერთად-ერთი გზა და მიმოსვლის საშუალება მდ. ლენაა. იაკუტსკის მხა-რეს ლენის საშუალებით აწვდიან უმთავრესად პურსა და სხვა საქონელს. თვით ველი, სადაც ლენა მიმდინარეობს, მეტად ნოყიერია. ითვისება ქვაკვი და უხვადაც მოდის.

სოფლები თითქმის ყველა ლენისა და მასში შემდინარე მდინარეების ნა-პირებზეა გაშენებული. მდინარეზეა ზაფხულობით მათი მატერიალური კეთილ-დღეობა დამოკიდებული, იმით იბრუნებენ სულს. ნაგებით თუ სამდინარეო ზომალდებით ათას კილომეტრის მანძილზე ნაირ-ნაირი ტვირთი ამ მდინარის საშუალებით გადააქვსთ. გარდა ამისა, იგივე მდინარე ჰკვებავს ყველას ზამთარ-ზაფხულ იშვიათად გემრიელი თევზით. ერთის სიტყვით, მდინარე იმავე კეთი-ლისმყოფელის როლს თამაშობს, როგორსაც თამაშობდა იგი კაცობრიობის სიყრმიდან, როცა ადამიანთა კერები, საზოგადოებრივი ჯგუფები მდინარის გარშემო ჩნდებოდნენ, როცა შენდებოდა სოფელი, რომელიც ათასი წლების შემდეგ იქცეოდა დღევანდელ ქალაქად. ლენა წარმოადგენს ამ სურათის ტიპიურ მდინარეს. ამ მდინარის გაყოლებაზე მიდის მოსკოვის ან დიდი ციმ-ბირის ტრაქტი, რომლითაც ჩვენ მივდივართ.

დღეს გასავლელი გვაქვს სულ 25 კილომეტრი. დღე პატარაა, სულ პატარა, სულ ბევრი 7 — 8 საათს ვაგრძელებს. შუა გზაზე ვჩერდებით, ვისვენებთ ცო-ტახნით და მერე ისევ განვავარძობთ სიარულს, სანამ არ შევალთ ერთ პატარა სოფელში, სადაც შეგვჩერებენ იატაკ-დამბალ, კედლებ-გამომბალ ხის შენობა-

ში, რომელსაც აქაურულად ტუსალების დასამწყვდევე სახლს ეძახიან, ცეცხლი ანთია, ჩვენს ვაკირებებით ჩაისთვის წყალს მოვიდულებო და ბრის ვატყუებთ. ჩვენი თანამგზავრი ტუსალები შურიანის თვალით უყურებენ ჩვენს „ბურჯულებას“: დაშაქრული ჩაის დაღვეას და პურის შეტანებას. ამავე მომენტად ესობათ, რომ ჩვენ სოფელში შესვლისთანავე მათსებარ კარსკარ არ დაქრბივართ და ხელგაშვერილი არა ვთხოვთ გლენებს მიწაეაშლას თუ პურს. ვერ შეპრიგებთან იმ აზრს, რომ შესაძლებელი იყოს — ტუსალი ტუსალითან ბანქოს არ თამაშობდეს და უფულოს ფულიანის ჯიბის დაცარიელება არ შეეძლოს. ჩვენს ჯიბეებში კი ფული ვგულებათ, რამდენი — არ იციან, მაგრამ იმათზე მეტი რო გვაქვს, ამაში დარწმუნებული არიან. დარწმუნებული არიან იმაშიაც, რომ ამ ფულის მოხმარების შნო იმათ უფრო აქვთ, ვიდრე ჩვენ. მაშასადამე, არა ჰხამს ეს ფული ჩვენს ჯიბეში იყოს და უფრო უპრიანია, მათს ჯიბეში გადავიდეს. ამასთან თვალი უჭირავთ ჩვენს ზეწარში გამოკრულ ტანისამოსზედაც, რომელიც ირკუტსკში შემოგვიტანეს მეგობრებმა. რომ ჩაივლებდნენ ხელში, მოგეცათ სიცოცხლე, ხელად უყონ რეალიზაცია, ხელად გააჩინონ პილატეს ცრემლი და იქნება იმდენი ზრდილობა იხმარონ, რომ ჩვენი სადღეგრძელოც დალიონ. მათი აშკარა მტრული განწყობილება ჩვენდამი საათობით იზრდება. მზადდება შეთქმულება, უნდა გაიმართოს ბრძოლა. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული უნდა გამოვიდეს ის მხარე, რომელიც რიცხვმრავალი და მკლავლონიერი იქნება. ჩვენს მოწინააღმდეგეთ ევეიც არა აქვსთ, რომ გამარჯვებულნი გამოვლენ, რადგან ხუთად-ხუთმა კაცმა რიცხვით სამჯერ მეტს მტერს უნდა გავცეთ პასუხი. ჩვენი ქმავები არაეინ გამოჩნდება ამ გადაკარგულ მხარეში, სადაც ტუსალს ტუსალის მოკვლისათვის პასუხს თითქმის არაეინ არ აგებინებს...

მომავალი აუცილებელი ქარტებილის მოლოდინში ახალ საეტაპო შენობაში პოლიტიკურნი ერთად ვიჭუტკებით. ყოველ წამს მზადა ვართ პასუხის გასაცემად. ჩვენს ბარგს ერთის წუთითაც თვალს არ ვაშორებდით, რომ ძალით იქნება, თუ ქურდულად ხელიდან არ გამოგვაცალონ, ახალი პატრონები არ გაუჩნდნენ. ძილის დროს ერთ-ერთი ჩვენთავანი უეჭველად ფხიზლობს; ფხიზლობთ მორიგეობით.

თუ აქამდე გვიზაროდა თავისუფლად ამოსუნთქვა, ახლა, ამ ჟიგანების გადამკიდეთ, ლამის არის ჩავეშხამდეს ყველაფერი. ვერ ვისვენებთ ველარც დღე; ველარც ღამე. განსაკუთრებით გვიჭირს ღამით, როცა ერთ ჰერ ქვეშ მოვიყრით თავს, კარს გარედან დაგვიკეტავენ, დარაჯი არაეინ გვიყენია და ახლო-მახლო სულიერი არაეინაა, რომ ვაკვირების ეამს შევლა და დახმარება ვთხოვთ. ძალიან დაფიქრებულნი ვართ და ვითვალისწინებთ, რომ უეჭველ საბრთხეს წინაშე ვდგევართ. ამდენს გზას და ხიშტიან და უპასუხისმგებლო ჯარისკაცებს თავი დავალწიეთ, ამდენი მთა და ბარი ვადმოვლახეთ, ზღვას გადავურჩით და ახლა ცვარმა უნდა დავგახრჩოს სადაც შორს, მივარდნილ ადგილას, საიდანაც ჩვენი ამბის წამლებიც-კი არაეინ იქნება და არც არაეინ თავს შეიწუხებს ამისათვის...

ამასობაში, მგზავრობის შესამე დღეს, მივატანეთ ერთ სოფელს. მარბილებიდან ჩამოგბტით. ჩვენი თანამგზავრნი ყველანი სოფელს მოედენენ: მოათრევენ ზოგი კარტოფილს, ზოგი პურს, ზოგი ღორის ქონს. დამპალ სატუსა-

ლოში ხუთი ტუსალი დაგვიხვდა, ასე რომ მოსულებიანად ჩვენს წინააღმდეგ 20 კაცი იქნება. ჩვენს ძვირფას თანამგზავრთ თვალები უბრწყინავთ, წინდაწინვე ხარობენ გამარჯვებას. ჩაი დავლიეთ. მათაც სათილებში კარტოფილი მოხარწეს და პირი მოატყუეს. შემდეგ გამართეს ბანქოს თამაში. ყველა შეეცდნენ ჩვენც ჩავეთრიეთ თამაშობაში. მიგვიპატივეს კიდევ, რატომ არა გვქვამხრტოლონო, ასეთი უკადრისობა გავონილაო. ჩვენ მშვენიერად ვიცით, რა ფასიც აქვს მათს დაპატიყებას, ამიტომ მივიტუტყენით ერთ კუთხეში და ვემზადებით დასახვედრათ, ვემზადებით ვიფარხმალოთ ყველაფერი, რაც ხელში მოგვხვდება.

ერთი საცოდავი ბურიატი შემოვგდოთ ჩვენთან. სადღაც უბრალო რამ დაეშავებინა. ჩვენ რომ ვერ გამოგვიწვიეს და ვერაფერს ჩამოგვრჩენენ, ამ საცოდავის, უსიტყვო ადამიანის დაბრეყება მოინდომეს. გამოიჩინეს მთელი სიმხეცე, რის გამოჩენაც კი შეეძლო აქაურ ტუსალს. ჯერ სიტყვით დაამცირეს, მერე ისე გაკადნიერდნენ, რომ ცემაც კი დაუწყეს და ბავშვივით ატირეს. აღგვაშფოთა ამ სიმხეცის ყურებამ. ზოსიმე ხუბუა ჩვენში ყველაზე ღონიერი იყო. მისი სახე, სახე ტიპური სამხრეთის კაცისა — კეხიანი ცხვირი, შავი, გაღმოკარკლული თვალები — აქაურებისათვის მართლა რომ შესაზარი საყურებელი იყო. ბურიატის მტანჯველთა ყურებაზე გააღმასებული მომიბრუნდა და მეუბნება: ოღონდ შენ ნება მომეცი, ამ მხეცებს დავერიო და უღვაში შემირცხვეს. თუ სოროები არ მოვადებნინო ამ წუწყებს.

— თუ შენი ღონის იმედი გაქვს, — ვუბნები მე, — ბატონი ხარ, ჩემის მხრივ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ერთი ჭკუა ასწავლო. მხოლოდ იცოდე, ჩემი და დანარჩენი სამი ამჟანაგის იმედი არ უნდა გქონდეს. ერთი შემძლია: თუ გაქირდა საქმე, გამშველებლად ჩავდგები. თქვენს შუა, ისე რომ შენი თავი არ დაეხაფვირინო-მეთქი.

— შენი ჭირი შემეყაროს, — მეუბნება ზოსიმე, — მე ვიცი და იმათაო. ამის თქმა იყო და აყალმაყალის ამტებს და ჟივანების მეთათურს, რომელიც უმწერო ბურიატს აწვალებდა, დასჭყვივლა: ნუ აწვალებ ამ კაცსო.

ჟივანი სწორედ ამას ელოდა, და ხმამაღლა შეაგინა. გინება ასე არ უნდაო და ერთი რომ გაუშალა, ძირს დაანარცხა თავგასული ჟივანი. ეს უკანასკნელი რომ წამოდგა, დაუწყო ზოსიმეს ბლლარძენი, იმედი ჰქონდა — ამჟანაგები მომეშველებიანო. მაგრამ სხვებმა რომ დაინახეს შავი კაცის ან „ჩერკესის“ (აქ ქართველებს ასე გვეძახოდნენ) სიფიცხე და შემართება, თითქოს ალაღმა დაჰქროლა წიწილებსაო, აქეთ-იქით მიიყუენენ. ამასობაში მეც ჩავერიე გამშველებლად. ზოსიმემ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და რაც სიგრძე ჰქონდა თავგასულ ჟივანს, იმდენი სივანე მისცა.

გათავდა ბრძოლა ჟივანების დამარცხებით. ჩვენი მოწინააღმდეგენი ამიერიდან ჩვენს მიმართ დიდის რიდით და კრძალვით განიშტკვალნენ. ჩხუბის მოთავე, ცხვირპირი გასისხლიანებული, კბილებს აკრაჰუნებდა და მკერდზე მჯიღს ირტყამდა — დამაცათ, თუ გზაში ცოცხლები გაგიშვათო.

მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭია. გვეშინოდა, ძილში სივლახე რამ არ ჩაედინათ.

გათენდა მეორე დღია. ჩავსხედით ახალ მარხილებში. გამოგვევა ახალი გზირი და გავწიეთ სოფ. ბაიანდაისაკენ (მეოთხე ეტაპი ირკუტსკიდან) ამ სოფელში ციხეც დიდია და თან შიგ დამხედური ტუსალების რიცხვიც 15 კაცამდე

აღწევდა. ეს გარემოება საგონებელში გვაგდებდა. ორი ამხანაგიც მისვლითონავე მოგვშორდა. ვრჩებით სამნი: მე, ზ. ხუბუა და უკრაინელი ნიჟინისკი. გადავწყვიტეთ, განვმზადებულყავით სააქაო ცხოვრების დასატოვებლად.

მიადგნენ თუ არა მარხილები ბაიანდაის ციხის კარებსა, შეჭვენ მანქანას ერთხანს გაეჩერდით, შევეცადენით, იქნებ მოგვეხერხებინა — ციხეში შესვლა. წესულიყავით ღამის გასათევად და საღმე კერძო ბინისათვის შეგვეფარებინა თავი. სხვები კი მაშინვე ეძგერნენ ციხის კარებს. ჩვენს მისვლამდე ყველანი ენახათ, ეთქვათ ჩვენი ფულიანობა, ეთქვათ, რომ ღირსნი ვიყავით გაძარცვისა და მოკვლისაც, როგორც მათი შეურაცყოფის მიმყენებელნი.

რაკი ვერას გავხდით, შევედით კულამოძუებულნი, მორიდებით, თავმდაბლად, როგორც სასიკვდილოდ განწირულნი. ბარემ უკანა გვრჩებოდა ფეხები, მაგრამ საშველი არ იყო. ბარგი ტახტზე დავაწყვეთ. გრძელი ოთახია. შუაში ბოლთასა სცემს ერთი, კარგი ბულას მსგავსი, ყირგიზი მხარბეკიანი, ჩამკერიული. გვათვალეირებს მრისხანედ და თვალმოუშორებლად. ეტყობა, ამ ციხის მდგმურების ტონის მომცემი ესაა, ამას ეკითხვის აქაურობის ავი და კარგი, მას მორჩილებენ შიგ შეყრილი თიგანები ყველაფერში, სიტყვა-შეუბრუნებლივ. რაღა თქმა უნდა, ჩვენს კომპანიონებს ამისათვის მიუღწევიათ ჩვენგან პასუხის მოთხოვნა მის უაპელაციო სამჯავროს წინაშე. ვგრძნობთ ჩვენი განკითხვის ჟამის მოახლოვებას. დარწმუნებულნი ვართ, სულს რომ გადაუდგეს და გავკვიმეტოს, ტუსაღს ყირგიზს თითო ლუკმად არ ვეყოფით. ჩვენი თანამგზავრნი მზიარულად მიდი-მოდიან, ჩაის იმზადებენ და უხარიათ, რომ ყირგიზი ამოიყრის იმათ მაგიერ ჩვენს ჯავრს. ვგრძნობთ სრულ ჩვენს უმწეობას, ვხედავთ, რომ საცხებით მათს ხელში ვართ, მშველელი და გაჭირვებისაგან მზსნელი გარედან არავინ გვეყოლება.

ამ დროს ზოსიმე ხუბუა წამოდგება, ყირგიზს სალამს მისცემს, გვერდში ამოუდგება და თათრულად გამოვლაპარაკება (ფოთში მენავებობაში ტრაპეზუნისაკენ ხშირი სიარულის დროს ნასწავლი ოსმალური აქ გამოდგა და ჩვენც გვიხსნა). ყირგიზმა შავი კაცი რომ დაინახა და ისიც მისთვის გასაგებ ენაზე მოლაპარაკე, სახიდან ღრუბელი გადაიყარა.

ზოსიმე ხუბუას თათრული მისალმების შემდეგ იმასა და ყირგიზს შორის გაიმართება ასეთი დიალოგი:

ყირგიზი ეკითხება:

— თქვენ ქართველები ხომ არა ხართ?

— სწორეთ, ქართველები ვახლავართ.

— ხომ არ იცნობდით მაქსიმე შეროზიას? ჩემთან საკატორლო ციხეში იჯდა, მერე ერთად „ემუშაობდით.“¹⁾ ჩემი დიდი მეგობარი იყო. სულს მერჩიენა.

— როგორ არ ვიცნობდი, ჩემი მეზობელი იყო, მაგრამ კარგა ხანია, ვააციმბირეს და არ მინახავს. კარგი კაცი იყო. ნეტავი კი საღმე შევხვდებოდე! — ნატრობს ზოსიმე.

— მაშ თქვენ ქართველები ხართ და მაქსიმეს იცნობდით?

¹⁾ „ემუშაობა“ ტუსაღთა ენაზე ავაზაკობას, ყაჩაღობას ნიშნავს.

— პო, თქვენმა მზემ, ვიცნობდი, იმის ჭირი შემეყაროს! — უწოდებდნენ ზოსიმე.

— ამ ჟიჯანებთან რა საქმე გქონდათ?

ხუბუამ დაწვრილებით უამბო.

ყირგიზი საესებით ენდო ხუბუას ნათქვამს და რომ დაინახა, პირველი მაჩივრები სრულებითაც არა ყოფილან მართლები, განაგრძო:

— კინალამ თქვენი ცოდო დაედე. ამ ძალთაპირებმა ისე დამიხატეს თქვენი ვინაობა, რომ სამნივე ამალამ უნდა მომეკალით, მაგრამ რაკი ჩემი მაქსიმეს ქვეყნის ხალხი ყოფილხართ, ღმერთი როგორ გამიწყრება და ხელს როგორ გახლებით. ის კი არა ფულითაც დაგებმარებოდით, მაგრამ, მაპატიეთ, მე თვითონ ქესატადა ვარ. სხტაფრივ ნურაფრისა გეშინიათ, ციხეებში ყველგან შევეუთვლი, ხელი არავინ ვახლოთ. ამათ კი დედას ვუტირებ...

სიტქვა ეს და დაუძახა ჩვენი თანამგზავრების ბელადს, შავი დღე დააყენა თავისი განზრახვისათვის და უბრძანა კვლავ აღარ გაებედნა ჩვენთვის ცუდი რამე, ახლა კი წყალი მოედუღებინა ჩაისთვის და პატივი ეცა ჩვენთვის.

ჩვენ კიდევ ცათაფრენა შეგვიყენა ამ მხსნელის და მფარველის მოულოდნელმა მოვლენამ. ვლოცავდით მაქსიმე შეროზიასაც, რომ ასეთი კარგი ხსოვნა დაუტოვებია ამ ღვთისა და კაცისაგან მოძულებულ მხარეში და მისგან გადებული ზიდი ჩვენ უზიფათო საველეად გამოგვადგა. გავშალეთ სუფრა, გავიჩინეთ არაყი, შუაში ჩავისევით ჩვენი კეთილისმყოფელი ყირგიზი და ტუდი ქერსა ვკარით. აბა რას მოვიფიქრებდით — ჭართველობა ამ დაკარგულ მხარეში გამოგვადგებოდა! იმას ხომ სულ ვერ მოვიფიქრებდით, რომ ეგვევ ჭართველობა კიდევ გვიხსნიდა სიკვდილისაგან და ისიც ამ მოკლე ხანში.

წინაღამისუძინართ, რაკი გული საგულესა გქონდა, გულის ძილით მიგვეძინა ტახტზე, სანამ მეორე დილას უთენია არ გამოვიღვიძებდით და არ გავუღებოდით მანზურკის ვზას.

მიედევართ იმავე ბეგრის მარზილებით, მოგვდევს იგივე გზირი. მოგვეყვებიან იგივე აღრენილი, გულწათხრობილი, მტრადგადაკიდებული ჟიჯანები, რომლებიც დაფიცებულნი არიან, ჩვენი კუბო ნახონ.

სალამო ფამს მივატანეთ მანზურკას, სადაც უბრალო საეტაპო შენობაა ხისა. აქ ჩამომხტარნი მამასახლისთან ეახერხებთ შოლაპარაკებას, ვეუბნებით ჩვენ თავგადასავალს და ვთხოვთ, კერძო ბინაზე გაჩერების ნება მოგვცეს. ამის ნება გვეძლევა. ერთ გლებთან ვჩერდებით და კაცის სულზე ღამის გათევვაში ორ-ორ შაურს ვიხდით. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, იატაკზე ვისვენებთ.

მეორე დღეს იმნაირადვე განვაგრძობთ ვზას. გასაჩერებელი პუნქტი კაჩუგაა. ნახევარ ქალაქი, ნახევრად სოფელია. ტუსალებისთვის სპეციალური ციხე არსებობს, სადაც დამხველური ტუსალებიც იქნებიან და შესაძლებელია ჩვენმა თანაგზავრებმა გულისნადების შესრულება შესძლონ. მაგრამ სოფელში შესვლისთანავე მოგვეგებნენ იქ დასახლებული პოლიტიკურები, გამოგვიკითხეს ამბავი და რომ გაიგეს ჩვენი თავგადასავალი, მაშინვე დატრიალდნენ, მამასახლისის ნება გამოართვეს ჩვენი წაყვანისა ღამის გასათევად და თვითონვე თავმდებად დაგვიდგნენ, რომ არსად გავიქცეოდით.

მოგვასვენეს, მოგვიალერეს, ცნობები მოგვცეს ჩვენი მომავლის ცხოვრებისა. აქედან შემდეგი გასაჩერებელი პუნქტი იქნებოდა ვერხოლენსკი — სა-

მაზრო ქალაქი ვერხოლენსკის მაზრისა, სადაც სამაზრო მამულები ციხეა და შიგ 30 კაცზე მეტი ზის. გაგვაფრთხილეს კაჩუგელმა მასწავლებელმა და დიდი მეცადინეობა გვიჩიათ, როგორმე არ შეჰყვეთ ციხეში ამ ჭიკბნუნს! მისივე საშისაო, რაიმეს დაგმართებნო.

IX

ვერხოლენსკში ჩასვლა. — მოსალოდნელი ზიდათი. — ჩვენს ამბავში მამასახლისის შემეტრვის ჩარევა. — გიორგი ზდანოვიჩისა და მისი ამხანაგების ხსოვნამ გადაგვარჩინა განსაცდელს ანუ „კაი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხილად გაიღების“. — მიხ. ჩიკოდის მასპინძელთან პან უზიასთან გამასპინძლება. — გამოსტუმრება.

მეორე დღეს კაჩუგიდან დაღონებულნი, თავჩაქინდრულნი მივდივართ. აღარ გვიღიმიის მომავალი. მართალია, სასწაულების ხანა გადასულია, მაგრამ მაინც იმედი გვაქვს რაიმე სასწაულისა, რომელმაც უნდა გვიხსნას უექველის განსაცდელისაგან, მოსისხლე შტრებად გადაკიდებულ ჟიგანებისაგან. ფეხები უკანა გვრჩება, ენატრობთ დიდხანს, სულ დიდხანს, დაუსრულებლივ გაგრძელდეს ან სულ არ ვათავედეს ეს გზა, ვერხოლენსკის ციხის კარებს რომ უნდა მიგვაყენოს... ჟიგანების ბელადი თითს გვიქნევს და გვანიშნებს — ზოგი ვერხოლენსკის ციხეში გამოიჩინეთ თქვენი ვაჟაკობაო.

ბარემ არ გვინდოდა, ბარემ გვიძიძმა, მაგრამ მაინც მივედით სამაზრო ქალაქ ვერხოლენსკში, სადაც ციხეში, ჩვეულებისამებრ, ერთი ლაშე უნდა გავათიოთ, თუ ვერ მოეხერხებთ სადმე გლეხის ბინაზე გაჩერება. შტაკედ გადაწვევით: შევიდეთ სოფლის კანცელარიაში, მამასახლისი ენახოთ, შეეჩივლოთ ჩვენი ამბავი, განუტყუადოთ, რასაც გვიპირებენ შტრად-გადაკიდებულ ჟიგანები და ეთხოვოთ, უექველად მოგცეს კერძო ბინაზე გაჩერების ნება, ციხეში-კი ცოცხალის თავით არ შევიდეთ და, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენი გაიყვანოთ.

მარბილები გაჩერდნენ თუ არა, ჟიგანები შეცვივდნენ ციხეში და ხელად გადასცეს იქაურებს ჩვენი ამბავი. ციხის ფანჯრებიდან შიგმყოფებმა უკვე სიცილით დაგვიწყეს ხელის ჭნევა და ძახილი: მობრძანდით, მობრძანდით, ჩვენო გვრიტებო, ვეცდებით გაგიმასპინძლოდეთო.

ჩვენ სამნი-ლა ვართ: მე, ზოსიმე ხუბუა და უკრაინელი ნოვოსადსკი, რომელსაც ცოლი მოსდევს ცალკე მარბილით. მოვედით კანცელარიისთან, ავედით აივანზე და დავუწყეთ ლოდინი მამასახლისს, რომელიც კანცელარიაში მთხოვნელებს უსმენდა. ათიოდე წუთის შემდეგ გამოვიდა ასე შუახნის კაცი, მეტად კეთილშობილური სახისა. მალალი შუბლი, სადეკანოზო წვერი, ჭკვიანური თვალები, მშვიდი და ლამაზი გამომეტყველება სახისა აშკარად მოწმობდა, რომ აქაურებისაგან, ნახევარ მზეკებისაგან, გონებრივად პირუტყველ საფეხურზე მდგარ ადამიანებისაგან აშკარად განირჩეოდა. რომ მოგვიახლოვდა, ცოტა არ იყო, აღელვებულნი, მაინც თავშეკავებული ვეკითხები:

— მამასახლისი თქვენა ბრძანდებით?

— მე ვახლავართ. რა გენბავდათ?

— ჩვენ სამნი პოლიტიკურები ვახლავართ. გზაში ჩვენთან ერთად მომავალი არაპოლიტიკური ტუსალები გადაგვეკიდნენ. ჯერ ჩვენი გაძარცვა უნდო-

დათ, მერე ჩხუბი აგვიტეხეს და გზაში სხედასხვა საეტაპო ჰაბლოში სხვა ტუსალების დახმარებით, ჩვენი დახოცვა გადასწყვიტეს. მაგრამ აქამდე ვერა მოგვიხერხეს-რა. ახლა თუ იძულებული ვიქნებით აჭაურ ციხეში ამხანაგან ქართლ შვეიდეთ, იქიდან ცოცხლებს აღარ გამოგვიშვებენ. ამიტომ უმჯობესად გთხოვთ, ნება მოგვკეთ ღამე კერძო ბინაზე სადმე გავათიოთ. ძალიან გთხოვთ, არ გაგვაცუდლოთ.

— მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მე დიდის სიამოვნებით აგისრულებდით. რასაცა მთხოვთ. მაგრამ მე აქ უფროსი მყავს — ბოქაული. იმას უნდა შეეცადებინო და იმედი მაქვს თანახმა გაგზიზღებათო.

ესა სთქვა თუ არა, მამასახლისმა იხმო გზირი და ბოქაულთან დააბარა ჩვენი თხოვნა, თან თავისი შუამდგომლობაც დაურთო.

სანამ გზირი პასუხს მოიტანდა, მე განზე გამიყვანა და ჩვენს შორის ასეთი ლაპარაკი ვაიმართა:

— გეთაყვა, არ შეიძლება გვითხრათ, სადღური ბრძანდებით?

— მე და ეს კაცი (ხუბუაზე მივუთითე) ქართველები გახლავართ, მესამე ჩვენი ამხანაგი-კი უკრაინელია.

სიტყვა „ქართველის“ გავონებაზე თვალეზში სიამოვნებამ გადაურბინა.

— რა გუბერნიიდან?

— ქუთაისის გუბერნიიდან.

„ქუთაისის“ ხსენებაზე აშკარა სიხარული დაეტყო სახეზე.

— ზღანოვიჩს ხომ არ იცნობთ? იქაურია.

— გიორგი ფელიქსის-ძეს? ვიცნობ და მეტი არა?! იმას ვინ არ იცნობს ჩვენში? პირადად ჩემთვის დიდად პატივცემული და საყვარელი კაცია.

გადამეხვევა და ხელზე მაგრა მომიჭერს.

— ნუ თუ თქვენ იქიდან ხართ, სადღურიც გიორგი ფელიქსის ძეა?

— ჰო, იქაურები გახლავართ.

— მამ იცნობთ გიორგი ფელიქსის-ძეს? მითხარით, ცოცხალია, როგორ არის, რასა იქს, როგორ მოეწყო? — ზედი-ზედ მომახალა კითხვები.

— ძალიან კარგად არის, ერთს დიდ სავაჭრო საზოგადოებას (ქიათურის შავიქვის საზოგადოებას) სათავეში უდგას, ქართულს მწერლობაში მხურვალე მონაწილეობას იღებს, საუკეთესო და დიდად მოაზროვნე მწერლად ითვლება. ჩვენს საზოგადო საქმეებში ყველგან თავისი წვლილი შეაქვს. 1905 წლის რევოლუციის დროსაც ერთ ჩვენს პოლიტიკურს (ფედერალისტებისა) პარტიას ხელმძღვანელობდა. ძველებური რევოლუციონერობა, ძველებური რევოლუციური ტრადიციები შერჩენილი აქვს წმინდად, შეურყვნელად. ყველას უყვარს, ყველა პატივსა სცემს. მტერიც კი უარს ვერა ჰყოფს მისს კეთილშობილებას, ზნეობრივს სისხეტაკეს.

გახარებული და თვალეზზე ცრემლებმომდგარი მეუბნება:

— უჰ, რა მადლობელი ვარ თქვენი, რომ ჩემი ძვირფასი, ჩემი ტყბილად მოსაგონარი გიორგის ამბავი მიაშხმეთ. არ იკითხავთ, საიდან ვიცნობ გიორგი ფელიქსის-ძეს? კარას საკატორლო ციხეში სასაჯელის მოხდის შემდეგ ირკუტსკის გუბერნიაში გადმოასახლეს და აქ, ვერხოლენსკში, სცხოვრობდა. მათთან იყვნენ ანთიმოზ გამყრელიძე და მიხ. ჩიკოიძე. თვითონ ზღანოვიჩი ჩვენს სახლში სცხოვრობდა. მე მაშინ (80-ან წლებში) 15 წლის ბიჭი ვიყავი. მასწავლა

წერა-კითხვა, ჩამინერგა კეთილშობილური, ადამიანური აზრები, თვალები ამოხილა, სულ ახალ გზაზე დამაყენა, ერთის სიტყვით კაცად გამომიყვანა. მივლიდა, მპატრონობდა, ძმასებრ ვუყვარდი. თუ რამ მცხია შეგნაშენთან სულ ჩემი ძვირფასი, ჩემი დაუფიწყარი გიორგი ფელიქსის-ძის წყალობაში სვეტიცხოველფერს იმას უნდა ვუმაძღვოდე. სახლში მისი სურათი გვაქვს. რა ტბილად, რა უზომო სიყვარულით მოვიგონებთ ხოლმე. რა ჩვენი სახლობა, მთელი სოფელი აღმერთებდა, ყველას უყვარდა, ყველა პატივსა სცემდა. აქ სასჯელის ვადა რომ გაუთავდა და აქედან რომ მიდიოდა, მთელი ვერხოლენსკი მისტიროდა. 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას. დაკერილიც ვიყავ... რა ვაეხარდებოდა გიორგი ფელიქსის-ძეს, ეს რომ ვაიგოს! მძიმე სასჯელს გადავრჩი, ციხეს დამაჯერეს და ახლა როგორცა ხედავთ, მამასახლისადაც ვარ. ღმერთო ჩემო! გიორგი ფელიქსის-ძის ქვეყნის ხალხსა ვხედავდე, ჩემი დახმარება სჭიროდეთ და მე არ დავეხმარო? მაშინ ხომ თვალეზზე მიწა უნდა დამეყაროს! ნურადრისა გეშინიანთ, ყველაფერს გამოვიწყობთ, ჩემთან არასფერს გაგიპირებთ...

ვერხოლენსკში შემოსვლამდე სასწაულს რომ ენატრობდით და ამ სასწაულის საშუალებით გადარჩენის იმედი რომ გვქონდა, აი, მოხდა კიდევ ეს სასწაული, ავეიხდა ნატურა. ვანა ნატურის ახდომა ამაზე უკეთესად წარმოსადგენი და შესაძლებელი იქნებოდა? ვიფიქრებდი, ან სიზმრად დამესიზმრებოდა, რომ გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილის) დათესილი კეთილი თესლი ამ მივარდნილ მხარეში სიკვდილს გადამარჩინდა?! სწორეთ აქ მომაგონდა ქართული ანდაზა: „კაი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხილად გაიდებისო“. და სწორედ მაშინ დავაფასე სავესებით ძალა ამ ბრძნული ანდაზისა.

ამასობაში ბოქაულთან ვაგზავნილი გზირიც დაბრუნდა და ამბავი მოუტანა მამასახლისს — დააბინავე პოლიტიკურები, საცა ვინდოდესო.

მამასახლისმა გზირს ჩვენთან ვინმე პან ეოსიას მოყვანა უთხრა. ათი წუთის შემდეგ მოვიდა ერთი მალალი, სანდომიანი სახის, თეთრწყვერა, გრძელუღვაშებიანი, ოდნავ წელში მოზრილი მოხუცი, რომელიც აქაურ გლეხებს ჩაცმულობით თუ-ღა მიაშვავსებდა კაცი.

— აი, სტუმრებს გაძლევ — უთხრა მამასახლისმა შემეტოვმა, — იცოდე ძვირფასი (ეს სიტყვა ხაზგასმით წარმოსთქვა) სტუმრები არიან და შენებურათ მოუარე.

მამასახლისმა დაგვარხენია—სანდო კაცთან ვგზავნიითო და გამოგვემშვიდობა. პან ჟოზიამაც თავის სახლში წაგვიყვანა. მისი სახლი ხის ერთთვალიანი ქობია. ერთს კუთხეში ხატია და ქვეშ მაგიდაზე პოლონური ლოცვანი და ჯვარცმის რკინის ქანდაკება ასვენია პატარა რვეალ მაგიდაზე. მეორე კუთხეში მოზრდილი გალია სდგას და შიგ ერთი მამალი და ოთხი დედალი ზის. ფანჯრის რაფაზე სუფთად დაფერილი ორი სამოვარი¹⁾ დგას. ერთი მაგიდაა და რამდენიმე ტაბურეტი გარშემო. ეს არის და ეს ოთახის მორთულობა. არც ტახტი სადმე და არც ცალკე საწოლი: იატაკი ღამით საწოლიც არის და ტახტიც.

1) აქაურ გლეხებს ორი-სამი სამოვარი აქვთ: სანამ ერთი დაიცლება, მეორეს ადღებენ.

შემოგვიერთდა ჩვენი თანამგზავრის ნოვოსადსკის კოლეჯი, რომელიც შორიდან აღევნებდა თვალსურს ჩვენი და თავისი ქმრის ამბავს და შიშველ კანკალებს — ვაი თუ რამე მოუვიდეს ჩემს ქმარსო. ახლა ჩვენთან ერთად ჩმასაც გული საგულესა აქვს, რომ გადავრჩით. ეს პირველი ღამეა, არამარტოვანობა ძიეცა თავის ქმარს პირისპირ უყუროს და ღამეც აქვე დარჩენს. სხვათა მსგავსად ცხოვრებასა და სადა ჩვეულებას ჩვენც ვემორჩილებით: ღამით მასპინძელმა და მისმა ოჯახობამ ერთი მხარე უნდა დაიჭირონ ჭოხისა, ხოლო მეორე მხარე ჩვენია. ჩვენს შორის რიდედ ღამის სიბნელეა.

ღიასახლისმა ხელად სამოვარი დადგა. ჩვენ ხელპირი საპნით დავიბანეთ (რა სიამოვნება განვიცადეთ!) და შემოვუსხელით მავლდას.

— უკაცრავად კი ნუ ვიქნები და სადაურები ბრძანდებით? თითქოს რუსებს არა ჰგევხართ, — მეკითხება პან ჟოსია.

— ქართველები გახლავართ. ხომ იცით, რუსეთის სამხრეთით პატარა ქვეყანაა, იქაურები.

— ქართველები... ვიცი, ვიცი. ერთი ქართველი ჩემთანაც იდგა ამ 25 წლის წინად. ჩიკოიძე იყო გვარად. გ. ზდანოვიჩისა და ანთიმოზ გამყრელიძის¹⁾ დროს იყო აქ. იქნებ იცნობდით ან იცით, რა მოუვიდათ?

— ჩიკოიძეს ცნობით არ ვიცნობდი, ისე გამოიგია მისი ქება, მეტად კარგი კაცი იყო, რევოლუციონერი. ახლა ცოცხალი აღარ არის.

ამის გაგონება ძალზე ეწყინა:

— ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! მეტად კარგი კაცი იყო. რა ნასწავლი, რა კეთილშობილი, რა ადამიანის გულშემატკივარი! რაც ხანი ის ჩვენთან იყო, დრო ისე გავიდა, რომ არც-კი გამოიგია. რა საჭიროა, ისეთი კაცი მეტი არ დაიბადება. თუმცა რაც ქართველები აქ იყვნენ ვადმოსახლებული, ყველანი ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ; ალბათ, მათ სამშობლოშიაც ხალხი საერთოდ კარგია, რომ ასეთი შვილები აქეთვე გამოუგზავნიან. მაშ თქვენ ჩიკოიძის ქვეყნისანი ხართ? მოხარული ვარ, მეტად მოხარული, რომ ბედმა კიდევ შემახვედრა ჩიკოიძის ქვეყნის ხალხს...

— ახლა, პან ჟოსია, ის მიბრძანეთ: თქვენ, თქვენ თვითონ საიდან ხართ და როგორ მოხვდით აქ? პოლონელი უნდა იყვეთ, ხომ?

— პო, პოლონელი ვახლავართ, პოლონელი... ჩემი სამშობლო... 20 წლის ყმაწვილი ვიყავ, როცა სხვებთან ერთად 1863 წელს რუსეთის თვითმყრობელობის წინააღმდეგ აჯანყებისათვის დამიჭირეს. ხომ გახსოვთ, მაშინ ჩემი თანაშემწე მამულენი ათასობით გადმოსახლეს ციმბირში. პოლონეთს სრულებით გასრეხას, დედაიწმინის პირიდან აღგვას უპირებდა რუსეთის ორთავე არწივი. თქვენ გზა ბრძანეთ! რა წვალემა განიცადეთ გზაში, რამდენმა ჩვენთავანმა ველარ გაუძლო, გზაშივე მოკვდა და უცხო მხარეში ძალიებით დაიმარხა თუ დაუმარხავად ნადირების საჯიჯგნი ვახდა, რამდენი უღმერთო მოპყრობისა და ტანჯვისაგან ჰკლავდა შესცდა. ვინც აქ მოვალწიეთ, პირველ ხანში ძალიან გვიჭირდა. გვითხრეს, დასახლდითო, და იმას კი არავინ კითხულობდა, დასახლებას რაცა სჭიროდა, გვჭონდა თუ არა და ან საიდან და როგორ უნდა გვეშოვნა.

¹⁾ მახილ ჩიკოიძე და ანთიმოზ გამყრელიძე, ორივენი, ზდანოვიჩთან ერთად 50-ის პროცენტში ერივნენ და აქ გადმოსახლეს.

ჩვენი საკუთარი არაფერი გვებადა. აქაურობა ჯერ ახლა არ არის და მაშინ, ამ 40 წლის წინათ, რა იქნებოდა! ნადირთან გაშმაგებული ბრძოლა გვიხდებოდა. თვით ადამიანები, აქ რომ დაგვხვდნენ, ნადირებს ბევრით უკრულდნენ. მე რომ მკითხოს კაცმა, ნადირზე უფრო საშიშარი და უფრთხილად მამანდონი იყვნენ. ტყე იყო აქაურობა, მთლიანი ტყე. ვაუვალი ტაიგა. ახლა გაიკაფა, მეტწილად დაიწვა. ვისაც არ ეზარებოდა, ცეცხლს უკიდებდა და მერე მისს ჩაქრობას არაფერ არ ფიქრობდა. საჭიროდაც არ მიაჩნდათ. არსად გზა, არსად მიმოსვლა. ქვეყნიერებას მოწყვეტილი ვიყავით. ყველასაგან დავიწყებულთ ჩვენც დავგავიწყდნენ ყველანი. ათასგვარი ავადმყოფობა და გვერია უსმელულშემლო, ტანთჩაუცმელთ და სინსილა გააწყო ჩვენი. ჩვენთვის არც წამალი იყო საღმე და არც ექიმი. მე ქოხი ვაგიჩინე, აქაური ქალი ვითხოვე, რა მექნა, პოლონელი საიდან მომიყვანა? მომიკვდა, მერე ეს ჩემი მართა ვითხოვე. მადლობა ღმერთს, ერთმანეთთან შეხმატბილებულად ვცხოვრობთ. მე ვნადირობ და იმით ვშოულობ ორიოდ გროშს. ჩემი მართა კიდევ მეოჯახე ქალია, გამარჯე, სარისტინი, ხელფურჩი. ორივენი, როგორც ხედავთ, მოხუცნი ვართ, მაგრამ მგონი ერთმანეთს არ ვუღალატებთ სამარის კარამდე. ჩემი სამშობლოს, ჩემის დედა-ენის მოსაგონად ეს პოლონური ლოცვანი მაქვს, ეს ხატი და მაცხოვრის ჯვარცმის ქანდაკება. ფიქრად მომსვლია (და განა თუ ერთხელ!) სამშობლოს ნახვა... მაგრამ შორს იყო, ხარჯი დიდი უნდოდა და ესეც რომ არ ყოფილიყო, ვის უნდა მივსდგამოდი კარს? ჩემიანები შორეულებიც-კი ყველანი, ცხადია, დახოცილები მეყოლება-მეთქი. თუ სიცოცხლეში არ შეწერა სამშობლოში ცხოვრება, მინდოდა სიკვდილს შემდეგ მაინც ჩემს ძვლებს სამშობლოს მიწა დაჰყროდა. მაგრამ ალბათ უფალი არც ამას ინებებს... აქაც ხომ არის მიწა, აქაც ხომ არ გამიშვებენ დაუშარხავს. ბოლოსა და ბოლოს, მიწა იქაური იქნება თუ აქაური სულ ერთი უნდა იყოს. თუმცა, სულთ ცოდვილო, აქაური კი მერჩივნა“...

გული მოგვიკლა 65 წლის მოხუცის ჩვილმა. უზომო იყო ტრაგიზმი მისი სულიერი ყოფისა, განუსაზღვრელი იყო პატივინი მისნი. სანუგეშებლად და ტკივილის დასაამებლად ის-ღა ვუთხარით, რომ მისმა სამშობლომ, მართალია, აქამდე თავი ვერ გაინთავისუფლა რუსეთის ორთავიანი არწივის კლანკებისაგან, მაგრამ ცდილობს ამას და მიცკევიჩის და სენკევიჩის სამშობლოს იმედი აქვს კიდევ ეწიოს ამდენი ხნის გულის წადილს. სწავლა-მეცნიერებით სხვა ხალხთა შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავთ პოლონელთ: პოლონეთის შვილები მეცნიერების უღელში შემბულნი დიდების გვირგვინით უმკობენ თავს თავისს ქვეყანას-მეთქი.

ამას რომ ვეუბნებოდით, მოხუცს ცრემლები წამოსცივიდა თვალთაგან, რაც მალე ქვითინად გადაექცა...

ადვილი საყურებელი სცენა კი არ ვახლდათ ეს. გული დაგვწყვიტა სამარის კარამდე მისულმა კაცმა, რომელიც რუსეთის იმპერატორის დესპოტიას თავისი ქვეყნის გულიდან მოეწყვიტა და საუკუნოდ ცხრა მთას იქით გადაეტყორცნა უღმობელ ბუნებასთან, ცხოვრების საშინელ პირობებთან, ველურების საფერ წესწყობილებასთან საბრძოლველად; მოაზროვნე ადამიანისთვის წაერთმია ნიჭი აზროვნებისა და, ველურ ბუნებასთან ბრძოლაში თვით ვაველურებული თითქმის პირუტყვად ქცეულა, ადამიანის ნასახი-ღა შერჩენია; მისი

გულიდან უხეშათ ამოგლეჯილა მისი სატრფიალო, ნალოლიწვი საგანი/ მისი ოცნება, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყურვილი, მოეშორებინა დედ-მამისა, და-ძმებისა, მთელი თავისი გმერთაგან — განა ერთისა ან ორის წლით, საუკუნოდ...

ვიგახშვით. ძმურად გავიშალეთ იატაკზე, რაც რამ გვებადა გასაშლელი და უშიშრად და უდარდლად მოვასვენეთ ჩვენი განაწამები სხეული დილაძდე.

26 თებერვალია. ჩვენს ადგომამდე დიასახლისს სამოვარი დაედგა. ქმარმა უთხრა: მართა ქალო, ამაზე ძვირფასი სტუმრები მე აქ არავინ მომივა და მოდი, რიგინად ვცეთ პატივი, რითაც შეგვიძლიან და ერთი შენებური ერბო-კვერცხი შეუწვიო. დიასახლისმაც შემოთაღწერილ გალიაში მსხდარ დედლების მიერ დადებულ კვერცხებისაგან ხელად ერბო-კვერცხი შეგვიწვა და შემოგვითავაზა. ჩვენ გვეთაკილებოდა კიდევ ასეთის წვალებით გამოზრდული ქათმების¹⁾ კვერცხი გვეჭამა, ასე გვეგონა — პირში რომ ჩავიდოთ, ყელში მაინც არ ჩავგვივანო! ჩვენის აზრით, უმეტესად პატივისცემის გამოხატვა მათის მხრით შეუძლებელი იყო. გამოთხოვებისას პან ფოშიას მანეთი ვაძლირეთ ღამის გასათევი. თავი მოიკლა და არსგზით არ უნდოდა აღება, სანაც ძალის-ძალად არ ჩავაჩეჩეთ ხელში.

წავედით მამასახლისის კანცელიარიისაკენ, სადაც მამასახლისი შემეტოვი გველოდებოდა. უკვე ეშოვნა სანდო გლეხი, რომელსაც საუკეთესო ცხენები შეება მარხილში ჩვენს წასაყვანად. მამასახლისმა გლეხს ჩვენი თავი ჩააბარა და თან დაუსახელა ის გლეხი, ვისთანაც უნდა ვაჩერებულყავით გზაში ღამის გასათევად, რადგან ჩვენი მგზავრობის უკანასკნელ პუნქტამდე 60 კილომეტრზე მეთი გვაკლდა.

სანამ გამოვეთხოვებოდით მამასახლისს, ასეთი დარიგება მოგცა: როცა დაბრუნდებით, უცქველად მე გამომიარეთ. აქედან სანდო გლეხს გაგაყოლებთ და სამშვიდობოში უწენებლად ჩავიყვანსთო.

ერთბაშად ვერ მივხვდი, რა „დაბრუნებაზე“ მელაპარაკებოდა და თითონვე ამიხსნა: საცა მიჰყევართ, იქ ზომ არ დარჩებით და, როცა გამოიქცევით, იმ დროის შესახებ გელაპარაკებით. თან დაატანა: „თუ ვინცობაა, სება გზით წახვედით და მე ველარ გნახეთ, როცა გიორგი ფელიქსის-ძე ნახოთ, დიდი, სულ დიდი მოკითხვა, სიყვარული და ნახვის ნატვრა გადაეცით მის ნამოწადარ მიხილ შემეტოვისაგან. რაც შეეხება თქვენს თანამგზავრებს, აქ რომ გრჩებათ, ციხიდან ოთხ-ხუთ დღეს არ გამოვეშვებთ, მანამ თქვენ უკვე დაბინავებული იქნებით თქვენს-თქვენს სოფელში და ამათი შიში აღარ გექნებათო“. ეს გვითხრა, გადაგვეხვია და გზა დაგვილოცა. თან ჩვენს წამყვან გლეხს უთხრა, ჩვენთვის გზაში გაყინული რძე ეყიდვიანებინა...

სწორეთ რომ სიზმარში გვეგონა ჩვენი თავი. გულდაწყვეტილები დაეშორდით ჩვენს ახალ მეგობრებს, რომელნიც ჩვენ სულმნათ წინაპარ რევოლუციონერთ დაუტოვებიათ აქ გაზრდილები, რომ შემდეგში მათის კვლით მომავალთ გამოსდგომოდნენ, გაქირავების დროს ეშველნათ, განსაცდელისაგან ეხსნათ...

¹⁾ აქაურ ქათმებს თავიანთ საცხოვრებელ ოთახში ინახვენ, რადგან გაუთბობ საქათმეში 40°-იან სიცხეში ქათმები, რა თქმა უნდა, ვერ გასძლებენ.

ვათქვირებული ცხენები ისეთის სისწრაფით მისარიალებენ მარხილებს, რომ სულიც კი გვივლებდნენ. ფიჭვის ხეები ვზას იქით-აქეთ შემოსარკიან, ზამთრის სუსხისაგან დაღონებულნი. გაყინული თოვლი ზედ შემობობია, ცეცხლსავე ტოტები დაუხუნზლავს. ახლა ოღონდაც რომ გვიხარის ყურგმაც, მუნცეცეცა კრომელსაც უკვე შევაჩვიეთ თვალი. ვერზოლენსკამდე აზრი მხოლოდ ერთს საგანს ჰქონდა შებოჭილი, ახლა კი ერთი საგნიდან მეორეზე გადაარბის. ჩვენ უკვე თავისუფლად ვგაძნობდით თავს. ორ დღეში ჩავალთ ჩვენს ეოლოსტში და მერე იცხოვრე შენს გემოზე...

ჩვენმა წამყვანმა გლენმა ერთ სახლთან მარხილი გააჩერა, დაუძახა დიასახლისის და გამოატანინა გაყინული რძე სათილის ფორმისა, რომელსაც ხელის მოსაკიდებლად შუაში ჯოხი ერკო. ამ კვერეულისაგან გამოვიდოდა სულ უქანასკნელი 10-15 ტოლჩა რძე და გადაგვახდევინეს სულ რაღაც ხუთი თუ ექვსი შაური. ჩავვადეთ მარხილის ძირში და იქ გორაობდა საღამომდე, სანამ გასათევ სახლს შივაწვედით. რომ გაეჩერდებოდით, ცულით ან ჩაქურით მოეტეხდით რძეს, ცეცხლზე გავათბობდით რაიმე ჭურჭლით და ახალ მოწველილის მსგავს რძეს გვახლებოდით. ამნაირი რძე ათას კილომეტრის მანძილზე შეგიძლია გადაიტანო, რა თქმა უნდა, აქაურს ზამთარში, ასე რომ რძეს ერთი ბეწოც, არ აკლდება თავისი პირვანდელი თვისებისა. მომზადებაც ასეთი გაყინული რძისა სულ ადვილი ვახლავთ: რომ მოსწველენ ძროხას, საწველედიანად გარეთ დასტოვებენ, თან შუაგულში ჯოხს ჩაურჭობენ. რამდენიმე წუთში რძე გაყინულია, შიგ ჩადებული ჯოხიც შეყინულია ხელის მოსაკიდებლად და კვერეულის ამოსაღებად. მერე, ჭურჭლის განთავისუფლებად და იქიდან გაყინული რძის ამოსაღებად ცეცხლზე შემოსდგამენ ჭურჭელს, ძირი და კედლები რომ მოთბება, ჯოხით ამოსწვევენ და ამოიღებენ იმ ჭურჭლის სახის კვერეულს, რომელშიაც თვით რძეა მოწველილი. ამგვარად, მკვრივე სხეულად ქცეული სითხე სულ ადვილი და უშიშარი გადასატან-გადმოსატანია. მეტადრე მისწრებაა მგზავრებისათვის და ისიც ჩვენისთანა მგზავრებისათვის.

ვერზოლენსკიდან წასულები ერთად-ერთი სოფელში გავჩერდით. მეორე დღეს, საღამოზანს, უკვე ვუახლოვდებოდით ტუტურის ეოლოსტს, საცა უნდა გავჩერდეთ მე და ნოვოსადსკი, ზოსიმე ხუბუა-კი, სოფ. ზნამენკაში (ჩვენის სოფლიდან 20 კილომეტრის მანძილზე) წავიდა. ის სოფ. ტუტურისა და ზნამენკის გასაყარზე გაგვშორდა. ერთმანეთს პირობა მივეციით, როცა დავბინავდებოდით, გვენახა ერთმანეთი.

(გაგრძელება იქნება)

კარლო კალაძე — „რჩეული ლექსები“

„საბლიტბაში“, თბილისი, 1939 წელი.

წიგნი კარლო კალაძის უკანასკნელი წლების პოეტური შემოქმედების რჩეულ ნიმუშებს შეიცავს. ამ წარმოდგენილი ლექსებით ავტორი საკუთარი პოეტური გზის, საგანთა და მოვლენათა თავისებური შეგრძნობის, განსხვავებულ მხატვრული თვალისა და ფანტაზიის პოეტად გვევლინება. პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს პოეტის სწრაფვა თავი აარიდოს სხვისი ხმით მღერას, ყველა ცნობილი და პოეზიაში გაგრცელებული სახეებით და საღებავებით ხატვას, მონახოს თემის თავისებური პოეტური გასაღები. ავტორი ღრმა გულმოდგინებით მუშაობს პოეტურ ფორმაზე და დაფიქრებულად ეძებს პოეტური მეტყველების სპეციფიურ საშუალებებს, შეფარდებულს მისი ნიჭიერების თავისებურებასთან და აღებულ თემის ბუნებასთან.

კარლო კალაძის პოეტური მოღვაწეობის ამ თვისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ ფორმალისმის წინააღმდეგ წარმოებულმა სრულიად დროულმა და მართლმად ბრძოლამ თანამედროვე ქართულ პოეზიაში წარმოშვა საწინააღმდეგო უკიდურესობა: — უღარდებლობა პოეტური ფორმის საკითხების მიმართ, დაუდევრობა და გულგრილობა მხატვრულ მეტყველების სფეროში, ლექსალურ მოტივებისა და ხატვის საშუალებათა ერთფეროვნება.

კარლო კალაძის რჩეული ლექსების ამ წიგნის მთავარი თემა, ისე როგორც მთელი თანამედროვე ქართულ მწერლობისა, არის ჩვენი დიდი სინამდვილე, ჩვენი ქვეყნის აღორძინებული და აყვავებული დღევანდებლობა, რომლის ასახვისას პოეტი ყოველთვის იხედება წარსულის სიღრმეშიაც, ყოველთვის შთაგონებულია ჩვენი ქვეყნის ბუნების მრავალფეროვანი სილიადით. მართებული იქნებოდა ამ წიგნის მთავარი აზრი და ავტორის მიზანდასახულება პოეტის შემდეგ სტრიქონებში დაგვეჩვენა:

„მზავალ საუკუნის და ომის შემდეგ
მზავალ ასეულ საუკუნის წინ,
მილიონების გამორული შრომით
შთაგონებული ვწერდი მე ამ წიგნს“.

პირველი ლექსი, რომლითაც იხსნება წიგნი: „შემოღამება მოაწმინდაზე“ მკაფიოდ გამოხატავს პოეტის სწრაფვას, ერთ მხატვრულ მთლიანობაში განგვაკდევოს ჩვენი ქვეყნის დიდი წარსული და მისი აღორძინებული თანამედროვეობა. ამ ლექსში ერთმანეთს ხვდებიან ტარიელის მერანი, ავთანდილის მომეჯადოებელი სიმღერა, „სოფლის ამოცანაში“ განაწამები ბარათაშვილის მღვლეარე აზრი, ვაჟა-ფშაველას ლურჯა — ეს სიმბოლური განზოგადობული ნიშნები ჩვენი ხალხის დაუცხრომელი სწრაფვისა ბედნიერი მომავლისაკენ და ყოველივე ეს პოეტის ფანტაზიის შეუქრება განაზღებული თბილისის გულში, მოაწმინდის თავზე აღმართული დიდი სტალინის ქანდაკის ირგვლივ, ქანდაკისა, რომელშიაც მონუმენტალურ გამოხატულებას პოულობს ჩვენი სამშობლოს აღორძინების და უძლეველობის ბრწყინვალე ეპოპეია. ეს ლექსი, რომელიც „ციხის და მიწის ვარსკვლავებს“ გაჩაღებულ ფონზეა გაშლილი, აღბეჭდილია ღრმა დრამატიზმით და შეიცავს ისეთ მახვილად მოფიქრებულ პოეტურ შედარებებს, როგორცაა მაგალითად:

„იყო შებევედრა დღისა და ღამის —
ავთანდილის და ტარიელისა“...

პოეტური აზრის მასშტაბით და დიპლომატიური ყურადღების იპყრობის ამ კრიტიკული მომენტით საუკეთესო ნაწარმოები „მოთების ეპოსი“. ეს ქართული ისტორიისა და საქართველოს ბუნების ერთიანი პოეტური გააზრების სინტერესო კადა. ჩვენი ქვეყნის მოთების, ტყეების, მდინარეების, ველების იდილიურ სიმშვიდეს და სიდიადეს საუკუნეთა სიღრმეში შექმნილი ხალხის ნება და ძალა, უშუალოდ თავისი სამშობლო, დაუცავს იგი მტკიცე გასაქარისა და კატასტროფისაგან, და ეხლა ამ ქვეყანაში ახალი ცხოვრება გაიჩრადნებოდა, მის ველებს მანქანები შეეყვია, შრება კოლხიდის ქაობები:

„მოსახლეობამ მზიან სერებზე
ხეხილი დარგო და გაახარა,
თავს შემოველო ფორთოხლის ნერგებს
და ნიაგ-ქარი არ მიაკარა...“

ხალხის საუკეთესო შეილებს თავდადებული ბრძოლით მოაბოვა ჩვენმა ქვეყანამ ეს ნათელი და მწიური ცხოვრება. ბევრი მთავანი მსხვერპლად შეეწირა ამ დიად ბრძოლას — „მოთების ეპოსი“ მოგვითხრობს ერთი ასეთი გმირის შესახებ, რომლის ხსოვნაც ორგანიზულად შეზრდია საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის სინამდვილეს.

ლეკების ციკლი „ხერთვისის განთიადები“ აღმოცენებულია მესხეთისა და ჯავახეთში პოეტის პირველი მგზავრობის შედეგად. ამ ციკლის ლექსებში პლასტიური სიხადით იშლება ჩვენს თვალწინ სამხრეთ საქართველოს მოთების, ციხეთა და მონასტერთა ნანგრევების, ტბების და მინდვრების კოლორიტული პანორამა, აღწერილობისა და მომთბრობელობის ეპიური ტონი აქ შეხამებულია მასალის მონუმენტალურ ბუნებასთან. განსაკუთრებით სინტერესოა ამ ციკლში „ხერთვისის თქმულება“ შურისა და ღვაწლადანი მეტოქეობის მსხვერპლად ქცეული ზელოსანის ტრაგიული თავგადასავალის საბით აქ განსახიერებელია ხალხის მარადიული ოცნება იმაზე, რომ ადამიანს ფრთა გამოესხა, ცისა და მიწის დაუფლებოდა; მაგრამ ის სწრაფდა საუკუნეთა მანძილზე გაწიროლი იყო და მიუღწეველი. სასტიკად დამარცხდა და დიილუბა „ხერთვისის თქმულების“ გმირი-ოსტატი:

„ვინც ერთხელ შრება გაშალა
და არწივობა სურდა“...

მაგრამ ჩვენმა დიადმა დროებამ განახორციელა ხალხის მარადიული ოცნება; ფრთა შეესხა ადამიანს, გაათავისუფლა იგი ყოველგვარი ბორკილებისაგან და ეხლა ამ ლეგენდის წარმოშობა მზარეში ლაღად დაფრენენ მშრომელი ხალხის ბედნიერი შეილები. კარლო კალაძის ლექსებში „უცნობი ქალ-ვაგი და მებადური“ და „დასაბრული“ ჩვენ ვხედავთ ადამიანს, ამ ფრთაშესხმულ ცხოვრების ანარკელს:

„ცად აღტაცებულ ფრენოსანი
ველარც ლექსები სწედებიან...
ხელს მოვირდილებ, ვუცქერი,
იქნებ იქ ისევ გმირად —
(სადაც არაა ბილიკი
და არც მალაი მთებია)
ქოლგით სეირნობს გოგონა
სადმე ღრუბლების პირად“

რასაკვირველია, ამ ლექსების აზრი უფრო ფართოა, ვიდრე მანქანის და ავიაციის პოეტური აპოლოგია: აქ საერთოდ ხალხის განხორციელებულ მარადიულ ოცნების, ჩვენი ხალხის გმირული გაჭინების იდეა აღებული პოეტური განსახიერების საგანად.

ლექსების მთელ ციკლში პოეტი ხატავს ზღვის სანაპირო მიდამოების პეიზაჟებს და გადმოგვცემს ზღვის სტიქიასთან დაკავშირებით აღმოცენებულ განცდებს და შთაბეჭდილებებს. მღელვარე და ბოშოქარი ზღვის აზვირთებას პოეტი აღტაცებული შეშხარის, რადგან მასში ჩვენი მღელვარე ცხოვრების განმეორებას ხედავს, პოეტი ხედვით — ზღვა:

„მალაღ კლდეებთან მებრძოლი ჰგავს
ჩვენი დღეების განმეორებას“.

ზღვის ტალღათა მრისხანე ქუხილი პოეტს ჩენი ხალხის ვაგაყური სიმღერის გვერდს მოაგონებს:

„ღამდება მოებში და შავი ზღვა
ხალხივით მღერის ხასანბევრას“.



პოეზიაში საერთოდ და კერძოდ ქართული კლასიკურ პოეზიაში არსებობს ტრადიცია ზღვის მღვლეარების მხატვრულ პარალელისა ცხოვრების მღვლეარე მოძრაობასთან. თავისებური ძალით და პათოსით იმეორებს ამ პარალელს კარლო კალაძე:

„ღამდება, წყალში ჩავიდა ცა, —
მალა მოგეცა ზღვა და იქცევა,
დღე იფოს ღელვა და წვიმის ცრა,
მეც ამ ქარიშხლის მოხალისე ვარ!
დღე, ზღვათა ფიქრი ტალღებმა სოქვან,
რაა მუქარა ძირს დაცემულის! —
შე დილით ხალხში გამოვალ ხვალ
და იქ ცხოვრების ღელვა შეგულების“.

ლექსში „სალამო“ მწუხრის და მძინარე სოფლის ცხოვრების ინტიმური განცდილი განწყობილებაა გადმოცემული. აქ ჩვენ ვხვდებით მეტად მახვილად მოფიქრებულ პოეტურ სახეს:

„მხოლოდ შორიდან გეიქნედა ხელს
რტობშიაღა და მოალერსე —
თითოთროლა მოხრილი ხე
ამომავალი მგზავრით სერზე“

საერთოდ კარლო კალაძე შედარებებსა და მხატვრულ სახეების გამოსახევაში ცხოველ ფენტაზიის ირენს. ამ ორიოდ მთავალით:

„გზა ნემსის ყურში გამძვარალი
ძაფივით იკარგებოდა“

ეს ნათქვამია მთის ბილიკის შესახებ. ერთი ლექსი, სადაც პოეტი აღწერს ღამით მთაში მოგზაურობას, ღამის წყევდიად ასეთ სახეში გადმოგვცემს:

„ღამეში თვალებს მონახონ სერთ
დიდი მხატვრობა სალი კლდისანი,
მაგრამ აწ მელნით წაშლილან სულ
და სერთებე ველარ ვიკანი“.

კრეატივის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს „იმერული მოთხრობა“, რომელშიც მეტად კოლორიტულად არის დახატული იმერული სოფლის განახლებული ყოფის სურათი. ყოფაცხოვრებითი დეტალი აქ აყვანილია პოეტურ სიმღელემდე და პოეტის მიერ განცდილია უეჭველი უშუალოებით და სიწრფელი.

წიგნი მთავრდება მხედრული ლექსების ციკლით. ჩენი მამაცი წითელარმიელების ასეა შეინგარწვერზე გადმოცემულია „თეთრებთან“ (იგულისხმება თოვლიანი მწვერვალეტი) ბრძოლასა და მათზე გამარჯვების ორიგინალური აღგვარით. საბჭოთა მესაზღვრის თავდადებული გმირობა და უსაზღვრო პატრიოტული გზნება მკვეთრად გამოხატულია ბალადაში „გვიორგი“. აქვე აღსანიშნავია ლაშქრული-სასიღვრო ლექსი „მხედრული“ და ეპიური თანრის ნაწარმოები „ამბავი აქარელ ამხანაგების თქმული კარლო კალაძის მიერ“.

ამრიგად კარლო კალაძის პოეზია თავისი იდეურ-თემატური შინაარსით დაკავშირებულია ჩენი ცხოვრების სინამდვილესთან, მისი ლექსი უმრავლეს შემთხვევაში ჯანსაღი და ღრმა იდეურ საფუძვლებზეა აგებული. მოყვანილი მაგალითებიდანაც სწამს, რომ კალაძე თავისებურ რიტმიულ და მეტრულ აღნაგობას აძლევს ლექსს (განერკობილი სტროფი, მოკეთილი რიტმი, სტრიქონის შინაგანი რითმის შემთხვევები და სხვ). მახვილად მოფიქრებულ

სახეებსა და პოეტურ საშუალებებს ქმნის. საერთოდ მის პოეზიაში გონებასთანაბრობა და ფანტაზია შეაფიოდ გამოსჩანს.

კარლო კალაძემ მეტი სოციალური სიმახვილე და აქტუალობა უნდა მისცეს თავის ლექსებს, უფრო ღრმად უნდა დაუკავშიროს თავისი პოეზია ჩვენი გასული სინამდვილის ყოველდღიურობას, საბჭოთა ეპოქის ადამიანის აზრებისა და გრძნობების ნაწიწარის მსგ. მეტი ბუნებრივობა, სისადავე და სიცხადე უნდა შეიტანოს თავის პოეტურ ფორმათა ლაბორატორიაში. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი პოეტის ოცნების განზორციელება თავისი ლექსის ხალხურობის შესახებ:

—ღე, გადაფურკონ მილიონებმა, —
და მე ვისმენდე ტყეების შრიალს“.

ჩვენი ფიქრით სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაშალოს კარლო კალაძემ მომავალი შემოქმედებითი ბრძოლა და მუშაობა.

მკითხველის ეს მოთხოვნა საესებით სამართლიანია და კანონზომიერი იმ პოეტის მიმართ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია საქართველოში პროლეტარული პოეზიის დაცუცეების ისტორია.

ბ. ჟღენტი.